# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე № 3 მარტი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე


გრიგოლ ჩიქოვანი — კომუნისტის გული . . . . . . . . . . 3
ჯემალ მეხრიშვილი — შენი მიწა... შენი შირაქი... . . . . . . . 20

მანანა მეძმარიაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 30
ზურაბ ჩხაიძე — ზიარება. მოთხრობა . . . . . . . . . . . 32
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება . . 46
საიდ ჩახკიევი — იმ ცეცხლოვანი წლების გახსენება. თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა . . . . . . . . . . . . . . 73
გიორგი პაპუაშვილი — იმედი. მოთხრობა . . . . . . . . . 77
გრიგოლ ჯულუხიძე — გასაუბრება მზესთან. ლექსები . . . . . . 83
ბიძინა მინდაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 88
ოთარ კანდელაკი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 90
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . 91
სერგი ჭილაია — ადექით, სასამართლო მოდის! ქრონიკა . . . . . . 111


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გიორგი ციციშვილი — რომანი და თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემები . . . . . . . . . . . . . . . 136
ვლადიმერ მაჭავარიანი — „მოხმარებითი საზოგადოების“ ჯუნგლებში 154
ივანე იმნაიშვილი — პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები . . . 160
ნათელა სალირაშვილი — ივანე კერესელიძის ფოლკლორული ჩანაწერები 168
ელიზბარ ჯაველიძე — სოფელი და ზეშთასოფელი . . . . . . . 170
დალი ინწკირველი — პოეტი-ქალის გზა . . . . . . . . . . 180


### წიგნების მიმოხილვა


ან. ჯაფარიძე — ძმური ნობათი . . . . . . . . . . . . 189



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



13093

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, მ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ხაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 21/II-75 წ, ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-75 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 11237. ტირაჟი 14.050. შეკვ. № 244.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# კომუნისტის გული

1

ამას წინათ ათიოდე წლის წინ გამოცემული ჩემი ნარკვევების წიგნი „ადამიანი მიდის წინ“ მომხვდა ხელში. უცნაური ჩვეულება მაქვს, ერთხელ დაბეჭდილ ჩემს წიგნებს აღარ ვკითხულობ, მაგრამ ამ წიგნის სარჩევში აღნიშნული ერთი ნარკვევის სათაურმა დამაინტერესა. „მოუსვენარი გული“, ეწერა იქ. ვისა აქვს მოუსვენარი გული, გავიფიქრე და წავიკითხე ნარკვევი. ჩემდა სასიხარულოდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იმ კაცს არა მარტო მოუსვენარი, დიდი და ნათელი გულიც აქვს.

გადავწყვიტე თორმეტი წლის შემდეგ კვლავ მენახა ასეთი გულის კაცი, გამეგო ამ ხნის განმავლობაში რა გააკეთა, რას მიაღწია, როგორ ცხოვრობდა. გაზეთებში ხშირად ვკითხულობდი მის ამბავს, არაერთხელ მინახავს ტელეეკრანზე, ვისმენდი რადიოში, მაგრამ მაინც მინდოდა ჩემი თვალით მენახა.

ჯერ ადრინდელ ამბებს მოგიყვებით, შემდეგ კი ახალს, რათა დაგანახოთ, რა სწრაფად მიდის წინ საბჭოთა ადამიანი, როგორ არა ჰგავს მისი გუშინდელი დღე დღევანდელს, დღევანდელი — ხვალინდელს.

ლამაზია ჩემი თბილისი. შოლტივით მოქნეული მისი ძველი, ვიწრო ქუჩები და ახალი, ლარივით სწორი პროსპექტები, მრავალსახიერი შენობები და ბაღები, ტერასებად რომ ეშვებიან მტკვრისკენ და აღიან მთაზე, თვალწარმტაცი თბილისის ზღვა და ზეატყორცნილი ზვიადი მთაწმინდა, ჩრდილოეთის თოვლიან მწვერვალთა ჯაჭვი და თბილისელთა მზემოკიდებული სახეები. თბილისი — ჭაღარა და მარად ნორჩი, ტაძრებისა და ციხეების დროჟამით გალესილი კედლები, გაჯისა და კირის სუნით გაზანგული ახალი უბნები და მასივები, ქარხნები და ფაბრიკები.

თბილისი ასეთი შექმნა ადამიანმა. თბილისს ამშვენებენ არა მარტო ახალი, ფართო მოედნები, გრძელი და განიერი პროსპექტები, მაგისტრალები და სასახლეები, თეატრები და მუზეუმები, უმაღლესი სკოლები და საკვლევი ინსტიტუტები, აკადემიები,

ძეგლები. თბილისს ამშვენებენ ადამიანები. მინდა მოგითხროთ ზოგი მათგანის სასიქადულო ამბავი. ისინი მუშაობენ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქარხანაში, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს ატარებს და ქართულ ელმავლებს აშენებს.

თბილისში დღეს ისე ლაპარაკობენ ამ ქარხანაზე, ისე ჩვეული გახდა ჩვენთვის სიტყვა — „ელმავალსამშენებლო“, თითქოს ეს უახლესი და ურთულესი ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა დასაბამიდან გვქონდეს. მაგრამ თუ უკან მოვიხედავთ, დავინახავთ, რომ სულ რაღაც ოცდარვა წლის წინათ მთელს ჩვენს ქვეყანაში იტალიიდან და ამერიკიდან ჩამოტანილი ცამეტი ელმავალი დადიოდა. დღეს კი თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა წელიწადში რამდენიმე ათეულ ელმავალს უშვებს. ეს უზარმაზარი ქარხანა, სადაც ოთხი ათასი ადამიანი მუშაობს, გაშენებულია გარეუბანში, რამდენიმე წლის წინ ტყით რომ იყო დაფარული.

მახსენდება საუბარი მუშებთან, ინჟინრებთან. ვფურცლავ უბის ძველ წიგნაკს და თვალწინ დგებიან ნაცნობი სახეები. აი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვასილ პაპინაშვილი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე, სანდომიანი სახის ჭაბუკი, ცეცხლი რომ გასდის ხელიდან.

ელმავალი ორი სექციისგან შედგება. ერთ სექციას ვასილ პაპინაშვილის ბრიგადა ამონტაჟებდა, მეორეს — ზაქრო მამულაშვილის ბრიგადა. ორივე ბრიგადა სინდისიერად, გულით მუშაობდა, ასრულებდა გეგმას, იყო მოწინავე, მისაბაძი, სამაგალითო მთელს ქარხანაში.

„ასე მუშაობს ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანი, — ჩაფიქრდა ერთხელ ვასილ პაპინაშვილი, — ასე მუშაობს ჩემს გვერდით, მეორე სექციაში ტიმოთე თედეევის ბრიგადაც, ასე მუშაობენ სხვა ელმავლების სექციებშიც...“ შეუჩნდა ეს ფიქრი და არ მოასვენა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, — დიმიტრი ბაკურაძესთან მიიყვანა.

— ბრიგადაც ასე ფიქრობს?! — ჰკითხა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ.

— ასე ფიქრობს, — მიუგო პაპინაშვილმა.

— კარგი ფიქრია, — მოუწონა დიმიტრი ბაკურაძემ. მან კარგად იცოდა, როგორი მოუსვენარი გულიც ჰქონდა ბრიგადირს, — მომიყევი რას აპირებთ?

— გეგმას ასსამოცი პროცენტით შევასრულებთ, — ერთბაშად დაიწყო ბრიგადირმა. ყველაფერი წინასწარ აწონილ-დაწონილი და შეთანხმებული ჰქონდა ბრიგადის წევრებთან.

— შესძლებთ?! — შეეჭვდა ბაკურაძე.

— შევძლებთ. — მიუგო ვასილ პაპინაშვილმა, — აირშემდუღებლებადაც ვიმუშავებთ, მეორე ხელობასაც ავითვისებთ.

— მეორე ხელობასაც?!

— მილებს ნაკლებს მოვიხმართ, ავიყვანთ შეგირდებს და აღვზრდით, — აღარ დააცალა ბრიგადირმა თავის ყოფილ ოსტატს, სახეზე გამამხნევებელი და მოწონების ღიმილი დაუნახა და გააგრძელა: — ქარხნის დაბაში გზას გავიყვანთ.

დიმიტრი ბაკურაძე აღტაცებით შეჰყურებდა ბრიგადირს, მის კეთილ, ჭკვიან თვალებს.

— მოერევით კი, ვასილ, ამდენ საქმეს?! — შეფიქრიანდა დიმიტრი ბაკურაძე.

ვასილ პაპინაშვილმა ერთბაშად არ უპასუხა.

— როცა ჩვენი ქარხნის კონსტრუქტორები ელმავალ ნ 8-ს აპროექტებდნენ, — მიუგო ბრიგადირმა დუმილის შემდეგ, — მაშინაც ეჭვობდნენ, მოვერევით თუ არა ასეთ დიდ საქმესო, მაგრამ ქარხნის ეს სიამაყე დიდი ხანია დადის ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე.

ზაქრო მამულაშვილის ბრიგადაში რომ გაიგეს, პაპინაშვილმა ასეთი დიდი ვალდებულება იკისრაო, დაფიქრდნენ, ჩვენ როგორღა მოვიქცეთო. ხომ არ შეიძლება ელმავლის ერთ სექციაზე ერთი ბრიგადა ჩვეულებრივად მუშაობდეს, მეორე კი ასეთი გაზრდილი ვალდებულებებითო. რაც ვასილ პაპინაშვილის ბრიგადამ იკისრა, შეუძლებლად ეჩვენათ, ამიტომ დასკვნის გამოტანას არ ჩქარობდნენ. გადაწყვიტეს, ჯერ თვალი ედევნებინათ. აკვირდებოდნენ ვასილის ბრიგადის მუშაობას, სწავლობდნენ, ფიქრობდნენ, არც ერთ წვრილმანს მხედველობიდან არ უშვებდნენ, ხელში და თვალში შეჰყურებდნენ, დღითი დღე რწმუნდებოდნენ, რომ ვასილ პაპინაშვილის ბრიგადა სიტყვას არ გატეხდა.

ტყუილად არ უთქვამს ხალხს — მონდომება ნახევარი საქმეაო. ვასილის ბრიგადამ მონდომებას თავდადებაც დაუსართა, მოვალეობისა და შეგნების გრძნობაც მიუმატა, საქმისა და ქარხნის სიყვარულიც ზედ მიაყოლა და ზაქრო მამულაშვილის ბრიგადამ ვეღარ შენიშნა, როგორ მოინდომა თვითონაც, როგორ გაუჩნდათ თავდადების, მოვალეობის, შეგნებისა და ქარხნის სიყვარულის გრძნობა, როგორ ჩაერთნენ დიდ საქმეში და შეუძლებელი შეძლეს.

არ აუღიათ ვალდებულება, არ გამოუწვევიათ ვასილ პაპინაშვილის ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ცდილობდნენ ისე ემუშავათ, როგორც ვასილის ბრიგადა მუშაობდა. იმუშავეს და გაუმართლდათ. ასეთია მაგალითის ძალა.

არა მარტო ზაქრო მამულაშვილის ბრიგადა, მთელი ქარხანა ადევნებდა თვალს ვასილ პაპინაშვილის ბრიგადის მუშაობას. სასადილოში, ეზოში, კლუბში, ქუჩაში ქარხნის ახალგაზრდობა ერთმანეთს უთითებდა, უჩვენებდა ვასილ პაპინაშვილის ბრიგადის წევრებს: იმათ კი თავი ისე ეჭირათ, როგორც შეეფერება კაცს, ვისგანაც მაგალითს იღებენ, ვისაც აქებენ და მოწონებით უყურებენ. უკეთ ჩაიცვეს, ყველაზე წესიერად, ზრდილობიანად იქცეოდნენ, არ სვამდნენ, უხეში სიტყვა არ წამოცდებოდათ. არა მარტო მუშაობით გამოირჩეოდნენ ქარხანაში და ქარხნის გარეთ, ყოფაქცევითაც, ზრდილობითაც.

— კომუნისტურად მუშაობენ და ცხოვრობენ.

ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს საამქროებში. ცდილობდნენ მიებაძათ მათთვის. ეს ფრთებს ასხამდა ბრიგადას, ამხნევებდა, ხალისს მატებდა, მეტს ანდომინებდა, მეტს აკეთებინებდა.

გავიდა ხანი. ერთხელ ვასილ პაპინაშვილი საქარხნო კომიტეტში მივიდა.

— ახალი ვალდებულება გვინდა ავიღოთ, — უთხრა კომიტეტის წევრებს.

გაუკვირდათ. კიდევ რა ვალდებულება? ერთმანეთს გადახედეს.

— გეგმის ზევით დავამონტაჟებთ საჟღენთ განყოფილებას.

არ დაიჯერეს კომიტეტში. იმასთან ერთად, რასაც ბრიგადა აკეთებდა, კიდევ საჟღენთი განყოფილების დამონტაჟება?!

— ნუთუ ეს შეუძლია ბრიგადას?!

— კომუნისტებს შეუძლიათ! — თქვა კომიტეტის ერთმა წევრმა.

— შეუძლიათ! — დაუდასტურა მეორემ.

ეს სიტყვები ბრიგადამ მალე გაამართლა. საჟღენთი განყოფილება დიდი შრომის ფასად, მაგრამ დათქმულ დროზე დაამონტაჟეს.

— რატომ არ ვუწოდებთ ამ კოლექტივს კომუნისტური შრომის ბრიგადას? — ალაპარაკდნენ საამქროებში.

— ბრიგადა სანიმუშოა, როგორც შრომაში, ისე ყოფაში.

— ასეთი თავდადებული ბრიგადა ქარხანას დღემდე არ ჰყოლია.

— არც ასეთი შრომისმოყვარე.

— არც ასეთი დისციპლინებული.

— არც ასეთი სანიმუშო.

ქარხანამ საერთო კრებაზე გაიტანა მუშების წინადადება და ერთხმად გადაწყდა, ვასილ პაპინაშვილის ბრიგადისათვის საქარხნო კომიტეტში რეკომენდაცია მიეცათ.

ვასილ პაპინაშვილის ბრიგადის შეგნებული, ჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი საქარხნო კომიტეტში ღირსეულად შეაფასეს. ორი აზრი არ ყოფილა.

ბრიგადას თითქოს ყველაფერი ჰქონდა — სახელი, კარგი ხელფასი. მუშაობდნენ ერთსულოვნად, შეწყობილად, უყვარდათ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ ერთმანეთს, პატივს სცემდნენ სხვებს. სწავლობდნენ, იძენდნენ ცოდნას, არ შეეძლოთ მიღწეულზე შეჩერება, არ შეეძლოთ დღევანდელი დღით ცხოვრება, ფიქრობდნენ ხვალინდელზე.

კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მეტს ავალებდათ და აი გულდასმით გადასინჯეს თავისი შესაძლებლობები და დაინახეს, რომ სექციაზე ყველაფერი გაუკეთებიათ. შრომის ნაყოფიერებით, მასალის მომჭირნეობით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით თავიანთი ხელფასის ფონდიც გადაუფარავთ.

პაპინაშვილის გვერდით, სხვა ელმავალზე ნოდარ საურისა და ტიმოთე თედეევის ბრიგადა მუშაობდა. საურის ბრიგადა ახალგაზრდებისგან შედგებოდა. ზოგი ჯარიდან დაბრუნებული იყო, ზოგი სახელოსნო სასწავლებლიდან მოსული.

არც ბრიგადირი იყო ელმავლის მონტაჟზე დიდი ხნის ნამუშევარი. ვერ კითხულობდა რთულ ნახაზებს. ვერა და ვერ შეკრა, ვერ დარაზმა გამოუცდელი ბიჭებისაგან კოლექტივი. ჰოდა, ბრიგადა ჩამორჩა. ეს კი ხელს უშლიდა სექციის რიტმულ მუშაობას. რაკიღა ერთი სექციის ბრიგადა ჩამორჩებოდა, ელმავლის მეორე სექციის, ტიმოთე თედეევის ბრიგადის მუშაობაც ფერხდებოდა. ეს აყოვნებდა მთელი ელმავლის დამონტაჟებას.

სირცხვილით იწვოდა ნოდარ საური, რა ექნა არ იცოდა. თვალში ვერ უყურებდა არა მარტო თავისი ბრიგადის წევრებს, მთელ საამქროს. ვერ ვართმევ თავს ბრიგადას, ჩემს გამო ჩამორჩება საქმე, დროზე არ გამოვა ელმავალი, სახელს ვუტეხ ამხანაგებს, ქარხანას. გადაწყვიტა ბრიგადირობიდან თავი გაეთავისუფლებია. მაგრამ ეს არ იყო გამოსავალი.

ვასილ პაპინაშვილს მოსვენებას არ აძლევდა მეზობლის ამბავი — ნოდარ საურისა და მისი ბრიგადის ბედი, საამქროს, ქარხნის სახელი. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ვასილი ყოველნაირად ეხმარებოდა საურს, ხან რას ურჩევდა, ხან რას. შველოდა მონტაჟში, ნახაზების ამოკითხვაში, მაგრამ ეს არ კმაროდა, ამას პაპინაშვილი თვითონაც ხედავდა.

საურს სერიოზული დახმარება სჭირდებოდა.

## 2

ქარხანა ქართველი კონსტრუქტორების შექმნილ ახალ ელმავალ ტ 8-ის გამოშვებისთვის ემზადებოდა. მისი სიმძლავრე 25 პროცენტით აღემატებოდა სერიული წარმოების ელმავლებს, რვა ტონით ნაკლები სიმძიმე ჰქონდა, მეტი სიჩქარით გარბოდა.

„ყველა სიხარულს მოუცავს, ყველას უნდა ახალი ელმავლის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანოს. წინ დაძაბული, მძიმე შრომა გვიცდის. ამ დროს ნოდარ საურის ბრიგადა დაშლის კარამდეა მისული, — წუხდა ვასილ პაპინაშვილი, ეკლებზე იჯდა, გული საგულეს არა ჰქონდა. ყველაფერი, რაც კოლექტივის, ამხანაგების, ქარხნის ინტერესს შეეხებოდა, მისთვის ახლობელი იყო, მისი სისხლ-ხორცი, მისი პირადული იყო. — მოველაპარაკები ჩემს ბრიგადას. როგორ მოვიქცეთ, რით დავეხმაროთ“.

ვასილ პაპინაშვილმა ერთ დილით ყური მოჰკრა, როგორ უსაყვედურა ტიმოთე თედეევმა ნოდარ საურს, შენს გამო ჩვენც ჩამოვრჩითო. შესვენებისას სასადილოში ვასილ პაპინაშვილი ნოდარ საურის მაგიდას მიუჯდა. ბრიგადირი დაღონებული, შუბლშეკრული იჯდა. ხელუხლებელი კერძი გაციებული იყო.

— მოდი, ლუდი დავლიოთ, — შესთავაზა ვასილ პაპინაშვილმა საურს.

ნოდარმა თავი გაიქნია.

— იცი, — ლაიწყო პირდაპირ ვასილ პაპინაშვილმა, — მე და ჩემმა ბრიგადამ ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, ტიმოთე თედეევის სექციაში გადავიდეთ, თედეევი კი ჩემს სექციაში გადმოვა.

— ეს რატომ?! — გაუკვირდა ნოდარს. შორს დაიჭირა, — მე არ ვემდური ტიმოთე თედეევს.

— მე კი მემდური?! — გაუღიმა ვასილმა.

— რა შეიცვლება შენი გადმოსვლით? — ჰკითხა ნაღვლიანად ნოდარმა.

— ვნახოთ რა შეიცვლება, — მიუგო ვასილ პაპინაშვილმა. წამოდგა, დახლთან მივიდა, ორი ტოლჩა ლუდი ჩამოასხმევინა, ერთი ნოდარს დაუდგა: — დალიე, ცივია.

— იმაზე თუ იფიქრე, ვასილ, რომ ჩემს ელმავალზე გადმოსვლა შენი და შენი ბრიგადის ხელფასს შეამცირებს?

— ვიფიქრე, ნოდარ. — უთხრა ვასილ პაპინაშვილმა და ლუდით სავსე ტოლჩა მიუჯახუნა. ჩვენს ერთად მუშაობას გაუმარჯოს.

ნოდარ საური გაკვირვებული შეჰყურებდა პაპინაშვილის მხიარულ სახეს, მაგრამ ვასილისთვის არაფერი იყო ამაში გასაკვირველი, რომ ქარხნის ინტერესებისათვის, საქმის ინტერესებისათვის ტოვებდა თავის სექციას, სადაც ყველაფერი საათივით აწყობილი ჰქონდა, სადაც რიტმულად, შეწყობილად მუშაობდა ზაქრო მამულაშვილის ბრიგადასთან და ორივე სექციაში საქმე გაწალდული იყო, გადადიოდა სხვა სექციაში, სადაც ჩამორჩენილი ბრიგადის მეწყვილე უნდა გამხდარიყო, გაენაწილებინა მისი წარუმატებლობა, შეეფერხებინა თავისი ბრიგადის მუშაობა.

ვასილს კარგად ესმოდა, რომ ნოდარ საურის ბრიგადის ფეხზე დაყენება არც ისე ადვილი იყო. ამისათვის დიდი შრომა დაჭირდებოდა, მსხვერპლის გაღება დაჭირდებოდა. იცოდა, საამქროს ყველა ბრიგადა თვალს ადევნებდა. ეს აყურადებდა, ბიძგს აძლევდა, რწმენას განუმტკიცებდა, რომ თავის ჩანაფიქრს განახორციელებდა — ნოდარ საურის ბრიგადას მოწინავეთა ხაზზე გაიყვანდა.

პირველი ორი კვირა საურის ბრიგადის ყოველ წევრს აკვირდებოდა. ხელახლა განალაგა სამუშაო ადგილზე, ასწავლიდა, რომელი იარაღი როგორ ეხმარათ, რომ სწრაფად, უკეთ და მეტი გაეკეთებინათ. ყოველ მათგანს სამუშაოთა ნორმები დაუდგინა და ვინც არ შეასრულებდა, მიზეზს ირკვევდა, პასუხს სთხოვდა, სინდისზე აგდებდა, თქვენს გამო ჩემი ბრიგადის საქმეც ფერხდება, ჩვენ შემოგვყურებს მთელი საამქრო და ნუ გვარცხვენთო. თითოეულ მათგანს თავისი ბრიგადის წევრები მიუჩინა. გვიან საღამომდე რჩებოდა მათთან, აკეთებინებდა იმას, რაც ვერ მოასწრეს სამუშაო საათებში, ან უხარისხოდ გაკეთებულს ასწორებინებდა.

გამხნევდნენ ბიჭები, გული მოეცა ნოდარ საურსაც. დაინახეს, რომ მართლა შეუძლიათ ისე მუშაობა, როგორც ვასილ პაპინაშვილის ბრიგადის წევრები მუშაობდნენ. გრძნობდნენ, მალე ახსნიდნენ ბრიგადას ჩამორჩენის სამარცხვინო დაღს.

თანდათან იკლო წუნმა საურის ბრიგადაში, თანდათან მატულობდა გამომუშავების ნორმის პროცენტული შესრულება. თვიდან თვემდე იზრდებოდა ხელფასიც. ნოდარ საური სწრაფად ითვისებდა თავისი შეფის ოსტატობას.

დაიწყო ნახაზებში გარკვევა, მუშაობდა სწრაფად, შეუცდომლად, ზუსტად. ბრიგადის წევრებისაგან მეტს ითხოვდა, ითხოვდა ხარისხს, წუთს არ აცდენდა უქმად.

„ნოდარი ბევრ ბრიგადას მოიტოვებს უკან“, კმაყოფილებით ფიქრობდა ვასილ პაპინაშვილი, საურის ბრიგადის მუშაობას რომ უყურებდა, და, მართლაც, რვა თვის შემდეგ საურის ბრიგადამ გეგმა ასორმოცი პროცენტით შეასრულა.

ნოდარ საური ამ დიდ წარმატებამდე ვასილ პაპინაშვილმა მიიყვანა, რომლის სული თავისუფალია ინდივიდუალიზმისა და ანგარებისაგან, გამსჭვალულია კოლექტივიზმის გრძნობით და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით. ეს დიდი გრძნობა ამოძრავებდა მის ამხანაგებს, მთელ ქარხანას, რომლის უზარმაზარი კოლექტივი უმთავრესად ახალგაზრდებისაგან შედგება. ახალგაზრდობის დაუდეგარი სული ახლის ძიებაშია, ამიტომ არის, რომ აქ მუშისა და ინჟინრის აზრი და გონება იქითაა მიმართული, რომ ახალი ცვლილებები შეიტანონ ელმავლის კონსტრუქციაში, რათა იმატოს მისმა სიმძლავრემ, სიჩქარემ, იკლოს წონმა და თვითღირებულებამ.

აქ არა მარტო სამუშაო საათებში ფიქრობენ ელმავალზე. ვასილ პაპინაშვილი სანატორიუმში მკურნალობის დროსაც ფიქრობდა ელმავალზე, რატომ არის მისი მართვის წრედის მილგაყვანილობა გრძელი, რატომ არ ვამცირებთ მის დიამეტრს? მილის რამდენ ეკონომიას გავწევთ მისი შემოკლებით, შემცირდება სამუშაო დრო, თვითღირებულებაც.

სანატორიუმიდან დაბრუნების მეორე დღესვე მიაშურა მთავარ საკონსტრუქტოროს. კონსტრუქტორებმა სიხარულით მიიღეს მისი წინადადება. რატომ ჩვენ ვერ ვიფიქრეთ ამაზეო, უკვირდათ მათ.

ვასილ პაპინაშვილს არ დაუმთავრებია ტექნიკუმი, არც ინსტიტუტი, არც კურსები, მაგრამ ისე კარგად ფლობს თავის საქმეს, ხშირად ინჟინრებიც კი მიდიან მასთან რჩევისათვის.

ვასილ პაპინაშვილი არა ერთი რაციონალიზაციის მოთავეა. მან გააკეთა სპილენძის მილის ბოლოების ვალცვის პნევმატური ხელსაწყო. მანამდე ეს ხელით, კუსტარულად კეთდებოდა. მანვე გააკეთა კონუსური კუთხეების გამოსაცდელი სტენდი.

3

ერთხელ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ქარხნის პარტორგანიზაციის მდივნის, სარიშვილის ოთახში კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები შევიდნენ. ამდენი ბრიგადირი ერთად რომ დაინახა, პარტორგანიზაციის მდივანს გაუხარდა. ეტყობათ, რაღაც კარგი განზრახვით, კარგი წინადადებით მოვიდნენო, გაიფიქრა.

— რამ შეგყარათ, მეგობრებო, ყველა ერთად? — მიეგება მოსულებს სარიშვილი. სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— ერთმა საქმემ, — მიუგო გლებ მოისეევმა, — აი, ჩვენ კომუნისტურად ვმუშაობთ...

— კარგად, დიდებულად მუშაობთ.

— ქარხანაში, მაგრამ რას ვაკეთებთ შინ, ქარხნის გარეთ? — დაიწყო ვასილ პაპინაშვილმა, — ვცხოვრობთ თუ არა ასევე კომუნისტურად?

— კარგ საკითხს აყენებთ, — დაინტერესდა პარტორგანიზაციის მდივანი, — დაჯექით!

— ზოგი ჩვენგანი ხანდახან ზომაზე მეტს სვამს, — თქვა მარიუგინმა.

— დისციპლინას არღვევს.

— ზოგი უწმაწურ სიტყვებს ისვრის დაუფიქრებლად.

— უზრდელებიც გვყავს ქარხანაში.

— ამას ჩვენი ბრიგადების წევრები არ ჩადიან, მაგრამ თუ შენი ქარხნის მუშა ჩადის, შენი მეზობელი ჩადის?

— არ ვეხმარებით ასეთებს.

— არ ვარიგებთ.

— არ ვუფრთხილდებით ქარხნის სახელს.

— არ ვცხოვრობთ ერთმანეთის ტკივილითა და სიხარულით.

— ცოტას ვკითხულობთ, ცოტას ვსწავლობთ.

— ჩვენ ვაყენებთ კომუნისტურად ცხოვრების საკითხს. — დაამთავრა ვასილ პაპინაშვილმა.

ამ საკითხის განსახილველად პარტიულმა ორგანიზაციამ კრება ჯერ ქარხანაში მოიწვია, მერე ქარხნის დაბაში, იმ სახლის ეზოში, სადაც ვასილ პაპინაშვილი ცხოვრობს.

კომუნისტების იდეა არა მარტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, დაბის ყველა მცხოვრებს მოეწონა.

კრებაზე მრავალი წინადადება წამოაყენეს. აი მათი ერთი ნაწილი:

— რატომ რამდენიმე სახლის მცხოვრები ერთად არ აღვნიშნავთ დღესასწაულებს?

— კვირაობით ქალაქგარეთ ერთად რატომ არ გავდივართ?

— რატომ არ ვებრძვით ლოთობას?

— ქორიკანობას?

— რატომ არ ვეხმარებით ერთმანეთს გაჭირვებაში?

— შევადგინოთ სახალხო რაზმები!

— შევქმნათ ამხანაგური სასამართლოები!

— დავიცვათ სისუფთავე!

— გავამწვანოთ ჩვენი უბანი!..

გულდასმით რომ დაემუშავებინათ მოქმედების გეგმა, დაბის მცხოვრებთ მოწოდებით მიმართეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ ფრიად საჭირო საქმეში. დაადგინეს მუშაობის ორგანიზაციის ფორმა. გადაწყვიტეს შეექმნათ კომუნისტური ყოფის მებრძოლი შტაბი...

თბილისში დღემდე არ ვაშენებდით სამგზავრო ელმავლებს, არც ნოვოჩერკასკში აშენებდნენ, არც სხვა რესპუბლიკების ქალაქებში. ქართველი კონსტრუქტორები გახდნენ ამ საქმის მესვეურები. მათ პირველად შექმნეს ოთხღერძიანი, ცვალებადი დენის ძლიერი სამგზავრო ელმავალი ტ 40, რომლის სიჩქარე 160 კილომეტრს აღწევს.

ქარხნის კოლექტივი სულ ახლის ძიებაშია, რათა უფრო მეტი სრულყოფილი ელმავალი გამოუშვას. ამავე დროს, წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებას. ქარხანამ 1961 წელთან შედარებით 1962 წელს 35 ელმავლით მეტი გამოუშვა.

ასე იღვწოდნენ და ცხოვრობდნენ ქართველი ელმავალმშენებლები...

### 4

ახლახან გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე ორი სოციალისტური შრომის გმირის ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი. ქალისა და კაცის. სურათებს ზევით დიდი ასოებით ეწერა: „შრომის გმირების სიტყვა — საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს“. ორივენი ჩემი ძველი მეგობრები იყვნენ. ერთი ქართველ მეჩაიე ახალგაზრდობის დედა — თამარ ყუფუნია, მეორე ქართველ ელმავალმშენებელ ახალგაზრდობის მამა — ვასილ პაპინაშვილი.

თამარ ყუფუნიაზე რამდენიმე ნარკვევი მაქვს დაწერილი, ვასილ პაპინაშვილზე — ერთი. მათი სურათის დანახვამ კვლავ ამაღებინა ხელში კალამი. სურათების გვერდით, რუბრიკით „ახალგაზრდობა — ხუთწლედს!“ — გამოქვეყნებული იყო ამ ორი სახელოვანი ადამიანის მოწოდება — ვიბრძოლოთ სტახანოველის წოდების მოსაპოვებლადო.

ისინი უხმობდნენ ახალგაზრდობას ემუშავათ, ემოღვაწათ, ეცხოვრათ ისე, როგორც მუშაობდა, იღვწოდა და ცხოვრობდა ჩვენი დიდი ხუთწლედების ლეგენდარული გმირი, შრომის დიდოსტატი ალექსეი სტახანოვი.

თამარ ყუფუნიას და ვასილ პაპინაშვილის ამ ერთნაირ სწრაფვაში, მათ პირადულ სურვილში, საერთო საზოგადოებრივთან ერთად, არის რაღაც სიმბოლურიც. ორივე ახალგაზრდობის აღმზრდელია, ორივე თავის დროზე ჩამორჩენილი ბრიგადების მოწინავეთა რიგებში გამყვანია, ორივე შრომის ადა-

მიანია, ერთი — მიწის მუშა, მეორე — დაზგის მუშა, ორივე შრომის გმირია.

ისინი სხვადასხვა ხასიათის ადამიანები არიან, მაგრამ საქმით, მოღვაწეობით ძალიან გვანან ერთმანეთს. მათ ხალხის სიყვარული ამოქმედებთ, მათი სიცოცხლის აზრი ქვეყნის სამსახურია, ისინი თავისი ქვეყნის პატრიოტები არიან და ეს გრძნობა აღძრავს მათ ახალი სასახელო საქმეებისათვის.

არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გავიხსენო (და მერამდენედ!) დიდი ილიას სიტყვები: „ქვეყანა იმისაა, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნალვაწს. დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენათი... ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია, და ისევე თავ-მოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო, ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრად წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე“.

რა შეიძლება დავუმატოთ ილია ჭავჭავაძის ამ საოცარ სიტყვებს, გარდა იმისა, რომ შრომა დღეს კიდევ უფრო დაფასდა, რომ შრომა არის ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება, რომ შრომა არის ადამიანის შინაგანი მისწრაფება, ძლიერებისა და კულტურის, სიხარულისა და ბედნიერების, სიკეთისა და სიყვარულის წყარო. დიდება შრომას! ასე ვფიქრობთ, ასე ვამბობთ, ასე ვწერთ, ასე ვკითხულობთ პრესაში, პლაკატზე, ტრანსპარანტზე, სახლისა და სასახლის კედლებზე, ქალაქებში და სოფლებში, ქუჩებში და გზებზე. „ვაჟკაც გულადზე მშრომელი, სამის გაფრენით მეტია“, უთქვამს ხალხს. ამ სიბრძნეს საუკუნეობით ინახავდა ხალხი, ამ სიბრძნით მოქმედებდა და ცხოვრობდა, შრომობდა და ილვწოდა ხალხი, არ ისვენებდა მისი გონება, მისი მარჯვენა, დიდი და ნათელი შემოქმედებითი შრომით აღნიშნა ქართველმა ხალხმა მეცხრე ხუთწლედი — განსაკუთრებული თავდადებით ილვწის იგი ბოლო ორი წლის მანძილზე, როცა სულ მოკლე დროში დასძლია მან ადრინდელი წლების ჩამორჩენა და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ქართველი მუშისა და კოლმეურნის მარჯვენა მართლაც სასწაულებს ახდენს.

შარშანდელი წელიწადი დიდი წელიწადი იყო ქართველი ხალხისთვის. 1974 წელი ნათელი მაჩვენებელია ჩვენი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდისა, მოხმარებისა და დაგროვებისათვის განკუთვნილი ეროვნული შემოსავალი ამ წლის მანძილზე 458 მილიონი მანეთით გადიდდა. გასულ წელიწადს ხორციელდებოდა ღონისძიებები, რომელთაც მკვეთრად უზრუნველჰყვეს ხალხის შემდგომი მატერიალური კეთილდღეობა, გაზარდეს მისი დოვლათი. ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში რეალური შემოსავალი 4,5 პროცენტით გადიდდა, ხოლო მუშა-მოსამსახურის საშუალო თვიურმა ხელფასმა 115,6 მანეთი შეადგინა 1973 წლის 113,5 მანეთთან შედარებით, ხელფასი საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებისა და შეღავათების დამატებით 158,5 მანეთიდან 160,6 მანეთამდე გადიდდა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხუთი პროცენტით გაიზარდა.

შარშან სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის სახსრებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 29 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 1.826 ათასი კვადრატული მეტრია. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 158 ათასმა კაცმა. განა მარტო ეს ციფრები და მაგალითებია ამ ორი წლის წარმატებების მაჩვენებელი!

განა იმ გასული წლების წარუმატებლობის და ჩამორჩენის შემდეგ, ეს მიღწევები ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავ-

რობის, მთელი ჩვენი ხალხის თავდადებული შრომის და ზრუნვის ნათელი მაჩვენებელი არ არის!

ერთ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 29 ათასი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლიო, ვთქვით ზემოთ. მოვიგონოთ წინა წლებიც, გონების თვალით შევხედოთ წლევანდელ და მომავალ წლებს. მოვიგონოთ რარიგ გვეამაყებოდა მთელ თბილისში ერთადერთი თერთმეტსართულიანი სახლი გმირთა მოედანზე! ახლა რამდენია თბილისში თერთმეტსართულიანზე უფრო მაღალი და დიდი სახლი. ან რამდენი მასივი, დასახლება, უბანი, კვარტალი, პროსპექტია!

ჩვენ ვთქვით, შარშან მუშა-მოსამსახურის თვიური ხელფასი 158,5 მანეთიდან 160,6 მანეთამდე გადიდდაო. ვასილ პაპინაშვილის ხელფასი კი საშუალოდ 300 მანეთია. ასევე დიდია ქარხნის ყველა მოწინავე მუშის ხელფასი.

ახლახან გამოქვეყნებულმა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობამ კიდევ უფრო გამიცხოველა ვასილ პაპინაშვილის და მისი ქარხნის ნახვის სურვილი.

ქარხნის წინ „მოსკვიჩების“, „ჟიგულების“ და „ზაპოროჟეცების“ ტევა არ იყო. ვიფიქრე, ალბათ ქარხანაში კონფერენცია ან დიდი თათბირია-მეთქი, მაგრამ ვარაუდი არ გამიმართლდა.

არც კონფერენცია იყო და არც თათბირი.

რამდენიმე წლის წინათ აქ ორ-სამ მანქანას თუ ნახავდით. ახლა იმდენ მანქანას უშვებს ჩვენი საავტომობილო ქარხნები, არ გვიკვირს ბევრი მანქანა რომ დგას სამინისტროების, დაწესებულებების და ქარხნების წინ, ვიფიქრე ისევ, მაგრამ არც ეს ვარაუდი გამიმართლდა.

გასაკვირი ის კი არ იყო, რომ ბევრი მანქანა იდგა ქარხნის წინ, გასაკვირი ის იყო, ვის ეკუთვნოდა ეს მანქანები? თურმე ყველა მანქანა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა იყო. გამიხარდა. კარგად მახსოვს ის დრო, ნაძალადეველ და ავჭალელ მუშას ტრამვაის ფული რომ არ ჰქონდა და ფეხით მიდიოდა ქარხანაში.

დღეს კი მანქანის საყიდელი ფული აქვს და მანქანით მიდის.

თითქოს ქარხანაში მისვლამდე ბევრი მოულოდნელობისა და სიახლისათვის შემზადებული ვიყავი, თუნდაც მარტო იმით, რაც საბჭოს ქუჩიდან მოყოლებული, გზად მანქანით ვნახე. ნაძალადევის და ავჭალის ტალახიანი და მტვრიანი შუკების და ქოხმახების ადგილზე მაღლივი, მრავალბინიანი სახლები მომრავლებულიყო, ჩამწკრივებულიყო უფრო დიდი სასურსათო, საგალანტერეო, ქსოვილების, ფეხსაცმლის, გასტრონომიული, ავეჯის, რკინეულობის, საფუნთუშე, ხორცის, ხილ-ბოსტნის მაღაზიები, ფარდულები, აფთიაქები და კლინიკები, ფაბრიკები და სახელოსნოები, კლუბები და კინოთეატრები, იდგა მეტროპოლიტენის სადგური, მიმოჰქროდნენ „იკარუსის“ და სხვა მარკის კომფორტაბელური ავტობუსები, ტროლეიბუსები. მსუბუქ მანქანებს ნუღარ იკითხავთ — მთელი გრძელი გზა გაჭედილი იყო ნაირფერი, დიდი და პატარა ავტომობილებით, მოტოროლერებითა და მოტოციკლებით.

დღეს არა მარტო ამ რაიონში, თბილისის ყველა რაიონში, ყველგან და ყველაფერში რეალურად, ნათლად ჩანს პარტიის XXIV ყრილობის მიერ გამომუშავებული სოციალ-ეკონომიური პროგრამის დიდი და მადლიანი ნაყოფი...

ქარხნის კართან ახლა უკვე ჭარმაგი, დინჯი, მკვრივად ჩასხმული ვასილ პა-

პინაშვილი შემეგება. ჭარმაგი ერთი შეხედვით, მაგრამ თვალებში ისევ ის ჭაბუკური ცეცხლი ენთო, სახეზე ისევ ის ჭაბუკური, კეთილი ღიმილი ეფინა.

ვინა თქვა შრომა ტეხსო ადამიანს?! შრომა ჯანს მატებს ადამიანს, სიცოცხლეს მატებს. ჯან-ღონით და ენერგიით სავსე იყო ვასილ პაპინაშვილი.

ქარხნის ვრცელ ეზოში შევედით თუ არა, თვალი ხელმარცხნივ გამექცა. რა არის ეს?! მოწინავე ადამიანთა სტენდი? საპატიო დაფა? ასი ნაბიჯის სიგრძეზე, ქვევიდან ზევით, მაღალ კედელზე (და არა დაფაზე) მრავალ წყებად გაკრული იყო მოზრდილი ზომის ფოტოპორტრეტები, ქალისა და კაცის, ხანდაზმულისა და ახალგაზრდის. ყველას მკერდს უმშვენებდა სხვადასხვა ორდენები და მედლები.

ფოტოპორტრეტები ვასილ პაპინაშვილის სურათით იწყებოდა. ის ედგა თავში იმ ქალებსა და კაცებს, იმ ხანდაზმულებსა და ახალგაზრდებს, როგორც სარდალი, როგორც მამა. მის მკერდზე სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი ბრწყინავდა.

— რა არის ეს?! — გულმა ვერ მოითმინა და ხმამაღლა გავიმეორე.

— გალერეა. — მიპასუხა პაპინაშვილმა.

— გალერეა?!

— დიახ. — თავი დამიქნია პაპინაშვილმა. — იმ ადამიანთა გალერეა, ვის ნამუშევარსაც ტექნიკური კონტროლი არ ჭირდება.

პაპინაშვილმა შემატყო, რომ კარგად ვერ გავიგე, რასაც მეუბნებოდა და თბილად გაიღიმა, თავისი ქარხნის, თავისი ამხანაგების შრომით, საქმით გაამაყებულმა. ეს იყო შინაგანი, ფარული, ლამაზი, თავმდაბალი სიამაყე.

— ელმავლის ნაწილებს, დეტალებს, ამ მუშების ხელითა და გონებით გაკეთებულს, შემოწმება არ სჭირდება, კონტროლი არ სჭირდება, იმდენად მაღალხარისხოვანია მათი ნახელავი. ყველა ამ მუშას, ბრიგადირს, თავისი დამღა აქვს, თავისი ნიშანი აქვს და იმ დამღას აჭდევს საკუთარი ხელით გაკეთებულ ელმავლის ნაწილს თუ დეტალს, ეს დამღა არის მისი ხარისხის აღმნიშვნელი.

— ამდენი მუშა მუშაობს ტექნიკური კონტროლის გარეშე? ხარისხის ნიშნით?

— უფრო მეტი მუშაობს, მომიგო ვასილ პაპინაშვილმა, — სხვებისათვის ამ გრძელ და მაღალ კედელზე ადგილი აღარ გვეყო.

— ასეთი ადამიანებისთვის ადგილი არ გეყოთ?!

— ბევრია ქარხანაში ასეთი ადამიანი, — შუქიანი თვალებით შემომხედა ვასილ პაპინაშვილმა, — მალე მთელი ქარხნის მუშები ასე იმუშავებენ.

— მეხუმრები, ვასილ?! — შორს დავიჭირე, — „მალე მთელი ქარხნის მუშები ასე იმუშავებენ". ოთხი ათასი კაცი ერთ ქარხანაში ხარისხის ნიშნით იმუშავებს?!

— ჩვენს საქმეში არ ხუმრობენ, ბატონო გრიგოლ!

ვაკვირდებოდი სურათებს. ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები... ყველა ისინი ისეთი ახლობლები, ჩვენებურები მეჩვენა, რომ სათითაოდ მინდოდა მეთქვა მათთვის რაღაც თბილი, კარგი. ყველა ისინი ერთ საერთო საქმეს აკეთებდნენ — ქართულ ელმავალს ჰქდნენ.

„მეცხრე ხუთწლედის დამკვრელები და მოწინავე კოლექტივები, შრომითი დიდების მაგალითებს გვიჩვენებენ, — ხაზგასმით არის აღნიშნული სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, — ისინი არიან ჩვენი ხალხის დიდება და სიამაყე და სრულიად სამართლიანად სარგებლობენ ჩვენი ხალხის პატივისცემით". განა ამაზე თბილი, კარგი შემეძლო მეთქვა ამ გალერეაში ჩამწკრივებულ დამკვრელ და მოწინავე ადამიანებზე, ჩვენი ხალხის საამაყო შვილებზე!

სამქროში ლიანდაგზე სხვა შარგის

ელმავლები იდგა, სხვანაირი ფორმის, სხვანაირი სახის.

— ეკ-14-ია, — მითხრა პაპინაშვილმა. — წინა წლებში ეკ-13-ს ვუშვებდით. ეს ელმავალი უფრო მარტივია, მონტაჟისთვისაც უფრო იოლია. ჩვენი ეკ-13-ი კი დიდი ხანია მოძმე რესპუბლიკების მაგისტრალურ გზებზე მუშაობს, ამას გარდა, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, თურქეთში, ინდოეთში, არაბეთში...

საამქროში მძლავრი ვენტილატორის გამაყრუებელი გუგუნი, რკინის ღრჭიალი, წკარუნი, ჩაქუჩების ზათქი იდგა. მთელი შენობა ზანზარებდა. ამ ყურთწამღებ დგრიალში მე და ვასილ პაპინაშვილი ხმამაღლა ვლაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ მაინც კარგად ვერ ვაგონებდით ნათქვამს.

— ამ ელმავლებში, რომელს ამონტაჟებთ, ვასილ?

— არც ერთს.

— როგორ?!

— ელმავლის მონტაჟზე აღარ ვმუშაობ.

— აბა რაზე მუშაობთ?!

— ელმავლის ნაწილებს ვამზადებ,— მითხრა პაპინაშვილმა და თავის საამქროსკენ გამიძღვა.

ქარხანას არ ჰყოფნიდა კვალიფიციური ზეინკლები. ვასილთან ერთად ოცდამეერთე საამქროში გადმოვიდნენ ელმავლის სექციებზე მომუშავე სხვა ზეინკლებიც და შედგა ერთი ბრიგადა. ამ ბრიგადამ დაამზადა ის ნაკადური ხაზი, რომელიც ელმავლის ძარებს აადგილებს.

ამწყობი საამქრო ქარხანაში მთავარი საამქრო, აქ იყრის თავს ყველა კარგი და ცუდი; და თუ იგი არ იქნა აღჭურვილი ახალი დანადგარებით, თუ არ აღიჭურვა ახალი ტექნიკით, ვერ მიაღწევ წარმატებას.

მთავარი მაინც ადამიანის ხელი და გონებაა. რამდენი რაციონალიზატორული სიახლე შეაქვს პაპინაშვილს ამ ახალ ტექნიკაში და ვასილთან ერთად იმათაც, ვინც მხარში უდგას ამ დიდოსტატს. აი ისინი: გურამ ჩადუნელი, ირაკლი გელაშვილი, ვახტანგ მაცაბერიძე, ანზორ გიორგაძე... მათ მუშაობაში ბევრი მოწინავე მეთოდი და სიახლე დაინერგა, მათმა შრომამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ვასილ პაპინაშვილს და მის ამხანაგებს არაერთი მიმდევარი, მიმბაძველი გამოუჩნდა, გააკეთებინა მათ იმდენი, რამდენსაც ადრე ვერ აკეთებდნენ.

გივი გვრიტიშვილი ვასილ პაპინაშვილის ბრიგადაში რიგით ზეინკლად მუშაობდა. ვასილის დახმარებით დღეს იგი თვითონაც მოწინავე ბრიგადირია.

განა მარტო ქარხნის ახალგაზრდობა დააყენა ფართო გზაზე ვასილმა. ერთხელ მასთან შავებში ჩაცმული მოხუცი კოლმეურნე ქალი მივიდა. მეუღლე ფრონტზე დაღუპვია, თვითონ შრომაში გაბმულს, შეღერებული ბიჭისთვის იმდენი ყურადღება ვერ მიუდევნებია და ბიჭი ცუდ წრეს ჩაუთრევია, დანაშაული ჩაუდენია. სასამართლოს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსჯია ახალგაზრდა გრიგოლ გორგაძისათვის.

დედამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ვასილ პაპინაშვილს სთხოვა ეშუამდგომლა სასჯელი შეემსუბუქებიათ უმამობით, უპატრონობით გზიდან აცდენილი შვილისთვის.

დედის თხოვნა შეიწყნარეს, ანგარიში გაუწიეს იმას, თუ რამ მიიყვანა იმ ცუდ წრემდე გრიგოლ გორგაძე და სასჯელი გაუნახევრეს.

განთავისუფლების შემდეგ გრიგოლმა თავის მხსნელს, ვასილ პაპინაშვილს მიაშურა. ვასილმა შვილივით მიიღო. მალე ისეთი ფხა გამოიჩინა ობოლმა ბიჭმა, ყველა გააოცა ქარხანაში.

თბილისში ბინა არა ჰქონდა, სოფელ ხანდაკიდან ჩამოდიოდა ყოველ დილით და გვიან საღამოს ბრუნდებოდა სოფელში. იგი ავტომუხრუჭების ზეინკალი იყო. ვასილ პაპინაშვილთან ერთად გრიგოლს ტრისტან ტატიშვილი, გივი გვრიტიშვილი, კუკური ჯიშიაშვილი

და ვასილის ძმა — გივი პაპინაშვილიც ეხმარებოდნენ და აი, ბედისგან განწირულ ბიჭს ბრიგადა ჩააბარეს. არ შეარცხვინა გრიგოლმა ომში დაცემული მამის ნათელი სახელი, ასახელა თავისი მეორე მამა — ვასილ პაპინაშვილი, ასახელა თავისი ბრიგადა და მთელი ქარხანა.

ვასილ პაპინაშვილი რომ არ ყოფილიყო, რომ არ ჰქონოდა მას დიდი გული, რომლისთვისაც სხვისი მწუხარება, სხვისი ტკივილი თავისი ტკივილიცაა, ვინ იცის გრიგოლ გორგაძე როგორ დაასრულებდა თავის უკუღმართად შებრუნებულ სიცოცხლეს!

...ვასილ პაპინაშვილის სიყვარულით სავსე გულმა თამარ ყუფუნიას დედობრივი გული გამახსენა.

1950 წელს ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა შეუერთდა. იგი რაიონში ყველაზე ჩამორჩენილი მეურნეობა იყო. მისი ბრიგადები ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადებში განაწილდნენ, მაგრამ შემოერთებული კოლმეურნეობის ერთი ბრიგადა არავინ გაიკარა.

ამ ბრიგადაში შამახიები მუშაობდნენ, მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას. მათი პლანტაცია გადაშენების კარამდე იყო მისული. ჰექტარზე ორ ტონა ჩაის ფოთოლს ძლივს კრეფდნენ. რომელი ბრიგადა შეიკედლებდა ასეთ ადამიანებს! სახელის გატეხვისა და საქმის წახდენის მეტს რას მოუტანდნენ. საქმე კი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადებს ისე ჰქონდათ აწყობილი, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

არავის მიჰქონდა გულთან შამახიების ბედი. მხოლოდ თამარ ყუფუნიას გულმა შეივრდომა ეს ადამიანები!

გაოცდნენ თამარის ბრიგადის წევრები: ვის უწვდი ხელს, უქნარებს და ზარმაცებსო?!

გაოცდა თამარის ქმარ-შვილიც. კადელივით აღუდგა ყველა თამარის გადაწყვეტილებას — თავის ბრიგადაში მიიღო შამახიები, იმ ბრიგადაში, რომელშიაც თორმეტი სოციალისტური შრომის გმირი იყო, რომლის სახელს მთელი საქართველო იცნობდა და ადიდებდა, იმ ბრიგადაში, რომლის შრომადღის ღირებულება, კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებთან შედარებით, ბევრად მაღალი იყო, იმ ბრიგადაში, რომელიც გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა, რომლის ერთი წევრი იმდენ ჩაის ფოთოლს კრეფდა, რამდენსაც ზოგი კოლმეურნეობის მთელი ბრიგადა ვერ მოკრეფდა.

შრომას მიუჩვეველ შამახიებს ადვილად ვერ დაიყოლიებდი, სახელს გაუტეხდნენ თამარის ბრიგადას, გეგმას ჩაუშლიდნენ, ვერ შეასრულებდა ბრიგადა ნაკისრ ვალდებულებას, დაეცემოდა შრომადღის ღირებულება. ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. არა, არ ეშინოდა თამარს, რომ მის ბრიგადას ზნე შეეცვლებოდა. თამარი თვითონ შამახიებს შეუცვლიდა ზნეს. ამიტომ გადაწყვიტა მათი ბრიგადის შემოერთება, გადაწყვიტა და მტკიცედ დადგა თავის სიტყვაზე.

ვერც ბრიგადის წევრების კატეგორიულმა მოთხოვნამ შეაცვლევინა აზრი და ვერც მეუღლემ, პიმენ ყუფუნიამ, მხოლოდ შვილმა — ბონდომ აუბა მხარი დედას.

— თუ შამახიებს შემოგვიერთებ, ბრიგადიდან წავალთო, უთხრეს თამარს ბრიგადის წევრებმა, — ჩვენს სახელს ტალახში ვერ ამოვსვრით, ჩვენს ბავშვებს ლუკმას ვერ დავაკლებთო.

პიმენ ყუფუნიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. შამახიების გამოსწორებას არაფერი არ ეშველებაო, უთხრა თამარს.

— ცუდად ცხოვრობენ, პიმენ.

— კისერიც უტეხიათ. ცხოვრობენ და ისევ ისე იცხოვრონ. — ცოფს ჰყრიდა პიმენი, — იქნებ დაგავიწყდა, რა პირობა დადე, მეორე ვარსკვლავს რომ [illegible]?

— არა, არ დამვიწყებია, პიმენ, — ისევ მორჩილად, მშვიდად უთხრა თამარმა ქმარს, — ის მეორე ვარსკვლავი მავალებს სწორედ შამახიებს მივეხმარო. სინდის-ნამუსი მავალებს. მათი ბავშვების ცოდვა მავალებს, პიმენ, კაცთმოყვარეობის ინტერესი მავალებს!

თამარ ყუფუნიამ ეს იმ რწმენით გააკეთა, რომ თუ დღეს მისი ბრიგადა ერთი ნაბიჯით უკან დაიწევდა, ხვალ ორი ნაბიჯით წაიწევდა წინ.

არც ისეთ იოლ საქმეს წარმოადგენდა ამ ორი ნაბიჯით წინ წაწევა — არ იყო ადვილი შამახიების გამოსწორება, სწორ გზაზე დაყენება, მათი პლანტაციების მკვდრეთით აღდგენა.

შამახიები თამარის ბრიგადაში შესვლის შემდეგაც არ იდგამდნენ წელებზე ფეხს, დადიოდნენ ბაზარში, სხვისი მიცვალებულის სატირლად, რომ ქელეხზე ეჭამათ, ესვათ, დადიოდნენ კარდაკარ დღიურ სამუშაოზე...

— ხომ გეუბნებოდით, — უსაყვედურებდნენ თამარს თავისი ბრიგადის წევრები. — არა, თამარ, ანწლი ყურძენს ვერ მოისხამს.

თამარმა იცოდა, რომ ერთი დარიგებითა და მაგალითით, მოფერებით თუ საყვედურით შამახიები ვერ შეიცვლიდნენ ზნეს.

ერთხელ თამარი ბარნაბა შამახიას შინ მიადგა.

წვიმდა. ცა ფეხად ჩამოდიოდა.

ბარნაბას ჯარგვალში წვიმა ისე ატანდა, როგორც წყალი საცერში. სოხანეზე კოჭამდე ტალახი იდგა. მასპინძელმა დასაჯდომად სტუმარს მშრალი ადგილი ვერ მოუძებნა.

— ასე უნდა ვიდგე ფეხზე?! — დაცინვით ჰკითხა თამარმა ბარნაბას.

— რა ვქნა, თამარ! — წაილუღლუღა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მასპინძელმა.

— რა ქნა და, მიწა რომ გაგისკდეს და შიგ ჩაგიტანოს, ისა სჯობია ამ სირცხვილს, — ტირილით უთხრა ცოლმა ბარნაბას.

— მიწის გასკდომა კი არა, ხელის განძრევაა საჭირო, — თავშეკავებული სიბრალულით უთხრა ცოლ-ქმარს თამარმა, — კარგი, ჩემი არ გრცხვენიათ, მეზობელი ვარ, თქვენიანი, მაგრამ ქვეყანას როგორ უყურებთ თვალში!.. ეს ბავშვები მაინც არ გეცოდებათ?!

წვიმით გაწუწული, ნახევრად შიშველი ბავშვები ჯარგვალის ერთ კუთხეში მიყუყულიყვნენ, მეორე კუთხეში თხა და ძროხა ება.

— ჩემი ბრიგადის წევრები სამოთახიან ოდებში ცხოვრობენ, თქვენ კი პირუტყვთან გძინავთ. რამდენი ხართ შამახიებში ასეთი უსახლკარო? — ჰკითხა თამარმა ბარნაბას.

— ექვსი კომლი.

— თქვენი ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის შენობა განთავისუფლდა. ანთიმოზ როგავა გაყიდვას უპირებს, იყიდეთ. სწორედ ექვსი ოთახია. თითო ოთახში თითო ოჯახი ჩასახლდით.

ბარნაბამ გაოცებით შეხედა თამარს, დამცინისო, იფიქრა.

— რომელი ფულით? — ჰკითხა გაოცებით.

— „რომელი ფულით?“ — გაიმეორა თამარმა, — ფულს უფალი ჩამოგიგდებს ციდან. რომელი ფულით და ხვალ რომ გამოიმუშავებ შრომადღეზე, იმ ფულით. ანთიმოზს მოველაპარაკები. ფულს მერე გადაიხდით. რას გაჩუმებულხართ?! — ჰკითხა მკაცრად.

— ანთიმოზი დაგვთანხმდება? — ცრემლით სავსე თვალებით შეხედა თამარს ბარნაბას ცოლმა. — ოღონდ ამ ჩემი საწყალი ბავშვების საცოდაობას გადამარჩინე, თამარ და ვიმუშავებთ კი არა, შეუძლებელს შევიძლებთ...

შამახიები სინდისში ჩავარდნენ. განსაკუთრებით ქალები. თამარს რომ ამდენი შეუძლია სხვისთვის და თავისთვის, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრებაო, თქვეს, თვითონაც ამოუდგნენ თამარის ბრიგადის წევრებს მხარში და ქმრებსა და შვილებსაც თოხისა და ბარისთვის ხელი მოაკიდებინეს.

— არიქათ, პირობა არ გამიტეხოთ,

თავი არ მომჭრათ! — აქეზებდა მათ თამარი, — გაიგეთ, შეიგნეთ, ტოლმა ტოლს ადრე ადგომით აჯობაო. ეს ანდაზა ჩემი მოგონილი არ არის. თქვენ რომ გეძინათ, ყუფუნიები, სახოკიები, როგავები და რევიები პლანტაციებში, ყანებში და ვენახებში დღე და ღამეს ასწორებდნენ.

შამახიებმა არ გატეხეს პირობა, იმ წელიწადს ისე კარგად იმუშავეს, რომ ექვსივე ოჯახმა გადაიხადა ბინის ფული. ამ წარმატებით წახალისებულები კიდევ უფრო დაფიქრდნენ, დაინახეს რა შეუძლია შრომას. აღარ აწვიმდათ, აღარ ათოვდათ, აღარ შიოდათ. ჩაიცვეს, დაიხურეს... მეორე წელიწადს კიდევ უფრო მოინდომეს და მეტი გააკეთეს, სახელი და ქონება რომ შრომას მოაქვს, ეს მალე შეიგნეს.

აი, რა გააკეთა თამარ ყუფუნიას თბილმა გულმა. როგორ ჰგავს მისი გული ვასილ პაპინაშვილის გულს!

რახან თამარ ყუფუნიაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, მისი დიდი გულის კიდევ ერთი ამბავი უნდა მოგითხროთ.

დამთავრდა სამამულო ომი. თამარის ბრიგადიდან წასული ხალხის მესამედი ვერ დაბრუნდა. ისინი გმირულად დაეცნენ სამამულო ომის ფრონტებზე.

დაბრუნებულთა შორის ერთი პირველთაგანი თამარის ყოფილი ბრიგადირი იონა ყუფუნია იყო. იგი დღისით ჩამოვიდა, მთელი სოფელი პლანტაციებში, ყანებში, ვენახებსა და ბაღებში იყო გაკრეფილი. თემშარაზე მოდიოდა ნაომარი, თოფის წამლით, ცეცხლითა და მზით სახეშერუჯული ჯარისკაცი. შედგა ერთი ოდის წინ. აივანზე შავი ტილო იყო გაკრული და ზედ თეთრი ასოებით ეწერა:

„დავტირით ომში დაცემულ უმცროს სერჟანტს ელიზბარ ყუფუნიას“.

იონამ ქუდი მოიხადა.

აი კიდევ შავი ტილო შალვა რევიას ოდის აივანზე... ისევ სხვა ოდა და შავი ტილო.

„დავტირით ომში დაცემულ დავით გარდავას“.

იონა კითხულობდა მეზობლების, ახლობლების, ბრიგადის წევრების, თანაფრონტელების გვარებს შავ ტილოებზე და აქ, თავის სოფელში უფრო მწვავედ შეიგრძნო რა დამართა ომმა სამშობლოს.

აი, თამარ ყუფუნიას ოდაც. კარი გამოკეტილია, დარაბები დახურული, ოდა გვერდზე გადაქანებული, ყველაფერს ეტყობოდა, პატრონს ოდის მისახედად არ ეცალა.

„ჩემი ოდა მთლად დანგრეული იქნება“; იონა ყუფუნიამ ფრონტზე შეიტყო, რომ მისმა ცოლმა ოთხი შვილი მიატოვა და სხვას გაჰყვა. იმის შიშით, უპატრონოდ დარჩენილი შვილები საცოდავ დღეში არ ენახა, შინ მისვლა ვერ გაბედა და კოლმეურნეობის კანტორაში გაეშურა.

გამგეობაში არავინ იყო. არც ბუღალტერი, არც მოანგარიშე, არც დარაჯი. თავმჯდომარის ოთახის კარი გამოღებული დახვდა, ოთახიდან ნაბიჯის ხმა შეესმა, ვიღაც ბოლთას სცემდა. კარს მიუახლოვდა თუ არა, იონამ ანთიმოზ როგავას ფეხის ხმა იცნო.

სწორედ ისე, როგორც იონას ფრონტზე წასვლის დღეს, თავმჯდომარე მაგიდის წინ მიმოდიოდა. ასეთივე სიწყნარე და სიცხე იყო მაშინაც, ფანჯრები ასევე იყო დაღებული, თითქოს არაფერი შეცვლილიყო ომის განმავლობაში, მაგრამ შეხედა თუ არა იონამ ანთიმოზს, დაინახა, რომ მთელი ათი წლით დაბერებულიყო.

ანთიმოზი მიეგება, ხელი ჩამოართვა.

— მომილოცავს მშვიდობით დაბრუნება, — უთხრა მოკლედ, ჩვეულებისამებრ, მშრალად, — დაჯექი.

იონა სკამზე ჩამოჯდა, სამგზავრო ჩანთა მოიხსნა და ფეხებთან დაიდო. ეს ის ჩანთა არ იყო, თავისი ხელით შეკერილი, აქედან რომ წაიღო, ჯარისკაცის ჩანთა იყო, ფრონტის მრავალ გრძელ და ძნელ გზაზე ნატარები.

იონამ ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ დერეფანში აჩქარებული ნაბიჯის ხმა გაისმა. კარი გაიღო და ოთახში თამარ ყუფუნია შემოვიდა. ვილაცას გზაზე დაუნახავს იონა, თამართან გაქცეულა ბრიგადაში და უხარებია. და აი, იონა მის წინ იმავე სკამზე, იმავე ადგილას ზის, ხუთი წლის წინ რომ იჯდა.

იონა სწრაფად წამოდგა.

— ბავშვები როგორ არიან, თამარ? — ჰკითხა თამარს, ისე დაიბნა, მისალმება დაავიწყდა.

თამარსაც დაავიწყდა სალამი. პასუხის ნაცვლად მოპირდაპირე კედელს შეხედა.

კედელზე მოწინავე მეჩაიე ქალებისა და ქალიშვილების ფოტოსურათები ეკიდა. ოლია ყუფუნია, ლილი რევია, ვერა ლომაია, ლუბა სახოკია, ჩაიკითხა იონამ. ყველას იცნობდა, მაგრამ ერთი ვერ იცნო. დააკვირდა, დააკვირდა და უცებ გაოცებული მოტრიალდა, უნდოდა ეყვირა, მაგრამ ხმა არ დაემორჩილა.

თამარი და ანთიმოზი ღიმილით შეჰყურებდნენ აღელვებულ, გახარებულ, ბედნიერ მამას. იონამ ისევ შეხედა სურათს: დადალი ყუფუნია, ეწერა სურათის ქვეშ.

— დღეში ორას კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს, — დედური სიამაყით უთხრა თამარმა და ახლა მიესალმა, გადაეხვია და აკოცა...

თამარი წინ მიდიოდა, იონა ცოტა უკან, გვერდით მიჰყვებოდა. თამარი ბრიგადის ამბებს უყვებოდა, უყვებოდა ისე უბრალოდ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს იონას აქ არ ყოფნის დროს. ომამდე თუ მეჩაიე საშუალოდ დღეში 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა, ახლა ოლია ყუფუნია, ლილი რევია, ვერა და ლუბა სახოკიები, დადალი ყუფუნია და სხვები, დღეში 150-200 კილოგრამ ფოთოლს კრეფდნენ.

თამარი უყვებოდა ბრიგადის წევრების ამბავს, თავის თავზე კი არაფერს ამბობდა, არც იმაზე დაუძრავს სიტყვა, რაც იონას ბავშვებისთვის გააკეთა. გააკეთა კი ბევრი, იმდენი, რამდენსაც მშობელი დედაც ვერ გაუკეთებს შვილს.

დედას არ გაჰყვნენ თორმეტი წლის დადალი და მისი უმცროსი ძმა, არ მიატოვეს მამისეული კერა, მიუხედავად იმისა, რომ დედამ მათ სახლი გაუყიდა. მყიდველმა სახლი დაშალა და თავის სოფელში გადაიტანა. ცის ქვეშ დარჩენილმა ბავშვებმა სასიმინდე ჯიხურს შეაფარეს თავი.

ამ ამბავმა სოფელი აღაშფოთა, ყველაზე მეტად კი თამარი იყო შეწუხებული. გამოცდილი ჰქონდა ობლობის სიმწარე და გადაწყვიტა ბავშვებისათვის თვითონ გაეწია დედობა. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ პატარა დადალი პლანტაციაში მიჰყავდა და ჩაის ფოთოლს აკრეფინებდა. მალე გოგონას შრომის წიგნაკი გაუხსნეს. ფრთა შეესხა დადალის. მამის ამბავი არ მოდიოდა ფრონტიდან, დედა არ ჰყავდა, მაგრამ შეეძლო თავისი შრომით ეცხოვრა, ერჩინა ძმა.

თამარი კაპიკს არ ახარჯვინებდა. დაბრუნდება იონა ფრონტიდან და სახლი რომ არ დახვდება, ეს მარტო მისი ცოლის სირცხვილი კი არ იქნება, მთელი ბრიგადის სირცხვილიც იქნებაო, ფიქრობდა.

— სახლი უნდა დავახვედროთ მამაშენს, — უთხრა ერთხელ დადალის.

ბავშვს სიხარულისაგან სული შეუგუბდა, მაგრამ არ იცოდა რითი, რომელი ფულით ააშენებდა სახლს.

— შენი ფულით, — უთხრა თამარმა, — ჩვენც დაგეხმარებით, ბრიგადა, კოლმეურნეობა.

დადალი ახლა უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა, უფრო კარგად სწავლობდა. თამარი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბავშვი სწავლაში არ ჩამორჩენილიყო. „მე რომ მესწავლა და საშუალო განათლება მაინც მქონოდა, ასჯერ მეტს შევძლებდიო“, ფიქრობდა.

გადიოდა თვეები, წლები.

ფაშისტური ურდოები უკან იხევდ-

ნენ. ჩვენი ჯარები ზედიზედ ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს.

ერთ დღეს დადალის მამის წერილი მოუვიდა: როგორმე ცოტა კიდევ გაიჭირვეთ, კერა არ ჩამიქროთო. მამის წერილით გამხნევებული დადალი თვალში შესციცინებდა თამარს. მან შეიფარა იგი, მან წარმართა მისი ცხოვრება, ჩაუნერგა მამის დაბრუნების იმედი და რწმენა. თამარი და დადალი სახლის აშენების თადარიგს შეუდგნენ და აი, ახლა იმ სახლისკენ მიუძღვებოდა თამარი იონას.

გამოჩნდა იონას ეზო, ახალი სახლი, ახალი ჭიშკარი, ვიღაც ქალიშვილმა კიბე ჩამოირბინა, თავი ჭრელი თავსაფრით აქვს წაკრული, კი არ მოდის, მოფრინავს.

იონამ თვალები მოჭუტა. ეზო მისია, სახლი კი სხვაა, ახალი. ეს ქალიშვილი ვინღაა?! იონამ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ქალიშვილი კისერზე ჩამოეკიდა, შემოეხვია ღონიერი მკლავებით. კოცნიდა, ჩურჩულებდა:

— მამა!

იონა გრძნობდა ტუჩებზე მლაშე გემოს. ეს მისი ქალიშვილის, მისი დადალის ცრემლი იყო... ძლივს მოიგლიჯა მკერდიდან, რომ შეეხედა... ნუთუ მართლა დადალია, თითქმის ზრდადამთავრებული ქალიშვილი, სისხლ-ხორცით, ჯანითა და სიცოცხლით სავსე, მთელი ომის მანძილზე ისევ იმ თორმეტი წლის ბავშვად რომ ჰყავდა წარმოდგენილი, როგორიც ფრონტზე წასვლისას დატოვა.

დადალიმ ჭიშკარი გაუღო.

— ეს ჩვენი ახალი სახლია, მამა... — თამარის აშენებულიაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბრიგადირის მკაცრად შეყრილი წარბები დაინახა და დაბნევით წაიდუდუნა: — ხომ კარგი სახლია, ხომ სჯობს ძველს?

5

გავიდა ახალი წლის მხოლოდ ორი თვე, ჯერ კიდევ შარშანდელი შესანიშნავი მიღწევების სიხარული არ გაგვნელებია და უკვე ახალი წარმატებების და შრომითი გამარჯვებების ამბებს იუწყებიან საკოლმეურნეო მინდვრების, ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, მაღაროების მშრომელები. ყოველი დღე, ყოველი კვირა აღნიშნულია ახალი წარმატებებით. ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პრესის ფურცლებზე ყოველდღე ვხედავთ ამ შემოქმედ ადამიანთა პორტრეტებს, ვინც ასე გატაცებით შრომობს, ვინც ასე თავდადებით იღვწის ხალხისათვის, ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის.

თამარ ყუფუნიას და ვასილ პაპინაშვილის მოწოდებაში აღნიშნული იყო: „ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ კვლავაც ენერგიის დაუზოგავად ვიშრომოთ ჩვენს შრომით კოლექტივებში, ახალგაზრდებს ვუჩვენოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვების ახალი გზები და ჩვენს გვერდით მომუშავე თითო ან რამდენიმე ახალგაზრდას ხელი შევუწყოთ მოიპოვონ „70-იანი წლების სტახანოველის“ საპატიო წოდება“.

თამარ ყუფუნიას შრომით, ენერგიის დაუზოგაობით და ხელშეწყობით გახდა მისი ბრიგადის თორმეტი ახალგაზრდა წევრი სოციალისტური შრომის გმირი. თამარმა გაზარდა, შეაძლებინა შრომითი სასწაული დადალი ყუფუნიას, მოაკრეფინა ჩაის იმდენი ფოთოლი, ათი სხვა ქალი რომ ვერ მოკრეფდა, შეაძლებინა შეუძლებელი. თამარმა დააყენა გზაზე შამახიები. თამარის პრიზისათვის იბრძვიან დღეს ასეულობით ახალგაზრდა მეჩაიეები. თამარს ეძახიან მეჩაიეთა დედას. კვლავაც ბევრ გმირს გამოზრდის თამარ ყუფუნია, გააშლევინებს ღონიერ ფრთებს.

ვასილ პაპინაშვილის შრომით, ენერგიის დაუზოგაობით და ხელშეწყობით გახდა ნოდარ საური და მისი ჩამორჩენილი ბრიგადა მოწინავე. ვასილ პაპინაშვილმა გაზარდა, შეაძლებინა საქვეყნო საქმე ობოლ, გზიდან აცდენილ

ბიჭს, გრიგოლ გორგაძეს. ვასილ პაპინაშვილივით მუშაობს დღეს ელმავალმშენებელ ქარხანაში ასობით ახალგაზრდა და იბრძვის „70-იანი წლების სტახანოველის" საპატიო წოდებისათვის. კვლავაც ბევრ გმირს გამოზრდის ვასილ პაპინაშვილი, გააშლევინებს ღონიერ ფრთებს.

„ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური! დავაწესოთ მტკიცე, ყოველდღიური კონტროლი, თუ ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას! არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენს გვერდით. ამ გზით, შეჯიბრების მხოლოდ ასე მოწყობით უზრუნველყოფთ იმ დიდ მიზანდასახულებათა განხორციელებას, რომელიც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა მეცხრე ხუთწლედის დირექტივებში".

თამარ ყუფუნიასა და ვასილ პაპინაშვილის კომუნისტის გულით ნათქვამ ამ სიტყვებში გადახსნილია ქართველი კაცის ფიქრი და მისწრაფება, ქართველი კაცის სიყვარული პარტიისა და ხალხისადმი.

მხოლოდ ასეთი გულის ადამიანებს ძალუძთ ხუთწლიანი გეგმა ერთი წლით ადრე შეასრულონ. ვასილ პაპინაშვილმა შარშან იანვარში შეასრულა იგი და ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. ასე მუშაობს თამარ ყუფუნიაც.

გავიხსენოთ, თუ როგორ ჩამოვრჩებოდით სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში ორი წლის წინათ მოკავშირე რესპუბლიკებს! დღეს კი მოძმე რესპუბლიკათა შორის მეხუთე ადგილზე ვართ და 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგები მოვიპოვეთ. დღეს ჩვენ მხარს ვუსწორებთ რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას... მათთან ერთად მოვიპოვეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა. ამ საამაყო დროშით დაჯილდოებულია ჩვენი დედაქალაქის ლენინის რაიონიც, ის რაიონი, სადაც ვასილ პაპინაშვილი მუშაობს. ამ პატიოსანმა, ნამუსიანმა შრომამ კვლავ გამოაჩინა ქართველი ხალხი, კვლავ ჩააყენა მოძმე რესპუბლიკების მოწინავე რიგებში!

რამდენი თამარ ყუფუნია და ვასილ პაპინაშვილი ჰყავს დღეს ჩვენს დიდ საბჭოთა ქვეყანას და კიდევ რამდენი ეყოლება ხვალ, და ჩვენი, მწერლების უპირველესი მოვალეობაა ღირსეულად ავსახოთ რომანებში, მოთხრობებში, ლექსებში, პოემებში, პიესებსა და ნარკვევებში მათი შემოქმედებითი შრომა; ჩვენი გადაუდებელი საქმეა შევქმნათ მართალი, ცოცხალი სახეები კომუნიზმის იდეალების, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანებისა, ვუჩვენოთ ეს ბეჯითი ადამიანები, რომელთა შრომა პატიოსანია, ნამუსიანია, და ისევე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო, დავანახოთ ხალხს, რომ ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრად წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# შენი მიწა... შენი შირაქი...

## მოუხელთებელი თავმჯდომარე

ივლისის ერთ დილას ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მსუბუქი ავტომანქანა მოადგა, საიდანაც ორი ახალგაზრდა კაცი გადმოხტა. ჩამწერი აპარატები, რომლებიც მათ ეკიდათ მხარზე, მეტყველებდნენ, რომ ისინი რადიოკომიტეტიდან უნდა ყოფილიყვნენ.

მათ მკვირცხლად აირბინეს კიბე, თან აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდნენ, რომ პირველსავე შემხვედრისათვის რაღაც ეკითხათ. მაგრამ მთელ კანტორაში კაცის ჭაჭანება არ იყო.

— ევაკუაციაა? — გაიკვირვა მაღალმა.

— ასეა, ძმაო, — ნირწამხდარმა უპასუხა სათვალიანმა, — ქარხანა კი არაა, დილის ცხრა საათზე გამოცხადდნენ! სოფელი მაინც სოფელია: როდის ადგებიან, წყაროზე პირს როდის დაიბანენ, როდის...

ბოლო პაწია ოთახიდან ხმაური გაისმა და სტუმრებიც იქით ეცნენ.

— არსენა კობაიძის ნახვა გვინდა, ბიძა! — ერთხმად წამოიძახეს, როგორც კი ზღურბლზე გასაღებებიანი კაცი დაინახეს.

— ახლა აქ არსენას რა უნდა?! — გაიკვირვა დარაჯმა და საყარაულო ოთახი გამოკეტა.

— როგორ თუ რა უნდა! — იწყინა სათვალიანმა, — უკვე ათის ნახევარია... აქ კი...

— რას ამბობ, შვილო. ამ გახურებულ კალოობაში ათ საათამდე არსენას კაბინეტში რა გააჩერებს, — შეაწყვეტინა დარაჯმა, — დილას ხუთის ნახევარზე მოვიდა, გაანაწილა ხალხი და მანქანები და თვითონაც მინდორში წავიდა.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ რადიოკომიტეტიდანა ვართ, არსენას საუბარი უნდა ჩავიწეროთ — თითონ იცის, — დაიწყო მაღალმა ჭაბუკმა, — გამოგვყევით მინდორში, აგერ მანქანითა ვართ!

დარაჯს ჩაეცინა.

— ვინ გიჟი გამოეკიდება ნიავს მინდორში... რაკი გაგასწროთ, მორჩა — დღეს მისი მოხელთება აღარ შეიძლება, ვინ იცის საითაა!

— მაშ რა ვქნათ? — დაღონდნენ რადიოს მუშაკები.

— რა და უნდა დაელოდოთ, ამაღამ თერთმეტ-თორმეტი საათისკენ უსათუოდ მოვა კანტორაში.

— თორმეტი საათისკენ! — მწარედ ჩაიცინა მაღალმა, — ჩვენ მაგდენი დრო არა გვაქვს, დღეს ლაგოდეხშიც უნდა მოვასწროთ, იქ კიდევ მოწინავე მეთამბაქოე გვყავს ჩასაწერი და საღამოთი უსათუოდ თბილისში უნდა ვიყოთ... მაინც რომელ მხარეს იქნება — ჩვენ თვითონ მოვძებნით.

— ვერ იპოვით! ამ პაპანებაში თქვენც დაიხოცებით და მაგ პატიოსან მანქანასაც დაამტვრევთ. უნდა დაიცადოთ, სხვანაირად თქვენ თავმჯდომარეს ვერა ნახავთ! — მოსჭრა დარაჯმა...

ერთი საათის შემდეგ ბიჭები ლაგოდეხისკენ მიჰქროდნენ.

— არსენა არსენასავით მართლა ძნელი დასაჭერი ყოფილა! — ოხუნჯობითღა ცდილობდნენ გუნების გამოკეთებას.

## მხიარულთა ბანაკი

შირაქში, ზილიჩის ველზე დაუდვია ბინა ზემო ქედის კოლმეურნეობის მეცხვარეობის მეშვიდე ბრიგადას, რომელსაც რაიონში ყველაზე ახალგაზრდა ბრიგადირი გურამ წამალაიძე ხელმძღვანელობს.

თებერვლის ბოლოს სოციალისტური შეჯიბრების რაიონულმა შტაბმა შედეგები შეა-

ჯამა და ას დედა ცხვარზე ყველაზე მეტი — ოთხმოცდათექვსმეტი ბატკნის მიღებისათვის გარდამავალი წითელი ალამი სწორედ ამ ბრიგადას გადასცა.

გამარჯვების აღსანიშნავად მწყემსებს შინიდან ღვინო და ხორაგი გამოეტანათ, მარტის ნიავწანწალასაც აღარ მორიდებოდნენ: სუფრა პირდაპირ გარეთ, თოვლზე გაშლილ ნაბდებზე გაეწყოთ და ლხინს მისცემოდნენ. სუფრის თავში ვერცხლის გრიგვალით შესალტული კომბალი ჩაერჭოთ, რომელზეც მოუსვენრად ფრიალებდა ორმტკავლიანი წითელი გარდამავალი ალამი.

ყანწი ხელიდან ხელში გადადიოდა. თონის პურები წამდაუწუმ ტყდებოდა შუაზე და თავდებოდა...

ბრიგადის უხუცესმა წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლადო ხუციშვილმა ფანდური მოითხოვა.

მოართვეს. ბერიკაცმა ჩამოჰკრა სიმებს და დაიწყო:

აყრილა პირაქეთოსა
ამ ზემო ქედის ცხვარიო,
ჩამოდგა ვაკე შირაქში
შამაიბერტყა ნამიო,
წამოვა, წინა-მხარზედა,
თან მოაქვს მთა და ბარიო;
უკან მოსდევენ მწყემსები —
ხელით ნარჩევი ყმანიო,
მხარზე უწყვიათ კომბლები, —
ნამართი შინდის კავიო,
შამოდგა ზილიჩის ველზე
როგორც ნაგუბი წყალიო.

ლადომ სიმღერა დაამთავრა და ამოიოხრა.

— ამ ბებერს რას მაყრანტალებთ, სიმღერა ჭაბუკებმა უნდა სთქვათ! — გაიღიმა და მზერაცა და ფანდურიც ერთდროულად ესროლა სუფრის ბოლოში მჯდომ უწვერულ ჭაბუკს, — აბა, მგელიკავ!

ცქვიტმა ჭაბუკმა ხელის ერთი ნაზი შევლებით დაიჭირა ჰაერში წეროსავით გაჭიმული ფანდური. დაიდო მუხლებზე, ააჟღერა და მზერა თხელ ნისლში ჩაფლული სოფლებისაკენ გაექცა.

ზემო ქედისკენ მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე
ღმერთო დამწერე ჯვარიო!

— გათავდა! — დაბეჭდა ლადომ, — შემოდგომაზე, როგორც კი ჩამაჭრდება, უნდა დაგნიშნო!

ჯერი გურამ წამალაიძეზე მიდგა, მაგრამ იუარა.

— ერიჰა, — მიუტრიალდა ლადო, — თუ ბრიგადირი ხარ, შვილოსა, სიმღერაშიც ყოჩაღი უნდა იყო, თუ არა და... გამომართვი ფანდური!

გურამიც აღარ გაინაზა. ჩამოართვა ფანდური და დასძახა:

მეცხვარემ ცხვარი გაშალა,
შემოეფინა ჩრდილსაო,
შიგ ურევია ბატკანი,
ყივილი მოდის ცხვრისაო,
წინ თითონ გამოუძღვება,
ხმა მოსდევს სიმღერისაო.
გახედეთ შირაქის ველსა,
ბალახით შემკობილსაო,
რა მშვენიერი რამე ხარ,
დილაო ჩვენო მხრისაო,
ამწვანებულო ველებო,
იალაღებო მთისაო,
გადაფენილან მთაზედა
თეთრი ფარები ცხვრისაო!

შუა ქეიფში იყვნენ, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავს წამოადგათ თავისი მანქანით. მწყემსებმა აშლა დააპირეს, მაგრამ არსენამ ხელით ანიშნა — ისხედით, ისხედითო და თვითონაც, თავის შოფრიანად, მწყემსებში ჩაჯდა.

— რას შვრები, არსენ, როგორა ხარ? — ჰკითხა ხუციშვილმა.

— აბა, როგორ ვიქნები, ლადო, — უპასუხა კობაიძემ და პური გატეხა, — კაი ორატორივით სულ ტრიბუნაზე ვდგავარ... საღამოზეც რაიკომში თათბირზე ვარ დაბარებული...

— თათბირზე წახვალ, მაშ ჩემსავით ბატკნის დედას დაუდგები, თუ რა! — მოუჭრა ლადომ.

მწყემსებმა სიცილი დაიწყეს.

— გავცვალოთ, კაცო! — გაიცინა არსენამაც, — წამო, შენ თათბირებზე იარე... კაცი არ ვიყო, თუ მართალს არ ვამბობდე: მთელი დღე კრებებსა და თათბირებზე ჯდომას — მინდორში ყოფნა მირჩევნია... მესამე დღეა წიკლაურის ბრიგადაში არ ჩავსულვარ და ვინ იცის... ძალი ხო არ არის, ვეღარ ვიცლი...

— ზოგი მეორე ცოლის მოსაყვანად იცლის და შენ რა მოგივიდა? — ორაზროვნად ჩაილაპარაკა ბოხოხიანმა და მწვადი წაშალა ხახვმოყრილ ფათირზე, რომელიც თეფშის მაგივრობას სწევდა.

უთანაბრო ფრუტუნი გაისმა.

— თქვენ რაღაც ახალი იცით, — თვალი მოავლო არსენამ მწყემსებს და დაცლილი ყანწი მგელიკას გადააწოდა, — ვინ არის ეგ „ზოგი“?

მწყემსებმა დაუსახელეს, ვისზეც იყო ლაპარაკი.

— ჰოდა, ამ ვაჟბატონს წითელწყაროში ვიღაც ლამაზი ქვრივი გაუცვნია და ჩამოჰკიდებია — ცოლი უნდა გავაგდო და შენ წაგიყვანოო. ამ ქალს უკითხავს: რათ უნდა გააგდო, რა დაგიშავაო? — დაფიქრებულა ეს ჩვენი ცხვირა ჭეელი. რა მოატყუოს, რა წუნი დასდოს ცოლსა, მაგრამ რა ნაკლი უნდა დაასახელოს, ოქროსავით დედაკაცი ჰყავს... ჰოდა, უფიქრია, უფიქრია და წამოუყრანტალებია — ელამია, თვალები არ უვარგაო. თვალები იმას კი არა, შენ არა გვარგებია, რომ ელამი ქალი ცოლად დაგისვამსო, უთქვამს ქალსა და ერთი კაი პანღურით გამოუსტუმრებია ეს ვაჟბატონი.

ხარხარებენ მწყემსები, იცინის თავმჯდომარეც.

— რას არ მოიგონებთ ხოლმე! — იძახის არსენა და ცრემლებს იწმენდს, — მოკლედ ეს მეცხვარეობის ბრიგადა კი არა, მხიარულთა და საზრიანთა კლუბია!

— გვაქვს კიდეც სამხიარულო და მაშ რა ვქნათ, — მოუჭრა ლადომ და კომბალზე დამაგრებულ ალმისკენ აიშვირა თითი, — ჯერჯერობით ხომ რაიონში ჩვენა ვართ პირველები. ბარემ ას დედა ცხვარზე ას ბატკანს გამოვზრდით და პირველობაც ბოლომდე ჩვენ დაგვრჩება.

— ას ცხვარზე ასი ბატკანი, — ჩაფიქრებით გაიმეორა თავმჯდომარემ და სერიოზულად იკითხა, — შევძლებთ კი?

— რატომაც არა, არსენ, — ფიცხლავ უპასუხა ლადომ, — ბინა კარგად მოვათბუნეთ, საკვები ბლომადაა, საძოვარი რიგიანი გვაქვს, წყალიც აქვეა...

— შენც თაქლა-ილასავით რატო იძახი! — შეაწყვეტინა არსენამ და თვალებში სიცილის ეშმაკუნები აუცეკვდნენ.

მწყემსებმა შეხედეს თავმჯდომარეს და ერთხმად შესძახეს.

— რაღაც ახალი იცი, გვითხარი!

— თაქლა-ილა სახლს რომ ჰყიდიდა, არ გაგიგიათ?

— არა, არა! აბა ჩვენ საიდან გავიგებდით!

— თაქლა-ილა ვილაა? — იკითხა მგელიკამ.

— შენ არ გეცნობება, — მიუგო არსენამ, — ორმოცდაჩვიდმეტ წელში კოლექტივს შედილები დაყიდა. ბრიგადირობიდან გავათავისუფლეთ და ის ცხვრებიც ვაზღვევინეთ. გაწყრა და წითელწყაროში გადასახლდა.

— ჰოდა, ხომ იცით, იმისი მიზეზიანი და ფხუკიანი ხასიათი, — ყველას გასაგონად დაიწყო არსენამ, — უცებ გულს შემოუყრია: აღარც წითელწყაროში მიდგება გული, უნდა გავყიდო სახლკარი და ახმეტაში უნდა წავიდეო, იქ, კუწახტაში, ქალიშვილი ჰყავს გათხოვილი... გამოუკრავს განცხადებები, მოსულია მუშტარი. თაქლას აუყვანია აივანზე და უჩვენებს: აიო, მაღაზია ზედ არის, წყალიც ახლოა, გზა გვერდზე ჩაგვიდის, აბანოც ემანდვეა და, რაც მთავარია, სასაფლაოც აქვეაო.

ისეთმა ხარხარმა იფეთქა, შეშინებული ძაღლები გაერიდნენ მოქეიფეებს.

— ჰოდა, იმ მუშტარს უთქვამს: ღმერთმა შენც დაგწყევლოს და შენი სახლკარიცო — დაუკრამ ფეხი და გაქცეულა! — დაასრულა კობაიძემ.

იცინიან მწყემსები, იცინის თავმჯდომარეც. არსენა ამ ხალხის წიაღშია გაზრდილი, თვითონაც ამ ხალხს ეკუთვნის და უყვარს მათთან ერთად პურის ჭამა, სიცილი, ოხუნჯობა, მხიარულება, ენამზეობა...

## მიწა

უხვია დედაბუნება — ადამიანისთვის ყველაფერი შეუქმნია და მოუგონებია. ადამიანიც მრავალნაირია: ვის ოკეანე იტაცებს, ვის — მთები, ვის — ვიოლინო, ვის — კოსმოსი, ვის — მშენებლობა, ვის — ოქრომჭედლობა, ვის — ბუღალტერია, ვის — ექიმობა. არსენას გატაცება კი მიწაა. სადაც არ უნდა მოხვდეს, პირველად მიწის ასავალ-დასავალს იკითხავს ხოლმე.

შარშანწინ ესპანეთს იყო წასული. ტურისტებმა გიდს სეტყვასავით დააყარეს კითხვები. რაღა არ აინტერესებდათ: კორიდა, სერვანტესი, პიკასო, მადრიდი, ფორთოხალი, ბურგოსული ღვინო, ბასკური ცეკვები...

სულ ბოლოს არსენამ ამოიღო ხმა.

— როგორი მიწაა ესპანეთში?

— მიწა, — გაიოცა ესპანელმა ქალიშვილმა. კაცი ვერ გაარკვევდა, კითხვა მოეჩვენა უადგილოთ, თუ მადრიდის ასფალტზე გაზრდილ გოგონას წარმოდგენა არა ჰქონდა მშობლიური მიწის თვისებებზე...

არსენას კი შვილივით უყვარს მიწა. თვითონაც უყვარს და სხვებსაც ასწავლის მის სიყვარულს. ეს საქმით დაამტკიცეს ზემოქედელებმა: 1978 წელს თვითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 88,2 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. რაიონის საშუალო მაჩვენებელი კი 33,6 ცენტნერი იყო. ხოლო შალვა ვეშაგურის ბრიგადამ 130 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე მიიღო 60,5 ცენტნერი ხორბალი! სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ზემოქედელი კომბაინერის მიხეილ ლალიაშვილის მიერ გალეწილი თავთავის გამოსახვას ოთხი ციფრი დასჭირდა — 1008 ტონა!

არც 1974 წელს შეირცხვინეს პირი. მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს წითელწყაროს რაიონის ყანებში 145 ერთმანეთზე საუკეთესო მექანიზატორი აგუგუნებდა ველის ხომალდს, მაგრამ გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი იმავე მიხეილ ლალიაშვილის კომბაინიდან არ ჩამოსულა და საბოლოოდაც აკი მას დარჩა!

1974 წელს ლალიაშვილმა 400 ჰექტარი თავთავი გალეწა და კალოზე 1200 ტონა მარცვალი გაგზავნა. ეს მაჩვენებელი მარტო რაიონში კი არა, მთელს რესპუბლიკაშიაც სარეკორდოა!

ზემოქედელლები არც სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის საქმეში იხევენ უკან — 1974 წელს სამშობლოს ბეღელში 4.555 ტონა ხორბალი მიიტანეს. მართალია, ზემომაჩხაანელებმა 70-მდე ტონით მეტი ჩააბარეს, მაგრამ სამაგიეროდ მათ, ზემოქედელლებთან შედარებით, 280 ჰექტრით მეტი ხორბალი ეთესათ. ასე რომ პროცენტულად წინ მაინც საქართველოს პირველი კომუნის შთამომავლები არიან!

დიახ, არსენას უყვარს მიწა და ... ეცოდება კიდეც.

— ერთი მითხარი, შენ სინდის-ნამუსი გაბადია! — რისხვით შეხედა არსენამ კაბინეტში შემოყუდებულ მხარბეჭიან ვირგლას.

— რა ვქნა, არსენ ალექსეევიჩ, სიდედრმა შემაღონა: სათბურისთვის მინდა შავი მიწა, ჩითილი უნდა გადავრგოო!

— მერე, ბიჭო, დამპალი პამიდვრისათვის მინდორს მიტიალებ? ექსკავატორით რომ დაეცი პატიოსან ნაკვეთს და ასახიჩრებ, ვინ გაპატიებს? სადა გგონია თავი? აბა მოვიდნენ და შენ დაგიწყონ გულ-მკერდზე წიწკნა და ჩიჩქნა, რა მოგივა? მიწაც ეგრე არ არის?! არ უნდა იცოდე, რომ შენია ეგ მიწა, შენი მინდორია...

— არსენ ალექსეევიჩ...

— მე „არსენ ალექსეევიჩი" არ ვიცი! წადი ახლავე და ის ორმოები ამოავსე და მოასწორე როგორც იყო, თორემ...

— არსენა ძიავ... — გაილრიჭა აყლაყუდა.

არსენამ ულვაშზე წაივლო ხელი.

— აეს შემირცხვეს, თუ სამართალში არ მივაცემინო შენი თავი... დილაზე მე თითონა ვნახავ და... დროს ნულა კარგავ, წადი!

## ხარო, სახემშვენიერო...

ამას წინათ, ერთმა თბილისელმა ჟურნალისტმა, რომელსაც ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ვრცელი ნარკვევის დაწერა გადაეწყვიტა, სხვათაშორის ჰკითხა კობაიძეს.

— პატივცემულო არსენ, იქნებ გაიხსენოთ დაახლოებით რამდენი წლის იქნებოდით, ანუ პირველად როდის იგრძენით ხარის, ასე ვთქვათ, საქონლის სიყვარული?

— როდის? — ჩაფიქრებით უპასუხა არსენამ, — ამ სამიოდე წლის წინ.

მოულოდნელობისაგან ჟურნალისტს სახე მოექცა და მომზადებული კალამი ხელში გაუცივდა.

ეს შეატყო არსენამ და საუბარი გააგრძელა.

— სიყვარულით კი ბალღობიდანვე მიყვარდა, მაგრამ საქონლის ნაზი, ადამიანური სიყვარული, როგორც გითხარ, ამ სამიოდე წლის წინ განვიცადე.

რალაც საინტერესო ამბის მოლოდინში ჟურნალისტი ისევ აენთო და კვლავ შემართა კალამი.

— შარშანწინ ესპანეთს ვიყავი ტურისტად, — განაგრძო არსენამ, — ბოლა, რალა გავაგრძელო, მადრიდში კორიდაზე წაგვიყვანეს...

— გასაგებია, გასაგები! — წამოიძახა ჟურნალისტმა, — მერე, მერე?

— ეჰ, — ამოიოხრა არსენამ, — რაც მე იქ ვნახე და განვიცადე.

— მაინც რა ნახეთ და განიცადეთ? — აწრიალდა ჟურნალისტი:

— მაგის გადმოცემა რომ შემეძლოს! — ულონოდ ასწია მხრები შირაქელმა ვაჟკაცმა, მერე თავს ძალა დაატანა, ყველაფერი გაიხსენა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიწყო: — გუშინდელივით მახსოვს... სულ წინა ტრიბუნაზე მოვხვდი... ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა... ხარი და მატადორი ხან ისე ახლოს ტრიალებდნენ, ტრიბუნიდან გაბედვით რომ გადასწვდომოდი, ორივეს ხელით შეეხებოდი. დიდხანს ერკინებოდნენ ერთმანეთს ხარი და მატადორი. ერთმანეთის საფერნი იყვნენ. სანამ თვითოეული თავისებურად ჩაუქრობდა და ჯერ სისხლიც არ დაღვრილიყო, მართლაც დიდებული საცქერი იყო! მერე მატადორმა წაიბორძიკა, ისევ წამოხტა, მაგრამ დააგვიანა... დააგვიანა და ხარმა დრუნჩით ჰაერში კატის კნუტივით მოისრიალა... აქ კი გამოცვივდნენ განწირულის გადასარჩენად... ჯერ ჩასაფრებული მეორე მატადორი გამოხტა ლაბადის ფრიალით და გამძვინვარებული ხარი წაქცეულისაგან განზე გაიტყუა. მერე პიკადორმა ახკუპა ცხენი და ხარს მხარში შუბით უჩხვლიტა... მოულოდნელი ტკივილისგან გაოგნებულმა ხარმა თავი ანება მატადორს და პიკადორს თვალების ბრიალით შემოუტრიალდა. თუ ეკვეთებოდა, კარგ დღეს არ დააყრიდა, მაგრამ... მაგრამ სწორედ ამ დროს საიდანღაც გაჩენილმა ბანდერილიერომ ბაფთიანი მოკლე შუბები კარგა ღრმად ჩაარჭო მხრებში... საწყალი ხარი ამას კი აღარ მოელოდა!.. პირველი მატადორი გაიმართა და ისევ აცეკვდა ხარის ცხვირწინ, თან ლაბადა ააფრიალა, ბანდერილიერო კი ახალი შუბების მოსატანად გაიქცა... თავის სამტროდ ამოძრავებულ ადამიანების და საგნების ცქერით დაღლილ ხარს ყურადღება დაუნაწილდა და ერთ ადგილზე მონუსხულივით გაქვავდა... ხარის დიდრონ, შავ თვალებში წეღანდელი გამძვინვარება გაქრა და პირუტყული გაოცება ჩაიღვარა. გუმანით ხვდებოდა, რომ წეღან ერთი ერთზე იბრძოდა და ვერ გაეგო ახლა ამდენები საიდან მოსულიყვნენ, ან რისთვის ეომებოდნენ... იდგა ამაყად, გაკვირვებული, პირველყოფილური ჯანღონით სავსე და მოკლე შუბებისგან დამახინჯებული. იდგა და ველარ

გაეგო რომელს შებმოდა, ვინ იყო მისი მთავარი მტერი: ცხენი, პიკადორი, მატადორი, მოელვარე ლაბადა თუ ბანდერილიერო, რომელიც სახერხო წამს უცდიდა გაზეპირებული მოძრაობის შესასრულებლად.

გამბედავმა და მრისხანე ცხოველმა თითქოს იგრძნო, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ცბიერი კაცები აკრძალული ხერხით უპირებდნენ წაქცევას.

არსენას ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

— არასოდეს დამავიწყდება იმ ხარის ადამიანური, გაკვირვებული, შავი, დიდრონი თვალები. იდგა უძრავად, თითქოს თავის სიცოცხლეს კაცების სინდისზე აგდებსო... ო, რა საძულველი სანახავი იყო ყალბი მამაცობით აღტკინებული ბანდერილიერო, რომელიც ტაშის გრიალსა და ველურ ღრიანცელში ჩვეული სიმარჯვით ასობდა და ასობდა გახეტებულ ხარს ახალ-ახალ შუბებს... ო, როგორ მინდოდა იმ წუთში გამეფანტა ის სისხლმოწყურებული მტარვალები, ხარისთვის ჭრილობები მომებანა, შემეხვია, ქედი მომეფხანა და თვალები დამეკოცნა. სწორედ მაშინ ვიგრძენ საქონლის ნამდვილი, დიდი სიყვარული... ბოლომდე ველარ გავუძელ ამ საცოდავობას — ავდექ და წამოვედი. თან მიკვირდა — რა იყო აქ სამხიარულო და საგნიასო. ნუთუ ამათ არ იციან გუთნის ფასი, ხარის მადლი, ხვნა, თესვა? მოკლედ, კორიდა ჩემთვის გაუგებარი და სატანჯველი გამოდგა. ან კი იქ დატრიალებული ულმერთობა როგორ უნდა მომწონებოდა, როცა ქართველი გლეხები ამ ლექსზე ვართ აღზრდილები:

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა?
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენო იმედო, ნუგეშო,
ქედნაკურთხო, ღონიერო!

— შენ ჩემზე მეტიც გივლია ქვეყანაზე და წიგნებიც ჩემზე ბევრი გექნება წაკითხული, — მხარზე შეეხო არსენა ჟურნალისტს, — აბა, ქართველ კაცზე უკეთესად სხვას თუ აქვს ნათქვამი ხარის ქებათაქება?

— არავის, — მყისვე მიუგო ჟურნალისტმა.

— შე კაი კაცო, — ამოიოხრა არსენამ, — შუბის ჩაცემა კი არა, ერთხელ მეზობლის კაცს გადატვირთულ ურემში ხარი წაექცა და იმ ულმერთომ — როგორ თუ აღმართში ურემი დამიგორეო, მისდგა და უღელში გაბლანდულ ხარს სახრე ზედ დაამტვრია. ეს რომ მამაჩემმა დაინახა, სულ მოიძულა კარის მეზობელი — ერთი კი უსამდურავა და იმ დღიდან აღარც სალამი მიუცია, იმასთან ერთად აღარც სუფრაზე მჯდარა — ამ კაცმა უღელში წაქცეულ ხარს სახრე დაუშინაო!

— მართალია, ხარი მანქანა-ტრაქტორებმა შეცვალეს, — განაგრძო კობაიძემ, — მაგრამ ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას საქონელი ჩვენზე ნაკლებ როდი უყვარს. ფერმებში სულ ჭეელი ხალხია. დარჩი ორიოდე კვირა, ყველაფერს დაწვრილებით გაგაცნობთ და უკმაყოფილო არ დარჩებით ჩვენი მწყემსებითა და საქონლით! — დაამთავრა თავმჯდომარემ.

აქვთ კიდეც ზემოქედელებს დასაკვეხი: შირაქში უცხო მგზავრმა მანქანით რომ გაიქროლოს და გზად ნასუქ-ნაპატიებ საქონელს მოჰკრას თვალი, დაუფიქრებლად იძახის: ეს რა კარგი საქონელია, ზემო ქედისა იქნებაო! ხშირ შემთხვევაში არცა სცდებიან: ალაზან-ივრის სანახებში ზემო ქედის კოლმეურნეობის მეძროხეობის ათი ბრიგადის საქონელი ბალახობს. ხუმრობა ხომ არ არის — 3.390 ხული მსხვილფეხა რქოსანი! ახლა ცხვარს არ იკითხავთ? მეცხვარეობის თერთმეტი ბრიგადა 17.800 ცხვარს ითვლის. ამათ დავუმატოთ 4.580 ღორი და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ხორცის წარმოების ვალდებულების შესრულება არ გაუჭირდებათ ზემოქედელებს.

შირაქელებმა კარგად უწყიან საქონლის ყადრი და ზრუნვას არ აკლებენ. მოვლილი საქონელი კი არასოდეს გააწბილებს გლეხკაცს.

დიახ, არსენა კობაიძის თანამებრძოლებს ძვალრბილში აქვთ გამჯდარი საქონლის სიყვარული, რასაც უცხოც უცებ შეამჩნევს: როგორც კი მიუახლოვდებით სოფელს, ტრიუმფალური თაღის ქვეშ, ცემენტის კედლის ფართო მონაკვეთზე წითელი აგურის ოსტატური გამოყენებით გამოსახულია ლამაზი, ზორბა, თამამნაკვთებიანი, ღონიერი, ლაღად თავაწეული ხარი, რომლის დანახვისთანავე უნებლიედ გახსენდებათ უხსოვარი დროიდან მომდინარე ქართველი კაცის ლოცვა-სიმღერა: ხარო, ხარი ვინ დაგარქვა? ხარო, სახე მშვენიერო...

## ბაჩანას გახსენება

თავმჯდომარის კაბინეტში მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებდნენ. ოთახში სამოცდაათი წლის თეთრწვერა ბერიკაცი შემოლასლასდა. ხალხი მოწიწებით შეეგება. მთელი სოფელი პატივს სცემდა ამ მოხუცს, რადგან თითქმის მთელი ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა ზეპირად იცოდა. იყო დრო, ყველას კაფიებითა და შაირებით ელაპარაკებოდა. მაგრამ ამჟამინდელი მოსვლის მიზეზი სხვა იყო: გუშინწინ ას წელს მიტანებული დედა გარდაეცვალა.

— ყველაფერი მომარაგებულია, აღარა მინდა რა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა მოხუცი, — მაგრამ აი საკლავი... ორი წლის მოზვერი კი მყავს, მაგრამ, ბევრი ხალხი მოვიპატიჟე. ეს რას გასწვდება, არსენ, ერთი ძროხა უნდა გამომიწერო!

— რას ამბობ, უფლისავ, — შორს დაიჭი-

რა თავმჯდომარემ, — საქელეხე ძროხები სადაა... თუ არა და მოზვერი გყოლია და მეტი რაღა გინდა... ეგეც არ იყოს, ახლა დიდი ქელეხების გამართვა აღარ შეიძლება...

— მაშ შენ იგრე ამბობ, არსენავ, რომ მოპატიჟებული ხალხი მშიერი დავხოცო? — იკითხა ბერიკაცმა.

— რათა? — უპასუხა არსენამ, — ვინც აქაურია, მშიერს რა მოკლავს — სახლი აქვს და კარი. სტუმრებისთვის კი მცირე სადილი გაწყე და მორჩა — არაა აუცილებელი დიდი ღრეობა მოაწყო!

მოხუცმა იწყინა და აენთო.

— არსენავ, დაგვიწყებია მამაპაპური ადათი. ბაჩანა ჩემზეც და შენზეც ჭკვიანი კაცი იყო. ჰოდა, აი რას ამბობდა:

და ისიც უწყით, პატრონი
მკვდარს ზეზე არვინ გაჰწირავს
და იმას ცდილობს, რაც ბევრსა
ცრემლს და სმა-ჭამას შეჰწირავს![1]

დუმილი ჩამოვარდა. ბერიკაცი შუა ოთახში ფალავანივით იდგა და არსენას თვალს არ აცილებდა. დანარჩენებიც მას მისჩერებოდნენ. უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— ეგ მართალია, უფლისავ, — წამოდგა არსენა, — მაგრამ სადაც ეგა თქვა, ბაჩანას იქ ესეც უთქვამს:

ტირილ-დამარხვას რომ მივყვეთ,
ეს სიტყვას გააგრძელებსა, —
თქვენც იცით, დიდი ქელეხი
მკვდარს ველარ გააცოცხლებსა![2]

ირგვლივ შეძახილები გაისმა. ბევრს გაეცინა. თეთრწვერასაც ჩაეღიმა მოწონების ნიშნად. მერე ჩაილაპარაკა: ყოჩაღ, ბაჩანა შენ ჩემზე უკეთესად გცოდნიაო, და კაბინეტიდან ჯოხის ბაკუნით გავიდა.

## მიწა სავსეა ოქროთი

ერთი ზემოქედელი ბიჭი პატიოსნად მუშაობდა კოლმეურნეობაში, მერე „ჟიგული" იყიდა და შრომაზე გული აიცრუა. ბოლოს კი სარევიზიო კომისიის წევრებმა ორი ტომარა კომბინირებული საკვების ქურდობაზეც წაასწრეს.

და აი ახლა იჯდა კაბინეტში და თავმჯდომარის საყვედურებს ისმენდა.

— რა გინდა, შვილო, რატო ვერ მოგისვენია?! ეგ მანქანა ჭირად ხომ არ უნდა გაგიხდეს? ან საკვებს რას მალავ ხევში, ან...

— რა არის ბოლოსდაბოლოს, — აპილპილდა ჭაბუკი, — ორი ტომარა ქატო იყო. ზოგიერთივით ოქროები ხომ არ დავმალე!

— აჰ, ოქრო მოგინდა? — დაუყვავა ძიაბაიძემ.

— რატომაც არა! — ყინჩად უპასუხა ბიჭმა.

— მერედა იტყოდი, შე დალოცვილო! — მხარი აუბა არსენამაც და სერიოზულად დაუმატა, — შირაქში ისეთი ოქროს ორმოები ვიცი, რომ შენ კი არა, შენს შვილთაშვილებსაც გადასწვდება. შენ თუ იცი ის ოქროს ორმოები, ბიგენტი? — გადაულაპარაკა არსენამ კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანს ბიგენტი ჩოქურს.

— აბა, არაფერი გამიგია, არსენა ძიავ! — ჩაფიქრებით წარმოსთქვა ჩოქურმა.

— მაშ, მომისმინეთ, — ორივეს გასაგონად ჩაილაპარაკა არსენამ და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— ეს ამბავი მამაჩემისაგან მაქვს მოსმენილი: ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი გლეხი. ღმერთმა ერთი პატარა ბიჭის მეტი, შვილი არ მისცა, ისიც სიბერის ჟამს. ჰოდა, ეს გლეხი რომ კვდებოდა, ყმაწვილი მიიხმო და დაუბარა: მე ვკვდები, შენ კი ჯერ ბალღი ხარ და ცხოვრება გაგიჭირდება, მაგრამ ეგ ნუ შეგაშინებს — გამდიდრების ისეთ უებარ საშუალებას გასწავლი, რომ თუ მას ბოლომდე შეასრულებ, შენზე ბედნიერი კაცი არავინ იქნებაო. გახსოვდეს: მიწა სავსეა ოქროთი, მაგრამ მას ძებნა სჭირდება, ჰოდა აიღე და შენც მთელი სიცოცხლის მანძილზე თხარე მიწა, ოღონდ იმაზე ღრმად ნუ ჩახვალ, რასაც გუთანი გაიტანსო. გაიგეთ აზრი?

— როგორ ვერ გავიგე! — წამოიძახა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, — ესე იგი შვილს უანდერძა, რომ გუთნისთვის მოეკიდა ხელი და პატიოსნად ეშრომა!

— შენ კი გაგიგია, მაგრამ ამან თუ გაიგო? — იკითხა არსენამ.

— მეც გავიგე, — დაიმორცხვა საკვების ქურდმა.

— მაგას რაღა სჯობია, შვილო, — მხარზე ხელი დაჰკრა თავმჯდომარემ, — თავი დაანებე ავარად სიარულს, მანქანა სახლში გააჩერე და ხვალიდანვე გამოდი კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

## თავმჯდომარის ერთი დღე

საქართველოს ტელევიზიას ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე ორმოცწუთიანი გადაცემის გადაღება გადაეწყვიტა.

ტელევიზიის მუშაკები: რედაქტორი, ტელეკორესპონდენტი და ოპერატორი არსენა კობაიძის კაბინეტში ისხდნენ და გადაცემის გეგმას ადგენდნენ.

[1-2] ეს ორივე სტროფი ამოღებულია ბაჩანას პოემიდან „წაწლობა".

— ბატონო არსენ, ეს ორმოცი წუთი ისე უნდა გამოიყენოთ, — შენიშნა რედაქტორმა, — რომ მაყურებელმა ყველა დარგის მოწინავენი...

— რასაკვირველია, — დაეთანხმა კობაიძე, — მაგრამ მემინდვრეებს ცოტა მეტი ადგილი მივცეთ, რადგან...

კაბინეტში მდივანი გოგო შემოვიდა.

— არსენა ძიავ, რაიკომიდან დარეკეს: ხვალ ათ საათზე ბიუროზე უნდა იყოთ, სამ საათზე კი — სახალხო კონტროლის სხდომაზეო.

თავმჯდომარემ კალენდრის ფურცლებზე ჩაინიშნა. მდივანი გავიდა.

— მაშინ, ჩემის აზრით, ემჯობინება გადაცემა მემინდვრეებით დავიწყოთ! — განაგრძო რედაქტორმა და თვალები შთაგონებით აენთო, — გამოჩნდება შირაქის მადლიანი მიწა, ტრაქტორი ხნავს, ბელტი ბელტზე გადადის — ამას მსხვილი პლანით გადავიღებთ, მერე...

კარი გაიღო და კაბინეტში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ვეშაგური შემოვიდა. სტუმრებს, რომლებიც წინადღით გაიცნო, ცალუბად მიესალმა და არსენას მიუტრიალდა.

— არსენ ალექსეევიჩ, ხვალ გადამტერებული ოჯახების შერიგება გვწადიან და კარგი იქნებოდა შენც წამოსულიყავი.

— ხვალ ბიუროსა და კონტროლის სხდომაზე ვარ დაძახებული, — მიუგო კობაიძემ, — თუ არა და რა სავალდებულოა მეც იქ ვიყო: მიიყვა დეპუტატები და შეაშველეთ.

— არა, დეპუტატებს კი წავიყვან, მაგრამ... — ენა აუბორძიკდა ვეშაგურს, — მაგრამ სად უბრალო დეპუტატი და სად სოციალისტური შრომის გმირი....

— ჯერ ერთი, დეპუტატი „უბრალო“ არ არის, არჩილ, — შეაწყვეტინა კობაიძემ, — მეორეც: მაშ, სადაც თავმჯდომარედ სოციალისტური შრომის გმირი არა ჰყავთ, იქ წაკიდებულ ოჯახებს ველარ არიგებენ? თუ არა და, გმირობა ახლა მომცეს, მაშ მანამდე როგორ ვცხოვრობდით და ვმუშაობდით?!

— ეგ მართალია... — მოტყდა ვეშაგური, — მაგრამ... ყოველ შემთხვევაში, თუ მოიცალო ან ცოტა ადრე ჩამოხვიდე... მოკლედ მე წავედი.

— არკი უნდა წახვიდე, დაჯექი ჩვენთან და დაგვეხმარე. გვითხარი, რა გადავიღოთ, როგორ გადავიღოთ — შენც სოფლის თავკაცი არა ხარ!

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეც მიუჯდა მაგიდას და მუშაობა განაგრძეს. ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ კაბინეტში საშუალო სკოლის მასწავლებელი შემოვიდა. ამ ოცდაშვიდიოდე წლის კაცს ზედვე ეტყობოდა, რომ ძალზე მორცხვი იყო და თხოვნა არ ეხერხებოდა.

არსენასთან უცხო სტუმრები რომ დაინახა, უფრო დაიმორცხვა და სათქმელს ძლივს მოაბა თავი.

— არსენა ძიავ, დღეს გაკვეთილების შემდეგ... მოსწავლეთა საერთო კრება... გვექნება... დირექტორმა თქვა... ოთხ საათზე პირდაპირ სკოლაში... ჯართის შეგროვება გვიჭირს — გეგმას ცოტა გვიკლდება... ჰოდა, შეკრებაც ამას ეძღვნება... დირექტორმა ძალიან გთხოვათ... აუცილებლივ დაგვესწროსო... არსენა ძიავ...

ტელემუშაკები გაოგნებულები შეჰყურებდნენ დაბნეულ პედაგოგს.

— ბიჭოს, ჯართის შეგროვებას არსენა ძია რათ უნდა?! — შეესიტყვა საბჭოს თავმჯდომარე, — მაგას თქვენმა კოლექტივმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა გაართვას თავი, არსენა იქ ჯართს მოგიტანთ, თუ რა არის, ვერ გამიგია!

— ეგ მართალია, — მიუგო პედაგოგმა, —მაგრამ მოსწავლეები პირადად რომ მოუსმენენ თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს თავიანთი თვალით რომ დაინახავენ...

არსენას გაეცინა.

— დამინახავენ რა, ციდან ჩამოფრენილი ხომ არა ვარ, ყოველ დღე ემანდ არა მხვდებიან! კარგი, კარგი!.. რომელ საათზე გაქვთ? ოთხზე? ჯერ თერთმეტის ნახევარია... კეთილი, ვნახოთ...

— ეს უკვე ნამეტანია, — წამოიძახა ოპერატორმა, როცა მასწავლებელი გავიდა, — ჯართი რა არის და მისი გულისათვის თავმჯდომარის შეწუხება!

— კი არა ვთაკილობ, — განმარტა არსენამ, — მაგრამ დრო სულ ამ წვრილმანებზე მიდის და ჩემი საქმე გასაკეთებელი მრჩება, მალე მთიდან ცხვარი ჩამოვა და ზამთრის ბინებისათვის ხელი არ გვიხლია, ნახევარზე მეტი ჭარხალი ისევ მინდორში მიყრია, ტაროიანი სიმინდიც საველე კალოზეა თავგანებებული... სასუქებსა და კომბინირებულ საკვებზე სამინისტროში ვართ დაძახილები.. ტრაქტორისტები ჩივიან: ხვნის ნორმები გადასასინჯი და დასაზუსტებელია, ჩვენი ხორცკომბინატი საქონელს აღარ იღებს და აღარ ვიცი სად წავასხა სამოცი სული გამოწრუნებული ძროხა... გინდა დამიჯერეთ, გინდა არა: ხან კვირა ისე გადის, რომ ფერმაში ველარ მივდივარ. იმ თავმჯდომარეს კი რა ვუთხრა, ორ დღეში ერთხელ მაინც არ დაენახოს მწყემსებს, მაგრამ ველარ ვიცლი, დროს აღარ კი მიტოვებენ და...

ტელეფონი აწკრიალდა. არსენამ უხალისოდ აიღო ყურმილი.

— ალო, გისმენთ, გისმენთ! საიდან? პიონერთა სახლია? რომელი ხარ? დირექტორი? გისმენ, მერი! ჰ... ჰო... ძალიან კარგი, მაგრამ რა აუცილებელია ჩემი... არა, არა, მომისმინე, მერი: თქვენ აწყობთ პიონერების შეხვედრას რაიონის მოწინავე მშრომელებთან... დიახ, მშრომელებთან და არა მოწინავე თავმჯდომარეებთან, არა? ჰოდა, გამოვგზავნი მოწინავე მწველავს, ან მელორეს... ო, სოციალისტური შრომის გმირი? ამ შემთხვევაში, რა შუაშია გმირი... რა თქმა უნდა, გმირიც, მაგრამ... აქ თავიდათავი შრომის მოწინავეობაა და არა... მესმის, მერი, მესმის, მაგრამ მეც ხომ ჩემი საქმეები... რა საქმეებიო? გაზეთებში რომ სწერენ, კობაიძეს კოლექტივი საათივითა აქვს აწყობილიო, მართლა ისე ხომ არა გგონიათ? ... აბა ჩამოდით და ნახეთ... კარგი, რაკი მაგრეა, ტრაქტორისტების ბრიგადირს ნიკოლოზ მელიქიშვილს გამოვგზავნი — ისიც ხომ გმირია!.. ჰო, ჰო, მაშ!... იქნებ პიონერებს ისეთი რამ უამბოს, რომ ყველანი ტრაქტორისტებად წავიდნენ... აუცილებლივ, აუცილებლივ... ნახვამდის.

არსენამ ყურმილი დადო და სტუმრებს მოუბოდიშა. მერე ზარი დარეკა და მდივანი იხმო.

— გაგზავნეთ ჩემი შოფერი და სასწრაფოდ აქ მომგვარეთ მელიქიშვილი... კარი გაიკეტე...

მდივანმა გასვლა ვერ მოასწრო, ოთახში დინჯად შემოეყუდა დევივით მოსული, რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე ავთო გომელაური.

ახალმოსულს, რომელსაც მთელი რაიონი იცნობს როგორც უდარდელ, გონებამახვილს, სიტყვამოსწრებულსა და იუმორის მოყვარეს, არავითარი უხერხულობა არ უგრძნია: თავმჯდომარეს ღირსებით გადააწოდა ხელი, სტუმრებსაც ისე შინაურულად მიესალმა, თითქოს მისი სიყრმის მეგობრები ყოფილიყვნენ და სანამ სკამზე დაეშვებოდა, რაიონის ერთ-ერთი თანამდებობის პირის გაკენწვლაც მოასწრო.

— თურმე ფიცრის ღობეს აკეთებდა და ბიჭი მიგზავნა მეზობელთან — ჩაქუჩი გვათხოვეო. არ ვიცით, მეზობელს არა ჰქონდა ჩაქუჩი, თუ თხოვება არ უნდოდა. ბიჭი ხელცარიელი რომ დაბრუნდა, გაბრაზდა ეს ვაჟბატონი: ხომ ვიცოდი რა წუწკი და გაუმეტარია... მიდი, გამოიტა ჩვენი ახალი ჩაქუჩიო!

საერთო ხარხარმა გული მოსცა გომელაურს. დიდი ამბით დაბრძანდა და ოთხი-ხუთი ისეთი ამბავი ჩამოუქვა, რომ სიცილისაგან აცრემლებული ტელემუშაკები სულ უბის წიგნაკებში იწერდნენ.

ბოლოს კი, გამოცდილი კაცის კვალობაზე, თავისი მოსვლის მიზეზი წასვლისას გაანდო არსენას.

— ჰო, მართლა — კინაღამ დამავიწყდა: ხვალზევით, თორმეტ საათზე — დაიწერე სადმე, არ დაგავიწყდეს, — ხვალზევით, თორმეტ საათზე სასარგებლო ნადირ-ფრინველთა დაცვაზე თეორიული კონფერენცია მაქვს. თბილისიდან ჩამომდის ხალხი... ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, პრეზიდიუმში შენც უნდა იჯდე, გმირის ვარსკვლავით და მთელი ამბებით...

— მე რა შუაში ვარ, — გაიოცა არსენამ, — რომელი მონადირე მე მნახე...

— მერე და ვინ გიშლის, — გაიცინა გომელაურმა, — რამდენჯერ გითხარი: გახდი წევრი და ინადირე.

— მაშ, ბიჭო, მეტი საქმე არა მაქვს, შაშვებსა ვდიო! თუ არა და, ჩემგან რა გინდათ? აგერ დავითურა წაიყვანე და დაისწარი. მე ჩემი, იმან თავისი, და მე ეგ სამუშაოზე ვერ გამოვიყვანე. სულ თოფი უჭირავს და იძახის: ნადირ-ფრინველს ვიცავო.

— ნადირ-ფრინველს ვიცავო?! — დაიმანჭა გომელაური, — ხოხობი კი არა, ჯაგებში მამაჩემი რომ დავინახო, იმას ვესვრიო, იძახის და აბა მაგისთანა კაცი წამოვასკუპო პრეზიდიუმში? დავითურა კი არა, შენა მჭირდები, რომ ჩამოსულებმა იფიქრონ — დედაბუნებას სოციალისტური შრომის გმირები იცავენო. დავითურა-მავითურა რასა ჰქვიან!...ერთი სიტყვით, ხვალზევით იმედი მექნება. სტუმრებიც წამოიყვანე, კონფერენციის შემდეგ კაი პურმარილი გაიწყობა...

— შენ ვერ გაიგე — პურმარილი ალარაო! —შეუტია არსენამ.

— მთავრობის ჯიბიდან ალარაო, თორემ ჩემი ფულით გინდა ქვეყანას ვაქეიფებ! — მოუჭრა ავთომ და ტელემუშაკებს ისე გადახედა, დევის თავი არ გაუნძრევია, — მაშ ჩამოსულ სტუმრებს მშივრებს ხომ არ დავხოცავ... აბა, ჯერჯერობით...

გომელაური წავიდა. არსენა წამოდგა და კარებისაკენ გაემართა, მაგრამ ჩაკეტვა ვეღარ მოასწრო: ოთახში ფოსტის გამგე შემოვიდა ქაღალდით ხელში.

— არსენ, პარტკაბინეტიდან გოგილაშვილმა დარეკა: ხუთშაბათს დოსააფის რაიონული საბჭოს არჩევნებია და უნდა დაესწროსო. ათწუთიანი სიტყვა დაწეროს და გმირის ნიშანიც ეკეთოსო.

კობაიძემ უსიტყვოდ მოისმინა, დაეშვა სკამზე და სასოწარკვეთილი მზერა ჭერს მიაპყრო.

— რა დავაშავე? — ესღა ამოიგმინა, როცა ფოსტის გამგე გავიდა. ტელეოპერატორს გაეცინა.

— ბატონო არსენ, თქვენმა სიტყვებმა ერთი მწველავი ქალი გამახსენა. ისიც ასე გაიძახოდა — რა დავაშავეო... შარშან, სექტემბერს, ეგვიპტეში ვიყავი ტურისტად; ჩვენ

ჯგუფში ერთი სოფლელი ქალი ერია, სამოც წელს მიახლოებული იქნებოდა. თურმე რაიონს ერთადერთი საგზური მისცეს. რაიაღმასკომმა საგზური მოწინავე კოლმეურნეობას გადასცა — ყველაზე ღირსეული შეარჩიეთო. იხვეწებოდნენ თურმე მასწავლებლები, ექიმები, დარგების ხელმძღვანელები, მაგრამ თავმჯდომარე სათოფედ არავის იკარებდა—თქვენ რა მოწინავენი ხართო. იფიქრა, იფიქრა და იმ მწველავზე შეაჩერა არჩევანი, იმას კი აღარ გაუწია ანგარიში, თვითონ იქნებოდა თუ არა თანახმა. დაიბარა და უბრძანა: გაემზადე, არაბეთს ტურისტად უნდა წახვიდეო. ქალმა ცივი უარი სტკიცა: ჯერ ერთი, წნევა მაქვს, ეგეც არ იყოს, ქვეყანა რას იტყვის — დღეს რძალი წავიყვანე სამშობიარო სახლში, დღედღეზე შვილიშვილს ველოდები, რა შეარაბეთებაო. თუ არა და, სამაგისო ოთხას ორმოცდაათი მანეთი სად ვიშოვოო. თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, ხუთიოდე კუბური მეტრი ფიცარი მაშოვნინე თავის ფასში — სახლის შენებაზე დამაკლდაო.

ტელეოპერატორმა სიგარეტს მოუკიდა.

— მე ახლა ისე კარგად ვერ ვყვები, ის რომ ლაპარაკობდა, ლაღად, კახური კილოთი .... ჰოდა, ეს ქალი ცივ უარზე დადგა, მაგრამ თავმჯდომარემ ფანდი იხმარა: ხელფასიდან და პრემიიდან დააკავებინა საგზურის ღირებულება, თანაც ათასნაირი ტყუილ-მართალით მოთაფლა ქალი — ამას ნახავ, იმას ნახავ, რძალს ამას უყიდი და იმას უყიდიო.

— ოდესიდან რომ გავედით, სწორედ გემზე მიიღო დეპეშა: შვილიშვილი შეგეძინაო. ჯერ მაშინვე დაიწყო თავმჯდომარის წყევლა და ლანძღვა: იქ შვილიშვილი მეყოლა, მე კი სად ჯანდაბას მივდივარო. ეს კიდევ არაფერი: ჩავედით ეგვიპტეში. სიცხე ორმოცდახუთ გრადუსს აღწევდა. ლუქსორში უფრო მეტიც იყო, არც გრილი სიო, არც ჩრდილი, არც ხეივანი, გავცდით თუ არა ქალაქს, დაიწყო ყვითელი უდაბნო. ამის შემყურე მწველავი ქალი დაჯდა და ატირდა: აქედან ცოცხალი ველარ ჩავალ საქართველოში და შვილიშვილს ველარა ვნახავ, იმ გულმკვდარ თავმჯდომარეს რა დავუშავე ისეთი, რომ აქ გამომგზავნა, ან ოთხას-ხუთასი მანეთი რაში გადამაყრევინა, იმითი ერთი მეწველი ძროხა მომივიდოდაო.

— საწყალი ქალი, — მწარედ ჩაიცინა არსენამ.

— ვერც გაამტყუნებდი,—განაგრძო ტელეოპერატორმა, — მის დღეში თბილისს არ გასცილებოდა, ახლა კი უცებ არაბეთში ამოაყოფინეს თავი. უცხო ხალხი, ზღვის, ღელვა, ყაყანი, კაიუტები, უწყლოობა, სიცხე, სასტუმროდან სასტუმროში გადაბარგება — ეს ყველაფერი მისთვის ტანჯვად გადაიქცა. ჰოდა, ძალიან შეწუხდა. მე ვამხნევებდი: პირიქით, ეს დიდი პატივია, აი შეხედე როგორი სარკოფაგები და მუმიებია-მეთქი. რაში მჭირდება მაგათი ყურება, კუბო და ცხედარი შინ კი არ მეყო: ორ წელიწადში სამი მიცვალებული დავმარხეო.

— ასეა, რა დასამალია, — შენიშნა ვეშაგურმა, — რაკი გმირი ხარ, აღარც გეკითხებიან გინდა, არ გინდა, გიჭირს, გილხინს, მოსვენებული ხარ თუ დაქანცული: უნდა წახვიდე, უნდა დაესწრო, უნდა შეხვდე, ორდენით უნდა ეჩვენო ყველას...

— ჩვენში დარჩეს და ზოგჯერ მართლაც ნამეტანი ვიცით ხოლმე. — შენიშნა რედაქტორმა.

— კიდევ უარესი იცით რა არის — გაცხარებისაგან ფეხზე წამოხტა ტელეკორესპონდენტი, — ამოვიჩემებთ ერთსა და იმავე კაცს და გაჩერება აღარ ვიცით. ჰოდა, ერთი მოწინავე მეღორე კაცი იყო...

ტელეკორესპონდენტმა სიგარეტს მოუკიდა და მეღორის გვარი დაასახელა.

— ხომ გაგიგონიათ?... ჰოდა, პრესის მუშაკები, თუ საერთოდ, ჩამოსული ხალხი, ფერმებში რომ მოვიდოდნენ, სულ ეს კაცი ახსოვდათ, სხვას წესიერ გამარჯობასაც არ ეუბნებოდნენ. თუმცაღა არც სხვები იყვნენ ამ კაცზე ნაკლებნი, მაგრამ რაკი ერთხელ ეს კაცი აიკვიატეს, მორჩა... ჰოდა, ამ ამბავმა დანარჩენებს ხალისი დაუკარგა: ჩვენ ვმუშაობთ, დღედაღამე ფერმაში ვართ, ეგ კი თათბირებზე და შეხვედრებზე სიარულს უნდება და მაინც ისევ მაგას აქებ-ადიდებენ, ჩვენთვის კი ერთი თბილ სიტყვასაც არ იმეტებენო. ყველამ აიცრუა გული, მიუშვეს ხელი და მოწინავეები რვა-თვეში ჩამორჩენილებად იქცნენ. მაშინ კი დაფაცურდნენ უფროსები და დაიწყეს მიზეზის ჩხრეკა...

— ეგ როგორ შეიძლება, — შენიშნა არსენამ, — საზოგადოდ, მთელი კოლექტივის ნაშრომი ერთ კაცს არ უნდა მივაწეროთ. ეს ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

— სწორედ ეგ აღინიშნა ამას წინათ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, — განაცხადა რედაქტორმა,— მართლაცდა, მთელი კოლექტივი იმისთვის ხომ არ იბრძვის, რომ ვინმე გავაღმერთოთ, ანდა ადამიანს გმირობას იმისთვის ხომ არ ვაძლევთ, რომ მერე სული აღარ მოვათქმევინოთ. რატომ გვავიწყდება ზოგჯერ, რომ დროდადრო დასვენება გმირებსაც უნდათ?!

## საპატიო ტვირთი

ათასგვარი გადაუდებელი საქმით დაღლილდაქანცულ თავმჯდომარეს ზოგჯერ განმარტოება ისე მოენატრება ხოლმე, რომ ღამით, როცა ყველას გაისტუმრებს, ჩაიკეტება კაბინეტში

და ფიქრს ეძლევა. კაცს კი, რომელიც ოცდაშვიდი წელიწადი უცვლელად თავმჯდომარეობს უზარმაზარ კოლმეურნეობას, საფიქრალი ბევრი ექნება. ფიქრობს განვლილ წლებზე, ქედის კომუნარებზე, პირველ კომკავშირულ უჯრედზე, ფრონტულ წლებზე, ომში დაღუპულ ძმებზე, კობა ჩოხელზე, შვილებზე, მიწაზე, ამინდზე, გეგმა-ვალდებულებებზე, სოფლიდან ქალაქს გადახვეწილ ზოგიერთ ახალგაზრდებზე, თვრამეტიათასი ცხვრის იალაღებზე გადაყვანაზე, კომპლექსური საფრინველეების გაჭიანურებულ მშენებლობაზე, პაწია შვილიშვილზე, წითელწყაროდან ქედებამდე რკინიგზის გაყვანის პერსპექტივაზე, ფერმებში ახალი ტექნიკის შემოტანაზე, შვიცის ჯიშის ძროხის უპირატესობაზე, ვენახებში მეჩხერიანობის მოსპობაზე. და, რაც მთავარია, ყველაზე მეტს ფიქრობს ხალხზე — ოთხიათას ზემოქმედელზე, რომლებიც ნდობითა და პატივით ეკიდებიან სოფლის თავკაცს.

არსენას არ იტაცებს ცრუ სახელი და ყალბი დიდება. იცის, რომ თავმჯდომარეობაც, სოციალისტური შრომის გმირობაც, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაც მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთია, რომლის ზიდვა პატიოსანთა და რჩეულთა ხვედრია. იცის...

ფიქრებში წასულს შეუმჩნევლად გაეპარება ხოლმე შუაღამე. ადგება, მივა ღია ფანჯარასთან და თვალს მოავლებს მთვარის ვერცხლისფერ სხივებში უხმოდ გარინდულ ორსართულიან სახლებს, სადაც მშვიდად სძინავთ ძველი მთიელების შთამომავლებს. იგი მყისვე იგრძნობს ხოლმე, რომ თვითონაც ამ ხალხის სისხლი და ხორცია და ეს გრძნობა ძალას მატებს ამ ხალხის საკეთილდღეოდ მუდამ პირნათლად ზიდოს მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი.

## მანანა მეძმარიაშვილი

### უცნობ ჯარისკაცს

მე ისევ ვდგავარ გზააბნეული,
მწიფე თავთავების ტკბილი სუნია;
საიდან დაიწყო შენი დასასრული,
იქნებ ეს არყის ხე — შენი სულია.
იქნებ ამ ყანების მძლავრი მზეკაბანი
შენი საუკუნო ხვედრია,
რა ჰქვია შენ მკერდზე მოფენილ
ყვავილებს,
ქარების თავგასულ ხეტიალს...

### ხ ა თ უ ნ ა

— მერე?
— მერე თრიმლები
იწყებენ ბაბანს,
მოვა ზამთარი და
გამხდარ მხრებზე,
ნაზად მოავლებს
ღუნღულა საბანს.
— მერე?
— ხევ-ხევ დაიწყებს
ფთილების ფანტვას
და მერე, როცა
ჩამოვა ბარში
— მაშინ?
— დააწყობს ხელებს
ჩვენ ცისფერ სარკმელს
...შენ წამით ხუჭავ
დასიცხულ თვალებს
და უცებ:
— როდის?
— გზაშია, მოდის.

* * *

**7000-ზე დაღუპულ ალპინისტების ხსოვნას**

გულს ხმა არა აქვს, თორემ გამოთქვამს,
რჩება თავისთვის განუმარტავი,
მთვარე ტევრისკენ მიჰყავს ამორძალს,
გულს ხმა არა აქვს, თორემ ამოსთქვამს...
ცხენის ნალივით ეკიდა რტოებს
მთვარე ბედივით გაუმართავი,
გულს ხმა არა აქვს, თორემ ამოსთქვამს
რჩება თავისთვის, განუმარტავი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რატომ არ ვარ მწყემსი,
გავიშლიდი ნაბადს,
ფარატინა ნისლი
დაიწყებდა ფანტვას,
ნაწვიმარი — ცაზე
ცისარტყელას ხატვას.

გულს მატკენდა ისევ
სიყვარული შენი,
დაჯდებოდა ხელზე
ხატაურა ლექსი,
გავიშლიდი ნაბადს,
რატომ არ ვარ მწყემსი...

## ლერწმები

ტანზე დაგასკდა ამ თვის სიკეთე
თეთრი ბუმბულით ყელი გევსება,
შენი სიმწიფე და აღტაცება
უკვე მრავალჯერ ზიდეს ფესვებმა.

როგორ მიყვარდა შენი სიცოცხლე...
აფეთქებული ლერწმის თილისმით,
გადმოფანტული ბუმბლის სიმშვიდე,
აბრეშუმივით ენთო თბილისში.

## შემოდგომა

შემოდგომაზე,
მეზობლის გოგო უკრავდა მოცარტს;
გულში მოსული რაღაც სევდა
მძარცვავს და მმოსავს.

სივრცე ივსება ლურჯი ნოტებით
და იწყებს ფეთქვას,
მინდოდა მეთქვა,
რაღაც დიდი მინდოდა მეთქვა.

ქარი აშიშვლებს სახლებს, ხეებს,
დაკოჟრილ ფესვებს,
გარინდებული
ვკითხულობ ლექსებს, ვკითხულობ ლექსებს.

იგი კი ისე, უგულოდ
მძარცვავს და მმოსავს,
მეზობლის გოგო
წვრილი თითებით უკრავდა მოცარტს...

ზურაბ ჩხაიძე

# ზ ი ა რ ე ბ ა

## მოთხრობა

— უშანგი! უშო!

„უშანგის სულს უხუთავდა ქალის სიახლოვე, სულმოუთქმელად ელოდა საწადელს“.

— ადე ბიჭო, რაღა დროს ძილია?!

„უცებ ქალი დაუსხლტა, პერანგისამარა გავარდა გარეთ, სწრაფად გალია სიმინდის ყანა და ყორეს გადაევლო“.

— ადე, ბიჭო, შენს ძმას მთელი სოფელი თავს დასტრიალებს!

„ქალი მსუბუქად მიიწევდა წინ, თითქოს შიშველ ფეხებს მიწას არც აკარებდა, ბაღიდან — ბაღში, ვენახიდან ვენახში გადარბოდა“.

— აგიშენდა სასახლე, უშო!

„უშანგი კვალდაკვალ მისდევდა. ფეხი უსხლტებოდა, ეცემოდა, დგებოდა და ახალი ძალით მიიწევდა წინ, მაგრამ ვერა და ვერ ეწეოდა. რაღაც უხილავი ძალა ბორკავდა“.

— დამიწდი, არ ამდგარხარ?

„ქალი ბაღ-ვენახებს გასცდა. უშანგიმაც მიაღწია მინდვრამდე. სათიბში შეჩერდა გულამოვარდნილი. აღარსად ჩანდა ქალი“.

— უშანგი!!

უშანგიმ ზმორებით გაახილა თვალი. თავის წამოწევა სცადა. ნაბახუსევს თავი დამძიმებოდა, ყურები უბეუოდა. თავზე თავსაფრიანი სახედამჭკნარი ბაბალე ადგა.

— მიწა დაგაყარე, მიწა!!

— გაწყვიტე ხმა!—შეუბღვირა ვაჟმა და ხვნეშით წამოდგა.

ლუკმა არ გაუტეხია, ნაწყენი და გაგულისებული ისე გამოვიდა ეზოდან.

გზაზე გაიზლაზნა, ფეხათრევით გაუყვა შარაგზას.

გზის ორივე მხრიდან მიმზიდველად უღიმოდნენ ყვითელი ატმები, ვაშლები, ლურჯი ქლიავები.

ირგვლივ მიმოიხედა. გზაზე არავინ ჩანდა. მავთულის ღობე აქეცა და ბაღვენახებს შეერია.

უხმაუროდ მიიკვლევდა გზას ბილიკბილიკ, თან აქეთ-იქით იხედებოდა. არ უნდოდა ვისმეს გადაჰყროდა. სიფრთხილით კრეფდა ხილს და გაცრეცილი კოსტუმის ჯიბეებში იყრიდა. მერე ქვევით დაეშვა, ხევისაკენ.

რიყისპირს ირემაანთ ბაღში შეჩერდა. კაკლის ხეს აჰხედა. წენგოდახლეჩილი კაკლები თავს ძლივს იკავებდნენ. ფშანის სათავეში კეტს დასწვდა და დახუნძლულ შტოებს დაუშინა. დალიბრული კაკალი ზრიალით წამოვიდა ძირს. ნეშო გადაჩხრიკა, მთელი ნადავლი და ორი ბრტყელი ქვა ერთ ადგილზე და-

ხვავა, ჩაჯდა, ლიჯებსშუა მოიქცია და საქმეს შეუდგა. ჯიბეში ხმიადის ნატეხიც აღმოაჩნდა. ამან მთლად გამოუკეთა გუნება. ნიგოზით და ხმიადით რომ იჯერა გული, ხილზე გადავიდა. სიამოვნებით შეექცეოდა ახლადდაკრეფილ ხილს და არაფერზე არ ფიქრობდა. მერე ფშანის წყაროს დაეწაფა მაღალ ბალახში, სილიან ფსკერზე, ლიკლიკით რომ მიილტვოდა რიყისაკენ. წყურვილმოკლულმა პირი სახელოთი მოიწმინდა და წამოდგა. დაფიქრდა. კოსტუმის გარეთა გულისჯიბეში ჩააცურა ორი თითი და როცა იქ ერთადერთ სიგარეტს მიაგნო, გულზე მოეშვა. კაკლის ხიდან მოშორებით, მზის გულზე ადგილი შეარჩია, ნეშოთი მოფენილ ბალახზე გულაღმა გაიშოტა, თან ნეტარებით გააბოლა და თვალები ცას მიაპყრო.

ახლა ნამდვილად აღარაფერი აწუხებდა. ამ წუთში ბედნიერად გრძნობდა თავს. შეჰყურებდა შემოდგომის ნაზ ლაჟვარდს, შემოსაზღვრულს ტყიანი სერებით, ცაზე დაბოლქვილ ღრუბლებს და სიამოვნებისაგან თვალები ელულებოდა. თვალს მართლაც მოატყუებდა, საათნახევრის ამდგარი რომ არ ყოფილიყო ლოგინიდან.

ერთხანს ინებივრა, მერე წამოდგა, დარჩენილი კაკლით ჯიბეები დაიტენა, ბილიკს აუყვა და, სანამ გზაზე გავიდოდა, ტანსაცმელი შეისწორა. ჯიბეებს არაფერი ეტყობოდა, რადგან შარვალი ფართო ეცვა და ძაბრივით ჯიბეები, შიგნით, მუხლებამდე სწვდებოდა.

სასადილოს მხრიდან ჯალჯით დატვირთული ორთვალა გადმოხრიგინდა. გვერდზე, სახრით ხელში, პატრონი მოჰყვებოდა კოჭლობით. ცალი ხელით სახედარს თავდაღმართში თავის შეკავებას შველოდა. ჯალჯი, უკან, შარაზე ეთრეოდა და შიშინით მიცოცხავდა გზას.

უშანგიმ შორიდანვე იცნო ჯალჯის პატრონი, სახე მოარიდა. უსალმოდ ჩაუარეს ერთმანეთს. სოფლის კლუბს გახედა.

კლუბის მეორე სართულზე ფანჯრები ფართოდ გაეღოთ, კვირა დღე იყო და იქიდან დროდადრო ბილიარდის რაკარუკი მოისმოდა. წამით შეყოყმანდა. ახლა თავისუფლად შეეძლო იქ მისვლა, ახლაც და მერეც, როცა კი მოისურვებდა, ისე როგორც ყველგან, ქორწილში, ქელეხში თუ ნათლობაზე. ბილიარდის თამაშს ვინ დაასცლიდა, მაგრამ ეს როდი იყო მისთვის მთავარი! მაგიდის გარშემო ტრიალებდა, კის ცარცს უსვამდა, მეტოქეთ გზას უთმობდა, სპილოსძვლისფერ ბურთებს ჩამობერილი ტომსიკებიდან იღებდა და ხის თაროს ჭრილებში ალაგებდა, ისევ მაგიდას უბრუნდებოდა. დაძაბული შეჰყურებდა დამიზნებულ კის მოძრაობას. სიამოვნებდა, მწვანე მაუდზე მოსრიალე ბურთები ჭახანის შემდეგ რომ უჩინარდებოდნენ სანიშნეში.

— მიდი, ფარნა, ერთი შარილა გინდა! — აქეზებდა ლეკიაანთ ფარიკოს.

— გაჩუმდი, უშო! — უბღვერდა შპეტიაანთ კაკო.

— „სვოი“ ფარნა!

— გასწი, მირანგულას ორი შტოფი გამოართვი და კაპლოსთან ჩადი! — უბღვერდა ისევ ვეტექიმი.

ისიც იღლიებში თავდაღმაამოჩრილი წყვილი შტოფით დაუყოვნებლივ მიისწრაფოდა ღვინის წერტისაკენ. წყვილს წყვილი მოჰყვებოდა და გახურდებოდა ქეიფი.

უშანგიმ თმა-წვერზე შეივლო ხელი, კლუბი გვერდზე მოიტოვა და სადალაქოსკენ აიღო გეზი. სანამ სადალაქოში შევიდოდა, იქვე, ფეხსაცმელების ჯიხურში სამუშაო დაზგაზე თავდახრილ ბაკუკას მოჰკრა თვალი. ძალიან მოსწონდა ბაკუკას საქმიანობა. სომხური არ იცოდა და რატომღაც ამ კაცს რუსულად ელაპარაკებოდა. უშანგიმ ჯიხურის კარი შეაღო.

— ზდაროვა ბრატ!

— გამარჯოს! ვა, სადა ხარ შე ყურუმსაღო?! — შავი თვალები შეანათა ბაკუკამ.

— აქა ვარ ბაკუკჯან!

— ჯანიდ მერნემ! დაბზანდი!

უშანგიმ სომხურად ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ დაჯდა.

— ბაკუკ! ეგ „ჯანიდ მერნემ“ რადაა?

ბაკუკამ ქალის ფეხსაცმელს მომძვრალი ქუსლი მოარგო, სახეში შეაჩერდა და უთხრა:

— როგორ უთხრა, აი ჯანში გენაცვალე, შემოგევლე, ჭირიმე შენი, ჩემი თავი შენი ფეშქაში ილოს!.. — მიაყარა სიცილით.

— ვაჰ, ეგ რა ყოფილა კაცო! — აჰყვა უშანგი სიცილში.

— ბიჭო! — თქვა მერე ბაკუკამ და თვალი თვალში გაუყარა, — ხელობა არ გინდა, ა?

— აბა რატო, კაცო! მა როგორ!

— მერე მოდი რაღა, მამაცხონებულო! შენთვინაც კარგი იქნება, ჩემთვინაც!

— ეეჰ, რა ვიცი.

— მა ვინ იცის, შულო?!

— ვნახოთ! — თქვა უშანგიმ, მუხლებზე ხელი დაირტყა და წამოიმართა.

— შენ იცი! — ახლა ცივად თქვა ბაკუკამ, — მე შენთვინ კარგი მინდა, იმიტომ გევნები! — წვრილი ლურსმანი გამოძებნა, ჩაქუჩი მოიმარჯვა. — შენ იცი!

უშანგის აღარაფერი უთქვამს, დაემშვიდობა და გარეთ გამოვიდა. ბაკუკას ჯიხურსა და სადალაქოს შუა მდებარე პურის წერტი გაეუქმებინათ. იქ ახლა ლიმონათის ჩამოსხმას ითვისებდნენ. ერთსართულიანი შენობის კარფანჯარა ღია იყო. შიგ უცხო ხალხი ტრიალებდა. ესეც კარგი საქმეაო, გაივლო გუნებაში, ბოგირი გადაიარა და სადალაქოს კარი შეაღო.

— გამარჯობაათ! — წაიმღერა უსიამო ხმით.

გაგიმარჯოსო, გაბმითვე მიუგეს დალაქებმა, ისე, რომ საქმე არ მიუტოვებიათ.

— სადა ხარ შე ღმერთძაღლო?! — გამოსძახა ვანიკომ, თითქოს ორი კვირა ელოდა უშანგის მისვლას, ან რაიმე საქმე ჰქონოდა მასთან.

— ეჰ, რა ვიცი, საქმეს რა გამოლევს?! — მეტისმეტი სერიოზულობით თქვა უშანგიმ და კეპი წაიძრო.

ვანიკომ სარკეში ულვაშების სწორებას თავი მიანება, წამოხტა, დაიბერტყა, თეთრი წინსაფარი სკამსაც გადაუქნია და ხელი სავარძელს მიაშვირა. უშანგიმ ქუდი ლურსმანს მიაკიდა, ხის სავარძელში ჩაჯდა, მუქშვინდისფერჩარჩოიან სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა, მერე ლოყები დაბერა და... სუნთქვა შეაჩერა: ვანიკოს, სარკის ზევით, გაჯით გალესილ კედელზე, უცხოური ჟურნალებიდან ამოჭრილი ლამაზი ქალების სურათები გაეკრა. ყველანი, უკლებლივ, მომხიბლავად უღიმოდნენ უშანგის. წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. სიზმარში განცდილი კვლავ ამოძრავდა მის არსებაში, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, ერთი ამოიხვნეშა.

— რაო უშო? — ჩაეკითხა საპნიანი ფუნჯით ხელშემართული ვანიკო.

— რა და, ა ემ გოგოებ რო უყურებ, გული მიკვდება!

გული მართლაც სწყდებოდა, ეს ლამაზები ცხრამთას იქით რომ იყვნენ გადაკარგულნი და მათ სიახლოვეს ვერასოდეს ეღირსებოდა. ჯანდაბას! მათი მკლავების და მუხლისთავების სიშიშვლე სურათებიდანაც დიდ სიამოვნებას გვრიდა. მითუმეტეს ახლა, გასაპნულსა და თავგადაწეულს სხვა რა უნდა ექეთებინა?! შეჰყურებდა მათ ნაირნაირ კოსტუმებს, თმათა ვარცხნილობას, მოჟუჟუნე თვალებში დავანებულ ღიმილადქცეულ ვნებას რაც სიამოვნებას ჰგვრიდა.

— რა შორს მიდიხარ, აქ ცოტანი გვყვანან, ჰა უშანგ? — შეაპარა თეთრწითურმა, ჭრელთვალა დალაქმა, რომელიც ქათქათა ხალათში და ჩაჩში, შესახედავად ქირურგს უფრო ჰგავდა, ვიდრე დალაქს.

— ვინა?! — აღარ დააცადა ვანიკომ, სანამ უშანგი გასაპნულ სახეს მიაბრუნებდა.

— სამჭკუაანთი, კორახაანთი, ჩიტრეკაანთი... რომელი ერთი ჩამოგითვალო! — განაგრძო ჭრელთვალა დალაქმა.

— გაანებეთ თავი, მაგას ჩემი ბიძაშვილი მოსწონს! — თქვა შოშიაანთ ჩიტოს ვაჟმა, რომელიც გაპარსვის მოლოდინში კედელს მიჰყუდებოდა ფეხგადაჯვარედინებული, — არა, უშო?!

— ვინა? იაგორას გოგო? — იკითხა ფირუზამ, ჯირკვივით ჩაფსკვნილმა ბიჭმა და ღიმილი მთელ სახეზე გაეშალა. — თუ გაუგო იაგორამ!

უშანგი ხედავდა, ახლა ყველას ეღიმებოდა. ასე ხდებოდა. მას ხან ერთი მოსწონდა, ხან მეორე, სხვებს კი ეღიმებოდათ. წუხელ სიზმარში კი ვისაც მისდევდა, არვინ იცოდა და ამის შეგრძნება ამჯერად კმაყოფილებას ანიჭებდა.

— რათა! ბიჭად ბიჭი კარგია და დანარჩენი ჩვენ ვიცით! არა, უშო?!

— კარგი რა ნუგზარ, შენც ეგრე?— უთხრა უშანგიმ ჩიტოს ბიჭს, თუმცა გულით არ სწყენია მისი ნათქვამი, რადგან გრძნობდა ეხუმრებოდნენ.

ვანიკომ ბრეზენტის სალესზე სამართებელი აათამაშა და როცა ერთი მოსმით ცალი ყბა ჩამოპარსა, უფრო თავის ნამოქმედარით კმაყოფილმა ჰკითხა უშანგის:

— მაინც სად დაიკარგე ამდენ ხანს?

— პრესებზე ვმუშაობდი ლოჭინს ზემოდან.

— იმიტომაც აღარა სჩანდი! — ვანიკომ ახლა ტყავის ქამარზე აქნა სამართებელი. — „პამოშნიკობას“ რათ გაანებე თავი?

— აბა, იმ კაცს როცა ფეხი მოვტეხე!..

— ჰოო! — თქვა ვანიკომ ისეთნაირად, თითქოს ახლა აფასებდა მომხდარ ამბავს.

ერთი წლის წინ უშანგის კოოპერატივის მანქანა დაუგორდა, სირბილაანთ კოლას გადაატარა ფეხზე და დააკოჭლა. უჩივლა კოლამ. კინაღამ ციხეში ამოაყოფინეს თავი. დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება დააკისრეს. მერე ისიც გაიხსენა, დროდას „ვოლგა“ როგორ ჩაჩხრიკა ალიხევში და შოფრობაზე ფიქრს მოეშვა. სეზონურ მუშად მიაშურა კახეთის ველმინდვრებს. ამ ბოლო დროს თივის დამზადებაზე მუშაობდა.

სადალაქოში დოლ-გარმონის შორეულმა ხმამ შემოაღწია.

— ვითომ დაიწყო ქიდაობა? — იკითხა ჭრელთვალა დალაქმა.

— პატარბიჭობა იქნება შაქუჩებული, — თქვა ფირუზამ.

— გიყვარდეს, დღეს გლდანელებს დღე ვაყაროთ! — თქვა ვანიკომ. — არ იჭიდავებ ნუგზარ?

— მაშ!

— შენა უშო?

— რაღა დროს ჩემი ჭიდაობაა?!

— რა უდროსია?! — უთხრა ფირუზამ მალდური ღიმილით და გაზეთი დაკეცა. უშანგი არ შეეკამათა. ვანიკომ მეორედ წასცხო საპონი და ჰკითხა:

— შენმა ძმამ დაიწყო სახლი?

— დაიწყო, — ყრუდ თქვა უშანგიმ. ამის მეტი აღარაფერი უთქვამს.

სადალაქოში ისევ განაგრძეს საუბარი ჭიდაობაზე, მაგრამ უშანგი არ ჩარეულა. ვანიკომ სახე გაპარსა, თმის კრეჭას შეუდგა. თან გოგნიაანთ გოგიას და ოსიაანთ ოთარას წინა კვირის ჭიდაობის ამბავს უგდებდა ყურს. უშანგიც უგდებდა ყურს, მაგრამ უკვე ერთხელ გაგონილი გულზე აღარ ეკარებოდა. მერე, როცა ვანიკომ მოათავა თავისი საქმე, წამოდგა, მანეთიანი გაუწოდა და კისრისქექვით გამოვიდა გარეთ.

შუადღე მოტანებულიყო. მზე მომთენთავად აცხუნებდა. დოლ-გარმონის ხმა ეფინებოდა გაღმა-გამოღმა მთის ფერდობებზე შეფენილ სოფელს.

უშანგიმ ეზოში ხელ-პირი გადაიბანა, ცხვირსახოცით გაიმშრალა და სასადილოსკენ გაემართა, რომელიც იქვე, სოფლის მაღაზიაზე იყო მიშენებული.

დახლში ჩამრგვალებულ-ჩასუქებული სქელულვაშა ანტონე რატომღაც ფეხზე

იდგა და ქალალდისფოჩებიანი ხელჯოხით ბუზებს იგერიებდა. დარბაზში არავინ იყო. ხის იატაკი ახლად მოერწყათ. მუშამბაგადაფარებულ მაგიდებისთვის ირგვლივ სკამები შემოეწყოთ, თეფშებზე ნათალი ჩაის ჭიქები დაეპირქვავებინათ. კუპეში ვილაცეები ქეიფობდნენ. ლაპარაკზე ეტყობოდათ შემთვრალიყვნენ. უშანგი დახლთან მივიდა, ხურდა გაუწოდა ანტონეს.

— „პრიმა“ გექნება!

ანტონემ ქშენით გამოუღო დახლქვეშიდან სიგარეტი. ხურდა უჯრაში ჩაუძახა და ასანთს მისწვდა. უშანგიმ სიგარეტს მოუკიდა და ის იყო სასადილო უნდა დაეტოვებინა, რომ კუპის ფარდა გადაიწია და დრიღამ შემთანათა არეული თვალები.

— ეე! ჩვენი ძმა! მოდი აქ!

უშანგი ადგილზე გახევდა. ვერ გაეგო ეს ძახილი მუქარა იყო, თუ პატიჟი. იცოდა, დრიღა შარიანი კაცი იყო. ძველს ხომ არ მიხსენებსო, ფიქრმა გაკენწლა.

— მოდი აქ! გესმის შენა?! — ხელგამოშვერილი უხმობდა დრიღა, სკამზე იჩწეოდა, — მოდი, ალალ ძმობას გეფიცები!

უშანგი გაუბედავად გაემართა. კუპის კართან შეჩერდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ლუღლუღით შეეგებნენ ახალმოსულს.

დრიღამ ხელი მაჯაში წაავლო და გვერდზე მოისვა. ბოთლს მისწვდა, ორი ჭიქა პირამდე გაალიცლიცა.

— აბა აიღე!

— გაგიმარჯოთ! თქვენ პურიჭამას გაუმარჯოს! — თქვა უშანგიმ და ჭიქა პირზე მოიყუდა. უცებ გამოსცალა, გაციებულ მწვადის ნაჭერს მისწვდა.

— მეორეც, მეორეც! — არ დააცალა დრიღამ, ჭიქას ხელი შეაშველა.

უშანგიმ მეორე ჭიქაც გამოსცალა და იგრძნო, როგორ დაუარა თავბრუდამხვევმა სითბომ სხეულში.

— გაამოს! — თქვა დრიღამ. — შეამსეთ ჭიქები!

ჭიქები ყველას სავსე ჰქონდა. ხახოანთ ტარიელამ ისევ უშანგის შეუვსო ჭიქა. ჭამელაანთ რამანა მწვადს სცოცქნიდა. ეტყობა ვერაფრად [illegible] უშანგის მისვლა. გამომწვევად ჰკითხა:

— სოფელ გეექეცი, უშო?!

— როცა მეტი გზა არა მქონდა?!

— ტუჩა სახლს აშენებსო, მართალია?

უშანგის ეწყინა მეტსახელით რომ მოიხსენეს მისი ძმა. მაგრამ წყენა არ გაუმხელია.

— მართალია! — უთხრა ძუნწად.

— ჩვენ დედმამიშვილებს გაუმარჯოს! — ასწია ჭიქა დრიღამ, — სუ ბედნიერება იყოი მაგათ თავზედა, — ჭიქა ფერდულად ეჭირა, ღვინო ექცეოდა. — ვენაცვალე მაგათა!

— გაუმარჯოთ! ისინი ჩვენ გვიცოცხლოს, ჩვენი თავი იმათა! — თქვა ტარიელამ.

— გაუმარჯოთ! — შეუერთდა უშანგიც.

ღვინო მწლაკე იყო, მაგრამ სიმაგრე ჰქონდა. სანამ უშანგი ჭიქას დაცლიდა, რამანამ სადღეგრძელო წამოიწყო. უშანგი სალათს გადასწვდა. რამანა ცდილობდა გულიანად ელაპარაკა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ეტყობა უგუნებოდ იყო. ჩვენს მზედამთვარეებს გაუმარჯოსო, დაასრულა სადღეგრძელო და ოდნავ მოსვა, მაგრამ დრიღამ არ შეარჩინა. დრიღამ მერე უშანგიც დააჯარიმა კიდევ ორი ჭიქით და ერთი ბოთლიც მოითხოვა, რადგან ღვინო გათავებულიყო. ბიჭებმა ის ერთი ბოთლიც გამოსცალეს, სასადილოდან რწევით გამოვიდნენ და სოფლის კლუბისაკენ გასწიეს, რომლის უკან, მწვანე მინდორზე, ვებერთელა საჭიდაო მოედანი იყო გამართული.

ის იყო დრიღა თავისი ძმაბიჭებით კლუბის ეზოში შევიდა, რომ ცისფერი ავტობუსიც მოადგა ეზოს ჭიშკარს და გეზი საჭიდაო მოედნისკენ აიღო. დოლგარმონმა ტუში დასცხო. ავტობუსმა საყვირი მისცა და ხალხით შემოჯარულ მოედანთან გაჩერდა. ავტობუსიდან შავტუხა ჩაფსკვნილი ბიჭები გადმოვიდ-

ნენ. დამხვდურები მიეგებნენ, ხელს ართმევდნენ, ესალმებოდნენ.

დოლ-გარმონმა საჭიდაო წამოიწყო. ნელი-ნელ გაიბნა ჟრუანტელის მომგვრელი ბგერები. მზით გარუჯული ბიჭუნები, აქამდე ნახერხით მოფენილ მოედანზე რომ ძიძგილაობდნენ, გარსშემოერტყნენ გლდანელებს, კრძალვით შეჰყურებდნენ. საიდანღაც გაჩნდა საჭიდაო ჩოხები. მოჭიდავეებმა ტანზე გახდა დაიწყეს. წრეში სამხედროს მასწავლებელი-მსაჯი გაჩნდა და იქ დამსწრეთ ბოხი დვრინით ამცნო:

— ვიწყებთ ამხანაგურ შეხვედრას ქართულ ჭიდაობაში! — დამკვრელებს მიუბრუნდა. — თქვენ დაუკარ!

დოლ-გარმონმა ტუში რიხით დასცხო. ავტობუსთან წყვილთა შერჩევას შეუდგნენ. ამასობაში დრიღამაც მოაღწია თავისი ამხანაგებით, პირდაპირ წრეში შემოვიდა და ხელები გაშალა. — სიმღერით:

— გადმოვიდა კულაო, ჯერ არ გალახულაო! შენ დაუკარ! — მიმართა დამკვრელებს. იმათაც არ დააყოვნეს, სალერღელის ამშლელი საჭიდაო გაისმა. ხალხი წრეს მოაწყდა, თავხოტორა ბიჭუნები წრეში შემოძვრნენ და მოედნის ირგვლივ მოიკალათეს. დრიღასთან მსაჯი მივიდა და დაბალი ხმით უთხრა:

— ხელ ნუ შეგვიშლი, სირცხვილია!

— არა გენაცვა! — მიუგო დრიღამ და სასიკეთოდ გაუღიმა.

— ისა ჯობია დაგვეხმარო. აბა, შეხედე, წრე როგორ დავიწროვდა?!

— შენ ხათრიჯამად იყავი! — მიუგო დრიღამ და ისევ დამკვრელებს გასძახა, — შენ დაუკარ!

მსაჯი მოსცილდა. დრიღამ ხელისსიბრტყე ქამარი შეიხსნა, თავსზევით დაიტრიალა, — აბა გაწი, გაწი!

ერთბაშად ადგილიდან მოწყდა, წრეს დაუარა და დიდსა თუ პატარას წვივები აუჭრელა.

— რას ჩადი ჯოო!

— დააყე ეგ ხელები!

— უყურეთ ერთი ამასა! — დააყარეს აქეთ-იქიდან.

დრიღამ მოედანს გადახედა, ამხანაგებში ჩადგა და ქამარი წელზე მოირგო. უშანგიც იქ იდგა და აქამდე ხალხს ათვალიერებდა. იაგორას გოგოს რომ მოჰკრა თვალი, ჯერ ელდა ეცა, მერე რატომღაც პირი გაუშრა. იმ მხარეს გახედვისაც კი ეშინოდა, თითქოს ყველა ხვდებოდა მისი გულის წადილს. თანდათან გული საგულეს ჩაუდგა და სიფრთხილით გაიხედ-გამოიხედა, ნაწნავებიან იზოსაც მოჰკრა თვალი.

„აი, შენ კი დაგენაცვლე!“ — უხმოდ წასცდა გულში.

— ჭიდაობს ორი „პარა“! — დასჭექა მსაჯმა ბოხი ხმით და ხალხიც გაისუსა. — თუშმალიშვილი — მარტყოფი! კურდღელაური — გლდანი! შენ დაუკარ!

წრეში მოჭიდავენი შემოვიდნენ. ჩოხები შეისწორეს, ნახერხით მოიფშვნიტეს ხელები, თვალით მოზომეს ერთმანეთი და ერთმანეთისკენ დაიძრნენ. ხალხი გაიტვრინა. ის იყო მიუახლოვდნენ ერთიმეორეს, რომ გლდანელმა ჩოხის მარჯვენა სახელოში სტაცა ხელი, ჯერ თავისკენ დაქაჩა, მერე მარჯვენა მოგვერდზე წაიღო მოწინააღმდეგე. თუშმალიშვილმა მოასწრო, მარჯვენა ფეხით ჩაცელა მეტოქე, ორივენი ჩაიკეცნენ.

— აა ზანგურ, თავი არ შეირცხვინო ბიჭო! — დასძახეს თანასოფლელს მასპინძლებმა.

მოჭიდავენი ისევ პირისპირ დადგნენ. მოზვრებივით ბურღავდნენ თვალით ერთმანეთს. ისევ გლდანელმა იმარჯვა, წელში შეუვარდა, მაგრამ ვეღარ ასწია, რომ თავს ზევით ან გვერდზე გადაეგდო. მოწინააღმდეგემ კისერზე მოჰხვია ხელი, შუაკაური ამოსდო, გამოჰკრა და ორივენი ერთ წამს ჰაერში ავარდნენ. ზევიდან მაინც გლდანელი მოექცა, თუშმალიშვილი პირქვე შეეხო მიწას.

— ვაჰ! — აღმოჰხდა ხალხს.

— რა მამაძაღლია ე გლდანელი კაცო! — დაიბუხუნა ხალხში წყალსადენის ოსტატმა. ახლაც მხარზე ჰქონდა

აჩორჩხლილი ხელსაწყო-იარაღები. — შორ დაიჭი ზანგურ! — ხალხს სიცილმა ტალღად გადაუარა.

—მასტერ! გადმო ერთი ინტრუმენტებიანათ, დაგეჭიდო! — დაუძახა დრიდამ.

— შენ ბოთლებ დეექიდე შხირშხირად! — ხალხში ისევ გაისმა სიცილი. მოჭიდავენი ისევ მიუახლოვდნენ ერთმანეთს. ჩაჩუმდა ხალხი.

უშანგიმ იზოს გაჰხედა. თავის თავზე გაბრაზდა, სანახაობას გადაჰყვა, ის კი დავიწყებოდა. არაუშავსო, დაიმშვიდა თავი. ალერსით მოუნაცვლა მზერა. დაგენაცვლე მაგ თვალებშიო, გულში აღმოხდა.

— უჯეროა, უჯეროა! — ყვიროდა ხალხი.

— რა მოხდა? — გამოერკვა უშანგი.

— რაღა რა მოხდა! — უპასუხეს.

ზანგურა ბეჭებზე გაეკრათ და ახლა ზანტად, დარცხვენილი დგებოდა ფეხზე ნახერხის ბერტყვით.

— გაიმარჯვა კურდღელაურმა! — ხელი აუწია მსაჯმა გლდანელს.

— გაქრი ზანგურ! — თქვა ვიღაცამ.

— აბა მამაშენ უნდა ჰქონდეს შენი იმედი?! — თქვა წიპლა-კოლამ, მოხუცმა კაცმა. ყველას გაეცინა. დოლ-გარმონმა ტუშით გააცილა მოჭიდავენი და მერე ბაღდადური წამოიწყო, სანამ წრეში ხელაწეული მსაჯი არ გამოჩნდა.

— მჩატე წონა! შოშიაშვილი — მარტყოფი! გურგენაძე — გლდანი! შენ დაუკარ!

აყლერდა საჭიდაო. წრეში არავინ ჩანდა.

— ჰა, მჩატეები სადა ხართ, კაცო! — გაიღო ხმა წიპლა-კოლამ.

— იხდიან, იხდიან! — გაეპასუხნენ მეორე მხრიდან.

წრეში გლდანელი შემოვიდა. თხელი ბიჭი იყო, ძარღვიანი. ნახერხს წამოუსვა ხელი.

— ჩვენი ფალავანი სადღაა? — მოთმინება დაელია წიპლა-კოლას.

— გამობრძანდება ეხლა! — უთხრა ფარაჯამოხვეულმა მოხუცმა.

ამის თქმა იყო და ისიც გამოჩნდა. დოლ-გარმონმა ხმას უმატა. ხალხი სანახაობისთვის მოემზადა. მოჭიდავენი ერთმანეთისკენ გაემართნენ, ხელი ჩამოართვეს, საპირისპირო მხარეს გაშორდნენ, ნახერხს წამოავლეს ხელი და ისევ მიუახლოვდნენ ერთმანეთს. ჩოხებში ჩაბღუჯეს ხელები, ზამბარებივით დაიძაბნენ თავითავსმიდებულები. გლდანელმა მოგვერდი მოუნდომა. მარტყოფელმა არ მიიკარა ახლოს. წამსუკან თვითონ წამოსდო მარჯვენა ფეხი კოჭთან, მაგრამ ვერაფერს გახდა. ახლა კისერზე მოუნაცვლა ხელი, კისრულისთვის ჩაიმუხლა, მაგრამ ჩამუხლულივე დარჩა; გლდანელი თავს გადაევლო და ხელი უშვა მოწინააღმდეგეს, ისე რომ არც ჩაჩოქილა. ისევ შეიბნენ, ჩაბღუჯეს ერთმანეთი. ახლა გლდანელმა სცადა გარეკაური, მაგრად დაახვია მარჯვენა ფეხი გარედან მეტოქეს წვივზე და მოზიდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. სამაგიეროდ შოშიაშვილმა იდროვა, ზურგში მოექცა, ორივე ხელით წელში შეუვარდა, ასწია ზევით და ის იყო გვერდზე უნდა გადაეგდო, რომ გლდანელმა მარცხენა ფეხიც დაახვია მარცხენაზე და ზურგზე გადავარდნილ მეტოქეს გულმკერდზე დაეცა ზევიდან. თვითონ უმალვე წამოხტა. ქვეშმოქცეული გვერდზე გადაბრუნდა, სიმწრისგან სახე დაელმაჭნა. წაქცეულს მისცვივდნენ.

— რა იყო ნუგზარ!

— ნეკნი! — თქვა ბიჭმა. ფრთხილად ასწიეს და მანქანაში შეიყვანეს.

ხალხს გუნება გაუფუჭდა. დოლ-გარმონი ჩაჩუმდა. გლდანელი წრეში თავდახრილი იდგა.

— ეგ არაფერი! ხდება! შაუხორცდება, ისევ იჭიდავებს! — თქვა წიპლა-კოლამ.

ებიტაანთ ტრისტანამ გაიძრო შარვალ-ხალათი.

— ტრისტან გეეცა! ეხლა შენ უნდა

მეეკვლეევინო? ცოლშვილ ვის უტოვებ?! — დასჭყივლა ცეტმა.

— ხმა ჩაიწყვიტე! — უპასუხა ტრისტანამ და ჩოხამორგებული წრეში შემოვიდა.

— შოშიაშვილის მაგივრად ჭიდაობს ებიტაშვილი! შენ დაუკარ! — გამოაცხადა მსაჯმა.

ისევ მოედო საჭიდაოს ხალისიანი ხმა კლუბის ეზო-მიდამოს. ებიტაშვილი ნახერხს დასწვდა და გლდანელისკენ გაემართა, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან ხელებჩამოშვებული და მოღუშული შუბლსქვევიდან გამოჰყურებდა. მიუახლოვდა, ხელი არ ჩამოურთმევია, ისე დაუდგა საჭიდაო პოზაში. გლდანელი არ იძროდა.

— მიდით კაცო!

— მიდით, რას უყურებთ?! — შემოსძახეს.

— მიდი ანზორ, რა შენი ბრალია, მიდი! — გაამხნევეს გლდანელი თავისიანებმა.

დოლ-გარმონმა ტემპს უმატა. გლდანელმა თავისიანებს გადახედა, მერე ხალხს მოავლო თვალი, ბოლოს მის წინ საჭიდაოდ აცქმუტებულ მეტოქეს ზურგი შეაქცია და საპირისპირო მხარეს გაემართა წრიდან გასასვლელად. გზადაგზა ჩოხის ქამარს იხსნიდა. და აქ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა.

უშანგიმ კოსტუმი გაიძრო, წრეში შემოვარდა, ქუდმოუხდელი დაეტაკა გლდანელს და ძირს დასცა. გლდანელი მაშინვე წამოხტა, სიბრაზისგან სახე წამოენთო, უშანგის ხელი ჰკრა და დაუყვირა:

— შენ ვიღა ხარ?!

— ღმერთმა რომ არ იცის და ხატმა! — შეუძახა უშანგიმ.

— მიდი უშანგ! — დაჰყიჟინა დრიღამ.

— მიდი უშანგ! — დაიხუვლა ხალხმა.

უშანგი ჩოხაში მისწვდა, დაითრია გლდანელი და შუა წრეში შემოაგდო.

მსაჯმა ხელი ასწია, გასაშველებლად გამოემართა. დრიღამ გზა მოუჭრა.

— დააცათ, კაცო! — ყალყზე შედგნენ ერთნი.

— მიდი, უშანგ! — ამხნევებდნენ მეორენი.

უშანგის თვალიც არ დაუხამხამებია, ისევ დაეძგერა წრის შუაგულში მოქცეულ მოჭიდავეს. იკადრა გლდანელმა, თვითონაც სწვდა მხრებში. უშანგი არ ცხრებოდა, მკლავებზე ხელჩაკიდებული ეჯაჯგურებოდა გლდანელს. ფეხის წამოკვრას ლამობდა. არაფერი გამოსდიოდა. გლდანელმა უცებ დაიქნია თავისკენ მკლავებით, უშანგის ბეჭზე ხალათი გადაასკდა. ხალხი ახარხარდა, ყველა სეირისთვის განეწყო.

— რას ჩადი! — შეჰყივლა უშანგიმ, ხელები გაინთავისუფლა და ხელახლა ისე დაეტაკა, ორივენი ხალხს გადააწყდნენ. ხელი ჰკრეს და ისევ წრეში შემოაგდეს. ისევ დაეძგერა უშანგი. გლდანელს უკან აღარ დაუხევია, ჯიქურ მივიდა და როცა შეეწებნენ ერთმანეთს, მარჯვენა ხელი მხარზე გადაუტარა, მარცხენა ქამარში უტაცა. უშანგი კისერზე შემოეჭდო, შუაკაური ამოსდო. გლდანელმა უცებ ფეხი გაინთავისუფლა და მიწას მოსწყვიტა მეტოქე. ასწია და თავდაყირა გაშოტა ჰაერში. უშანგი ფეხების ქნევას მოჰყვა და ჯიბეებიდან კაკალი წამოსცვივდა. კაკალი გლდანელს ებნეოდა გულმკერდზე და მიწაზე ცვივოდა. მოულოდნელობისაგან ხალხს სიცილი წასკდა.

— აი, გაქრი, უშო! — დაუძახა ცეტმა.

— უი, დაგიდგა თვალები! — აღმოხდათ გოგონებს.

გლდანელსაც გაეცინა. ძირს დაუშვა ჰაერში აყირავებული მოსარჩლე. გაბნეულ კაკალს ცეროდენა ბიჭები წაესივნენ. უშანგიმ იდროვა და წრიდან გავარდა, ბაღებისკენ გაქანდა.

ასე ირბინა უკანმოუხედავად, სანამ ბაღ-ვენახების სიღრმეში არ აღმოჩნდა, მერე სირბილს უკლო და ქოშინავარდნილი სიარულზე გადავიდა. სირცხვილი სწვავდა და სინდისი ქენჯნიდა, თავის თავზე ბრაზობდა. ვაი

სირცხვილო! ახია, რას იმეტიჩრა? არა, ზომა დაჰკარგა. თუმცა რა, იმ გოგოს ეშხით... თანაც ნასვამი იყო... ოჰ, როგორ არი ყველაფერი ერთმანეთზე გადაჯაჭვული! ფუი ამ საქმეს!

ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაოფლიანებული სახე მოიწმინდა. ნიავს მოჰქონდა დოლ-გარმონის ხმა და ხალხის ხმაური. სინანული მოეძალა უშანგის. ჰმ, პიჯაკიც იქ დარჩა! ზურგზე შეივლო ხელი, ხალათი მტკაველზე ჩახეოდა. ბრაზი მოერია. რა ჰქნას? წავიდეს? არა! უარესი! არა და... რაც არი, არიო, გაიფიქრა და მარცხნივ გაუხვია, რომ გზა გადაეჭრა და ბაღ-ვენახებით მისდგომოდა ძმის სამოსახლოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ უშანგი ძმის სამოსახლოს მიუახლოვდა, საიდანაც უკვე კანტიკუნტად მოისმოდა იქ მომუშავე ხალხის ხმები. სანამ სამეზობლო ეზო-ყურეს გასცდებოდა, გზადაგზა ხალათი გაიძრო და მხარზე გადაიკიდა.

წელიწადი სრულდებოდა, რაც მისი ძმა — ალექსი ძირითად ოჯახს გამოეყო და სამხედრო სამსახურვალმოხდილმა თავის ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად ებიტაანთ უბანში დაიდო ბინა. პირველივე წელიწადს პირველ სართულს დაადგა თავი, დაათბო და დაიზამთრა. ახლა კი, ამ შემოდგომაზე მეორე სართულს შესჭიდებოდა.

როცა უშანგიმ ჭიშკარი შეაღო, იქ სულ სხვა სურათი დახვდა, ვიდრე თვითონ მოელოდა. მეორე სართულის კედლები ფანჯრის თაღებამდე აეწიათ და ახლა თავის მოდგმას ლამობდნენ. კედლებს ორი კალატოზი და ორიც დამხმარე შესდგომოდნენ, ხარაჩოებზე წამომდგარნი, ქვევით ხუთი-ექვსი კაცი ტრიალებდა, მასალას არჩევდნენ, ახარისხებდნენ და აწვდიდნენ კედლის ოსტატებს. ეზო საამშენებლო მოედნად ექციათ და ყველგან ეყარა რიყის ქვის, აგურის, სილის, ცემენტისა და კირის გროვები. თავად ალექსი ეზოს შუაგულში იდგა, ტანზევით შიშველს და ფეხშიშველს ჯარისკაცის მწვანე გალიფე წვივებზე აეკეცა. სილას, ცემენტსა და კირს ერთმანეთში ურევდა, დუღაბად კრავდა. მარჯვედ და ღონივრად ატრიალებდა ნიჩაბს, მზით გარუჯულ სხეულზე კუნთები ებერებოდა, მზეზე ულაპლაპებდა გაოფლილი სხეული. ყველა ისე გართულიყო თავთავიანთი საქმით, რომ ვერც კი შეამჩნიეს ახალშემოსული.

— გამარჯობათ! — თქვა ოდნავ გაუბედავად უშანგიმ.

ყველამ მისკენ მიიხედა. გაგიმარჯოსო, კანტიკუნტად მიაგებეს.

ალექსი, ზურგით რომ იდგა მისკენ, მობრუნდა, შუბლიდან ოფლი გადაიწრიტა, ძმას მიაჩერდა. არაფერი უთქვამს. ნიჩაბზე დაყრდნობილს ოფლი ჩამოსდიოდა და ძმას მისჩერებოდა. მძიმედ სუნთქავდა და უყურებდა ასე. მის თვალებში არც ზიზღი გამოკრთოდა, არც წყენა. უყურებდა მშვიდად, მაგრამ ამ მშვიდ მზერაში უშანგიმ მაინც იგრძნო უტყვი საყვედური და სახე მოარიდა.

ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან ებიტაანთ ანდრო მოადგა ღობეს, ნაბდის ქუდი გადაიწია და ჩანაოჭებული შუბლი გამოაჩინა.

— ალექსი! მოდი შენ დაკალ, შვილო!

ალექსიმ თვალი მოავლო იქ მყოფთ, ნიჩაბი ხრეშში ჩატოვა და ჭიშკარში გავიდა.

— მოიტათ დუღაბი! — დაიძახა კალატოზმა.

თითქოს ამან გამოაფხიზლაო, უშანგი ქვიშის გროვისაკენ გაემართა, თავჩაღუნული მიეძალა ნიჩაბს.

ანდროს ეზოდან თონეში ჩაშვებული ფიჩხის ტკაცატკუცი მოისმა.

— ვასიკო, დუღაბი! — დაიძახა ისევ მალხაზმა.

თავხოტორა ვასიკო ოთხი ცარიელი ხელკასრით მიადგა უშანგის.

— ჩაასხი ჰა!

— აქეთ მოსწი! — უთხრა უშანგიმ

და სამი ნიჩბით შეავსო ხელკასრი, შემდეგ მეორე. ვასიკო დასწვდა და სახლისკენ გააქანა, სათითაოდ ჩააბა თოკი.

— ასწი!

— აგური! — დაიძახა ნიბლიამ, მეორე კალატოზმა.

— მოდის აგური! — ასძახა გოლამ, ანდროს ვაჟმა. ის აგურის გროვასთან ჩაცუცქულიყო, მთელსა და ნამტვრევს აცალკევებდა.

— ქვა!

— მოდის ქვაც!

ხელსაზიდით მიაშველეს ქვა კალატოზებს.

— ხურდა!

— რის ხურდა, ტრანვაიში ხო არა ხარ? — გაიკრიჭა ვასიკო.

— ხურდა-მეთქი! — გაიმტკიცა ხმა ნიბლიამ.

— ქვისა თუ აგურის?

— ორივე, ჭინკავ!

დაბზრიალდა ვასიკო, აგურის ნამტვრევებით და რიყის პატარა ქვებით შეავსო ხელსაზიდი.

მოსაღამოვდა. გახურდა მუშაობა.

უშანგიმ ისევ შეავსო ცარიელი ვედროები. მერე დუღაბს წყალი აპკურა. და აურია. ისევ მობრუნდა ვასიკო ცარიელი ჭურჭლით. შეატყო, უშანგი მონდომებით მუშაობდა.

— მიდი უშანგ, დღის ნორმა უნდა შევასრულო!

უშანგი თავჩაღუნული და პირმოკუმული მუშაობდა. ვასიკო რომ გაისტუმრა, ერთი წუთით შედგა, თავი ასწია და ღობის გადაღმა ძმას და ანდროს მოჰკიდა თვალი. ალექსი ხანჯალს ლესავდა. მერე კვრინჩხის ბუჩქნარის იქით ორივენი ჩაიმალნენ და ცოტახნის შემდეგ ცხვარიც აბღავლდა.

უშანგიმ ქვიშის გროვა გადაშალა, შუაში ღრმული გაუკეთა, კირი და ცემენტი მოაფრქვია. ვეებერთელა კასრიდან წყალი ამოიღო და ღრმულში ჩაუშვა. მერე ნელ-ნელა მიჰყვა ირგვლივ ხრეშის გროვას ნიჩბით.

— იმ დღეს ქალაქში ჩაველ. ნავთლუღის ბაზარზე პამიდორი ჩავატანინე ქალსა, — დაიწყო ნიბლიამ, თან თარაზოთი ამოწმებდა კედლის სისწორეს, — გამოვტრიალდი, გადმოველ რკინიგზის სადგურთან...

უშანგი წელში გაიმართა. მისკენ მომავალ რძალს მოჰკრა თვალი, უკან ბაბალე მოჰყვებოდა. რძალ-დედამთილს ხელში ხის ტაბაკები ეკავათ, რომლებზედაც გუნდა-გუნდად მოზელილი ცომი ეწყო.

— „მაზი“ არ შასჯდომოდა „ზაპოროჟეცსა“?! ისე ექცივნა, ისე ექცივნა... ძალო! აბა ერთი კაი დედასპურები დაგვიცხე შენებურად!

ბაბალე შეჩერდა, ნიბლიას ახედა.

— ისეთი პური დაგიცხოთ, რომა!.. — ასძახა ჩახლეჩილი ხმით.

— გამარჯობა უშანგი! — ღიმნარევი ალერსით უთხრა მოახლოებულმა რძალმა.

— ეგ რა სალმის ღირსია?! მწყრალად შემოხედა შვილს ბაბალემ. უშანგის არაფერი უთქვამს, ისე გააყოლა თვალი ჭიშკრისაკენ მიმავალი რძლის ზორბა მოყვანილობას და დაჩიავებულ ბაბალეს. გუნებაში გაიელო მრავალგზის ნაფიქრი, რომ მისი ძმა და რძალი ერთმანეთს შეეფერებოდნენ და მზერა კვრინჩხის ბუჩქნარისაკენ გადაიტანა, სადაც ალექსის თუთის ხის ტოტზე ცხვარი ფეხით ჩამოეკიდა და ატყავებდა.

— მაინც როგორ გადარჩა ის შობელძაღლი, ერთი ნაკაწრი არა ჰქონია, აი! — დაასრულა ნიბლიამ.

— ეხლა იმოდღოლა მანქანებია ქალაქ, რო... — გაეპასუხა მეორე კალატოზი.

— ახლა ხალხი? — თქვა ისევ ნიბლიამ, — ერთი ერთმანეთს ასხედან! ნეტა გული როგორ არ უღონდებათ ამოდელა ხალხს ერთმანეთის ყურებითა?!

— შაჩვეულები არიან! — ჩაერია ვასიკო.

— ერთი მაგათი ყოფაც არი რა! მაიტათ აგური!

უშანგი ხარაჩოზე ავიდა, ნიბლიას ამოუდგა გვერდით.

— ცოცხლად! — უთხრა კალატოზმა. გამალებით აწყობდა ქვას და აგურს ახალდასხმულ ბათქაშზე.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ანდროს ეზო. ანდროს უკვე გაემართა სახელდახელოდ გრძელი მაგიდა. ახლა ქაღალდს აკრავდა ზედ. ალექსის ცხვარი გაეტყავებინა და პატარა ცულით ხორცს კეპავდა. აგურის საბჯენებზე ვეებერთელა სპილენძის ქვაბი შეედგათ და ცეცხლი შეენთოთ.

— აბა ჰა, — დასძახა თავისებურად ნიბლიამ.

საღამო ხანს, როცა სოფლის მიღმა მდებარე გარინდული მთაგრეხილების იქით მზე ჩაიწვერა და ბინდმა იმძლავრა, მშენებლებმა მუშაობა მოათავეს და სასიამოვნოდ დაღლილ-დათენთილები ხარაჩოებიდან ჩამოიკრიფნენ. რა ხანია ანდრო იჭაჭებოდა, აბა ბიჭებო, მოდით რაღას უყურებთო, მაგრამ ისინი რატომღაც აყოვნებდნენ, ვითომ ეზოში მიყრილ-მოყრილ მასალას აწესრიგებდნენ, სინამდვილეში არ უნდოდათ თავიანთი ნახელავის ასე სწრაფად მიტოვება. ყოველი მხრიდან უჭვრეტდნენ ახლა უკვე მოთავებულ მეორე სართულის კედლებს და თავიანთი ნამოქმედარით ტკბებოდნენ. ბოლოს ისევ ალექსიმ გაიღო ხმა, — აბა წავიდეთო! მადლიერი მზერით ერთმანეთს გადახედეს და ანდროს ეზოს მიაშურეს. იქ, ონკანზე, მთელი დღის გარჯით მონაგარი ოფლი ჭოტორის წყლით განიბანეს და სუფრისკენ გასწიეს.

სუფრაზე ლაზათით ელაგა ცხელცხელი დედასპურები, გუდის ყველი, კიტრი, პამიდორი, ბაღჩის ახალდაკრეფილი მწვანილი. ის იყო სუფრას შემოუსხდნენ და პური გატეხეს, რომ ეზოში ანდროს უმცროსი ვაჟი ტრისტანა და გლახუნაანთ ცეტი შემოიძურწნენ. ცეტს უშანგის პიჯაკი იღლიაში ამოეჩარა. ისინი შუადღემდე მუშაობდნენ აქ ჩიტოს ბიჭთან ერთად, მერე სადღაც გაქრნენ.

— ჰატ, თქვე ქარაქუცებო! — დასჭყივლა ანდრომ. — აქედან დაიკარგენით!

— რათა, ნახევარი პურმარილი აღარ გვერგება?! — თქვა ცეტმა და პიჯაკი პატრონს გაუწოდა.

— ნუგზარა სადღაა?!

— სავანტყოფოში!

— იქ რა უნდა?

— ნეკნი გაიტეხა! — თქვა ტრისტანამ.

— მერე თქვენა?

— ჩვენ რა, იქ ხო არ დავრჩებოდით! — თქვა ცეტმა, — ექიმები იქ არ არიან?!

— მოდით აქ, დასხედით, გაგვაგებინეთ რიგიანად! — ჩაერია ნიბლია.

— რას გაჩუმებულხარ, შენც იქ არ იყავი? — მიუბრუნდა ცეტი უშანგის, რომელსაც ღვინით სავსე ხელადები მოჰქონდა.

— მე რა, შენ გეკითხებიან!

— აღარ იტყვით? — იკითხა ალექსიმ.

— არაფერი, ფინთად დეეცა, მაიტა დაასხით, ყელი გაშრა ე ოხერი! — თქვა ცეტმა.

— შენც რა, დიდი ჯაფა დაგადგებოდა! — გაკენწლა მალხაზმა, იცოდა რა, ცეტი არ იჭიდავებდა.

ღვინო გათლილ ჭიქებში დაასხეს.

— მალხაზ გაგიმარჯოს, ვიცი თამადად უნდა აგირჩიონ! — თქვა ცეტმა, ჭიქა ასწია და გადაჰკრა. ჭიქა არ დაუდგამს, თვალები ააპარპალა. — უჰ! სადაურია?! ბოლი გამადინა!

— კარდანახულია! — ღიმილით თქვა ალექსიმ.

— მალხაზ გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს თამადავ! — შემოსძახეს თითოთითოდ.

— ბოზბაში, ბიჭებო! — ოთხი თეფშით მოადგა ანდრო სუფრას.

— დაასხით კარდანახულად! — დაიძახა მალხაზმა და წამოდგა.

— ალექსი, ეს ღმერთმა თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენი ბუდის სადღეგრძელო იყოს! აშენებაში, დამშვენებაში,

მშვიდობითა და კარგი ყოფნით მოგახმართ!

— აი იცოცხლე, აგაშენოს! — თქვეს სხვებმა.

— თქვენიანად! — თქვა ალექსიმ, — რაც პატივი დამდეთ გადამეხადოს.

— მიირთვით ბოზბაში! — ახლა ბაბალე მოადგა სუფრას წვნიანით.

უშანგი სუფრის ბოლოს მოექცა. გაგიმარჯოსო, გასძახა სუფრის თავში ძმას და ჭიქა გამოსცალა. ალექსიმ თავი დაუქნია.

ყველას მოართვეს წვნიანი. მადიანად შეექცნენ. ორთქლი ასდიოდა თეფშებს. ბინდმა იძალა. სუფრის თავზე გაკიდული ნათურები აანთეს.

— სად იყავით აქამდინ, კინაღამ ძვალი გადამცდა! — თავი აიღო ცეტმა.

— რა შვილი ხარ ძვალს გადაიცდენ! — გამოეპასუხა გოლა.

— ძია ანდრო, მოდი კაცო, ერთი ჭიქა დაგვილიე! — მოუბრუნდა მალხაზი ქვაბებთან მოფუსფუსე მზარეულს.

— დამაცათ შვილო, ხორცი არ ჩამეშალოს!

— მაგას რა ჩაშლის, გადაბერებული ჭედილაა! — თქვა ცეტმა ანდროს გასაგონად.

— მამა გიცხონდა, მაგითანა მასპინძლობა თქვენკენ მაიკითხე! — ანდრომ ქაფქირი ქვაბზე ჩამოსდო, სუფრისაკენ წამოვიდა და ჭიქა აიღო, — აბა, ყურის მეზობელო! — ყურში მისწვდა ალექსის. — მალე დაგედგას თავი სახლითვინა. ზამთარიც შორს არ არი. სუ კარგა იყავით! — თქვა და გადაჰკრა.

მცირეხნის შემდეგ ჭიქები ხელახლა შეავსეს. მალხაზი წამოდგა.

— ალექსი, თქვენ ძველ კერას ვადღეგრძელებ!

— რა წამდაუწუმ ფეხზე დგები, კრებაა! კონფერენციაა!.. — აღნავლდა ცეტი.

— დაჯე, დაჯე, — უთხრეს სხვებმაც.

— ეგრე იყოს. — თქვა მალხაზმა და დაჯდა. — ძველ კერას გიდღეგრძელებთ, იმ ბანიან სახლს. იქა გზრდიდათ ბაბალე, უმამოდ, წვითა და დაგვით, როგორც იტყვიან. იქიდან მოიდიხართ შენცა და უშანგიც. ბაბალე კარგათ იყავი!

— მადლობთ შვილო!

— უშანგ გაგიმარჯოს! — გააგრძელა მალხაზმა. — იმდენი შნო და მარიფათი გამოგეჩინოს, შენც წამოგეჭიმნოს ორსართულიანი სახლი მამის ნაფუძვარზე! თავი აიღე ბიჭო! აბა, გაჰხედე ამ სოფელს, რა ვეებერთელა სახლები დადგეს! შენ რაღათ უნდა გამოსწყდე ტოლ-სწორში, ხო ხედამ, ბაბალე დაგიბერდა, შენცა ბერდები, ოჯახს უნდა მეეკიდო!

— მე ვინ წამამყვება?! — თავაუღებლად ხმადაბლა თქვა უშანგიმ.

— შენი ჩალხანაც მაიძებნება. — გადაჰკრა ცეტმა — რა გული გაგიტეხია?!.. აგე, ბიკილოს შავრთეთ ცოლი, შენ რა ღმერთი გაგიწყრება!

ყველას გაეცინა უნებურად.

— კერას გიდღეგრძელებთ! — თქვა ნიბლიამ, — ჯერი შენზეა უშანგ. შენ იცი და შენმა ბიჭობამ. ამდენ პროფესიებ რო იცვლი, ეგრე არ არის შვილოსან! შენ დღეს დურგალი ხარ, ხვალ კალატოზი, ზეგ „პამოშნიკი“, მაზეგ მიწის მუშა.

— დღეს მოჭიდავეც გახდა! — ჩაურთო ცეტმა.

— გაწყვიტე ხმა! — შეუბღვირა უშანგიმ — შენღა მაკლდი.

— დამაცათ ჰო! — თქვა ნიბლიამ და გააგრძელა — კაცი ერთ რამეს უნდა მეეკიდო, რაც გემარჯვება. მერყეობა მავნეა! შენ კი საფანტივით იფანტები. უძლურებაც მანდ იბადება. ერთ რასმეს უნდა მეეკიდო, თუ გინდა კაცურ ყოფას ეწიო!

— წავალ ქალაქ! — მოიღუშა უშანგი.

— წახვალ შენც ფარდაგები არ გაგიფინონ! — მოულოდნელად დასჭექა ალექსიმ, ფეხზე წამოდგა, სახე წამოენთო. ყველამ მას შეხედა. — სწორს

გეუბნებიან! რო იბერები, ვის ებერები?! რას დალაყუნებ ალმა-დალმა! ბიკილომ როგორ უნდა გაჯობოს შე ჯიგარძაღლო!

უშანგი წამოხტა, ძმას გახედა, რაღაცის თქმა დააპირა, მერე დანარჩენებს მოავლო გაბოროტებული თვალი.

— შაკარით პირი?! — დაიყვირა, ქუდს წამოავლო ხელი და ეზოდან გავარდა.

— უშანგ, უშო! — დაადევნეს უკან — სად მიხვალ, ბიჭო!

— გაანებეთ თავი! — თქვა ალექსიმ და დაჯდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს! — თქვა გოლამ. მას დანარჩენებიც შეუერთდნენ.

უშანგი კი პირმოკუმული და ჯიბეებში ხელჩამუშტული უკვე გზას მიიკვლევდა ორღობეში. ვარსკვლავები ციმციმებულიყვნენ მოწმენდილ ცაზე, მაგრამ ჯერ მთვარე არ ამოსულიყო და მაინც ბნელოდა. თუმცა მისთვის ნაცნობი იყო ამ ბილიკის ყოველი გოჯი. თანაც მეზობელი სახლებიდან ხეთა მწვანე საბურველში გამომკრთალი შუქი უადვილებდა გზას. გზას ისიც უადვილებდა, ბოლომისაგან ზამბარასავით რომ იყო შემართული.

ირგვლივ სიწყნარე სუფევდა. ნიავმა წამოუბერა და ჩუმი შრიალი მოედო მიდამოს. ნაბდიაანთ ვენახის ბოლოს მარჯვნივ შემოუხვია, ნაბიჯი შეანელა. სიბნელეში ოშაყმაანთ თედოს ახალი ორსართულიანი სახლის კონტურები გამოისახა. სახლს სახურავიღა აკლდა. მალე გადმოსახლდებოდა აქ თედო. მთელმა სოფელმა იცოდა, სამოცდახუთი წლის ჭარმაგი მოხუცი ჩეჩელაანთ ქვრივს ირთავდა. შეირთავდა და გადმოსახლდებოდა. ამის მოწმე თედოს ახალი სახლი იყო, რომელიც ახლა უტყვი მდუმარებით უშანგის წინ გარინდულიყო.

დიდხანს აღარ უვლია, ოშაყმაანთ ნაკვეთს გასცდა და შუკაში გამოვიდა. მერე ყორით შემოსაზღვრული მისი კარმიდამოც გამოჩნდა. სახლში სინათლე არ ენთო. არავინ იყო იქ. სახლშიც სიბნელე მიელოდა. კარებს მიადგა, ნერვიულად გამოსწია ურდული. დერეფანში ნაბადგადაფარებულ სკამლოგინზე მიწვა და ხელები თავქვეშ შემოიწყო. სახლში სიჩუმე იყო. სიბნელე და სიჩუმე, და ეს უფრო აღიზიანებდა. დიდხანს ვერ გაძლო. წამოჯდა, პაპიროსს მოუკიდა, მერე ადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. მაინც ვერ დაწყნარდა, სული შეეხუთა, პაპიროსი ხელში მოსრისა და გარეთ გამოვიდა. ერთხანს იდგა გაუნძრევლად, მძიმედ სუნთქავდა. მერე ნაბიჯი გადადგა, სახლს შემოუარა, სახლის უკანა მხარეს, კედელთან, უამრავი ალიანტუზი ამოსულიყო. ზოგი ისე წამოზრდილიყო, კედელს მისძალებოდა და სახურავამდე აღწევდა. სახლში შებრუნდა, წალდი გამოიტანა და ალიანტუზებს დაერია. სჩეხდა უმოწყალოდ, ზოვს ხელით ფესვიანად აძრობდა მიწიდან. ჰაერი მყრალი სუნით გაიჟღინთა. ასე მიჰყვა შეუსვენებლივ, სანამ ერთიანად არ გაჩეხა და ამოძირკვა.

იალნოს მთაგრეხილს მთვარე ამოსცდა და იქაურობა გადაანათა. უშანგიმ წალდი დერეფანში მიაგდო, ხელი გადაიბანა და სახლის ბანზე ავიდა. ირგვლივ დავანებულ მყუდროებას გაღმა სოფლიდან მოღწეული ძაღლების შორეული ღავღავის ხმა თუ არღვევდა. ცოტა დაწყნარდა, სული მოითქვა. მერე პირდაპირ შიშველ მიწაზე გაწვა და ცას შეაცქერდა. ბანზე გატკეპნილ მიწას ოდნავ შეენარჩუნებინა მზის სითბო და ახლა მას გადასცემდა. მხრები გაშალა, გაიწვართა, ხელებიც გაშალა, ხელისგულები ქვეშ ჩააბრუნა და მთელი არსებით გაეკრა მიწას. მიწას სითბო ჰქონდა, მზისაგან იყო. ეს სითბო გადადიოდა მის სხეულში და მასაც ათბობდა. თვალები დახუჭა და გაირინდა...

ხმაურმა გამოაფხიზლა. ფეხის ხმა იყო. თავი ასწია, შუკაში თავსაფრიანი

დედაბერი დალანდა. მთვარის ნათელზე იცნო. ბაბალე ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. სახლისკენ შემოუხვია და დაიძახა:

— უშანგი!

უშანგი ისევ მიწას გაეკრა, ფეხის ხმას აყურადებდა. ეზოში ბაბალემ ისევ დაიძახა.

— ბიჭო, უშანგი! — მერე მოისმა როგორ მისწვდა კარების ურდულს, ცოტახნის შემდეგ ბაბალე სახლიდან გამოვიდა და ისევ დაიძახა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

— სად დაიკარგა ეს ბიჭი, ქა! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ეზოდან გავიდა.

უშანგიმ ისევ წამოიწია და ახლა შუკაში უკან მიმავალი დედა დაინახა. უეცრად გული დასწყდა, რომ დედამ ვერ იპოვა. გული ეტკინა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ანდროს ეზოში ეწადა დაბრუნება, არა! ეს იყო მშობლიური გულისტკივილი, ისეთი, როგორსაც განიცდის ბავშვი, როცა ვერ პოულობს დედა, ანდა, როცა დედას ვერ პოულობს ბავშვი. უშანგის გული მოულბა, ჩანს არ ჰყავდა მოძულებული ბაბალეს, რაკი მოაკითხა. მისი მოსვლა ზრუნვა იყო, გულისტკივილი. ეს იგრძნო ბიჭმა და გულიც ამან მოულბო.

მერე ძმასაც გადასწვდა ფიქრით. განა მისი პირგამეხებაც გულისტკივილით არ იყო გამოწვეული? უთუოდ. ძმაზე სიბრაზე გაუნელდა. ახლა კარგად რომ ჩაუკვირდა თავისთავს, მიხვდა, ძმა არათუ სძულდა, უყვარდა და ამას იმსახურებდა კიდეც. ის სიძულვილი წუთიერი იყო, გაქრა, წავიდა, სიყვარული კი დარჩა. განა თვითონ არ იყო მოწმე, ალექსი რა ყოველდღიური გზნებით შეუდგა ოჯახის შენებას. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. შრომაში ალამებდა ყოველ ცისმარე დღეს. არც დედისა და ძმისკენ იყო მოუხედავი. ახლა, ზამთრის დადგომამდე სახლსაც გადაჰხურავდა. ჰოდა, ძმაც უნდა რომ იმსგავსოს. განა ადრეც არ წაიკიდნენ?! ალექსი ედავებოდა, მართალია ფიზიკურად ვერა ხარ ძლიერი, მაგრამ ხელი კარგი გაქვს, დურგლობას დაეშურეო. არა ჰქნა უშანგიმ. მანქანას იყო დახარბებული. მერე? რა სიკეთეს ეწია?! კაცს ფეხი მოსტეხა, სოფლიდან გადაიხვეწა.

თავიდან რომ ვერ აეწყობა კაცის საქმე, ძნელია. ძნელია, მაგრამ რაღაა ადვილი? ადვილის ძებნაში გავარდა ცხოვრება და ეგ არი! რა თქვა ნიბლიამ? კაცი ერთ რამეს უნდა მოეკიდო, რაც გემარჯვებაო?! კარგადა თქვა! სწორედ ასეა! მაშინ ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. დედაც, ძმაც, მეგობარიც, ამხანაგიც და სხვაც. ახლა კი სიმარტოვის წყვდიადში შეუმჩნევლად ეფლობა, ყველა შემოეფანტა. არის მხოლოდ თანაგრძნობის სუსტი ალი მახლობლების მხრიდან და ალბათ ისიც ჩაინავლება. ჩაინავლება, თუ დროზე არ გააღვივა თავმოყვარეობის მთვლემარე ნაპერწკალი, თუ დროზე არ იპოვა გზა, რომელიც მის უნარსა და ძალას გამოავლენს.

„ძალა შენშია, მხოლოდ შენში!“ — დაირეკა ცხადად უშანგის გონებაში.

ამისათვის უნდა გაფხიზლდეს, ცხრა თვალი და ყური გამოიბას, სწორად განსაჯოს და გულმოდგინედ მიჰყვეს თავის საქმეს, სიკეთე რომ მიანიჭოს ახლობელს. სიკეთე კი სიკეთედ თუ დაგიბრუნდება. ასე შეიძლება ეზიარო კაცურ ყოფას.

უშანგი წამოდგა, ღრმად ამოისუნთქა ჰაერი, თან გულის მღელვარება ამოაყოლა. თვალი მოავლო მახლობელ ეზოებს და სახლებს, საიდანაც ელექტრონის შუქი გამოკრთოდა. მერე საკუთარ ბანიან ნახევრადმიწურსაც დაჰხედა. ბანიდან ნელა ჩამოვიდა. მას არ შეეძლო ახლა ამ ბნელ და უკაცურ სახლში ყოფნა. გული ვერ იტევდა მღელვარე ფიქრებს. მობრუნდა, ეზო გადასჭრა და მთვარით განათებულ შუკაში გადაბაბიჯა.

თ. იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

*რომანი*

„მოშუადღევდა... აპეტელდა თხა... მოშივდა ალბათ, ან მოწყინდა ამდენი ხალხის ყურება ტყესა და მთას მიჩვეულ პირუტყვს. რატომ იყო ასე გამხდარი ის ბალანდასაწვავი, მაშინ ტყე და მინდორი არ ეშოვებოდა? თუ ბებერი იყო, ან მართლა ასეთი უჯილაგო. სამაგიეროდ, ხმა ჰქონია ისეთი, თურმე ვერაფერი საყვირი და ღოროტოტო ისეთ ბგერებს ვერ გამოსცემს. ყოველ დაპეტელებაზე მთელი ბაზარი მისკენ იცქირება და ეს საწყალი გოგო თურმე სახეზეც იმ დარაიის ფერი ხდება, ტანზე რომ აცვია... აპეტელდება თხა და ყველა ისევ იქეთ მიაჩერდება... მუდამ ასე იყო და მით უმეტეს მაშინ, ბაზარი, ბაზრობაც იყო, გართობაც და სათვალსეიროც. თანაც ვინც მართლა მყიდველი და გამყიდველი იყო, იყიდეს და გაყიდეს, ახლა ხომ გინდა თვალს წყალი დაალევინო და აგერაა წითელკაბიანი გოგო, წითელი ღვლერჭით ეშმაკის მაშხალა უჭირავს და ხმას გამოსცემს — ტყიდან მგლებს და დათვებს გამოგირეკავს... ხალხსაც მეტი რა უნდა, მთელ ამ გათხელებულ ბაზარს თვალი და ყური აქეთა აქვს... ის ალარავის ახსოვს, რომ ეს გაჭირვებული ჰყიდის ამ თხას. არა, ყველას ჰგონია, აქ ამათ გასართობად და თავშესაქცევად მოსულან... ახლა იქნებ აღარც გაყიდვას დაეძებს, ოღონდ აქაურობას გაეცალოს, მაგრამ ამ უცნაურად აკიკინებული ქეციანი ეშმაკით ფეხის მოცვლა არ გინდა?

და აი, აქ კი ველარ მოითმინა ბაბუამ. უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გადაწყვიტა ამ თხის ყიდვა, ალბათ ასე რომ არ ექნა, ისევ რაიმეს მოგონებას ვერ მოახერხებდა და რაკი გადაწყვიტა, მართალიც იყო და რაკი მართალი იყო — გაბედულიც. მოვიდა, ქვეყანა რომ ზედაა შემოჩერებული, ამოიღო ფული, რომელიც ცხენისათვის არ კმაროდა, თუ არა, თხას, ერთს კი არა, ხუთს იყიდიდა და კინალამ ასე დაუთვლელად ჩაუკუჭა ხელში. მაგრამ იაზრა, ამას თვითონ თხის პატრონი არ იზამდა და ფასი ჰკითხა.

— რაც გინდა მომეცი და მომაშორე!.. — ჩაილაპარაკა თურმე ბებიამ, სახეზე ხელებაფარებულმა, თან ღვლერჭის თავიც რომ ეჭირა.

— არა, მაინც?.. — უთქვამს ბაბუას, რომ ხალხს დაენახა, როგორც ყიდვაგაყიდვის წესია, ისე ვიქცევიო.

გაგრძელება. იხ. მნათობი“, № 2.

— რაც გინდა, ოღონდ მომაცილე!

—ხომ იწველება? — ბაბუას ვაჭრობის ყოველგვარი კანონის დაცვა მოუნდომებია და დახრილა, რომ თხის ცური და ძუძუები დაენახა.

— გაწყდა მაგის ჯილაგი, ბევრს არაფერს...

— ბოვშებს დააპურებს? — უკითხავს ისევ მუშტარს.

— ბოვშებს არა!.. — კაკალი გული ჩავარდნია ბებიას, რომ ბაბუას ბავშვები უხსენებია და ისიც მრავლობითში.

— მაინც, რა მოგცე?

— გითხარი მე, რაც გინდა-მეთქი!— უკმეხად უპასუხია ბებიას, რაკი მიმხვდარა, რომ ის კი არ მოწონებია ამ კაცს, შეცოდებია და ამიტომ მოუნდომებია მისთვის ქვეყნის სასაცილო საქონელი გაესაღებია.

— კაი აბა, მე მოგითვლი და როცა... — ბაბუას გადათვლა დაუწყია, რომ ბებიას უარი უტკიცავს.

— არ ვყიდი!

— რაო?! — ხელი ხელს შერჩენია ბაბუას.

— არ ვყიდი! — დაუვლია თხისათვის ხელი და ბაზრიდან გაყვანა მოუნდომებია, მაგრამ ასე შენს ნებაზე წაგყვება ეს ბალანდასაწვავი?

მიათრევს თურმე ბებია, მიბღავის წინ ფეხებმისობილი თხა და მისდევს ბაბუა.

„ასე დაქორწინდა ბაბუა, — თავი დაუქნია ფარნამ თავის თავს სარკეში და თმა ჩამოივარცხნა, — და მეტ-ნაკლებად ასე ქორწინდებიან მისი შთამომავლები, იქნებ ბაბუას წინაპრებიც...“

— მამა! — თავი შემოჰყო ბაკურმა ღია კარებში.

— ჰო, მოვდივარ, მოვდივარ...

„პირდაპირ ამოუხსნელი უცნაურობებითაა გამოტენილი ადამიანის გონება, რისგან რას არ ამოატივტივებს ხოლმე. მე ახლა ბაბუაჩემის ფანტაზიებისა და ბებიაჩემის თხის დარდი მაქვს, ქვეყანა რომ თავზე გვექცევა და ეს ბიჭები დღეიდან რომ გაიფანტებიან? კაცმა არ იცის ვის სად უკრავენ თავს და რა ელოდებათ, მე კი ამაზე უნდა ვფიქრობდე?

„უთავბოლოა ადამიანის ფიქრი და უკიდეგანო“...

„ადამიანი ზოგჯერ იმ ცხოვრებითაც კი ცხოვრობს, რომელიც არამც თუ თავს გადახდენია, ყურმოკრულადაც არ გაუგონია... რა ჯანდაბაა ეს? ვინმემ იცხოვრა, ან იოცნება და მერე შენ დაგიტოვა? ქაღალდზე დაუწერლად და ქვაზე დაუხატავად? თუ მიწაზე, ჰაერზე ან მზეზე იწერება რაიმე და ჩვენ ზოგჯერ უანბანოდ ვკითხულობთ და არ ვიცით რომ ვკითხულობთ?..

ფარნამ კიბე ჩაირბინა და სამზადს მიაშურა, სადაც სოხანეზე დადგმულ დაბალ ტაბლა-სუფრაზე ნაუცბათევად გამზადებულ საუზმეზე ელოდნენ.

## IV

გზაზე დამდგარმა მამუკამ და თეკლამ ვატუტისაც „მოაგონეს“, რომ თბილისში გადაუდებელი საქმე მიატოვა, მამას ვერ გაუტეხა ხათრი და მოტოვა. ამ უკიდურესობების კაცს რომ კიდევ არაფერი მოჩვენებოდა, ვატუტამ სამსახურის დაწყებას ვაპირებო, მოიმიზეზა; შარშანაც ხომ ამიტომ არ გაჩერდა სოფელში, ახლა ეგონა არ ემახსოვრებათო, და თუ ემახსოვრებათ, ამის თავი აღარავის აქვსო. თანხმობას არ დაუცადა, მაშინვე ოდაში შევარდა და მხარზე პიჯაკმოგდებული დაბრუნდა.

—რა სამსახურს ეპირება?.. — რუსუდანის მხარეზე მიიხედა ფარნამ, მაგრამ არც ის დაუნახავს.

— ექიმის ადგილს მე ჯერ არავინ მომცემს! — ისე შეიკვირვა ვატუტიმ, თითქოს მამამისს ეკითხოს, საავადმყოფოს დირექტორად ხომ არ გნიშნავენო.

— რაღაც შესაფერისს იშოვის... — აუხსნა რუსუდანმა, ვითომ მას სცოდნოდეს ამ ვაჟიშვილის შესაფერისი რას ნიშნავდა.

— შარშანაც შესაფერისს ეძებდა... — წარბი გაღუნა ფარნამ და ხე-

ლო ჩაიქნია, ამაზე ლაპარაკი არ მინდა, ხულ ერთია წყლის ნაყვაოო, და ნორას მოუბრუნდა, რომელიც ლეონის უკან იდგა და რაღაცის თქმას აპირებდა, რაკი სჯეროდა, ქმარი ამას ისე ვერ იტყოდა, როგორც საჭირო იყო.

— მამა...

— რაო, თქვენც?..

— ჰო, ჩვენც რომ წავსულიყავით...

ლეონმა მიიხედა ცოლისაკენ: ამას ხომ მეც ვიტყოდიო.

— წავიდნენ... აბა, გონია იქცევა ქვეყანა და ხომ უნდა გაიგონ...

— რა უნდა გაიგონ! — არ აცალა ფარნამ ცოლს, მაგრამ, რომ ვინმეს ეკითხა, ახლა ვერც თვითონ ახსნიდა, ასე რატომ ეთანაღრებოდა გული, ხელიდან რატომ გლეჯდნენ შვილები, ასე თუ ისე, თავთავიანთ გზებზე დამდგარნი, გამგზავრების ნებართვას, რომელიც თითქოს საკითხავი არც იყო.

— აბა, აქ გინდა დაგიჯდნენ?.. რა იცის ეს... — რუსუდანმა, როგორც კი ყოყმანი შეატყო, მიხვდა, ჩიხში მოექცაო. ეს თავის უპირატესობად მოეჩვენა და იმ წამს არ დაფიქრებია, ამ ამბის უკან რა იდგა, ისე გადაწყვიტა:

— წადით, დედა, წადით, თქვენს საქმეს ეწიეთ. იქნება არ გამოვარდნია ცას სვეტი, თუ მართლა ორ-სამ თვეში დამთავრდება...

— რა დამთავრდება ორ-სამ თვეში?

— რა და ეს უბედურება. აბა მისდღემჩი იქნება? შენ ომი კი არა, მშვიდობა რომაა და... არაფერი ისეთი, მაშინ ხარ ომში და ახლა რა გამიკვირდება.

— კარგი, კარგი!.. — მერე ბიჭებს გადახედა, — წადით... წადით...

— ე-ერთი დღით არ შე-ემიძლია მიტოვება. შენ იცი, მა-ამა! — ბავშვივით იმართლა თავი ლეონმა და ცოლს შეხედა: მამაჩემს საქმეზე უნდა ელაპარაკო და ყველაფერს გაგიგებსო.

— ქე მაინც თუ გამოდის რაიმე, შვილო? — წაიწუწუნა რუსუდანმა, რაკი იცოდა, ფარნა იმედით უყურებდა ლეონის შრომისმოყვარეობას და მის ულალატო ბუნებას.

— აკლავს თავს და რა ვიცი... — რაღაც სიამაყის მაგვარი ეჭვით ჩაილაპარაკა ნორამ.

— შრომა შენი იქნება, ჩემო ძმაო, მაგრამ სახელი და სახრავი ალბათ სხვისი მეტი... — თავი გადააქნია ვატუტიმ: ასეთი თავდადებისაც არაფერი მწამსო.

— მა-არტო მე კი არ ვმუ-უშაობ! — ეწყინა უფროს ძმას, — მთელი სა-აცდელი სა-ადგური...

— ბოდიში, ბოდიში... — თითი პირზე მიიდო მომდევნო ძმამ და თვალით ფარნაზე ანიშნა: შევცდი, ახლა აქ, მამაჩვენთან, მე თქვენ ცხოვრების ანბანს ვერ გასწავლითო.

— ესე იგი, ყველა უნდა წახვიდეთ, დიდიან-პატარიანად? ვინ საქმეზე, ვინ...

— მამა, მე არსად არ მივდივარ! — ჯორკოდან წამოდგა ბაკური, ცარიელი ჩაის ჭიქა და ლამბაქი ბუჯერზე ჩამოდგა, რაკი მისთვის ადგილი დაბალ, ვიწრო ტაბლაზე თავიდანვე აღარ დარჩა და აქამდე ხელში ეჭირა. კარებს მიადგა. ლაფაროში კუდზე წამომჯდარ ძაღლს ხელში შერჩენილი ხაჭაპურის კიდის უმუშარი ნარჩენი ესროლა.

— დღეს არა, ხვალ შენც წახვალ...

— ღმერთო, შენ ხარ მოწყალე, არ მივდივარო და... — რუსუდანმა თხელი, ულიმილო ტუჩები მოკუმა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

— უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანება?.. ქუდზე კაცია დაძახებული.

— მერე, ბაკური ჯერჯერობით დატოვებულია... — ვერ მოითმინა დედამ, როგორც ყოველთვის ემართებოდა, ათარაფერს აღარ ვიტყვიო და მაინც ენაზე მომდგარ სათქმელს პირმოკუმულიც ვერ იმაგრებდა, თითქოს არც ქმრის წყენინებას აპირებდა და მაინც...

— ის, მშვიდობიანობის დროს იყო და მასაც ჰქონდა მიზეზი...

ვატუტი აიწურა, რომ დედამ თავისი წინდაუხედაობით საუბარი ბაკურის დატოვების მიზეზთან მიიყვანა და

საქციელწამხდარმა უაზროდ მიაფუჩე-ჩა:

— ლეონი, დედა... ლეონს რა ეშვე-ლება?-

— მე ვი-ითომ რა მი-იჭირს?

— შენ კი არაფერი, მაგრამ ნორა... რა დასამალია და აგერ, დღე-დღეზე ბიძა გავხდები...

— ლეონს იმოდენა მეურნეობის მთავარი აგრონომობა რომ ჩააბარეს და ის ბეოლის ახალი ჯიში რომ გა-მოჰყავთ, თუ ასე ხელწამოსაკრავია, სახელმწიფო ასი ათასებს კი არ გადა-ყრიდა! — დიასახლისმა ერთმანეთზე აკოლიკებული ჭიქა-საინი ბუჯერზე ხმაურით დაყარა.

— მეურნეობისათვის და ისიც სა-ცდელისათვის ნეტავ ვიღას ცხელა, — ფარნას თვალებზე დამძიმებული ქუ-თუთოები წაეფარა.

— აბა, იმ ჯარს და ქვეყანას, სმა-ჭამა და... საქმე არ უნდა?.. — რუსუ-დანს, ეტყობა, გული მაინც საგულეს ჰქონდა.

„ხედავ, ამას რისი იმედი ჰქონია? — მამას აშკარად შეშურდა დედის, — არიან ადამიანები, შუაგულ ზღვაში რომ ჩააგდო, იქაც ხიდის აშენების იმედს გაიჩენენ".

## V

წავიდა მატარებელი. წავიდა, სოფ-ლიდან ორიოდე ვერსზე დაშორე-ბულ ორლიანდაგიანი, უბადრუკი სად-გურიდან და თან წაიყვანა ფარნას სამი ვაჟიშვილი, ერთი რძალი, რომელსაც ერთი აღარ ეთქმოდა, და თვალებდაცე-ცებული გოგო, ვინც სხვად უკვე აღარ ჩაითვლებოდა.

წითელ ქუდზე წინაფრა ჩამომტვ-რეულმა სადგურის მორიგემ მემანქანეს კვერთხი გადასცა თუ არა, ზარს ჩამო-კრა და მატარებლისაკენ არც მოუ-ხედავს, თავი შენობას შეაფარა. მალე იქაურობა მგზავრებიდანაც ფაცხა-ფუცხით დაიცალა და რკინიგზაზე შო-რიდან მომავალი, წელში წითელ-ყვი-თელ ალმებ-გარჭობილი მეისრეღა ჩან-და.

ფარნა სულ მარტოდმარტო აღმო-ჩნდა. იგი თითქოს არ იყო განდეგილი ადამიანი და ახლა მაინც ასე ერჩია.

„კარგი ჰქნა ბაკურმა, სოფლის ბო-ლოს, კინწურაშვილებთან რომ დარჩა, დარჩა თუ დატოვეს. ჯარში მიმავალი შექეიფიანებული ბიჭები ჩააფრინდნენ და ძალისძალად მოიტაცეს. მათთვის რომ გეკითხათ, არც ერთის გამოშვებას არ აპირებდნენ. რომელიღაცამ ჭკვია-ნურადაც კი თქვა: ვინ იცის, აწი ვნა-ხავთ ერთმანეთსო? კიდევ ფარნას მოე-რიდნენ, თორემ ხელიდან ვერ დაე-ფჩხვნებოდნენ. ჭიშკართან მაინც მოა-რბენინეს დოქით ღვინო. მასწავლე-ბელმა გულგატეხილად, მშრალად, ორი სიტყვით დალოცა ნამოწაფრები, ბაკური შეატოვა და იქაურობას გაეცა-ლა.

„რა იყო მაინც, ეს ბიჭი რომ ცოც-ხალი თავით არ აპირებდა დარჩენას. სა-ნამ საშუალოს დაამთავრებდა, სანა-ხევროდ იქ ათენებდა და აღამებდა. დედაჩემის ნათლულები არიან. ესტატე პატიოსანი გლეხია, მაგ ოჯახს ვაგლა-ხად აუგი არ ეთქმის... ის რომ ბასილა ბარბაქაძის ქვისლია, ესტატემ რა და-შავა...

„ეჰ, ბაკურიც „რაღაცნაირი" გულ-აზიზია ადამიანებთან, თუ მთელ ქვეყა-ნასთან...

„რა დროს ამაზე თავის მტვრევაა... ეს ამ საღამოს სახლში მაინც დამხვდე-ბა...

იგი ლიანდაგებს დაადგა.

აქამდე საქმე ჰქონდა ფარნას, შვი-ლებს აცილებდა. გაცილებამდე სახლში იყვნენ, იყვნენ ყველანი. სავსე იყო კე-დელ-ყურე, ეზო-გარემო, სოფელი და ქვეყანა, იყო სასაყვედურო, საკამათო, სადაო, იქნებ უკმარობაც, მაგრამ არა სიცარიელე. ცხოვრება ასეთია, იგი რო-გორიც არ უნდა იყოს, არასოდეს არ იქნება ისეთი, როგორიც გინდა — ყვე-

ლაზე სრულფასოვან ნახატს შუქჩრდილები იძლევა.

ახლა ამ ლიანდაგებს შუა მოქცეული კაცი მარტო რომ დარჩა, თუ უცებ გამოცარიელდა, თითქოს არც შვილების წასვლა იყო ამის მიზეზი და არც ომი. უფრო გაუგებრობა, არცოდნა იმისა, რა იქნება ხვალ. ვერც ვერაფერი დაუბარა შვილებს. რა ქენითო, რა ეთქვა? მალე ჩამოდითო? საიდან. სადაც მიდიოდნენ, იქ დასხდებოდნენ და დაიწყებდნენ ლოდინს, მშობლებს როდის მოვენატრებითო? ლეონს მართლა უშველიდა მეურნეობის აგრონომობა და „ბეოლის ფოთოლი“? ასე ხომ ყველა რაღაცას აკეთებს, ყველა რაღაცისთვისაა აუცილებელი. მაშინ არავინ გაიწვიონ? ან ყველა ასე ხელაღებით გარეკონ? მართლა და „იმ ქალისა“ არ იყოს, ქვეყანას ჯარისკაცის გარდა, ხომ უნდა პატრონი, და მეტი რომ არაფერი, იმ ჯარისკაცს ხომ უნდა თოფი და ტყვია-წამალი, მაზარა და შავი პური, ჭირისუფალი“..

ფარნა რაიონისაკენ გაჰყვა რკინიგზას, ახლა კიდეც ერჩია, რომ ამ ოთხკილომეტრიან გზას ფეხით დაადგა. თითქოს სულ ამის ცდაში ყოფილიყოს, თითქოს აქედან რაიონამდე ამ ლიანდაგებს შორის ჩამდგარი მიაგნებდა იმ საიდუმლოს, რომელიც უშველებელი ყაჭის აბურდული მორგვივით შერჩა ხელში, და ვერ იქნა, და თავი ვერ მოუძებნა...

გზაზე დამდგარს წინ მეისრე შემოეფეთა. წელგამართული, მსხვილულვაშებიანი ბიჭი. თავი დაუქნია და ჩაუარა. ფარნამ უკან მიიხედა, მეისრეს ზურგზე დაწყობილ ხელებში თითბრის საყვირი ეჭირა, ფეხს ორ-ორ შპალზე ადგამდა.

„ესეც ომში უნდა წაიყვანონ? — ჰკითხა თავისთავს, — ეს ქვეყანას არ აშენებს, მაგრამ თავის საქმეს აკეთებს, მატარებელს გზას აძლევს. რა თქმა უნდა, ამას სხვაც გააკეთებს, მაგრამ იმ სხვასაც ხომ თავისი საქმე აქვს და იმისთვის ხომ ისევ სხვა უნდა ეძიო... თუ ამ ბიჭს წაიყვან და სადგურის უფროსსაც ზედ მიაყოლებ, იმ მატარებლებს და ეშელონებს ვიღა გაგზავნის, რომელშიაც ესენი უნდა ჩასვა და გაუშვა?

„ვთქვათ, გაიწვიეს ლეონი, მისი დირექტორი, ბრიგადირები, მუშები. მეურნეობა დაცარიელდება? თუ ზედმეტი აგრონომი ან დირექტორი ჰყავთ და ზოგს გაუშვებენ და ზოგს დატოვებენ?“

სადგურის ახლოს, რელსებს შორის, გზა ხრეშით საგულდაგულოდ იყო მოსწორებული და ფეხს სად ადგამდა, არ უძებნია. რაც იქაურობას გაცდა, შპალები მაღლა ამოიწია და ან ისეთი გრძელი ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ მეორე-მეორეს მიწვდენოდა, ან მის ნახევარს, თითო-თითოს დასჯერებოდა. ასე მოკლე-მოკლე ნაბიჯით სიარული კაცს არ დაღლიდა. თუ ერთხელვე ფეხს აწყობდი, შეგეძლო აქეთ-იქით თვალიც გადაგევლო, ცა და ქვეყანა დაგენახა, მაგრამ თუ მეორე-მეორე შპალზე გადაალაჯებდი, დაძაბული და დაჭიმული უნდა ყოფილიყავ, თითქოს ნახტომისათვის ემზადებოდი; ფეხის წვერზე უნდა შემართულიყავ, რომ წინ წადგმული ტერფი მეორე შპალისათვის მიგეწვდინა. ასე ორჯერ ჩქარა ივლიდი, მაგრამ ოთხჯერ უფრო მალე დაიღლებოდი.

ფარნას ერთი სული ჰქონდა რაიონში მალე ჩასულიყო და განათლების განყოფილებაში შეევლო. გაეგო, რაიმე ახალი განკარგულება ხომ არ მიუღიათ, თუნდაც საიდუმლო. იქნებ რაღაცისათვის მოეკრა ყური და მერე ევარაუდა, ლეონს ახლავე გაიწვევდნენ, თუ...

„სკოლებს ხომ ვერ დავხურავთ? არა და, პედაგოგების უმრავლესობა ახალგაზრდობაა. მეისრე რომ მართლა შეცვალო, სხვა, ვინმე გადახჩუებული ბერიკაცი მოიყვანო და აუხსნა, ისარი რომელ მხარეს გადაიყვანოს, მასწავლებლად ხომ გრძელწვეროსანს ვერ

მოიწვევ, ბრძენთა ბრძენიც რომ იყოს?..

„ისტორიაში მოკლედ და გასაგებად სწერია: ამა და ამ წელს, ამა და ამ სახელმწიფომ ომი გამოუცხადა, ან თავს დაესხა იმა და იმ სახელმწიფოს... და ღმერთმა არ უწყის, ამ გამოცხადებებს და ვილაცეების ხუშტურს თან რა ღვთისწყრომა და უსაზღვრო უბედურება ახლავს...

ფარნას შპალზე ფეხი დაუცდა, ეტყობოდა ტერფის კუნთი დაღლოდა...

„ასე მეორე-მეორეზე ხომ არ უნდა ვიხტუნოთ? — შეჩერდა, სული მოითქვა, — ერთი რომ ომში წავა, მეორეს აქ დატოვებენ და ვინც დარჩება — ორ იმდენზე გადაალაჯოს, ან ორი იმდენი ასწიოს... მაშინ ლეონის საქმე როგორ იქნება... მამუკა? მამუკა ჯერ ლლაპია... ბაკური ამაღამ სახლში მაინც დამხვდება... ლეონი... აი, ლეონის ამბავი მითხარი მე შენ...

„ლეონი და დირექტორი?

დირექტორი თუ აგრონომია, მაშინ შეიძლება ის ხელმძღვანელადაც დარჩეს და მთავარი აგრონომის უღელიც გასწიოს, მეორე-მეორე შპალზე გადააბიჯოს...

„ლეონი?..

ლეონი ამას გარდაც არაა სადირექტორო და საუფროსო კაცი. მას შეიძლება თავისი საქმე მიანდო და არ გიმუხთლოს, მაგრამ ორ შპალზე ვერ გადაალაჯებს..."

თავი მწარე სინანულით გადააქნია და გზას ისევ უჩვეულო ფართო ნაბიჯებით გაუყვა...

## VI

ესტატე კინწურაშვილის ბურულიან, უფანჯრო, სრულ ძელურში, ერთმანეთზე გადაბმული მაგიდები გვერდზე ისე მიედგათ, რომ ამ თავიდან იმ თავამდე გამწე ტახტს სტუმრებისათვის სკამების მაგივრობა გაეწია. მაგიდის აქეთა მხარეს, ტაბურეტებზე მუხის შავი ფიცარი გაედოთ, ესეც გამწე ჩამოსაჯდომად გამოსვლოდათ. სუფრის თავსა და ბოლოში იდგა ორი სელის სკამი, რომლებზეც თამადა და მისი მოადგილე ისხდნენ.

გამჭვარტლულ ოჯინჯალაზე ჩამოშვებული ნაჭა აეკეცათ და ზედ ნაღომარი ვეება ქვაბი ეკიდა. სოხანეზე, კერიის ირგვლივ ცარიელი კეცები ეყარა, ზოგიერთზე რომ შეტკუცული წაბლის ნეშო შერჩენოდა. მინავლულ ცეცხლში დაუწვავი მუგუზალი ხრჩოლავდა.

ესტატე ტახტზე ახვეულ ქვეშაგებზე მიწოლილიყო, ასკილის გრძელტარიან ყალიონს ისე ენერგიულად ქაჩავდა, იქ, სადაც კბილები აკლდა, ლოყებზე ღრმა ფოსოები უჩნდებოდა. მაგიდაზე გადაწვდილ ბაკურის ხელის ჩამოსართმევად წამოიწია და ისევ მიესვენა.

— არ გვიკადრა ფარნამ, არა? — ესლა ჩაილაპარაკა მოკითხვის პასუხად.

— მატარებელზე აცილებდა, აგვიანდებოდათ, — სცადა ბაკურმა მამის გამართლება და მიწეულ-მოწეულ თანასოფლელებს შორის მიჩენილ ადგილზე, ოჯახის უფროსის წინ ჩამოჯდა.

— ასეა ნასწავლი კაცი, ბაბა... — ვითომ გაიცინა უფროსმა ვაჟიშვილმა ბესომ. საინის კიდეში მწიფე დედლის ძვალს ხელი წამოუსვა, თითქოს საგანგებოდ აქამდე ინახავდაო, პირში იტაცა და კბილებით დალეწა.

— ფარნა მაინც არაა ურიგო ყაძახი...

— ურიგო არაა... თავისთვის არავინ არაა ურიგო.

— შენ წიგნს სათოფედ არ ეკარებოდი, მასწავლებლების ბრალია?! — გაიღრიჯა საგულდაგულოდ წათლილი ხარდანივით ცხვირწამახულმა ბრიგადირმა ნოვე უგულავამ და ბაკურისთვის ორი სავსე ჭიქა გადმოაწოდა.

— რა გინდა რა, აგერ მის შვილებს კი ასწავლა და...

— ვისზე ამბობ, შვილო, მაგას შენ?!. — შეცხადებასავით წამოიძახა ბუჯერთან, კედელზე მიმაგრებულ ფიც-

რულ კარადაში თავშერგულმა, ბეჭებში წახრილმა ქალმა და თეფშით ხელში სუფრისაკენ წამოტუსტუსდა, — ფარნა, ბიჭო?! — ბაკურის წინ თეფში ჩამოდგა, ახლად შემოსტუმრებულს მხრებზე ხელი მოხვია და ყურის ძირში აკოცა, — ახლა თუ რაიმე გამახარებდა, მეგონა? რავა ხარ, დედა, ბაკური... — მერე უკანა კარებისაკენ გასძახა:

— ფოთოლა! სად გაქრა ეს გოგო... — ბესოს შეუცაცხანა, — ჩუ, შე ენამოწამლულო, ფარნა დღე ერთი იყო და ვინ იცის, რამდენჯერ გვითვლიდა, გვიბარებდა, რამდენი თავისი ფეხით მოსულა, იმდენი გაიხარა მისმა და ჩემმა შვილებმა. რამენაირად ისწავლონო, ახლა სხვა დრო მოდის, უსწავლელი კაცისშვილი ცოდვააო.

— ოროყიანი თოხი რომ მეჭირა ხელში... — ჩაიბურდღუნა ბესოიამ.

— მერე ფარნას ყანას თოხნიდი თუ?! — პირში ეცა დედა, — ჩვენი გაჭირვება გვქონდა...

— ჩვენი გაჭირვება გვქონდა... — გაალაწუნა კბილები ბესომ.

— ოთხი კლასი შენც ქე დაამთავრე, მარა ახლანდელ დროში არ იკმარა, მე უბედურს კიდევ ძველებურად მეგონა, თორემ, ნახევარჯერ მშიერი რომ ვყოფილიყავით, მერჩია და ერთი სამი კიდევ დაგემთავრებია...

— მერე ვერ იყავით?! — ბესომ ახლა მომინანქრებული ჯამიდან ქათმის ფეხი პირდაპირ ხელით ამოიღო და ისე, რომ თავის თეფშზე არ დაუდვია, პირში იტაკა.

— ვერ ვიყავით. მიწები რომ დაგვირიგეს, ერთი კაკალა ადამიანი ვერ გასწვდა ყველაფერს.

— ახლა ის მიწებიც წაიღეს და აღარც არაფერი ვიცი...

— სად წაიღეს! — თავაწეული მიაშტერდა ცხვირწაწვეტებული ბრიგადირი, — ზურგზე მოიდეს და წაიღეს?! ეგერაა, მიდი და ურტყი თოხი!

— აწი ალბათ მაგიც მომენატრება... — ძვლის ღეჭვით ჩაიღრინა ბესომ.

— ვითომ ასე დაიქცევა ქვეყნიერება? — ცხვირი ყურთან მოუტანა დიასახლისმა ბაკურს, — ქალაქში რა ისმის, რას ამბობს ჩემი ფარნა და ლუკა?

— არა, ა-არა... — ხცადა ბაკურმა ნუგეშის ცემა.

— ფარნა რას იტყვის. თავი ქუდში აქვს. მის შვილებს კი ასწავლის და... — თავისი არ დაიშალა ოჯახის უფროსმა ვაჟმა და ისევ პირში მეცემიანო, სახე მიაბრუნა, ნაულლი ხარივით დაძარღვულ კისერზე ცერის სიმსხო ვენები დაებერა.

— კაცო, რატომ შენ არ იღებ ხმას! — ახლა ქვეშაგებზე მიწოლილ ესტატეს ეცა ცოლი.

— გაჩერდი, ბიჭო, შენ! — გაუწყრა ესტატეც, წამოიწია და მაგიდის ქვეშ შეაპურჭყა.

— მარტო მის შვილებს ასწავლა? ეპრასი, ეს შენი ბიჭი რავა იმასავით ლაპარაკობს... — აცმუკდა კოლმეურნეობის მოანგარიშე, ოჯახის ბიძაშვილი, ულვაშებდაცქვეტილი აფრასიონი, — ჰკითხე ერთი, ჩემი ბიჭების მასწავლებელი ვინ იყო, ვისითაა, რომ უმაღლესებში მყავს...

— შენ, ბიძაჩემო, ქე გქონდა წელი და... ორი შვილი გყავდა... — ბიძისკენ პირმიუბრუნებლად ჩაილაპარაკა ბესომ და წინ წამოვარდნილ მუშტივით ნიკაპს მჯიღი შეეყუდა.

— რა წელი მქონდა, ეპრასი-მე?..— ჯერ დიასახლისს მიუბრუნდა, მერე გულამღვრეულ ბიძაშვილის შვილს, — რა წელი უნდა ბიჭო ახლა ადამიანის სწავლას... რავა; ფულს გახდევინებს ვინმე, თუ ქრთამს გთხოვს... — აცმუკდა აფრასიონი და საგანგებოდ დაწყობილი და დაცქვეტილი ულვაშების ბოლო ორი თითით კოპწიად შეიგრიხა, — რავა, ეს შენი უმცროსი დაიე არ სწავლობს, თუ?

მხარში...

— დაიას ჩვენ, ძმები ვუდგევართ მხარში...

„დაიეს“ ხსენებაზე ბაკურმა იმ

მხარეზე შიშით მიიხედა, საითაც წეღან ეპრასიმ გასძახა.

— ფოთოლა, გოგო, ფოთოლა! — შეტრიალდა დიასახლისიც ქალიშვილის გახსენებაზე და უკანა კარებს ეცა, გამოაღო, — სად გაქრა ეს გოგო?

— ლუკმა მჭადი არც თქვენ მოგკლებიათ, რავა იმასავით ლაპარაკობ... რა მხარში დგომა გინდოდა... — არ დანებდა აფრასიონი, — მამაშენს ექვსი რომ ჰყავდით, წელებზე ფეხს იდგამდა. იქნება, სახლი და კარი ვერ გამოჯგიმა, მარა მშიერ-მწყურვალიც არ ჰყოლიხართ, — ისევ შეწკიპა ულვაში, — შენ მასწავლი მე, შენ?! აჰ, რას იტყვი, ნოვე შენ, ლადი, რავა მთლად გაჩუმდი!..

— არ ვიცი, — თავი გადააქნია ლადიმ, — რავაცაა დავაბი ეს ძაღლის შესაჭმელი ენა და დამანებე, თუ კაცი ხარ, თავი. ნეტა სულ არ მიმეცა ჩემი სულხანისათვის ქაღალდი ხელში, ახლა სახლში მეყოლებოდა...

— არა, ისე უჭირდა ახლა ამას? — არ მოეშვა აფრასიონი.

— გაჭირვებით როგორ არ გვიჭირდა! — ჩაურთო ესტატემ უფრო ჭეშმარიტებისათვის, ვინემ შვილის გასამართლებლად.

— აბა, ჩემო ძმაო, ქვეყანა რომ გადატრიალდა და ერთხანს ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ვის არ უჭირდა, მაგრამ... რავა, თვითონ ფარნას ულხინდა, თუ? ვის არ უჭირდა, ის კი არა და მთელი რუსეთი კინაღამ შიმშილით ამოწყდა. ლტოლვილები რომ ჩამოცვივდნენ, რუსეთიდან არ იყვნენ? აგერ ჩვენს მეზობელ სოფელში, მაღალაშში, რომ ლადიმერ მელაძემ გაზარდა რუსის ბიჭი, ნაყვავილარი პეტრო მელაძე, მართლა მელაძე გგონიათ თქვენ? მოანგარიშედ მუშაობს ახლა მაღალაშში. ამასწინათ რაიონში შევხვდი, ვიღაცა მართლა რუსი გადაკიდებოდა, უცვნია ალბათ იმ კაცს თავისიანად. რაღაც მითხარიო, არ ეშვებოდა. პეტრომ მე დამიძახა, ბანკში მიმეჩქარებოდა, — გამაგებინე, ამ კაცს ჩემგან რა უნდაო. ერთი ღერი რუსული არ იცის... რავა იმასავით ლაპარაკობთ...

— მოიცათ, მოიცათ! — წამოდგა სუფრის თავში ცხვირმოკაუჭებული და იმდენად მაღალი შუა ხნის კაცი, გალიფის მუხლებზე გადაკერებული პრიალა შავი ტყავიც კი გამოუჩნდა. — პეტროს ამბავი მე მკითხეთ თქვენ, მაგრამ ახლა ჩვენ აქ პეტრო და ლადიმერ მელაძეების ამბავი გვინდოდა, თუ ჩვენი საქმე გვაქვს?

ბაკურმა ვერ იცნო ის კაცი. ალბათ მაღალაშიდან უნდა ყოფილიყო, ესტატეს დის ქმარი, და როგორც საპატიო სიძე, თამადადაც აერჩიათ.

— აგერ, ვინცხა იმის არ იყოს; გაჭირვებას მოვაყოლე... — თავი იმართლა აფრასიონმა და პირზე ბოქლომი დაიდო.

— ბიჭო, რა სწავლა-განათლება აგიტყდა ახლა შენ! — მღვრიე თვალებით გადმოხედა უფროს ძმას ბესოს, ლექსომ, ბრიგადირის ხელმარჯვნივ ტახტზე რომ იჯდა და რაც ბაკური გამოჩნდა, მას აქეთ გაზეთის ქაღალდში თუთუნს ისე მონდომებით ახვევდა, სანამ არ გააწყო და ცეცხლი არ მოუკიდა, კრინტი არ დაუძრავს.

—ჩემს გვერდით არ იჯდა? არ ვიცი, რა ვაჟბატონიცაა?.. — ისევ გაიღრიჭა ცხვირწაწვეტებული ბრიგადირი, — ჩვენ რომ გაკვეთილებს ვუჯექით, მაგი რცხილნარის ტყეში თოხის და წალდის სატარეებს ეძებდა, ე, ახლაცაა ოჯინჯალაზე გაყრილი სატარეები, — მაღლა აიშვირა წაწვეტებული ცხვირი უგულავამ.

— არა გვაქვს ამის დრო ამხანაგო უგულავა! — გამოზომილად, დამყვავებლურად დაარიგა მაღალმა თამადამ და ბაკურს შემრიგებლურად გაუღიმა, — აბა ჩემო ბიძია, მიირთვი მაგ სასმისები!..

— გაგიმარჯოთ! — გალახულივით წამოდგა ბაკური, — ამ ოჯახს გაუმარჯოს, თქვენს თავშეყრას გაუმარჯოს, ესტატე ბიძიას და ეპრასე ბიცოლას გაუმარჯოს...

— არა, ერთი მაცადინა! — თითი მაღლა ასწია და წამოდგა, ამდენხანს რომ მდგომარეობას აფასებდა ილიკო ბაქრაძე, უადგილო ალაგას არაფერი წამომცდესო, — ბაკური მაინც რა შუაშია?..

— ამას არ ვამბობ მეც? — ცქვიტა ულვაშები აფრასიონმა.

— გვადროვეთ, ილიკო და აფრასიონ, გვადროვეთ! — თავისი უფლებები მოითხოვა თამადამ.

— რა თქმა უნდა, საძვიროდ და სასაყვედუროდ კი არ ვამბობთ... — ვერ დაიმაგრა ენა ლადიმ და ისიც ადგილიდან წამოიჭრა, მაგრამ მაშინვე დაჯდა, ილიკოც გვერდით მოისვა, რომელსაც თითი მაღლა აფშეკილი დარჩა.

— გაამოს, ბიძია, გაამოს! — ხელით ანიშნა ბაკურის, დაჯექიო, თამადამ და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— ომი, ჩემო ძმებო და მეგობრებო... მის მეტი რა გვინახავს...

— მერე კიდევ მაგი გვინდოდა ახლა ჩვენ?! — სახეზე წამოენთო ლიპარტიანი.

— ვიცი, ჩემო ლადი, ვიცი თქვენი ოფიცერი ვაჟი ახლა იქაა, საზღვართან, ხომ?

— რა ვიცი, სადაა... იქნება საზღვრის იქითაცაა.

— შენ რომ არ იცი, მე ვიცი... არა, შენ იცი, მაგრამ მე უფრო ვიცი... მე კადრის ოფიცერი გახლავართ, კინაღამ ესპანეთში ამოვყავი თავი, მაგრამ საექიმო კომისიამ ვერ გავუძვერი... ახლაა და ასაკიც არ მიწყობს ხელს, მაგრამ ჩემი ადგილი მაინც იქაა. თქვენი ვაჟიშვილი ამჟამად იბრძვის და სანამ ესენი, — გაშლილი ხელით სუფრაზე წრე შემოხაზა, — ჯარისკაცები და მეთაურები გახდებიან, და რომ გახდებიან, მე ეჭვი არ მეპარება, მტრის პასუხის გამცემი ისაა... — ახლა ვინც მტრის, და თქვენ როგორ გგონიათ, კაი მაგარი მტრის წინ დგას... ძნელია ჩემო მოყვრებო და კეთილებო, მტრის წინ დგომა, ჩემსავით ხელში სავსე ჭიქა კი არ უჭირავს.

— არც მაგია იოლი! — წამოიძახა ბუხუტი კაპანაძემ ბაკურის ხელმარცხნივ რომ იჯდა და წინ ორი თითის დადებაზე დაუცლელი ჭიქა ედგა.

— ოო, აგაშენა ღმერთმა! — იამა თამადას და სასმისზე მიუთითა, — დაცალე შენს გახარებას, ბიძია მაგი, იმდენი აღარაფერი დაგრჩენია და დაულევლობაში კი ჩაგეთვლება.

— ჩემო ენავ, ძირში ხარ მოსაჭრელი... — ბაკურის გადმოხედა ბუხუტმა, ჭიქას ორივე ხელი მოაფარა.

— კაცო, მაინც ასე რავა წამოგვეპარა, აჰ?! — გაიკვირვა თამადამ.

— აბა, ბაიბურში რომ არ ვიყავით! — ქამრიდან ქისა დააძრო ესტატემ.

— ბაიბურში რავა არ ვიყავი, მაგის ფიქრი არ მკლავდა?! — შეიცხადა ლადიმ.

— არა, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — არ გაკვირვებია კადრის ოფიცერს, — ნამეტანი, პირდაპირ გადაყლაპა ქვეყნიერება. მეც მითქვამს ერთი-ორჯერ, მაგრამ ახლა, გინდა, არ გინდა, ომია და უნდა იბრძოლო... და ვინც იბრძვის, ვისაც ამ ჭიქის მაგივრად თოფი უჭირავს და იბრძვის, იმას გაუმარჯოს!..

— გაუმარჯოს!..

— გაუმარჯოს...

— ახლა ეს ასე დავლიოთ, ნუ გავაჯანჯლებთ, ომში ჯანჯალობა და მიეთ-მოეთი არ ვარგა, ვიცი მე, მიბრძოლია და ვიცი...

ბაკურმა რომ ჭიქა პირთან მიიტანა, ვიღაცამ, თითქოს ძალით, უკან მიახედა და ღრიჭოდ მიგდულ უკანა კარებში თავშემოყოფილი გუგუტა მოეჩვენა. სინათლე ღია წინა კარებიდან და მაღლა, საკვამურებიდან შემოდიოდა, მაგრამ ზაფხულის მზიანი დღე იდგა და მაინც არ უნდა მოჩვენებოდა. სასმისი ხელიდან არ გავარდნია, მაგრამ ღვინო მაინც მამუკასავით დაელვარა და როცა დაცალა, მერე იქ, სადაც წე-

ღან გუგუტა მოეჩვენა, ახლა მასპინძლის ქალიშვილის — ფოთოლას წითელ თავსაფრით წაკრული თავი დაინახა.

კი, ახლა ფოთოლას ხედავდა, მაგრამ წეღან ვითომ გუგუტა მოეჩვენა? თუ მიამსგავსა? ყველას ყველაზე მიმსგავსება შეიძლება, მაგრამ ფოთოლა და გუგუტა? გუგუტა მოიისფრო ფურისულასავითაა და ფოთოლა ყოჩივარდასავით სავსე და ბრდღვიალა.

ბაკურს მკერდში რაღაც ჩაწყდა, თითქოს დიდი ხანია ბეწვზე ეკიდა. დიდი ხანია მეწყერის პირზე იდგა. დიდი ხანია უფრთხოდა, ემალებოდა და ახლა კი ყველაფერი ერთბაშად, ამ ძნელბედობის დროს, ისედაც რომ ამოდენა უბედურება თავს დაატყდათ ადამიანებს, დამწვარს მღუღარეო, გაწყდა ბეწვის ხიდი, მოისპო და მოირეცხა ბიჭი. ღვინო გულზე შემოაწვა, თითქოს რიყის ქვა გადაეყლაპოს, გულიც კინაღამ აერია და როცა თამადამ სუფრას თვალი მოავლო, როგორ შეისვა სადღეგრძელოო, გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა მოგივიდა ბიძია შენ, ღვინოს ვერ იტან?

— ვერა... ვერ ვიტან... — ამოილუღლუღა და რომ თვითონ თამადას არ ეთქვა, „ღვინოს ვერ იტანო“, მისი ასე ერთბაშად მოწამვლისა და მოსპობის ნამდვილ მიზეზის სათქმელად ხომ ენა არ მოუბრუნდებოდა და ვერც სხვა რაიმეს მოიფიქრებდა.

— გადი, ბიძია, .ჰაერზე გადი და გაიარ-გამოიარე!..

— არა... — ბაკურმა ფეხი არ მოიცვალა.

— კაი აბა, რავაც გინდა... მარა მაინც რომ გაგევლო?..

„რა ჯანდაბა დამემართა, ვკვდები?“

— იცოდე, ბიძია შენ, ეზოში გიამება!.. — ურჩია ესტატემაც, — სოსო, გაყევი ბიჭო! — თავით ანიშნა ესტატემ მეხუთე, უმცროს ვაჟიშვილს.

სოსო მაშინვე წამოფრინდა, ბაკურთან გაჩნდა და მხარში შედგომა სცადა, ბუხუტი კაპანაძემაც მოინდომა მიშველება, მაგრამ ბაკური ვერაფრით ადგილიდან ვერ დაძრეს.

— ჩვენ, ბიძია, აქ კი არა გვაქვს ომი, რომ ერთმანეთი დავხოცოთ, დამხოცავი და დამაქცევარი ვინც მოგვადგა, ისიც გვეყოფა... — თუ გირჩევნია, ნება მომიცია და თუ არა, რავაც გინდა... აგერ ამ ბიჭებს ისეთ ადგილზე ვისტუმრებთ და... მაგი დღეს, ხვალ, შენც მოგიწევს...

— მაგას რა მოუწევს... სტუდენტებს იქ ვინ წაიყვანს... ჩვენ ვიკითხოთ. ჩვენ, ბოგანოებმა... — ამობოღმა კბილების მტვრევით ბესომ და თავი ხელებში ჩამალა.

— უყურე შენ, რა დებია გუნებაში?.. — ცქვიტა ულვაში აფრასიონმა, — არ გამიკვირდა? აგერ ამ ხნის კაცს, არასდროს მაგის წუწუნი არ გამიგონია, სწავლაზე გული რამ ატკინამეთქი!

— მაგ ამბავი მე მკითხე შენ, ჩემო ბიძია, ნასწავლი და ქვეყანაში გახედული უფრო ჰირდებათ ომში. წეღან კინაღამ საძვიროდ არ ჩამოგართვი, — კაკალი გული დაეწვა ლადის, ეს რამ გაფიქრებინაო.

— ისეთი ბრძანებაა გამოსული, მე რომ მკითხოთ, ეს ჯერ-ჯერობით კიდევ არაფერი და დიდი ამბები დატრიალდება. მე კადრის ოფიცერი ვარ, ომის მეტი რა მინახავს!..

— რა ვიცი მე, ესენი ქალაქში მისეირნობენ, ჩვენ, სამ ძმას ომში გვეძახიან... არ ვიცი, არა... — ბესომ რაღაცისთვის ხელის მოვლება და მაგიდაზე დახეთქება მოინდომა, მაგრამ მარჯვნიდან მჯდომი, თავისთვის გაყუჩული და დადარდიანებული მესამე ძმა — უშანგი გამოერკვა და მკლავში ისე მარჯვედ ეცა, თითქოს მთელი დღე ამ ხელის გაქნევას უცდიდა, რომ განძრეულიყო და აქამდე გატრუნული, მხოლოდ ამას დარაჯობდაო.

ბაკურისათვის სულერთი იყო, თამადა რას ამბობდა, ბესოს რა აწუხებდა, ლადი, აფრასიონი, უშანგი და ნოვე რას ფიქრობდნენ.

სადღაც იქვე, კედლის მიღმა, კარებთან იდგა ის ქალიშვილი, რომლის შეხვედრის შიშით ბაკურს მთელი წელიწადი სოფლისკენ არ გამოუხედავს. ახლა, რომ ეგონა ყველაფერი მიყუჩდა, მინელდა, თითქოს შეეჩვია იმაზე ფიქრს, რომ უნდა დაევიწყა, უნდოდა არ უნდოდა, შეეძლო არ შეეძლო, სამუდამოდ უნდა დაშორებოდა, მის მეტს არავის არ ინდომებდა, არავინ არ ეყვარებოდა, მაგრამ არასოდეს მისკენ არ მიიხედავდა... უცებ კარებში თავის ერთი შემოყოფით და თვალის ერთი შევლებით ყველაფერი ნაცარტუტად აქცა.

ბაკურს არაფერი არ ესმოდა, თუ ყველაფერი ესმოდა და არად აგდებდა, ნათქვამის ან დანახულის მნიშვნელობა ვერ აეხსნა. ეს ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა კი არა, ალბათ იქაც, სადაც ახლა კაცის კვლა იყო, მისთვის ისიც უმნიშვნელო გახდა. ყველაფერს, ქვეყნის გულზე ამ წუთას კაპიკის ფასიც არ ჰქონდა.

ესტატემ თამადას ერთი სადღეგრძელოს უფლება გამოსთხოვა და ღვინოში პური ჩააწო.

სუფრაზე მძიმე, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ფინეთის ომში დაღუპული იასონ ლაცაბიძის ვაჟიშვილის მოსაგონარს ამ სოფლის ყველა ოჯახში სვამდნენ.

VII

მზე საშუადღეოზე წამოვიდა.

გუგუტას მკლავში ჩაფრენილ, მოგდულ კარზე ყურმიდებულ ფოთოლას აქამდე ეგონა, ბაკური საგანგებოდ ჩამოჩნა თავისიანებს, უფრო მეტიც, სახლიდანაც იმ განზრახვით წამოვიდა, რომ აქ, ჩვენთან შემოევლო, შემდეგ კი ჩემი იმედი ჰქონდაო. სხვანაირად ფოთოლა კი არა, ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, ვინც ბაკურისა და გუგუტას სკოლის მერხზე დაწყებული უსათუთესი სიყვარულის ამბავი იცოდა. ამ წმიდათაწმიდა, უთქმელ გრძნობას მუდამ სჭირდებოდა ვიღაცა, სჭირდებოდა მ ე ს ა მ ე და ფოთოლაც თითქოს ამისათვის იყო დაბადებული. განა გუგუტას ვაჟი სიყვარულზე ათქმევინებდა რაიმეს, და ისიც ბაკურისთანა ვაჟი! კარგად ნასწავლი გაკვეთილის მოყოლის დროსაც კი ლაწვები ვარდისფრად ეფაკლებოდა, რცხვენოდა, რომ სხვაზე უკეთესად სწავლობდა. ფოთოლა მისი ცოდნისა და ფიქრის ანარეკლი იყო სკოლაშიც და სოფელშიც, ის თითით საჩვენებელ გოგოდ ითვლებოდა, გუგუტა კი ქვეყნის თვალში მუდამ დეიდაშვილის ჩრდილში იდგა. ამ პირდაპირ, დაურიდებელ, სიცოცხლით სავსე ფოთოლას, სინაზე და მოკრძალება გუგუტასაგან რომ არ გადასდებოდა, ერთი ახტაჯანა, თავგასული ქალიშვილი იქნებოდა, იმგვარი, სული და გული ხელისგულზე რომ უდევთ და მესამე, მეოთხე შეხვედრის შემდეგ უშინაარსონი და მოსაბეზრებელნი ხდებიან.

გუგუტას ან ბაკურისთანა გულისხმიერი და ჭკვიანი ვინმე უნდა შეხვედროდა, რომელიც წლების მანძილზე თვითონ ამოიცნობდა და გაუგებდა ამ ქალიშვილს, ან უნდა სცოდნოდა, რომ ფოთოლა იყო მისი სულიერი სამყაროს ნაწილი. მაინც ნაწილი, რაკი გუგუტას ფიქრთან, ლურჯ ქვეყანასთან ხელი არც ფოთოლას მიუწვდებოდა... არ მიუწვდებოდა, რაკი ამისათვის მხოლოდ სიახლოვე, ერთ მერხზე ჯდომა და მთელი სალამოები, ან ერთად გათეული ღამეები არ კმაროდა. ეს გოგო ინახავდა რაღაც საიდუმლო მშვენიერებას, რომლის ადგილსამყოფელი თვითონაც არ იცოდა. ერთადერთი ვინმე, ალბათ, ისევ ბაკური იყო, რომელსაც შეეძლო ამის შეცნობა.

მათ ოდესმე სიყვარულზე ელაპარაკოთ კი არა, სიტყვა რაა, სიტყვა არ დაცდენიათ ამის თაობაზე. ეს ისევე კანონზომიერი იყო, როგორც მდინარე მოედინება თავის კალაპოტში, როგორც ხეს ფოთოლი სჭირდება, როგორც ვაზს ყურძენი უნდა ესხას... ამიტომ ამათი გათიშვა ან უერთმანეთობა ისევე შეუ-

ძლებელი იყო, როგორც მდინარის გადახერგვა და საყანეებში გადაშვება, რომ კალაპოტში არ იდინოს, გაზაფხულზე ხის გაძარცვა ფოთლებისაგან, ან ვენახის უნაყოფოდ დატოვება.

ამის კარგად მცოდნე ფოთოლა თვალსა და ყურს არ უჯერებდა. მთელი ერთი წელიწადი ბაკურს გუგუტას ამბავი არ უკითხავს, მისი ასავალ-დასავალი არ გაუგია. მართალია, სამი წელიწადი გავიდა, რაც მათ სკოლა დაამთავრეს და სოფელს მოსცილდნენ, მაგრამ წინა ორ წელიწადს ხომ ბაკური და გუგუტა ახლოს იყვნენ, თუ არ იყვნენ, ერთმანეთის ფიქრით და ცხოვრებით ცოცხლობდნენ. ამ ბოლო დროს რა მოხდა ისეთი, ან რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ფოთოლას არ სცოდნოდა, ესე იგი გუგუტას არ სცოდნოდა. ცისა და მიწის დაქცევას უფრო დაიჯერებდა ადამიანი, ვინემ ამათ უერთმანეთობას, და მაინც ასე კი იყო.

ფოთოლამ ქუთაისში ასჯერ კინაღამ მიატოვა ლექციები და თბილისში ბაკურთან გაქცევა დააპირა, მაგრამ გუგუტამ ამის გაფიქრების ნებაც არ მისცა: „ალბათ მე ვარ დამნაშავე, ალბათ მე... მხოლოდ მე... ბაკური... ხომ იცი ბაკური, იგი უსამართლოს და უსულგულოს არასოდეს ჩაიდენს“, მთელ წელიწადს ჩურჩულებდა თვალებდაშრეტილი გოგო, სხვა დროს არაფრით ერთსა და იმავე ფრაზას რომ არ გაიმეორებდა.

ახლა ფოთოლას ეგონა, რომ ბაკურმა, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, თვითონ მოიგუნება ყველაფერი აეხსნა და აქაც ამისთვის მოვიდა; გახარებულმა გოგომ ის კი არ იცოდა, რომ ბიჭი მათ ეზოში მისმა ძმებმა ძალისძალით შემოიყვანეს და ვერც ისინი მოახერხებდნენ ამას, ფარნასაც ძალა რომ არ დაეტანებინა, აბა, ვისთან უნდა იყო, ერთად გაზრდილი ბიჭები ხართ, რაც შენი ძმებია შენთვის ესენიც ისინიაო. განა ბაკურმა არ იცოდა ვინ იყვნენ ეს ბიჭები და ეს ოჯახი? მით უმეტეს ფოთოლა? მაგრამ ვინ იყო სინამდვილეში ის, ვისთვისაც ბაკურს, ეს უფანჯრო ძელური, სრა-სასახლეებს ერჩია, ფარნამ არ იცოდა; რა იცოდა მამამ, რატომ ჰქონდა ბიჭს აქაურობა სალოცავად გადაქცეული და ან ახლა რა ცეცხლი და მდუღარე უწვავდა გულ-მუცელს, ამ მხარეზე რომ პირს იზამდა ხოლმე.

სოფელში, მით უმეტეს, არაფერი დაიმალება. დილით ორღობეში გავლილმა ბიჭმა სახლის აივანზე გამოსულ გოგოს რომ თვალი ჩაუპაჭუნოს, კაცი თუ არა, ჩიტი დაინახავს, და, მოგეხსენებათ, ჩიტის ენა კარგად ესმით სოფლად. საღამოს, ბუხრის პირას თავშეყრილებს სალაპარაკო და სალიცინო მეტი არაფერი ექნებათ.

ბაკურის და გუგუტას იისფერი სახმილი ისე იწვოდა, მის კვამლს ჩიტი და კაცი ვერ ამჩნევდა.

ბაკურს რომ სუფრაზე დაუწყეს, გადი, გაიარე თუ ღვინომ გაწყინაო, ფოთოლა ზეიმობდა და ვერხვის ფოთოლივით აცახცახებულ დეიდაშვილს იდაყვით კინაღამ ნეკნები ჩაამტვრია.

— აი, არაფერი რომ არ გჯერა, ჩემი რომ არაფერი გჯერა... შენ და ის რატომ გაჩნდით ჩემს მოსასპობად.

— არა, ფოთოლა, არა...

— ენა გააჩუმე! რა არა, ხომ ხედავ, რა მოიგონა. ღვინომ მაწყინაო.

— მართლა აწყენდა.

— რა აწყენდა, როდის წყენდა, ან რა დალია ჯერ იმდენი, რომ ეწყინა?

— იგი ტყუილს არ იტყვის...

— ტყუილია ეს? რა ტყუილია, არ უნდა იქ ჯდომა და ტყუილია?

— რომ არ უნდოდეს, რასაც არ ფიქრობს, იმას მაინც არ იტყვის...

— ჩუ, ჩუ, ჩუ...

— შენც ხომ იცი...

— მე რომ ვიცი... რა ვიცი?! ერთი წელია თვალით არ მინახავს!

— ის მუდამ ასეთი იქნება...

— აი, ნახე თუ ასეთი იქნება!.. — ფოთოლამ ღრიჭოში შეიჭყიტა, — აგერ ჩემი ძმა ადგა... მივა და გარეთ გამოიყვანს...

— არა, არ იზამს...

— აბა რას იზამს, შენ ჩემო მკვლელო, აბა რა უნდა, რას გერჩის, მითხარი მაინც თუ რაიმე იცი, ნუ გამიხეთქეთ გული და ნუ მომსპეთ ადრე და მალე!..

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ვიცი...

— შეხედე გოგო, მართლა არაფრით არ იცვლის ფეხს ადგილიდან, მაგ ფეხებგასახმობი...

— მაგის მტერსა და ორგულს... — არ დაანება გამწარებულ დედიშვილს უსაყვარლესი ადამიანის წყევლა.

— აბა რა გიყოთ, თქვენ რატომ არ გაუწყალდით დედათქვენს მუცელში.

— მე კი, და ის ღმერთს ნუ ექნა...

— რა ნუ ექნა, აბა ვერ ადგება და ვერ გამოვა ეზოში? ხომ იცის, რომ აქა ხარ?

— რატომ მიქენი, რატომ არ დამაყენე და წედან ძალით შემაყოფინე თავი კარებში?.. ხომ ვიცოდი...

— რა იცოდი?..

— ეს როგორ შეიძლება, მე მივუხტე ბაკურს?! — ბაკურის ხსენებაზე ისევ აცახცახდა.

— გაჩერდი, თავი შეიკავე!.. მიხტომაა მაგი? უბრალოდ გავაგებინეთ, რომ აქა ხარ.

— უბრალოდ... უბრალოდ არაფერი არ ხდება...

— აბა რა ბრალი მიგიძღვის, თქვი შენ ჩემო ცეცხლო და მდუღარე!..

ფოთოლა ისევ ღრიჭოში შესაჭვრეტად დაიხარა.

— ალბათ მიმიძღვის...

— შეხედე გოგო, ისევ დაჯდა. მაგი არ ააყენა მამაზეციერმა, შენ მართალი თქვი, ხომ იცი, სახეზე კაცის ფერი არ ადევს!..

— ვაიმე, ღმერთო!.. — ახლა გუგუტა დაიხარა, — უიმე, ცუდადაა!.. რატომ მოვაღწიე ამ დღემდე!

— ადგეს და გამოვიდეს, რამ შეუკრა ფეხები?

— მე რომ აქ არ ვიყო...

— რა მოხდა, რომ გამოვიდეს, შევჭამთ?

— ალბათ მე ისეთი დანაშაული ჩავიდინე, რომელსაც ის ვერასოდეს ვერ მეტყვის...

— სულ არ ვკითხავ არაფერს, სულ არ ამოვიღებ ხმას! თქვენ ჩაგივარდათ ენა, თქვენ ჩემი სისხლი გააშრეთ...

— აღარ შემიძლია... — გუგუტამ მკლავის განთავისუფლება სცადა.

— სად მიუვალში მიდიხარ?

— სახლში, სახლში... მუხლები მეკეცება...

— მაცალე! — ხმამაღლა წამოიძახა ფოთოლამ და უეცრად კარებს ხელი ჰკრა, შეაღო.

ხმაურით შეღებული კარებისაკენ გველნაკბენივით მოიხედა ბაკურმა და მთელი წელიწადი მის ფოტოსურათზეც რომ არ დაუხედავს, ცეცხლწაკიდებული გუგუტა თვალწინ დაუდგა.

## VIII

— დედაჩემო, რა ვქნა, არ მომყვება!.. — ხმამაღლა, მთელი სუფრის გასაგონად გადაიკისკისა ფოთოლამ, და თუ ვინმეს კიდევ თავისი დარდი ან საფიქრებელი ჰქონდა და კარების გაღებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ახლა ყველა მათ მიაჩერდა.

— იმე, ღმერთო მომკალი! რისი გერიდება, დეიდა! — კარებისაკენ წატუსტუსდა დიასახლისი და დისშვილს ისევ უსაყვედურა, — ნეტავ ვისი, ან რისი გერიდება?..

— მოდი ბიძია, მოდი! — გასძახა ესტატემაც ისე, რომ ახვეულ ქვეშაგებზე მისვენებულს წელი არ აუღია.

— დადექით ახლა მაქანე და ივაჟრეთ! — აღრინდა ბესო.

გუგუტამ მაღალ ზღურბლს ფეხი მაინც ვერ გადმოაბიჯა, სანამ ბაკურმა თვალი არ მოაშორა და ესტატეს ზურგს უკან კედელზე ჩამოკიდებულ სავარეო ჩოხას და თეთრ ყაბალახს უაზროდ არ მიაშტერდა.

— მოდით ჰო, მოდით! — სკამიდან წამოდგა ბრიგადირი და ტახტზე გადაჯდა.,

— ერთ სკამზე ორივე როგორ და-

ვჯდეთ! — ისევ ხალისიანად იუარა უკვე სუფრას მოახლოებულმა ფოთოლამ და მამის ხელმარჯვნივ ჩარიგებულ სამ ძმას შეუტია, — ადექით ზევით, თქვე უზრდელებო!

ორი ძმა ადგა, ბესომ ფეხი არ მოიცვალა.

— ოი, რა გოგოა?! — აღმოხდა ბაკურის გვერდით ბუხუტის.

— სოფლის თვალია, სოფლის! — ტაში დაკრა ლადიმ.

— კარგი გოგოაო, იძახით. ჩემი ძმაკი ისე მიყურებს, თითქოს ომი მე წამომეწყოს... — თავი მოისაწყლა ფოთოლამ, რომ ბესო ადგილიდან დაეძრა.

— რა გინდა, ვერ დაეტევით მაგ სიგრძე ტახტზე? — ამოიღრინა ისევ ბესომ.

— მამაჩემთან მი-ინდაა! — პატარა ჭირვეულ გოგოსავით გააბა.

— ჯანდაბას შენი თავი! — ბესომ თავის თეფშს ხელი წამოუსვა და ადგილი გაათავისუფლა.

ფოთოლა ხტუნვა-ხტუნვით, ვითომ ჩემი ხომ გავიტანეო, მამას გვერდით მოუჯდა და გუგუტა ძალისძალათი წაიყოლია.

ბესომ გოგოებს დასხდომა აცალა, და მერე, იქით, მაგიდის თავში, ტახტზე დაეშვა. ძმებიც მიუსხდნენ, მაგრამ ისინი უკვე თამადის ზურგს უკან დარჩნენ, იქამდე სუფრა აღარ წვდებოდა.

— რა ჰქენით, დალაგდით? — იკითხა თამადამ, რომ ფოთოლამ აღტაცებით შეიცხადა.

— ვაიმე, ბაკური?! — მაგრამ მაშინვე მოიწყინა, — არა, არა, ალბათ მეჩვენება... ისე მომენატრა ჩვენი ბაკური, ჩვენი საყვარელი ძმა, რომ მეჩვენება. დედა, მამა, ბიჭებო, გახსოვთ ბაკური? რა ბიჭი, რა მოსიყვარულე, რა მეგობარი...

— გააბა ახლა!.. — ბესომ თავისაზე რომ ველარაფერი იპოვა, იქვე, ძმების თეფშებზე ძვალს წააწყდა და კბილებში მოიქცია.

— რა, ბესოია? — ახლა უფროს ძმას მიუტრიალდა ფოთოლა, — რაო, შე უსინდისო, არ გახსოვს ბაკური?! შეგარცხვინა ღმერთმა!—მაგრამ „უდანაშაულო“ მაშინვე შეივრდომა, — შენც მართალი ხარ ჩემო ძამია, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო.

— კაი დედა ახლა, გაჩერდი, აცალე ამ კაცს, სადღეგრძელო აქვს სათქმელი! — შეახსენა ეპრასიმ ქალიშვილს და ბაკურს ხელი მოხვია, თავზე აკოცა.

— დედა, შენ მართლა გგონია ბაკურს კოცნი?.. საწყალი დედაჩემი, დაბერდა და მოჩვენებები დაეწყო...

— კაი, გოგო! — მიხედა ესტატემაც ქალიშვილს და მასაც გაეღიმა, რაკი უკვე ყველა იცინოდა.

ეს ესტატეს მოეჩვენა, რომ ყველა იცინოდა, თორემ ამ სუფრის ორ მონაწილეს ერთი წელიწადია გულიანად კრიჭა არ გახსნიათ...

— კი, ძმებო და ბიძიებო, კი... ამოიღეთ ხმა. ასე მკვდრის პატრონებივით სანამდე ვიყოთ, — ყელგაწვდილი ეხვეწებოდა აფრასიონი ხან ერთს, ხან მეორეს, ბოლოს ფოთოლა რომ სუფრასთან დაიგულა, აღარ მისცა საშველი, — თუ ხათრი გაქვს, ჩემი კუდრაჭა გოგო, ასე ცოფიანი მგლებივით ვჭამოთ და ვსვათ? აბა, დამიწყე ჩემო ცუგრუმელა!..

— ბიძია, რა დროს სიმღერაა?!

— ახლაა დრო თუა. ასეთ დროს ვიცოდით ჩვენ სიმღერა. სიმღერა ახლა წამალივითაა, ასე არაა ლადი და ილიკო? შენ რას იტყვი ბაკური ბიძია, ჭკვიანი მამის შვილი ხარ. ე, კაცო თამადა, ამოიღე ხმა, შენი სიტყვა კანონია...

— იცოცხლე, კარგი სიმღერა ლხინშიაც და ჭირშიაც მოგცეს ღმერთმა, მაგრამ თქვენ უნდა ჰქნათ სიკეთე, თორემ, მე რომ ხმა ამოვიღო, ამ ახლომახლო ჩემს მეტი არავინ დარჩება, — გაიხუმრა ლადიმ, — მე იმ დასაქცევ ომშიაც რომ წამიყვანონ და ხმამაღლა

მამღერონ, გერმანიას ცხვრებივით გადავრეკავ...

— კაი ახლა ლადი, ასე უსაშველო მართლა რა გჭირს?

— იმე, ჩემს სიმღერასთან ზარბაზნის ქუხილი დედის ნანინად მოგესმება.

სუფრაზე ღვინის მადლი და ეშხი მაინც დატრიალდა.

— დავლიოთ თითო-თითო კიდევ და ყველაფერი რიგზე და წესზე იქნება, ასე მაქვს დაცდილი! — წამოდგა თამადა.

— ერთიც, და მერე ლადის ვთხოვოთ... — გაიკრიჭა ბრიგადირი. როგორც იყო, სუფრაზე რაღაც ხალისი შემოიპარა. სადღეგრძელოს მერე რომ მიწაში დაფლავს, ისე შეინახა უგულავამ ღიმილის მიზეზი.

— ქალიშვილებს გაუმარჯოს! — მაღლა ასწია მაღალმა თამადამ სასმისი, კინალამ მჭვარტლიან ოჯინჯალას მიუწვდინა.

ლადიმ თამადის ხელს თვალი ააყოლა და აფრასიონს და ილიკოს, ორივე მხარეზე, უჩურჩულა:

— რაფერ გადარჩა, კაცო, ეს კაცი, თუ მართლა ომშია ნამყოფი, აჰ, არ გიკვირს?

— ნამყოფია კი არა, ახლაც არ დამაგრდება, თუ გაუშვეს...

— მერე, სად გინდა რომ დამალო ამსიგრძე კაცი?

— ოო, — მიუხვდა აფრასიონი და ულვაშის გრეხით ჩაიღიმა, — ძნელია, ლადი ჩემო, ძნელი...

ამ ხუმრობას როგორღაც უგულავამ წაჰკრა ყური და ილიკოს მაგიერ გადაიხარხარა, რაზეც თამადამ შენიშვნა მისცა: შენ სუფრას უნდა აწყნარებდე, და თვითონ მიშლი ხელსო.

— გავიცინოთ, გულს დარდი მოვაშოროთ... — იმართლა თავი მოადგილემ და პირზე ღიმშეუშრობელი სმენად იქცა.

— ე, ფოთოლა გოგო! თქვენი სადღეგრძელოა, ახლა მაინც თქვით რაღაცა! — აიშალა აფრასიონი.

— რა გინდა ბიძია, რა გითხრა? — თვალი მოუჭუტა ფოთოლამ და ბაკურს მიაცქერდა.

— ამოიღეთ მართლა ხმა, იქნება არ ვიღუპებით სუყველა! — აჯანყდა თამადის გაფრთხილებით შებოჭილი უგულავა და ხარდანივით წაწვეტებული ცხვირი უკმაყოფილოდ მაღლა, გამჭვარტლულ ბერულისაკენ აიშვირა.

ფოთოლამ გუგუტას წინდაწინ ხელი წაჰკრა, იცოდა, მერე საშველს არ მომცემს — რა გემღერებოდაო და დაიწყო:

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლო მეზობელო...

— ჰარალო! — აიტაცა სუფრამ. აფრასიონი მაშინვე ფეხზე წამოვარდა, ორივე ხელით ულვაშების ბოლოები დაახვია და ისეთი ბუხუნა ბანით გააგრძელა: — ორუდილა დელაა, დელია, ნანიიიიინა, ჰეე... — რომ ლადიმ პირი დააღო, თითქოს აფრასიონი სუფრასთან კი არა, საერთოდ პირველად ენახოს და გაჰკვირვებოდეს, მისი ბოდიშიანი ხმის პატრონს ეს მგრგვინავი ბანი საიდან გაუჩნდაო.

შენ რომ ცეცხლი მომიკიდე,
მითხარ, როგორ გავანელო...

სხვენს მიაშტერდა ფოთოლაც, აქაო და ვინმემ არაფერი იეჭვოსო.

— ჰარალო, ჰორუდილა დელა, დელია, ნანი ნანინააა ჰეე!...

ჯარში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...

ცივი, გამყინავი ხმით ჩამოართვა ნოვე უგულავამ, აფრასიონს ორივე ხელი გამოუწოდა: არიქა, მიშველე, ისე მაღალი ხმით წამოვიწყე, მხოლოდ შენი ბანი თუ ამომწვდებაო, და მერე უფრო დაწეულით განაგრძო: ამაზე შორს რომ წავიდე, მარტოდმარტო დავრჩებიო.

დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...
ჰარალოოო...

ბაკურს არაფერი ესმოდა და კედელზე თვალმიშტერებული ვერც შავ ჩოხას ხედავდა და ვერც თეთრ ყაბალახს. იგი აუტანელი გულისტკივილით გრძნობდა, რომ მის წინ იჯდა ადამიანი, ურომლისოდაც მას ერთი წუთით არ შეეძლო არსებობა და რომელთანაც მიახლოება არას გზით არ მოხერხდებოდა. ამ გოგოს მშობლებმა, თუ მან, ვინც ის შექმნა და აღზარდა, კინაღამ დაღუპეს უდანაშაულო ადამიანი. თვითონ გუგუტას უნებური ხელი თუ ერია ამ საქმეში, ბაკური ვერასოდეს ამაზე ფიქრს ვერ გაბედავდა. ის ადამიანი ბაკურის ასე ახლობელი და საყვარელი ბიძაც რომ არ ყოფილიყო, მაინც არ შეეძლო ყვარებოდა ასეთი ოჯახის შვილი კი არა, ნაცნობიც კი. ბოლოს სიმართლე დადგინდა თუ არა, ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. ამათ ხომ თავისი გააკეთეს!

ახლა აგერ, მამა აბრამის ბატკანივით ზის, ბაკურის წინ, სახეალეწილი, დაბნეული და ცრემლშეგუბებული ითხოვს პატიებას.

„არა, მართლა პატიებას ითხოვს? თუ...

„როგორ თქვა წუხელ ლუკამ?...“

„...ზიზღის ღირსიც არაა...“

ბაკურს ბიძის ზიარი სისხლი თავში აუვარდა.

„და მე უნდა ვიყო ისე სულმდაბალი ეგოისტი, რომ ჩემს გრძნობებს... არ ვიცი, ამის მერე რაღა გრძნობა დაერქმევა, ვერ ვაჯობო და თვალი დავუხუჭო სიმართლეს. შევურიგდე ადამიანის მიერ ადამიანის ღალატს და გაუტანლობას. მაშინ რიღასთვის მიდიან ეს ბიჭები ომში. ან ლეონი, მე და მამუკა რისთვის უნდა წავიდეთ, თუ უსამართლობას, ვერაგობას და ძალმომრეობას არაფრად ჩავაგდებთ... რომ ადგეს და ის გერმანელი აქ მოვიდეს, მეტს რას დაგვმართებს... რიღასთვის უნდა აიღო თოფი ხელში და რისთვის უნდა იბრძოლო, თუ სიმართლეს და უსამართლობას ერთი ფასი ექნება.

„თუ მტრის და მოყვრის გარჩევა არ შეგიძლია, არ იცი ვის ესროლო და ხელში მაინც თოფი გიჭირავს—მკვლელი ხარ, ისე, როგორც ვითომ გიყვარს და არ იცი ვინ გიყვარს, რისთვის გიყვარს. მაშინ ხომ ზნედაცემული ავხორცი ხარ...“

შენ რომ ცეცხლი მომიკიდე...

სიმღერას ისევ დაწყებული სადღეგრძელოს გაგრძელება მოჰყვა.

მთელი წელიწადი, რაც ლუკა შინ დაბრუნდა და ყურში ჩაწვდა ეს ამაზრზენი ამბავი, ბაკურს იმდენი ჰქონდა ნაფიქრი და თავნატეხი, ახლა თითქოს ტვინი გასიებოდეს და თავის ქალაში არ დატეოდეს, ფეხზე წამოიჭრა, ჭიქას ხელი წამოუსვა.

— მე მინდა ორიოდე სიტყვა.. სადღეგრძელო მინდა ვთქვა! — ასე ხმამაღლა სუფრაზე კი არა, ბავშვობისას, სამწყემსურში არ დაულაპარაკია.

— აცალე ბიძია, მოათავებს ეს პატიოსანი კაცი და თქვი, ვინაა რომ პირი აგიკონა.—არ დაანება თამადამ ასე უადგილო ადგილას ფეხზე წამოვარდნა ამ ოცდაორი წლის ბიჭს, როცა აქ მასზე უფროსებიც იყვნენ და, გარდა ამისა, შუა სადღეგრძელოში, პირიდან სიტყვის გამოგლეჯა არავის გაეგონა.

— აცალე თქვას! — ჭიქა დადგა ესტატემ, — მაგი ურიგოს არაფერს იტყვის!..

— ჩვენ ურიგოს ვამბობთ? — გაიკვირვა თამადამ, — ჩემს უფლებებში ოჯახის უფროსი რომ ოჯახის უფროსია, ისიც არ უნდა ჩაერიოსო.

— მაგი ჩვენს კერიასთან გაიზარდა... მე ყოველთვის მიყვარდა მაგის ლაპარაკი... — აკეცილ ქვეშაგებზე მიწვა ესტატე და ხმა გაკმინდა.

— მე, ესტატე ბიძია!.. — ჩოხას და ყაბალახს მიაცივა თვალები ბაკურმა,

ახლა მისთვის სულერთი იყო სახელდობრ ვის მიმართავდა, თავის სათქმელს მაინც ერთს ეუბნებოდა, — ჰო, ესტატე ბიძია...

— ე, ბიჭო ბაკურ, ჩემი და გუგუტას სადღეგრძელოა, მამაჩემი რა შუაშია. — სხვების დასანახავად გაიცინა ფოთოლამ, მაგრამ გუგუტამ მკლავზე ისე მაგრად მოუჭირა, გაოცებული ფოთოლა მაშინვე მისკენ მიტრიალდა. ეს მართლა ამ გოგომ ჩაიდინა, თუ მას იქით მჯდომმა ბესოიამ ხელი მომიწვდინაო.

— ესტატე ბიძია... — თითქოს გაკვეთილი არ იცის, სათაურს იმეორებს, რომ ამასობაში ვინმემ მოიფიქროს და მიკარნახოსო.

— ე, ბიჭო, რა დავაშავეთ თქვი!.. — შეიხვეწა ფოთოლა და დეიდაშვილს მკლავი დაუმალა.

— თუ ქვეყნად სიმართლე არ იქნა... — ეს იყო ის, რაზეც ბაკურს უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ არ უნდა ეთქვა, უნდა ელაპარაკა ისე, რომ ეს არ ეხსენებინა და მაინც ამით კი დაიწყო. სულ ყველაფერი წყალში ჩაიყარა, ახლა აღარაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა, რაკი დედააზრი გათქვა.

— კი, ბიძია, კი, აბა ამ მჭვარტლიან ქოხში ცხრა სულს რამ გაგვაძლებინა.

— ჰოდა, შენ უფრო კარგად გამიგებ, ესტატე ბიძია...

— გისმენ, ბიძია...

— ჰოდა, სიმართლეს გაუმარჯოს...

— რაში ვართ მტყუანი, გაგვაგებინე! — ისევ ქვეყნის დასანახავად გაიცინა ფოთოლამ, თითქოს ამ ჩვენი სადღეგრძელოს დროს რატომ დასჭირდა ეს „სიმართლეო". ბაკურს კი ის მოთხოვა, რაში ადანაშაულებდა გუგუტას, იქნებ ამ ძნელბედობის დროს, ღვინის მადლით გადაკრულად მაინც ეთქვა.

იქნებ ბაკურიც ამას აპირებდა, იქნებ ეს ამოუთქმელი ცეცხლი ორმაგად სწვავდა და ქარაგმით სანახევროდ მაინც უნდოდა ამოენთხია. ახლა შემთხვევა მიეცა, თუ პირიქით, სულ უადგილო ადგილას წამოიწყო, მაგრამ მთელი წლის ნაფიქრს სიტყვა ვერ მოუძებნა და საკუთარ გულს შემოეხეთქა.

— თქვი ყმაწვილო, თუ რაიმე ისეთს აპირებ, გაშუადღევდა... — შეახსენა მაინც უფლებაშელახულმა თამადამ, — საცაა მანქანას გამოგზავნიან, ამ ბიჭებს აქ კი არ წამოასკუპებენ და აქეიფებენ!

— თქვენ გაგიმარჯოთ, ბიჭებო! — ბესოს, ლექსოს და სოსოს მიუბრუნდა, — თოხი გეკავებათ ხელში, თუ თოფს დაიჭერთ — სიმართლისათვის... გეყვარებათ ვინმე, თუ სასიკვდილოდ გაიმეტებთ — სიმართლისათვის...

— შენ რაო, ჩვენი ჭკუის დასარიგებლად დაგტოვა მამაშენმა? — ჩაიღრინა ბესომ და თეფშს ხელი ჰკრა.

— ჩუ ბიჭო, რა გითხარი მე შენ!— წამოიწია ესტატე.

— არავის არ დავუტოვებივარ მე! — ბოლმამ კისერში წაუჭირა ბაკურს, — მე ამ ოჯახში პირველად არა ვარ.

— რა ვიცი, ერთი წელიწადია შენი ლანდი არ გვინახავს და...

— მერე და რისთვის?

— რა ვიცი მე... შენ გეცოდინება...

— უსამართლობისთვის...

— რაო?! — ბესო ფეხზე წამოდგა და სუფრის წევრებს თვალები გადაუბრიალა.

— დაჯექი ბიჭო შენ!.. რა იყო ბიძია, ვინ მოგექცა უსამართლოდ? — იკითხა დაყვავებით ესტატემ.

ეპრასი გაიფოფრა:

— უი, მოგიკვდა ჩემი თავი, შვილო, ვინ აწყენინა ამ ბიჭს?

— უსამართლობა, ბიძია ესტატე... და ბიცოლა ეპრასი! უსამართლობა, გაუტანლობა და ორპირობა...

— ჩვენგან, ჩვენი ოჯახისაგან?! — გაალაწუნა კბილები და შეხტა ისევ ბესო.

— სულ ერთია ვისგან...

— მოიცა, მოიცა. აქ რაღაც სხვა ამბავია, იცოდე შენ! — ჩიბუხიანი ხელი ასწია ესტატემ და ფეხზე წამოდგა, — თქვი ბიძია, აქ შენი მტერი და მოშურნე თუ ვინმე გვგულება.

— ჩემი... მე რა შუაში ვარ ესტატე ბიძია. მე სიცოცხლე მძულს, მე მეშინია ადამიანი არ შემძაგდეს...

— ღვინოს ვერ იტანს ეს ბიჭი! — თავის ქნევით დაასკვნა თამადამ; მე ყველაფერი რიგზე და წესზე მიმყავდა, ასეთი ჭირვეული რომ არ გამოჩენილიყოო.

— რატომ შვილო, რატომ, ბიცოლა ეპრასი შემოგევლოს!.. — მხრებზე ორივე ხელი მოხვია დიასახლისმა, ძალისძალათი დასვა და თავზე, კვინიხში აკოცა.

— არავინ არ მიყვარს, ეპრასი ბიცოლა... — ჭიქა ნაჩქარევად დადგა, მოუტრიალდა და ორივე ხელი მოხვია, — არც შენ, ჩემო ბიცოლა, არც ესტატე ბიძია... არც დედაჩემი და მამაჩემი, არც ჩემი ძმები და არც შენი შვილები... არავინ არ მიყვარს, ყველა მძულს..

— ნუ ტირი, შვილო, ყველა რავა გძულს, შენისთანა მოსიყვარულე ბიჭს, გძულს კი არა, შენსავით ჩემს ბიჭებს არ მივაჩნივარ მგონია, — მკერდში ჩაიკრა ეპრასიმ.

— არა ბიცოლა, არ მიყვარხარ! — ეხვეოდა, სახეს მის ჭაღარა თმებში მალავდა და ზლუქუნებდა, — მძულხართ, ყველა მძულხართ, ვიცი, მოღალატეები და გაუტანლები ხართ...

— ბაკური!

— ბაკური, ბიძია!

— დაწყნარდი შვილო, დედაშვილობას გაფიცებ, შვილო!..

— გაჩუმდი, ბოლოს და ბოლოს ნუ გადაგვჭამე თავი! — იყვირა ბესომ.

— შენ, შენ! — ერთბაშად მიუტრიალდა ბაკური, — ნუ გგონია, რომ მე აქ დავრჩები და შენ ჩემსკენ წამოსული მტრის მოგერიება მოგიწევს. მე დავხვდები ჩემს მტრებს. მე არავის შევარჩენ პატიოსანი კაცის დაღუპვას, ჩემს დაღუპვას და დარბევას. მე შენთან ერთად, შენთან კი არა, შენზე უწინ... ბესოია! მე ახლავე... ამწუთას მივდივარ, შენ კიდევ ერთი საათი... ორი საათი კიდევ მოგიწევს აქ ჯდომა და მე ახლავე მივდივარ! — მაგიდიდან წამოვარდა, ეპრასის რომ არ ჩავარდნოდა ხელებში, მაშინვე კარებისაკენ გაიჭრა.

— შვილო, შვილო ბაკური! — მაინც მოასწრო ჩაფრენა ეპრასიმ და არაფრით წასვლა არ დაანება, მაშინვე აფრასიონმაც გადმოალაჯა გრძელ მუხის ფიცარს, მერე ბიჭებიც შემოეხვივნენ.

— არა, ახლავე გამიშვით! ახლავე მივდივარ! აქ მაინც არ დამედგომება... აქ მაინც არავის დანახვა არ მინდა... მთელი წელიწადია ვიტანჯები... სანამდე ვეწამო... არ გეცოდებით, თქვე უგულოებო?...

— მოიცა, მოიცა ბაკური! — ახლა ბესომ დაიმკლავა და ბაკური ძლიერ ხელებში მოიმწყვდია, — რა იყო ბიჭო, რომ გადაირიე!

— ახლავე გამიშვით!

— მოიცა, ერთად წავიდეთ...

— არა, შენ გგონია... თქვენ გგონიათ, მე ისე, უმიზეზოდ?.. აღარ შემიძლია...

— რა მოუვიდა ამ ბიჭს?

— საძვიროდ კი არ ვამბობ და მარტო ღვინო? ღვინოს ნუ კი დავაბრალებთ ყველაფერს...

— მეც ასე ვფიქრობ, ჩემო ლადი...
— თითი ასწია ილიკომ.

— თქვენს ხელში გავიზარდე, თქვენს გვერდით, თქვენს კერიასთან... და ღმერთი არ გწამთ? გამიშვით... წავალ, წავალ და მეცოდინება მაინც ვის ვებრძოლო... ვის ვესროლო... აქ, აქ რა ვქნა, რომ მაინც მიყვარხართ, რომ უთქვენობა არ... არაფრით არ შემიძლია... ხომ... ხომ ხედავთ წეღან რა ვთქვი და ახლა რას ვამბობ... უმადური, საცოდავი, უსუსური ვარ... მე... მე კაცი კი არა, უსულო... თავმოყვარე-

ობა რომ არ გააჩნია, თავმოყვარეობა კი არა, კიდევ უარესი, თოჯინა ვარ, ხის... არა, ჩარიღლას თოჯინა... გამიშვით!

— გუგუტა! — მიაძახა ფოთოლამ უკანა კარებში გავარდნილ დეიდაშვილს და გაეკიდა.

* * *

მეორე დღეს რაიონის გაზეთის „ახალი ცხოვრების" პირველ გვერდზე ბაკურის სურათი იყო გამოქვეყნებული, სადაც იუწყებოდნენ, რომ პატრიოტი ახალგაზრდა, ბაკურ ფარნას ძე ჯაყელიძე ნებაყოფილობით წავიდა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

IX

ვატუტმა ვაგონში ფეხის შედგმისთანავე თავზე ორივე ხელი იტაცა, რძალი და უფროსი ძმა გადაკოცნა: ეჰ, რამდენი დღე და ღამე ხეირიანად თვალი არ მომიხუჭავსო, თუ ხათრი გაქვთ, არ შემაწუხოთ, სადღაც უნდა მივეგდო და თბილისამდე მკვდარივით ვიძინოო.

— არა, არ გვე-ეწყინება...

ვატუტის თვითონ რომ არ ეთქვა, ლეონი ვერც გაიფიქრებდა თუ აქ რაიმე უხერხულობა იყო და მატარებლიდან ისე ჩავიდოდა, არც კი გაალღიძებდა.

ნორა ცოტა კი აიმრიზა, როცა მაზლმა მეხუთე, სხვა კუპის ბილეთი ხელში მოიმარჯვა და ფართხა-ფურთხით თავს უშველა, მაგრამ ქმარს ცოლის მხარეზე არც მიუხედავს და რომ მიეხედა კიდეც, მეუღლის არც თუ ისე მეტყველ სახეზე იქნებ ეს ამრეზა ვერც ამოეკითხა.

კუპეში ოთხნი დარჩნენ.

ლეონი უმცროს ძმას შესცქეროდა, რომელიც მოუხერხებლად, მაგრამ დიდი მონდომებით აპირებდა საზურგეზე მიკეცილ თარო-საწოლის გამართვას. ბოლოს, მატარებლის ჯაყჯაყში, კარგა ხნის ცოდვილის შემდეგ, როგორც იქნა, თავი რომ მოაბა ამ საქმეს, თეკლას საშველი არ მისცა, სანამ მაღლა არ აუშვა; მერე, სანამ თავქვეშ ჩანთა არ ამოუდო და ფეხებზე პიჯაკი არ წააფარა, მანამ ვერ მოისვენა.

მხოლოდ ნორას თუ შურდა ის, რაც მათ თვალწინ ხდებოდა და ისიც გულგრილი, უმტკივნეულო შურით, თორემ ლეონი ამას ისე უცქეროდა, როგორც მისი საყვარელი ადამიანის ჩვეულებრივ საქმიანობას, ისე, როგორც გლეხს ეამება, შვილი რომ ხელში პირველად ბარს აიღებს, ან მხატვარს, მისი მოსწრება ვაჟი რომ ყალამს დაიჭერს და ტილოზე ფერებს დაადებს.

— რას ი-იზამ ა-ახლა შენ? — ესლა ჰკითხა, სანამ მამუკა ფანჯარასთან მიჩოჩებას მოასწრებდა, რათა თვალმოუცილებლად მიშტერებოდა მინის მიღმა გაჭენებულ ლურჯ მთებს და ცისფერ მდინარეებს.

— რას ვიზამ... — მხრები აიჩეჩა და უფროს ძმას სახეში შეხედა: რაზე მეკითხებიო?

— ეს ო-ომი რომაა...

— რა ვიცი, ომია?..

თეკლამ თარო-საწოლის ძგიდეზე ნიკაპქვეშ მუჭი დაიდო და ზევიდან გადმოიხედა:

— აბა, არ ა-არის?

— იქნება არცაა...

— მამუკა!.. — ჩამოსძახა ზევიდან თეკლამ.

ნორას გაცრეცილი, სატირალზე რომ გაგეცინება, ისეთი ღიმილით გაეღიმა.

მამუკამ მაღლა აიხედა.

— აბა, მე რა ვიცი...

— რა არ იცი, ქვეყანა იქცევა და არ იცი?..

ქმარშვილიანი ქალის გულისტკივილით შეეწუხდა თეკლა, რაც ნორამ ასევე ქალური გუმანით იგრძნო: ის მიხვდა, უმცროს მაზლსა და ამ გოგოს შორის რაღაც, სიყვარულობანაზე მეტი რამ მომხდარიყო, თუმცა სახეზე ჩვეულებრივ არაფერი გამოხატვია.

— მე ი-იმაზე ვამბობ, თუ წა-ამი-ყვანეს, ვეღარაფერს და-აგეხმარები... — ვითომ ნათქვამის განმარტება სცადა ლეონმა.

— ალბათ. შენი ნებაა...

— ჩემი ნება სა-აიდანაა, თუ ომში ვი-იქენი...

— ომში იქნები? მერე და სულ იქ აპირებ დარჩენას?

— სა-ანამდე ომი ი-იქნება...

— მერე, სანამდე იქნება?

ლეონმა თავი მოიქექა.

— თქვენ რომ... იმ თუთაზე ლაპარაკობდით... საცოდავ მეურნეობას მიატოვებთ?! — თეკლა ორივე ძმას გაოცებით ჩააჩერდა: ეს როგორ დაგავიწყდათო.

— ერთ დღე-ესაც ვერ მი-ივატოვებ...

— სახლი არ ახსოვს და კარი, დღე და ღამე იქ ზის... — ბავშვი რომ ცოლ-ქმრობანას ითამაშებს და გაგონილ საყვედურს გაიმეორებს, რაღაც ისე არაქალურად, სასხვისოდ წაიჩურჩულა ნორამ.

მატარებელი რიონის სადგურს უახლოვდებოდა, რომ ნორამ მაღლა წამოწოლილ თეკლას ხელი უსიტყვოდ ჩამოართვა, ლეონმა თავის დაქნევა ძლივს მოახერხა, ორსულ ცოლს კუპის კარებში გაასწრო და როცა თვალს მიეფარნენ, ისევ შემოაბოტა, ბილეთები ფანჯრის მაგიდაზე დაყარა და უკან გაბრუნდა.

— მამუკა, რას უზიხარ, არ მიყვები? — გაუკვირდა თეკლას.

— სად?..

— სად და კიბეებამდე მაინც მიაცილე.

— კი, როგორ არა... — წამოვარდა და წასულებს დაედევნა.

„რა ბედნიერი ვარ, — თვალები მილულა თეკლამ და გულაღმა გადაბრუნდა, — ძმის და რძლის გაცილება ვერც კი მოიფიქრა, რომ მარტო არ დავეტოვებინე, — მერე უეცრად თვალები ფართოდ დაალო და ვაგონის ჭერს უაზროდ მიაჩერდა, — რატომ ხდება ასე? საერთოდ ასეა, თუ მამუკაა ასეთი, თუ... — შემდეგ ფიქრის გაგრძელების შეეშინდა და მიაფუჩეჩა, — ალბათ ასეა, როცა ძალიან უყვართ და არაფრით უერთმანეთობა არ შეუძლიათ. მით უმეტეს, როცა სამუდამოდ ერთმანეთს ეკუთვნიან... ალბათ ასეა, კი, კი...

მატარებელი გაჩერდა.

თეკლა საწოლზე წამოჯდა, დერეფნისაკენ გაჩოჩდა და კუპის ღია კარში თავი გაჰყო.

დერეფანში ფაცი-ფუცით გარბოდნენ მგზავრები, რაღაცას მიათრევდნენ, ერთმანეთს ებლანდებოდნენ, ბრაზობდნენ, იღრინებოდნენ.

„რაღაც ყველაფერი შეიცვალა, ასე არ იყო აქეთობისას.

„ამ სადგურში დიდხანს გავჩერდებით?..

„ნეტავ ამ დერეფანში რას ვიყურები, ფანჯარაში გადავიხედავ, მამუკა ახლა ბაქანზე იქნება“.

უკან გამოხოხდა და ფანჯარას მიაწყდა, კინაღამ შუბლით გაამსხვრია მინა.

„ არავის მოგონებია, რომ ფანჯარა გაეღო“ — თვითონ დაუწყო ჯაჯგური. ჩარჩო ხმაურით ჩავარდა კედლის ღრმულში.

მამუკა ძმასა და რძალს შორის იდგა და უკვე სადგურის წინ მიალაჯებდა.

„ღმერთო ჩემო, რა მეშველება მაგის პატრონს — „მაგის პატრონს“ რაღაც ისეთი სიხარულით გაიფიქრა, გული მოეწურა, — ჯერ იყო და გაცილება ვერ მოახერხა; ახლა სად მიყვება. მატარებელზე რომ დააგვიანდეს? რა მეშველება... ფანჯრიდან გადავხტები!“.. — ბოლოს ეს მოაგონდა, დამშვიდდა და თავთან გააბა მასლაათი.

„შეხედე, შეხედე, როგორ დადის!..“

„როგორ დადის!“

„ადამიანი წინ არ უნდა იხედებოდეს?“

„მიწაზე ყურებას, ცას უცქირო, არ ჯობია?“

„რა ცაა ახლა სადგურის თავზე ისეთი?“

„მართლა სულ ცას კი არ უყურებს, საერთოდ მაღლა ცქერა უყვარს“.

„ღმერთო ჩემო, მერე მართლა რამეს რომ ფეხი წამოკრას?.. ნახავ აქეთობას, როცა პირველ ლიანდაგს გადმოირბენს, თუ რაღაცა არ მოიწიოს“.

„რა უნდა მოიწიოს?“

„რატომ მიილეს მატარებელი მეორე ლიანდაგზე, თუ პირველი თავისუფალი იყო?“

„რავა გგონია, მართლა რაიმეს მოიწევს? ხომ არ გაგიჟდი?“

„არა, მარა მაინც ადამიანი შუშასავითაა, აი, პირველ რელსზე რომ ფეხი დაუცურდეს და მეორეზე დაეცეს?“

— მამუკა! — ხმამაღლა დაუძახა, როცა მორიგემ ზარი შემოკრა, — ნელა წამოდი! — ეს ძახილი იქამდე ვერ მიაწვდენდა, მაგრამ მაინც დაშოშმინდა, თითქოს რაღაცა იღონა.

„რა მჭირს? — გაუკვირდა, — ყოველთვის ასე მოხდებოდა, თუ ომი რომ დაიწყო, იმიტომ მემართება... — ისევ შეეშინდა ფიქრის გაგრძელების და უკვე უკან მომავალ მამუკას უხმოდ და უფიქრელად მიაჩერდა.

მამუკამ მართლა წაიფორხილა, მაგრამ არა ლიანდაგებზე, არამედ კიბესთან და საფეხურებზე ხმაურით ამოვიდა.

მატარებელი დაიძრა.

„მოდის!“ — თეკლა უკან მიაწყდა და ზურგით ტიხარს აეკრა, გაინაბა. ღია ფანჯრიდან ქარი შემოვარდა, ბეჭებამდე შეჭრილი მაყვალივით შავი თმა აუწეწა.

— ორპირი ქარია, კარი დახურე, მამუკა! — ესლა მიაძახა შემოსულს და წამოიწია, — ჩაკეტე! — დაუმატა და მუხლებზე და ხელებზე ლამაზი მტაცებელივით დამდგარი დაელოდა, სანამ ნათქვამს შეუსრულებდნენ.

და როცა ვაჟი მოტრიალდა, ქალი ზევიდან ისე გადმოეშვა და მოეჭდო კისერზე, მამუკა დაბარბაცდა და ორივენი გრძელ სკამზე დაცვივდნენ.

— არაფერი იტკინო, გოგო, არაფერი... — ამოიბლუკუნებდა ვაჟი ზოგჯერ, როცა ქალის ცხელ ტუჩებს თავს დააღწევდა, მაგრამ თეკლას ახლა არაფრის გაგონება არ უნდოდა.

„რა მემართება, რა მჭირს... რა უბედურებაა ჩემს თავს?“ — გულში იძახდა და ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა ლოყებზე, კისერში, მკერდზე, ყურის ძირებში, კეფაზე, თავზე, და როგორც მამუკა რაიმეს ამოილაპარაკებდა, მაშინვე დააკვდებოდა. თავდავიწყებული ქალი, შავ ავაზასავით მოქნილი და გამძვინვარებული თავს რომ „ესხმოდა“, „მსხვერპლი“ იმასღა ახერხებდა, ხელი არ შეეშალა.

— რა მემართება, მამუკა, მითხარი... — კისერზე ხელები მაგრად მოუჭირა და ყურში ცხელი ნაღვერდალივით ჩაუღვარა, — რაღაცა უბედურებაა ჩემს თავს.

— რა უნდა იყოს... — ვაჟი ჯერ თავდასხმისაგან და ცეცხლოვანი ალერსისაგან გონს ვერ მოსულიყო, რომ ახლა ეს ცხელი ძირმწარე გადაასხეს.

— რაღაცა უბედურებაა ჩვენს თავს...

— თეკლა!

— კი... კი, აი, ნახავ თუ არა, ნახავ თუ არა! — ქალი უცებ მოეშვა, ხელები ჩამოუცვივდა და ვაჟის მკერდზე ისე ფუყედ შერჩა, თითქოს კაბიდან გამძვრალიყოს.

— რატომ, რა მოხდა ისეთი?..

— არ ვიცი...

— არაფერიც არ იქნება, რა უნდა იქნეს?.. — ახლა ვაჟმა მოხვია მკლავები, მაგრად მიიკრა გულზე, უკვე მართლა იმის შიშით, ხელიდან არ გამიქრესო და ფართოდ გახელილ თვალებში ჩააჩერდა.

— არ ვიცი... — უხმოდ თქვა ქალმა, მომჩვარული ხელი კისერზე მოხვია, თავი დაახრევინა და ტუჩი ტუჩზე მიადო. არ უკოცნია, მერე ბაგეები ცახცახით, ფრთხილად, თითქმის შეუმჩნევლად მოატარა მის სახეზე. თხელ,

რბილ, აბრეშუმივით სიფრიფანა ულვაშებზე. თვალის გუგებზე და წამწამებზე, წარბებზე და შუბლის შეუმჩნეველ ნაოჭებზე.

— თეკლა, შენ ძალიან დაიღალე.

— არა...

— აბა?

— მე რაღაც უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი ამ დღეებში...

— მერე, მაგას რა ჯობია.

— არა, იმდენად, რომ...

— როგორ, სხვანაირად უნდა ყოფილიყო?

— ალბათ...

— რატომ?

— არ ვიცი...

— მერე რა, რომ არ იცი. ალბათ ასე უნდა ყოფილიყო.

— არა, ასე არ შეიძლება. ასე არ შეიძლება...

— რა არ შეიძლება?.. რა არ შეიძლება?..

— ასე არ შეიძლება... — მოშვებული ქალი მკერდიდან ჩამოცურდა და თავი ვაჟის კალთაში ჩაუვარდა.

— თქვი, თუ რაიმე... თქვი, ნურაფერს დამიმალავ...

— რა ვთქვა?..

— რა ვიცი.

— არაფერი არ ვიცი.

— აბა, რისთვის... ნუ დამიმალავ...

— არ გიმალავ, შენ რაიმეს დაგიმალავ?

— აბა, რა ვიფიქრო?

— არა, ასე არ შეიძლება.

— აბა როგორ?

— რატომ, აბა, რატომ მოხდა?

— რა მოხდა?

— დედაშენმა რომ არაფერი გითხრა.

— მამაჩემმა?..

— იმ კაცმა რატომ მიმიღო ასე თავისიანად.

— ვინ კაცმა?

— აი, გზაზე რომ წამოგვეწია, საღამოს კი როცა თქვენთან ოჯახში გვეწვია, ჩვენი დარდი სულ აღარ ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლადო...

— ჰო, რატომ ბიძაშენმა არაფერი... წამოსვლისას რატომ დაწყდა დედაშენს გული ისე...

— გული დაწყდა?! დედაჩემი... დაწყდებოდა, აბა, ჰო, რაღაც უჩვეულო კია თითქოს...

— რატომ, მეტს ვეღარ მნახავს?

— რას ამბობ, თეკლა?!

—რატომ გაიქცა ვატუტი და მარტო დაგვტოვა?

— გაიქცა... ეძინებოდა და გაიქცა, ის ისეთია... „თავისი თავის კაცს" ეძახდა მამაჩემი.

— ლეონი და ნორა...

— რა, ლეონი და ნორა. უნდა ჩასულიყვნენ და ჩავიდნენ, აქ სხვა მატარებელში გადაჯდებიან, ისინი თბილისში რომ არ ცხოვრობენ, არ იცოდი?

— როგორ არა, ქუთაისში. რამდენჯერ გითქვამს.

— აბა რა, რა იყო ისეთი?..

— რატომ იყიდეს ბილეთები თბილისამდე?

— რა ბილეთები?! — მამუკამ იქაურობა ისე მოათვალიერა, თითქოს კედლებზე და ჭერზეც შეიძლებოდა ყოფილიყო მიკრული ბილეთები.

— ნახე, მაგიდაზე რომ დატოვეს.

— ჩვენ დაგვიტოვეს?! — მამუკამ ხელი გადასწია, აიღო, დააჩერდა, — ჰო, თბილისამდეა.

— რატომ, რატომ?!

— რატომ და... — ვაჟს გაეღიმა.

— არა!..

— ვითომ ასე არ არის?

— არა, არა მამუკა!.. ეს სხვა დროს არ მოხდებოდა. ყველა ყველა და ამას შენიანები არასდროს არ ჩაიდენდნენ.

— აგერ, ხომ ჩაიდინეს.

— ეს ახლა.

— ახლა ვითომ რატომ?..

— მათ სხვა რაღაც იციან... ჩვენზე მეტი რამ იციან... — თეკლა წამოდგა, კაბა უნებურად ჩაისწორა და თმა თითებით გადაივარცხნა.

— ის იციან, რაც ყველამ...

— ისე არა, როგორც ჩვენ. ომი ალბათ იმაზე დიდი უბედურებაა, ვინემ ჩვენ ვიცით.

— რა უნდა იყოს ისეთი...

— მამუკა, შენ არ წახვალ ომში!.. შენ მე არ მიმატოვებ! — ქალი მიტრიალდა და თვალებში ჩააჩერდა, თითქოს ეეჭვებოდა, მამუკას ჩემს ნამალავად რაიმე გადაწყვეტილება ხომ არ მიუღიაო.

— არ ვიცი, ალბათ, ასე ხდება... ვიღაცამ ვიღაცა უნდა მიატოვოს...

— მამუკა! — შეაყრყოლა ქალს და მოსახვევად წაწეული ხელი გაუშეშდა. — შენ იფიქრე ამაზე?

— არა, საიდან... როდის?.. — ხელი ხელში წაავლო, ქალს თითები გაციებოდა, — რა დაგემართა თეკლა, ასე რატომ ნერვიულობ?

— შენ რომ წახვიდე, მე? მამა კი იცი სადაც არის. დედა — დღეს თუ ხვალ...

— ნუ ამბობ!

— ხომ არასოდეს არ მითქვამს...

— ნურც ახლა...

— მე შენს მეტი და ისიც ახლა...

— თეკლა, ნუ გეშინია!..

— რომ წახვიდე?

— მერე რა, რომ წავიდე, თუ ყველა წავა...

— სად წავა, მე?

— შენ? — მამუკა უცებ გადაულახავ მიჯნას მიადგა.

— მე?

— მოიცა, სულ ხომ იქ არ დავრჩები...

— მაგრამ განა ომში იციან, ვინ დაბრუნდება და ვინ... — ენას კბილი დააჭირა, — შენ იცი?..

— რა?..

— მე უშენოდ გავძლებ?

— არა, ეგ როდის ვთქვი. — ქალის გრილი თითები კისერთან მიიტანა და ნიკაპქვეშ მოიქცია.

— ოუ ომია...

— მერე რა... ომია და ომი იყოს... — ერთი კვირა, ორი კვირა... ერთი თვე... მეტი ხომ არ იქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უშენოდ?!

— არა, მაგრამ...

— ერთი თვე. მერე?

— მერე არაფერი, ჩამოვალ.

— ერთი თვის მერე ჩამოხვალ? — თეკლამ ხელი ნელა გამოაძვრინა ვაჟის ნიკაპქვევიდან და გულზე მიიდო.

— ჰო, აბა როგორ, სულ იქ ხომ არ დავჯდები...

— არ დაჯდები, თუ... — ქალმა ისევ მოიკვნიტა ენა.

— რა, თუ? — გაეღიმა მამუკას და თვალი ფანჯრისაკენ გაექცა, — შენ მართლა ისეთი რაიმე გგონია, რომ ქვეყანას ცეცხლს მოუკიდებენ და დაწვავენ?

— არა, მაგრამ თუ უფრო უარესი...

— რა უარესი?.. — მატარებელმა ხიდზე გადაირბინა, — გადაიხედე, თეკლა, აი, აქედან მოედინება შავი მდინარე! — მამუკა წამოდგა.

— არ მინდა! — ქალი წელში ეცა და გვერდით მოისვა.

— კარგი ერთი, რა დაგემართა, შენ გგონია მართლა ვინმე ასე, აიღებს თოფს და უმიზეზოდ ესვრის ვინმე უდანაშაულოს?

— ეს არა, მაგრამ... ომი რომაა?

— ომი რომაა... ასე აიღებს და მესვრის?!

— არა, რას ამბობ...

— ომი — ომია, მაგრამ როგორ ესვრი... შენ აიღებ და ესვრი?!

— მე?! ღმერთმა დამიფაროს!

— ომი რომ არის, მერე რა... შეიძლება ვიღაცამ ისროლოს, ამისათვის შენ უნდა ადგე და მოკვდე...

— რატომ ამბობ ასე საშინლად?

— იმიტომ, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს!..

— არ შეიძლება...

— მე და შენ, დედაჩემი, მამაჩემი, ძმები, ბიძაშვილები... ჩვენ რამდენი რამე გვაწუხებს, ვინ მოთვლის, აგერ გაიხედე, მთელი ქვეყანა... ასე ადგე, ერთი გაისროლო და მორჩა?

— არა, რა თქმა უნდა, არა, ეს ასე როგორ იქნება...

— მიდი, გადაიხედე!.. აქეთობას რომ ფანჯარაში სარეცხივით იყავი გადაკიდებული... გადაიხედე და მიხვდები, შენ რომ რაღაცა გგონია, დაინახე, რა სილამაზეა, და მიხვდები...

ქალი ფანჯრის მაგიდას მუცლით მიადგა, ერთხანს თვალგაშტერებული დარჩა.

— არ ვიცი, რაღაც სულ სხვაგვარად მეჩვენება ყველაფერი.

— არაფერი არ შეცვლილა. იყო ომებიც, მაგრამ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ყოველთვის.

მამუკამ თეკლას ხელი წამოავლო და მაგიდაზე ჩამოსვა, ქალი გარეთ ისევ ვერაფერს ხედავდა, მაგრამ არ გაძალიანებია.

## X

ძველი სადგურის პირველ ლიანდაგზე ომში გაწვეულთათვის გრძელი ეშელონი ჩამოეყენებინათ და სახალხო მატარებელი რომ მეორე ან მესამე ლიანდაგზე მიეღოთ, მგზავრებს ამ ეშელონისათვის, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო, შორიდან უნდა მოევლოთ სადგურის მოედანზე გამოსასვლელად; ზოგი ალბათ ვაგონების ქვეშ დაიწყებდა ძრომას, ან გადასაბმელებში პოტიალს, ამიტომ სახალხო სადღაც, ჩიხში გააჩერეს, სადაც არც ბაქანი იყო და არც რაიმე შემაღლება.

ლეონმა ვაგონის ქვედა საფეხურიდან მიწას ფეხი ძლივს ჩაუწვდინა, ჩავიდა და მაზუთიან ხრეშზე გზას დაადგა.

— მოიხედე ადამიანო, აქეთ!.. — მოესმა ზურგს უკან ნორას გამწყრალი ხმა.

ქმარი მიტრიალდა და მაღლიდან ჩამომავალ ცოლს ორივე ხელი შეაშველა ისე, რომ ჩანთის ძირს დადება არ მოგონებია.

ქალმა სახელურს თავი ანება, კაცს დაენდო. შვეულ კიბეზე დამძიმებული სხეულით ერთბაშად წინ გადმოიხარა. ლეონმა ჩანთის დადება მაშინ მოისაზრა, როცა ორივე ხელი დასჭირდა ცოლის ჩამოსაყვანად. ჩანთა მისთვის შეუფერებელი სიჩქარით ფეხებთან დააგდო, მაგრამ ქალს ახლა ფეხსაცმელიც დაუცდა და სანამ კაცი განთავისუფლებულ მეორე ხელსაც მიაშველებდა, ნორამ შეჰკივლა და ხრეშზე გვერდით დაენარცხა.

— ე-ეუჰ! — აღმოხდა ლეონსაც და ეცა, მაშინვე ჩალიღერას თოჯინასავით აიტაცა ორსული ქალი და ვითომ ფეხზე დააყენა.

— უი, ცოდვაათ! — აღმოხდა ვაგონის ბაქანზე გადმომდგარ, ხანში შესულ, ნიკაპთან ჩითის თავსაფარ განასკვულ დედაკაცს და ამდენხანს რომ ზომავდა, კიბიდან უხიფათოდ როგორ ჩამოვიდეო, ახლა ცქვიტად ჩამოხტა, ფეხებთან დაგდებულ ჩანთის გვერდით თავისი ბროწეულისფერი დარაიას ბოღჩა დააგდო, ლეონს, გულზე მიკრული ქალი ხელიდან რომ უსხლტებოდა, გამოგლიჯა და დაბლა დაუშვა.

ნორამ ფერი დაკარგა, თვალები გადაატრიალა და თავი გადაუვარდა. ჩითის თავსაფრიანმა ბოხჩაზე დავარდნილ გონწასულს კალთა ისე შეაგება, თითქოს თვითონ მაღალ სკამზე ჩამომჯდარიყოს, ავადმყოფის ყურის ბიბილოების და ყვრიმალების სრესას მოჰყვა.

ლეონი მალე გარს შემოხვეული ადამიანების შუაგულში მოექცა, მთლად უმწეო და ფეტვივით დაფანტული.

— რა მოუვიდა?

— დედა, უბედური!

— არიქა!

— ე, ხალხო, წყალი!..

— ადამიანი არა ხარ?!

— დაიწიეთ...

— ჰაერი მაინც მიეცით!..

— წყალი, წყალი! ერთი პეშვი წყალი!..

ლეონმა როგორც იყო „წყალი“ გაიგონა, იშვირა ფეხი და გავარდა, გავარდა ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ

ვაგონებს შორის. იქედან სხვა შემადგენლობას აედევნა, ბოლოს უშველებელ ეშელონს წააწყდა და როცა გაალწია, მაშინღა დაინახა, რომ მთლად გასცდენოდა სადგურსაც, მატარებელსაც და ლიანდაგების გასაყარსაც. მოიხედა, მობრუნდა და შენობებისაკენ კისრისტეხით მოუსვა. იქ ალბათ თავისთავად ახსოვდა სასმელი წყლის შადრევანი სად იყო, თორემ რომ ეფიქრა, ვინ იცის მაშინვე მოაგონდებოდა? მოვარდა აქელებული და მოჩუხჩუხე წყალზე დამხობილი ყმაწვილი ხელის კვრით მოიშორა. ჭავლს ორივე ხელი დააფარა, მაგრამ რა გამოვიდა. იდგა ასე, შადრევანზე ხელებდაფარებული და გაოცებული მიჩერებოდა ბიჭს, რომელიც ასევე, ცხვირპირდასველებული, პირდაღებული შემოჩერებოდა და ტუჩებზე ხალათის სახელოს მოსმაც ვერ მოესაზრებინა: რატომ გააგდეს, რატომ არ დააყენეს, ახლა რაღას დგას ეს მოძალადე და თითებით ჭავლის დაჭერას ცდილობს, უბრალოდ ჭყუმპალაობს თუ გაგრილებას აპირებს.

ლეონი, რა უეცრადაც მოეჭრა, ასევე მოულოდნელად მოცილდა იქაურობას, ისე რომ წყალი არც თვითონ დაულევია და არც სხვას დაანება, და სადგურისაკენ გაძუნძულდა. სახტად დარჩენილ ბიჭს მერე შეეშინდა, როცა მოძალადე თვალს მიეფარა და უკანუკან დაიხია, თვითონაც გაქცევა დააპირა, მაგრამ რაღაცას მიხვდა, გაჩერდა და თავი გადააქნია.

— ეტყობა ომში მიდის!

წყალი მაინც არ დალია და გაქცეულის კვალს გაჰყვა, ალბათ იმის საყურებლად, ომში მიმავალი, კიდევ რა უცნაურობას ჩაიდენდა.

ლეონმა რომ სადგურის მორიგის მაგიდიდან გრაფინი მოიტაცა, რომელშიც საბედნიეროდ წყალი აღმოჩნდა და ეშელონის წინ გაჭენდა, ბიჭი ბაქანზე იდგა და გაცქეროდა სრულიად დარწმუნებული, რომ ომში მიმავალი ჯარისკაცები ასე იქცევიან, რაკი თავზეხელაღებულები არიან და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ.

ნორა გონს მოეყვანათ. გარსშემოხვეული მგზავრებიც შეთხელებულიყვნენ. ლეონმა ცოლს წყალი თავზე გადაუშვა და ჩითის თავსაფრიანს რომ გრაფინი ხელიდან არ გამოერთმია, ავადმყოფსაც გალუმპავდა და იმ ქალსაც კალთას სულ დაუწუწავდა.

— კაი დროსაა!.. — კაპასად ჩაილაპარაკა დედაკაცმა.

— აბა, წყა-ალიო და... — უმწეოდ იმართლა თავი ლეონმა და დაიხარა. — რავა ხარ ნორა? ხომ ა-არაფერი, აჰ?.. — მუცელზე დააჩერდა, თითქოს რაიმეს შეტყობა შეეძლო, თუ ქალი სანუგეშოს ვერაფერს ეტყოდა.

— რათ უნდათ ამისთანა უნდილებს ცოლები... ყველა რომ თხოვდება და თხოულობს... — კაპასობდა თავსაფრიანი.

— ჯა-ანდაბას, რა ვი-იცი! — თავის მხრივ კვერი დაუკრა, თუ არ აწყენინა ლეონმა უცნობს, ამდენი თანაგრძნობისა და ასეთი დახმარებისათვის მადლობის გრძნობით ავსებულმა, — ა-არაფერი არ უ-უჭირს, ხომ?..

— რაღა რა უჭირს, დაილუპა ადამიანი!..

— ვაი უბედური... — ჩაილაპარაკა იქვე ვიღაცამ და ლეონი ახლა მისკენ მიტრიალდა.

— რა-ატომ?.. — სულ დაება ენა.

— რატომ, რატომ! — ქვა აისროლა და თავი შეუშვირა თავსაფრიანმა, — ასეთ დროს ამის გადმოვარდნა კი არა, გრილი ნიავის მიკარება არ შეიძლება...

— ვი-ითომ ყვე-ელაფერი?..

— გაჩუმდი, გაჩუმდი!

— გა-ავჩუმდები... — ლეონმა ხმა გაიკმინდა და სახეზე მიტკალივით გათეთრებული ნორას წინ ჩაიჩოქა, მაგრამ უკვე ხელის ხლება რომ ვერ გაუბედა და ვერც ვიწროდ გაღებულ თვალებში ჩახედა, ისევ ამოიბლუკუნა, — ნო-ორა, ნო-ორა, იქნებ გადავრჩით, ნო-ორა... ჰა?

— სანამდე ვიყოთ ასე! — ანჩხლად

იკითხა თავსაფრიანმა, — გაინძერით!— უკვე შემოფანტულ ხალხში დაუწყო მშველელს ძებნა, — ეს ვიღაცაა დამთხვეულია, ეს ჩემი ცოდვით სავსე!..

— მე, მე! — წამოვარდა ლეონი და ისევ გაქცევა დააპირა.

სადგურის მხრიდან მზიდავს და თეთრხალათიან ქალს საკაცე მოჰქონდათ.

XI

სადგურის მოედანზე, უმუშტროდ დარჩენილ ეტლებში შებმულ ცხენებს პატრონების შიში და ნერვიულობა გადასდებოდათ და ტორებს ქვაფენილზე უმიზეზოდ სცემდნენ, ეჟვნებს უდიმღამოდ აჟღარუნებდნენ.

საზიდარში შებმულმა ლეონმა როცა ეს უსაქმოდ დაყუდებული ეტლები და მეეტლეები დაინახა, მაშინ მიხვდა, რატომ მიატოვა ვაგონის კიბეზე ნორა და თურმე საით მოიჩქაროდა, როცა მატარებლიდან ჩამოდიოდა.

სხვა დროს, როცა მგზავრები გაიკრიფებოდნენ, სადგურის მოედანიც ერთხანს ცარიელდებოდა და მერე, ვინ იცის, მეეტლებს რა მუშტარი შეხვდებოდა, როდის მოიცლიდნენ, რომ პირი ისევ აქეთ ექნათ. ლეონს ეს მატარებელში მოაგონდა, მაგრამ მაშინ ის კი არა, ყველაზე პრაქტიკული და სხარტი გონების პატრონიც ვერ მოისაზრებდა, რომ სადგურის პირველ ლიანდაგს ეშელონი დაიკავებდა და სახალხოს სადღაც მოუწესრიგებელ ჩიხში გადააგდებდნენ.

ლეონს ახსოვდა, რომ დაღლილ, ორსულ ქალს არც დიდხანს ლოდინი შეეძლო და ვერც ქალაქის განაკიდამდე ფეხით მისვლას მოახერხებდა.

„ე-ეტლი, ე-ეტლი გვინდა...“ — ფიქრობდა კუპიდან რომ გამოვიდა. კიბეებზე ჩამოდიოდა, თუ ფეხი მიწაზე დადგა. ეშინოდა, როგორც ყოველთვის და ყველაფერში არ დაეგვიანებინა და გაწბილებული არ დარჩენილიყო. მან ერთხელ იჩქარა, ჯერ კიდევ თავისი გაჩენის დღეს, სხვა ძმებზე ადრე რომ დაიბადა, მეორედ ალბათ დღეს, და ორივე შემთხვევაში წააგო.

მზიდავი და თეთრხალათიანი ქალი რომ გამოჩნდნენ და გაწამებული ნორა საკაცეზე დააწვინეს, ჩითის თავსაფრიანი დედაკაცი იქაურობას მაშინაც არ მოსცილდა, როცა ბროწეულისფერი დარაიის ბოღჩა განთავისუფლდა. მერეც, როცა ლეონმა და მზიდავმა საკაცე ხელში აიტაცეს, მან ბოღჩის განასკვებში მკლავი გაუყარა, ჩანთა ხელში დაიჭირა და ავადმყოფს გულდათუთქული აედევნა:

— ვაი შენი ბრალი, შე საცოდავო!

როცა სასომიხდილი ქალი ეტლის სავარძელზე მოათავსეს, დედაკაცმა ჩანთა თავთან დაუდო და დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს მისი ქალაქში ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი ეს ყოფილიყოს, ამას იქით კი არ იცოდა რა გზას დადგომოდა.

— წა-ამობრძანდით... — ანგარიშმიუცემლად დაპატიჟა ლეონმა, იმის მაგიერ, რომ დიდი მადლობა გადაეხადა.

— ჩემი ცოდვით სავსე... ყველა თხოულობს და თხოვდება... — ჩაილაპარაკა დაპატიჟებულმა, ნორას გულისტკივილით გადახედა და კაპასად დაუმატა, — რას უცდით, ქალი სახლამდე არ მიგყვებათ ცოცხალი, თუ ასე იოჩნეთ და იბლუკუნეთ.

— გა-არეკე!.. გა-არეკე, ეს ო-ოხრად და-ასარჩენი!.. — იყვირა ლეონმაც.

მეეტლემ, წინა ეტლს მიყენებულ ცხენებს დაახევინა.

— დრრრუუ, დრრრუუ... — აღვირები დაქაჩა, მათრახი ჰაერში ააშხუილა და ცარიელ მოედანზე უკუსვლით დაიძრა.

— უკან მი-იდიხარ?..

ცხენები ზანტად, ზანზალაკების მონოტონური ჟღრიალით და ქვაფენილზე თვლების ჯაყჯაყით, როგორც იქნა დაადგნენ გზას.

— სა-აით?! — თვითონ ლეონმა

ჰკითხა, როცა მისკენ თავმობრუნებულ მეეტლეს შეასწრო თვალი.

— მე მეკითხება?! — გაიოცა ამ უმუშტრობის დროს ბედით კმაყოფილმა მეეტლემ, მაგრამ მაშინვე სიცილი აიტეხა, მგზავრებს არაფერი ვაწყენინოთ.

— ქვევით ჩა-აუხვიე... იქ კიიდევ ხიდისკენ არ წახვიდე...

— ქარუბანში თუ მწვანე დაფნარაში?

— მწვა-ანე... — დაიწყო და ეტლმა რომ მოედანზე შემოუხვია, წითელბოლჩიანი ქალი დაინახა, რომელიც იდგა, ხელით მზეს იჩრდილებდა და აქეთ იცქირებოდა, — მა-ადლობთ!.. — გასძახა ლეონმა.

მეეტლე ისევ მოტრიალდა.

— რისთვის იხდის ეს კაცი მადლობას?! — თითქოს ეს ვიღაცას, სულ სხვას ეთქვას და თავის მგზავრს მიაჩერდა კითხვით: შენ რას იტყვი, რატომ იხდის მადლობას, ხომ არ იცით?

ნორას ეტლის ჯაყჯაყში ჩანთიდან თავი გადაუვარდა, ლეონმა მის წინ ჩაიჩოქა. ახლა, როცა ბოლჩიანი ქალი თვალს მიეფარა, თითქოს აქამდე ვინმე არ აძლევდა ნებასო, ავადმყოფს ხელები მოხვია, მაგრამ არ იცოდა რა ექნა, თავქვეშ ისევ დაედო ჩანთა , თუ ასე სავარძელში ჩამხობილი ჯობდა დაეტოვებინა.

— ძა-ალიან ცუ-უდათაა... დაუჩქარე!.. — მეეტლის მაგიერ სასომიხდილ ცოლს ჩასძახა და თვალები ცრემლებით აევსო.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიდ ჩახკიევი
ინგუში პოეტი

# იმ ცეცხლოვანი წლების გახსენება

გათენების წინ
წამიერად დამელანდება —
მთებში ტაიჭთა მიჭქრის რემა გადარეული,
მათი ფლოქვები
მთის ბალახის წვენით მწვანდება
და შიშველ ხმლებზე დახტის მთვარე გადალეული.

მერე ცისკარი მოვარდება
ბედაურივით,
მზის ცის გუმბათზე ჩამოჰკიდებს ქალებს თუ ზარებს.
შუადღის ჟამზე
შეაწუხებს მიწას წყურვილი, —
ფიცხი მდინარე მთის ვიწროებს შეაზანზარებს.

ფიქრები ჩემი —
ტაიჭები დაუდეგარი —
დაჭქრიან ქვეყნად, დაჰხარიან მშობლიურ მთა-ბარს,
რომ ჩემმა გულმა
შეაგებოს სიტყვა მჭექარი
მამულის დილას — ახდენილ ზღაპარს.

ჩამოეკიდა
მზის სხივს მტრედი ოქროსნისკარტა,
ძალუმად ისმის დილის სუნთქვა გაფიცხებული.
როგორც ქმარს ცოლი
ეზო-კარის ღია ჭიშკართან,
მხვნელს ელის მიწა, მზის ამბორით გაღვიძებული.

და აი უკვე გამოსულა მინდორში მხვნელი!
ზღვად ჩასდგომია გაზაფხულის შუქი თვალებში,
პრიალა სახნისს
მოფერებით შეავლო ხელი,
დამკლავებულმა შეჰღიმილა მიწას ალერსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი, რაოდენ მდიდარია
და ღონიერი
მიწა, გამძლარი გაზაფხულის მზით და წვიმებით,
პურის სურნელით გაჟღენთილი,
გულმადლიერი,
ჩვენი მკვებავი, ჩვენი დედა, ჩვენი იმედი.

გამოიღვიძა დედამიწამ
და ფართო მკერდი
გულდანდობილად მიუშვირა ფოლადის სახნისს,
თავს დილა ადგას,
ნებიერად წევს მხვნელის ფერხთით
დამპურებელი ქვეყნად ყველა აკვნის და სახლის.

მზისკენ გაიჭრნენ
ტოროლები ჟრიამულითა,
ქვეყნად სიცოცხლის ეს ხმაური როგორ ჩაცხრება...
და გლეხიკაცის
დაკოჟრილი ხელისგულიდან
ხნულში ხორბალი იფანტება ოქროს მარცვლებად.

ჯეჯილი მალე დაპურდება.
თავთავმძიმენი
ყანები ქარის მუსიკაზე აცეკვდებიან,
მოვა მკათათვე,
აჟღერდება სულის სიმები
მხვნელ-მთესველისა, — დიდ მოსავალს ასე ხვდებიან.

ჰოი, ნათელო სიხარულო მხვნელ-მთესველისა! რარიგად ხარობს იმისი გული, როდესაც ხედავს მიწის მკერდიდან მწვანე ზღვასავით მოვარდნილ ჯეჯილს! ის სიხარული ნეტავი რით განიზომება?!.

მაგრამ კვლავ ცხენთა ფეხის ხმა მესმის,
საავდრო ღრუბლად დაძრულა მტერი,
ომის გრიგალი მოიწევს მთებში
და არ მასვენებს ტკივილი მწველი.

თითქოს მეორედ მოსვლას ელისო,
ისე თრთის მიწა, ხვივიან მთები,
ვხედავ და ვშფოთავ — საიერიშოდ
სისხლიან ხმლებით მოჰქრიან მტრები.

შავ ღამედ მოდის თეთრების ჯარი
და ხეობებში წყვდიადი დგება,
სოფლებს, აულებს სწვავს ხანძრის ალი
და კვამლი ცაზე ღრუბლებად წვება.

არავის ინდობს ხიშტი და ხმალი,
იღვრება სისხლი ბავშვის და ქალის,
დახანძრულ ქედებს დასტირის ქარი,
და ვიწროვდება სიკვდილის რკალი.

ელავს სიკვდილის ბრჭყალები მყიფე,
კვრდაკარ დადის და იმუქრება,
გმირ ბუტირინის სიცოცხლე ტიფის
ალმურში ქრება, ნელნელა ქრება.

წევს ასლანბეკი გულგანგმირული,
ნოე ბუაჩიძე მოკლა ტყვიამ.
არ ტყდება ხალხის სული გმირული,
ის შურს იძიებს ადრე თუ გვიან.

მაგრამ სიკვდილი ზეიმობს ჯერ კი,
ეს ერთი ცნობაც მოვიდა შორით:
„მამაც ახრიევს — კომისარს თერგის
ნუღა იგულვებთ ცოცხალთა შორის“...

 დეპეშა

მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს

კავკავი, 1919 წლის 24 იანვარი

XI არმია აღარ არის. ის საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად იკავებს. წუხელ ღამით იდგა საკითხი, რომ დავტოვოთ მთელი თერგის ოლქი და წავიდეთ ასტრახანისაკენ. ჩვენ ეს პოლიტიკურ დეზერტირობად მიგვაჩნია. არ არის ყუმბარები და ვაზნები. არ არის ფული. კავკავი, გროზნო აქამდე არ ღებულობდნენ არც ვაზნებს, არც კაპიკ ფულს. ექვსი თვეა ისე ვაწარმოებთ ომს, რომ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად ვყიდულობთ.

ვლადიმერ ილიჩ, გაცნობებთ რა ამას, დარწმუნებული იყავით, რომ ყველანი დავიხოცებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი პარტიის სახელს გაქცევით არ შევარცხვენთ.

გროზნოს და კავკავის მუშებში ურყევი გადაწყვეტილებაა იბრძოლონ და არ დატოვონ ბრძოლის ველი. მთიელ ხალხთა სიმპათიები ჩვენს მხარეზეა.

ორჯონიკიძე

... და თვით შორეულ აულებსაც მისწვდა ძახილი:
„აღსდექით, ხალხო, პირსისხლიან მტერს შეერკინეთ!“
მისი სახელი, დაუძრახველი,
დღეს ყველამ იცის, ეძახიან მთებში ერჟკინეზს.*

ერჟკინეზს — სერგოს ვერ გასტეხავს ვერარა ძალა,
მის დაძახილზე საბრძოლველად აღმდგარი ხალხი
დაიძრა, მოდის გაზაფხულის ნიაღვრის დარად,
რათა დაიცვას მშობლიური მიწა და სახლი.

სერგოს თვით მძიმე განსაცდელიც ვერ აშინებდა,
გაუღუნავი იყო მუდამ ვითარცა რვალი,
არც მეფის ციხეს, არც ბორკილებს ის არ მინებდა,
ყველგან ახსოვდა ხალხისა და პარტიის ვალი.

და აი ახლა იმის ირგვლივ დგანან მთიელნი,
ფართო მხრებიდან გადაიგდო სერგომ ნაბადი.
ხანძრის ანარეკლს მოუხატავს დასალიერი,
ო, ხვალის დღეო, მტერთა ძლევის დილა დაბადე!

ცეცხლოვან სიტყვას ამბობს სერგო:
— ვაინახებო,
მამულიშვილნო, შრომის შვილნო, ამხანაგებო,
ხალხს შერცხვენილნი ქვეყნად როგორ დავენახვებით,
ჩვენი მახვილი, ჩვენი ძალა მტერს მივაგებოთ!

ძალზე მკაცრია თოვლიანი ეს თქვენი მთები,
ხალხს სითბო უნდა, სიყვარული, წიგნი და პური!
აღსდექით, ძმებო!
თქვენთან არის რუსეთი მთელი,
მილიონობით მართალი და კეთილი გული.

თავისუფლება გვინდა, ძმებო, თავისუფლება,
ჩვენ მიწა გვინდა, მოვხნათ ჩვენთვის, დავთესოთ ჩვენთვის,
ჩვენი სიცოცხლე არასოდეს დაისუდრება,
ჩვენს თავდადებას თვით სიმართლის სინათლე ერთვის.

* ერჟკინეზი (ინგუშური სიტყვაა და ნიშნავს „ღარიბთა თავადს“) — ასე ეძახდნენ ინგუშები სერგო ორჯონიკიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერიდან მტარვალებმა ვერ გვნახონ ყმებად,
მშიშრები არ ვართ, ავადინოთ მტერს ზურგზე ბოლი!
სერგო გაჩუმდა. მთიელების აქუხდა კრება:
„ჩვენო მამაცო მეგობარო, სწორი ხარ, სწორი!“.

ხალხი ზღვა რისხვით ამღელვარდა, გაიჭრა მთებში
ქუხილი იგი და მთებიდან დაეშვა ზვავად,
ბრძოლაში მიდის გუთნისდედა, მჭედელი, მწყემსი,
ხვალის დღევ, მტრისთვის გათენდი შავად!

დილის მზესავით წაიმძღვარეს დროშა ლენინის,
დუშმანს შეებნენ ვაჟკაცები გულაბორგებით,
ელვად აენთნენ ბასრ ხიშტებზე მკერდდაბჯენილნი
და დაცალეწეს თეთრთა პოლკები.

დეპეშა
მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს
კავკავი, 1919 წლის 7 თებერვალი.

ბრძოლები ქალაქ კავკავის გარშემო და ინგუშეთში მე-6 დღეა გრძელდება. ყველა ინგუში, როგორც ერთი კაცი, დადგა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. წითელი არმია, დაბები კურსკაია და მოლოკანსკაია გმირულად იგერიებენ კაზაკთა კონტრრევოლუციური ბანდების შემოტევას.

შეიარაღებული ინგუში ხალხის ყრილობაზე 4 თებერვალს ჩემი წინადადებით გამოცხადებულია დამოუკიდებელი მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკა.

ჩეჩნეთი წითელარმიელებთან ერთად იგერიებს ბანდებს ქალაქ გროზნოს ირგვლივ. სუნჟენის ხაზის კაზაკებს ამხ. დიაკოვის მეთაურობით მტკიცედ უჭირავთ საბჭოთა ხელისუფლების მხარე და არტილერიით ანადგურებენ კონტრრევოლუციურ სტანიცებს.

ველოდებით თქვენს დახმარებას კონტრრევოლუციის საბოლოო განადგურებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში.

ორჯონიკიძე

ჩამოიბერტყეს მთებმა კალთიდან
ომის ფერფლი და ნატისუსალი,
არწივი მზისკენ ლაღად აფრინდა,
მზით მოიხატა კლდეებიც სალი.

ხახლში დაბრუნდა გაცვეთილ შინლით
ჯარისკაცი და ეტკინა თვალი —
შამბნარში ქარი დაძრწოდა გმინვით
და წაშლილიყო ნახნავის კვალი.

ხანძარს შთაუნთქავს სახლიც...
მთიელი
ეზოდან გარბის გულდაზაფრული,
მაგრამ აჩერებს მას ხმა ძლიერი:
„სახნავი გელის! დგას გაზაფხული!

სამშობლო არის დაუნაცრავი,
შენც ხომ იყავი სიკვდილის ურჩი?!“

... ხნულში ჩააგდო პურის მარცვალი
და გაუღივდა სინათლე სულში.

თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭკაშვილი

# იმედი

## მოთხრობა

მოზრდილი, მაგრამ მშრალი ხეობაა. ზოგჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნაჟური წყალი თუ აწანწკარდება, ისიც ხეობის ბოლომდე ვერ აღწევს და ქვიშაში იკარგება.

ბოლოში გაშლილი მინდორია და ხევისბოლოს ეძახიან, შუაწელზე ვენახები და ხილნარია, მერე — სოფელი, მას ზემოთ — ტყე. ჯერ წვრილიანი და ჩირგვიანი იწყება, მას მაღალი ბუჩქნარი სცვლის, ბუჩქნარს — მუხნარი და ჯაგრცხილიანი. უფრო ზემოთ კი ტანაშოლტილი წიფლისა და რცხილის ხეებია. აქ უკვე ხეობას ხეობა აღარ ეთქმის: ტყიანი ფერდობია.

სოფლისა და ტყის შესაყარზე ხეობას სამანქანო გზა ჰკვეთს და მთებით სხვა სოფლებისაკენ მიემართება. სწორედ ამ ადგილას ერთადერთი კედლებჩაყანგული სახლი ჰკუნტია და ჩაცვივნული თვალებით ნაღვლიანად გადმოჰყურებს წვრილიანსა და ჩირგვნარს. სახლს პატარა, უსწორმასწორო ეზო აკრავს, რომელიც ერთხელ ლატნებით ყოფილა შემოკავებული. მერე ის ლატნები, როგორც ჩანს, სუსხიან ზამთარში ღუმელს შთაუნთქავს და ბოძებიღა არჩვია. ზოგიერთი ბოძიც ბარით უთხრიათ. ჩანს, სახლის პატრონმა მათი ამოღება და ცეცხლის ლუკმად გახდომაც სცადა, მაგრამ რატომღაც გადარჩნენ.

ახლომახლოს სინათლის ბოძი არ მოჩანს, არც რადიოს ხაზი შეინიშნება.

მარტოხელა სახლის გახუნებული კარი ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს იღებოდა. იქიდან შავებში ჩაცმული, შავთავსაფრიანი დედაბერი გამოდიოდა და ზეაწეული კაბით საკენკი გამოჰქონდა. მის დანახვაზე წნულის მონგრეული საქათმიდან ქათმები და ინდაურები გამორბოდნენ.

დედაბერი უხმოდ უყრიდა საკენკს. იბერტყავდა კალთას და მოკლე ნაბიჯით უკან ბრუნდებოდა. უფრო სწორედ, არც ეტყობოდა, თუ ნაბიჯს დგამდა. უბრალოდ, გრძელი, შავი კაბით ნელ-ნელა მიცურავდა ღიად დარჩენილი სახლის კარისაკენ, საიდანაც მუქად გამოსული სიბნელე თითქოს უმისოდ შეწუხებულა და თავისკენ ეძახისო: მოდი, მოდი, დაჯექი ღუმელის გვერდით, რა თქმა უნდა, თუ იგი ანთია; თუ არა და ჩაჯექი მითელიან ლოგინში და მატყლი დაართე. მატყლი რად მინდაო? შე კარგო ქალო, იქნებ შენი გიორგი დაბრუნდეს და წინდები არ დასჭირდება! ბევრი აქვს? მანდ რა არის, ოცი წყვილიც არ იქნება. და გიორგიმ კიდევ, ხომ იცი, როგორი ხმარება

იცოდა. ორიოდე წელიწადში გაგლეჯავს ყველას. მატყლი აღარ გაქვს? გექნება სადმე, აბა, ბეღლის თვალში მოძებნე, ან სხვენზე აფოფხდი დაყანდებული კიბით, ან წალო გადმოქექე, ან მარნის რომელიმე კუთხეში მოძებნე, უსათუოდ იპოვნი სადმე. შეიძლება ჩრჩილისაგან შეჭმული იყოს, მაგრამ მაინც გამოიყენებ! მეტი რა საქმე გაქვს, დაჯექი და გაწეწე, მერე დაჩეჩე და დაართე. დაართე და გაერთობი! სხვა საქმეც ბევრი გაქვს?.. ხო, ნათლიმცემელში ამ დილასაც გინდა სანთლის დანთება? მაშინ ასე მოიქეცი: ლუკმა შეჭამე და ნათლიმცემლისაკენ გასწიე. ისიც ცოდვაა. შენსავით დღითი-დღე ბერდება და ცვდება. ნეტავ იმ ხნისა შენც მოგყარა?.. რა გინდა, შე საცოდავო! ლუკმა შეჭამე, კამოდის უჯრიდან ორი წყვილი სანთელი ამოიღე და ოთხსავ კუთხეში დაანთე. იქნებ უფალმა ახლა მაინც გისმინოს და მისი ნახვა გეღირსოს. ლუკმას არ შეჭამ? რატომ, შე უბედურო?! ხო, ბოხჩაში გამოკრავ და იქ გალოღნი? ასე მოიქეცი!

იმ დღესაც ასე მოხდა:

კამოდის უჯრიდან ორი წყვილი სანთელი ამოიღო, ძველ კიდობანში მრგვალი პურის ნახევარი მოძებნა, წალოდან ნახევარლიტრიანი ბოთლი გამოიღო, მტვერი გააცილა და კიდევ რაღაც-რაღაცეები მოძებნა. ყველაფერი ეს ბოხჩაში გამოკრა, თავზე შავი მოსახვევი გაისწორა, მოსახვევის ყურებით პირი საიმედოდ აიხვია და ოთახიდან გამოვიდა. კარი ჯერ ღია დარჩა. დირესთან გამოსული ისევ უკან გაბრუნდა, კარები გამოხურა, საკეტი კოჭაში გაუყარა, კლიტის მაგივრად ბაწრით მიბმული ლურსმანი ჩაუგდო და ბარბაცით გავიდა ეზოში.

ეს ბაღი დიდი ხანია, აღარ დაბარულა. ნახე, როგორ გამხმარა შიგადაშიგ. მეტი წილი გიორგის დარგულია, დედა მოუკვდეს. ის მსხლები და კაკლები კი საწყალმა დათიამ ჩაყარა, ახალი დაქორწინებული რომ იყო. ეს ვაშლები, გიორგი და დათია რომ ომში წაიყვანეს, მარომ და ნინომ ჩაყარეს. უკვე დაიზარდნენ, დაისხეს კიდეც და გახმობაც მოასწრეს. მაროსავით ნაადრევად ამოხმნენ. ნახე, იმ სკებს ფუტკარი როგორ ეხვევა! ალბათ წელსაც იბარტყებს. რაც გიორგი წავიდა, აღარავის აუხდია აი იქითა, განაპირა სკებისა და გეჯებისათვის... ნახე, როგორ დაბერებულა ეს კაკალი. ქერქი დაღმანჭვია და დაშაშვრია. ნეტავ ეგ კაკალი ადრე დაეცემა, თუ?..

ჯერ სამანქანო გზაზე გავიდა, მერე ბილიკზე გადაუხვია და გორაკზე წამოსკუპებული საყდრის ნანგრევებისაკენ ბუჩქნარს აუყვა.

— ნათლიმცემელში მიდიხარ, ნინოო?!

ნეტავ ვინ ეძახის? რაში ეკითხება, სადაც მიდის?

— არ გეყურება, ქა, სად მიდიხარ?

რატომ თავს არ დაანებებს ვიღაცაა. ამ ქვეყანაზე ყველას საკუთარი გზა და საფიქრალი აქვს. ვის რაში ეკითხება მისი ასავალ-დასავალი!

— ნინოო!..

იქნებ კვერცხი ან პურები ესესხოს ვინმეს? გააგონოს, რა ვქნა! თუმცა ახლომახლო მეზობლები სადღაც გადასახლდნენ და სასესხებლად ვინღა მივა? თუ ერთხელ კიდევ დაუძახეს, გააგონებს, თუ არა და არც მაგის დარდი აქვს.

— გოგოო ნინოო!

საქმე გამოლევია და ეგ არის. თვითეულმა ბუჩქმაც კი იცის, რომ ნინო ამ გზით მხოლოდ ნათლიმცემელში დადის და რაკი აღმართს შეუყვება, უკან აღარ დაბრუნდება. და ეგ ვიღაცაა, როგორ ვერ გაუგია დღემდე. აბა, სად ჯანდაბაში წავა?!

წვრილიანიდან შაშვი ამოფრინდა და გვერდული ფრენით წინ გადაუარა.

ნეტავ შაშვი რაღაზე გლოვობს, ნიადაგ რომ შავი აცვია. ნუთუ იმასაც შვილის დარდი აწუხებს და იმიტომ დაიჭახჭახებს ხოლმე მწარედ? არა, ნინოსოდენა სადარდელი მაინც არ ექნე-

ბა. ომი რომ დაიწყო, ჯერ გიორგი გაიწვიეს და მერე დათია. ვინ მოიფიქრებდა, თუ ორმოცს გადაცილებულნიც ომში წავიდოდნენ. ასე კი მოხდა. დათია მაშინვე დაიღუპა. მნახველებიც არიან და ტანისამოსიც დააბრუნეს. გიორგის შესახებ კი არც ავი იცის და არც კარგი. ოცდაოთხი წელი და რვა თვე გავიდა, რაც წაიყვანეს. მხოლოდ ექვს თვეს მოდიოდა წერილები. მერე კი შეწყდა და შეწყდა... პენსია დაუნიშნეს... იქნებ ცოცხალი არ არის და იმიტომ?

მარო?.. ის დედის დამტანჯველი და მოუნელებელი სატკივარი! ომი ახალი დამთავრებული იყო. გიორგის დაბრუნებას ელოდნენ და მოულოდნელად გამოეცალა ხელიდან. საკვირველია, თვითონვე იტყოდა ხოლმე, ოცი წლისა მოვკვდებიო და აცხადდა. გიორგი უსათუოდ დაბრუნდებაო, იმასაც იტყოდა ხოლმე, და იქნებ ესეც აცხადდეს?.. აბა, მაშ ასე ნაოხრად ხომ არ დარჩება ეს სავსე სახლ-კარი...

თავმჯდომარეს დაებარებინა, სახლს აგიშენებთ და ქვემოთ, სოფელში გადმოდი, მანდ ახლა ტურების მეტი აღარავინ არისო, მაგრამ სოფელში რომ გადავიდეს, იქნებ გიორგი დაბრუნდეს და ეწყინოს. იქნებ მას აქ ცხოვრება უფრო უხარია. რაც უნდა იყოს, მამაპაპის ადგილია.

ნინო დაიღალა. მაღალი ბუჩქის ძირას ლოდზე ჩამოჯდა, გრძელი კაბა მიწამდე ჩამოიწია და ბოხჩა ფეხთით დაიდგა.

წინათ აქ ტყეები იყო და ახლაც ისევ ტყეებად იქცა. სოფლის დაშორება ბუჩქებს გაუხარდათ. თუმცა არც ნინოს სწყენია. აქ უფრო მყუდროდ იქნება. კითხვა-კითხვით თავს არავინ მოაბეზრებს და მოთმინებით დაელოდება შვილის დაბრუნებას... დათიას მარტო ახოვნებით მიაგავდა და გარეგნობით, ხასიათით კი სულ სხვანაირი იყო. დათიამ უმიზეზოდ აყვირება იცოდა. არც ნათესავი უყვარდა ისერიგად. ვიღაც გადამთიელს ზედ გადაჰყვებოდა და თავისი ჯიგარი ავიწყდებოდა. გიორგი კი, დედა ენაცვალოს, ნათესავებზე და ამხანაგებზე იყო გადამკვდარი. ერთხელ ტოლი ბიჭები მოიყვანა და ფუტკრის სკას თავი გადაუხადა. თაფლი, ღვთის წინაშე, სახლშიც იყო, მაგრამ ასე მოესურვებინათ. მამა სამუშაოდ იყო წასული და, როცა დაბრუნდა, ბევრი იჩხუბა. ჩხუბი, ფიცის ქვეშ რომ ითქვას, არც დედას დაუკლია. რატომ ენა არ გაუხმა? ახლა?.. ახლა ოღონდ დაბრუნდეს და მისი წილი სკები და გეჯები ხელუხლებელია. მთელ სოფელს ეყოფა... საქორწილო ღვინო კიდევ... როგორც მაშინ ჩაასხა, ძირი გამოუცვალა და საიმედოდ დაგმანა, წვეთი აღარ მოუკლია: როგორც კი დაბრუნდება, მაშინვე ქორწილს გააჩაღებს დედამისი. ერთ კარგ გოგოს შეურჩევს და ორს კი არა, ათ შვილს გააზრდევინებს. ხუთი რომ ომში წაუვიდეს, ხუთი სახლში დარჩება. მაშ რა, ნინოსავით ღვთის ანაბარა ხომ არ უნდა იყოს.

ნინომ გულს მჯიღი ჩაიკრა, მერე ბოხჩას დასწვდა და ქვაღორღიან ბილიკს ხვნეშით შეუყვა.

ეს ქვები გუშინწინ აქ არ ეყარა. ალბათ გუშინ მოანგრიეს საყდარს. ო, ეს გასაწყვეტი ბალღები!... არა... გასახარელი!.. ყველაფერი დაანგრიონ, ოღონდ თვითონ ნურაფერი დაუშავდებათ. ოღონდ მათი დედები ნუ გამწარდებიან... მაშინ რომ გიორგის ეჩხუბა, სკას რად გადაჰხადეო, აბა, ეს იყო დედობა! ის ბიჭები, მაშინ რომ მოიყვანა, ვერცერთი ველარ დაბრუნდა ომიდან, თანდილაანთ ბიჭის გარდა. ისიც ყოველთვის პირს არიდებს. განა რა გახდა ის ერთი კოვზი თაფლი! ოცდაოთხ წელიწადზე მეტი გავიდა და დღემდე არ დავიწყებია. ყოველ ამოღებაზე თითო ქილა თაფლს უგზავნის მის ცოლ-შვილს და ნუთუ კიდევ ვერ გამოისყიდა? რამდენჯერ თვითონაც შემოაბრუნა გზიდან, ეხვეწა მიირთვიო, მაგრამ პირი არ დაადო. ზოგიერთმა მაინც ნამეტანი იცის: კუბოს კა-

რამდე არ გაპატიებს მცირეოდენ დანაშაულს.

დაფეხვილ ნანგრევებში შევიდა. ბოხჩა ყორეზე ჩამოდგა, გარეთ გავიდა, წიფლის ტოტები მოამტვრია და ნანგრევების დასუფთავებას შეუდგა. მერე კაბის ქვეშ დაკერებული ჯიბიდან ორი წყვილი სანთელი ამოიღო. ჯერ ერთს მოუკიდა, ასანთის ალზე ძირი მოულხო და კუთხის ქვაზე მიაწება. მერე მეორეს მოუკიდა სანთლის ალზე, მასაც ძირი მოულხო და სხვა კუთხის ქვაზე დაამაგრა. მესამე და მეოთხე სანთელიც ასე დაანთო. თვითონ კი პირჯვრის წერით ქვაზე ჩამოჯდა და თვალყური მიადევნა სანთელის წვას. მერე ბოხჩა გახსნა, პური ამოიღო და ლოღნა დაუწყო. მერე სათითისოდენა გალიბრული ჭიქა შეავსო და ნათლიმცემლის მადლი და ძალი დალოცა... მაგრამ დახეთ, არაყი ყოფილა. როგორ გადავარდნილა გონებიდან და საზედაშო ღვინის ნაცვლად არაყი წამოუღია. რომელი ლოთია, რომ სალოცავში ორნახადი არყით მოვიდა. თუმცა არა უშავს. დალევს და მადას მოჰგვრის, შეიძლება გულიც უპოვნოს?

არაყმა გულმუცელში მწარედ დაუარა და სადღაც მიყუჩდა.

დედაბერმა ლუკმა ჯერ ტუჩებზე მოისვა და მერე პირში ჩაიდო, ბოხჩაში ხელი მოაფათურა, ნივრის კბილი ამოქექა და შეატანა: სიმწარეს სიმწარე უხდებაო.

ნეტავ იმ დღეს, ცხონებული დათია და ნინოს მაზლი — საწყალი ზაქარია, რომ ღამის სათევად წამოვიდნენ ოჯახებით. გიორგი მაშინ ჯერ ისევ ხელში ეჭირა, ნინო ოცი წლისაც არ იქნებოდა. მაინც არც ეს ეკლესია იყო ასე დანგრეული... ქვეყნის ხალხი იყო იმ ღამეს. ვიღაც გადამთიელმა ნინოს ურიგოდ გადახედა და ძმებმა მაშინვე ხანჯლებზე გაივლეს ხელი. იმას იქიდან წამოეშველნენ, ამას აქედან და ერთი ორომტრიალი გაიმართა. მერე სესკელაანთ ბიჭები ჩაერივნენ და ძლივს გააშველეს.

ეს რა კარგი ამბები გაახსენდა. არაყმა მადაც მოჰგვარა. ერთი ჭიქა კიდევ დალიოს?

ნინომ ჭიქა შეავსო და გამოცალა. მერე უფრო გულიანად დაიწყო ჭამა. კარგი იქნებოდა, მთელი პური წამოეღო. ანდა ქათამიც დაეკლა. მგონი, სადღაც ყველიც ჰქონდა. მწნილი ხომ ნამდვილად ექნებოდა, აქამდე თუ არ გაფუჭდა.

მერე, მერე? თავიდან როგორ დაიწყო ჩხუბი?

როგორ დაიწყო და, იმ კაცმა გაიარა და გაუცინა ნინოს. გულახდილად რომ ითქვას, ნინომაც ეშმაკურად გაუღიმა. თუმცა მას კი არა, თავის სილამაზეს გაუღიმა, რომელიც იმ წუთში შეიგრძნო. ისე, კაცმა რომ თქვას, მოხდენილი ვაჟკაცი იყო... ჰოდა, გაუღიმა და დათას ჯლიგვი წაჰკრა და ფეხზე წამოხტა... ეჰ, ნეტავ იმ დღეს, ყოჩებივით დაერივნენ და... ყველანი კი უსისხლოდ გადარჩნენ... მერე რომ შერიგდნენ და ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. ნინოს რომ ორი ჭიქა ღვინო ძალით დაალევინა დათიამ და დაათრო. თავქვეზე რომ ველარ ჩადიოდა და ბალღივით იღლიაში ამოიჩარა. რა ღონიერი იყო ის გულმკვდარი! საფიცრე მორს ისე შეაბრუნებდა, გეგონებოდათ, ჩილიკაააო... ბიჭი რომ ეყოლა და ცოლს საჩუქრად ქიშმირის კაბა უყიდა... მისი ნაჭრები ხომ ახლაც შენახული აქვს...

ეს რა კარგი ამბები გაახსენდა. იქნებ ერთი ჭიქა კიდევ დალიოს?..

დედაბერმა ჭიქა შეავსო და სიამოვნებით გამოცალა. რა ტკბილი ყოფილა! პირველად უფრო მწარედ ეჩვენა. რა სასიამოვნოდ დაუარა სხეულში! ფეხის თითებშიც კი სითბო იგრძნო. შუბლი და ლოყები ხომ თონესავით გაუხურდა.

დათია რომ მის გასასინჯად მივიდა, ჯერ თხუთმეტი წლისა იყო ნინო. მამამისი იტყოდა ხოლმე, უკვე თვალი აადევნა და ისე რიგად გარეთ ნუ გაუშვებთო, წყალზეც დედა მიდიოდა და

ძროხის მოსარეკადაც. ნინოს კი გოგოებში თამაშიც ენატრებოდა. აჯმობა არ იყო მაშ?! კაცის დანახვა აკრთობდა... ჰოდა, დათია რომ მის გასასინჯად მივიდა, ორივეს ისე მოეწონათ ერთმანეთი... როგორი შავი, ბრიალა თვალები ჰქონდა მაშინ ნინოს, გრძელი წამწამები და ვარდივით ლოყები. მკერდი? მაგას ნულა იტყვით. წელი? ფეხები? ეჰ, დედა იტყოდა ხოლმე, ერთ ქალად ნინოს ფეხები ღირსო.

ნინომ ფეხებზე დაიხედა. კანჭები დღეს უფრო გასივებოდა, ბოძებს დამსგავსებოდა. ერთგან წინდა ამოგლეჯოდა და გალურჯებული ხორცი მოუჩანდა.

ნეტავ არც დაეხედნა. მშვენიერი ფიქრები ჩაუშხამა. აბა, ერთ არაყს კიდევ დალევს და შეიძლება ისევ კარგი მოგონებები აღეძრას.

დალია.

ჰოდა, იმას ამბობდა. დათია კინალამ გადაირია მისი სილამაზით... ქორწილის ღამეს კიდევ რა სისულელე გააკეთა... ნამდვილი თავქარიანი ბიჭი იყო. ხალხის აშლას არცკი დაელოდა, ბავშვივით იღლიაში ამოიჩარა, სწორედ ისე, აქედან რომ ღამისთევისას ჩაიყვანა, და ჩარდახში ისე გააქცია, როგორც ძაღლი გააქცევს ხოლმე მიგდებულ ძვალსა... ახა-ხა-ხა... მერე, მერე?.. ღმერთო, შეუნდე, ეს რა სისულელეები აგონდება ღვთის კარზე. თანაც ეცინება... მაროსა და გიორგის დამკარგველს... დათია?.. ჯანი იმასაც გავარდეს!.. მაინც რა დათვივით იყო, ღმერთო ჩემო... გიორგიზე ცხრა თვით გვიან წაიყვანეს ომში და მხოლოდ სამი წერილი მიიღო. თითონ წერა არ იცოდა და სხვის დაწერილს ბოლოში ჯვრებს უკეთებდა...

ნინომ იგრძნო, რომ საყდრის ნანგრევები დატრიალდა, ლოყები და ფეხის თითები სიცხისაგან ეწვოდა, მაგრამ გული სიცივით აუკანკალდა. ხომ არ გაცივდა ქვებზე ჯდომით?

„დათი, სადა ხარ, დათი!.. გიორგავ, ბიჭო, შენ რაღა დაგემართა!“

პირველი შვილი რომ ეყოლა, ქიშმირის კაბა უყიდა, მეორეზე... აღარ ახსოვს რა საჩუქარი მოუტანა. ეს რა ხდება? უწინ ყოველთვის მარო და გიორგი აგონდებოდნენ, ახლა კი ქმარზე ფიქრს ვეღარ იცილებს, თავისი ახალგაზრდობა უფრო ახსენდება, ვიდრე შვილები. მერე და, როცა ჩამოვა, რა პირით უნდა შეხვდეს?.. არა, ახლა სახლში წავა. წავა და დაიძინებს. იქნებ გულის კანკალიც გაუყუჩდეს.

ეს რა ემართება ლოყები და თავი უხურს, ფეხის თითები ეწვის და გული კი წელანდელზე უფრო მეტად უკანკალებს. თვალები ეხუჭება და ადგილიდან დაძვრა ეზარება. არა, ეს არ მოხდება. როგორმე სახლამდე უნდა ჩავიდეს და იქ დაიძინოს. მოხუცია, მაგრამ ხალხის დასაცინი მაინც არ გახდება.

ეკლესიის ნანგრევები ხელახლა დატრიალდნენ ნინოს თვალწინ. ნინომ ნანგრევებს მზერა გაუსწორა და შეეცადა, რომ შეეჩერებინა. აი, უკლო კიდეც ტრიალს, თითქოს შეჩერდა კიდეც და ნინომ წამოიწია. წამოიწია, მაგრამ წელი ვეღარ აიტანა.

სისუსტეს არ შეუშინდა, გაუჯიქდა, ღონე მოიკრიბა, ეკლესიის ნანგრევების ტრიალი თვალებით შეაჩერა და უფრო მეტი მონდომებით წამოიწია. თითქოს ადგა კიდეც, მუხლებიც გაიშალნენ, მაგრამ თავმა წასძლია და ყორეზე გადავარდა... არაფერი სტკენია, თუ მოინდომებს ადგება კიდეც. ადგომას რა უნდა. ერთხელ კიდევ წამოიწევს და ყველაფერი რიგზე იქნება... მაგრამ ასე სჯობია. ასე უფრო სასიამოვნოა. გულში თუმცა აკანკალებს, გარედან ნეტარი სითბო შემოჰხვევია. მზის სხივებიც სასიამოვნოდ იკბინებიან, რა ვუყოთ თუ გულს ვერ უთბობენ. ცოტას დაიძინებს და გამოშუშდება. მერე ადგება და წავა სახლისაკენ.

კედლებმა ტრიალი ააჩქარეს. ნანგრევები დაყირავდნენ. თითქოს ზეცა ქვემოდან მოექცა და ნანგრევები ზემოდანო. საკვირველია, ეს ქვები რომ

ცაში არ ცვივიან. რა უძირო ორმო ყოფილა. ნინოს კი გადაჭიმული კარავის მსგავსი რაღაც ეგონა. იქნებ შიგ ზღვა არის და არავინ იცის. აი, სასწაული თუ გნებავთ. წელან ზემოდან იყო ცა და ახლა ქვემოდან არის... საშიში ხომ არაფერიია?! მოიცადეთ, თვალებს დახუჭავს და, რაც უნდა მოხდეს.

— დედა!

— უი, ეს ხომ მაროს ხმაა.

— დედი, ბიჭებს სკა გადავუხადე და არ გამიჯავრდე!

— ყველა სკა შენი ჭირის სანაცვლო იყოს, შვილო... ოცდაოთხი წლის დახურულ ქვევრსაც მოჰხადე და მთელ სოფელს დაუძახე!

— ადექი, დედაკაცო!.. აქ სად დაწოლილხარ?!

დათია დაბრუნებულა ტყიდან..

ტყეში იყო, თუ ომში?.. მართლა ადგეს, თორემ ვინ რას იტყვის!

ნინომ ერთხელ კიდევ გაახილა თვალი, მაგრამ მზე აღარ ჩანდა. საშუადღეოზე მდგარი ცხრათვალა მზე თვალსა და ხელს შუა გაუქრა...

საღამოთი ტყიდან მომავალმა ხალხმა ჩამოასვენა და იმავე დღეს ახალი ამბავი დაირხა:

— ნინო მომკვდარაო. ჯავრიან გულზე არყით დამთვრალა და ისე მომკვდარაო.

გაგონილა ასეთი ამბავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჭულუხიძე

# გასაუბრება მზესთან

## მეზობლის გოგოს გახსენება

გიყურებ თვალში,
მოვრბივარ შენსკენ,
მე მარად შენი მორჩილი ბავშვი.

წუხელ გინატრა მეზობლის გოგომ,
თვალებზე როცა დააცხრა ჩრდილი.
წუხელ გინატრა
და სოხანეზე
ენთო სანთლები შენს მოლოდინში...

როგორ გელოდა მეზობლის გოგო,
როგორ გელოდა მთელი სოფელი...
შენს ხელშეუხებ სამოსახლოდან
ცვიოდა ყინვის სამკაულები,
ვერ გაარჩია პატარა გოგომ
სხვისგან ყინვის სამკაულები
და მოიჭედა მკერდი და მაჯა,
ბიბილო,
ყელი,
თლილი თითები...
მორჩა, გათავდა,
გწამდეს ამიერ
ყველასთვის აღარ ამობრწყინდები.

შენ ვინ შეგკადროს ძალით მოხმობა,
ძალით წვა, ანდა გამოდარება,
მაგრამ შენ არ ჰქმენ მისი არსობა,
შენ არ ჩაუსვი სულში ეშმაკი,
რომ ალმასივით გზებზე ებრწყინა
და ეტკარცალა ლორთქო ბალახში?
ბრუნავს ქვეყანა
შავით და თეთრით
დაღლილი მიწა გავედრებს ბალახს.

## მეორე გასაუბრება მზესთან ანუ ძველი თამაშის გახსენება

დაეცა სხივი
და გაჩნდა ჩრდილიც
კაცის და ფოთლის,
ბალახის,
მხეცის...
შენ მიეც სუნთქვა
კეთილს და ბოროტს,
ქვასა და წვიმას,
ზენას და ქვენას...
შენ არ შეგეძლო გარჩევა შვილთა
და ერთნაირად გიყვარდა ყველა.
როცა მძინარეს ტოვებდი მიწას,
ელვიძებოდა უზნეო ბავშვებს...
ზოგს აჩუმებდნენ ჯადოსნურ ტახტით,
ზოგს კი გვირგვინებს ადგამდნენ თავზე.
შენც ეს თამაში გეგონა ჩვილთა
და არიგებდი ბრჭყვიალა კვერთხებს...
მაგრამ კვლავ როცა დახედე მიწას
ვინ აღარ გჭობდა სახელით შენით...
და კვლავ ტრიალებს მიწა და კვერთხი,
და კვლავ გრძელდება თამაში ძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორეულის დათრგუნვა ანუ პირველი გათამამება

ხნა მეთქი,
კრინტიც არ გამაგონო,
ცოტახანს ასე მალაპარაკე!
მომწყინდა კუდში შენი ტანტალი,
თვალებზე ხელის გადაფარება...
ჩემივე სუნთქვა როგორ გაცოცხლებს
მფრთხალს და მშიშარას,
ამდენის მომთმენს,
რაც მზეს შევხედე, ენას აწვები
დღემდე გაუხსნელ კბილად, ბოქლომად.
დაყვედრებული ლუკმაც გაპურებს,
ცეცხლს ეფიცხები ლეშის მეგზური.
შენ რა გაწუხებს,
მოვა სიკვდილი?
ჩემივე ხორცთან ერთად მოკვდები.
მაგრამ შენ სხვა ხარ,
მეც — სხვა სრულიად.
ამდენხანს ერთად როგორ ვიარეთ?!.
შენ უზრუნველი,
მე დაქანცული...
ერთივე სუნთქვით როგორ ვსულდგმულობთ.
მე სხვა ვარ,
მოვალ დაუსრულებლივ,
დაგტოვებ შენც და კვლავ გავგრძელდები...
ჩემივ საფლავის ქვებზე მივხტივარ,
მივხტი და ქვებზე ვტოვებ სახელებს.

ხმა მეთქი,
კრინტიც არ გამაგონო,
ცოტახანს ასე მალაპარაკე!

## მესამე გასაუბრება მზესთან ანუ ვარსკვლავთა ცვენა

ახლა ღამეა და შენზე ვფიქრობ
რად გამიჩინე ასეთი ფიქრი?
ძნელია, გესმის?
უშენოდ ყოფნა,
უფრო ძნელია უშენოდ ფიქრი.
ტრიალებს მიწა,
იჩქარი ჩემსკენ,
მაგრამ არ ვიცი რატომ და რისთვის?

ცის კაბადონზე ვარსკვლავი ჩაქრა...
მეზობლის გოგოს ბრიალა თვალებს,
ხვალ რას მოუტან დუმილის გარდა?

გუშინ პროსპექტზე ვის არ ვხედავდი,
მდინარესავით ვიდოდა ხალხი.
მდორე მდინარე, მღიმარე სახით
აკვირდებოდა ვიტრინებს, სკვერებს...
და უცაბედად წაიქცა კაცი.
მდინარე შედგა,
უნდოდა ყველას
ენახა, როგორ წაიქცა კაცი
და მოხდა ასეც —
უგულო ბრბოდან,
როგორც გალიის კარიდან ჩიტი
აფრინდა ცისკენ დაღლილი სული.

შენს თვალწინ
ასე ტრიალებს მიწა...
ტრიალებს მაინც ბრჭყვიალა კვერთხი...
და პროსპექტს ისევ მიყვება კაცი
და ცისკენ ისევ მიიწევს სული.

ახლა ღამეა,
და შენზე ვფიქრობ,
რად გამიჩინე ასეთი ფიქრი?

## ქანდაკება ანუ სიჩუმის გამძვინვარება

გაჩენის დღიდან ვუსმენ სიჩუმეს,
დღემდე სიჩუმის ერთგული ვრჩები.
გულზე მაყრია ცარცის ნაცარი
და ვემსგავსები ქვის ქანდაკებას.
კედლის გადაღმა აკვანს არწევენ,
ტირის პატარა თავგამოდებით
და მიხარია ბავშვის ტირილი
სანამდე ბავშვსაც გააჩუმებენ.
ჯერ დედის მკერდით,
მერე სიმღერით,
მერე ცრუ რძით და
ცრუ საწოვარით...

და მიხარია ბავშვის ტირილი,
სანამდე ბავშვსაც გააჩუმებენ.

მე აქ ვწევარ და სადაც ვიჯექი
ცარიელია ჩემი მაგიდა...

ვიცი ვიღაცას მკვდარი ვგონივარ
და დაივიწყა ჩემი სახელი.
მე კი ვწევარ და ვუსმენ სიჩუმეს,
დღემდე სიჩუმის ერთგული ვრჩები...
გულზე მაყრია ცარცის ნაცარი
და ვემსგავსები ქვის ქანდაკებას.

## კედლის მარტივი ფილოსოფია

ვწევარ და
კედელს ვეყრდნობი შუბლით,
რარიგ თბილია სახლის კედელი...

კედლის გადაღმა გუთნის კვალია
და პაპაჩემი ბელტს მიაგორებს,
ბებია ცეცხლზე ქოთანს აბრუნებს
და დღეს აპურებს მზით და მარილით...
კედლის გადაღმა გუთნის კვლებია,
რარიგ თბილია ჩემი კედელი.

სამყარო ბრუნავს,
ედავება კედელს კედელი,
ხელშეუხები,
გაბზარული,
მონაპოვარი,
დასანგრეველი,
ნაბოძები,
დასაყვედრები...
სამყარო ბრუნავს,
ედავება კედელს კედელი.
არ მიყვარს,
როცა ხალიჩებით ნიღბავენ კედელს,
და აფარებენ
მოოქროვილ შირმებს და ფარდებს —
ფარდების მიღმა თეატრია როლებით სავსე...
არ მიყვარს, როცა ხალიჩებით ნიღბავენ კედელს.

ვწევარ და
კედელს ვეყრდნობი შუბლით,
ისევ თბილია სახლის კედელი,
რომლის გადაღმა გუთნის კვლებია
და ბელტს ეყრდნობა სახლის კედელი.

ასე მგონია გაირღვევა ჩემი კედელი
და ნახნავებში მარცვალივით ჩავითესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეოთხე გასაუბრება მზესთან
## ანუ სარკმლის და ზეცის ამბავი

მე შენზე ვფიქრობ,
ისე შორსა ხარ.
მე შენზე ვფიქრობ,
ისე მჭირდები,
რა თავში ვიხლი სხვათა წყალობებს,
შენი სახელით ვინ მაჯილდოვებს?
შენი სახელით ვინ მწვავს, ვიცოდე?
ვინ მექადნება შენი სახელით?

ჩემი ოთახის სარკმელიდან ზეცა რომ მოსჩანს,
თეთრი მტრედები ამღვრევენ და იყოფენ ხშირად...
რა უხარია ჩემს პატარა
ბიჭსა და გოგოს?!
თავად სარკმელი თუ მტრედებით აჭრილი ზეცა?
მამის მუხლების ქანდარაზე ზის ორი ჩიტი
და უსტვენს,
უსტვენს
საოცარი თავდავიწყებით.

მე შევეჩვიე სიყვარულს და თავდავიწყებას...
ყოველ თვის ბოლოს
ქვითარს ავსებს ბავშვების დედა
და ვიხდი ქირას
სრულფასოვანს ზეცის და სარკმლის.
მშობელი მქვია,
შვილთ ვაპურებ სარკმლით და ზეცით,
ვსწორდები, სანამ საკუთარი საბანი მწვდეია.

მამის მუხლების ქანდარაზე
ზის ორი ჩიტი
და უსტვენს,
უსტვენს საოცარი თავდავიწყებით...

რა უხარია ჩემს პატარა ბიჭსა და გოგოს?

## მეხუთე გასაუბრება მზესთან
## ანუ სიყმაწვილის უამინდობა

ჭადარი გახსოვს?
ტანთეთრა და ლაღი ჭადარი.
გაჩენის დღიდან შრიალებდა ქალაქის ხვატში.
აყურადებდა მოფუსფუსე ხალხთ მდინარებას,
რომელთაც თითქოს მოსწყენოდათ ერთიმეორე.
ბრუნავდა მიწა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიწევდა შენსკენ ჭადარი
და გამვლელები
დღენიადაგ შენს მოლოდინში
უცქერდნენ ჭადარს
შურით,
შენ რომ მოგიახლოვდა,
იქნებ ამიტომ გადაახვეჰეს ჭადარს მკლავები, —
ზუსტად ქალაქში მოარულთა სიმაღლის დარჩა.
და ზოგჯერ,
როცა გაექცევა შენსკენ ჯავარი,
წინასწარ ტირის სიყმაწვილის უამინდობას.

## უკანასკნელი გასაუბრება მზესთან ანუ ვარდივით გაწვდილი აღსარება

დაბადებიდან მოვდივარ შენსკენ
ხოხვით,
ნაბიჯით,
სირბილით,
ხოხვით...
ხან აღმართები მაგულიანებს,
ხან — დაღმართების მაცდური შიში.
მაინც მოვდივარ,
მომაფრენს შენსკენ
ჩემი გაჩენის ჯიუტი ღმერთი.
რამდენჯერ მოვწყდი კლდესა და ქარაფს
რამდენჯერ მიწამ წაიღო ხორცი.
მასაფლავებდა კოჭლი და გონჯი
და საზეიმოდ მიხდიდა აღაპს,
მე რა მებადა,
წაიღეს ძონძი,
სული კი ისევ აღმართზე დარჩა.
და კვლავ ვისწრაფი,
სანამდე მოვალ
ალბათ მრავალჯერ წამივა ხორცი...
მაინც მოვდივარ,
სამყარო ბრუნავს,
ეს იმას ნიშნავს —
მოვდივარ, გესმის!

ეს ისევ მწუხრის სიმღერაა გულამომჯდარი
და სიჭაბუკის ნაადრევი გამოტირება...
მე მწამდა ერთი —
სიყვარულზე უნდა მემღერა,
გეძახი, სანამ ოკეანეს შეუერთდები.
ქვეყანა ბრუნავს,
რა მაცდურად იშლება ვარდი...
თუ მისმენ ახლა,
თუ მისმენ ახლა,
თუ მისმენ ახლა,
მაგრამ მზე ჩადის
და ამ მდუმარე აღსარებას ვარდივით
გიწვდი.

ბიძინა მინდაძე

# საგარეჯო

ცოლეურს ვიყავ
და მოწეული
ბროწეულივით
აფეთქდა სიტყვა.
განათდა
შენგან მირონცხებული
პატარძეული
და ნინოწმინდა...
— ბატონო გოგლა,
ათას წელს მერე,
ისევ პაემნის დათქვი ალაგი
და ახვრეპინე გამომშრალ ყელებს
დადუღებული შენი ბადაგი.
და სიყვარულის ზვავი, თუ თქეში,
ვის არ მოძებნის,
ვის არ იპოვნის,
ვით ალაზანი აპრილის თვეში,
როგორც ხორცსავსე შენი სტრიქონი.
— ბატონო გოგლა,
ათას წელს მერე,
ისევ პაემნის დათქვი ალაგი,
რომ ვეამბორო ყიზილბაშურ ხელებს,
როგორც შეგირდი და ამხანაგი.

* * *

საღამოა და სიჩუმეს ვისმენ.
მარტო ვარ და მარტოობა მიჭირს.
დამიბრუნდი, ჩემო სიხალისევ,
და გამხადე უდარდელი ბიჭი.

ტკბილი არის შენი გახსენება —
მოპარული ვაშლით უბეს ვივსებ...
უნებურად, ჩუმად, ნება-ნება,
დამიბრუნდი, ჩემო სიხალისევ!

მე მაქვს ჩემი ტკივილი და სევდა,
მჯავს ძველი და უღალატო ძმები,
და თუ, მაინც, ზოგჯერ სიზმრად გხედავ,
იმიტომ, რომ მართლა მენატრები.

მენატრები და მოგელი ისევ,
თუმცა, ამ გულს შენთვის ვეღარ დავცლი.
...ნუღარ მოხვალ ჩემო სიხალისევ,
მე არ მიყვარს უდარდელი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანატრი როლი

ასრულდა მისი დიდი წადილი,
მისთვის ბრწყინავენ ჭაღები ბროლის.
სცენის სიღრმეში დგას თავდახრილი
და ტაშის ცემას არ უჩანს ბოლო.

თვალზე ადგება ნამდვილი ცრემლი
(როგორ მშვენივრად სრულდება როლი).
ჩაფიქრდა მისი გულგრილი მრევლი.
ხარობს ზედმეტად ყმაწვილი ცოლი.

დარბაზი ყალბი სინათლით ბრწყინავს.
გარშემო აფრქვევს ბრჭყვიალა მძივებს
და ფარდა, როგორც გილიოტინა
მოდრეკილ ქედზე ეშვება მძიმედ.

ოთარ კანდელაკი

# ექსკურსიაზე

გაღმა დარჩა ტაძარი
ფრესკებით და ხატებით,
ვარაყიან წიგნებით,
ძველი ფოლიანტებით.
გზას გვიდობავს ზღვაური
ავი, განახელები,
ლამის მიწას გააკრას
ტანმოქნილი თელები.
და ვგრძნობ ვით ეს ფოთლები
ქარში ქარვის ნათებით,
დავცილდებით ერთმანეთს
და შორს გავიფანტებით.

* * *

ნუ გამაგონებ საყვედურს შენსას,
ყურს ნუ დაუგდებ შეთხზულ არაკებს,
ნამდვილ სიყვარულს დუმილი უყვარს,
უხმოდ, თვალებით მელაპარაკე.
და თუ რაცა გსურს თვალებმა მითხრეს,
გულში ჩავიკლავ ჩემს სულის კვნესას
და ვიზეიმებ ყოველთვის ვით დღეს
უსაყვედურო სიყვარულს შენსას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

## თავი მერვე

დიდი დედოფალი თამარი უკვე სამგზავროდ იყო ჩაცმული, შეკაზმული ცხენები და ამალა სასახლის კარიბჭესთან ელოდა, როცა ბატონების სამსახურში დაბერებულმა მოახლემ, ხვაშაქმა, თავისებური მამაკაცური ხმით ლევან აბაშიძის კაცების მოსვლა აუწყა და პირქუშად დასძინა, შენთან ძალიან საწრაფო საქმე უნდა ჰქონდეთ, დედოფალო, მე შიგნით შემოვაყვანინე და აგერ, კარს უკან გელოდებიანო. ქვრივობის ძაძებში გახვეულმა თამარმა ისე ბრძანა მოსულების შემოყვანა, არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ ეს „ლევან აბაშიძის კაცები“, ახალი ამბის შესატყობინებლად გამოგზავნილი უბრალო მალემსრბოლები, თუ ვინმე დიდებულთაგანი.

დედოფალი აქ, ვარციხის სასახლეში, მსახურებისა და მობადრაგე მცირე ლაშქრის ამარა იდგა და ყოველ ცისმარე დღე გამარჯვების მაუწყებელ ცნობებს ელოდა ბრძოლის ველიდან.

დილაადრიან, მთელი კვირის დაგვიანებით, დაპირებული ლაშქრითურთ მოვიდა მულის ქმარი მამია გურიელი, ჯარი ზედა დიმში დააბანაკა და თავად სასახლეს მოაშურა ამბების გასაგებად და თამარის წინაშე მდაბალი მორჩილების გამოსახატავად. დედოფალი თავს არიდებდა გურიელთან შეხვედრას. ამიტომ კარის მესტუმრის პირით შეუთვალა, შეუძლოდ გახლავარ, ახლა თქვენთან საუბარს ალბათ ვერ შევიძლებ და, თუ არ მიწყენთ, მთავარო, ჩემს მოპატიჟებას მანდ, ბანაკში დაელოდეთ, ვინძლო დიდხანს არ გალოდინოთო.

ამ თავაზიანი უარით თავის ძლევამოსილებაში დარწმუნებულმა თამარმა, სულ ცოტა, ორი საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, მუდამ გამარჯვებულის მხარეზე მდგომ გურიელს აგრძნობინა, დიდად არ მეპიტნავები და ამას არც ვმალავო, ხოლო მეორე მხრივ ისიც გადაუკრა, რაკი ფეხი ასე აითრიე და შეაგვიანე, შეგეძლო, სულაც არ მობრძანებულიყავი, როგორც ხედავ, შენს დაუხმარებლადაც საქმეს თავს ვართმევთო.

გურიელთან ჩაგზავნილი კარის მესტუმრე გარეთ გასული არც კი იქნებოდა, რომ თამარმა ხვაშაქი მოიხმო და უბრძანა, სამგზავრო ტანსაცმელი მოე-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

მზადებინა. ის ამ დილას მამასთან აპირებდა წასვლას. საომრად აღჭურვილი არგვეთის ბატონი ჯერჯერობით კვლავ გეგუთში იდგა თავისი რჩეული ცხენოსანი ჯარით. სამეფოს დასავლეთ საზღვარზე ატეხილი ომის მსვლელობა ჯერჯერობით მის უცილო ჩარევას არ მოითხოვდა. ლევანი შორიდან ადევნებდა თვალს საზღვარზე დატრიალებულ ამბებს და მზად იყო, პირველი საჭიროებისამებრ პირი იქით ექნა, საითაც საქმე მოითხოვდა.

რაკი გარემოებამ ყველა სხვა გზა მოუჭრა, გიორგი ბატონიშვილმა თავი გადასდო და ყაბარდოელთა და ლეკთა დაქირავებულ ლაშქარს ხონისაკენ გაუძღვა. სამი თუ ოთხი დღის წინ გიორგიმ მათხოჯთან საზღვარზე გადმოსულ კაცია დადიანის ძეს სძლია ცხარე შეტაკებისას, სალიპარტიანოს ახალგაზრდა ბატონი ცხენისწყალს გადაღმა გადადენა და გამძვინვარებული ოდიშში შეიჭრა. ხმები დაყარეს, მეფე სოლომონიც ცოლისძმა კაციას მხარდამხარ იბრძოდა ცხენისწყლის ხეობაშიო, თითქოს ვიღაც კიდევაც შიამსგავსეს, მაგრამ როდესაც საბოლოოდ ეს ხმები არ დადასტურდა და მეფის ნამდვილად მნახველი არავინ აღმოჩნდა, თამარს გულზე ზაფრა გადაეყარა — განდევნილი და მტრად მოკიდებული შვილი უსაფრთხო ადგილას დაიგულა.

ოდიშში გიორგი ბატონიშვილის წარმატებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მამუკა ბატონიშვილი, დადიანების სიძე, და მისი თანამეცხედრე, ბეჟან დადიანის ასული დარეჯანი, ოტიას ღვიძლი და, ამ დროს შინ არ ბრძანდებოდნენ. ღმერთო რომ გამწყრალიყო და აქ ყოფილიყვნენ, ერთიცა და მეორეც შუამდგომლობას დაიწყებდა, თამარს ფეხებში ჩაუვარდებოდა და ოდიშიდან გიორგი ბატონიშვილის მარბიელი ლაშქრის გამოყვანას შესთხოვდა.

მამუკა და დარეჯანი ჯერ კიდევ არ მობრუნებულიყვნენ კაკასხიდიდან, სადაც დიდი ხნის მონატრებული პირმშო შვილი, მათი აზრით იმერეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, თათრის რჯულზე შემდგარი ბატონიშვილი თეიმურაზი, უნდა ენახათ და ერისთავ როსტომის ასულ თამთასა და თეიმურაზის ნაჩქარევ და ნაძალადევ ქორწინებას დასწრებოდნენ.

მაზლსა და შილს მეტისმეტად გაუგრძელდათ კაკასხიდზე ყოფნა. საეჭვო იყო, იქ ამდენ ხანს მოეცადათ. ნუთუ საფიშოში გაჰყვნენ შვილსა და ახალშეძენილ რძალს? ბოლოს ამბავი მოვიდა, ბატონიშვილი მამუკა, თანამეცხედრითურთ, ბარაკონზე სწვევია თავის საყვარელ მძახალს, ერისთავ როსტომს, და იქიდან ვგონებ მოყვრებში, ოდიშის ბატონ ოტია დადიანის კარზე აპირებს წაბრძანებასო.

ამ ცნობიდან ერთობ ყურადსაღები აზრი გამოსჭვიოდა: როსტომი, მამასადამე, არღვევდა ლევან აბაშიძისათვის მიცემულ სიტყვას და დადიანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა. უფრო მეტიც: როცა სხვები იარაღს ისხამდნენ და მტრის დასახვედრად, ან იქით მისახტომად ემზადებოდნენ, ის არხეინად იჯდა ბარაკონზე და ახალშეძენილ მოყვრებთან განცხრომას ეძლეოდა.

თამარს გამოძიება არ დაუწყია. დარეჯანი ეს ერთი ხანი იყო, ძმის ავადმყოფობას იმიზეზებდა და დღედაღამ ქმარს საყოლში წაყვანას თხოვდა. ისე ნუ გამოგვივლევთ წუთისოფელს, მე და ჩემმა ძმამ ერთმანეთი ველარ ვნახოთო. მამუკამ, ეტყობა, ბოლოს გადაწყვიტა, თანამეცხედრის მუდარას დაჰყოლოდა, მაგრამ, როგორც თამარს ეჩვენებოდა, ოდიშში სადარბაზოდ მეტად შეუფერებელი დრო შეარჩია. რა პირით უნდა წარსდგომოდა ცოლისძმა ოტიას, რომელიც უკვე მეფის სიმამრი იყო და სიძეს ხმალამოღებული გვერდში უდგა? ერისთავთან კავშირის შეკვრა და სისხლით დანათესავება ხომ სანუკვარი ტახტის პოტინს და დადიანის ღვიძლი ასულის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებას მოასწავებდა!

„უბედური! — არცთუ უსაფუძვ-

ლოდ ფიქრობდა თამარი და მაზლის მიმართ გული გაბოროტებასთან შერწყმული სიბრალულით ევსებოდა. — აბა, ვნახოთ, თუ უგუნური ცოლის ჭკუაზე მოსიარულე ორივე ფეხით ხაფანგში არ გაება. ოტია დადიანი და-ძმობას რას დაგიდევს! როცა საქმე ძალაუფლებაზე მიდგება, შინაური და გარეული მისთვის სულ ერთია. შეიპყრობს დასაც და სიძესაც. უპატიურად ბორკილს დაადებს და სოლომონს მიჰგვრის!.."

ლევან აბაშიძის კაცები, როგორც ხვაშაქმა მოიხსენია, ორნი ყოფილიყვნენ. მათ დანახვაზე დედოფალს ელდა ეცა. კივილი რომ არ წამოსცდენოდა და მთელი სასახლე არ შეეყარა, პირზე ხელი მიიფარა, მეორე ხელი კი ჰაერში გაასავსავა, ჩქარა მითხარით, შემატყობინეთ, კიდევ რა უბედურება დაგვატყდა თავზეო.

საქმე ის იყო, რომ ორივე მოლაშქრე კარდაკარ მოხეტიალე საყდრის გლახას უფრო მიაგავდა, ვიდრე ომიანობისა და მშვიდობიანობის დროს დღენიადაგ კოხტად გამოწყობილ და შეიარაღებულ მარგველ მხედარს. ქამარ-ხანჯალსა და თოფ-იარაღს ვინდა ჩიოდა, ფეხშიშვლებსა და სასაცილოდ ჩამოკონკილებს ჩოხა-ახალუხის მაგიერ ტანზე გაურკვეველი ფერის ქსოვილის ნაფლეთები დაჰკიდებოდათ და ალაგ-ალაგ გვემით ჩალურჯებული და სისხლშემხმარი ტიტველი ხორცი მოუჩანდათ. სხვა მდგომარეობა რომ ყოფილიყო, აზიზი და სასახლის ბრწყინვალებას დაბადებითვე შეჩვეული თამარი განრისხდებოდა, ამ მაწანწალების აქ შემომყვანს მკაცრად დასჯიდა, თვით ხვაშაქსაც როდი მოერიდებოდა, ამათ კი, ვიგინდარებს, სინდის-ნამუსი რომ სულ დაეკარგათ და დედოფლის წინაშე თავისი სიშიშვლისაც არა რცხვენოდათ, სხვათა ჭკუის სასწავლებლად დილეგში ჩააყრევინებდა, მაგრამ ახლა, დიდი გასაჭირისა და მოუცლელობის ჟამს, ამეების დრო და გუნება ვისღა ჰქონდა!

მაწანწალებმა, რომლებიც თამარმა არგვეთის ბატონისაგან გამოგზავნილ მალემსრბოლებად მიიღო, მით უფრო იმის გამო, რომ ერთი მათგანი ძალიან ეცნობოდა, რაღაც უცნაური, აბნეულ-დაბნეული და ყოვლად დაუჯერებელი ამბავი მოიტანეს. ამათ შემყურე დედოფალს გული აერია, მოთმინების ფიალა აევსო, ის იყო, ზარის ზონარი უნდა ჩამოეწია, ვინმეს მოვიხმობ და ამ ღვთის გლახებს გარეთ გავაყრევინებო, მაგრამ რაღაც გუმანის კარნახით თავისი განზრახვის შესრულებაზე ხელი აიღო, გადაწყვიტა, მოთმინებით აღჭურვილიყო და ყველაფერი, რამაც ეს საპყრები აქ მოიყვანა, ძირისძირობამდე მოესმინა.

მალე გამოირკვა, რომ სასახლეში შემოხეტებული ორი მოლაყბე ბატონ მამას, ლევან აბაშიძეს, კი არ გამოეგზავნა თავის ასულთან ახალი დიდმნიშვნელოვანი ამბის შესატყობინებლად, არამედ თვითონ, თავისი ნებით მოსულიყვნენ. ყოფილი მზირები ერთიმეორეს ასწრებდნენ, ვითომ მე უფრო მოკლედ, გასაგებად და ნატიფი სიტყვებით მოვესაუბრები დედოფალსო, წამდაუწუმ ცხენიპარია მეგრელებს ახსენებდნენ და ხელს ხან გოდოგნისკენ, ხან ქუთაისისკენ იშვერდნენ.

თამარი სულ დაიბნა. ბოლოსდაბოლოს, მართლა ვინ იყვნენ ეს მაწანწალები, სად და ვისთან ერთად ეომათ, ოტია დადიანის ქვეშევრდომ მეგრელებს ომში სად შეხვედროდნენ? დედოფალმა იცოდა, რომ ლეკთა და ყაბარდოელთა დაქირავებული ჯარითა და იმერთა რჩეული რაზმებით ოდიშში შეჭრილი გიორგი ბატონიშვილი მეგრელებს, იგივე ოდიშართ, ზედიზედ ამარცხებდა და, თუ ღვთის ნებაც იყო, ხვალ-ზეგ ზუგდიდში შევიდოდა, ესენი კი, მათივე სიტყვით, ლევან აბაშიძის ყმა მარგველნი, გამარჯვებული ლაშქრიდან სასახლეში მახარობლად მოსულთ არაფრით ჰგავდნენ, პირიქით, ვიღაცას კუდით ქვა ესროლინებინა და დალურჯებულ-დალილავებულთ და ტა-

ნისამოსშემოფხრეწილთ სული აქამდე ძლივს მოეტანათ...

დედოფალს უეცრივ გაუნათდა გონება. ერთ-ერთ მოსულთაგანს დააცქერდა.. ეს ხომ ასკია აბესაძე იყო! შარშან თუ შარშანწინ თავის ბატონს, ლევან აბაშიძეს, ქეშიკად დაჰყვებოდა და ჭირში თუ ლხინში ყველგან განუშორებლივ თან ახლდა. ლეკ მარბიელებს ამან არ დაატოვებინა მამის საყვარელი მწევარი და დამწუხრებულ ბატონს კაცხის სასახლის აივანზე არ მიართვა? ეჰ, ის დრო ჯობდა! უსულოდ მდებარე შვილის მკვდრეთით აღდგომა ვერ გაახარებდა ლევანს ისე, როგორც საყვარელი მწევრის დანახვამ გაახარა. ყმას გადაეხვია, რაც სხვა დროს არასოდეს არ უქნია, გულში ჩაიკრა და საჩუქრად ორი ქცევა სავენახე მიწა მისცა რომელიღაც სოფელში. ამ ამბავს თამარი თვით ესწრებოდა და მამის ასე გახარებისათვის გლეხი თავის მხრივაც დაასაჩუქრა — ყირიმული თოფი და ვერცხლით გაწყობილი ქამარ-ხანჯალი უბოძა. ნუთუ ეს ჩამოძენძილი მათხოვარი ის კალმით ნახატი გლეხის ბიჭი იყო, ვის ცოლობასაც თავმომწონე აზნაურის ქალიც არ ითაკილებდა?

ამის გახსენებამ თამარს ასკიასადმი ნდობა ჩაუნერგა, მისი აშმორებული ფლასებისა და შიშველი ხორცისადმი აღძრული ზიზღიც სულს წელანდებურად აღარ უგუბებდა.

ასკია განცვიფრდა და სიხარულისაგან ცას ეწია, როცა დედოფალმა მისი სახელიც კი გაიხსენა და უბრძანა, ყოველივე, რაც ახლა მოახსენეს, თავიდან და დალაგებულად მოეთხრო. მახარობელა გუნცაძემ ნერწყვი გადაყლაპა და ხმა ჩაიწყვიტა. ის გულში ჩუმად ნანობდა, ყოვლის მხილველი ღმერთის რისხვას რომ შეუშინდა, ქრისტიანის სისხლში ხელი არ გაისვარა და ამ ვირგლა ასკია აბესაძეს, დღემუდამ რომ წინ მიძვრება და ბატონებს თვალებში ეჩხირება, სული შეარჩინა.

დედოფალი ამაყად კოპებშეკრული უსმენდა ასკიას, არ აწყვეტინებდა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მზირების ათისთავი, რაც უფრო მუქი ფერებით ხატავდა სადარაჯო ჯიხურზე მრავალრიცხოვანი მტრის ვერაგული დაცემისა და მზირების თავგანწირული ბრძოლის ამბავს, თამარს მით უფრო ელეოდა მოთმინება და თრთოლვა იპყრობდა. არგვეთის ბატონის ზვიადი ასული მალე ციებიანივით აკანკალდა, ტუჩები გაულურჯდა და მრისხანებით თუ ცხოველური ძრწოლვით აღვსილი თვალები გაუჩერდა. შეფიქრიანებულმა და არცთუ სახუმაროდ დაფეთებულმა ასკიამ და მახარობელამ ერთმანეთს შეხედეს; რა ვქნათ, ახლა როგორღა მოვიქცეთო. სასახლეში მოსვლა და მტრის გამოჩენის ამბის მოტანა აბესაძემ დაიჩემა. ეგონა, ბატონს აქ ნახავდა და ერთგულების გამოჩენისათვის თუ ახალ საჩუქარს არა, მადლობას მაინც მიიღებდა და მოსალოდნელ რისხვას აიცდენდა. მახარობელაც ამას დაეხარბა და აბესაძეს მხარი აუბა, თუმცა გულში ეჭვობდა, რომ აქედან მისთვის რაიმე სახეირო გამოდნებოდა. ისინი პირველად ხედავდნენ ქვეყნის უზენაეს მპყრობელს ასე ახლო და ისედაც აღელვებულებს შიშით გული უკანკალებდათ. რა მოჰყვებოდა ამ გულქვა ძუ ლომის გააფთრებას, ძუ ლომისა, რომელმაც თავისი ნაშობი ლეკვიც კი არ შეიწყნარა, შინიდან გაძევება არ აკმარა და, როგორ თუ ურჩობა გამიბედეო, ლუკმა-ლუკმა დასაფლეთად ურიცხვი მკვლელი და მძარცველი მიუსია!

„ვაი შენს დედას, ასკია აბესაძე! — ფიქრობდა ბეღურასავით დამფრთხალი მახარობელა და სახეზე ფერფური გადასდიოდა. — რა მიქენი ეს, შე პატრონმკვდარო, აქ სად მომიყვანე!..“

დედოფალი თანდათან მოდიოდა გონს, საღი მსჯელობისა და ანგარიშის უნარი, რითაც ყოველთვის ბრწყინავდა, თანდათან უბრუნდებოდა. ხვაშაქი რომ შემოვიდა და გულის მოსაბრუნებლად პიტნის თუ კატაპარიას წვეთები შემოუტანა, თამარი კედელზე მისვენებული იჯდა და მზერა რომელიღაც

ამოჩემებული წერტილისათვის მიეპყრო.

თუ ღამის მეკობრენი, რომლებმაც კახნიაურის ბოლოზე წუხელ მარგველი მზირები დაარბიეს და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ თითქმის ყველა ტყვედ წაიყვანეს, მართლა მეგრელები იყვნენ, როგორც ათისთავი ასკია აბესაძე ამტკიცებდა და მისი ამხანაგიც კვერს უკრავდა, მაშინ საქმე ძალზე საგანგაშოდ გამოიყურებოდა. როგორ გაჩნდნენ მეგრელები კახნიაურის ბოლოზე? აქამდე საიდან და რომელი გზით მოვიდნენ? მტერი, ეტყობოდა, სულ სხვა მხრიდან მოდიოდა, ვიდრე სასახლეში თავდაპირველად ვარაუდობდნენ და სანამ ოდიშიდან სასწრაფოდ დაბარებული ლაშქარი უკან დაბრუნდებოდა და გეგუთში მარტოდმარტო მდგომ არგვეთის ბატონს მოეშველებოდა, ის მანამდე ვარციხესაც მოაღწევდა და ყველა უკან დასახევ გზასაც მოსჭრიდა.

„სულელი ოყრაყი! — გაიფიქრა თამარმა და გულში მთელი რისხვა მაზლს, ბატონიშვილ გიორგის დაატეხა. — ყოველთვის ჩლუნგი და ბლუ იყავი, მარტო შური და სხვისი ნაოფლარის წაგლეჯა გემარჯვებოდა. შენ, სწორედ შენ გაუსივე გული საცოდავ ჩემ ქმარს. რა იფიქრე, რომ იშვირე ფეხი და ტუცე თავი მდუღარეში, ბებერი მელაძუა ოტია დადიანი ოხრად დასარჩენ ოდიშს ხონჩით მოგართმევდა? აგიდგა გვერდები ისე! ვაჟკაცი კაცი, თავი რომ მეფედ მოგაქვს და ქვეყნის ცოდვა-მადლი ზურგზე გუდით მოგიკიდია, როგორ ვერ უნდა მიხვდე, რომ მტერი გველივით ჭკვიანია, მახეს გიგებს, შიგნით, თავის ქვეყანაში გიტყუებს და სამარეს საკუთარი ხელით გათხრევინებს! როდის იყო, დადიანი, ასე დამფრთხალი და შეშინებული, უკან იხევდა და სამტროდ მოსულ იმერთა მეფის ჯარს გზაზე ფიანდაზად ეგებოდა, მობრძანდი, გენაცვალე, იბატონეო. ვაი, სირცხვილო, ვაი, წაგებულო საქმევ! ღმერთო, შენ დაუდუმე ენა-პირი ჩემს ოყრაყ მაზლს, გიორგი ბატონიშვილს, შენ შეახმე მარჯვენა, ღმერთო და იესო მაცხოვარო, შენ დაუბრმავე ორივე სამზერი თვალი! ეს რა გვიქნა ამ ბლუმ და ლენჩმა, ეს რა ცეცხლსა და გეენიაში ჩაგვაგდო. რეგვენი! უგუნური! მოღალატე!“

განრისხებულ და უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ქვრივოხერ დედოფალს, ვინ იცის, კიდევ რომელი სალანძღავი და სათრეველა სიტყვა არ მოაგონდებოდა ხელმოცარული მაზლის შესამკობად, მაგრამ ალღოიანი და გონიერი ქალი უმალვე მიხვდა, რომ ახლა ფიქრისა და ყოყმანის, მით უფრო ყოვლად უსაგნო და უსარგებლო გაფიცხების დრო არ იყო, საქმე დაუყოვნებელ და სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა. თამარმა თავი მოთოკა, გაკერპდა, სიმხნითა და მოთმინებით აღიჭურვა. პირველად ხომ არ იყო მის თავს ეს ამბავი, მომხვდურ მტერს პირველად ხომ არ უნდა შეხვედროდა!

აქამდე მიყრუებული, მგლოვიარე, დადუმებული სასახლე რამდენიმე წუთის შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლდა და ამოძრავდა. ხეირიანად ვერავის შეეტყო, რა ხდებოდა. ყველა გაურკვეველმა შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. დიდსა და მცირეს, სასახლის ყველა მსახურს: თერძს, ხარაზს, ქვითხუროს თუ ოქრომჭედელს, მეუნაგრეს, დაბალს, მეწისქვილეს თუ ქსლის მბეჭველს, თვით დიდ დედოფალ თამარის განკარგულების თანახმად, თოფები და ტყვია-წამალი დაურიგეს და სასახლის ქონგურებიან გალავანში ადგილი მიუჩინეს. ბრავალძლეელი მზარეული დალოსტი სხირტლაძე, დაბალი, კოტიტა, კუნძივით ჩადგმული შუახნის კაცი, წვრილი, ციმციმა თვალები სიმსუქნისაგან რომ ძლივს უჩანდა და თავის დღეში მზარეულის დანის გარდა სხვა იარაღი არა სჭეროდა, გრძელ თოფს მწყემსის კომბალივით ატრიალებდა ხელში და ფუტკრებისაგან დაკბენილი მსუნაგი დათვივით ბურტყუნებდა:

— ეს რა საქმე გამომიჩინეთ, ბოშო,

ღმერთმა ყველას ჯვარი დასწეროთ-ყე და, ბატონები შიმშილით ამოგვეხოცებიან. მე და კაცის მოკვლა? მანამდი არაფერი გეტკინოთ არც თქვენ და არც ჩემი ცოლ-შვილის კაის მდომელს! მივაყუდოთ აგერ კედელზე და იყოს. ქვეთუ სხვა გასაძრავი ღონე არ იქნა...

დალოსტის ყურის საგდებლად და კვერის დასაკრავად აბა ვის ეცალა. ეჭვი არ იყო, შუაგულ ტყეში განმარტოებულ ვარციხეს მტერი შემოადგა და დედოფალი მას მტრულ დახვედრას უმზადებდა. მაგრამ ვინ იყო ეს მტერი, მომხვდური აგარიანი თუ შენივე სისხლი და ხორცი ქრისტიანე?

სასახლეში მარტოდმარტო დარჩენილ დედოფალს მობადრაგე ჯარი ძალიან ცოტა ჰყავდა. ესეც გიორგი ბატონიშვილის ბაქიობისა და აქერქეტების ბრალი იყო. ჯარს აქ საყურყუტოდ როგორ მოვაცდენ, როცა მტერი ცხენისწყალგაღმა მეგულებაო. ამ ერთი მუჭა ჯარითა და სასახლის შინამოსამსახურეებით, უზარბაზნებოდ და უზამბურაკებოდ, თამარ დედოფალი ვერაფერს გახდებოდა, არა და, თუ მრავალჭირნახულ ვარციხის სასახლეს მტერი ალყაში მოაქცევდა, რაღაც არ უნდა დამჯდარიყო, აქაურობა გეგუთს ლაშქრით მდგომი მამის მოსვლამდე უნდა შეენარჩუნებინა. მერე სასახლის დაცვას თვით ლევანი ითავებდა და ორ-სამ დღეს, ვიდრე გიორგი ბატონიშვილი სამეფოს თითქმის მთელი მხედრობით ოდიშში იყო და მეგრელებს აწიოკებდა, მტერს როგორმე მოიგერიებდა.

განსაცდელში მყოფ დედოფალს სწორედ ამ დროს გაახსენდა მულის ქმარი მამია გურიელი, რომელიც ჯარითურთ ბანაკად ზემო დიმს იდგა და ახალმა აღმოჩენამ გული სიხარულით შეუტოკა. დილიდან მოკიდებული, რაც მთავარს კარის მესტუმრე ჩაუგზავნა და დარბაზობა განუსაზღვრელი დროით გადაუდო, გურიელი ერთხელაც აღარ მოჰგონებია. დარწმუნებული იყო, საქმეს მის ჩაურევლადაც გამარჯვებით დააგვირგვინებდა. თამარს ბევრი აღარ დაუხანებია: გეგუთს ლევან აბაშიძისათვის მტრის შემოსევის თავზარდამცემი ამბის შესატყობინებლად მალემსრბოლები გაგზავნა თუ არა, კარის მესტუმრე გურიელს აახლა და დიდი პატივითა და მოწიწებით მთავარი სასახლეში მოიწვია.

მახარობელა გუნცაძემ, როცა შეატყო, ეს ჩემი ცოდვით სავსე ასკია აღარაფერს ამბობს და ვაითუ აქედან პირდაპირ სასახლის ჯურღმულში ჩაგვრეკონო, რაღაც გაურკვეველი წამოიკნავლა და დედოფალს თავი საწყლად შეახსენა. ეჭვი მაშინაც არ განელებია, როცა თამარმა ხვაშაქი მოიხმო და გლახა ამბის მომტანი მარგველების ძირს, სამზარეულოში ჩაყვანა ბრძანა. კერიის ქვასავით გამომშრალი და უტყვი დედაბერი, ხვაშაქი, აბაშიძის ასულზე ნაკლებ საშიში და მოსარიდებელი როდი იყო. ტყუილად როდი ჩამოსტიროდა წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაღარული, ძვალადა და ტყავად ქცეული სახე და ორი ღრმა ორმოდან, იმ ადგილებიდან, სადაც ოდესღაც თვალები უნდა ყოფილიყო, ტყუილად როდი იყურებოდა უკუნეთი ღამის წყვდიადი.

მეჯლისების დარბაზში დედოფლის მოსამსახურეები ფუსფუსებდნენ და მცირე სუფრას აწყობდნენ. სადილის დრო ახლოვდებოდა. დედოფალმა, მარტო რომ დარჩა, თვით გააკითხა სუფრის გამშლელთ, განჯინებიდან თავისი ნამზითვი ვერცხლისა და ფაიფურის ძვირფასი ჭურჭელი გამოალაგებინა. გურიელი არ ჩანდა. დალოსტი მზარეულმა სამჯერ ამოსძახა მსახურებს, რას შვრებით, თქვე დალოცვილებო, კერძები მიცივდებაო, მეოთხედ თავადაც ამოგორდა, წკიპებზე შედგა და მეჯლისების დარბაზში შეიჭვრიტა. გურიელი ჯერ კიდევ არ იყო. შუადღე წამოვიდა, სამხრობამაც მოაწია. მამია კვლავ არ ჩანდა. თამარ დედოფალი ჯავრმა გაასავათა. ახლა კი მიხვდა, თავისი ამპარტავნობითა და კუდის ყავარზე გადებით ბოლოს რა უპატიებელი შეცდომა მოუვიდა, მაგრამ რაღა ექნა, გულის-

წუხილი ვისთვის გაემხილა, ვინ რას უშველიდა! თქმა არ უნდა, დედოფლის უპატიური მოპყრობით განაწყენებული და გულაღრენილი მამია გურიელი შინ, ოზურგეთში, მეფის სასახლეში მოუსვლელად აპირებდა დაბრუნებას. ეს ხომ გაუგონარი ამბავი იყო! მსგავსი შეურაცხყოფა ჯერ გურიის არც ერთ მთავარს არ მიეღო თავისი მეფე-ბატონის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრისაგან. ლევანიც, თითქოს განზრახ, იგვიანებდა. ნუთუ იქ რაიმე მოხდა და დედოფლის მალემსრბოლებმა არგვეთის ბატონს გეგუთშივე ვერ მიუსწრეს? თამარს მოსვენება დაეკარგა, გულში დაგროვილ მღელვარებას ვეღარ გაუძლო და ორჯერ ტირილიც კი წასკდა. ის იყო, გადაწყვიტა, მცირე ამალას გავიყოლებ და ვითომდა გზად, შემთხვევით, იქ გავივლი, სადაც მამიას თავისი ჯარი უყენიაო, რომ ოთახში ფანჯრებთან დადარაჯებული მოახლე გოგოები შემოცვივდნენ და ჯავრისაგან ცრემლგამშრალ დედოფალს გურიის მთავრის მობრძანება ახარეს.

## თავი მეცხრე

მამია გურიელი და მისი უწმიდესობა კათალიკოსი ბესარიონი, რამდენიმე გურული წარჩინებული პირისა და ბერის თანხლებით, თითქმის ერთსა და იმავე დროს მოადგნენ ვარციხის სასახლის გალავნის კარიბჭეს. ჯორზე ამხედრებულ კათალიკოსს მთავრისათვის არ დაუმალავს და შეხვედრისთანავე აცნობა, რომ სასახლეში მეტად ცუდი ამბის შესატყობინებლად მოდიოდა. ბესარიონს გელათშივე გაეგო, რომ წინა საღამოს რიონის პირზე, ნამოხვანთან და უფრო ზევით, თითქმის ღვირიშის ღელემდე, დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი და აქეთა ნაპირზე გადმოსვლა დაიწყო. თვით ოკრიბაშიაც არეულობა და მითქმამოთქმა სუფევდა. კათალიკოსისათვის მოწამეთელ ბერებს მოეტანათ სარწმუნო ამბავი: ოდიშიდან შინ საიდუმლოდ მობრუნებული ქაიხოსრო აგიაშვილი, რომელიც მეფე სოლომონს საგანგებო უფლებამოსილებით აღუჭურავს, ქუდზე კაცს აგროვებს და ლეჩხუმში ამოსულ მეფის ლაშქართან შესაერთებლად ემზადება. სოლომონისაგან ამავე დავალებით მოსულიყო რაჭას ხოტევის ციხის პატრონი გიორგი წულუკიძეც. გამთენიისჟამს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ დარხეული ხმები სინამდვილეს შეეფერებოდა. ცუცხვათის, ხრესილისა და ქუთაისის ციხეებში ჩაყენებულმა ურჯულო აგარიანებმა მტრის დახვედრის სასწრაფო თადარიგი გასწიეს და დედაბუდიანა ციხეებში შეიკეტნენ, მაგრამ სოლომონის მიერ წინასწარ გამოგზავნილმა სანდო კაცებმა ისინი მალე დაარწმუნეს, ხონთქრის ერთგული ყმა და ფერხთა მტვერი იმერთა ბატონი თქვენ არას გერჩითო და აგარიანებიც თითქოს დამშვიდდნენ, თუმცა ციხის კარი მაგრად ჩარაზეს და თვალს იქიდან ადევნებდნენ, რა მოხდებოდა.

მამია გურიელს თავზარი დასცა მისი უწმიდესობის მიერ მოტანილმა საგანგაშო ამბებმა. გაოცდა კიდეც, სულიერმა მამამ, ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, რომელიც დღესა და ღამეს მხურვალე ლოცვაში უნდა ატარებდეს და მაღალ ღმერთს თავის მრავალტანჯულ სამწყსოს ავედრებდეს, ამდენი რამე საიდან და როგორ უნდა იცოდესო.

გურიელის აღელვება და გულში გაღვიძებული შიში უსაფუძვლო როდი იყო. თუ ამ ძმათამჟლეტ ომში სოლომონი გაიმარჯვებდა და ტახტის მიმტაცებლებს სძლევდა, დღეს აქ, თამარ დე-

დოფლისა და ლევან აბაშიძის ბანაკში, დგომა მამიას, ვინ იცის, სამთავროდაც დასჯდომოდა.

სად იყვნენ სხვები? სად იყო რაჭის ერისთავი როსტომი? რატომ თავის ძმაზე არაფერი ბრძანა უწმიდესმა კათალიკოსმა და მარტოოდენ სხვათა ამბებს უყვებოდა? როდესაც ბესარიონს ეს მოურიდებლად ჰკითხა და პასუხიც მიიღო, ლიხთიმერეთის სპასპეტი და ვიპატოსი შეუძლოდ გახლავთ, მთავარო, კარის მკურნალი ხოსია გოგიბერიშვილი მეორე კვირაა რაც წურბელებს ასხამს და ისიც ღვთის წინაშე იძულებულია, ეს მშფოთვარე დღეები შინ გაატაროსო, გურიელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ შეცდა. თუ თავის დალუპვა არ უნდოდა, ოზურგეთიდან ფეხი არ უნდა მოეცვალა. დღეს უკვე ქვეყანამ იცოდა, რომ „ლიხთიმერეთის სპასპეტი და ვიპატოსი“, როგორც ერისთავი თავს უწოდებდა და გულის მოსაგებად სხვებიც ასე იხსენიებდნენ, ბატონიშვილ მამუკას დაუმოყვრდა, მამუკას გათათრებულ ძეს, ახალციხეში მყოფ თეიმურაზს ქალი მისცა და ახლა თავის დიდებულ მძახლებს, მამუკასა და ბექან დადიანის ასულ დარეჯანს, მასპინძლობდა ბარაკონზე! ამ ომის საბოლოო შედეგი როსტომს, ეტყობა, ნაკლებ აღარდებდა, ვინაიდან ახალი მოკიდებული სიძის, ბატონიშვილ თეიმურაზის, სამეფო ტახტზე ასაყვანად ჯერ მარჯვე დრო არ დამდგარიყო. ვთქვათ, რკინის მკვნეტელა ერისთავს სიბერეში მართლაც სნეულებამ დაჰრია ხელი და ზეზე ვეღარ წამოდგა, შვილები? შვილები სადღა იყვნენ, ნუთუ ყველა უღონოდ შეიქნა? თუკი ერისთავს სოლომონისა და დადიანის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა სწადდა, მის მაგიერ ლაშქარს განა შვილები კი ვერ უწინამძღვრებდნენ? მაშინ ხომ ყველა ჯანმრთელად ბრძანდებოდა, როცა თამთას მოსატაცებლად ბუჭუტა იაშვილს შინ მიუხტნენ და სადმელის მამაპაპეული ციხე თავზე დაანგრიეს!

სასურველ სტუმრებს, რომლებმაც სწორედ რომ სულზე მოუსწრეს, თავით ფეხებამდე თალხებში გახვეული დიდი დედოფალი თამარი აივანზევე გამოეგება, კათალიკოსს ჯვარზე ემთხვია, გურიელს კი თავი დაუკრა და ხელი გაუწოდა საამბორებლად, მერე, როგორც ახლო ნათესავს, თავადაც აკოცა მარჯვენა მხარზე, კალთები აიკრიფა, გატრიალდა და მოსულთ მეჯლისების დარბაზში შეუძღვა, სადაც მცირე სუფრა იყო გაშლილი და მათ ელოდებოდა.

მამია გურიელის მიმართ, თითქოს თავისი უნებლიე დანაშაულის გამოსყიდვას ლამობსო, დედოფალი არაჩვეულებრივ ყურადღებას, ალერსს და საგანგებო თავმდაბლობას იჩენდა. ძვირფასი მული, გურიელის თანამეცხედრე, და მულისშვილები, მამიას ორი ძე და ექვსი ასული, თავ-თავისი მონაგრით, დიდი მოთმინებითა და გულთბილობით მოიკითხა, კმაყოფილება გამოთქვა, მადლობა ღმერთს, ოზურგეთის ღვთივ კურთხეულ სასახლეში კვლავ მშვიდობა ყოფილაო და ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და მოუთმენლობა რომ არ გამოეჩინა, მამიას კი არ ჰკითხა, უსაყვედურა, თქვენი ძმა, გურიელისშვილი გიორგი, ბანაკში რად დასტოვეთ და აქ, სასახლეში, რატომ არ გვაახლეთო. გამოირკვა, რომ მამიას უმცროსი ძმა გიორგი, გურიელისშვილად წოდებული, ლაშქრობაში მონაწილეობას არ იღებდა და მთავარსაც მხოლოდ ამის გამო არ შეეძლო სასახლეში მისი მოყვანა და დედოფლის წინაშე წარდგენა.

დედოფალსაც სწორედ ეს უნდოდა გაეგო. მაშასადამე, გურიელის კარზე შინაურმა განხეთქილებამ იჩინა თავი, მამიას ღვიძლი ძმა განუდგა და იმ იმედით, გამარჯვებული სოლომონისაგან სამაგიერო წყალობას მივიღებო, მთავარს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრა.

იქნებ გურიელისშვილ გიორგის მამიას აქ ყოფნითაც ესარგებლა, ქომაგები აეყოლიებინა, თათარი მოექრთამა და ოზურგეთის სასახლე ხელთ ეგდო?

მოწიწებული სიტყვა-პასუხისა და თავდაჭერილობის უკან, რომელსაც არც დედოფალი იშურებდა და ამ მხრივ დავალებული არც გურიის მთავარი რჩებოდა, სავულდაგულოდ შეფარული მოუსვენრობა და შიში იმალებოდა. საუბარში გართულ თამარ დედოფალს დროდადრო თვალი დარბაზის ვიწრო სარკმლისაკენ გაექცეოდა ხოლმე. ურთიერთისაგან მალულად ასევე იქცეოდა ორივე დარბაისელი სტუმარი, რომელთაც ვერ გადაეწყვიტათ, ახლავე ეცნობებინათ თუ არა უამისოდაც ჭავრისაგან გულშემოყრილი თამარისათვის მთელი სიმართლე. ვის და რას ელოდებოდნენ? თამარს, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ხომ ყველაფერი უნდა გაეგო!

მამიას სასახლეში სხვა ახალი ამბავიც მოეტანა და გამოსამჟღავნებლად შესაფერის წუთს ელოდა. ორიოდე გურული დიდებულისა და თვით მთავრის გარდა, ეს ამბავი დღესდღეობით კაცმა სულიერმა არ იცოდა. იქნებ აჯობებდა კიდევაც მამიას თავი შეეკავებინა და იგი თამარისათვის მხოლოდ მაშინ გაენდო, როდესაც მარტო დარჩებოდნენ?

საქმე იმერთა დედოფალყოფილ, მეფე სოლომონის სჯულიერად განტევებულ თანამეცხედრეს, ინალიშვილის ასულ თინათის შეეხებოდა.

მარიამობის ღამეს, 15 აგვისტოს, ხინოწმინდის მონასტერს ვიღაც უცხო მხედრები სტუმრებოდნენ და კარის გაღება ეთხოვათ. ამაზე რომ უარი მიეღოთ, აქ დედათა მონასტერია, გალავანში მამაკაცის შემოშვება ვის გაუგონია, მხედრებს თოფები დაეცალათ და მუქარასა და უშვერი სიტყვებით გინებას მოჰყოლოდნენ. მონასტრის ყველა სენაკში მონოზნებს სანთლები აენთოთ და ჯვარცმულ მაცხოვარს ცხარე ცრემლით ხსნას ევედრებოდნენ. მხედრები დიდხანს დაჰქენებდნენ ცხენებს მონასტრის გარეშემო და თოფებს ისროდნენ. ბოლოს მიხრწნილ იღუმენს გამოეჩინა სულის მხნეობა და კედელზე გადმომდგარიყო. აღარავის ეგონა თურმე, თუ ის იქიდან ცოცხალი ჩამოვიდოდა. ღამის მეკობრეებმა დედოფალყოფილ თინათის და მის ახალშობილ შვილს ითხოვდნენ. აქ არის, დანამდვილებით ვიცით და, თუ სიცოცხლე არ მოგძულებიათ, ახლავე გამოგვიყვანეთო. ხოლო თუ იღუმენი ამას არ იზამდა ან თაღლითობას გაბედავდა, ავაზაკები თვით შემოიჭრებოდნენ მონასტრის გალავანში და ყველა მონაზონს ქრისტეს ჯვრის წინ ნამუსს ახდიდნენ.

მონასტერმა შეიცხადა.

ქრისტეს მხევალი თინათი წინა ღამის ნამშობიარები იყო და განმარტოებულ სენაკში იწვა. უჩვეულოდ გამოცოცხლებული და აღგზნებული მონოზნები, ყოველივე ამქვეყნიურისაგან საუკუნოდ განმდგარი იღუმენის შიშით, ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ ცოდვიან სენაკს, სადაც ახალი სიცოცხლე იშვა და უმწეო ახალგაზრდა დედას ყლუპ წყალსაც ვერ აწოდებდნენ. დღეში ერთხელ, დილას ან საღამოს, მელოგინესთან თვით იღუმენი შედიოდა, იქიდან გამოსული დიდხანს იბანდა დალვლარჩნილ ხელებს, მაცხოვრის ხატის წინ დაჩოქილი მეტანიობდა და ხმაჩახლეჩილი ლოცულობდა.

ახლა ნანათლევს, სასურველი პასუხი რომ ვერ მიიღეს და აღარც აღარავინ გამოჰხედათ, ღამის მეკობრეებმა კარიბჭეს თივის ბულულები შემოაყარეს და ცეცხლი გაუჩინეს. გულმხურვალე ლოცვაში ძილგატეხილი მონოზნები იღუმენს შემოესივნენ და ყველა ერთად თინათის სენაკს მიადგა. სენაკის კარი ჩაგმანული დაუხვდათ. იღუმენმა თავისი ხელით სცადა გაღება, რათა შიგნით შესულიყო და უბედური ქალი გარეთ გამოეყვანა, მაგრამ ღვთის განგებით ვერას გახდა. ყველას ეგონა, მელოგინე შეშინებულია, ღამის მეკობრეები თუ ვგონივართ და შვილს გადაფოფრებული ურდულს შიგნიდან ებღაუჭებაო.

ვიღაცამ მოისაზრა და სენაკში ხელის სიფართე სარკმლიდან შეიჭვრიტა.

ღმერთო დიდებულო! იქ აღარავინ იყო. აღარც ღატაკურ ფლასებში გახვეული ყრმა ჩანდა სადმე და აღარც თინათი. სასწაულის წინაშე ყველამ პირჯვარი გადაიწერა და მუხლებზე დაემხო. დღედაღამ ლოცვა-ვედრებით დაოსებულ, ნებით თუ უნებლიეთ ამ ქვის სამარეში ცოცხლივ დამარხულ ქალებს აბა რა უნდა ეფიქრათ იმის გარდა, რომ მაღალმა ღმერთმა ყმაწვილი დედის მხურვალე მუდარა შეისმინა და ახალშობილი ყრმითურთ ცად აღამაღლა...

იმავე დღეს მეკობრეებმა წარყვნეს და გაძარცვეს ხინოწმინდის დედათა მონასტერი, მხეცური ჟინი აისრულეს, შემდეგ ყველა, ვინც ცოცხალი გადარჩა და ცოტა მაინც შეეხედებოდა, კანაფის ბაწრით ერთიმეორეზე გადააბეს, წინ გაირეკეს და ყულევის გზას გაუდგნენ, სადაც, ალბათ, ხომალდი ელოდებოდათ.

მონასტრის დარბევის ამბავი მთავარმა მხოლოდ მესამე დილას გაიგო და მაშინვე მდევარი გაგზავნა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მეკობრეებმა მდევარს შორის გაუსწრეს და ნადავლითურთ ყულევს მშვიდობით მიაღწიეს.

ყოველმხრივ ჩაკეტილი სენაკიდან დედა-შვილის სასწაულებრივი გაქრობისა მამიას ცოტა რამ სჯეროდა. თინათიმ ან მონასტრის მაღალი კედლიდან გადავარდნით უშველა თავს, ანდა იღუმენის შემწეობით, რომელიც შესაძლოა წინასწარ მოსყიდულიც იყო, მეკობრეებმა ხელთ იგდეს, შემდეგ კი, წესისამებრ, დადებული სიტყვა აღარ შეასრულეს, უმწეო ქალები დაიბრიყვეს და მონასტერი ააოხრეს. მაგრამ ვინ იყვნენ ეს მეკობრეები? აქ ვინ გამოგზავნა? ასე დანამდვილებით ვინ იცოდა დედოფალყოფილ თინათის ადგილსამყოფელი? ნუთუ საქმეში ისევ ბატონიშვილები, ლევან აბაშიძე და დედოფალი თამარი ერივნენ? უთუოდ ახალი ქსელი იბმებოდა სოლომონსა და დადიანს შორის უთანხმოების ჩამოსაგდებად!

მამია გურიელი თავბედს იწყევლიდა: ნეტავი კი აქ არ მოვსულიყავი და ჩემი დღე შუაზე გაყოფილიყო. კათალიკოსის მოტანილი ამბები რომ მას დილითვე დაწვრილებით სცოდნოდა, თამარ დედოფლის უდიერ დახვედრას მოიმიზეზებდა, ჯარს აჰყრიდა და შეურაცხყოფილი და განაწყენებული გურიისაკენ გაბრუნდებოდა. ეს გონივრული საქციელი მთავარს სოლომონის თვალშიაც გაამართლებდა, თუ მას შუბლზე მართლა გამარჯვება ეწერა, და, მეორე მხრივ, ვერც ლევან აბაშიძე და გიორგი ბატონიშვილი შემოედავებოდნენ: თავმოყვარეობა და საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნება ქვეყნად ვის არა აქვს!

ნასადილევს, წნული ლანგრებითა და ვერცხლის სინებით სასახლის ხეივანში მოკრეფილი ცვრიანი ყურძენი შემოიტანეს. თამარმა შეატყო, მეტი მიეთმოეთი და საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, უკვე შეუძლებელი იყო. მითუმეტეს იმის გამოც, რომ ლევანი რატომღაც აგვიანებდა მოსვლას და ახლა ხსნის მთელი იმედი მამია გურიელსა და მის მცირერიცხოვან ჯარზელა ეკიდა. მაგრამ გამოიდებდა თავს გურიის მთავარი? შეებმოდა თვით სოლომონის წინამძღოლობით იმერეთში შემოსულ ოდიშარებს?

— თქვენო უწმიდესობავ, — დაიწყო დედოფალმა, ბესარიონს შეხედა და შემდეგ მზერა მულის ქმარზე გადაიტანა, — თუ არ გადაუდებელი საქმე, ვეჭვობ, რომ თქვენ დღეს აქ, სასახლეში გიხილავდით. რატომ არაფერს ბრძანებთ?

— სწორად მიმხვდარხარ, დედავ და შვილო, თამარ, — ფიქრიანად თქვა კათალიკოსმა და ქარვის კრიალოსანი ჩამომარცვლა, — კარზე მომდგარმა დიდმა განსაცდელმა მომიყვანა.

— გვითხარით, რაღას გვალოდინებთ!

ბესარიონმა თვალები ზე აღაპყრო, პირჯვარი გადაიწერა და რამდენიმე სიტყვით დედოფალს სოლომონის იმე-

რეთის ფარგლებში შემოსვლა ამცნო. თამარს ჩრდილმა გადაუარა სახეზე, თუმცა თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს ეს ამბავი ახლა პირველად ესმოდა და რამდენადაც შეეძლო, მშვიდად იკითხა:

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ყველა ეგ სიმართლეა?

— ჩვენდა სავალალოდ, დედოფალო, — თავდაჯერებით მიუგო ბესარიონმა, ქარვის კრიალოსანი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და ოდნავ უფრო ხმამაღლა დასძინა: — ძმათა სისხლისღვრა არ აგვცდება.

— ოდიშარები ბევრი არიან?

— ბევრს ამბობენ, დედოფალო, მთელი რივნისპირი ჯარით აივსო. თუ არა ვცდები, აფხაზებიც უნდა ახლდნენ. ახლა აქეთ წამოვიდნენ და ოკრიბას მოედვნენ. უთუოდ არგვეთისაკენ აპირებენ გაჭრას, რათა ბატონ მამათქვენს უკანდასახევი გზა მოუკვეთონ. პარაკლისი უნდა გადავიხადოთ და ცხარე ცრემლებით ღმერთს ვევედროთ, რომ თქვენი შვილი, სოლომონი, ანტექრისტედ არ მოგვევლინოს და ღვთის განმარისხებელი შურისძიებით ურჯულო აგარიანი არ მოგვანატროს!

დედოფალი რამდენიმე წამს დუმდა, თავი ჩაეღუნა, წუთის წინ ზვიადი და შეუვალი ძალაუფლებით გალაღებული საცოდავად მოკუნტულიყო და ერთ ამოჩემებულ წერტილს დასჩერებოდა იატაკზე. მერე უცებ ქალურმა უძლურობამ სძლია, ნერვებმა უღალატეს და ძუ ვეფხვივით გაცეცხლებული კინაღამ ზეზე წამოაგდეს.

— ჩემი შვილი მაგას არ იზამს, თქვენო უწმიდესობავ, თავი დაანებეთ ჩემ შვილს, გეხვეწებით, გემუდარებით, ყველამ თავი დაანებეთ, ეყოფა, რაც იტანჯა! — და ქვითინი წასკდა. — ურჯულოები იქით მოიკითხეთ! — ამ სიტყვებში მან ერისთავების ახალი სიძე ბატონიშვილი თეიმურაზი იგულისხმა, მაგრამ ეს საძულველი სახელი ხმამაღლა არ უხსენებია.

შეცბუნებულმა და გაგონილით ცოტა არ იყოს დაბნეულმა ბესარიონმა და მამია გურიელმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, ღმერთო, დიდებულო, ეს რა გვესმისო, შემდეგ კი ორივე დედოფლის დამშვიდებას შეეცადა.

— მეც აგრე ვფიქრობ, დედავ და შვილო, თამარ, — შეძრული ხმით უთხრა ქალს კათალიკოსმა და ვენეციური ბროლის ჭიქით წყალი მიაწოდა. — სოლომონი სხვა ზნეობის კაცია, სხვა დედისა და მამის შვილი... ცოტა მოსვი, ბატონო, სული მოიბრუნე.

დედოფალმა ჭიქა გამოართვა, მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა, ჭიქა კი აღარ დაუბრუნებია, ღვარად მომსკდარი ცრემლებით ერთთავად გალუმპული, უძილობისაგან საგრძნობლად შემუპებული სახე გურიელისათვის მიეპყრო. ეს მრავლის მნახველი შუახნის კაცი, მამია გურიელი, ვის შეუბრალებელ მარჯვენასაც არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბევრი ბრალიანი და უბრალო სისხლი დაეღვარა, დედოფლის ენით აუწერელ მწუხარებას ისე გულწრფელად შეეწუხებინა, მზად იყო, თუნდ ზღაპრად გაგონილ ცხრათავიან გველეშაპს შებმოდა, ამ გატანჯული ქალისა და დედის საამებლად და გულის მოსაოხებლად თავი არ დაეზოგა. მაგრამ ეს მისი პიროვნული, ადამიანური, ისიც წამიერი ლტოლვა და მისწრაფება იყო, გარემოება და კუთვნილი სამთავროს შენარჩუნების სურვილი კი სულ სხვა რამეს უკარნახებდა. თამარი ქალური ალღოთი მიხვდა, შემომწყრალ გურიელს, როგორც იქნა, გული მოუბრუნდაო და მას კოცონზე ასასვლელად განწირული და გვემით მისუსტებული ალალმართალი ადამიანის ხმით მიმართა:

— დაგვიფარე, მთავარო, ახლა შენს მეტი მშველელი აღარც მე მყავს და აღარც უბედურ ჩვენს სამეფოს!..

— მზად გახლავარ, დედოფალო! — გურიელმა ყველა ქვენა გრძნობას სძლია და გულის კარნახით წამოდგა. — თავი არ გვეზოგება!..

— ღმერთი დაგიმადლებს. თუ ვი-

ცოცხლე, შენზე მლოცველი ვიქნები, შენი შვილისა და მონაგრის დღეგრძელობას შევთხოვ იესო მაცხოვარს. ახლა, რაკი ამისთანა საშვილიშვილო სიკეთეს გვპირდები, წადი, დროს ნუღარ დაკარგავ. ღმერთი იყოს შენი შემწე! ჩვენ აქ სანთლებს დავანთებთ, პარაკლისს გადავიხდით და ზენაარსს შენს გამარჯვებას შევთხოვთ. მამაჩემი ძალიან აგვიანებს მოსვლას. მის თავს კარგი ამბავი არ უნდა იყოს, თუ არა ამდენ ხანს მარტო არ დამტოვებდა, მე უბედურს ხმას მაინც მომაწვდენდა. თუ რამე გააწყოთ, სისხლის დაღვრას მოერიდეთ, ბატონო მამია, იქნება კეთილი სიტყვითა და შეგონებით გავხდეთ რასმე.

— აგრე მოვიქცევით, დედოფალო!

— ჩემი ფიქრით, თუ ჩემს დღეში მყოფი უბედური დედაკაცის ჭკუასაც რაიმე დაეჯერება, — თამარმა ყურძნით დახუნძლული ვერცხლის ლანგარი ხელის ზურგით უკან გასწია და სანახევროდ დაცლილი ჭიქა დადგა. — ყვირილას პირი უნდა გავამაგროთ. გაღმა გასვლას და იქ დახვედრას ვეღარ მოვასწრებთ. არც ჯარი გვეყოფა. რას იტყვი, ბატონო მამია? კახნიაურში წუხელვე მოვიდა მტერი...

კათალიკოსმა ჭაღარა წარბები შეჭყარა და სელისსკამზე გაიმართა.

— ეგ ვინ მოგახსენათ, დედოფალო?

თამარს ცივი ოფლი დაასხა შუბლზე, ყურის ბიბილოებზე კი ალი შემოენთო. როგორ არ უნდოდა გაემხილა, თუ ამ ამბისა აქამდე რაიმე იცოდა, მაგრამ ამოსაგლეჯმა ენამ მისდა დაუკითხავად გასცა, სიმართლე ათქმევინა. რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში ათისთავი ასკია აბესაძე და მახარობელა გუნცაძე შემოიყვანეს. გუნებიერად დანაყრდნენ თუ არა, ისინი სასახლიდან გაპარვას აპირებდნენ, მაგრამ კარიბჭის მცველები წინ გადაუდგნენ, თქვენი გაშვების განკარგულება ჯერ არ მიგვიღიაო. სხვა გზა არ იყო: ღამენათევი და უღვთოდ დაღლილი ყოფილი მზირები იქვე, მზის გულზე, მიეყარნენ და ხვრინვა ამოუშვეს. მამია გურიელმა თამარ დედოფლისა და კათალიკოს ბესარიონის თანდასწრებით დაჰკითხა ორივე. ასკია აბესაძე ამანაც შეიცნო და იძულებული გახდა მის მიერ მოწოდებულ ცნობებს ყურადღებით მოჰკიდებოდა.

—ღმერთო შეგცოდე და, ერთობ მეეჭვება, — თქვა კათალიკოსმა, როცა მამია გურიელმა ლევან აბაშიძის მზირების დაკითხვა დაამთავრა და დარბაზში ისევ სამნი დარჩნენ. — შეუძლებელია, მეგრელებს ასე ჩქარა გამოევლოთ მთელი დღის სავალი გზა. ნამდვილად ბატონი ლევანის კაცებია? — ბესარიონი კვლავ თამარს მიუბრუნდა.

დედოფალმა ამოიოხრა.

— დიახ, თქვენო უწმიდესობავ, ერთს პირადად ვიცნობ.

— ღმერთს და მის განგებას უნდა მივანდოთ ჩვენი თავი. ილოცეთ, შვილნო ჩემნო!..

ამ სიტყვებზე სამივემ მუხლი მოიყარა, პირი სარკმელისაკენ ჰქნა, საიდანაც კარის ეკლესიის თეთრი ყელი მოჩანდა და სამგზის პირჯვარი გადაიწერა. გულმხურვალე ლოცვას რომ მორჩნენ, კათალიკოსი ჯვარს ემთხვია, დედოფალსა და გურიელსაც ამთხვევინა და თამარმა საომრად აღჭურვილ მთავარს მიმართა:

— მიბრძანდი, ბატონო მამია, აწი აღარ გეგვიანება. თუ მამაჩემს კიდევ სული უდგია და გაჩნდა სადმე, დღე იქნება თუ ღამე, ერთ წუთსაც არ დავაყოვნებ, მაშინათვე მოსაშველებლად გამოვგზავნი, მანამდე კი, ვისაც ხმლის მოქნევა შეუძლია და მუხლი უჭრის, სასახლიდან გამოვისტუმრებ, მეც წინ გამოვუძღვები და ხვალ დილას ადრე ყვირილას პირზე გამოვალ.

ესა თქვა და დედოფალს ისევ მოეძალა მდუღარე ცრემლები, მაგრამ ამჯერად თავს მალე მოერია, გაკერპებულმა კრიჭა შეიკრა და ნიშნად იმისა, რომ ყველა სათქმელი უკვე თქვა, ზეზე წამოდგა. ბერული შესამოსელის შა-

რიშურითა და კვერთხის კაკუნით წამოდგა ბესარიონიც. მამია გურიელი, თუმცა დადიანთან საომრად წასვლა კი გადაწყვიტა, კვლავ ყოყმანობდა, ფეხს ითრევდა, ხან დედოფალს შეხედავდა, ხან მის უწმიდესობა კათალიკოს ბესარიონს. ბოლოს, თავისთვის რაღაც გადაწყვიტა, ტუჩი ტუჩს დააბჯინა, დაძმარებულმა, როგორც სატირალში იციან ხოლმე, გულხელი დაიკრა და ორი სიტყვით დედოფალსა და კათალიკოსს ხინოწმინდის მონასტრის აკლების, მონოზნების ტყვედ გარეკვის და თინათის უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი ამცნო.

თამარს თავზარი დაეცა. პირველად საკუთარ ყურებს ვერ დაუჯერა. მის გონებამდე ერთბაშად ვერ მივიდა ის, რაც გურიელმა ეს იყო შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ თამარმა ნათლად წარმოიდგინა ყველაფერი და გურიელს გამშრალმა ჰკითხა:

— როდის მოხდა ეგ?

— აგერ ახლა... ერთი კვირაც არ იქნება.

— შვილი? თინათის შვილი უნდა შეძენოდა.

— შეეძინა, დედოფალო.

— მერე?

— ვეღარ მივაკვლიეთ ვერც ჩვილს და ვერც დედას. ურჯულო მეკობრეებს ჩემმა ხალხმა რიონამდე სდია. უკან ხელცარიელი მობრუნდნენ.

— ვინ მომტაცა ჩემი სისხლი და ხორცი, სიბერის ნუგეში, მზე ვინ დამიბნელა, ვინ დამღუპა?! ახლავე გაგზავნეთ სანდო ხალხი ქვეყნის ოთხივე კუთხივ, ურიცხვ საბოძვარს დაპირდით, გამიგეთ, ცოცხლები არიან თუ არა!

გურიელს ძლივს შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა შეუტოკა ტუჩის კუთხე. თამარი ახლაც, უკიდურესი გასაჭირის წუთებშიაც, არ იშლიდა თავისებურ ამპარტავნობას და კუდი კვლავ ყავარზე ჰქონდა გადებული. მთავარს სავსებით სარწმუნო ცნობები გააჩნდა, რომ სამეფო სალარო თითქმის მთლიანად დაცარიელებული იყო, დაქირავებული ჯარის გასასტუმრებელი სახსარიც ვერ გამოეძებნათ და მხოლოდ გამარჯვების იმედით სულდგმულობდნენ. ლეკთა და ყაბარდოელთა გასამრჯელო დამარცხებულ მხარეს, ბატონიშვილებისა და აბაშიძის სახლის აზრით, სოლომონსა და მის სიმამრ დადიანს უნდა ეზღოთ. მაგრამ ვიდრე ეს გამარჯვება მიღწეული არ იყო, საიდან და ვისი იმედით აპირებდა იმერთა ამპარტავანი დედოფალი „ურიცხვი საბოძვრის“ გაცემას იმათთვის, ვინც განტევებული რძლისა და ბადიშის ამბავს მოუტანდა?

მამია გურიელმა ეს გაიფიქრა, მაგრამ თქმით სულ სხვა რამ თქვა, თქვა, რომ ცდა არ დაუკლია, ცოცხალი რომ იყვნენ, ამასობაში ვინმე მნახველი გამოჩნდებოდაო.

თამარმა დაიკვნესა, შეშუპებული ქუთუთოები ცრემლებით აევსო, ორივე ხელი ყვრიმალებზე იტაცა და ღაწვებთან აქა-იქ ჭაღარაშერეული წავივით შავი თმა ჩამოიშალა. ის ჩუმად მოთქვამდა, როგორც გლეხის უბრალო დედაკაცი და ძლივს გასაგონად, მხოლოდ თავისთვის ჩურჩულებდა:

— შვილო, შვილო თინათი, საცოდავო, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილო, ძალისძალად დაღუპულო, ღვთისა და კაცისაგან გამეტებულო. ღმერთო და იესო მაცხოვარო, ეს რა დღე მომასწარი, ვისი საჯიჯგნი გამიხადე ჩემი უცოდველი კრავი, ჩემი ანგელოზი, ჩემი დამტირებელი!..

კაცებს გული აუჩუყა დედოფლის მოთქმამ, ამათაც ცრემლი მოერია. თამარის მწუხარება და ვაი-ვიში წრფელი იყო. არც კათალიკოსს და არც გურიელს, თვით დედოფალსაც, არ ეგონა თუ ასე ღრმად უყვარდათ სამადლოდ მეფის კარზე გაზრდილი ხელმოკლე აზნაურის ობოლი ქალი, რომელიც ბედმა მხოლოდ ერთხელ გააბრწყინა და თითქოს უნებლიე შეცდომის გასწორებას ლამობსო, უმალვე ჩააქრო, როგორც ცის დასავლეთზე წუთით გაელვებული კუდიანი ვარსკვლავი. შავი ანაფორის ჩამოგრძელებულ ნაკეცებში

კათალიკოსმა ძლივს იპოვნა ჯიბე, შიგ ჩაკუჭული დოლბანდი ამოაცოცა და თვალებზე მიიდო, ერთხანს მხოლოდ შეგუბებული სლუკუნი ისმოდა, მერე კი მანვე თქვა დაბოხებული ხმით:

— კმარა, დედავ და შვილო, თამარ, ღმერთს ნუ ვცოდავთ. ასეთი იყო, ალბათ, ღვთის ნება და მას ჩვენ, კაცნი, ვერ შევცვლით. ვილოცოთ უბედურების სულის საოხად! ჩვენს თავზე წისქვილის დოლაბი ტრიალებს. წაგვიბილწეს და გაგვიბახეს კიდევ ერთი წმიდა სავანე, სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანე ღვთისადმი ლოცვას აღავლენდა. რვაას წელიწადზე მეტია, რაც ხინოწმინდაში წმიდა ზიარებას იღებდა ჩვენი თვისტომი. დღეს ესეც მოიშალა და გაპარტახდა. ირღვევა ღვთისმშობლის ხვედრი ჩვენი ქვეყანა, მაცხოვრის სამწყსო. ნეტა რა ცოდვა მიგვიძღვის! გლოვა დიახაც გვმართებს, დედავ და შვილო თამარ, მაგრამ სასოს ნუ წარვიკვეთთ. მაღალი და ყოვლის შემძლე ღმერთი მოწყალეა, უნუგეშოდ არ მიგვატოვებს, მის სადიდებელ ეკლესიას ავაზაკთა საბუდარ ქვაბად არ გაგვიხდის. განვიწმინდოთ ცოდვებისაგან მის კალთას გულით მინდობილნი, აღვივსოთ სათნოებითა და ღვთისადმი მორჩილებით, ვინაიდგან ეს და მხოლოდ ეს გვიხსნის ჩვენ ურჯულოთა კირთებისაგან, ვინაიდგან მარტოოდენ ეს აღგვამაღლებს და გაგვიხსნის სამუდამო სასუფევლის კარს...

## თავი მეათე

მამია გურიელმა ფეხად გაასწრო გეგუთიდან მობრუნებულ ლევან აბაშიძეს. მთავრის წასვლის შემდეგ მისი უწმიდესობა კათალიკოსი ბესარიონიც აჩქარდა, გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა და თავისი ამალითურთ უკან, გელათს გაბრუნდა.

კათალიკოსის ვარციხის სასახლეში მოსვლის მიზანი სულ სხვა გახლდათ: მას უნდოდა ეკლესიის მამის განუსაზღვრელი უფლებით ესარგებლა და დედოფალთ დედოფალ თამარისათვის ღვთის ნებისადმი უდრტვინველი მორჩილება ჩაეგონებინა. ბრძენი მოძღვარი ვითომ მოვლენების გარეთ იდგა და სახელმწიფო საქმეებში უშუალოდ არ ერეოდა, მაგრამ მით უფრო ნათლად ხედავდა, რომ გამარჯვების სასწორი დღეს სოლომონისა და რაჭის ერისთავების სისხლით ნათესავ დადიანისაკენ იხრებოდა. რაკი ომის ბედი თავიდანვე ასე შეტრიალდა, ვარციხის მხრივ შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა ჩამოვარდნილ უთანხმოებას კიდევ მეტად გააღრმავებდა და მხოლოდ ამაო სისხლისღვრას გამოიწვევდა.

ძველმა დიპლომატმა და გამოცდილმა კარისკაცმა, კათალიკოსმა ბესარიონმა, რომლის მთელი ცხოვრება ამ დიდსა და მცირე შეხლა-შემოხლებში მიედინებოდა, საქმეში კიდევ უფრო ღრმად შესტოპა და საიდუმლო მიწერ-მოწერა გამართა ოტია დადიანთან. ოდიშის ბატონს ის საქმის უსისხლოდ მოგვარებას თხოვდა. ოტია სიძის, მეფე სოლომონის, უზომო პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდა. საკმაო იყო, გულმოწყალება გამოეჩინა და თავისი მოსისხლე მტრების, აბაშიძეთა სახლის, წინააღმდეგ შურისძიებაზე ხელი აეღო, სოლომონსაც გული საგრძნობლად მოუბრუნდებოდა და შეთანხმების მიღწევაც იქნებ ძნელი აღარ გამხდარიყო.

ოტიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ბესარიონის საიდუმლო წიგნი მან ლევან აბაშიძის ნაკარნახევად მიიღო და ნათესავს მკვახე პასუხი მოსწერა. ბესარიონი სიმტკიცეს იჩენდა და იმედს მაინც არ ჰკარგავდა. მან ერთხელ კი-

დევ მისწერა დადიანს და თავისი შეგონება, როგორც ცათაგან ნაკარნახევი ნება უფლისა, ერთხელ კიდევ გაუმეორა. ოტიამ ამჯერად უფრო გონივრული პასუხი მოიწერა. ლევან აბაშიძეს, თავის მოსისხლე მტერს და ტახტის უპირველეს მოღალატეს, ის ძელზე გასმის ღირსად თვლიდა, იმედსაც გამოთქვამდა, რომ, ღვთის შეწევნით, ამას კიდევაც მიაღწევდა, მხოლოდ მისი ასულის, დედოფალთ-დედოფალ თამარის მიმართ იჩენდა ლმობიერებას და დასძენდა: თუ ღვთივ კურთხეული მეფე სოლომონი ნებას დამრთავს და თვით თამარიც ამის წინააღმდეგი არ იქნება, მზად ვარ, ქვრივი დედოფალი, რომელსაც იმერეთში ამიერიდან აღარ დაედგომება, შინ მივიღო, თავშესაფარი მივცე და მოყვრული მასპინძლობა გავუწიოო.

ამ წიგნის წაკითხვისთანავე კათალიკოსი აიყარა და მცირე ამალით მაშინვე ვარციხისაკენ გამოეშურა, რათა აქ დედოფალს შეხვედროდა და ლევან აბაშიძისა და გიორგი ბატონიშვილის ზურგსუკან საიდუმლო მოლაპარაკება გაემართა.

თუ ბესარიონი სწორუპოვარი სიტყვამჭევრობით თავისას მიაღწევდა და თამარს როგორმე დაითანხმებდა, ეს ამბავი, რასაკვირველია, გახმაურდებოდა და ტახტზე ხელახლა ასული სოლომონიც შესცვლიდა თავის მტრულ დამოკიდებულებას რაჭის ერისთავთა სახლის მიმართ, თუმცა როსტომისა და მამუკა ბატონიშვილის ნაჩქარევი დამძახლება გულში მაინც ხინჯად ჩარჩებოდა და კეთილმეგობრული ღიმილის დროსაც კბილთა ღრჭენას ვერ მოიშლიდა.

მაგრამ კათალიკოსთან შეთანხმება, თამარ დედოფლის მხრივ, მამის აშკარა ღალატს, მტრის ხელში მის ჩაგდებას და ზურგში ხანჯლის ჩაცემას უდრიდა. დათანხმდებოდა ამაზე თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი თამარი? გასწირავდა მშობელ მამას, რომელიც მისი ერთადერთი შემწე და საიმედო დასაყრდენი იყო?

სწორედ ამ უნებლიეთ წამოჭრილმა საჭირბოროტო კითხვებმა დააეჭვა ეკლესიის წმიდა მამა, როცა დამქანცველი გზის გამოვლის შემდეგ ვარციხის სასახლეში შემოვიდა და გურიის მთავარ მამია გურიელის თანდასწრებით დედოფალი თამარი ინახულა.

გურიელმა თითქოს რაღაც იყნოსა, თითქოს მიხვდა, რომ კათალიკოსი დედოფალთან განმარტოებას ესწრაფვოდა და ადგილიდან ფეხი განზრახ არ მოიცვალა. პირიქით, თვით ცდილობდა კათალიკოსი თავიდან მოეშორებინა და დედოფალთან მარტო დარჩენილიყო.

ბოლოსდაბოლოს, ბესარიონი დარწმუნდა, რომ მეტად საშიშ და საეგებიო თამაშში იყო ჩაბმული. თამარს, ამ ვერაგსა და დაუნდობელ, შეუზღუდველ ძალაუფლებაზე დახარბებულ აფთარს, შეეძლო, კათალიკოსის აღსარება და რჩევა-დარიგება დინჯად მოესმინა, თანხმობაც მიეცა, შემდეგ კი შეიარაღებული მცველები მოეხმო და ლევან აბაშიძის მოსვლამდე მისი უწმიდესობა აქ, მეჯლისების დარბაზში, დაპატიმრებული ეყოლიებინა.

ამის უბრალო წარმოდგენამაც კი ბესარიონი ისე შესზარა, ისე შეაძრწუნა და აღაშფოთა, ხელ-ფეხი გაუცივდა და ჟრჟოლამ აიტანა. სულ ცოტა დააკლდა, დედოფალმა და გურიელმა უქეიფობა არ შენიშნეს და კარის აქიმი პაპუჩა აბულაძე ან თეათინელი პატრი ლეონე არ მოაყვანინეს მისი უწმიდესობისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად.

ნაწირვებს ყველა წავიდ-წამოვიდა. მგლოვიარე დედოფალი მარტოდმარტო დარჩა დაცარიელებულ სასახლეში. არგვეთის ბატონის მობრძანება სწორედ ამ დროს აუწყეს. თამარი ზეზე წამოიჭრა, თავს დატეხილი ყველა მწუხარება თითქოს ერთბაშად ჩამოიფერთხა და დედოფლისათვის სავსებით შეუფერებელი სულწასულობით მამის შესახვედრად კარს ეცა.

ლევანი ჯერ ისევ გალავანში იყო, სავაზნე ფალასკებით მკერდგადაჯვარედინებულ ვიღაც უცხო მხედრებს სასწრაფო დავალებას აძლევდა, ხოლო შორიახლო, კარიბჭესა და სასახლის დერეფანს შორის, ქალი ჩაბალახით თავწაკრული ორი მარგველი მოლაშქრე ბატონის სამარ ცხენს წინ და უკან დაატარებდა. ცხენი ოფლში ცურავდა. ლევანი უთუოდ შორიდან მოსულიყო და თავისი საყვარელი ჩალისფერი ულაყი გზაში დაუზოგავად ეჭენებინა.

თამარს ზაფრა გადაეყარა, გულში შუქი ჩაუდგა. ყოველთვის უცნაური სიამაყე და სიხარული შეიპყრობდა ხოლმე, თუნდაც ორი-სამი დღის უნახავ, მონატრებულ მამას ხელახლა რომ დაინახავდა და მიეგებებოდა. ახლაც განებივრებული ბალღივით აფოფინდა, ფრთები გამოესხა.

აივანზე რომ ამოვიდა, არგვეთის დიდი ბატონი წელში გაიმართა, ასულს თვალების ოდნავი დახრით მიესალმა, როგორც პატარაობაში, შუბლზე აკოცა, მერე ისეთივე ათრეული ნაბიჯით, როგორითაც კიბე ამოიარა, იმ განმარტოებული ოთახისაკენ წაუძღვა, სადაც მეფე ალექსანდრეს გარდაცვალების ღამეს თამარმა პაჯი-აჰმადისაგან გამოგზავნილი ავადმოსაგონარი რაყამი წააკითხა.

თამარი უხმოდ გაჰყვა მამას. არც კი გაჰკვირვებია, თავადმა რომ გზა არ დაუთმო და წინ არ გაუშვა. ლევანი თავჩაქინდრული მიდიოდა. ნაბიჯებს ისე მძიმედ ადგამდა, იფიქრებდი, მთელი ქვეყნიერების ტვირთი განგებას მარტო ამ ერთი კაცის მხრებზე დაუხვავებიაო. ლევანს აშკარად უჭირდა წამოკიდებული ტვირთის ზიდვა. უკვე მოხუცებული იყო, ჯანი და ოდესღაც გაუტეხელი ნებისყოფა ძველებურად აღარ მოსდევდა.

თამარს გული სიბრალულით აევსო. ეცოდებოდა თავისი მაშვრალი, მოუსვენარი, მუდამ საქმესა და საზრუნავში გართული მამა. ნეტავი როდის უნდა დაისვენოს ამ საბრალომო, რამდენჯერ გულისკანკალით უფიქრია და მთელი არსება მამისადმი თანაგრძნობით ავსებია. ახლა მამა ორწილ მოდალული, გაწამებული და, რაც ყველაზე უფრო შემაწუხებლად და თავზარის დამცემად მიაჩნდა, დაბერებული ეჩვენა. სიკვდილის შავი ფრინველი ლევანს თითქოს მხარზე აჯდა და ძარღვებში სისხლის გამყინავი ხმით დასჩხაოდა.

„ნეტავი რა ამბავი მომიტანა? — ფიქრობდა ჩქარი სიარულისაგან და ციცაბო კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლისაგან სუნთქვამოხშირებული თამარი და პირქუში სასახლის ბნელ დერეფნებში მამას გულაჩუყებული მისდევდა. — რამ დაადუმა ასე? დანა პირს არ უხსნის! ნუთუ ყველაფერი უკვე გათავდა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საზიარებლად სვიმონ მღვდელს მოვუხმოთ და ერთმანეთს გამოვეთხოვოთ? ღმერთო, შეაჩვენე ტახტიცა და მისი მომგონიც, სამუდამო ჯოჯოხეთში დაუდე ბინა, ვინც ეს სატანჯველი გაგვიჩინა და ორი დღის წუთისოფელი შხამად და სამსალად გვიქცია!“

ლევანი ხმის ამოღებას არა ჩქარობდა. პატარა ოთახში რომ შევიდნენ, სადაც მამა-შვილს შეუმჩნევლად ყურს ვერავინ დაუგდებდა, და დედოფალმა კარი ურდულით დაკეტა, მოხუცებული თავადი ბაღჩის მხარეს გამავალ ვიწრო სარკმელთან შეჩერდა, ტყვიასავით დამძიმებული გრძელი ხელები გულზე დაიჭდო და ერთხანს აგრე უმიზნოდ გაშტერებული იდგა. სარკმელში ნაყოფით დამძიმებული ლეღვის ხე მოჩანდა. დიდრონ-დიდრონი ლეღვები სიმწიფისაგან დამსკდარიყვნენ. ბევრი კიდევაც ჩამოცვენილიყო და მწვანეზე შავი ნაბადივით ეფინა. „აღარავინ არის ამის მუშტარი, — გაუელვა ლევანს. — ლეღვის მოსაკრეფად ვეღარავინ მოიცალა!“ თამარი თრთოდა. არასოდეს არ ენახა მამა ასე მწარედ დაფიქრებული და უიმედობაში ჩავარდნილი. ბოლოს ისევ მან გაბედა გულის შემაღონებელი მყუდროების

დარღვევა, ლევანს წინ დაუდგა, თვალებში შეაცქერდა და ჩურჩულით ჰკითხა:

— მართალია?

ლევანმა თვალი გაუსწორა სათაყვანებელ ასულს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იმერთა მეფის გამუდმებული მოურჩილების სანდო იარაღად ჰყავდა მუდამ მტრისაგან დაჯაბნილ ამ ბეჩავ სასახლეში, ისევ აარიდა და თავი ოდნავ დაუქნია.

თამარმა უმწეოდ, თითქმის ბავშვური გულუბრყვილობით ჰკითხა:

— მერე რა ვქნათ? რა გვეშველება?

ლევანმა, თითქოს ახლა შეამჩნიაო, შვილს ზემოდან დაჰხედა და მოკუმული ტუჩები ანამყოლ გააპო:

— თვად შენ მიპასუხე: რა უნდა გვეშველოს?

თამარი აილეწა, თმის ძირებამდე გაწითლდა. ამ საზარელ კითხვაზე პასუხის გასაცემად ის მზად არ იყო და არც მოელოდა, თუ ბრძოლის ველიდან სასახლეში მოსული მამა ამგვარ რასმე შეეკითხებოდა. პასუხის გაუცემლობა მაინც არ ივარგებსო, გაიფიქრა და შეეცადა, მამისათვის ის მიეგო, რასაც ეს ძლიერი, ჯერ კიდევ ჭკუითა და გონებით სავსე ბერიკაცი თავისი ასულისაგან მოელოდა:

— მტერს მტრულად უნდა დავხვდეთ, ბატონო მამა, ეს ხომ პირველი არ არის...

— სწორია, პირველი არ არის, — მშვიდად დაეთანხმა ლევანი, ჭაღარა თავი უკან გადასწია და წინ წამოქანებულ მოკუთხულ ნიკაპს მარცხენა ხელი შეუყენა. — პირველი არ არის, მაგრამ შეიძლება უკანასკნელი იქნეს.

— მამა, საყვარელო, აქ იმისთვის მობრძანდი, რომ გული გამიხეთქო? მეგონა მანუგეშებდი, გაჭირვებას გამიადვილებდი...

ლევანს აშკარად აღიზიანებდა შვილის უსაგნო და ზერელე სიტყვები, უბრალო მამაკაცური თავაზიანობა ნებას არ აძლევდა ეს თამარისათვის შეემჩნევინებინა, არა და თავის შეკავებაც უჭირდა.

— ჩაიცვი, მოემზადე, ასე ვიდგეთ? — ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, შუბივით აძგერა მან ქალს.

— რას მაჩქარებ? — თამარი გაფითრდა, სახეზე ქაღალდის ფერი დაედო. — სად უნდა წავიდეთ?

— სად! — თავადმა ყელზე მოწოლილ ბოღმას ვეღარ გაუძლო და ეს ერთი მოკლე სიტყვა ხმამაღლა წამოსცდა. ეს ხმა ისე გაისმა, თითქოს ოთახში თოფი დაეცალოთ. — სვერის ციხეში, სხვაგან სად წახვალ, ვინ მოგცა სხვა გზა!

— ციხეში რა გვინდა, მამა, გამაგებინე! რატომ მიყვირი? ნუ გავიწყდება, მე არც ყმა ვარ შენი და არც ტყვე.

— მე ყველაფერი მახსოვს, თამარ, — ზიზღმა და გაბოროტებამ ლევანს სახე დაუმახინჯა. — მადლობა ღმერთს, ჯერ გონი შემრჩა. დრო ნუ მაკარგვინებ. აქ შენს წასაყვანად და ხაზინის წასაღებად მოვედი. მიხვდი? თუ მოდიხარ, მითხარი და გაინძერი, თუ არადა, აგერ სასახლე და აგერ შენ!

— მაკვირვებ, ბატონო მამა, უძლეველი არგვეთის ბატონი ისე შეშინდი, გინდა, ცხვირმოუხოცელ მტერს ზურგი უჩვენო?

ლევანი გაცოფდა, თვალებიდან ნაპერწკლები წამოჰყარა. შვილის სიტყვები მისთვის დამწვარზე მდუღარის გადასხმა იყო და ტკივილისაგან კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა.

თამარი მიხვდა, ლევანის გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა და იმის საჩვენებლად, რომ თვით მშვიდად იყო, მტრის მოახლოებას აინუნშიაც არ აგდებდა, მამას ჰკითხა:

— სად არის გიორგი ბატონიშვილი?

— მე მეკითხები, სად არის? — ახლა კი ამოიღო ხმა ლევან აბაშიძემ და შვილს პირგამეხებულმა შეუტია. — იქ არის, სადაც გაგზავნე! ოტიას ეომება, სამეგრელოში მეგრელებს აწიოკებს!

თამარს ისევ ეცვალა ფერი.

— მე გავგზავნე, ბატონო მამა? ნუთუ ყველაფერი ჩემი ბრალია?

— დანარჩენს სვერის ციხეში გეტყვი, თუ ღმერთმა ინება და იქამდე სული მივიტანე. ახლა მსახურებს მოუხმე, ვინც უფრო სანდო და ერთგული გყავს, და ბარგი შეკარი. ძირს რაზმი გელოდება. სვერის ციხეში მიგიყვანენ.

— შენ სად მიდიხარ, მამა?

— ჯარს მივხედავ. იქნება ი ვაჟბატონების მოწოლა შევაჩერო და შენ არგვეთისაკენ გზა მოგცე.

— აგრეა უკვე საქმე? ღმერთო, შენ გვიშველე! მამია გურიელი ყვირილაზე ჩავგზავნე...

ლევანი მოლბა.

— კარგად მოქცეულხარ, — თქვა ოდნავ შემრიგებლურად. — თუ არ გვიღალატა... ახლა ყველას გაქცევაზე და ღალატზე უჭირავს თვალი. ხალხში დადიანის კაცები დაძვრებიან, ჩუმ-ჩუმად სოლომონის ერთგულებაზე აფიცებენ. ვაი, ჩემი გაჩენის საათო! კაცს დედა ჰყავდა და დედინაცვალს იფიცებდაო, სწორედ ამაზე არ არის ნათქვამი?

— მამიას რამდენი კაცი ჰყავს?

— დაბერდა და ჭკუა სულ გამოელია მაგ უბედურს! სამი ათასი კაცი წამოუყვანია. ხომ გახსოვს, ოთხს გვპირდებოდა. ამისთანა მეორედმოსვლის დროს სამი ათასი კაცი, ისიც ნახევარზე მეტი ქვეითი, გინდა გყოლია და გინდა არა. მეგრელები გაშმაგებული არიან. კაციშვილს არ ზოგავენ. ვიღაცა ჩემი ცოდვით სავსეს ამბავი ამოუტანია, გიორგი ბატონიშვილმა ოდიში აიკლო დაქირავებული ლეკებით და ყაბარდოელებითო. ისინიც ჩეხენ და კაფავენ, რაც ხელში მოხვდებათ. შენს დიდებულ შვილსაც ეს უნდა. ხომ აისრულა საწადელი!

თამარს სილასავით მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვები. ემწარა. ანაზდად, როგორც წეღან, შვილის გამოსარჩლება დააპირა, მაგრამ ამბოხებული გული როგორღაც დაიოკა და მამას კვლავ ჰკითხა:

— ახლა რა გადაგიწყვეტია?

— გოდოგნის ჭალაზე დავხვდები და, რაც მოსახდენია, მოხდეს. ამასობაში იქნება იმ შენმა ბატიტვინა მაზლმაც მომისწროს და თავისი ჯარი მომაშველოს. თუმცა ჯარი სადღა ეყოლება, თავად კი ცოცხალი დაუსხლტება ოტიას მდევრებს?

— ხომ შეატყობინე?

— წუხელ, ნაშუაღამევს, ვაფრინე მალემსრბოლები. ახლა, ჩემი შეტყობით, მისული იქნებიან.

— მამა, — ოდნავ შეცვლილი ხმით თქვა თამარ დედოფალმა და ლევანს ხელზე ორივე ხელი დაადო. — შვილი არ მოპკლა. თავს აღარ ვიცოცხლებ, იცოდე!

— სწორედ უცნაურ პირობას მთხოვ, — ლევან აბაშიძემ კარავივით გადმოხურული ჭაღარა წარბები აძგიბა და ცალყბად გაიღიმა. — ომში მოქნეული ვინ მოზომა! შენ გგონია, ის კი დამინდობს? ჩემ ხორცს შეჭამს, ხელში თუ სადმე ჩავუვარდი. სიმამრს ხომ უნდა ასიამოვნოს, ერთგულება ხომ უნდა დაუმტკიცოს!..

თამარმა შუბლი შეიკრა, ლევანს თვალი თვალში გაუყარა:

— მე არ გთხოვ, მამა, მე გიბრძანებ: შვილი არ მომიკლა, იცოდე!

— იქნება ის მკლავს, ბატონო, რატომ დაგიჩემებია, რომ მაინცდამაინც მე მოვკლავ?

— მოსვენება დამეკარგა, მამა, ხომ იცი, დედას ვერაფერს გამოაპარებ. მაკმარე, რაც უკვე ჩამადენინე, დაწყნარდი ახლა, დაოკდი, ვეღარ გაძღა შენი ხარბი გული?

ლევან აბაშიძემ შვილს მკერდში ჩახუტებული ხელი გამოჰგლიჯა, დაჭრილი ნადირივით რაღაც შეჰღმუვლა და ოთახში მოწყვეტილი ლაწანი გაისმა. დედოფალს მუხლები მოეკვეთა, თავი გვერდზე გადაუვარდა და ტანის მთელი სიმძიმით უთუოდ იატაკს დაენარცხებოდა, გონზე მოსულ მამას უცებ ორივე ღონიერი ხელი რომ არ ეტაცა და გრძნობადაკარგული ქალი

გულზე არ მიეხუტებინა. ლევანს ჯერ კიდევ უხურდა მარჯვენა ხელისგული, რომლითაც თავის მწუხარებისაგან ჭკუაზე გადასულ შვილს გამეტებული სილა გაარტყა და კადნიერი სიტყვა პირზე შეაყინა.

თამარი მთლად გაცივდა.

„ვაიმე, მოვკალი შვილი! ვინა ხართ კაცი ქრისტიანი, შემოდით, მომეშველეთ!“ — დაიხავლა თავზარდაცემულმა ლევანმა, მაგრამ ეს ხმა ლევანის მეტს არავის გაუგონია.

— თამარ! თამარ! — ორჯერ ზედიზედ ჩასძახა ქალს და შეანჯღრია. — თამარ, შვილო, მე ვარ, უბედური მამაშენი, ლევანი. ვაი, გაქრა ჩემი გაჩენის დღე!..

დედოფალს ტუჩები გაულურჯდა, ყვრიმალები ჩაულილავდა, სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა. უილაჯობისაგან დაბნეულმა ლევანმა გონწართმეული ქალი იატაკზე დაასვენა და ოთახს თვალი მოავლო, იქნებ ერთი ცვარი წყალი იდგეს სადმე. წყლის სურის მაგიერ კედელზე ჩამოშვებული აბრეშუმის ზონარი დაინახა, მსწრაფლ იმას მივარდა, ორჯერ თუ სამჯერ ჩამოჰკრა და ისევ თამართან გაჩნდა. კარზე ბრახუნი ასტეხეს. ლევანმა მოიხედა და გაახსენდა, რომ კარი ისევ ჩაკეტილი იყო და ურდულის გასაწევად წამოდგა. მერე ოთახში დედოფლის მოახლე ხვაშაქი და პირისფარეში გოგოები შემოცვივდნენ, შემოჯგრიალდნენ და დაფეთებულებმა უმალ იატაკზე გულაღმა მწოლარე თამარს მიაშურეს. ერთმა ორმა კიდევაც შეიცხადა და სახეში ხელები წაიშინა.

დედოფალი მკვდარი თუ ეგონა. ეს გასაკვირიც არ იყო. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა და რაც დღეს თუ ხვალ მოელოდა, თამარს შეეძლო საწამლავი დაელია და ამ გაძაღლებულ სიცოცხლეს საკუთარი ნებით გამოსალმებოდა.

ლევანმა თავი დაიხსნა, სრულიად დამშვიდებული გამომეტყველება მიიღო, გულხელდაჭდობილი სარკმლისაკენ მიტრიალდა და ყურადღება, რომ როგორმე სხვა რამეზე გადაეტანა, ტოტებგაბარდნილ ლეღვის ხეს დააცქერდა.

პირისფარეშ გოგოებს ხვაშაქმა დედოფლის ადგილიდან დაძვრის ნება არ მისცა, არც აქიმი დააძახებინა. „ჭკუის კოლოფია! — ფიქრობდა ლევანი და გლეხის ამ უბრალო დედაკაცის მიმართ ენით გამოუთქმელ მადლიერებას გრძნობდა. — იცის, სად და როგორ უნდა მოიქცეს!..“

მალე ოთახში წამლების სუნი დადგა. ლევანს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, როდის მოიხედავდა და თვალებგახელილ და ძველებურად სალსალამათ თამარს როდის დაინახავდა, მაგრამ არ უნდოდა მდაბიო ქალების, უფრო კი ყოვლის მცოდნე და ბატონების ყველა საიდუმლოებაში გარეული ხვაშაქის ყურადღება მიექცია, თავს ისევ იკავებდა და არამცთუ მარტო სახით, თვით იმითაც, როგორ იდგა, გულგრილ გამომეტყველებას ინარჩუნებდა.

ლევანი ახლა იმასღა ფიქრობდა, რა გზით შემოერიგებინა თამარი, რით და რანაირად გამოესყიდა უპატიებელი დანაშაული, რომელიც ეს იყო ჩაიდინა, ჩაიდინა თავისდა უნებურად, უცაბედად, წინასწარი განსჯისა და განზრახვის გარეშე. გარემოებას ასე თუ ისე ის ამსუბუქებდა, რომ მამა და შვილი ოთახში მარტო იყვნენ და ეს სირცხვილი, არგვეთის ბატონს სიბერის ჟამს რომ შეემთხვა, მათ მეტს არავის გაუგია.

ლევანს კარზე ატეხილი ბრახუნი მოაგონდა. ეს ბრახუნი თითქმის მაშინვე შემოესმა, როგორც კი მან აბრეშუმის ზონარი ჩამოსწია და ტალანში ზარი დაირეკა. მაშ, თუ ასეა, ჭორის ბუდე მოახლეები სადღაც ახლოს იყვნენ მიყუჟული, ანდა სულაც კარს უკან იმალებოდნენ და ყველაფერს, რაც ოთახში მოხდა, თავისი ყურით გაიგონებდნენ. ამას გარდა, თამარსაც უთუოდ აჩნდა მამის მწარე ხელის ნაკვალევი: შეურაცხყოფისაგან თავგზააბნეულმა

ლევანმა ვერ მოზომა და ქალს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაარტყა...

ასულის დამდურებით, თუნდ გადამტერებით, არგვეთის ბატონი ჯერჯერობით არაფერს ჰკარგავდა. ძალაუფლებაგმოცლილ თამარს მამის საქმეების მოკვარახჭინება ძველებურად უკვე აღარ შეეძლო. ქალის აქ, სასახლეში, დატოვება, იმ იმედით, შვილი მოსაკლავად არ გაიმეტებს და განდგომას დიდსულოვნად შეუნდობსო, მაინც არ შეიძლებოდა: სოლომონი, აფხაზ-ოდიშართა დიდძალი ჯარით აქეთ რომ მოდიოდა და თავის გზაზე ქვას ქვაზე აღარ სტოვებდა, ლევან აბაშიძის ღვიძლი შვილიშვილი იყო და მტერზე ჯავრის ამოყრის დაუცხრომელ წყურვილს და სისასტიკეს, რაღა თქმა უნდა, ბაბუასაგან მემკვიდრეობით მიიღებდა.

მაგრამ ამ ენაჭარტალა მოახლეებისათვის რა ექნა? თამარს კიდევაც რომ ეპატიებინა და მამას შერიგებოდა, ესენი ენას მაინც არ დაიმოკლებდნენ და ქვეყანას შეუყრიდნენ. ლევანს სხვებზე მეტად ამ ჯოჯოხეთის მაშხალა ხვაშაქის ჯავრი სჭირდა. ხვაშაქისათვის ჯერ თინათის გაპარებაც ვერ ეპატიებინა, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ეს თვით თამარის ჩაურევლად როდი მომხდარა. ლევანს რაღაც ამის მსგავსი ახსოვდა, ახსოვდა, რომ ერთადერთი ძაფი, რითაც ჯერ კიდევ სუსტი, ძალამოუკრები შვილიშვილის შეპყრობა და თავის ჭკუაზე მოქცევა შეეძლო, ხელიდან გაუსხლტა. ვერასოდეს ვერ მოიცალა და ეს ჯოჯოხეთის მოციქული, ხვაშაქი, ყველა საქმეში რომ არამკითხე ცხვირს ჰყოფდა და პატრონებისაგან გათამამებული არავის არაფრად აგდებდა, აქაურობას ვერ მოაშორა. დღეს დაჰკრა ხვაშაქის განკითხვის დღემაც. განა სულ ერთი არ არის, სად ჩაყრის თავის აშმორებულ ბებერ ძვლებს? ბარაქალა, თამარ, ყოველ ცისმარე დღე ამ ქამის დანახვას მოთმინება და გაძლება არ უნდა?

ლევანმა სარკმელი გამოაღო და ეზოში გადაიხედა. სარკმლიდან კარგად ჩანდა ხშირ მუხნარში გამავალი საქარავნო გზის იქითა კიდე, რომელიც ქვითკირის მაღალ გალავანს მიჰყვებოდა, ჩანდა კარიბჭის გოდოლიც, რომელზედაც ყოველგვარი მოულოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ლევან აბაშიძეს თოფებითა და ზამბულაკებით შეიარაღებული მარგველი მზირები ეყენა.

გოდოლიდან წამსვე შენიშნეს ბატონის ჭაღარა თავი, სარკმელში რომ გამოჩნდა, და ძირს, სასახლის ეზოში დაბანაკებულ მხედრებს მზირებმა რაღაც ჩასძახეს. ამის შემდეგ ორ წუთსაც არ გაუვლია, ტალანში ფეხების მოურიდებელი ბრაგაბრუგი ატყდა და ოთახში თოფ-იარაღში ჩამჯდარი მარგველი მოლაშქრეები შემოცვივდნენ. ლევანი ისევ გულხელდაჭდობილი იდგა და სარკმელში იყურებოდა, თითქოს ეს ამბავი მას სავსებით არ ეხებაო. ის არც მაშინ განძრეულა და მობრუნებულა, როცა მოლაშქრეების ფეხისხმა გაიგონა და არც მაშინ, როცა ისინი ოთახში შემოცვივდნენ და ბატონის ბრძანების მომლოდინენი კარს იქით და აქეთ დადგნენ.

დედოფლის მოსულიერებაში გართულმა პირისფარეშმა გოგოებმა გვიან შენიშნეს აქ კაცების შემოცვენა, კივილი ატეხეს და ქორისაგან დაფეთებული წიწილებივით ერთმანეთს მიაწყდნენ.

დედოფალი უკვე გონზე იყო. თვალებიც გამოახილა და ერთი ყლუპი წყალი მოსვა. ლევანს სწორედ ამან გააბედვინა ახალი გადაწყვეტილების მიღება და შესრულებაც აღარ დაუყოვნებია.

— ხელები შეუკარით ამ კახპებს და ეზოში ჩარეკეთ! — თავის მოუბრუნებლად უბრძანა მოსულთ ლევან აბაშიძემ და სარკმელს მათრახის ტარი უბიძგა, ჯახუნით მიხურა. — ჩუმად! — დასძინა შემდეგ ქალების გასაგონად. — ვისაც სიცოცხლე არ მოყირჭებია, კივილი არავინ გამაგონოს!

ამ სიტყვებით, თითქოს თავისი ქვე-

შევრდომების გულმოდგინება უნდა შეამოწმოსო, ლევანი შემოტრიალდა და კარგა ხანს ხმის ამოუღებლივ უყურებდა, როგორ დაეტაკნენ ალგზნებული და დიაცის სიახლოვეს დანატრებული ახალგაზრდა მოლაშქრენი სასახლეში ნაპატივებ ათქვირებულ გოგოებს და თოკების წასაჭერად ბლარძუნ-ბლარძუნში ხელები როგორ გადაუგრიხეს. ერთადერთი ხვაშაქი იყო, ვისაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ყვავის კლანჭებივით გაშავებული ორივე გამხმარი ხელი მან წინ გაიწვდინა და მოთმინებით ელოდა, თოკის მარყუჟს ზედ როდის წამოაცმევდნენ. დედაბერს ზედაც არავინ შეხედა. ხვაშაქი გვერდზე მიაგდეს. ხელებგაკოჭილი და აზიაქებული პირისფარეში გოგოები რომ გარეთ გაჰყავდათ და ტალანში ჯიკავ-ჯიკავით მიაძუნძულებდნენ, ის აღარც კი გახსენებიათ.

ლევან აბაშიძემ ხელი ჩაიქნია.

— გადი, რას მიყურებ! — დაუღრიალა მან ქალს და მათრახის ტარით კარზე უჩვენა. — ცხენის კუდზე გამობმა ხომ არ მოგენატრა? შენ სხვა საქმეში რა გამოსადეგი ხარ! დედოფალს ბარგი ჩაულაგე, ხომ ხედავ, მივდივართ!

— არა, მამა, — თამარმა თავს ძალა დაატანა, წამოიწია, ხალიჩაგადაფარებულ ტახტს, რომელზედაც რამდენიმე წუთის წინ იმ უბედურმა პირისფარეშებმა დააწვინეს, აკანკალებული ხელებით დაეყრდნო და წამოჯდა. — შენ წაბრძანდი, მე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. რაღა დროს ჩემი აქეთ-იქით წოწიალია. თუ სიკვდილი მიწერია, მიჯობს აქვე მოვკვდე.

ლევანს თავი სიზმარში ეგონა. აზვირთებული მრისხანება ერთბაშად დაუცხრა, ღია კარში ჯიუტად გახერილი ხვაშაქიც მიავიწყდა, ერთი ნახტომით ტახტთან გაჩნდა და ასულის წინ მუხლებზე დაემხო.

— მაპატიე, შვილო თამარ, შემინდე, მამაშვილობას, სიბერეს ნუ გამიმწარებ. შენა ხარ ჩემი ერთადერთი ნუგეში და სალოცავი ხატი. გასკდა გული, აღარ შემიძლია, თავს ველარ ვერევი. ახლა ნუ შეჯდები ჯორზე, დედის სულს გაფიცებ. თუ არადა აგერ შენს თვალწინ მოვიკლავ თავს! სასახლეში ვერ დაგტოვებ, იცოდე. სვერის ციხე მიუვალია. თუ ღმერთი გაწყრა და მტერი აქ შემოგვეჭრა, — ლევანმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, — სვერის ციხეში ერთხანს გავმაგრდებით, მერე ღონეს მოვიკრებ და ან ასე შემოვუვლი ჩვენს წამხდარ საქმეს, ან ისე.

— მე ვერ წამოვალ, მამა, ხომ გითხარი. მგზავრობასაც ვერ გადავიტან. ბოლო დროს სულ დავსუსტდი, ღამღამობით არ მძინავს, აგერ ხვაშაქია მოწმე. თავის ტკივილებმაც ძალიან მომიმატა. ახლა გიყურებ და სამად მეჩვენები.

— შენი ჭირიმე, თამარ, შვილო, — არგვეთის ზვიადი ბატონი ბეჭებში მოიხარა და თავის დამამცირებელ მუდარაზე გადავიდა. მას არამც და არამც არ უნდოდა მარტო დარჩენილიყო. სასახლეში თამარის დატოვებით ლევანი სოლომონის ხელებზე დასადებ ბორკილებს ჰკარგავდა, ეს კი სანახევრო დამარცხება იქნებოდა. — ნუ გამატან შენს ჯავრს, — განაგრძო მან თავის დამამცირებელი მუდარა. — ვიცი, აქ ფათერაკს შეგამთხვევენ და მე შორს გეყოლები, ვერ გიშველი!

დედოფალმა ისევ გადაჭრით იუარა.

— არა, მამა, — თქვა მისუსტებული ხმით და ლაწვზე ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი მჯიღით შეიმშრალა. — მაგის ჯავრი ნუ გაქვს. სოლომონი მე ვერაფერს გამიბედავს. ბოლოსდაბოლოს, ღვიძლი შვილია ჩემი, მე ვშობე!

ლევანმა უკან გადაიწია, აიმრიზა, ამგვარ გაჯიუტებას და მისი სიტყვების არად ჩაგდებას თვით გვირგვინოსანი ასულისგანაც კი არ მოელოდა. მაგრამ ეს მხოლოდ სიჯიუტე იყო? არა! თამარს, ლევანის აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი და აქამდე გულში ღრმად ჩამარხული განზრახვა წამოსცდა: მო-

მაკვდინებელ განსაცდელში ჩავარდნილი მშობელი, მამის უჩუმრად, შვილთან ფარულ შეთანხმებას აპირებდა. იქნებ ოტია დადიანთანაც გააბა დანაშაულებრივი კავშირი? ამ მოსალოდნელ მზაკვრობაზე ლევანი ადრეც ფიქრობდა და სიფრთხილის თადარიგსაც იჭერდა — დედოფალს თვალს ადევნებდა, მის კაცებს მხედველობის არიდან არ უშვებდა. ის კი არ იცოდა, რომ თამარის გასაკეთებელი საქმე მისმა უწმიდესობამ, კათალიკოსმა ბესარიონმა, გააკეთა და ციხე იქ გატყდა, სადაც ყველაზე ნაკლებ სავარაუდებელი იყო. თამარი, როგორც ლევანი ამჩნევდა, მტკიცედ ადგა თავის ძველ გზას, სოლომონის შემორიგებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, ვინაიდან ეს ქვეყნისა და სამეფო ტახტის გადარჩენის ერთადერთ უტყუარ გზად მიაჩნდა. ამავე აზრისა იყო თვით ლევანიც, რომელსაც სამეფოს ბედზე ფიქრის დროს არც თავისი პირადი გამორჩენა და წინ წამოჩინება ავიწყდებოდა. აგარიანთა სამტროდ გადაკიდება, მისთვის იმ სავალდებულო ხარკისა და ტყვე გოგობიჭების გაგზავნის შეწყვეტა, რაც სოლომონს მიზნად დაესახა, იმერეთს ძირფესვიანად მოთხრიდა. განრისხებული სულთანი ამ პაწაწინა ქვეყანას სულის ერთი შებერვით გააქრობდა და განაპირა ვილაიეთად აქცევდა. ასულის მყარმა და სწორმა შეხედულებებმა ლევანი თანდათანობით დაამშვიდა და სიფრთხილე მოუდუნა, მაგრამ დღეს, გადამწყვეტ წუთებში, როცა ძალა სოლომონის მხარეზე გადაიხარა, თამარმა მერყეობა დაიწყო. ჯერ იყო და, საომრად აღჭურვილ მამას მტრად მოკიდებული ვაჟიშვილის ხელშეუხებლობა სთხოვა, მერე ესეც არ აკმარა და შეურაცხყოფა მიაყენა, — ბოლოს კი ავადმყოფობა მოიმიზეზა, გახიზნვაზე უარი უთხრა და სასახლეში დარჩენა მოიწადინა.

ნეტა რის იმედით?

ლევანი თვალნათლივ ხედავდა, რომ მის გარეშემო რკინის ბადეს ქსოვდნენ, რომელიც დღეს თუ ხვალ თავზე ჩამოეცმებოდა და ბრძოლის ველზე მარტოდმარტო დარჩენილსა და ყველასაგან განაპირებულს ხელ-ფეხს შეუბორკავდა. ეს მან თვალნათლივ დაინახა შვილის უარში, მაგრამ ისიც ცხადად იგრძნო, რომ უდროო დროს თავისი თავი არ უნდა გაემჟღავნებინა, თამარს მხოლოდ მზრუნველ მამად და ასულის კეთილდღეობისათვის გადაგებულ მშობლად მოსჩვენებოდა.

ამ მიზნით ლევანმა კილო შეიცვალა, დედოფალს ტახტზე ჩამოუჯდა და მთელი მჭევრმეტყველება და დარწმუნების ძალა მოიხმარა.

მამის თათბირს თამარმა დიდხანს ვერ გაუძლო. ლევანი სულ ახალ და ახალ საბუთებს იშველიებდა და ასულს თავისი მოსაზრებების სისწორესა და გონივრულობას უმტკიცებდა. ბოლოს დედოფალი მიხვდა, რომ შვილის უარისაგან გაშმაგებული ლევანი მშვიდობიან შეგონებას არ დასჯერდებოდა და უკანასკნელ წუთს, როცა დაინახავდა, სხვა არაფერი არა სჭრისო, უხეშ ძალდატანებას მიმართავდა. თამარმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა: გატყდა და ბატონ მამას ნება დართო, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიაჩნდა.

## თავი მეთერთმეტე

ვიდრე სასახლის შინამოსამსახურეები სახიზარში წასაღებ ბარგს და სამეფო კარის ძვირფასეულობას თავს მოუყრიდნენ და საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის შეჭედილ დიდრონ ყუთებსა, სკივრებსა და მაფრაშებში მოათავსებდნენ, ლევან აბაშიძემ, რომელიც დღეს აქაურობის ერთადერთი ბატონპატრონი და განმგებელი იყო, თავისი ყმები, კახნიაურის ბოლოზე მზირებად

ნამყოფი ათისთავი ასკია აბესაძე და მახარობელა გუნცაძე მოაყვანინა და იმ ღამის ამბები წვრილად გამოჰკითხა.

ასკიასა და მახარობელას სახეზე კაციშვილის ფერი აღარ ედოთ. სასახლეში ლევანისა და მისი ამალის გამოჩენისთანავე გადაულაპარაკეს ერთმანეთს, ღმერთო მაღალო, დაგვიფარე, მოვიდა ჩვენი სულთამხუთავიო, და აქამდე გულისკანკალით ელოდნენ, ბატონი მათთვის როდის მოიცლიდა. ორივესათვის გასაოცრად, ლევანი ერთობ დაწყნარებული და თითქმის მოწყალედაც კი დაუხვდათ. მეფის სასახლეში თავი ისე ეჭირა, თითქოს შინ, კაცხში ყოფილიყოს. ყმებს ეს, რასაკვირველია, არ გაჰკვირვებიათ, უფრო ის უკვირდათ, ღვთის წყალობით აქ ყველაფერი ამ კურთხეულის ხელშია, რატომ არ ადგება და ბაბუამისის, დიდი გიორგი აბაშიძის მსგავსად, თავს იმერთა მეფედ არ გამოაცხადებსო.

მამისა და ოდიშარი მეკობრეების თავდასხმას როგორღაც გადარჩენილი მზირების საუბარს თამარიც დაესწრო. ბარგის ჩალაგებისა და სამეფო ხაზინის გახიზვნის მეთვალყურეობა მან საკუთარ სახლთუხუცესს მიანდო და, თუმცა თავს ისევ შეუძლოდ გრძნობდა, ლევანთან და ყმაგლეხებთან ერთად მეჯლისების დარბაზში ჩაიკეტა. ვინ უწყის, იქნებ აქ დღეს უკანასკნელადაც იყო? მოუხდებოდა კი სხვა დროს აქ მოსვლა და ყმაწვილქალობიდანვე შეჩვეული, ნაცნობი, განუყრელი ნივთების ხელის შევლება?

ასკიამ და მახარობელამ, მეტადრე მახარობელამ, ტყუილი ფიცითა და მტკიცებით გული მოიჯერეს. ერთმაც და მეორემაც ღამის ამბები, ჯიხურზე ოტიას კაცების მუხანათური დაცემა და ხელჩართული ბრძოლა, რომლის მსგავსი იმ ღამეს კახნიაურის ბოლოზე არაფერი მომხდარა, ისე დამაჯერებლად აღწერეს, რომ მათი უვნებლად გადარჩენა და სამშვიდობოს გამოსვლა თითქმის წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ბედად, ამ ამბის ცოცხალი მოწმე სხვა არავინ იყო. ასკია და მახარობელა მაინც შიშობდნენ, ვაითუ ბატონმა ყველაფერი დაწვრილებით იცის და ახლა ჩვენ განგებ გვალაპარაკებსო. ერთხელ თუ ორჯერ ბუნებით გულმართალი და ალალი ასკია აბესაძე სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. გაიფიქრა, ჩემი კეთილისმყოფელი, დამსახლებელი და ამშენებელი ბატონის მოტყუებას ღმერთი არ მაპატიებსო, მაგრამ თავის დაძვრენის სურვილმა და ამხანაგისათვის მიცემულმა პატიოსანმა სიტყვამ ნათქვამისაგან გადახვევის ნება არ მისცა.

ლევანს არ შეუწყვეტინებია. მის გამჭრიახ თვალსა და მახვილ ყურს აბა ვინ რას გამოაპარებდა! ლევანზე უკეთ ვის შეეძლო გამოეცნო, ამისთანა დროს სად რა და როგორ ხდებოდა ხოლმე. ყოფილ მზირებს მაინც არ გასწყრომია, ისიც არ უგრძნობინებია, თქვენი მონაყოლიდან ნახევარიც არა მჯერაო, ამბის მოტანისა და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, ასე გასინჯეთ, მადლობაც კი უთხრა.

თუ დავიღუპეთ, ახლა დავიღუპეთო, ერთსა და იმავე დროს გაიფიქრეს ასკიამ და მახარობელამ. ორივეს მოეჩვენა, რომ ეს მადლობა ბატონმა დაცინვით თქვა და წუთის შემდეგ საცოდავების თვალების დასათხრელად ან თათარში გასაყიდად წაყვანას ბრძანებდა. ეს მოლოდინი როგორღაც არ გამართლდა. ლევან აბაშიძე თავის მწარე საფიქრალს მისცემოდა და ცრუპენტელა ყმების დასასჯელად, უფრო კი მათი საქმის გამოსაძიებლად, უკვე აღარ ეცალა. ამას გარდა, ხალხი სანთლით საძებარი ჰყავდა და ერთგულს რისთვის გაიორგულებდა.

ასკია აბესაძე და მახარობელა გუნცაძე ჯერ კიდევ არ დაეთხოვათ, როცა კარის მცველებმა დარბაზში ვიღაც უცხოელი შემოიყვანეს. ლევანმა შუბლი შეიკრა და მოსულს დააკვირდა. ნაბრძანები ჰქონდა, თუ მისივე გაცემული ნიშანი არ აღმოაჩნდებოდა, სასახლეში არავინ შემოეშვათ. თამარიც გან-

ცვიფრებული მიაჩერდა ახალ მოსულს, უცებ შეიცნო უცნაურად გადასხვაფერებული თამაზა მესხი და მამას უსიტყვოდ ანიშნა, დროა უცხო პირები დარბაზიდან გავიდნენო. ასკიამ და მახარობელმა ძლივს შვებით ამოისუნთქეს და კარში ფეხაკრეფით გაილალნენ.

თამაზა მესხი სპარსელ ვაჭრად იყო გადაცმული, საგრძნობლად შეთხელებული თმაც სპარსულ ყაიდაზე შეეკრიჭა, ინით შეეღება და ნამდვილ სპარსელს დამსგავსებოდა. ეტყობა, დიდ სიფრთხილესა და მოსაზრებულობას იჩენდა. სჭიროდა კიდეც ეს სიფრთხილე და მოსაზრებულობა. ღმერთი რომ გასწყრომოდა და, მტრისას და ავისას, ხალხში ვისმე ეცნო, სოლომონი თუნდაც ქვესკნელიდან ამოიყვანდა და ორპირობისათვის ორთავ თვალს დასთხრიდა. ამასაც როდი აკმარებდა, დამდაბლებულსა და მიწასთან გასწორებულს განრისხებული მეფე ყმა-მამულს ჩამოართმევდა და მის წვრილ ცოლშვილს კარდაკარ სახეტიალოდ და სამათხოვროდ გაუხდიდა საქმეს.

ლევანი და მისი ასული, დედოფალი თამარი, ამბებს დაეხარბნენ, დრო კი არ ითმენდა. ძირისძირობამდე რიოსიმე შეტყობა ახლა მაინც შეუძლებელი იყო. ოტია დადიანის უკურნებელი სენით შეპყრობა ლევან აბაშიძემ სხვა წყაროებითაც იცოდა, მაგრამ როცა თამაზასგანაც იგივე გაიგონა, გულზე სალბუნი მოეფინა. დიდი დღე აღარ უწერიაო, გაუელვა უკეთურმა ფიქრმა, ძაღლის კუდი სიცოცხლეში არ გასწორდა და აწი იქნებ სამარემ გაასწოროსო. თამაზა მესხის ზოგიერთმა ცნობამ თვალები აუხილა. ცხენისწყალთან მეგრელების დამარცხებას, რაც დადიანის ლაშქრის სიმცირემ და ზარბაზნების უქონლობამ გამოიწვია, ის ახლა ადვილად ხსნიდა, ოტიაზე ფიქრმა კი გულში ორმაგი, ურთიერთსაწინაალმდეგო გრძნობა გაუღვიძა.

„მოხუცდა ჩვენი თაობა, — ფიქრობდა თავადაც სიბერეში შესული ლევან აბაშიძე. — დღითიდღე სულ ცოტა და ცოტა ვრჩებით. აწი, როგორც ჩანს, ბურთი და მოედანი დადიანის ძეკაციას, სოლომონის, გურიელისშვილ გიორგის და როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟების ხელში გადავა. აფსუს, რა დრო წავიდა და რა დრო მოდის!“

სულ ბოლოს თამაზა მესხმა ჩხერის ციხეში მოსული რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებული გვარდიის კაპიტანი ლვოვი და მასთან თავისი მომავალი შეხვედრა ახსენა, ის კი დამალა და არ გაუმხელია, უბეში რომ სოლომონის მოყვრული წიგნი ედო ელჩისათვის გადასაცემად.

მამასა და შვილს მოუთმენლობა დაეუფლა.

რუსეთთან სამეგობრო კავშირის გაბმა და იქიდან მაშველი ჯარის გამოთხოვა ლევანს ამჟერად თავისთვის საზიანოდ მიაჩნდა, თუმცა შემდგომ, შესაძლოა, მდგომარეობა შებრუნებულიყო და ის, რაც დღეს საზიანოდ გამოიყურებოდა, ხვალ უაღრესად სასარგებლო გამხდარიყო. პორტა, რაღა თქმა უნდა, საბოლოოდ აიცრუებდა გულს სოლომონზე და მის ასალაგმავად ყველა ღონეს მიმართავდა. აი, როდის შეეძლო ლევანს თავისი ძალა და შემართება გამოეჩინა! სოლომონს, ეტყობოდა, ესეც გათვალისწინებული ჰქონდა. მრჩევლები და ჭკუის დამრიგებლები უთუოდ არ აკლდა, წინ იყურებოდა და თავისი ტახტის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად დიდ და ძლიერ თანამდგომებს ეძებდა. ეს სწორედ ის იყო, რაც უდღეურმა, სხვისი ხელის შემყურე გიორგი ბატონიშვილმა ვერ შესძლო და რასაც საცოდავი მეფე ალექსანდრე თავისი დღე და მოსწრება ესწრაფვოდა.

არგვეთის ბატონმა ზუსტად გამოიანგარიშა ძალთა მომავალი თანაფარდობა. თუ სოლომონი ტახტს დაიბრუნებდა და ერთმორწმუნე რუსეთის სახით საიმედო თანამდგომს იშოვნიდა, რაღა თქმა უნდა, მთელ ძალღონეს ტახტის განმტკიცებას მოახმარდა და ძლიერი ქვეშევრდომების შინაგან და-

მოუკიდებლობას ფრთებს შეაკვეცავდა. ვიდრე გვიან არ იყო, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მას სოლომონისა და რუსხელმწიფის ელჩის შეხვედრა როგორმე უნდა ჩაეშალა და ამ ნაბიჯის გონივრულობა, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ერთი მხრივ ოტია დადიანის, ხოლო მეორე მხრივ მამია გურიელისა და როსტომ რაჭის ერისთავისათვის ჩაეგონებინა. ჩხერის ციხეში, სამეფოს საზღვარზე, რუსეთის ელჩი კვლავ ამაოდ უნდა მჯდარიყო. ის ერთხანს კიდევ მოიცდიდა და, როცა დაინახავდა, ძაღლადაც არავინ მაგდებსო, უკან, ტფილისში გაბრუნდებოდა.

თამაზა მესხს გუნება გაუფუჭდა. არგვეთის დიდი ბატონი, მდიდარი და ძლევამოსილი კაცი, მისგან, გუდამშიერი აზნაურისაგან, მეტისმეტს მოითხოვდა. თუ სოლომონისა და რუსთა ელჩის მომავალი შეხვედრის ჩაშლაში თამაზა მართლა მონაწილეობას მიიღებდა, მეფისაგან მონდობილ საიდუმლო დავალებას გულდაგულ არ შეასრულებდა, შუბს ხალთაში ვერ დამალავდა და თამაზა მესხი, როგორც მეფისა და სამშობლოს მოღალატე, უზენაეს რისხვასა და სასჯელს ვერ ასცდებოდა.

ეს რომ მოისმინა, ლევან აბაშიძეს სახე ალმაცერმა ღიმილმა გადაუსერა. თამაზა ორმაგ თამაშს ეწეოდა და ლევანის წინაშე ამას არც მალავდა. ეტყობა, ვერცთუ ისე ზედმიწევნით იცნობდა არგვეთის დიდ ბატონს, რაკი იმედოვნებდა, თვალებში ნაცარს შევაყრი, მოვატყუებ და წყლიდან მშრალი ამოვალო.

თამაზამ ახალი დავალება მიიღო: ლევან აბაშიძის ბრძანებისამებრ ის ჯერ რაჭას უნდა გადასულიყო, როსტომისათვის არგვეთის ბატონის დანაბარები გადაეცა, იქიდან კი პირი ოდიშისაკენ ექნა, ერისთავის რომელიმე ვაჟი — გიორგი, მეთოდე ან იაგორა გაეყოლიებინა და ოტია დადიანი ენახა. თავადი დავიწყებას აძლევდა ყველა ძველ წყენას და, რაკი გარემოებამ ასე მოითხოვა და ღმერთსაც ასე სწადდა, მზად იყო თვით დადიანის დათქმულ ადგილზე, იმერეთში თუ ოდიშში, ოტიას პირისპირ შეჰყროდა და მასთან მოლაპარაკება გაემართა.

თამაზა წახდა. ლევანს კინაღამ ფეხებში ჩაუვარდა, შენი ჭირიმე, ნუ დამღუპავ, ჩემი საბრალო ცოლ-შვილის ცოდვაში ნუ ჩადგებიო, მაგრამ ხვეწნა-მუდარით ვერაფერი გააწყო. გაკერპებული თავადი თითქოს კრიჭაში უდგა და ორიდან ერთს სთავაზობდა: ან მხოლოდ მის სასარგებლოდ ემუშავნა და დაუყოვნებლივ საქმეს შესდგომოდა, ანდა ახლავე შეჰკრავდა და, როგორც პირშავ მოღალატეს, მის თავს სოლომონს გაუგზავნიდა.

თამაზამ ალღო აუღო საქმეს. მიხვდა, თუ თანხმობა არ გამოვაცხადე, აქედან ცოცხალი ვერ გავალო. დავყაბულდები, ყველა დავალების შესრულებას აღვუთქვამ, ბრჭყალებიდან გავუსხლტები და მერე, ხაფანგიდან რომ თავს ავიშვებ, ისე მოვიქცევი, როგორც ჭკუა და გონება გამიჭრისო. ის უცებ საკვირვლად დამყოლი და გამგონე გახდა, არგვეთის ბატონის თითოეულ სიტყვას ხარბად იჭერდა და გულის ფიცარზე იბეჭდავდა. ლევანმა შუბლი სულ ახლოს მიუტანა, თვალებში ჩააცქერდა, სახეზე კი ის უნდო, ალმაცერი ღიმილი არ სცილდებოდა. თავადი გრძნობდა, რომ ეს გაიძვერა ურცხვად ეშმაკობდა, ყველა ფანდს ხმარობდა, რათა აბაშიძის ტყვეობიდან თავი როგორმე დაეღწია და სასახლეს უვნებელი გაშორებოდა, მაგრამ ამის უტყუარი საბუთი ხელთ არა ჰქონდა და იძულებული იყო, თამაზა მესხის მშვიდობიანი დამოძღვრა განეგრძო.

ბოლო წუთს, როდესაც სასახლის გალავანში დადარაჯებულმა თავისმა მოლაშქრეებმა ლევანს ამცნეს, დიდი დედოფლის სვერს გასამგზავრებლად ყველაფერი უკვე მზად გახლავსო, თავადმა თამაზა მესხის რაჭას გაგზავნაზე მოულოდნელად ხელი აიღო და ომში მისი თან ხლება გადაწყვიტა. რასაკვირველია, ასე აჯობებდა. ამ გაიძვერა აზ-

ნაურის ხელიდან გაშვება, ორიოდე გროშის გულისათვის დღეს რომ შენი იყო და ხვალ კი სხვისი, დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა, რადგან რაჭას გადასვლის მაგიერ თამაზა დღესვე სოლომონს მიუვიდოდა და აქაური არეულობის ამბებს წვრილად ჩაუკაკლავდა.

ჯავრისა, გადატანილი შეურაცხყოფისა და ტკივილებისაგან გულშემოყრილი დედოფალი თამარი სასახლეში დაბორიალებდა, ოთახიდან ოთახში გადიოდა და საკუთარი თვალით უკანასკნელად ამოწმებდა, ყველაფერი ჩააწყეს თუ არაო, როცა ხონიდან მალემსრბოლი მოიჭრა და კარიბჭის მცველებს ლევან აბაშიძის ადგილსამყოფელი ჰკითხა. ლევანი ამ დროს უკვე ეზოში იყო, თავის მხედრებს შორის, სხვებთან ერთად დედოფლის ჩამობრძანებას უცდიდა და თან თვალს ადევნებდა, როგორ გადიოდნენ ყურთამდე გაღებულ ჭიშკარში სასახლის ავლადიდებით დატვირთული ჩარდახიანი ურმები და გალავანს იქით, ტყეში, თვალს როგორ ეფარებოდნენ.

თავადმა მალემსრბოლი განზე გაიხმო. სასახლეში შებრუნებისა და მისი იქ გამოკითხვის დრო უკვე აღარ იყო. მალემსრბოლი, სულ ახალგაზრდა, თვრამეტი-ცხრამეტი წლის ტანწერწეტა აზნაურიშვილი, რომლის ფაფუკ, აჩხაბაჩხა ამოსულ წვერსაც ჯერ დანის პირი არ შეჰხებოდა, ბატონს უსიტყვოდ გაჰყვა და გზადაგზა მკლავზე წამოცმული აღვირით ოფლში გახვითქულ ლურჯა ცხენს მოათრევდა.

— რას გვეტყვი კარგს? — გამომცდელად ჰკითხა მას ლევანმა, როცა რაზმს იმდენად გასცდნენ, რომ მათ ლაპარაკს ვეღარავინ გაიგონებდა, გულხელი დაიჭდო, ჩვეულებისამებრ ნიკაპს მომუშტული მარცხენა ხელი შეუყენა და წელში ოდნავ მოხრილი სმენად გადაიქცა.

დიდი ბატონის ყურადღებამ და შეკითხვამ ახალგაზრდა აზნაური დააბნია. წამდაუწუმ გასათხოვარი ქალივით წითლდებოდა, ენა ებმოდა და სიტყვებს ერთმანეთზე ვეღარ აბამდა, კარგი და სასიამოვნო მოსასმენი არა რა ჰქონდა ეთქვა, ბედმა ცუდი მახარობლობა არგუნა. ბოლოს იმდენი იჯახირა, გიორგი ბატონიშვილის სიტყვიერი შემონათვალი ლევანს, მართალია, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც თავიდან ბოლომდე მოახსენა. მოხუცებული თავადი პირქუშად უსმენდა ყმაწვილ კაცს და გულის სიღრმეში ადუღებული მრისხანება თანდათან იპყრობდა.

მალემსრბოლის თქმით, ბატონიშვილი გიორგი ჯერ ისევ ოდიშში ბრძანდებოდა. ახლა, რაკი სოლომონის შემოსევის ამბავი სარწმუნოდ შეეტყო, ქვეყნის გასაძარცვავად გაბნეული ჯარის ვაივაგლახით მოეგროვებინა და უკან გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ მამა-შვილს, ოტიასა და კაციას, ამასობაში დრო ეხელთათ, ბავშვი, ქალი თუ მოხუცი შეეიარაღებინათ, გზები შეეკრათ და აქეთ, ცხენისწყალგამოღმა, კაციშვილს აღარ უშვებდნენ. ცხენისწყალზე ქრისტეს ტირილი იყო. ტყვიით თავგახვრეტილი, ფიწალზე ფაშვით წამოგებული თუ კლდიდან დაგორებულ ლოდებქვეშ მოყოლილი ცხენი და კაცი წყალს ასობით მიჰქონდა.

— ბრიყვი! — ბოღმიანად ამოისროლა ლევან აბაშიძემ და წარბებს უკან შორს გადაკარგული მინავლული თვალები ზიზღითა და შეჩვენებით აევსო. — ლეკები და ყაბარდოელები რა უყო, იმათ მაინც რაღა ღმერთი შეეწიათ, მეგრელებს შეუშინდნენ?

ახალგაზრდა აზნაურს ისევ გადაუარა სახეზე ალმა.

— ზოგი გაწყდა, დიდო ბატონო, სხვებმა ალაფი და დაკოდილები აკიდეს ცხენებს და წავიდნენ...

ლევანი გამძვინვარდა.

— წავიდნენ? — არაჩვეულებრივად წვრილი ხმით აღმოხდა მას და მალემსრბოლს ისე დააცქერდა, თითქოს ყველა სიავის მიზეზად სწორედ ამასა თვლის და სადაცაა შუაზე გა-

გლეჯსო. — როგორ თუ წავიდნენ, ბიჭო, რას ამბობ, სრულ ჭკუაზე ხარ შენ?

— სრულ სიმართლეს მოგახსენებ, ბატონო, ცხენისწყალს აყვნენ, ბატონიშვილი წინ გადოუდგა, პატარა ჩხუბიც კი მოგვივიდა, კაცებიც მოვუკალით...

— მერე?

— ვერ გავაჩერეთ, ბატონო. აღარც თქვენი თეთრი გვინდა და აღარც სოლომონთან ომიო, ასე შემოგვითვალეს. ახლა ცაგერს მაინც იქნებიან გაცილებული. ბატონიშვილი მარტო ბრძანდება, ხუთი-ექვსი ათასი კაცი ახლავს. ამდენიც არა... დადიანები ძალიან აწვებიან. შემოგეხვეწა...

— უტვინო! რეგვენი! ხელით სატრევი! — ლევანი მთლად გადაირია, ცოფს ყრიდა, მტრის მიერ შეჭირვებული გიორგი ბატონიშვილის მისამართით რა სალანძღავ და დამამცირებელ სიტყვებს არ ისროდა! — ხუთი ათასი კაცი იქა ჰყავს და აქეთ მთხოვს დახმარებას? დარწმუნებული ვარ, იმ სულძაღლ ოტიას მაგის ნახევარიც არ ეყოლება, ისიც ღლაპები და დედაბრები!

— შემოგეხვეწა, ბატონო...

მალემსრბოლს ხმა აუთრთოლდა, შუბლსა და ტიტველ საულვაშეზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხა, სულ ერთი წუთის წინ ლაღი და მოხდენილი ვაჟკაცი მთლად კანკალმა აიტანა.

ლევანმა პასუხი არ გასცა, ერთხანს თავჩაქინდრული იდგა და თავის მწარე საფიქრალს ფიქრობდა, მერე უსიტყვოდ მიბრუნდა და კიდევ უფრო ტანდამძიმებული, ვიდრე დღეს მოხუცებული მამის სიბრალულისაგან გულშეკუმშულ ასულს მოეჩვენა, ჭიშკრისაკენ წავიდა.

სამგზავროდ ჩაცმული დედოფალი, მადლობა ღმერთს, უკვე ჩამოსულიყო, ბარგით დატვირთული ურმები აღარსად ჩანდა, ხოლო მცველი რაზმის მხედრები ცხენებზე სხდებოდნენ. ცოტა კიდევ რომ გაიარა და ქედალჩოხიანმა მარგველმა მოლაშქრეებმა თავიანთ ბატონს დარახტული ცხენი მოართვეს, ლევანს უეცრად გაახსენდა, ბატონიშვილისაგან გამოგზავნილი კაცი ჩემს გადაჭრილ პასუხს ელისო და შემობრუნდა, იმავე ადგილზე გაუნძრევლად მდგომ მალემსრბოლს ხელი დაუქნია. ყმაწვილმა, რომელსაც ატირებას აღარაფერი აკლდა, ცხენს თავი მიანება, აღვირის ბოლო უნაგირის ტახტაზე შეაგდო და თვალის დახამხამებაში არგვეთის ბატონის წინ გაჩნდა.

— ჩემდათავად ასე გადაეცი ბატონიშვილს, — დინჯად, სვენებ-სვენებით უთხრა ლევანმა. მას უკვე მოეთოკა თავი და მღელვარების ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა, — მანამდი არაფერი გიჭამია, სანამდი მე შენ ჯარით არ მოგეშველო-თქვა, თავი თუ გიყვარს და გეზოგება, წელებზე ფეხი დაიდგი და უკან დროზე მობრუნდი, თუ არადა, კისერიც გიტეხია და კინჩხიც თან მიგიტანებია-თქვა.

მალემსრბოლი საწყალობლად დაიღრიჯა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ზედმეტმა შიშმა თუ მორიდებამ, ეს ამპარტავანი და ზვიადი ბერიკაცი რომ უნერგავდა, სუნთქვა შეუგუბა და დიდრონი ბალღური თვალები ცრემლებით აევსო.

ლევან აბაშიძეს უკვე დაავიწყდა მისი აქ ყოფნა. თავის ცხენს მიუტრიალდა, ოქრომკედითა და ვერცხლით თვალისმომჭრელად გაწყობილ უნაგირს ორივე ხელით მოეჭიდა, მოსევადებულ ვერცხლის უზანგში ფეხისწვერი შესდგა და ზერდაგს ზურგზე მოევლო.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ადექით, სასამართლო მოდის!

*(ქრონიკა)*

ჩვენს ქალაქში თითქმის ყველას გაუგონია ჯაბა ბერიშვილის სახელი, ხოლო ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას ცხოვრების გზაზე, გაკვირვებულა იმით, რომ ამ ერთ კაცში, თითქოს ორი კაცი, ორი არსება ბუდობდა — კეთილი და ბოროტი, ჭკვიანი და გაქნილი, ენამწარე და მატყუარა, ერთი სიტყვით, ასეთიც იყო და ისეთიც. და ეს ორი არსება, ეს ორი მოპირდაპირე სული ერთად ცხოვრობდნენ მასში, საოცრად შერწყმულნი და შეხმატკბილებულნი. ბევრმა როდი იცოდა, რომ ამ გაორების საფუძველი — ფულისადმი ავადმყოფური სიყვარული იყო. ჯაბას კარგად არ ახსოვდა როდის გაუჩნდა გულღვიძლში ფულის ჭია, ოღონდ იმას კი რა დაავიწყებდა, რომ მას შემდეგ, რაც სტუდენტი გახდა, მისი ნიჭიც, ჭკუაც, მოხერხებაცა და მცდელობაც იქით იყო მიმართული, რომ გამორჩეულად, ნებიერად, განცხრომით ეცხოვრა; ეს იყო მისი ფიქრიც, ნატვრაც, ოცნებაც, საზრუნავიც, ხოლო ასეთი ცხოვრებისათვის — ჯაბამ ეს ძალიან კარგად იცოდა — ბევრი ფული იყო საჭირო. ამიტომაც მან თავიდანვე ფული გაიხადა კერპად და სალოცავ ხატად.

ამ გზაზე ის არც არავის ზოგავდა, არც არაფერს ერიდებოდა, ყოველგვარ საქმეში გაერეოდა, ოღონდ ფული ეშოვა. ფული იყო მისი ცხოვრების აზრი. დღისით თუ ღამით იმეორებდა მეჯღანუაშვილის სიტყვებს: „ფულია ჩემი გამხარებელი", ამასვე ღიღინებდა და სიზმარშიც კი ამაზე ბოდავდა. მაგრამ საქმეში ჩახედულმა ჯაბამ იცოდა მეჯღანუაშვილის ხერხებსა და მარიფათიანობას ნიადაგი რომ გამოეცალა და ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით გზას ვერ გაიკვლევდა, რადგან არც კერძო დუქანი იყო ნებადართული და არც კერძო სახლები, თუმცა ისიც იცოდა, რომ ერთიცა და მეორეც რაღაც მანქანებით ვიღაცეებს მაინც ჰქონდათ და ისევ აძრობდნენ ტყავს გულუბრყვილო ადამიანებს, როგორც სოლომონ ისაკიჩის დროს.

ვიდრე ამ დახლართულ და მიხვეულ-მოხვეულ გზებში გაერკვეოდა, მანამდე ჯაბამ ერთ უფრო ზეზეურად ამოტივტივებულ ჭეშმარიტებას მიაგნო: საჭიროა თანამდებობა, საჭიროა სკამი, რომ გავლენა მოიპოვო, შენი შიში და რიდი ჰქონდეთ. ეს ფიქრი მის გონებას მეორე კურსის სტუდენტი რომ იყო, მაშინ ჩაეწვეთა. მესამე კურსზე ეს რწმენა მთლიანად დაეუფლა, ძვალ-რბილში გაუჯდა, წვეთი მდინარედ იქცა. ჯაბაც მიენდო ამ მდინარის დინებას და ინსტიტუტში, მესამე კურსის სტუდენტმა იმდენი მოახერხა, ისე კარგი მხრიდან მოაჩვენა ყველას თავი, რომ დააწინაურეს და ფაკულტეტის კომორგად აირჩიეს. ასპარეზი რომ ხელთ იგდო, ისე ერთბაშად გამოიჩინა თავი, იმავე წლის ბოლოს ინსტიტუტის განთავისუფლებული პროფორგი გახდა და ხელფასი დაენიშნა. პირველი ხელფასი რომ აიღო, საჭირო კაცები დაპატიჟა, ლაზათიანად მოილხინეს, ბევრი კარგი სიტყვა უთხრეს მასპინძელს, ერთმა ამომავალი ვარსკვლავიც კი უწოდა... საკმაოდ გვიან დაიშალნენ. კურსდამთავრებულმა გულმოცემულმა და დაუცხრომელმა ჭაბუკმა უფრო მაღალი თანამდებობის ძებნა დაიწყო. სწორედ ამ დროს ფაკულტეტის დეკანი ინსტიტუტის პრორექტორად დანიშნეს, დეკანის პირველი მოადგილე დეკანად აირჩიეს, ხოლო მის ადგილზე ჯაბა განამწესეს.

ახალი დეკანი მეცნიერებით გატაცებული კა-

ცი იყო და პრაქტიკული თუ ორგანიზაციული საქმეებისათვის ცოტას იცლიდა. ჯაბამ ამით ისარგებლა და მთელ ფაკულტეტს დაეპატრონა. ახლა აქ კაცი ვერავის ჩარიცხავდა მის გარეშე. ამ ფაკულტეტის მიმღები კომისიის თავმჯდომარეც თვითონ იყო. სტუდენტების კურსიდან კურსზე გადაყვანა, სტიპენდიების დანიშვნა, გარიცხვა თუ გადმოყვანა სხვა ინსტიტუტებიდან — ყველა ეს საქმე ახლა ჯაბას ხელში იყო. სულ მალე ისე გაიწაფა ამ ორგანიზაციულ სფეროში, რომ რექტორი მარტო მასლა ეკითხებოდა ფაკულტეტის საქმეებს. სტუდენტებმა ეს ყველაზე უკეთ იცოდნენ და როცა რაიმე სათხოვარი ჰქონდათ, მხოლოდ მას მიმართავდნენ. ერთბაშად გაიზარდა ჯაბას ავტორიტეტი. მან მარჯვე და საქმიანი კაცის სახელი დაიმსახურა. დაიმსახურა და ამ დამსახურებას თილისმის ძალა მიეცა. ჯაბა — დეკანის პირველი მოადგილე, ჯაბა—პარტბიუროს წევრი, ჯაბა — ინსტიტუტის ადგილკომის წევრი... გაიბერა, გაიწელა ჯაბა. ახლა მარტო ფაკულტეტზე კი არა, მთელ ინსტიტუტში ისე არ გადაწყდებოდა არც ერთი ორგანიზაციული საკითხი, რომ მისი მონაწილე ის არ ყოფილიყო.

ამ ახალგაზრდა კაცს კიდევ ერთი რამ შველოდა: ენაწყლიანი იყო, შემპარავი და დამმორჩილებელი საუბარი იცოდა — მუდამ პარტიისა და მთავრობის სახელით ლაპარაკობდა და მარცხნივ და მარჯვნივ ებრძოდა იმათ, ვინც, მისი აზრით, პარტიის ხაზს ამახინჯებდა განსაკუთრებით იმ წელს ამოტივტივდა ჯაბა, როცა კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ წამოწყებულმა კამპანიამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ჯაბამ ამ კამპანიით ისარგებლა, ურა მემარცხენეებს მხარში ამოუდგა და ძველ პროფესურას შეუტია. ამას ის მოჰყვა, რომ ინსტიტუტიდან დაითხოვეს მისი დამაარსებელი და ხუთი პროფესორიც ზედ მიაყოლეს. ამ ხუთ კაცს ჯაბამ, თავის მხრივ, თავისი კათედრის გამგეც მიაყოლებინა, იმ საბაბით, რომ იდეურად არასაიმედო კაცია, ოდესღაც მენშევიკი ყოფილაო; იმ კვირის ბოლოს ჯაბა ამ კათედრის გამგედ დანიშნეს.

და აი, ამ გზით ჯაბამ სულ მალე მთელ ინსტიტუტში ყოვლისშემძლისა და გავლენიანი კაცის სახელი მოიპოვა. ყველაზე მეტად აქტიური იყო, იდეოლოგიური სიწმინდისათვის თავს დებდა, მაგრამ არავინ იცოდა, რომ მისი ასეთი თავგანწირვა თვითდაზღვევა იყო, იმის შიში იყო, მისი არც თუ სახარბიელო წარსული არ გამომზეურებულიყო. და რაც უფრო აწუხებდა ეს შიში, მით უფრო თავგამოდებით უტევდა „პარტიის, პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს" ასეთ მოწინააღმდეგეებს კი თვითონ ამოარჩევდა ხოლმე... ამგვარი საქმეების გარჩევას იმ წლებში ბოლო აღარ უჩანდა. იბრძოდა ჯაბა და მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა, და მაინც რაღაც გამოუცნობი შიში უღრღნიდა გულ-ღვიძლს. ეს შიში მოსვენებას უკარგავდა... სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენდებოდა თავისი წინაპრების ამბავი, ერთხელ დეიდამ რომ უამბო.

— თქვენს სოფელში, წალენჯიხაში შენი გვარის კაცი მარტო პაპაშენი, მოსე ყოფილა, — დაიწყო დეიდა ვენერამ, —პაპაშენი ბერი იყო, მერე თავისი ეს წოდება გვარად უქცევია. ასე მოვლენია თქვენს სოფელს პირველი ბერიშვილი. ხოლო მოსე სად დაიბადა, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა დედაშენს და, მგონი, თვითონაც არ იცოდა კარგად, თუ ვინ იყო და ვისი შთამომავალი იყო მოსე. მხოლოდ ერთხელ, ბებიაშენს, ჩემა დასთან, იმ უბედურ დედაშენთან წამოსცდენია პაპაშენის ნაამბობი — მე უკანონოდ შობილი ვარ, მამაჩემს დედაჩემი შეუცდენია და აღარ უთხოვია. მე, სადღაც, იმერეთის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში დავბადებულვარ. მერე ერთ დედაბერს მათხოჯის ეკლესიის წინ ჩვრებში შეფუთული ბავშვი დაუტოვებია. მათხოჯში მონაზვნებს ქრისტესაგან გამოგზავნილად მიუჩნევიათ ჩემი თავი და გავუზრდივართ. თორმეტ წლამდე იმ მონაზვნებსა და ბერებში ვიზრდებოდიო.

პატარა ჯაბა გაოცებული უსმენდა დეიდას. როცა ის წუთით შეყოვნდა, ბიჭი შეევედრა:

— მერე დეიდა, დედამ არ მოძებნა?

— დედას ვინ იცის, რა დაემართა... ბიჭი კი ერთხანს შერჩა თურმე აქაურობას. იქიდან, მათხოჯის ეკლესიიდან, ყოველდღე უყურებდა მთაზე წამოსკუპებულ თეთრად მოქათქათე მარტვილის მონასტერს. ისე გაუტაცნია ბავშვი ამ საოცარ ტაძარს, რომ თორმეტი წლისა გაპარულა მათხოჯიდან და მარტვილში გადასულა. აქ რამდენიმე წელი დაუყვია, მერე იქიდანაც გამოქცეულა და ხობის მონასტრისთვის შეუფარებია თავი. ხობელ ბერებს მოსწონებიათ ყმაწვილი და კარგად მიუღიათ, შემდეგ უმცროს მორჩილად დაუნიშნავთ და როცა ბერად უკურთხებიათ, სახელად მოსე შეურქმევიათ. ხობში ყოველდღე დიდძალი მორწმუნეები მოდიოდნენ და აურაცხელ ოქრო-ვერცხლს თუ სხვა განძეულობას შესწირავდნენ ხოლმე. ხობის დიდი ხატის წინ იდგა ვერცხლის ვეება თასი და ყოველი მორწმუნე, რომელიც ლიტანიით გარს შემოუვლიდა ეკლესიას, ამ თასში ყრიდა ხოლმე ოქროსა თუ ვერცხლს. მონასტრის მოლარე ბერს ამ თასის მცველად ახალგაზრდა ბერი მოსე დაუნიშნავს. იდგა ხატის წინ ეს ქანდაკებადქცეული მოსე ბერი და უყურებდა როგორ ცვიოდა ოქრო და ვერცხლი, აუწონავი და უთვალავი, ამ ვერცხლის თასში; მერე, დღის ბოლოს, მოლარე ჩამოივლიდა და იღებდა თასში ჩაყრილ ოქროს და ვერცხლს... ეჰ, წყეულიმც

იყოს ეს ოქრო, ეშმაკი თურმე წმინდა ტაძარშიც შეაცდენს ადამიანს.

— რა დაემართა, ეს ფული გაიტაცა? —ჩაეკითხა ჯაბა.

— დამაცა, შვილო... ამ ფულებს რომ უყურებდა, მოსეს თურმე ერთი უცნაური აზრი მოსვლია. ყოველდღე ამ ვერცხლის თასიდან თითო-ოროლა ოქრო და ვერცხლი რომ აეღო, ვინ რას მიხვდებაო. ასეც მოქცეულა. თურმე ჩუმად ჩააპარებდა მონაპარს ბერის ანაფორის გრძელსა და დიდ ჯიბეში. როცა ეს ჯიბე გაავსო მონაპარი ფულით, უმალვე მის გადამალვას შეუდგა მოსე ბერი. მონასტერში ძველი თიხის დოქი მონახა, ჩაყარა იმაში მოპარული ოქრო-ვერცხლი, იქვე, ხობის მონასტრის ახლოს, ერთ ხის ძირას მიწა ამოთხარა და იქ ჩაფლო. ეს საიდუმლო თიხის დოქი ნახევრადაც არ იყო ოქრო-ვერცხლით სავსე და ამიტომ მოსემ ისევ გააგრძელა ეკლესიაში ფულის პარვა. როცა კვლავ აავსო თავისი გრძელი ჯიბე, ამოიღო ისევ მიწიდან დოქი და მანამდე არ მოეშვა, სანამ პირამდე არ მოაყარა. ახლა კი მიხვდა მოსე, რომ ის მდიდარი კაცი იყო.

დეიდამ ისევ შეწყვიტა ამბის თხრობა და ეს ჩაურთო: — ღმერთო შემცოდე, ცუდი არ მინდა ვთქვა, პაპაშენზე, მაგრამ, ერთხელ რომ შეაცდენს ეშმაკი კაცს, მერე აღარ მოეშვება.. მოსე იმ ხანებში ერთ ლამაზ მონაზონს გაეცნო. და აი, ღმერთისა და ქრისტეს მორჩილმა მორწმუნე ბერმა, სწორედ ქრისტესაგან აკრძალულ ხეს მოსწყვიტა ნაყოფი. ერთ დღეს მოსეს ამ მონაზონთან წაასწრეს და ხობიდან დაითხოვეს. იმავე საღამოს ჩუმად შეიპარა ხობის მონასტერში, იქ ჩაფლული ოქროს დოქი მიწიდან ამოიღო, და ბერის ტანისამოსით შემოსილი მოსე წალენჯიხის ეკლესიას მიადგა. წალენჯიხაში შეიკედლეს ეს გამოძევებული ბერი. მალე მან იქვე, წალენჯიხაში მცხოვრებ უძლოდ გადაგებულ დედაბერს მიაგნო და თავშესაფარი სთხოვა. დედაბერმა სიხარულით გაუღო კარი ქრისტეს მოციქულს. ერთი თვეც არ იყო გასული და ეს დედაბერი გარდაიცვალა. მაშინ კი მოსემ ბერის ტანსაცმელი გაიძრო, წვერი მოიპარსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ცხენოსანი მოსე თოფით მიადგა დედათა მონასტერს, იმავე დღეს გამოიტყუა იქიდან თავისი სატრფო და მოტაცებული მონაზონი წალენჯიხაში იმ დედაბრის სახლს მიაყენა, რომლის ბატონ-პატრონი ახლა თვითონ იყო. იმავე დღეს მონაზვნის ტანისამოსი გახადა ულამაზეს ასულს, სახელად თამარი შეარქვა, საქორწილო ტანისამოსში გამოაწყო და ჯვარი დაიწერა. აი მაშინ დასჭირდა მოსეს თავისი ნამდვილი გვარის ძებნა და რაკი ვერაფერი გააწყო, ბერიშვილი დაირქვა და ასე დაიწყო შენი გვარეულობა, ასე გაჩნდა წალენჯიხაში პირველი ბერიშვილი.

დეიდა ვენერამ აქ დაამთავრა თავისი ამბავი. ჯაბამ მომდევნო ამბებიც მალე შეიტყო, ნაცნობებმა და ნათესავებმა უამბეს.

მოსეს მალე შვილი შეეძინა, მონათლა და სახელად პახუ შეარქვა. ცხოვრობდა მოსე თავისი მოტაცებული ცოლითა და ვაჟიშვილით, ცხოვრობდა უდარდელად და არხეინად, გამდიდრებული ხობის ეკლესიაში მოპარული ოქროებით. მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და უკვე ხანში შესული მოსე ავად გახდა. რაც დღე გადიოდა, მით უარესობა ეტყობოდა ავადმყოფს. რა არ ილონეს, საიდან არ მოიყვანეს ექიმები... ერთ კვირა დღეს მოსემ დაიჩემა, რაც არ უნდა მომივიდეს, უნდა ავდგეთ, და ავადმყოფი იმ დღეს ძველებურ ჩოხა-ახალუხში გამოეწყო, ცაცხვის ძირას დაჯდა და თავის ერთადერთ ძეს — პახუს გულითადი საუბარი დაუწყო, ბევრი რამ უთხრა მთისა თუ ბარისა. ბოლოს, თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო გაანდო:

— შვილო პახუ, შენც ხედავ და მეც ვატყობ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. მე ვკვდები, ბაბაია, მაგრამ ნურაფრისა შეგეშინდება, შენ არაფერი გაგიჭირდება. ერთ საიდუმლოს გაგანდობ და მიხვდები, რომ მამაშენმა იმდენი იზრუნა შენთვის, იმდენი ქონება მოგიგროვა, შენც გეყოფა და შენს შვილსაც.

ეს რომ უთხრა, ხელი მოხვია, იქვე, ცაცხვზე მიყუდებული ბარი აიღო და ცაცხვის ძირას მიწა ამოჩიჩქნა. როცა მოსემ დოქს თავი მოხადა, და ხელის გულზე ოქროსა და ვერცხლის ფულები მზეზე ათასფრად აბრიალდნენ, პახუმ ხმამაღლა იყვირა:

— სად იყო, ბაბაია, ამდენი ოქრო!

— სუ, ჩუმად, ამას მერე გიამბობ. ახლა კი იცოდე, რომ აი აქ, აქ არის მამიშენის შრომითა და ოფლით ნაშოვნი, შავი დღისთვის გადანახული სიმდიდრე და ისე უნდა მოუარო, როგორც მე ვუვლიდი მას, — შემდეგ ისევ ფრთხილად დაუცო დოქს თავი, მიწა მიაყარა და ზედ თეთრი ქვა დადო.

იმ კვირას მიიცვალა მოსე ბერი და მისმა შვილმა, ოცი წლის პახუმ დიდი პატივით დაასაფლავა ძვირფასი მამა.

ერთი თვის შემდეგ პახუმ იმ ცაცხვის ძირას ჩაფლული ოქროს დოქი ფრთხილად ამოიღო, სენაკში გაემგზავრა, ამ ფულის ნახევრით დუქანი იყიდა ვილაც ვაჭარ ცაავასაგან და შიგ რკინეულობისა და ფართლეულის მაღაზია გახსნა. იმავე წელს ცოლად შეირთო ქუთაისელი ვაჭრის თხელაძის ქალიშვილი. ერთი წლის თავზე პახუსა და თხელაძის ქალს ვაჟიშვილი შეეძინათ. პახუმ შვილი დიდი ამბით

მოანათლინა მთელ სამეგრელოში განთქმულ გვანჯი აფაქიძეს. ამ უდარდელმა და მოქეიფე კაცმა სახელად ჯაბა დაანათლა პახუს ვაჟს.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე ჯაბა ბერიშვილი. მისი დაბადების ხუთი წლისთავზე ბებია თამარი მიიცვალა.

ცხოვრობდა პახუ მამა-პაპეულ სახლში, სოფელში, ხოლო სენაკში დიდი სავაჭრო ჰქონდა; სენაკში პახუმ ერთი პატარა ოთახი დაიქირავა, ახლა იგი კვირაში ერთხელ ჩადიოდა წალენჯიხაში, და ცოლ-შვილს იმდენს უტოვებდა ხორაგსა და ფულს, რომ კვირიდან კვირამდე ჰყოფნიდათ.

გალაღებულ ვაჭარს კი ახალ-ახალი მოთხოვნილებები გაუჩნდა. ერთხელ პახუმ შენიშნა, რომ დიასახლისმა, ნათელამ, ვისგანაც ოთახი იქირავა, როგორღაც ტკბილად და კეთილად გაუღიმა. ნათელა ლამაზი ქალი იყო და პახუს მისი ხელში ჩაგდების სურვილი აღეძრა. იმ დღიდან შეუჩნდა და მანამდე არ მოეშვა, სანამ არ დაიყოლია. ერთ დღეს შეყვარებულებს ნათელას ქმარმა ცუდ დროს შეუსწრო და ორივე სიცოცხლეს გამოასალმა.

პახუ სენაკიდან წალენჯიხაში წაასვენეს. მისი ცოლი მეტად კეთილი ქალი იყო, მორწმუნე და ღვთისმოსავი, მოსიყვარულე და მოშიშარი, ერთგული, გადაგებული ოჯახს, ქმარსა და შვილს; შვილი მაინც ხატად ჰყავდა მიჩნეული და ყოველდღე მასზე ლოცულობდა. ვაჭრობით გატაცებული პახუ კი ცოლსაც ისე უყურებდა, როგორც რაღაც ნივთს. ერთი ალერსიანი სიტყვა რა არის, ისიც არ ღირსებია ქმრისაგან ჯაბას დედას. მაგრამ ქმრის სიკვდილმა მაინც ისე იმოქმედა მასზე, შეშლილს დაემსგავსა, შინ ვერ ჩერდებოდა, ვერ ისვენებდა. ქმარს ორმოცი რომ გადაუხადა, სენაკში ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და სოხუმში გათხოვილ თავის დას შეეკედლა. იდარდა, ძალიან იდარდა ჯაბას დედამ და ერთ თვეში გარდაიცვალა. ათი წლის ჯაბა იშვილა დეიდამ. ვილაც შეძლებულ ბერძენს რომ ჰყავდა ცოლად. ბერძენი უშვილო კაცი იყო, მდიდარი, და ჯაბას არაფერს აკლებდა, მაგრამ ბიჭს მალე ეს მფარველიც გამოეცალა ხელიდან. პირველი კურსის სტუდენტი იყო ჯაბა, როცა ბერძენი გარდაიცვალა და უზრუნველ ცხოვრებას ნაჩვეულმა ბიჭმა პირველად გაიგო რა არის გაჭირვება. ახლა დაბერებული დეიდა ვენერა თვითონ თხოულობდა დახმარებას დისწულისაგან, და აი, აქედან დაიწყო ჯაბას დამოუკიდებელი ცხოვრება.

ჯაბა დეკანის პირველ მოადგილედ რომ აირჩიეს, იმ ხანებში ინსტიტუტში დიდი ამბები ხდებოდა. ყოველ წელს, თუ ორ წელში ერთხელ იცვლებოდა რექტორი, პრორექტორი, დეკანები, პარტკომის მდივნები, თუ პროფკავშირის ხელმძღვანელები. ჯაბას უტყუარი ყნოსვა ჰქონდა. მან ერთი თვით ადრე იცოდა ვინ ვის შეცვლიდა, ვის როდის მოხსნიდნენ და ვის დანიშნავდნენ. ამის მიხედვით ცვლიდა თავის დამოკიდებულებას ამ პირთა მიმართ. გუშინ რომ მეგობრად აცხადებდა და ჰპირდებოდა — შენთვის თავს გავწირავო, მეორე დღეს იმას ტრიბუნიდან ჰგმობდა, ამათრახებდა და ემიჯნებოდა, რაკი იცოდა, რომ ხვალ-ზეგ მოხსნიდნენ. მერე იმ ახალ დანიშნულს თავის მეგობრად ჩათვლიდა, და იმ დღიდან მას გამოაცხადებდა თავის მეგობარ-მოკეთედ.

ინსტიტუტის დამაარსებელი მოხუცი პროფესორი უკანონოდ რომ მოხსნეს, ამ საქმის ერთი აქტიური მოთავე თავად ჯაბა იყო. გუშინ კი ვიღაცამ ცნობა მოაწვდინა მას — მთავრობას გადაუწყვეტია მოხუცი პროფესორი აღადგინონ თავის უფლებებში, კვლავ მოიწვიონ ინსტიტუტში და ასპირანტების მომზადება მიანდონო. ვიდრე დადგენილება ინსტიტუტში მოვიდოდა, მანამდე ჯაბამ მთელ ქალაქს მოსდო ეს ამბავი და ყველგან იმ პროფესორის ქებას და დიდებას ალაგლენდა ეს ენაწყლიანი კაცი. იმ დღეებშივე ინსტიტუტის ადგილკომის კრებაზე მან საჯაროდ განაცხადა — ახლა, ახლა რაღას იტყვიან ჩვენი მასწავლებლის მტრები, რას ერჩოდნენ ამ უბადლო მოღვაწეს, ინსტიტუტის დამაარსებელს, ჩვენს დიდ მეცნიერსო!

აი, სწორედ მაშინ შეხედეს ეჭვის თვალით ამ ენადგაკრეფილ ყმაწვილს, ბევრს გაახსენდა სულ ცოტა ხნის წინ როგორ უსირცხვილოდ გამოდიოდა ის ამ მეცნიერის წინააღმდეგ, ბევრიც გაოცებით იქნევდა თავს და ამბობდა:— არა, ეს ჯაბა ორი კაცია, კეთილი და ბოროტი, პატიოსანი და უპატიოსნო. ამ ორი კაციდან ხან ერთი ალაპარაკდება ხოლმე, ხან მეორე. ერთი ამტყუნებს მეორეს, მეორე ისევ პირველს, არა, უცნაურია, უცნაური, — ამას კი ამბობდნენ, მაგრამ ჯაბას შიში და რიდი მაინც ჰქონდათ. ის კვლავ უტევდა ვილაცეებს და კვლავ ყურადღების ცენტრში იყო.

ჯაბას საკმაო ფული ჰქონდა. ორმაგ ხელფასს იღებდა, როგორც დეკანის პირველი მოადგილე და როგორც კათედრის გამგე.. ეს ორი თანამდებობა დიდ ჯაფასა და გარჯას მოითხოვდა. ერთხანს ჯაბაც არ ზოგავდა თავს და გაუთავებელ ფუსფუსში იყო. მალე ნიჭიერი ორგანიზატორისა და კარგი ლექტორის სახელიც მოიხვეჭა... შრომითა და ოფლით... ოფლითა და შრომით. მაგრამ ერთ დღეს ჯაბას რაღაც ჭინკა ჩაუძვრა სულში და ჩუმად ჩაეკითხა: — ჩემო ჯაბა, ამდენი ოფლითა და ტანჯვით ნაშოვნ ფულს რა გემო აქვს? საქმე ის არის, რომ ცოტა იშრომო და ბევრი იშოვო, ბევრი ფული, ამდენი, რომ ჯიბეში არ გეტეოდეს, სალაროებშიც შეგქონდეს, სახლში არ გეტე-

დეს, ჩუმად ინახავდე. იცი რა არის ბევრი ფული, იილად ნაშოვნი განძი და ქონება? იმას სულ სხვა ხეავი და ეშხი აქვსო.

ეს დღე იყო და ის დღე, აეკვიატა ჯაბას ეს უცნაური აზრი და თავიდან ვერ მოიცილა ფიქრი იოლად გამდიდრებაზე, განძზე, ქონებაზე, სწორედ იმ ხანებში ნაცნობმა ქალმა ჯაბას წარწერით აჩუქა მიხეილ ჯავახიშვილის იმუამად გამოცემული ახალი წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ჯაბა არ იყო მხატვრული ლიტერატურის დიდი მოტრფიალე, თუმცა ბავშვობისას, სოფელში ტერენტი გრანელს ეჯიბრებოდა ლექსების წერაში. თბილისში რომ ჩამოვიდა, ტერენტის სახელის გაგონებაც აღარ უნდოდა, რადგან მან სულ მალე ლექსებით გაითქვა სახელი და ჯაბას შური ალრჩობდა. მერე იგი სულ ჩამოსცილდა ამ საქმეს, ერთი ეს კი იყო, რომ, სადაც სიტყვა მიუწვდებოდა, სასტიკად ჰკიცხავდა და აგინებდა ამ „მეორედ მოსულ ქრისტეს“.

და აი, ახლა ჯაბამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი რომ წაიკითხა, მოსვენება დაკარგა. მოგეხსენებათ, მწერალი ამ წიგნში მრისხანედ ჰგმობს და ამათრახებს გაიძვერა კვაჭის. ნიღაბს ხდის ამ თაღლითსა და ყალთაბანდს, გვიჩვენებს, რომ კვაჭის ადამიანობის ნიშანწყალი დაკარგული აქვს, მაგრამ ყველაფერში უკულმართმა ჯაბამ ეს წიგნიც უკულმართულად წაიკითხა. მწერლის მკაცრ განაჩენს კვაჭის მიმართ ყურადღება სულ არ მიაქცია და მხოლოდ, ასე ვთქვათ, ტექნიკურმა მხარემ, ე. ი. იმ ხერხების აღწერამ დააინტერესა, რითაც კვაჭი თავის ბინძურ საქმეებს აჭახრაკებდა.

ამის შემდეგ ჯაბას შესძულდა თავისი პროფესიაც და თავისი დეკანობაც.

„არა, ეს ჩემი შრომა მეტად უმადურია... წადი დეკანატში, მთელი დღე იუწრუწუტე, უსმინე ამ გადარეულ სტუდენტებს, აწყნარე და ამშვიდე. მერე შედი ლექციებზე, წერე დაფაზე ფორმულები, წერე და წერე. მერე ცარცისაგან გათხუპნული ხელები დაიბანე და ღონეგამოლეული და ქანცგაწყვეტილი წალასლასდი შინ, დაეგდე საწოლზე და ასე ყოველდღე... მერე, თვის ბოლოს მოგიგდებენ რაღაც სამას მანეთს. ესაა და ეს. ესაა შენი სიმწრით ნაშოვნი მთელი დოვლათი. არა, ჯერ უცოლშვილო ვარ და არაფერი, მაგრამ ცოლშვილი რომ მეყოლება, მაშინ რა ვქნა?! რაღაც სხვა სახსარი უნდა ვიპოვნო!“ —ამოიოხრებდა ჯაბა და ისევ ის ეშმაკის ფეხი — კვაჭი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ.

ჯაბა ასეთ ფიქრებში რომ იყო, სწორედ ამ დროს ფაკულტეტის დეკანმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება ამ თანამდებობას. ახლა დეკანის მოვალეობა ჯაბას დაეკისრა. ეს თვით ადრინდელი დეკანის წარდგინებით მოხდა. დეკანი ჯაბას მეცნიერხელმძღვანელი იყო. ასპირანტურაშიც ის ასწავლიდა და საკანდიდატო შრომაც მისი ხელმძღვანელობით დაწერა ჯაბამ. იგი ხედავდა, რომ მის მოწაფეს არც ნიჭი აკლდა და არც ცოდნა, ამიტომ მუდამ ხელს უწყობდა, მუდამ წინ სწევდა. ხელმძღვანელი ძველი და გამოცდილი მეცნიერი იყო, უანგარო და გულმართალი კაცი. მას, ცნობილ მეცნიერს, მოსწონდა ჯაბას ალესილი ჭკუა და დაუცხრომელი ენერგია. და როცა ამ პროფესორს ყურში ჩააწვეთეს, ჯაბა კარიერისტი და უსინდისო ადამიანია, მრუდე საქმეებსაც არ ერიდებაო — არ დაიჯერა, მაშინ მას უამბეს თუ როგორ წაართვა ჯაბამ კათედრა თავის მასწავლებელს და როგორ გასწირა იგი, რა უსინდისოდ დასწამა ცილი. პროფესორი მაინც ვერ მოსტეხეს. მას ჯაბას ნიჭისა სწამდა და საწინააღმდეგო აზრს არც ყურადღებას აქცევდა და არც იჯერებდა. და აი ახლა, ამ პროფესორის წარდგინებით ჯაბა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ამიერიდან ყოველდღე რექტორის ან პრორექტორების კაბინეტებში ფუსფუსებდა და ყველა საკითხზე,ეხებოდა თუ არ ეხებოდა მას, იცოდა თუ არ იცოდა, მაინც თავისი აზრი უნდა გამოეთქვა.

სწორედ მაშინ მეორეჯერ დადგა ეჭვქვეშ ჯაბას კეთილსინდისიერება და პატიოსნება. ის კი მაინც წინ მიიწევდა, უფრო წინ და უფრო მაღლა. ამასობაში იგი ოცდაათი წლის მოიყარა. კაცმა რომ თქვას, ცოლი აქამდე უნდა ეთხოვა, მაგრამ ბინის უქონლობა უშლიდა ხელს.

თბილისში მაშინ ყველაზე მწვავე პრობლემა — ბინის საკითხი იყო. ჯაბამ ამ საქმესაც თავისებურად მოუარა. მანამდე ის არაგვის ქუჩაზე, ასპირანტების სახლში ცხოვრობდა, სადაც დროებით დატოვეს ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. მას ეჭირა ერთი დიდი დარბაზი, სადაც ადრე ოთხი ასპირანტი ცხოვრობდა. აი ეს საკმაოდ დიდი ბინა ჯაბამ საკუთარ სახელზე გააფორმა და დაისაკუთრა მას შემდეგ, რაც იგი დეკანის მოადგილე გახდა.

იმავე დღეს ცოლის შერთვაც გადაწყვიტა.

ჯაბა ქალების მოყვარული კაციაო, ვერ იტყოდით, რადგან მიაჩნდა, რომ დიდი დრო და განცდები არასოდეს არ უნდა ჰფანტო. წარამარა და ქალს თან არ უნდა გადაყვე. „ქალიშვილების მეტი რაა ამ ქვეყანაზე? ქალი აქეთ უნდა მეძებდეს, აქეთ უნდა მეტრფოდესო“, იტყოდა ხოლმე ხშირად. მართლაც, ბევრი ჰყავდა მას დამფასებელიც და მოტრფიალეც... მათში, მისი აზრით, ყველაზე პატიოსანი და ღირსეული თინა იყო, მისივე კათედრის ლაბორანტი. ჯაბამ იმ დღეს სწორედ

ეს თინა დაიბარა დეკანატში და, როგორც მერე ხმა გამოვიდა, ასე უთხრა:

— თინა, მე ახლა ოცდაათი წლის კაცი ვარ, არც შენა ხარ პატარა, — ეს უთხრა, გაუღიმა და განაგრძო, — ჰოდა, მე შენ დიდიხანია გიცნობ, გიცნობ და გაკვირდები. ახლა რომ მოვყვეთ ჭრელ-ჭრელ ამბებს, არც არის ამის დრო და არც მე ვარ ახლა იმ ასაკში, რომ მკერდზე ხელები დავიკრიფო და ასე დაჩოქილმა შემოგთხოვო... ჰოდა, მოკლედ, გადავწყვიტე ცოლად შეგირთო.

თინა ამის მსგავსს არაფერს მოელოდა. მართალია, ჯაბას იცნობდა, მისი დიდი რიდიც ჰქონდა და პატივისცემაც, მაგრამ ფიქრი რა არის, ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ოდესმე მისი ცოლი გახდებოდა. ან კი რიგორ შეეძლო ინსტიტუტში ასე გამორჩეული და დაფასებული კაცი თავის საქმროდ დაეგულებია.

ამიტომ ეს უბრალო ხუმრობა ეგონა ჯაბას მხრით, მერე გონს მოეგო და დეკანის კაბინეტიდან მთლად აწითლებული გამოვარდა

მესამე დღეს, არაგვის ქუჩაზე, ჯაბამ და თინამ პატარა შინაურული ქორწილი გამართეს. მერე წავიდა ცხოვრება ჩვეულებრივი გზით. მაგრამ ოჯახმა ჯაბას ახალი საზრუნავი გაუჩინა. ფული, ფული გახდა საჭირო. ჯაბას უცებ ვაახსენდა, თუ რა კარგად მოითბო ხელი კვაჭომ სიცოცხლისა და სახლის დაზღვევის წყალობით. საქმე ის იყო, რომ გუშინ პარტკომის სხდომაზე მოისმინეს ინსტიტუტის სოცდაზღვევის ინსტრუქტორის ანგარიში, ინსტრუქტორი გამცემლიძე მკაცრად გააკრიტიკეს და თანამდებობიდან მოხსნეს. გამცემლიძის ადგილზე ჯაბას ლაბორანტი ბურდანიძე დანიშნეს. იმ სხდომაზევე ჯაბას მოულოდნელმა ფიქრმა გაურბინა, მეორე დღესვე დაიბარა ახლად დანიშნული ბურდანიძე და რიხიანად უთხრა:

— აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, ხომ იცი, ჩემი წინადადებით დაგნიშნეს... ჰოდა, ფართოდ გაშალე ახლა მუშაობა, თუნდაც ჩემით დაიწყე, რომ სხვებმაც მოგვბაძონ. მეც დამაზღვევე, ჩემი დეიდაც. მე ვინახავ, ჩემს მეტი არავინა ჰყავს. დეიდა ჰქვია, თორემ ჩემი დედაც ის იყო და მამაც. აქ კინაღამ ატირდა ჯაბა.

იმავე დღეს დაზღვევის ორი პოლისი შეავსო ბურდანიძემ — ერთი ჯაბას სახელზე, და მეორე — მისი დეიდის, ვენერა თხელაძის სახელზე. ეს ამბავი მთელ ინსტიტუტს მოსდო ბურდანიძემ, სხვებიც აჰყვნენ ფეხისხმას. და იმ კვირას ბურდანიძემ თორმეტი პროფესორი და მასწავლებელი დააზღვია. ამ ამბებამდე ხუთიოდე წლით ადრე, მეტი ფართობის მიღების მიზნით, ჯაბამ დეიდა ვენერა თბილისში ჩაიწერა, თუმცა მოხუცი ქალი სოხუმში ცხოვრობდა. იქ, ქალაქგარეთ ერთი პატარა ფიცრული სახლი ჰქონდა და ეზოში თორმეტი ძირი მანდარინის ხე ედგა. მანდარინის ხეები, კარგი მოსავლის დროს, იმდენს ისხამდნენ, მისი შემოსავალი არათუ ჰყოფნიდა დედაბერს, ჯაბასაც უგზავნიდა. დედაბერი ერთი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჯაბამ სახლის დავთრიდან არ ამოწერა — ისევ და ისევ მეტი ფართობის მიღების მოლოდინი ჰქონდა.

და აი, ახლა ჯაბამ გადაწყვიტა დაეზღვია სწორედ დეიდა. ასეც მოიქცა. ახლა საბუთები იყო საჭირო. ეს საბუთებიც მალე გააჩინა — გაზეთ „მუშაში" სამგლოვიარო განცხადება გამოაქვეყნა: „გულმოკლული ჯაბა თავისი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი აღმზრდელი დეიდა ვენერა თხელაძე". ეს განცხადება ისე ჩაკარგული იყო გაზეთში და ისე შეუმჩნევლად იყო დაბეჭდილი, რომ ინსტიტუტშიც კი, სადაც ჯაბას ამდენი პატივისმცემელი და მეგობარი ჰყავდა. ვერ გაიგეს ვინ იყო ეს ჯაბა და მისი დეიდა თხელაძე! ეს მარტო ჯაბას საიდუმლოება იყო და ამ საიდუმლოს კარგა დიდძალი თანხა უნდა მოეტანა მისთვის. ერთი კვირის შემდეგ ჯაბა თავის სოფელს ესტუმრა. ჩავიდა თუ არა, მეორე დღესვე სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი დაჰპატიჟა, მათ გადაწყვეტით უთხრა, რომ დეიდას კერიას არ გააცივებდა. მერე ეს დეიდასეული ქოხი დიდი თანხით დააზღვია და საბჭოდან სათანადო ცნობა წამოიღო, რომელიც დეიდას გარდაცვალებას ადასტურებდა. ამ ცნობას თარიღად გაზეთ „მუშაში" გამოცხადებული დღე და რიცხვი მიუსადაგა და ინსტიტუტში წარადგინა. მალე შესაფერისი თანხაც მიიღო.

იმავე დღეს ახალი საქმე გამოჩნდა. რექტორატმა იმ სტუდენტების სია მოითხოვა, რომელთაც სტიპენდია ჰქონდათ დანიშნული. ჯაბამ სიები გულდასმით შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ 362-დან სამოცდათხუთმეტ სტუდენტს არ ჰქონდა თითო საგანი ჩაბარებული. შეიტყო თუ არა ეს, ჯაბამ გულში გაიფიქრა: ეს ისეთი ჩახლართული საქმეა, ადვილად ვერავინ გაარკვევს და ჭკვიანმა კაცმა შეიძლება რაღაც გააჩერხოსო.

მეორე დღეს ჯაბამ ჯერ ბუღალტერი გამოიძახა და უთხრა — ჩვენს ფაკულტეტზე სამოცდათხუთმეტი სტიპენდიანტი აღმოჩნდა ისეთი, რომლებსაც თითო საგანი არ ჩაუბარებიათ. მე ისინი გამოვიძახე და გამოცდებზე დავუშვი, — იცრუა ჯაბამ, — ყველა ისინი, სამოცდათხუთმეტი კაცი ისევ დავტოვე სტიპენდიათა სიაში, — მერე დამატებით აუხსნა, რომ, სანამ ამ სტუდენტებს საგნები არ ჩაუბარებიათ, ფულს ხელზე ნუ გასცემთო. მერე, თითქოს უცბად გაახსენდაო, დასძინა—

არა, რაკი ჩვენგან მოითხოვენ, რომ ყველა სტუდენტმა კურსი ამ თვეში უნდა დახუროს, უწყისებს შენ მოაწერე ყველა სტუდენტის მაგივრად ხელი, იმ ფულებს კი მე აქ, ჩემს სალაროში შევინახავ, რომ შენ სალაროში ზედმეტი თანხა არ აღმოგაჩნდეს. და როცა საგნებს ჩააბარებენ, მე თვითონ დავურიგებ მათ ფულს. აბა, რა უნდა ვქნათ, სტუდენტების უმეტესობა სოფლიდანაა ჩამოსული. ფული მაგათ არა აქვთ და ბინა!

ბუღალტერმა ეს დავალება შეასრულა და ჯაბას აღნიშნული თანხა ჩააბარა.

სწორედ იმ დღეს სოხუმიდან შეატყობინეს, რომ დეიდასეული ფიცრული სახლი დაიწვაო. ჯაბამ ერთი კი შეიცხადა, მერე საბუთების შედგენა დაიწყო, მაგრამ ვილაცეებმა ხმები გაავრცელეს, რომ დეიდასეულ სახლს ცეცხლი თვითონ ჯაბამ წაუკიდაო. ამის კვლევა არავის დაუწყია, ხოლო ფაქტი ის იყო, რომ ჯაბამ ამ სახლის საფასურად ორმოცი ათასი მანეთი მიიღო.

წლის ბოლოს ჯაბას შვილი შეეძინა. ასპირანტების ყოფილი ბინა, რომელიც არაგვის ქუჩაზე ჰქონდა, მისთვის ახლა საკმარისი აღარ იყო. დატრიალდა ჯაბა, გადაწყვიტა დეიდის სიცოცხლის და მისი ქოხის დაზღვევაში მიღებული ფულისათვის მითვისებული სტიპენდიებიც მიემატებია და რაიმე ელონა: აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მისმა მოხერხებამ აქ ველარ გაჭრა. რაიკომებისა და აღმასკომების კარები დაკეტილი დახვდა და ბინის საკითხი ველარ მოაგვარა.

დაღონდა მოხეს ჰკვიანი შვილიშვილი, აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა. მერე, ის იყო, კოოპერატიული მშენებლობა გაახსენდა და უბინაო პროფესორებს გაენდო. უბინაო კი ინსტიტუტში ბევრი იყო. მაგრამ ჯაბამ ყველაზე ახლობლები შეარჩია და შვიდი კაცისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს მოუყარა თავი. ამ ჯგუფის პირველსავე სხდომაზე ჯაბამ ამცნო მეგობრებს, რომ ინსტიტუტის ახლოს ეგულება ერთი საინტერესო ნაკვეთი, ამ ნაკვეთის გვერდით რაღაც ხუთიოდე ქოხია, რომელთა პატრონები ამდენსა და ამდენს მოითხოვენ, და ამის გამო ბინა შეიძლება უფრო მეტი დაჯდეს, ვიდრე ჩვეულებრივ ჯდებაო... მერე დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ რა მოცულობის ბინები აშენდება, რამდენ სართულიანი იქნება სახლი და ასე შემდეგ. ჯაბას გამოანგარიშებით ოროთახიანი — ორმოცდაათი, ხოლო ოთხოთახიანი — ასი ათას მანეთამდე დაჯდებოდა. ეს ფული ებევრათ პროფესორებს. ჯაბა ამტკიცებდა: არა, ფული დიდძალი დაგვჭირდება, ჯერ იქ განლაგებული ქოხმახების პატრონები ათ ბინას მოითხოვენ. ეს ათივე ბინა ჩვენი ხარჯით უნდა აშენდეს. ჩვენი ხარჯითო, შეიცხადეს პროფესორებმა: — მერედა სადა გვაქვს ეს ფული?

— არა, ახლავე ნუ დაფრთხებით, — ამშვიდებდა მათ ჯაბა, — ჩვენ ჩვენი ავტორიტეტი, ნაცნობობა და გავლენა უნდა გამოვიყენოთ... წევრებად ფულიანი ხალხი უნდა მოვიზიდოთ ფულიანები კი ბევრი არიან. თუ მათი მიღება მოვახერხეთ ჩვენს კოოპერატივში, საქმე კარგად წავა. ფულიანები, ფულიანები, — იმეორებდა ჯაბა, — ასეთები, ერთი შვიდი კაცი მე მეგულება. თქვენც მოიკითხეთ და საქმე გაიჩარხება.

ეს „საქმის გაჩარხვა“ ცუდად ენიშნათ პროფესორებს, მაგრამ ისე აურია ჯაბამ ყველაფერი ერთიმეორეში, ისეთი კორიანტელი დააყენა სიტყვებისა, რომ ვერც კი ჩაწვდნენ ნათლად საქმის ნამდვილ ვითარებას, ისე დაიშალა ეს პირველი სხდომა. შემდეგ დატრიალდა ჯაბა და მოძებნა ის ფულიანები. ისინი ბევრზე ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ ჯაბამ დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და ყველაზე ახლობელ და სანდო პირთაგან ოცდაცამეტი კაცი შეკრიბა. შემდეგ კვლავ მოიწვია ამ ორმოცი კაცისაგან შემდგარი კოოპერატიულ მშენებლობაში მონაწილეობის მსურველთა კრება. იმ შვიდმა პროფესორმა ახლად შემომატებულებს როგორღაც ეჭვის თვალით შეხედეს და გაკვირვება გამოთქვეს, ვინ არიან და რა საერთო აქვთ ჩვენთანო, მაგრამ ჯაბამ ყველა დაამშვიდა — დამაცადეთ, მთავარია ჯერ სია დავამტკიცოთ, აი ამ ორმოცი კაცისაგან შემდგარი სია, შემდეგ ყველაფერს აგიხსნითო, ახლა კი ჩვენმა კრებამ თავმჯდომარეც უნდა აირჩიოს, მოადგილეცა და მოლარეცაო.

თავმჯდომარედ ერთხმად ჯაბა აირჩიეს, მეორე დღესვე მან ინსტიტუტის პროფკომის შუამდგომლობა გამოაცხო. ამ ორმოცი კაცის სია თან დაურთო და სამინისტროში გამოცხადდა. ჯაბას ერთი ძველი მეგობარი იმ დროს სამინისტროს სათანადო სამმართველოს უფროსი იყო და მისი მეშვეობით სულ მალე მიეცა ინსტიტუტის ჯგუფს მშენებლობის უფლება. ახლა საჭირო იყო ნაკვეთის გამოყოფა, კოოპერატივის წევრთა სიის დამტკიცება და მშენებლობის პროექტის წარდგენა უმაღლეს ინსტანციებში.

და აი, აქ, უცებ შეფერხდა საქმე, მანამდე წყალივით რომ მიდიოდა. სათანადო უწყებამ იმ ნაკვეთის დამტკიცებაზე, რომელიც ჯაბამ და საინიციატივო ჯგუფმა აირჩიეს, უარი თქვა „ეს ნაკვეთი დიდი ხანია გაცემულიაო“, უმტკიცებდნენ ჯაბას. მან საიდუმლოდ შეიტყო, რომ ნაკვეთი გაცემული არ იყო, მაგრამ ჯაბას რაღაც მიზეზების გამო არ უმტკიცებდნენ. გაჭიანურდა საქმე. ამ დროს ერთმა მეგობარმა ჯაბას გაანდო — ეს საქმე ისე არ გაკეთდება, თუ ოცი ათასი მანეთი არ გაა-

ღეთი. გაგიჟდა, გადაირია კაცი, ყველაფრის ოღონდ გაკეთებას მიჩვეული, ამას ვერ შეურიგდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნეს, რომ სხვანაირად საქმეს არაფერი ეშველებოდა. იმ დღესვე შეკრიბა ჯაბამ ის ოცდაცამეტი კაცი, „ფულიანები“ რომ ეწოდებოდათ სახელად. სახლის აშენების მთელი იმედი ხომ მათზე იყო დამყარებული!

„ფულის ტომრებს“, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ, რომ სხდომაზე იმ შვიდი პროფესორიდან არცერთი არ ესწრებოდა, მაგრამ არაფერი თქვეს, მით უფრო, რომ კოოპერატივის მოთავე შეშფოთებული ჩანდა! მიხვდნენ, არც თუ დიდად სასიამოვნო ამბის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო იგი. მიუხედავად მათი მოლოდინისა, ჯაბამ სიტყვა იმედიანად დაიწყო:

— მაშ ასე, ძვირფასო მეგობრებო! სახელწოდება დავამტკიცეთ, სახლის აშენების უფლება მივიღეთ, იმაზეც თანახმანი არიან, რომ კოოპერატივში ორმოცი კაცი იყოს, მაგრამ..

აქ გაჩერდა ეს ეშმაკის ფეხი, დამსწრეებს გადახედა, თითქოს ამოწმებდა რამდენ ხანს ეყოფათ მოთმინება, სანამ გაიგებენ, თუ რამ შეაფერხა საქმე. როცა ჯაბამ შეატყო, რომ დამსწრენი ნერვიულად ამოძრავდნენ, ერთი დაკვრით მოხჭრა:

— მიწის გამოყოფაზე უარი გვითხრეს...

საოცარი ამბავი იყო. ნებას იძლევიან და არც იძლევიან ნებას. მოდი და გაიგე რამე!

— რა მოხდა, ბატონო ჯაბა, რატომ თქვენ უარი?

— რატომ? რატომ? — ბრაზით გაიმეორა ჯაბამ, — პატარები ხართ, თქვენ თვითონ ვერ ხვდებით?

„ფულიანები“ პატარები არ იყვნენ. ამიტომ ერთმა პირდაპირ იკითხა:

— რა თქვეს, რამდენიო?

ჯაბამ დაუყოვნებლივ მიახალა:

— ორმოცი ათასი...

ოცდაცამეტ კაცს ერთბაშად აღმოხდა ხვნეშა. ჯაბამ ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ამ ორმოცი ათასი მანეთის ამბავს მე, ჩემს მეგობარ პროფესორებს ვერ ვეტყვი... მოგეხსენებათ, ინტელიგენციაა, იმათ ათასი მობოდიშება სჭირდებათ, დაფრთხებიან და ასე კარგად დაწყებულ საქმეს ჩაშლიან. ჩვენ კი საქმის ხალხი ვართ.. ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს...

— გავუგებთ, ბატონო ჯაბა, გავუგებთ...

— მოდა, აბა, ჩამოდით ფულები, — დაარტყა ხელი მაგიდაზე ორატორმა.

ეს ორმოცი ათასი რომ მიითვალა, ჯაბამ თანხა მაშინვე შუაზე გაყო, ოცი ათასი შინ წაიღო, ხოლო მეორე ოცი ათასი, გაზეთში სათუთად გახვეული და შეფუთული, იმ კაცს მიუტანა, ამ საქმეში დახმარებას რომ დაპირდა... დავუჯერებთ თუ არ დავუჯერებთ იმ კაცსა და ჯაბას, მიუტანეს თუ არა ის ფული სათანადო უწყების უფროსს, ამაზე ჯერ ნურაფერს ვიტყვით და მივყვეთ საქმის მსვლელობას. საქმის მსვლელობა კი ასეთი გახლდათ: სამი დღის შემდეგ ჯაბას უკვე ხელში ეჭირა სათანადო უწყების დასტური იმ ნაკვეთის დამტკიცების თაობაზე. მან იმ დღესვე მოიწვია საერთო კრება და ქაღალდი ააფრიალა: „აი, ნებართვა უკვე არისო“. შვიდმა კაცმა შვებით ამოისუნთქა, ხოლო იმ ოცდაცამეტ კაცს ოხვრა აღმოხდა იმის გამო, რომ „ზედმეტი ხარჯები“ ჯაბამ მხოლოდ მათ შეაწერა. რომ სცოდნოდათ, იმ ორმოცი ათასიდან ჯაბამ ნახევარი შინ წაიღო, ისინი იმავე დღეს წინ აღუდგებოდნენ თავიანთ თავმჯდომარეს. მაგრამ ეს საიდუმლოება საიდუმლოდ დარჩა.

ჯერი ახლა სიის დამტკიცებაზე მიდგა. სია ისევ იმ უწყებ ა უნდა დაემტკიცებინა. ამ ოცდაცამეტი კაცისათვის, რომელთაც ზედმეტი თანხა გადაიხადეს, ჯაბამ ყველა საჭირო საბუთი მოაგროვა, ზოგი მართალი და ზოგიც ყალბიც. ახლა მისი საზრუნავი ამ ოცდაცამეტი კაცის დამტკიცება იყო. მაგრამ ჯაბას მიერ ასე წვალებით და პაპანწყვეტით მოგროვილი საბუთები დაიწუნეს და იმ შვიდი პროფესორის გარდა, ყველას უარი უთხრეს. ისევ დაფაცურდა ჯაბა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. სწორედ ისევ იმ მეგობარმა კაცმა ახლაც ასწავლა გზა, მაგრამ იმ გზაზე გავლა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ჯაბამ იფიქრა, იფიქრა და ისევ იმ ოცდაცამეტ კაცს მიადგა. ამ „ძნელ გზაზე“ მათ თავიანთი ფული უნდა გაეფინათ, რომ გავლა შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ ჯაბამ ახლა ყველა ერთად კი არა. ცალ-ცალკე გამოიხმო, ყველას ცალ-ცალკე დაუდო წინ მისი პირადი საბუთები და სულ ადვილად დაუმტკიცა, თუ რა უკანონო საქმე იყო მათი მიღება კოოპერატივის წევრებად. მერე იმის მიხედვით, ვისი საბუთი ვისაზე უკეთესი იყო, თანხა განსაზღვრა და თან თანამოსაუბრეს საიდუმლოდ უთხრა: — კოოპერატივის წევრად რომ დაგამტკიცონ, ამისათვის დამატებით თანხას ითხოვენ. შენ, მაგალითად, სულ არ გეკუთვნის, ამიტომ, ექვსი ათასი მანეთი უნდა მოიტანო. იმ კაცმა ჯერ იუცხოვა ეს ამბავი, მაგრამ მეორე დღეს ჯაბას მაინც მიუტანა და ჩააბარა ეს თანხა.

ასე იანგარიშა ჯაბამ, ყველა სათითაოდ გამოიძახა და სულ მალე ასი ათას მანეთს მოუყარა თავი. ამ თანხიდან თავის მეგობარს ნახევარი გადასცა, ისევ „იქ წასაღებად“, და სულ მალე, იმ უწყებამ, რომელმაც ამ სიების დამტკიცება სამჯერ გადასდო, სხდომა მოიწვია და ორმოცი კაცის სია დაამტკიცა. ერთი კვირის შემდეგ ჯაბას ეს გადაწყვეტილება ხელთ ჰქონ-

ნდა. იმავე კვირას მან მოიწვია ორმოცივე წევრი და შეუდგნენ საქმეს.

ჯაბას ჭკუისა და გამჭრიახობის წყალობით, საქმე თითქოს შეუფერხებლად წავიდა წინ. რაკი-ღა მიწაც ხელთ იგდეს, ახლა საჭირო იყო მშენებლობის პროექტის დამტკიცება და რომელიმე სამშენებლო ტრესტთან ხელშეკრულების დადება. აქაც ფული მოსთხოვეს ჯაბას და აქაც გაუჭირდა მას, მაგრამ გამოსავალი კვლავ მოძებნა. ორმოცი კაცის საერთო კრება მოიწვია და მათ დამწუხრებული სახით განუცხადა:

ჩვენს მშენებლობას ხელს არავინ ჰკიდებს. არც საპროექტო ორგანიზაცია გვაძლევს პროექტს.

„რატომაო“ — იკითხეს დამსწრეებმა. ჯაბამ მათ დამშვიდებით აუხსნა: „ხომ იცით, ჩვენს კოოპერატივს, როგორც კერძო ორგანიზაციას, ისე უყურებენ“. „როგორ თუ კერძო ორგანიზაციასო“, შეიცხადეს დამსწრეებმა. ჯაბამ მათ დაუყვავა: „თქვენ ხომ გინდათ, რომ კარგი სახლი აშენდეს, სტანდარტულ სახლებს არ უნდა ჰგავდეს, სათავსოებიც კარგი უნდა ჰქონდეს, ჭერიც მაღალი, სამი მეტრი. ყველაფერს ამას ზედმეტი ფასი აქვს“,— ეს წამოსცდა ჯაბას, მაგრამ იქვე გაასწორა: „ყოველივე ამისათვის საჭიროა არა სტანდარტული, არამედ სანიმუშო პროექტის შედგენა. ეს კი ყველას არ შეუძლია. ვისაც შეუძლია, ის ფულს ითხოვს. როგორ მოვიქცეთ? ხელი ავიღოთ მშენებლობაზე, თუ ეს ფული გავიღოთ?“ შუა გზაზე გაჩერებას აბა რა აზრი ჰქონდა. ისევ იანგარიშა ჯაბამ, ისევ აანგარიშებინა მოადგილეს და მოლარეს, ისევ შეაწერეს თანხა „ფულის ტომრებსაც“ და პროფესორებსაც და საქმე უკვე საძირკვლის გათხრამდე მივიდა; იმ ორგანიზაციას, რომელსაც სახლი უნდა აეგო, ხელშეკრულება გააფორმეს და სამუშაოს დამთავრების ვადაც დააწესეს. ასე იყო, თუ ისე, ამ ზედმეტმა ხარჯებმა კვლავ ოცდათხუთმეტი ათასი მოითხოვა.

იმ ხანებში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: დაიჭირეს ინსტიტუტის მოლარე, მას დიდი გაფლანგვა აღმოუჩინეს, მოლარემ ჯაბას დაადო ხელი იმ სამოცდათხუთმეტი სტუდენტის საქმის გამო, ვინაიდან მათი სტიპენდიების მითვისებას მოლარეს ბრალდებოდა. ინსტიტუტში ამ საქმის შესასწავლად კომისია გამოყვეს. კომისიის წევრები — ყველა ჯაბას ამხანაგი და ძმაკაცი იყო. მაგრამ სტიპენდიების მითვისების ამბავი ისე აშკარა იყო, რომ ამ საქმეს ადვილად ვერ მოუარეს. სამოცდათხუთმეტი სტუდენტი ერთპირად ამტკიცებდა, რომ მათ სამი თვის არდადეგების სტიპენდია არ მიუღიათ.

— მაშ სად გაქრა ეს ფული? — გაოცებით კითხულობდნენ კომისიის წევრები. ამ თანხის მითვისებას ჯაბა მოლარეს აბრალებდა, მოლარე კი — ჯაბას. საქმე ბოლოს ჯაბას სასარგებლოდ გადაწყდა, ვინაიდან უწყისებს ხელს მოლარე აწერდა; ის კი, — რა თქმა უნდა, არსად აღნიშნული არ იყო, რომ ის თანხა ჯაბამ შინ წაიღო.

თითქოს დააღწია ჯაბამ თავი განსაცდელს, მაგრამ წყლიდან მთლად მშრალი ვერ გამოვიდა. რექტორმა გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან და საყვედურიც გამოუცხადა.

განაწყენებული ჯაბა სხვა ინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ სანამ ეს გაწამაწია მოთავდებოდა, ჯაბამ ველარ მოიცალა და კოოპერატივის საქმეს ველარ მიხედა. დრო კი არ ითმენდა, ის ოცდათხუთმეტი ათასი იყო საჭირო, ტრესტი რომ მოითხოვდა. ახლა ეს იყო ყველაზე მთავარი.

სწორედ ამ დროს ჯაბას ბინაზე ერთი ძველი მეგობარი, ქუთაისელი ბილიხოძე ესტუმრა და თავის გულის საიდუმლო გაანდო, უთხრა, ჩემი შვილი სამედიცინოზე სწავლობს, მეხუთე კურსზეა. ერთი წელიწადიც და დაამთავრებს. მინდა აქვე, ასპირანტურაში დავტოვო. არიქა, მიშველე რამე, ბინა მჭირდება. თქვენ თურმე კოოპერატიულ სახლს აშენებთ, გამომიყენეთ, იცოდე გამოგადგებით, ფული მაქვსო.

ფულის ხსენებაზე ჯაბას თვალები გაუბრწყინდა. ნადირი თავისი ფეხით ეგებოდა მახეში. მან ძველი მეგობარი დაამშვიდა, დახმარებას შეჰპირდა და ორი დღის შემდეგ დაიბარა.

იმ ადგილას, სადაც ახლა ჯაბას სახლს აშენებდა, პატარა ქოხმახები იყო. ამ ქოხმახების პატრონებს გარანტია მისცეს. გარანტიის ძალით ისინი ჯაბასაგან მიიღებდნენ ახალ აშენებულ კორპუსებში სამ და ოთხოთახიან ბინებს. ჯაბამ აქაც ეშმაკური ხერხი იხმარა: მან ათიოდე საგარანტიო ფურცელი შეუვსებელი დატოვა. ამ საგარანტიო ფურცლებს მარტო შესაფერი უწყების ბეჭედი ჰქონდა დასმული და ჯაბას ხელმოწერა ამშვენებდა. და ახლა მარტო მასზე იყო დამოკიდებული ვის მისცემდა ამ გარანტიას და რა უფლებით.

ორი დღის შემდეგ, როცა ბილიხოძე ესტუმრა, ჯაბამ, არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ და გადაჭრით გამოუცხადა:

— რა ვქნა, ძმაო, რა გიყო, არ ვიცი! კოოპერატივის წევრად შენ არასგზით არ დაგამტკიცებენ!

— რატომ, შე კაცო, რა დავაშავე ასეთი?

— დანაშაული რა შუაშია? შენ ქუთაისში ცხოვრობ...

— მაშინ ჩემი შვილი მიიღე წევრად.

არ შეიძლება, სტუდენტია.

ჯაბა მძიმედ ჩაფიქრდა. მერე სტუმარს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

არის ერთი გამოსავალი. ეს გამოსავალი გარანტიაა. თუ გარანტიას შეიძენ, შენი წევრად დამტკიცება აღარ იქნება საჭირო — შენ შეხვალ იმ ბინაში, რომელიც უნდა მიელო გარანტიის პატრონს, ესე იგი, შენ იყიდი მის კერძო ბინას, როგორც კერძო პირი...

ბილიხოძეს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ჯაბამ მალე ცივი წყალი გადაასხა გახარებულ სტუმარს.

ნაადრევ სიხარულს ნუ მიეცემი... ეს ძალიან ძვირი დაგიჯდება.

— მაინც რამდენი?

— იცი, რაშია საქმე? კაცი, ვისაც გარანტია ხელთ აქვს, არის პატრონი ერთი კერძო სახლისა, რომელიც დგას იქ, სადაც ჩვენი სახლი უნდა აშენდეს. ჰოდა, რომ იცოდე, რა მეძვირე ვინმეა ის კაცი! ასე გეგონება, ძველ სახლს კი არა, ვენეციის დოჟის სასახლეს სთმობდეს.

— მაინც რას აფასებს...

— თქმაც კი მიჭირს...

— მითხარი, იქნებ შევძლო როგორმე...

— ასი ათასი მომცესო! — გაბედა ჯაბამ, როგორც იყო.

— გადაირია?..

— კი არ გადაირია, ჭკვიანია... იმის ხელში ხარ... შენ არ მისცემ, სხვა მისცემს.. ახალი. ოთხოთახიანი ბინა უნდა მიიღოს მეოთხე სართულზე. დასთმობს ამას ასი ათასზე ნაკლებად? შენ თვითონ დასთმობდი? ჰა, რას ჩაგივარდა ენა? ამოიღე ხმა!

ბილიხოძეს ენა კი არ ჩაუვარდა, ფიქრში რაღაცას სთვლიდა, ანგარიშობდა, ნერვიულად ისრესდა შუბლს და ხელებს იფშვნეტდა.

— ცოტა მაინც დამიკელი, ჯაბა ჩემო, შემცოდე!

— ჯაბამ გაოცებული თვალებით შეხედა, — მე რა დაგიკლო, ძმაო, მე კი არ მაძლევ მაგ ფულს, იმ კაცს აძლევ. ის კი ნამდვილი ზიმზიმოვია, კაპიკს არ დაგიკლებს...

— კარგი, იყოს, რაც არის, მოიტა ხელი! — წამოიძახა ბილიხოძემ.

ხელი ხელს დაჰკრეს და თავიანთი გარიგება პატარა სუფრით აღნიშნეს.

მართლაც იყო ერთი ასეთი კაცი, გვარად არუშიძე, მას რაღაც საცოდავი ქოხი ედგა მომავალი მრავალსართულიანი შენობის ადგილზე, მაგრამ რა იცოდა ბილიხოძემ, რომ ის კაცი არაფერს არ მოითხოვდა არც ჯაბას კოოპერატივისაგან და არც თბილისის საბჭოსაგან.

სუფრასთან დიდხანს არ მსხდარან. ბილიხოძე კმაყოფილი დაემშვიდობა მასპინძელს და ქუთაისისაკენ გასწია.

,ერთი კვირის შემდეგ ბილიხოძე ისევ მიადგა ჯაბას ბინას. მასპინძელმა კაბინეტში შეიწვია. ბილიხოძემ მას რუხი ტილოსაგან შეკერილი პარკი გადასცა, პირამდე გატენილი ფულით.

— რამდენია? — ჰკითხა ჯაბამ.

— ოთხმოცდათვრამეტი ათასი...

— იმე, — ამრეზილად შეხედა მასპინძელმა, — ორი ათასი სადღაა?

— არ ჩაეტია, ჯაბას ჭირიმე...

— რას ქვია არ ჩაეტია! ცოტა დიდს შეკერავდი ამ ოხერ ტილოს პარკს.

ბილიხოძემ ახლა გაზეთში გახვეული შეკვრა მიაწოდა — აჰა, ზუსტად ორი ათასია!

— რა ხართ ეს ბინების მაძიებელნი, — ჯაბა გალმა შეედავა ბილიხოძეს, — ახლა ვითომ რაო, ეს რა ნომერი გამიკეთე..

— დაითვალე, ბატონო ჯაბა!

— არ უნდა დათვლა, — მკაცრად მოუჭრა ჯაბამ, — გენდობი... კაცმა თუ კაცის ნდობა და სინდისი დაკარგა, ცხოვრება შეუძლებელი გახდება! — ეს მორალური შეგონება დიდი რიხით წარმოსთქვა ჯაბამ, მერე ფულით სავსე პარკიც და გაზეთშიც გახვეული დასტაც იქვე მიაგდო, — დღესვე მივუტან და სახეში მივახლი იმ ძუნწ გაიძვერას... ის დაითვლის...

ეს უთხრა და ბილიხოძეს გარანტიის ბეჭედდასმული ქაღალდი გადასცა. ასე დასრულდა ეს ოპერაცია.

მეორე დღეს ჯაბამ ამ თანხიდან თხუთმეტი ათასი წანასწარ, სამუშაოს შესრულებამდე გადასცა სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს და ისიც უმალ შეუდგა საძირკვლის გათხრას. სამოცდახუთმეტი ათასი მანეთი კი თავის საიდუმლო სალაროს მიუმატა.

ჯაბას უტყუარი ალღო და გუმანი ჰქონდა. იცოდა, ვისი გული უნდა მოეგო, რომ შემდეგ ის კაცი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ის ბლომად იღებდა ფულს და ასევე გულუხვად და ადვილად აძლევდა, ოღონდ მუდამ ანგარიშით და გამორჩენით. იღებდა „ათმაგს", გასცემდა „ორმაგს". დანარჩენი მის საკუთარ სალაროს ემატებოდა, და იმდენი რჩებოდა, რომ თვლასა და ანგარიშს ველარ აუდიოდა. მაშინ გადაწყვიტა ნაწილი ამ თანხებისა ექცია ოქროდ, ბრილიანტებად, ძვირფას თვლებად, გადაწყვიტა ეყიდა უძვირფასესი ავეჯი, სამპროცენტიანი ობლიგაციები და ა. შ. მის საკუთარ სალაროში ფული მაინც არ ეტეოდა. ამიტომ ერთდროულად წყნეთსა და ლიკანში სააგარაკო სახლების მშენებლობაც დაიწყო. ჯერ წყნეთში ერთი გლეხისაგან სახლ-

კარი იყიდა, სახლი ახალ ყაიდაზე გადააკეთა, უფრო სწორად, ხელმეორედ ააშენა რომელიღაც შვეიცარიული თუ ფინური მოდელის მიხედვით; იმ ხანებში ქალიშვილი გაათხოვა და ეს აგარაკიც მის სახელზე გააფორმა. ახლა ლიკანს დააცხრა თავს, იქაც შვეიცარიულ ყაიდაზე აგებული აგარაკი წამოჭიმა, ფინური და არაბული ავეჯით მორთო და მოკაზმა, მერე მანქანა შეიძინა, თავის სახელზე კი არ გააფორმა, ერთი ნათესავი შოფერი ჰყავდა, მის სახელზე.,. მანქანა მან ამ ნათესავს გადასცა და შოფრობისათვის, დამატებით თვეში ასი მანეთი დაუნიშნა.

ჯაბა, როგორც მკითხველმა უკვე იცის, დეკანოზიდან გაათავისუფლეს და სახელიც შეულახეს. და მაინც, რატომღაც მისი სიტყვა სჯეროდათ, მაინც გავლენა ჰქონდა. ეს გავლენა დაფუძნებული იყო იმ მარჯვნივ და მარცხნივ გაცემულ თანხებზე, რომლებსაც თვითონ „ზედმეტ ხარჯებს“ ეძახდა. ბილოხოძის შემდეგ ჯაბამ ის ცხრა ყალბი გარანტიაც გაანაღდა და ერთმანეთის მიყოლებით ამ ცხრა გარანტიაში ერთი მილიონი მანეთი აიღო. ფულიანსა და ყოვლისშემძლე ჯაბას მაინც „ხელს უშლიდნენ“, „წინ ეღობებოდნენ“, მაგრამ იგი ამ ბარიერებს ადვილად სძლევდა. მერე რა, რომ ერთი დღით დაბრკოლდა აგურის მოტანა? ამწეც არ მუშაობდა იმ დღეს, ხელოსნებიც არ მუშაობდნენ. მერე რა! ჯაბა რის ჯაბაა, ეს საქმეები ვერ მოაგვაროს. და მართლაც, მეორე დღესვე კალატოზებიც გამოჩნდებოდნენ ხარაჩოებზე, ამწეც ამუშავდებოდა და აგურიც მოჰქონდათ მანქანებით. „ზედმეტი ხარჯები“ — ეს ოხრად შემოსული ფული იყო და ჯაბაც მოხერხებულად განაგებდა თავის უბანს. „არა, ძუნწი, არასოდეს ვყოფილვარ, წაიღეთ, ინებეთ, ოღონდ საქმე მეც დროზე გამიკეთეთ“, — გაიძახოდა იგი.

და კეთდებოდა საქმე: იმ წელს ეს ორმოცბინიანი სახლი ისე მოათავა და შიგ ისე ჩაასახლა ყველა მეპაიე, რომ არც საჩივარი ყოფილა და არც რაიმე გამოძიებას შეუწუხებია ჯაბა. ამან ერთბაშად გაუთქვა მას სახელი, ზოგმა დაცინვით, ზოგმაც სერიოზულად მას „მშენებლობათა დიდოსტატი“ უწოდეს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯაბა სათანადო უწყების მუშაკებმა დაიბარეს და მის მიერ აგებულ ორმოცბინიანი სახლის ახლოს ახალი კორპუსების აშენება მოსთხოვეს. იქაურმა მას პირდაპირ უთხრა — შენ ხომ ის სახლი ცენტრში ააშენე, გამოგვძალე თანხმობა და ისე ააშენე! ახლა იმ ადგილებში ქოხმახები ისე უშნოდ გამოჩნდა, რომ იქ ამას წინათ უფროსებს გაუვლიათ და უბრძანებიათ, რომ დაუყოვნებლივ წესრიგში მოვიყვანოთ იქაურობა იმ ტერიტორიაზე სულ ხუთი კორპუსი უნდა აშენდეს. თქვენ უფლება გეძლევათ გაიმეოროთ პირველი პროექტი.

ჯაბამ სიამოვნებით მიიღო ეს დავალება, ოღონდ თავის მხრივ ახალი მოთხოვნები წამოაყენა. ეს იყო რაღაც ურთიერთგარიგების მსგავსი რამ. ეს გარიგება ჯერ იმ უწყებაში დაიწყო, მერე ქვემოთ წამოვიდა. საქმეს „ვიღაცეები“, „რაღაცეების“ გამო უფრო და უფრო ართულებდნენ და აბრკოლებდნენ. თითქოს მათს ჯიბრზე ჯაბამ წინადადება წამოაყენა ამ ხუთ კორპუსს სამი კორპუსიც დამატებოდა და ეს მშენებლობა ნარევ კოოპერატივად გამოცხადებულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეცნიერ-მუშაკთა გარდა. ყველა „უბინაო მსურველიც“ შეიძლებოდა გამხდარიყო ამ კოოპერატივის წევრად. ამან კვლავ სახელი მოუხვეჭა ჯაბას.

მომავალი უბედურების მაუწყებელი ნიშნები ხან აქ იჩენდა ხოლმე თავს, ხან იქ. იმ ხანებში სათანადო უწყების უფროსი გაათავისუფლეს და ჯაბას საქმის დაწყება თავიდან მოუხდა. ამას მეორე უბედურება მოჰყვა: მეორე ინსტიტუტში, სადაც ახალი გადასული იყო, ჯაბას უჩივლეს, თავის საგნის ჩაბარებაში ქრთამს იღებსო, მართლაც და, უნებურად ლოდ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ხანდახან ინსტიტუტში სტუდენტებს ყველაზე უფრო ჯაბას საგნის ჩაბარება უძნელდებოდათ. ჯაბა სტუდენტს ნიშანს ისე არ დაუწერდა, თუ მისგან განსაზღვრულ თანხას არ მიიღებდა. აქ ორი რამ სჭრიდა: ან ქრთამი ან პროტექცია. ჯაბა მაშინ დარწმუნდა, რომ ქრთამი და პროტექცია, შეფარდებითი განტოლების მიხედვით, თანაბარი მნიშვნელობისანი არიან. პროტექცია მას არ უყვარდა, იმიტომ, რომ საქმე უფულოდ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ხანდახან ისეთი კაცი სთხოვდა, ხან ინსტიტუტში, ხან ინსტიტუტის გარეთ, რომ იძულებული იყო მათი პროტეჟეებისათვის ნიშანი უფასოდ დაეწერა. სხვა შემთხვევაში მუდამ ფულს იღებდა.

ეს საქმე ისე გახმაურდა, რომ რაიკომი იძულებული გახდა კომისია გამოეყო. კომისიამ დაწვრილებით გამოიკვლია საქმის ვითარება და დაადასტურა, რომ ჯაბა მართლაც იღებდა ნიშნის დაწერაში ფულს. სტუდენტს თურმე ჩათვლის წიგნაკს რომ ჩამოართმევდა. ხელში აიღებდა, შეატრიალებდა, გაშლიდა, შიგ რომ ფული აღმოჩნდებოდა, თუ საკმარისი იყო, გაუღიმებდა სტუდენტს, თუ არა, დახურავდა წიგნაკს და სტუდენტს მეორე დღისთვის იბარებდა.

არა, ნამდვილად საოცარი კაცი იყო ჯაბა. მან ხომ, ცხადია, იცოდა და სტუდენტებმაც იცოდნენ, რომ მისგან ნიშანს უფულოდ ვერავინ ეღირსებოდა, და მაინც, ეს კაცი, ყოველ პარტიულ თუ პროფკავშირულ კრებაზე

ტრიბუნაზე შედგებოდა, მომნუსხავად მიაჩერდებოდა სტუდენტებს და საშინლად შეაჩვენებდა ყველა უსინდისოს, ყველა მექრთამეს. „არა, ეს რა გავიგე, — ამბობდა რიხიანად, — თურმე უმაღლეს სასწავლებელშიც კი შეაღწია ამ საშინელმა სენმა“, ამას ისე ამბობდა, არც წითლდებოდა.

კაცი კი არა, ნამდვილი გამოცანა იყო!

ასე იყო თუ ისე, ჯაბა თავის საქმეს მაინც აკეთებდა, დიდი რიხიც ჰქონდა და საქმიანი კაცის სახელიც, მაგრამ იმ კომისიას ვერაფერი მოუხერხა. კომისიამ მისი მექრთამეობის ამბავი ინსტიტუტის პარტკომს აცნობა, პარტკომმა — რაიკომს, და ბოლოს ჯაბას ეს ინსტიტუტიც დაატოვებინეს.

თბილისში რომ მოხსნეს, ჯაბამ იხტიბარი არ გაიტეხა, იმავე თვეში ლიხს გადაღმა ამოჰყო თავი, და ერთ იქაურ ინსტიტუტს შეეკედლა — ნახევარ განაკვეთზე დაიწყო მუშაობა. ესეც ხალხის შესაბედავად სჭირდებოდა, თორემ რათ უნდოდა! იმდენი ფული ჰქონდა, მარტო მას კი არა, მის შვილიშვილებსაც ეყოფოდათ. მას კი მხოლოდ მუნდირი სჭირდებოდა, დოცენტის მუნდირი.

ლიხს გადაღმა ჯაბას ახალი კლიენტები დაესივნენ. საიდან არ მოდიოდნენ მასთან, დასავლეთ საქართველოს რომელი კუთხიდან არ აკითხავდნენ! თვითონ ხომ მაძიებელი იყო, ეძიებდა და პოულობდა კიდეც. ახლა კი თვითონ მას დაეძებდნენ და პოულობდნენ. როგორც სკიდან ახალამოღებულ თაფლს ბუზები დაეხვევიან ხოლმე, ისე ეხვეოდნენ ჯაბას ბინების მაძიებლები.

ჯაბა სულ მალე ჩამობრუნდა დედაქალაქში. იმ ხანებში ის ერთმა ძველმა ნაცნობმა კახეთში დაპატიჟა. ჯაბა უმალ დაეთანხმა, იფიქრა ცოტას დავისვენებო. მასპინძელმა სასურველ სტუმარს საკადრისი თანამეინახენი დაახვედრა. ქეიფის ეშხში შესულ ჯაბას თავი ისე ეჭირა, როგორც ყველაზე შინაურსა და ახლობელს ამ ოჯახისათვის, ამავე დროს, ყოვლის შემძლესა და გამკეთებელს. საქვეყნოდ გახმაურებულ გვარებს ჯაბა ისე შინაურულად და უბრალოდ ახსენებდა, მათი დიდი თანამდებობებისა და პოსტების მოუხედავად, რომ იქ მყოფნი ყველანი დარწმუნებული იყვნენ — ჯაბა მათთვის ისე შინაური და ახლობელია, რომ უამისოდ ისინი ერთ ჭიქა წყალსაც არ დალევენ და ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამენო. „ოჰ, ამას წინათ ისე დავლიეთ, თეთრად გავათენეთ“, — დაიწყო ჯაბამ და ქეიფის მონაწილეთა შორის ისეთი გვარები ჩამოთვალა, გაოცებას ეძლეოდნენ არიფიონის წევრები. ისინი ღიმილითა და პატივისცემით თავს უკრავდნენ, უდასტურებდნენ. იმ საღამოს, თამადამ ყველაზე პირველად ჯაბა ადღეგრძელა და წარუდგინა იქაურებს, მაგრამ თურმე წარდგინებაც არ იყო საჭირო. ვინ არ იცნობდა მას?

შემდეგ, თანმიმდევრობით, რანგისა და ჩინის მიხედვით, ყველა სადღეგრძელო რომ მოათავეს, ჯაბამ სიტყვა ითხოვა და ფრიად თავისებური სადღეგრძელო წარმოსთქვა:

— არა, მეგობრებო, კახურისთანა ღვინო მთელს დუნიაზე არ არის, დაილოცოს ეს სახელიც, ეს კახური ღვინოც. არა, რაოდენ მართალი იყო ის დალოცვილი ლუარსაბი, ჩვენმა დიდებულმა ილიამ სასაცილოდ რომ აიგდო. რა სჭირდა ლაურსაბს სასაცილო? ის ბრძენი იყო. აბა დაფიქრდით, მართლაცდა, რა გვეშველებოდა, ეს კახური რომ არ იყოს? — იკითხა ჯაბამ და თვითვე უპასუხა: — ლუარსაბს კი არა, ჩვენ რა გვეშველებოდა, ჩვენ... აქ, ამ ღვინით ვიოხებთ გულს, ვაცნობთ ქვეყანას საქართველოს და მის სტუმართმოყვარეობას, ყველას — შინაურს თუ შორიდან მოსულს. არა, კახური რომ არ იყოს, მაშინ ჩვენს სტუმართმოყვარეობასაც არავითარი ფასი არ ექნებოდა!

ასეთი მგზნებარე სიტყვა ჯაბას არასოდეს წარმოუთქვამს. ის პირველად როდი იყო კახეთში, მაგრამ ცივგომბორის მთა გუშინ პირველად გადმოლახა. ტყით დაფარული ხეობა რომ გალიეს და მის წინ გომბორის სამი მწვერვალი აღიმართა, — პირველი ალტაცების შეძახილი მაშინ აღმოხდა ჯაბას. ის ანგარიშის მოყვარული კაცი იყო, ცივი გონებით აკვირდებოდა ყველაფერსა და ყოველივეს თავის გარშემო, ახლა კი პირველად მოხიბლა აქაურმა ეშხმა და სილამაზემ. გომბორის უღელტეხილზე მანქანა შეაჩერა და მის თვალწინ მთლად საოცარი სურათი გადაიშალა: შორს თოვლით დაფარულ დაღესტნის მთებს შეხედა, მთის მწვერვალები მთებზე ცისარტყელასავით ლაპლაპებდნენ. ქვემოთ ალავერდის ტაძარი შენიშნა, თეთრად მოქათქათე, მზეში შეცურებული მისი ოქროსფერი გუმბათი ალაზანს ნათელ სხივებად გადაფენოდა. შუამთის მონასტერსაც დიდხანს უცქირა ჯაბამ და, ახლა, სადღეგრძელოს რომ წარმოსთქვამდა, თვალწინ ეს დაუვიწყარი სურათები ედგა.

ჯაბას სიტყვის შემდეგ სუფრაზე მცირე დუმილი ჩამოვარდა. დიასახლისმა ამით ისარგებლა და ჯაბას თავისი ქალიშვილი წარუდგინა. საპატიო სტუმარს იქვე თავაზიანად განუმარტეს. წელს ამთავრებსო საშუალოს, ჯაბა ბატონო, გვინდა როგორმე საექიმოზე მოვაწყოთ, და თქვენი იმედი გვაქვსო.

ჯაბამ თავზე ხელი გადაუსვა თექვსმეტი წლის ტანწერწეტა ქალიშვილს და საზეიმოდ განაცხადა:

— მერე რა, განა გაგვიჭირდება მისი მოწყობა სამედიცინოზე? არ გაგვიჭირდება იმიტომ, რომ წელს მე ვარ მიწვეული გამომცდელად და ეს საქმე ჩემზე იყოს!

ახლა ყველანი შურით მისჩერებოდნენ დიასახლისსა და მის ქალიშვილს, მაგრამ ალტაცე-

ბის გამომხატველი ტაში მაინც შეაწიეს სტუმრის სიტყვებს და, ის იყო, აიშალა კიდეც სუფრა, იქვე, კარებთან რომელიღაც მეურნეობის დირექტორი გვერდით ამოუდგა ჯაბას, მკლავში ხელი გაუყარა და თავისი გულის დარდი გაუზიარა:

— შვილი კი მოვაწყვე ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ, ბატონო ჯაბა, გვიჭირს, ბინა არა გვაქვს თბილისში. მე ადრეც მინდოდა იქ ჩამოსვლა, ვიცი დიდი კოოპერატიული მშენებლობა გაქვთ გაჩაღებული და თუ გამხდით ღირსად, ვიყო თქვენი კოოპერატივის წევრი, მზადა ვარ, ჩემი მხრით, რასაც მოითხოვთ..

ასე და ამრიგად, იმავე დღეს ჯაბამ ორ ოპერაციას ჩაუყარა საფუძველი .და როცა იქაური სასტუმროს ლუქსში პირალმა წამოწვა, თავისდაუნებურად აღმოხდა:

— ეს რა გულუხვი ხალხი ყოფილა ამ ქალაქში. სად იყავი ჯაბა აქამდე, სად იყავი შე უპატრონო, შე ღვთის გლახა, შენ...

ამ სიტყვებში ჩაეძინა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ადმინისტრატორ ქალს სასტუმროს ქვედა სართულზე ესმოდა.

პირველ ოპერაციაში ჯაბამ ოცი ათასი მანეთი მიიღო ავანსად. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ის მართლა ჩარიცხავდა სტუდენტად მასპინძლის შვილს, კიდევ ოცი ათას მანეთს მიიღებდა. ეს ოპერაცია ჯაბასათვის სრულიად ადვილი აღმოჩნდა. მას მასპინძლის ფრიადოსანი ქალიშვილი უნდა მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო თვითონ იმ წელს მართლაც მიიწვიეს გამომცდელად. ჯაბამ, მართალია, ამას გარდა, კიდევ ხუთი ასეთი წინასწარი გარიგება მოაწყო იმერეთიდან თუ კახეთიდან ჩამოსულ კლიენტებთან, მაგრამ მერე რა, მას ყველაფერი შეუძლია. მართალია, თბილისის ორი ინსტიტუტიდან გააძევეს, ლიხს იქით გადააგდეს, მესამე ინსტიტუტში, მაინც არ შედრკება, — და ჯაბაც შეუდგა სათევზაო ბადის გადაგდებას ხან რიონისა და ხან ალაზნის ყველაზე ღრმა და მღვრიე წყლებში. ორაგულიც მოჰყვა და მოჰყვა ბადეს! ჯაბა რა ჯაბა იქნებოდა, ამ საქმეს მოერიდებოდა. დანაპირები ყველას შეუსრულა. აუარებელი ფული მიიღო და თავის საიდუმლო სალაროს ეს ახლად მოპოებული თანხაც მიუმატა.

ჯაბა დედაქალაქში რომ დაბრუნდა, შუამავლებმა აქ ახალი და ახალი კლიენტები დაახვედრეს, ახლა მისი კორპუსების წინ, სახელდახელოდ აღმართულ ფიცრულ კანტორაში, კლიენტების მოსვლას და წასვლას სათვალავი არ ჰქონდა. ჯაბა მაინც აფრთხილებდა შუამავლებს. კარგად დააკვირდით, კარგად გაიცანით, ვინმე შარიანი არ შემოგვერიოს. მთხოვნელთა რიცხვიც ყოველდღე მატულობდა, და ამის გამო ჯაბამ მაზანდას აუწია. „ზედმეტი ხარჯების“ ფული უფრო მეტი და მეტი მოითხოვა.

და მაინც, მთხოვნელები უკან არ იხევდნენ ასე შედგა ასოთხმოცი კაცის სია. საჭირო იყო ამ სიის დამტკიცება, მაგრამ ეს არ იყო იოლი საქმე, ვინაიდან ამ ასოთხმოცი კაციდან კანონით ბინა არცერთს არ ეკუთვნოდა. იმ ხანებში სათანადო უწყებამ ახალი დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვითაც, ვისაც სულზე რვა მეტრზე მეტი ფართობი ჰქონდა, მისი აღრიცხვაზე აყვანა არ შეიძლებოდა. ჯაბა ამ დადგენილებამ ვერ შეაკრთო, მან გადაწყვიტა სასწრაფოდ მოეგროვებინა ის „ზედმეტი ხარჯები“, რომელიც ამ უკანონო სიას კანონიერად აქცევდა. ამიტომ მან „ზედმეტი ხარჯების“ ნიხრი ოც-ოცდაათ ათას მანეთამდე ასწია, იმის მიხედვით, თუ ვის უფრო არ ეკუთვნოდა ბინა, და ვის უფრო ეკუთვნოდა; ჯაბას წინასწარი დაზვერვით, ვის უფრო ბევრი ფული ჰქონდა. იმავე ხანებში, შესაფერისმა უწყებამ ახალი წესი შემოიღო, რომელიც გულისხმობდა, რომ თუ კოოპერატიული სახლი აშენდებოდა ისეთ ადგილას, სადაც სახლები იქნებოდა დასანგრევი, მაშინ ამ კერძო სახლების საფასური და აქაურ მცხოვრებთა ბინით უზრუნველყოფა კოოპერატივის გამგეობას უნდა ეკისრა. მას უნდა აეშენებინა დანგრეული სახლის პატრონისათვის ახალი ბინა და ხეხილისა და ნარგავების საფასურიც მას უნდა გაეღო. ხელთ იგდო თუ არა ჯაბამ ქაღალდი, დაიდო წინ და ყველა მსურველს ამ წესის მიხედვით მოსთხოვა ორი ბინის აშენება (და, ამის მიხედვით ორი „ზედმეტი ხარჯი“); ერთი სიტყვით, ჯაბამ საერთო წესიდან გამონაკლისებს ისეთი ხვრელი მოუძებნა, რაც ქრთამის აღებას თითქოს თავისთავად გულისხმობდა. ასე კვლავ გაეხსნა მას ხელ-ფეხი.

კოოპერატივის თავმჯდომარე კვლავ მიადგა საბინაო უწყებას — მისი უფროსი, ჯაბას ძველისძველი ნაცნობი, ჯაბას პირველი კოოპერატივის წევრი იყო, სამოთახიანი ბინა ჯაბამ მას უფასოდ აუშენა. ახლა, როგორც საჭირო კაცს, მიადგა და არც უკითხავს, ისე, ტყავგადაკრული კარი ფეხით შეაღო. როცა უფროსმა ჯაბა შეიცნო, ადგა და მაგრად ჩამოართვა ხელი. დიდხანს ითათბირეს, გეგმები დააწყეს და გადასაწყვეტიც გადაწყვიტეს. შემდგომში, სასამართლო პროცესზე ძნელი დასადგენი გახდა, ვისთან რამდენი ფული დატოვა ჯაბამ; ის კი კარგად გამოირკვა, რომ ჯაბამ, როგორც ეს მან პროცესზე განაცხადა, გაზეთში გამოხვეული რვა სამ-სამათასიანი პაკეტი წაიღო სახლიდან. ამას პროცესზე მისი შოფერიც ადასტურებდა. „როცა იმ უწყების შენობიდან გამოვიდა, მანქანაში ისე ჩაჯდა, რომ ის პაკეტები, თან აღარ ჰქონდათ“... ასე იყო თუ ისე, იმ ასოთხმოცი კაცის სიაც დამტკიცდა. დამტკიცდა და დაიწყო „ზედმეტი ხარჯების“ — ფულების შემოტანა. შემომჰქონდათ

ჯერ ჯაბას სალაროში, შემდეგ იგი უწერდა ქვითარს და ამ ქვითრით შეჰქონდათ სახელმწიფო სალაროში ბინის სავარაუდო საფასურისამიდან თორმეტი ათას მანეთამდე. ასე გაიხსნა ჯაბას კანტორაში ნამდვილი დუქანი. დატრიალდნენ შუამავლები და დაფაცურდნენ ფულიანები...

ერთ დღეს ჯაბას შეატყობინეს—რაიკომის პირველი მდივანი გიბარებსო. ჯაბამ მაშინვე გასწია რაიკომისაკენ. მდივანი ბიუროს სხდომას ატარებდა, მაგრამ რომ მოახსენეს ჯაბა ბერიშვილი გეახლათო, უკანა კაბინეტში გავიდა და ჯაბაც იქ შეიყვანეს. რაიკომის მდივანმა უთხრა —ჩემს ცოლისძმას ბინა კი აქვს, მაგრამ ახლა შვილი შეეძინა და გაფართოება სურს. ფული აქვს, დადგენილებას აღმასკომი მიიღებს. დანარჩენი შენ იცი, ოღონდ ამ თვის ბოლოს რომ მთავრდება, იმ კორპუსში უნდა მისცე ბინა. ჯაბას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ რაიკომის მდივანმა არ დააცალა: — ვიცი, ვიცი, რომ ის კორპუსი განაწილებულია, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს, სახლში არ მიმესვლება, ხომ იცი ჩემი ცოლის ამბავი!

ეს უთხრა მხარზე ხელი დაჰკრა და სწრაფად გავიდა მეორე ოთახში, ბიუროს სხდომა გააგრძელა.

ჯაბა ზლაზვნით გამოვიდა რაიკომის მდივნის ოთახიდან. საქმე ის იყო, რომ რაიკომის ეს მდივანი ჯაბას მაინცდამაინც არ წყალობდა და ამიტომ უხალისოდ მიიღო მისი დავალება. გამოვიდა თუ არა, იქვე რაიკომის მდივნის ცოლისძმა დახვდა. იქიდან საბინაო უწყებას მიადგნენ და ერთ კვირაში გააფორმეს ყველა დოკუმენტი. იმავე რაიკომის მდივნის ბრძანებით ჯაბას ახალგაზრდა ექიმი ქალი შეახვედრეს, რომლისთვისაც ერთ სულზე სამოთახიანი ბინა უნდა გაეფორმებინა. ფული კი ვიღაც რამაძეს უნდა გადაეხადა. მაგრამ, როგორც პროცესზე გამოირკვა, ამ ლამაზი ასულის ბინის ფული არავის არ გადაუხდია, არც კოოპერატივის წევრად გაუფორმებიათ იგი, მაგრამ სამოთახიანი ბინა კი ჩააბარეს.

გავაგრძელოთ? თითქოს ზღაპარს ჰგავს ყველაფერი ის, რასაც აქამდე ვყვებოდით. არა, ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ყოველდღე ასოცი კაცი ესწრებოდა ჯაბა ბერიშვილის პროცესს უმაღლეს სასამართლოში და ყოველ მათგანს შეუძლია დაადასტუროს, რომ აქ არც მიმატებულია რამე და არც გამოკლებული. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივში დაცულია ორმოცტომიანი საქმე, სადაც ყველაფერი ეს ვრცლად და დაწვრილებით არის მოთხრობილი და აღწერილი.

მაგრამ როგორ ხდებოდა ყველაფერი ეს? ადრე, მანამდე, ვერავინ მიუხვდა ჯაბას, არავინ იცოდა, რას აკეთებდა ის? როგორ არა! 1970 წლის აგვისტოში რესპუბლიკის უმაღლეს ინსტანციაში შევიდა დიდი საჩივარი საბინაო კოოპერატივის მესვეურთა უკანონო მოქმედების, მექრთამეობისა და თაღლითობის თაობაზე. გამოიყო კომისია, რომელსაც საქმის გამოძიება დაევალა. კომისიამ კარგა ხანს იმუშავა. ჯაბა ცდილობდა კომისიის წევრებისათვის თვალი აეხვია, გზაკვალი აერია, მაგრამ ვერაფერს გახდა — კომისიამ დაადასტურა უკანონობისა და ქრთამის აღების ფაქტები და ამის შემდეგ დაიწერა ვრცელი მოხსენებით ბარათი, დაიწერა და ჯერჯერობით ამით გათავდა ყველაფერი, გაჩერდა ეს საქმე და იმ დოკუმენტმა დღის სინათლე მაშინღა იხილა, როცა ჯაბა ბერიშვილი დააპატიმრეს. ახლა ეს დოკუმენტი თან ერთვის იმ ორმოც ტომს, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ.

1971 წლის მაისში კვლავ დაიწერა საჩივარი კვლავ გამოყვეს კომისია, რომელმაც საქმის შესწავლის შემდეგ უფრო მკაცრი აქტი შეადგინა, ვიდრე პირველი იყო. ამ აქტის მიხედვით პასუხისგებაში უნდა მიეცათ ჯაბაც, მისი მოადგილეც, რამდენიმე ტრესტის მმართველიც, ცალკეულ უწყებათა მუშაკებიც... დაიწერა მოხსენებითი ბარათები, რამდენიმე ინსტანცია გაიარეს ამ ბარათებმა, ხოლო ჯაბა ისევ და ისევ განაგრძობდა თავის საქმიანობას, კვლავ არხეინად გრძნობდა თავს, იქამდე არხეინადა და უდარდელად, რომ თავის სატრფოსთან ერთად მოგზაურობაც კი გადასწყვიტა.

როგორ, სატრფოცა ჰყავდა ბერიშვილს? წარმოიდგინეთ, რომ ჰყავდა და ეს სატრფოც ფულმა აპოვნინა.

შეყვარებულებმა გადასწყვიტეს მოსკოვს სწვეოდნენ.

ჯაბა არ იყო ქალების დიდი მოყვარული, მაგრამ მას შემდეგ, რაც მედიკო გაიცნო, ერთბაშად დაკარგა მოსვენება. ეს ქალი აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგემ გამოუგზავნა კოოპერატივში მისაღებად. მედიკო მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. სტუდენტს კი კოოპერატივში ვერ მიიღებდნენ, მაგრამ ჯაბასათვის სიტყვები „ვერ შესძლებ“, „ვერ მიიღებ“ არ არსებობდა.

მედიკოს გათხოვება უკვე მოესწრო. შემდეგ ქმარს მალე გასცილებოდა და შორეულ ნათესავს შეკედლებოდა. ეს ნათესავი თვითონაც ვიწროდ ცხოვრობდა და ყოველდღე ჩასჩიჩინებდა ახალგაზრდა ქალს: — წადი, ვინმე მოძებნე, წაყევი, სილამაზე შენ არ გაკლია და განათლება, ბინასაც იშოვი და ქმარსაცო, მაგრამ ეს ადვილი არ აღმოჩნდა. მედიკო ყოველდღე დაიარებოდა რაიაღმასკომში, ბინასა თხოულობდა, ქმარს უჩიოდა. საბინაო განყოფილების უფროსმა ეს სტუდენტი ყოვლისშემძლე ჯაბას გადაულოცა. მედიკომ კანტორაში პირველ მისვლისთანავე ჯაბას მომხიბვლელად გაუღიმა, ცალკე გაიხმო და იმ განყოფილების უფროსისაგან მოწერილი ბარათი გადახცა.

ჯაბამ გულდასმით ჩაიკითხა წერილი, მერე მედიკოს შეხედა და ერთბაშად აფორიაქდა. არა, ასეთი რამ მას არასოდეს დამართნია. შეხედა და ქალმაც კვლავ გაუღიმა, ჯაბამ მკლავში ხელი გამოსდო და ჩუმად უთხრა: ახლავე წადი, განქორწინების ქაღალდი მომიტანე და ის საბუთი, რომ ბინაზე დროებითა ხარ ჩაწერილი.

და მედიკო იმავე კვირაში კოოპერატივში ჩაწერა ჯაბამ, თანაც ისე, რომ ფულის შეტანა „ადროვა". მერე როდესაც მედიკოს იქ მიაკითხა, სადაც ქალი შეკედლებული იყო, გაოცდა, ასე ვიწრო ბინაში როგორა სძლეპო, თან წამოიყვანა, მლეთის ქუჩაზე ერთი ნაცნობი ჰყავდა ჯაბას, ამ ნაცნობთან იმავე დღეს ერთი ოთახი დაუქირავა და იქ ჩაასახლა.

აი ახლა სწორედ ამ ქალს მიადგა ჯაბა და ხთხოვა — მოსკოვში წამომყევიო. მედიკო არ დაფიქრებულა, ისე მისცა თანხმობა. საღამოს ექვს საათს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მედიკო მოსკოვის მატარებლის საერთაშორისო ვაგონში, ჯაბას გვერდით იჯდა. თბილისის გარეუბანს არ იყვნენ გაცილებული, ჯაბამ კუპე გადარაზა და ქალს შეუტია. მედიკომ ეს დიდად იუცხოვა, ხცადა დაყვირებით მოეშორებინა ასე ერთბაშად აწრიალებული კაცი, მაგრამ, როცა ვედრებით ველარას გახდა, ხელი ჰკრა და იყვირა: რას ჩადიხართ, მე თქვენ ვინ გგონივართ!

არც ამან გასჭრა, ვნებააშლილი ჯაბა აღარ მოეშვა; მედიკომ რომ შეატყო, ასე ადვილად ვერ მოიშორებდა ამ თავბრუდახვეულ მოძალადეს, კარი გააღო და დერეფანში გავარდა. იქ თბილისელ ნაცნობს შეეჩეხა, დაიბნა, მაგრამ უცებ მოეგო გონს და მის კუპეში შევიდა, თანდათან დამშვიდდა ქალი, და დინჯი საუბარი გაუბა ამ შორეულ ნაცნობს.

ჯაბა კი კუპეში უცდიდა, თავის გულს აწყდებობა. არა, ეს როგორ გაუბედა, ეს როგორ აკადრა, რა უმადური ვინმე ყოფილა, ნეთუ ასე დაუფასა ზრუნვა და ამაგი, — გახელებული მიჯნური მოუთმენლად უცდიდა მედიკოს დაბრუნებას. ქალი კი იგვიანებდა, ბოლოს ჯაბამ გაიფიქრა: ალბათ დერეფანში, ფანჯარასთან დგასო, ქურდულად გამოაღო კუპის კარები და გამოიხედა. დერეფანში არსად ჩანდა მედიკო ... გადიოდა დრო, უცდიდა ჯაბა. მოთმინება რომ აღარ ეყო, დერეფანში გამოვიდა. ერთხანს იდგა შეცბუნებული და ის იყო მატარებელი რომელიღაც სადგურზე გაჩერდა. ჯაბას უცებ მედიკოს ხმა ჩაესმა, შეიხედა კუპეში და დაინახა, რომ მედიკო ვიღაც მამაკაცების გვერდით იჯდა, არხეინად ესაუბრებოდა მათ, რაღაც სამხიარულოს უყვებოდა და აცინებდა თანამგზავრებს. ჯაბამ უკითხავად და უბოდიშოდ შეალაჯა მეზობელ კუპეში, ჩაება საუბარში, თან თავი ისე ეჭირა, თითქოს მედიკოსა და მას შორის არაფერი მომხდარიყოს.

ერთხანს ისაუბრეს, მერე მედიკო პირველი ადგა და თავის კუპეს მიაშურა. უფრო გვიან ჯაბაც წამოდგა. მეზობლებს დაემშვიდობა და ფრთხილად შეაღო კუპის კარი. ქალი უკვე იწვა და წიგნს კითხულობდა. ჯაბამ გადარაზა კარი, ტანთ გაიხადა და ფრთხილად ჩამოჯდა მედიკოს საწოლზე. ქალმა წიგნი განზე გადადო და მაცდურად გაუღიმა. — ხომ არ გაწყენინეთ, ბატონო ჯაბა, — სიტყვა „ბატონოს" ხაზი გაუსვა და ისევ მაცდურად გაიღიმა. — არა, რა იყო მაინც ასე ერთბაშად რომ მეცი, — ესა თქვა და ისევ გაუღიმა ქალმა. ჯაბამ ეს შერიგებად ჩათვალა და ხელები მოხვია მედიკოს. „როგორ მიბედავ, — კვლავ იყვირა ქალმა, — ახლავე ადექი და შენს ლოგინზე დაწექი".

ეს ისეთი შეუვალი ბრძანების კილოთი იყო ნათქვამი, სიტყვაც ველარ შეუბრუნა ჯაბამ, რაღაცას თავისთვის ლუღლუღებდა ისე, რომ თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა. ქალმა ეშმაკურად დაუყვავა: არა, ჯაბა, ერთბაშად ასე ბევრს ნუ მომთხოვ, ისე, თუ გინდა, სანამ დაგეძინება, ვისაუბროთ რამდენიც გნებოს, სხვას კი ნურაფერს იფიქრებ ... მე ქუჩის ქალი ხომ არ გგონივარ, შე კაცო! მართალია, ქმარს გავცილდი, მაგრამ პატიოსანი ქალი ვარ, ექიმი, და ჩემი შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ, ვინც არ უნდა მოინდომოს", —ესა თქვა და თავზე ხელი გადაუსვა. ჯაბას უთმო, პრიალა, ოფლიან თავს რომ შეეხო, არ ესიამოვნა და უმალ ხელი შეუშვა, ახლა ნიკაპზე მოეფერა, ნიკაპიც ოფლიანი ჰქონდა ჯაბას. ის ისევ აენთო, ქალმა ისევ გაუკავა ხელები და ისევ დააწყნარა. „თქვენ, მამაკაცები, საერთოდ, ეგოისტები ხართ, — ჩურჩულებდა მედიკო, — არც არაფრის გარჩევა იცით, თქვენთვის ყველა სულ ერთია, ოღონდ კაბა ეცვას და ქალი ერქვას, ჩემთვის კი სულერთი არ არის. მე ყველა კაცს ვერ დავენდობი, ჩემო ჯაბა, თუ გინდა მან ოქროს მთა დამიდგას, — აქაც ოქროს მთას ხაზი გაუსვა მედიკომ. — აი ვნახოთ, დღეს, ხვალ, მერე წინ სახტუმროა, შევეჩვიოთ ერთმანეთს, შევეჩვიოთ და შევეთვისოთ" — ეს სიტყვა „შევეთვისოთო" უსიამოვნოდ ჩაესმა ჯაბას, მაგრამ საპასუხოდ აღარაფერი უთქვამს. მედიკომ შეატყო, რომ ისე იყო გადარეული ჯაბა, რომ ასე დაყვავებით ვერაფერს გახდებოდა და ერთბაშად თვითონ ახტა ზემო საწოლზე და სინათლე ჩააქრო.

მოუსვენარი ძილი ჰქონია ჯაბას. დილით გამცილებელს მაცივარში შენახული საგზალი მოატანინა და მედიკოს სთხოვა სუფრა გაეშალა. ჯაბას ყველაფერი წამოეღო. ქალმა გაშალა სუფრა და ჯაბამ ისევ დაკეტა კუპე და კონიაკს მიეძალა. მედიკოსაც აძალებდა, ქალი ჯერ აჯუვა, მერე ჯაბას უთხრა — შენ მამაკაცი ხარ

და ორწილად მეტი უნდა დალიოო, და ჯაბაც მიეძალა კონიაკს, ისე დათვრა, ხელის განძრევის თავი აღარა ჰქონდა. ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა, მიეგდო საწოლზე და ხვრინვა ამოუშვა.

მედიკო დიდხანს დასცქეროდა მძინარეს, რაღაც საშინელი ზიზღი იგრძნო ამ კაციბადმი. მისი ხვრინვა პირდაპირ ყურს უბურღავდა, მზად იყო აელო რაღაც და თავში დაეკრა მძინარისათვის, ან თვითონ მიერტყა თავი კედლისათვის. თავისთავად წამოვიდნენ ცრემლები და ქალმა ჩუმი ქვითინი დაიწყო. ატირებულმა და აცრემლებულმა მედიკომ მუშტი სამჯერ ჩაირტყა თავში, ნაცვლად იმისა, რომ ჯაბასათვის დაერტყა რამე. ბოლოს, ძლივს-ძლიობით დაწყნარდა; ამ წვალებაში, როგორც იყო, დაალია გზაც.

სასტუმროში ჯაბამ ლუქსი დაიქირავა და ბატონკაცურად მოეწყვნენ. მანამდე უჩვეულო გრძნობა დაეუფლა ჯაბას, რაღაც გამოუცნობი აწუხებდა და ქეჯნიდა, მედიკოს წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, იგონებდა და ვერ მოეგონებია, რა მოხდა ვაგონში, როგორ იყო, რა იყო. ქალი კი ახლა ტკბილად ექცეოდა მას, შინაურულად ესაუბრებოდა და თავის გეგმებს აცნობდა. ჯაბა გულდასმით უსმენდა და ყველაფერზე ეთანხმებოდა. იმავე საღამოს დიდ თეატრში წავიდნენ. თეატრის თავი სადა ჰქონდა ჯაბას, მაგრამ რადგან მედიკომ მოისურვა, იმის სურვილს წინ ვეღარ აღუდგა. თეატრში მედიკომ ერთბაშად მოიწყინა. ახლა შინ მიეჩქარებოდა, იქ მოელოდა რაღაცას, რაღაცას ეძებდა, თვითონაც არ იცოდა რას, ვეღარ ისვენებდა. მეორე მოქმედება დამთავრდა თუ არა, მედიკომ ჯაბას განუცხადა — მეტი არ შემიძლია, თავი მტკივა, წავიდეთ აქედანო.

ჯაბა სიხარულისაგან ცას ეწია. სასტუმროში მივიდნენ თუ არა, ქალს შესთავაზა რესტორანში შევიდეთო. დიდ დარბაზში მუსიკა უკრავდა, ბახუსისაგან აღგზნებული ახალგაზრდები ცეხენდნენ, ცეკვავდნენ. მორთულ-მოკაზმული ხალხით სავსე, გაჩახჩახებული დარბაზი რაღაც ზღაპრულ სამყაროს ჰგავდა. მედიკო სულ დამშვიდდა. ახლა ის თვითონ მიეძალა კონიაკს, მეორე ჭიქა რომ გამოსცალა, ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა და ხთხოვა ეცეკვა მასთან. ქალი სიამოვნებით დაეთანხმა. უცნობი რუსი ყმაწვილი დიდად თავაზიანი აღმოჩნდა. ერთხანს ცეკვავდა მასთან მედიკო, მერე უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო, იმ ყმაწვილმა ხელი მოხვია და ისევ ჯაბას გვერდით დასვა. მედიკომ მაშინვე შესთავაზა ჯაბას, წავიდეთ აქედან, თავი მტკივა, მეტი არ შემიძლიაო. შევიდნენ თუ არა ლუქსში, მედიკო მაშინვე ლოგინში ჩაწვა, ისევ წაეტანა ჯაბა, მაგრამ ქალმა არც ახლა გაეკარა ახლოს. მეორე დილით ჯაბა ადრიანად გაიძურწა სასტუმროდან და სადამომდე არ გამოჩენილა. საღამოთი ისევ რესტორანში ჩავიდნენ. ახლა არა მარტო ჯაბა, მედიკოც აწრიალებული და აფორიაქებული იყო, ჯაბა ამშვიდებდა, რას არ პირდებოდა, რანაირ ზღაპრულ კოშკებს არ აგებდა, საზღვარგარეთ წაგიყვანო, უძვირფასეს სამკაულებს გიყიდიო, ეფიცებოდა სიყვარულს, ეფიცებოდა, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. „აი, დავბრუნდებით თბილისში და მაშინ დარწმუნდები, თუ როგორ მიყვარხარ, რაღაც ცუდი ფეხით გამოვედით თბილისიდანო, — წუხდა ჯაბა, — ისევ თბილისი თუ მიშველის, ჩემი თბილისი დამიბრუნებს რწმენას და შენს სიყვარულსო“. ვნებააშლილი ჯაბა ისევ ელაქუცებოდა ქალს, ისევ ეფერებოდა და თავმობეზრებული მედიკო ახლა კი მზად იყო სილა გაეწნა მისთვის; ახლა მას დასანახავადაც კი ეჯავრებოდა ჯაბა და რაც უფრო ელაქუცებოდა კაცი, რაც უფრო მეტად ეფერებოდა და სიმწრის ოფლში იწურებოდა, მით უფრო სძულდა და ეზიზღებოდა ქალს იგი. მესამე დილას ჯაბა ისევ ადრე გაიპარა სასტუმროდან, და საღამოთი ისეთი მთვრალი დაბრუნდა, რომ ენას ვერ აბრუნებდა. შემოვიდა თუ არა, რაღაც შეკრული ფუთები შემოიტანა და ზედ ლოგინზე დაყარა: „აჰა, ესეც შენ, ჩემო მედიკო, შენია, შენია ეს ყველაფერი“, და მოეხვია ქალს. პირიდან საშინელი სუნი ამოსდიოდა ჯაბას, ახლა მთლად შესძაგდა მედიკოს ეს კაცი და ის ღამეც წვალებაში გაატარა. ჯაბა კი ეგდო ტანგაუხდელად და ხვრინავდა, ხვრინავდა ისე, რომ ჭერი ცაში აჰქონდა.

დილის ჯერ შვიდი საათიც არ იყო, მედიკო ადგა, ტანთ ჩაიცვა, ჩემოდანი ხელთ აიღო და ის იყო უნდა წასულიყო, უცბად იფიქრა, ამან შეიძლება ქვეყანა შემიყაროს და ძებნა დამიწყოსო. ამიტომ, ორად ორი სიტყვა დაწერა: „საჩქაროდ გამომიძახეს და მივფრინავ თბილისს“. ქაღალდი მაგიდაზე დასტოვა და წავიდა. ჯაბას გვიან გაეღვიძა, მაგიდაზე ბარათი შენიშნა, აიღო, წაიკითხა, გაბრაზებულმა დაჭმუჭნა და გადააგდო. ორი დღის შემდეგ თვითონაც თბილისს გაემგზავრა.

მოსკოვიდან რომ დაბრუნდა, პირდაპირ მედიკოსთან მივიდა, ქალი შინ არ დახვდა. მისთვის ნაყიდი ძვირფასი ნივთები, საგულდაგულოდ შეფუთული ორი შეკვრა, მეზობელს დაუტოვა და სთხოვა, გადაეცითო. ასე უთხარით, რომ ეს ამანათი მოსკოვიდან გამომატანესო...

მეორე დღეს უთენია მიადგა მედიკოს. ქალი კარგ გუნებაზე დახვდა. ალბათ გასჭრა ძვირფასმა საჩუქარმა, მედიკო მოეფერა, მოეალერსა, უთხრა, — მე მართლაც გამომიძახეს საავადმყოფოდან, ხომ არ იფიქრე, რომ მოვიგონეო. ასეთ შეხვედრას ჯაბა არ მოელოდა. ახლა ერთბაშად აღტაცებული და აღგზნებული

მოეხვია ქალს. მედიკო მიჰყვა მამაკაცის ნებას.

იმავე დღეს ჯაბამ მედიკოს განუცხადა: შენ აქ ცუდ ოთახში ცხოვრობ, მეზობლები გვითვალთვალებენ. მე შენთვის სამოთახიანი ბინა ვიშოვე, ვიდრე კოოპერატიულ ბინაში გადახვიდოდე, მანამდე იქ უნდა ვიყოთო.

მართლაც, ორი დღის შემდეგ მედიკო იმ ახალი ბინის დიასახლისი გახდა, კიდევ ორი თვე გავიდა და ის ჯაბას მიერ აშენებული კოოპერატიული სახლის სამოთახიან ბინაში გადავიდა. მთელი ბინა უძვირფასესი ავეჯით ჯაბამ თავის გუნებაზე მოუწყო მედიკოს. თავს ევლებოდა ქალს, უზომოდ ანებივრებდა, მარტო იმაზე წუხდა, რომ ამ ბოლო დროს მოცლა აღარა ჰქონდა, ახალ-ახალი საწუხარი და საფიქრალი არ ილეოდა.

ადრე ჯაბამ არ იცოდა რა იყო შიში, ადვილად ვერაფერი შეაკრთობდა მას, გაბედულად და რისკით წყვეტდა ყოველ საკითხს, მაგრამ ამ ბოლო დროს მოუხშირეს საჩივრებს. იმდენჯერ დაიბარეს საკონტროლო კომისიებსა და საგამომძიებლო ორგანოებში, იმდენჯერ მოუხდა ახსნა-განმარტებათა წერა, რომ შიში, გამოუცნობი შიში შეეპარა მის სულს. ხშირად ღამეები არ ეძინა, ჩათვლემდა თუ არა, რაღაც წამოელანდებოდა, აბოდებდა, ვიღაცას ედავებოდა, ვიღაცას ებრძოდა, ვიღაცეები აქეთ ედავებოდნენ, აქეთ ებრძოდნენ. ერთხელ ნაცნობი პროკურორი დაესიზმრა, პროკურორს რატომღაც ბერის შავი ანაფორა ეცვა, ხელში ჯვარი ეჭირა და ის იყო ჯაბასათვის თავში უნდა ჩაერტყა— იყვირა განწირულმა და გამოეღვიძა. მერე ერთხელ რაღაც გრძელი კიბე ნახა სიზმარში — მარმარილოს საფეხურები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილი და მერე შეკეთებული იყო. ნაცნობი იყო კიბე, და უცებ კაახსენდა — ეს სასამართლოს კიბე იყო. რომ გაეღვიძა, ოფლში ცურავდა.

ასე ჩამწარებული ჰქონდა ძილი და ცხადში ხომ უარესი ხდებოდა. ვიღაცეები უჩიოდნენ და პასუხს სთხოვდნენ; ამას ისიც დაემატა, რომ მეორე კორპუსის განაწილების დროს რამდენიმე კაცის ჩასახლება ვერ მოხერხდა. ამით განაწყენებული მეპაიეები შეიკრიბნენ და საერთო განცხადება დაწერეს, ხოლო ის სამი კაცი, რომელთაც „ზედმეტი ხარჯებისათვის“ ყველაზე მეტი გადაიხადეს, მუქარას უთვლიდნენ ჯაბას. მან ხომ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა, რამდენი უკანონობა და უსამართლობა ჰქონდა ჩადენილი და ისიც იცოდა, თუ რა დაემართებოდა, ყველაფერი ეს მზის სინათლეზე რომ გამოსულიყო. ამიტომ ყველგან თავისი კაცი ჰყავდა, ყველა თადარიგს იჭერდა; მიუხედავად ამისა, უფრო და უფრო მოუხშირეს გამოძახებასა და ახსნა-განმარტებათა მოთხოვნას. ნადირის შეუცდომელი გუმანითა და ყნოსვით გრძნობდა ჯაბა, რომ ჰაერში რაღაც სხვა სუნი ტრიალებდა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რაკი საქმის თანამოზიარენი ჯერ კიდევ თავთავის ადგილებზე ეგულებოდა: მარტო მე ხომ არა ვარ, ამ საქმეში ვინ მოსთვლის ვინ არ ურევია, რა ღმერთი გაუწყრებათ, მე თუ არა, თავის თავს მაინც გაუფრთხილდებიან. არა, საქმე ისე არ წახდება. რომ ასეთი ბობოლა ხალხი ასე ადვილად დააფრთხონ და შეაშინონ. არა, ჩემი შიში და ეჭვი უსაფუძვლოა, — ინუგეშებდა თავს, მაგრამ ამაოდ. სწორედ იმ დღეს შეატყობინეს, რომ ამა და ამ კაცის პირველი მოადგილე დაუკავებიათო. მთელი ღამე არ ეძინა ჯაბას, რაღაც გეგმებს ადგენდა, მაგრამ მეორე დილით კიდევ უარესი ამბავი ამცნეს — მავანი კაცი მოუხსნიათო, მავანი და მავანი დაუჭერიათო.

ახლა ნამდვილად შეშფოთდა ჯაბა, სულ მალე ვრცელი წერილი დაიბეჭდა გაზეთში — რაიკომის მდივანს ეხებოდა და, სხვათაშორის, ამ წერილში ლაპარაკი იყო ჯაბას მიერ კოოპერატივში უკანონოდ ჩარიცხულ გვიმრაძეზეც. გვიმრაძე მხილებული იყო როგორც მექრთამე და ისიც იყო აღნიშნული თუ რა გზით შეაღწია მან კოოპერატივში. სულ გადირია ჯაბა, რედაქციაში მივიდა, ნაცნობი ინახულა და სთხოვა საპასუხო წერილის დაბეჭდვა მომიხერხეო. შენ ხომ არ გადარეულხარო, უპასუხა ნაცნობმა. ჯაბა უფრო ზევით წავიდა, მაგრამ სასურველი პასუხი ვერც იქ მიიღო. იგი კარგად ხედავდა და გრძნობდა, რომ მარტო ახალმა ძლიერმა სიომ კი არ დაბერა, ქარიშხალმა დაიწყო გრიალი. ახალი ხალხი მოვიდა და ჩაუდგა საქმეს სათავეში. ჯაბა მათ ახლოსაც არ გაიკარეს. რაკი ასე უკუღმა დატრიალდა ჯაბას ბედის ბორბალი, მან ახალი ფანდის გამოყენება სცადა. მიადგა ძველ ნაცნობებს, თავისი საქმის თანამონაწილეებს და მუქარით უთხრა: მე თუ ჩავვარდი, იცოდე, არავის დაგინდობთო... ისინი, თავის მხრივ, გაუწყრნენ და გაუჯავრდნენ: — როგორ ბედავ. თუ რამე დარღვევები გაქვს, შენ თავს მოსთხოვე პასუხი, ჩვენ რაში გვეკითხება შენი გაოხრებული საქმეო.

ამას აღარ მოელოდა ჯაბა, აყვირდა: — როგორ, ახლა ამბობთ ამას, რატომ მაშინ არ იღებდით ხმას, როცა თქვენთან ფული მომქონდაო... ძველი ნაცნობები უფრო მეტად აუყვირდნენ: — რას როშავ და ჩმახავ. რა ფული, რის ფულიო — ერთპირად შეუტიეს ჯაბას და გარეთ გამოაგდეს.

ამას კი არასგზით არ მოელოდა, შინ გუნებაწამხდარი და დაძმარებული მოდიოდა, სწყევლიდა თავის თავსაც და მთელ ქვეყანასაც. უცებ, შუა გზაზე შეჩერდა და წამოიძახა: — კარგი, ვნახოთ, მე თუ ჩამაგდეთ, არც მე დაგაყენებთ კარგ დღეს, ვნახოთ, ვინ უფრო უნამუსო აღმოჩნდება, ვნახოთ, ვნახოთ...

ჭირს ჭირი დაემატაო, ნათქვამია; გარეთ რომ ეს უბედურება დაატყდა თავს, შინაც აერია ჯაბას ოჯახი. მის ცოლს მეგობარმა ქალმა ნატომ საიდუმლოდ ჩაუწვეთა ყურში: ქალო, არაფერი გაგიგია, მთელი თბილისი ლაპარაკობს, შენი ქმარი მედიკოს ჰყვარობსო. ვინ მედიკოსაო, შეიცხადა თინამ. ნაცნობმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი — სწორი თუ მართალი, რაც მოეკრიფა და გაეგონა ქალაქის მეჭორეებისაგან, უამბო მოსკოვს გამგზავრების ამბავიც, ბინის ამბავიც. თავზარი დაეცა თინას, მაგრამ უცებ თითქოს გონს მოეგოო, მეგობარს შეეპასუხა — არა, მე ეს არა მჯერა, ჯაბა ოჯახის ერთგულია, მეც და შვილებსაც თავზე გვევლება, არა, ჩემო კარგო, ამას ჩემი მტრები იგონებენ და ავრცელებენ, შურთ ჩემი ქმრისა, შურთ ჩემი და ჩემი ოჯახის, კარგად რატომ ცხოვრობსო, თვითონ დოყლაპია ქმრები ჰყავთ, ამიტომ შურით კვდებიან. შენც არ უნდა აჰყოლოდი იმათ ლაპარაკსო.

ეწყინა ეს ნაცნობს და გაბრაზებულმა უთხრა თინას: — „იცით თუ არა, რომ იმ მედიკოს შენმა ქმარმა სამოთახიანი ბინა აჩუქა?“ „არა, ეგ ჭორია, ის ქალი სადღაც დაქირავებულ ბინაში ცხოვრობსო.“ დიდხანს იდავეს და ისაუბრეს ქალებმა. ბოლოს, თინა შეეხვეწა ნაცნობს: შენი ჭირიმე, უფრო დანამდვილებით გამიგე ყველაფერი, ეგებ შენ თვითონ შეამოწმო, ჩემთვის სირცხვილია, შენზე კი არაფერს იტყვიან, შეამოწმე და მერე მითხარი ყველაფერი — ემუდარებოდა თინა მეგობარ ქალს.

ჯაბა შინ რომ დაბრუნდა, ცოლმა ამ ამბებზე არაფერი უთხრა, მარტო ის უსაყვედურა — სადა ხარ, სად დაიარები, მთელი დღეა ვილაცეები გეძებენ, არ ვიცი რა უნდათო. მერე თინამ ტირილი დაიწყო, მაგრამ ჯაბას მისთვის აღარ ეცალა, უფრო დიდი სადარდელი აწუხებდა; ადგა, ცოლისთვის არც შეუხედავს, გამოვიდა შინიდან, გამოვიდა და ქუჩაში ნატო შეეჩეხა, მიესალმა, გაუცინა, მაგრამ ჯაბას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იმ კორპუსს მიაშურა, სადაც მედიკო ეგულებოდა. ახლა მარტო მედიკოს შეეძლო მისი აფორიაქებული სულის დამშვიდება. ნატო ფეხდაფეხ მიჰყვა და, როცა დარწმუნდა, რომ მედიკოსთან შევიდაო, უკანვე გამობრუნდა და ჯაბას მეუღლეს მიაშურა. თინა ატირებული დახვდა მეგობარ ქალს; ნატო აღარაფერს მოერიდა და შეწუხებულ ქალს პირდაპირ მიახალა: — ადექი, თუ გინდა დარწმუნდე პატიოსანია თუ არა შენი ქმარი, აი წავიდეთ; სად მიგყევართ, ეკითხებოდა თინა და თან მიჰყვებოდა ნაცნობს. მალე მედიკოს ბინას მიადგნენ. ის იყო კარიც გაიღო და ჯაბა გამობრძანდა, მედიკომ ღია კარიდან ღიმილით გამოაცილა მიჯნური. ალბათ საშინელი სცენა დატრიალდებოდა, მაგრამ თინას იმდენი ღირსება აღმოაჩნდა, რომ პირველი გამოტრიალდა და კიბეები ისე ჩამოათავა, უკან არ მოუხედავს. ჯაბა დაიბნა, ვერ გარკვეულიყო რა მოხდა, მაგრამ ახლა ეს გარემოება არც აფიქრებდა და არც აწუხებდა. შინ მოვიდა თუ არა, ცოლი ეცა, დაუწყო გამოკითხვა, თუ ვინ არის მედიკო, ვინ მისცა მას ბინა, ან რა უნდოდა მის ბინაზე ჯაბას.

ჯაბა ახლაღა მიხვდა, რომ მახეში გაება და თავის მართლებას შეუდგა, მაგრამ თინა შემლილს გავდა და აღარაფრის გაგონება არ უნდოდა. როგორ ვერ მივხვდი, ამ ბოლო დროს ნახევარჯერ სახლში რომ არ იყავი, რატომ ერთხელაც არ მივიტანე ეჭვი, მთლად უსინდისო არ ყოფილხარო, — უნდოდა უფრო უარესიც ეთქვა, მაგრამ ჯაბამ დასტაცა ქუდს ხელი და გავარდა სახლიდან. ისევ კანტორისაკენ გასწია. იქ ახალი უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს. იმ დილით ჯაბას ყველაზე ახლობელი და სანდო შუამავალი დაეჭირათ. ეს შუამავალი, იმავე დროს, ხელოსანი იყო, მშენებლობაზე კალატოზად მუშაობდა. მან გაუკეთა ჯაბას ბინაზე საუცხოო, ორიგინალური ბუხარი, ცეცხლგამძლე, შავი აგურით ნაშენ ბუხარს, შუაწელს ზემოთ, ორი დიდი ყუთი ჰქონდა ჩატანებული, ჯაბამ ეს ყუთები გარედან აგურის ფერად შეღება, ისე, რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო და თვალში არავის სცემოდა. ხელოსანს მაშინ ასე აუხსნა, ახალი ნაშრომი მაქვს დაწყებული, დასაიდუმლოებულ გამოკვლევას ვეწევი, ძალიან მეშინია უცხოეთის დაზვერვამ კვალი არ თოლოს. ამიტომ ხელნაწერები და გამოთვლები აქ უნდა შევინახოო. ნამდვილად კი ჯაბას ყველაფერი ეს ფულისა და ძვირფასი თვლების შესანახად სჭირდებოდა. პირველ ყუთში გადანახული ჰქონდა მთელი ის თანხა, რაც „ზედმეტი ხარჯებისა“, უკანონოდ ჩარიცხული სტუდენტების, უკანონოდ დაწერილი ნიშნების ქრთამად ჰქონდა აღებული, მეორე ყუთში — ოქროულობა, ბრილიანტები და სხვა რამ ძვირფასი ნივთები ელაგა. საჭირო სახარჯო ფულს კი ჯაბა საწერი მაგიდის ყუთში ინახავდა. ამ უჯრის გასაღები თინას ჰქონდა ჩაბარებული და ქმარი მას ხელს არ უშლიდა, რამდენიც უნდოდა, იმდენი ამოეღო იქიდან.

ცეცხლგამძლე ყუთების საიდუმლო კი მარტო ჯაბამ იცოდა, და ალბათ კიდევ იმ ხელოსანმა, რომელსაც მან ესოდენ ოსტატურად შეთხზული ზღაპარი უამბო თავის აღმოჩენასა თუ გამოკვლევაზე, ახლო ხანში მთელი ქვეყანა რომ უნდა განეცვიფრებინა.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

# რომანი და თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემები

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო პრაქტიკაში მკვეთრად და თვალსაჩინოდ იზრდება მნიშვნელობა რომანისა, რომელიც ამ ჟანრული ფორმის სულ უფრო მეტ სპეციფიკურ ნიშანთვისებებს მოიცავს. ასეთი „კრებადი", სინთეზური რომანის ნიშანდობლივი მხარეები, რაც დრო გადის, უფრო გარკვევით და სრულად იკვეთება. ეს იმითაც გამოიხატება, რომ იშლება ზღვარი წმინდა ფსიქოლოგიურსა და წმინდა სიტუაციურ ნაწარმოებებს შორის; როგორც ცნობილია, სიტუაციურ რომანში შინაარსის გადმოცემის მთავარ საშუალებას ამბის თხრობა, ამბავთა მონაცვლეობა, მოვლენათა განვითარება წარმოადგენდა. სინთეზურ რომანში, კი ამბავთან ერთად, თანაბარი უფლებით და თანაბარი ძალით არის ასახული შინაგანიცა და გარეგანიც.

ადრინდელ წლებში, პროზის ცალკეულ სახეთა დაშორიშორებაზე მავნე გავლენა მოახდინა არასწორმა თემატურმა დაყოფამაც („საკოლმეურნეო", „სამრეწველო" და „ინტელიგენციის" თემაზე დაწერილ ნაწარმოებებად), რამაც ზიანის მომტანი ზღუდეები აღმართა და მწერლებს ვიწრო შემოფარგვლისაკენ, თემატური და ჟანრული სივიწროვისაკენ წაუბიძგა.

ქართველმა ბელეტრისტებმა თამამად დაარღვიეს ეს ხელოვნური ზღუდეები და არა მარტო ერთობლიობაში ასახეს სხვადასხვა საზოგადოებრივი კატეგორიის წარმომადგენელთა შრომა-საქმიანობა (რაც უფრო სრულსა და ღრმა სურათს იძლევა თანამედროვე ცხოვრებისას), არამედ შეძლეს ფსიქოლოგიური და გარეგნულ-სიტუაციური დახასიათების გამთლიანებაც. თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშთა უმრავლესობა სწორედ ასეთი თვისობრიობით ხასიათდება.

ასეთი „სინთეზური" ხასიათისაა ცნობილი ქართველი მწერლის, ალიო ადამიას რომანი „დიდი და პატარა ეკატერინე", რომელიც დამთავრებული სახით ცალკე წიგნად სულ ახლახან გამოიცა, ხოლო მანამდე „მნათობში" გამოქვეყნდა. მრავალმხრივ საგულისხმო ამ რომანმა უკვე მოასწრო ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა. ამ ინტერესის ერთ-ერთი გამოხატულებაა გიორგი ჯიბლაძის საფუძვლიანი და დიდად საყურადღებო კრიტიკული წერილი, დაბეჭდილი ალმანახ „კრიტიკაში" (1978 წ., № 5).

ქართველი მკითხველისათვის ალიო ადამია კარგად ცნობილი შემოქმედებითი პიროვნებაა. მისი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, წერილები, ოცდაათიანი წლებიდან იბეჭდება ქართულ პრესაში. ეს თხზულებები, რა ჟანრისაც არ უნდა იყვნენ ისინი, თავისებური ხელწერით გამოირჩევა და ცხოველი ინტერესის აღმძვრელია. ალიო ადამია „ძუნწ" პოეტთა რიცხვს ეკუთვნის: ასეთები ღლენიადაგ არა წერენ, მაგრამ როცა დაწერენ, მათი მხატვრული ნიმუშები ნამდვილი გულწრფელობითა და პოეტური მადლიანობით არის აღბეჭდილი.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ (რომელსაც პოეტი იშვიათად თუ არღვევდა პატარა, მაგრამ ნატიფი ლექსებით), იგი სრულიად ახალ თვისობრიობაში წარმოდგა, შექმნა შინაარსობრი-

ვად უაღრესად საყურადღებო, მხატვრულად ძალზე საინტერესო პრობლემური რომანი, ჩვენი დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე, რომელიც თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის სასიხარულო შენამატს წარმოადგენს და თავისებური სიახლე შეაქვს ჩვენს ბელეტრისტიკაში.

ბოლო ათწლეულში ჩვენ მოწმენი გავხდით ქართველ პოეტთა „ლაშქრობისა" პროზაში. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაბიჯმა ძალზე კარგი ნაყოფი გამოიღო და დღეს, მგოსანთა წვლილი თანამედროვე ქართული პროზის წარმატებებში ერთობ დიდია. პოეტთა გადასვლა პროზაში არ წარმოადგენდა გაქცევას პოეზიიდან და ოდნავადაც არ მოასწავებდა მათი პოეტური ენერგიის ამოწურვას. ეს იყო ამსახველობითი საშუალებების კანონზომიერი შეცვლა, ამ უკანასკნელთა გამრავალფეროვნებისა და გამდიდრების მიზნით, ნაგრძნობ-ნაფიქრალის უკეთ გამოხატვის მიზნით,

პროზა იყო, არის და იქნება ყველაზე მძლავრი, ყველაზე მოხერხებული, ჭეშმარიტად ამოუწურავ შესაძლებლობათა ჟანრი თანამედროვეობის გაშლილი რეალისტური ჩვენებისათვის. ამ მხრივ, მის ძალასა და ქმედითობას ვერაფერი ვერ შეედრება. იგი კიდევ არა ერთ შემოქმედს „გადაიბირებს" და არა ერთს მათგანს გაიერთგულებს. ასეთი გადასვლა ბელეტრისტიკაში (დროებითი იქნება იგი, თუ სამუდამო), არა მარტო პროზაიკოსთა კადრების შევსების ერთი გზათაგანია, არამედ ლიტერატურული ცხოვრების გარდუვალი მოვლენაც.

ალიო ადამიაც იმავე მიზეზებმა მოიყვანეს მხატვრულ პროზაში, რამაც სხვა ქართველი პოეტები. საყურადღებო აქ ის არის, რომ აქაც იგი დასრულებულ ოსტატად წარმოგვიდგა და ქართულ რომანისტიკაში სხვისი სამოსით კი არა, საკუთარი იერით შემოვიდა. ეს არ არის შემთხვევითი: გარკვეული გამოცდილება პოეტურ ეპოსში ყოველთვის ქმნის საფუძველს ბელეტრისტული წარმატებებისათვის. სიუჟეტზე, ხასიათებზე, კომპოზიციაზე გაწეული მუშაობა აადვილებს პოეტ-ეპიკოსის პროზაიკოსად გაზრდას.

ალიო ადამიას რომანი მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. იგი საგულისხმოა თავისი დადებითი თვისებებითაც და ზოგიერთი ნაკლითაც, რამდენადაც, არა მარტო ნაკლოვანებათა რაობის, არამედ ამ უკანასკნელთა წარმომქმნელი მიზეზების გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს, რაც ყოველთვის ჩამაფიქრებელი და სასარგებლოა.

„დიდი და პატარა ეკატერინე" გარკვეული თემატური პოლიფონიით გამოირჩევა. ავტორმა შესძლო ერთ სიუჟეტურ გორგალში, სხვადასხვა ამბების მრავალფერადი გრეხილი მოეცა. თხრობის თითოეულ ამ „ძაფთაგანს" საკუთარი სიუჟეტი, საკუთარი კვანძი თუ კულმინაცია, თავისი დრამატიზმი, თავისი იდეურ-შინაარსობრივი და შემფასებლური ხასიათი გააჩნია. ამბის ასეთი გააზრებული დიფერენცირებით, მისი დატოტიანებით, ნაწარმოების მთლიანი სიუჟეტი არა ზარალდება; პირიქით, ცხოვრებისეული მაგალითებით, კონკრეტული ფაქტებით მდიდრდება და მათივე შემწეობით მეტ დასაბუთებას იძენს; ამის გამო, საბოლოო ანგარიშში, რთული თანამედროვე ცხოვრების, რთულ, მაგრამ მკითხველისათვის ადვილად გასაგებ და ადვილად მისაწვდომ სურათად გვევლინება.

ალიო ადამიამ თანამედროვე ყოფის არა ერთი საჭირბოროტო საკითხი ამოატივტივა, არაერთი მათგანი გაიხადა განხილვა-შეფასების საგნად, რითაც კიდევ უფრო გაათვალსაჩინოა ისინი და ამით საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო.

რომანის პრობლემატიკა ფრიად მდიდარია: ქართული სოფლის ხალხისაგან საგანგაშო დაცლა და სოფლის ახალგაზრდობის ქალაქისაკენ ავადმყოფური ლტოლვა; შეცდომები სახალხო მეურნეობის დაგეგმარებაში (როცა, ხშირად, სოფლად ვნერგავთ არა იმას, რასაც მეტი პერსპექტივა აქვს); სამეცნიერო კადრების გადაჭარბებული ზრდა („არამწარმოებლური", რომ არა ვთქვათ, არაინტელექტუალური, შენამატის ხარჯზე); ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შევსება ჭეშმარიტ ნიჭიერებას მოკლებული ადამიანებით; საქმის სათავეში მოხვედრილი გულცივი ბიუროკრატების და უუნარო ხელმძღვანელების მიერ მოტანილი ზიანი (ხშირად ძნელად შესამჩნევი და ამიტომ კიდევ უფრო საშიში); რაიონის ზოგიერთი ვაიხელმძღვანელის შეზღუდული ანგარებიანი ბუნების ნათელყოფა; წრეს გადასული დისერტაციომანია (როცა ყოველი მესამე კაცი ხარისხის დაცვაზე ზრუნავს) და ზოგიერთ უპრინციპო მეცნიერის მავნე „მედასეობა"; საშუალო სკოლის პედაგოგთა მორალურ-პროფესიული სახის ჩვენება და მოსწავლეთა აღზრდის რთული პრობლემატიკა; სიყვარულის, ცოლქმრობის, ოჯახის საკითხები — აი, დაახლოებით ის ვრცელი სფერო რომანის თემატიკისა, რომელიც არც თუ ფრიად რთული, მაგრამ ტევადი სიუჟეტისა და მოქნილი, ამბავთა მონაცვლეობაზე აგებული კომპოზიციის წყალობით ავტორმა ერთიანი არტახებით შეკრა და მთლიანი, ლოგიკურად თანმიმდევრული ამბის ხასიათი მისცა.

როგორც ვხედავთ, რომანში მრავალი საჭირბოროტო პრობლემაა აღძრული. მასში მოხერხებულად და დამამახსოვრებლადაა ნაჩვენები ის ხავალალო ნაკლოვანებები, რომელიც დღეს, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენენ და რომელთა აღმოფხვრისათვის ახე

თავგამოდებით იბრძვის ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საზოგადოებრიობა; ნაკლოვანებები, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო ჩვენი უახლოესი წარსულისათვის, როცა მექრთამეობა, კორუპცია, პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი მრავალს გაუჯდა ძვალრბილში და უხეშად დაარღვევინა სოციალისტური ყოფის ნორმები, პარტიული ეთიკა, საზოგადოებრივი დისციპლინა.

მრავალი ქართველი მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჯარ კიდევ მაშინ ალიმაღლეს ხმა უმსგავსობათა წინააღმდეგ, როცა ეს სავალალო ნაკლოვანებები ბევრს საძრახისად არ მიაჩნდა. ალიო ადამიას რომანიც სწორედ მაშინ იწერებოდა, როცა ჩვენი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჯეროვანი ბრძოლა გამოცხადებული. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ამ რომანის მნიშვნელობას. ამითივე აიხსნება მისი კრიტიციზმი, მაგრამ არა ყოველივეს დამგმობ-დამძრახველი ან გამკილავ-გამამასხრებელი, არამედ მოქალაქეობრივი გულისტკივილით ალბეჭდილი და თვითმიზნურობას, უხეშ ნატურალიზმს მოკლებული.

განა ცოტა გვყავდა საქართველოში რომანის ერთ-ერთი გმირის, კონსტანტინე კაკუბერისთანა რაიკომის მდივნები, მიმზიდველი დარდიმანდი ვაჟკაცები, რომლებიც ნათესაურ-მოყვრული, ძმა-ბიჭური პრინციპებით მართავდნენ რაიონს, საჩვენებელი რიხი მთავარ ღირსებად მიაჩნდათ, ეშხიანად თამადობდნენ, ლამაზად მეტყველებდნენ და ანგარებით კი ხელმძღვანელობდნენ? ასეთებს გზებიც ისე გაყავდათ, მეურნეობებსაც იქ აარსებდნენ, სავალდებულო კულტურებსაც ისეთს ირჩევდნენ, კადრებსაც ისე ანაწილებდნენ, როგორც მათი ვოლუნტარისტული ბუნება, სხვისადმი მაამებლობა, პირადი ინტერესი, თავის გამოჩენის სურვილი თუ ანგარებიანი, მიზნები უკარნახებდნენ.

განა ჩვენი ცხოვრების მრავალი უბანი პირწავარდნილი ხაქმოსნების ხელში არ იყო ჩავარდნილი? სასადილოს ან პაწია წარმოების უბრალო გამგე, ნაქურდალი ფულის წყალობით ისეთ ძალად იყო ქცეული, რომ ვერა თუ ვერ ამოძირკვავდი, ვაგლახად ხელსაც ვერ შეახებდი.

ავანტურიზმის მოჭარბებამ, გამდიდრებისაკენ ლტოლვამ მრავალს აუბნია გზა-კვალი. მწერალი ერთი ასეთი „გაორებული“ ადამიანის, შადიმან შარანგიას მაგალითზე, დასამახსოვრებლად და ექსპრესიულად გვიხატავს მავნე ტენდენციების იმ ზიანს, რომელთაც შორს ჰქონდათ ფესვი გადგმული.

შადიმანი განათლებით ისტორიკოსია, მას ფილოსოფიურ ფაკულტეტზეც უსწავლია, მაგრამ მეცნიერებისათვის „თავი დაუკრავს“ და სასადილოს გამგე გამხდარა. ახლა მან ბაზარი (ოფიციალურიცა და არალეგალურიც) ხუთი თითივით იცის. მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდება, იგი შინაგანად პატიოსანი კაცია და პატიოსანი შრომა სწყურია. განა ცოტა იყო ასეთი „ძალად ყაჩაღი“, რომელსაც სხვათა მაგალითი, უფროსთა მოთხოვნები თუ დაწესებულებაში დამკვიდრებული „ტრადიცია“ და „შინაგანი წესი“ თაღლითობისკენ უბიძგებდა?

განა ცოტას ვიცნობთ სილოვან რამიშვილისთანა გაამპარტავნებულ პროფესორს, რომელიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, ან მის უბანს პირადი კაპრიზების, სიმპათია-ანტიპათიის, პატივმოყვარეობის და ვიწრო ეგოისტური მიზნებით წარმართავენ; ასეთები იუბილეებს იწყობენ, ჯილდოებს ითხოვენ, მოწინააღმდეგეებს ებრძვიან, თანაც მოხერხებულად ჩრდილში ამყოფებენ ახალგაზრდა კოლეგებს, რომელთა მიმართ გარეგნულად „მამაშვილურ მზრუნველობას“ იჩენენ.

მხატვრულმა ალღომ, წლობით ნაზარდმა და გამოცდილებით გამდიდრებულმა, საშუალება მისცა ალიო ადამიას მწყაზარი შენობა შეექმნა და იგი ცოცხალი, მართალი ადამიანებით დაესახლებინა.

ეპიკური ტილო შენობასა ჰგავს; გარემოებათა ახუხულავებით შესაძლოა გარეგნულად მიმზიდველი, ერთი შეხედვით, მონუმენტური შენობა ააგო, მაგრამ ადამიანებით ვერ დაასახლო და შენობა სამუდამოდ უკაცრიელი დაგრჩეს. ცარიელი შენობა კი ყოველთვის გულმიუსვლელი და ცივია. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, შენობა გარეგნულად მიმზიდველი ვერ გამოგივიდეს, მაგრამ შიგ ისეთი საინტერესო ადამიანები ჩასახლდნენ, რომ სამუდამოდ მიგიზიდონ, გაგიერთგულონ და მათთან ყოფნის მონატრული გაგხადონ.

მხატვრული ნაწარმოების ფასი სწორედ „შენობაში“ მცხოვრებ იმ ადამიანებითაა გაპირობებული, ვისაც ჩვენ პროფესიულ ენაზე პერსონაჟებს ვუწოდებთ. სწორედ ისინი ანიჭებენ ცხოველმყოფელობას ყოველ ნაწარმოებს და არა ეფექტისათვის გამიზნული სიუჟეტურ-კომპოზიციური სვლები, რომელიც ჩვენს გულსა და გონებაში კვალს არა ტოვებს და „მოდურ“ ილეთებად აღიქმევა (სხვათაშორის, ჩვენდა სამწუხაროდ ასეთი ცდუნება ქართულ პროზაში თანდათან ხშირდება და ზოგჯერ კრიტიკოსთაგან ფრიად მაღალ შეფასებასაც კი იღებს).

ალიო ადამიას ნაწარმოების სიუჟეტი არ გამოირჩევა მეტის მეტი დახლართულობით და ზედმეტი გადატვირთულობით (თუმცაღა, მასში საკმაოდ უხვადაა ჩართული თხრობის ტემპის შემანელებელი წიაღსვლები-მოგონებები, სიზმრები, მოჩვენებები). იგი საკმაოდ შეკრულია და ლოგიკური, ამასთან ფრიად მოხერხებული და ტევადია მწერლის ჩანაფიქრის რეალიზაცი-

ისათვის. სიუჟეტის ფაბულური ჩონჩხიც ერთობ სადაა, მაგრამ ისიც მეტად შესაფერისი ძირითადი მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად.

ავტორი თავიდანვე აბამს მოქმედებაში რომანის მთავარ გმირს, რევაზ ჩაფიჩაძეს; იგი საცოლესთან, რუსუდან დიასამიძესთან მიდის სტუმრად. ეს არის რევაზის პირველი შესვლა ოჯახში, რომლის ამპარტავანი წევრებიც, ღმერთმა უწყის რატომ, თავის თავს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებად თვლიან (ცუდაბზიკა და თვითმარქვია ოჯახებს, აბა, რა გამოლევს!).

დასაწყისში ავტორი რაღაც უწყინარი იუმორით და ფარული ირონიით ეპყრობა რევაზს. ეტყობა ჯერ კიდევ არ იცის „რა გამოვა" ამ მორცხვი, უთქმელი, პროვინციელი ყმაწვილისაგან, რომელიც თავისი თანმიმდევრულობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ემზადება. ავტორის არც თუ სიყვარულიანი და აღტაცებული დამოკიდებულება რევაზისადმი ალბათ, გამოწვეულია არა იმდენად მისდამი სიმპათიაანტიპათიით, რამდენადაც იმ გარემოსადმი მიმართებით, რომელშიც რევაზი სიძედ შედის.

მშრომელი გლეხის შვილი, სოფელში გაზრდილ-დავაჟკაცებული, სალონურ ცხოვრებას მიუჩვეველი, იგი თავის ბედს უკავშირებს პროფესორის განებივრებულ ქალიშვილს, არც თუ მთლად უნიჭოს ან უხასიათოს, და არა უზნეოს, მაგრამ მაინც თავის თავსა და ოჯახზე გაზვიადებული წარმოდგენის მქონეს, საკუთარ ღირსებათა უფრო დიდად დამნახველს, პატივმოყვრული სურვილებით აღსავსეს და რაღაც საგანგებო მდგომარეობისაკენ მსწრაფს.

პირველ ხანებში, რევაზი შესამჩნევად შებორკილი და უფერული მოჩანს და ძნელი სათქმელია, ეს თვით ამ სახის თვისებაა. ავტორს არ ეყო ფერები მისი რელიეფურობისა და გამოკვეთილობისათვის, თუ ეს საგანგებო ხერხია და რევაზის ხასიათის მხატვრული ნათელყოფა შემდეგისათვისაა შემონახული. ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ მოქმედების შემდგომი განვითარება იძლევა და მკითხველს პატარა „აღმოჩენის" წინაშე აყენებს.

სხვათა შორის, ასეთ „აღმოჩენებთან" მწერალს არაერთხელ მივყავართ, ისინი გზა და გზა ხაფანგებივით არიან დაგებული და ჩვენს მობილიზაციას, ჩვენი ესთეტიკური განცდის გააქტიურებას იწვევენ.

ამრიგად, კონფლიქტი რომანის სათავეშივე იქმნება, რადგან მომავალი ცოლქმარი — სხვადასხვაგვარი აღზრდის, სწრაფვის, იდეალებისა და საზოგადოებრივი შეგნებულობის გამო — ანტიპოდებად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებულ არსებებად გვევლინებიან.

პროფესორის ქალიშვილს ეგონა, რომ მისი ქმარიც პროფესორი გახდებოდა და ჩვეული ცხოვრება, მდორე და აუღელვებელი, კვლავაც გაგრძელდებოდა, თავისი რიტმის შეუცვლელად, კონტრასტების გვერდავლით, დამკვიდრებულ წესჩვეულებათა რღვევის გარეშე. მაგრამ შეცდა: ხარისხის დაცვის შემდეგ, რევაზი გადაწყვეტს მშობლიურ სოფელში დაბრუნებას და სამუდამოდ იქ დასახლებას. რევაზს თავის სასიცოცხლო ამოცანად დაუსახავს მამისეული სოფლის აღორძინება, ახალ სამეურნეო საფუძველზე მისი განვითარება, მისი აყვავებისა და ეკონომიურ-კულტურული წინსვლისათვის ზრუნვა.

ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ რევაზის სოფელი არ გამოირჩევა სხვა სოფლებისაგან არც ბუნებრივი მონაცემებით, არც სხვა რაიმე მომგებიანი პერსპექტივით. დღეს კი ამის გარეშე ვერც ერთი დასახლება ვერ განვითარდება. ავტორი კარგად გრძნობს ამას და ხემალალის მომავალი განვითარების ეკონომიკურ საფუძვლად მეაბრეშუმეობას სახავს. ტექნიკურ-შემეცნებითი თვალსაზრისით პრობლემა ცოტა გულუბრყვილო ჩანს, მაგრამ პრობლემის წმინდა „ტექნიკურ" ე. ი. სამეურნეო საფუძველს მკითხველისათვის მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ხემალალის ბედი უფრო ნართაულ, სიმბოლურ პლანში იკითხება და ზოგიერთი ქართული სოფლის განზოგადებულ სურათად აღიქმება.

ასეთი ბედი ეწია საქართველოს მთიანეთის მრავალ დაბა-სოფელს. ასეთი გასაჭირი (ხალხისაგან დაცლა) ადგას საქართველოს ბარსაც და ძალზე ენერგიული ზომები, მარადი რუდუნება, შეუნელებელი ზრუნვა, უქრობი წადილია საჭირო, რათა ეკონომიკური შარაგზის გარე მდებარე სოფლები ნასოფლარებად არ გადაგვექცნენ. აი, სწორედ ეს არის რომანის ავტორის ერთი უმთავრესი სატკივარი, მისი ძირითადი საზრუნავი და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ დიდმა საფიქრალმა განაპირობა მთავარი კონფლიქტის ხასიათიც და მისი სიმძაფრეც.

მართალია, ავტორი არ იძლევა იმ შინაგანი სულიერი ბრძოლის სურათს, რის შედეგადაც რევაზმა თავისი გადაწყვეტილება მიიღო (და ეტყობა ეს არც არის მისი ამოცანა), მაგრამ მან სრულიად დამაჯერებლად და შთამბეჭდავად მოგვცა ის ფსიქოლოგიური წინამძღვრები, რომელთაც რევაზი ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანეს და მხატვრული შთამბეჭდაობით გვიჩვენა სიმტკიცე, რომლითაც იგი დასახული მიზნის განხორციელებისთვის იბრძვის.

მწერალმა ჩინებულად დაგვიხატა ოდესღაც ხალხმრავალი, აწ კი მცხოვრებთაგან დაცლილი და მიტოვებული ქართული სოფელი, სადაც მხოლოდ რამდენიმე ძველი „მოჰიკანი" დარჩა, ხოლო სკოლაში, რომელშიც ოდესღაც თვით

რევაზიც სწავლობდა, ახლა სულ ოციოდე ბავშვი დადის.

ამრიგად, კოლექტივს, რომელიც რომანის დასაწყისშივე ცნაურდება, ორი პლანი აქვს: ერთი პირადულ-ოჯახური ხასიათისაა და იმ წინააღმდეგობებით არის გაპირობებული, რომელიც ცოლქმრის სურვილთა და მისწრაფებათა შორის განსხვავებამ წარმოქმნა (ქმარს სოფელი იზიდავს და იქ სურს ცხოვრება, ცოლს კი ქალაქი; ქმარს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესები მიაჩნია ცხოვრების მიზნად, ცოლს კი ვიწრო წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე), ხოლო მეორე, ეს არის რომანის მთავარი გმირის, რევაზ ჩაფიჩაძის, კონფლიქტი იმ ადამიანებთან, რომელთაც იგი საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე შეხვდება. ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ სიუჟეტის წამყვან კონფლიქტებს, თორემ მათ გარდა რომანში სხვა კონფლიქტებიცაა ნაჩვენები და სწორედ ეს სიმრავლე წინააღმდეგობებისა სძენს ამ ნაწარმოებს ცხოვრებისეულობასაც და სიმართლის ამსახველობასაც.

სიუჟეტური ქარგის გამარტივებულ-სქემატურმა გადმოცემამ, ერთი შეხედვით, შეიძლება სიუჟეტიცა და მთლიანად ნაწარმოებიც მეტად მარტივად მოგვაჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის; ალიო ადამიას რომანი ფართო მომცველობის მძაფრკონფლიქტიანი ნაწარმოებია, უაღრესად საჭირბოროტო პრობლემატიკით და საინტერესო ცხოვრებისეული თემატიკით. თავდაპირველად, რომანის სიუჟეტურ განვითარებაში ნათლად იკვეთება ორი რეგიონი, ორი კერა, რომლის გარემოშიც ხდება მოქმედების კონცენტრაცია: პირველი, ეს არის პროფესორ ნიკო დიასამიძის ოჯახი, ხოლო მეორე, კოლმეურნე გლეხის, ალექსანდრე ჩაფიჩაძის გარემოცვა — მისი მახლობლები და ნათესავები. ამ ორი სხვადასხვა წრის ურთიერთობა სიუჟეტურად რომანის დასაწყისშივე ერთიანდება: ნიკოს ქალიშვილი რუსუდანი, ალექსანდრეს ვაჟიშვილს მითხოვდება. ასე იქმნება მესამე რეგიონი, რომლის წარმომადგენლებიც მთავარი ფიგურები ხდებიან და მათი ურთიერთობის ფსიქოლოგიური დასურათება რომანის წამყვან ტენდენციად იქცევა. შემდეგში დიასამიძეთა ოჯახის წევრები მოქმედების მიღმა რჩებიან, ავტორი თითქოს ივიწყებს მათ და ძირითად ყურადღებას აქცევს ერთის მხრივ, ალექსანდრე და რევაზ ჩაფიჩაძეთა რეგიონს, ხოლო მეორე მხრივ, მათთან დაკავშირებულ დიდსა და პატარა ეკატერინეს. სწორედ მათ ირგვლივ შემოკრებილი ადამიანთა წყალობით გადარჩება და აღორძინდება სოფელი ხემაღალი. ფაქიზი სულის მქონე მხნეობით აღსავსე ეს ადამიანები ასხავენ ხორცს ავტორის იდეას, ცხადყოფენ მის პოზიციას.

ჩაფიჩაძეთა და ეკატერინეთა რეგიონები ქმნიან იმ ურთიერთდაკავშირებულ ფაბულურ გარემოს, რომლებშიც მონაცვლეობით ვითარდება რომანის მოქმედება. გარდა ამისა, თვითეულ მათგანთან დაკავშირებული არიან გარკვეული ადამიანები, რომელთა ცხოვრების ისტორია, მათი წარსული და აწმყო, ავრცობს პერსონაჟთა წრეს, ზრდის არა მარტო მოქმედ პირთა გეოგრაფიას, არამედ რომანის სინამდვილის ამსახველობას, მის შინაარსობრივ მხარეს და ამით თანამედროვე ცხოვრების უფრო სრულსა და ნიშანდობლივ სურათს იძლევა.

ფაბულური ჩარჩო სხვადასხვა გარემოს ჩვენებით, იმავე დროს განსაზღვრავს რომანის კომპოზიციურ წყობასაც, მის საკმაოდ რთულ სტრუქტურას. რომანის კომპოზიცია არ არის არც ნებისმიერად აგებული და არც განზრახ არეულ-გაბუნდოვანებული, როგორც ზოგიერთი თანამედროვე რომანში (რომელშიც ფაბულური საფუძველი სრულიად შეუთავსებელია, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ეწინააღმდეგება შინაარსის გადმოცემის თანმიმდევრობას, ნაწარმოების შინაგან სტრუქტურას). რომანში ამბავი ლოგიკურად, სადად და ბუნებრივად გადადის თანამიმდევრულ თხრობაში.

მაგრამ ერთი მაინც უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს: იგი ხანდახან მეტად ხანგრძლივად მიატოვებს ხოლმე თავის გმირებს. ასე მოექცა იგი ნიკოს, თეკლეს, ზვიადს, ლილის, რომლებიც რომანის პირველ წიგნში ჯერ მეტად „გაგვიშინაურა“, ნათლადაც დაგვიყენა თვალწინ, შემდეგ კი სავსებით მიივიწყა (მხოლოდ ნიკო გაიხსენა ერთხელ, ისიც წუთით და ზვიადის ფერიცვალება გვამცნო, მაგრამ არა უშუალო დაკვირვებით, არამედ სხვა პერსონაჟის დახასიათებით; თუმცა მეტად მეტყველი, მაგრამ რამდენადმე მაინც „გარეგნული“ დახასიათებით); მეტისმეტად ხანგრძლივ პაუზებს თვით მრავალპლანიანი რომანიც კი ვერ ეგუება.

ყოველივე ამისა გამო, ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ავტორმა წერის პროცესში რამდენადმე შეცვალა პირვანდელი ჩანაფიქრი (ან თვით ჩანაფიქრი არ იყო ბოლომდე დაზუსტებული), რის შედეგადაც ხასიათების საქციელი და სიტუაციების განვითარება, რომელიც მოქმედების ლოგიკით არის მოსალოდნელი — გვერდავლილივით გამოიყურება. საერთოდ, ალიო ადამია დაწნეხილი, კონდენსირებული ფორმისაკენ ისწრაფვის, მას გაცილებით მეტი მასალა გააჩნია, ვიდრე ის, რასაც გვაწვდის; იგი ღონივრად კუმშავს სათქმელს და ეს კარგი თვისებაა, მაგრამ არც მასალაზე მეტისმეტი ძალადობა ვარგა.

მხატვრული ნაწარმოების დამაჯერებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ ამოცანებზე, რომელსაც მწერალი თავის პერსონაჟებს აკისრებს. რაც არ უნდა მაღალ ინტელექტუალურ და პროფესიულ დონეზე იდგეს

თანამედროვე მუშა ან კოლმეურნე — მეცნიერების ურთულეს საკითხებში ყველაზე უკეთ ისევ მეცნიერია ჩახედული. დილეტანტიზმი ყოველთვის ავტორისეულია, მაგრამ არასწორად დასახულმა მხატვრულმა ამოცანამ შეიძლება საბედისწეროდ შებორკოს ცხოვრებისეული სიმართლის ჩვენება.

ალიო ადამიას მიერ გამოყენებული „რეგიონები“ საშუალებას აძლევენ მას კომპეტენტურად შეეხოს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ასე, მაგალითად, მეცნიერთა წრის ჩვენება ქმნის „ბუნებრივ პირობებს“ შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის ყოფის დახურათებისათვის, მეცნიერებაზე, მხატვრობაზე, კულტურაზე მსჯელობისათვის; მასწავლებელთა წრე — სასკოლო განათლების ბედსა და ახალგაზრდობის მორალურ სახეზე კამათისათვის; ვაჭრობის მუშაკთა — საქმოსანთა „მოღვაწეობაზე“; კოლმეურნე გლეხთა და რაიონის თავკაცთა გარემო — დღევანდელ სოფელსა და მის საჭირბოროტო პრობლემატიკაზე ჩაფიქრებისათვის და ა. შ. ამ მხრივ, რაციონალურად, წინდახედულად შერჩეული ტიპაჟი ცხოვრებაში წვდენის ხელშემწყობად გვევლინება, რაც ავტორისეულ ალღოიანობაზე, მის ტაქტსა და მხატვრულ უნარზე მეტყველებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თვითეული ამ უბნის ჩვენებისას, ავტორი მახვილი კრიტიკოსის თვალით აფასებს სინამდვილეს და დაუნდობლად კიცხავს მავნე ტენდენციებს.

რომანის სიუჟეტი ხასიათების ფორმირებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ისტორიას წარმოადგენს. ამ მიზეზით სიუჟეტის შინაარსობრივი „ტევადობის“ საზომად, უპირველეს ყოვლისა, ხასიათები გვევლინებიან. ამიტომ, მკითხველის ყურადღებას რომანის წამყვან ხასიათებზე შევაჩერებთ, სწორედ ისინი არიან კონკრეტული დამასხეულებელნი რომანის კონფლიქტისაც და ავტორისეული ტენდენციებისაც.

რომანი ნიკო დიასამიძის ოჯახთან გაცნობით იწყება. პერსონაჟთა დახასიათების რამდენადმე სილუეტური მანერის მიუხედავად, ნიკოს სახე საკმაოდ კოლორიტულად მოჩანს. ეს კოლორიტი გამოწვეულია არა იმდენად ნიკოს ზოგიერთი ინდივიდუალური ნიშნით (აკვიატებული სიტყვა-თქმანი, პროფესორული მენტორულობა, საჩვენებელი უცნაურობა), არამედ თვით მისი ბიოგრაფიით და სხვა პერსონაჟებისადმი მიმართებით. ნიკო ქართველი გლეხის შვილია. მამამისი ურმის ოსტატი ყოფილა. ნიკოს თბილისში გადმოსახლებისა და მამის სიკვდილის შემდეგ, დედამისს კერა არ მოუშლია, ღარიბი მეზობლის გოგონა უშვილებია და ისიც ურმის ოსტატზე დაუქორწინებია. ამ მტკიცე ხასიათის ცოტა უცნაურ დედაბერს ნაშვილები გოგონასაგან შეძენილი შვილი ღვიძლ შვილიშვილებზე უფრო შეუყვარებია და თავისი ბედნიერების საფუძვლად მიუჩნევია.

სხვათა შორის, კერიის არმოშლა, მისი „ჩაუქრობლობა“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ კერაზე „ვ ი ნ მ ე“ ცხოვრობდეს, რათა იგი არ მოიშალოს, არამედ, თვით ამ ოჯახის ნაშიერი არ უნდა გაქრეს, არ უნდა „წაიშალოს“ — ეს იყო გამოხატულება ჩვენი წინაპრების პასუხისმგებლობისა მომავლის წინაშე, ხელშეწყობა ოჯახთა ურღვეველობისათვის, შვილიანობისათვის, ხალხის გამრავლებისათვის. მაგრამ ავტორმა უფრო ფართოდ გაიაზრა ეს მტკიცე ეროვნული ჩვევა და ამ სახით, ე. ი. ასეთი ინტერპრეტაციით იგი შესაძლოა უფრო მეტყველადაც გამოხატავს ამ ძველთაძველ ქართულ ხალხურ ტრადიციას.

მაგრამ თავის სამკვიდროს მოწყვეტილ „ბატონ ნიკოს“ (ასე უწოდებს მას ავტორი) არც ქალაქში უყვავილია დიდად. იგი საკმაოდ მოკრძალებული მეცნიერი გამოდგა და ეტყობა მხოლოდ საკუთარ ოჯახში მიაჩნიათ „ნამდვილ“ მეცნიერად (სხვათა შორის, ეს ხელმოცარული მეცნიერი ავტორმა რატომღაც, მაინცა და მაინც, საქართველოს ისტორიის სპეციალისტად გამოიყვანა, თუმცა ასეთი ხელმოცარულები სხვა დარგებში გაცილებით უფრო მეტნი არიან. საქართველოს ისტორია უკეთეს ხვედრსა და უკეთეს მსახურთ მოითხოვს!).

ფიქრები, რომელიც ბატონ ნიკოს თავში უტრიალებს, კარგად ახასიათებს მის აზროვნებით უნარსაც და ინტელექტუალურ დონესაც: „... ადამიანი იბადება, თვალს ახელს და ფეხს იდგამს, სიარულს ისწავლის, თვალი ხედავს და ყური სმენად შეიარაღებულია! წინ გაშლილია ცხოვრების გზა და გაუდგება ამ გზას, მიდის და მიდის, მიდის აღმართებსა და დაღმართებზე, ბილიკებსა და ორშარაზე (?), ხევებსა და უფსკრულებზე. თანდათან დაიღლება გზებზე ხეტიალით, ძალიან დაიღლება, თავის წილ გზას, გავლილად მიიჩნევს და ამ ქვეყნიდან წავა...“ ეს შინაგანი მონოლოგი ფსევდოსიბრძნის, ფსევდო-ფილოსოფიის ჩინებული დახასიათებაა. ეს ერთი შტრიხიც საკმარისია ნიკოს შესაცნობად. უნდა ითქვას, რომ ავტორს ეხერხება ასეთი მოკლე კონდენსირებული დახასიათებები, ზოგჯერ იგი სულ ორიოდე შტრიხით ქმნის დამთავრებულ პორტრეტს.

პროფესორ ნიკო დიასამიძეს შეზღუდული ასპექტით ვხედავთ (მხოლოდ რას ფიქრობენ ან როგორ ექცევიან მას კოლეგები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისადმი პატივისცემა საქართველოში ტრადიციად ქცეულ მოხუცებისადმი მოკრძალებით უფროა ნაკარნახევი, ვიდრე ნიკოს ჭეშმარიტი ღირსებებით. ესეც ფრიად დამაფიქრებელია: ვინ იცის, რამდენი ცრუ ღმერთი გავაფეტიშეთ და რამდენი ცრუ კერპი

ავაგეთ მეცნიერებაშიც და განსაკუთრებით ლიტერატურაში.

ნიკო დიასამიძის დახასიათებაში გროტესკული ელემენტი მოჩანს. იგი „... თორმეტ საათზე მიდის ისტორიის ინსტიტუტში. მისი პორტფელი ერთობ დიდია, მოზრდილ ჩემოდანს მგავს. ნიკოს კაბინეტი მესამე სართულზეა და ნიკოს ეძნელება პორტფელის ატანა მესამე სართულზე. ამიტომაც პორტფელს შესასვლელშივე, მორიგესთან ტოვებს, მორიგემ ჩინებულად იცის, რომ პატივცემული პროფესორის პორტფელში გამოსაცემად გამზადებული წიგნის ღედანია, მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი". ნიკო დიასამიძემ თავისი ნაშრომი, „მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში", რომელსაც „მრავალი წელი წერდა", ორი წლის წინ გამომცემლობას წარუდგინა. გამომცემლობამ ვ ი ღ ა ც ორი რეცენზენტის დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნების საფუძველზე, ორჯერვე გადაამუშავებინა პროფესორს ნაშრომი და, რაც მთავარია, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით!

უნდა ითქვას, რომ იუმორისტულ-გროტესკული შეფერილობა არაიშვიათად ხელს უშლის რეალისტური ხასიათის სრულყოფილ აღქმას, მის შემეცნებითობას. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ასევეა. რა თქმა უნდა, ნიკოსთანა მეცნიერები არც თუ იშვიათი მოვლენაა: ისინი ყველაფერზე წავლენ, ოღონდ მათი ნაცოდვილარი წიგნად გამოიცეს. ასეთები როგორც უკარნახებ, ისე შეკრებ-შემოკრებენ თავიანთ „შრომებს", მაგრამ ჩანს, რომ ნიკო კარგად იცნობს თავისი ქვეყნის წარსულს და გულწრფელადაც უყვარს საქართველოს ისტორია. ეს კი არ არის დასაცინი გრძნობა.

მიუხედავად ზოგიერთი ცხოვრებისეული ნიშნისა თუ რეალისტური შტრიხისა, პროფესორ ნიკო დიასამიძის სახე იმ „უცნაურ" მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ასე ბლომად დაბორიალობენ თანამედროვე რომანებსა და პიესებში. ზოგიერთი მწერალი (რაღაც გაურკვეველი მიზეზებისა გამო) მათ გამოუყეუჩებულ არსებებად ხახავს და ხელოვნურობის ოჩოფეხებზე აყენებს. ნირვანში წასულ, ყოველგვარ პრაქტიციზმს მოკლებულ ასეთ პროფესორებს ახლა მარტო წიგნებშიღა შეხვდები. ერთი სიტყვით, ნიკო დიასამიძის სახე უფრო ლიტერატურის გავლენით შეთხზულ ხასიათად გვეჩვენება, ვიდრე ცხოვრებისეულად. ისიც უნდა ითქვას, რომ უნიჭონი და იოლი გზის მაძებარნი სპეციალობის შერჩევისას, უფრო „აქტუალურ" და „თანამედროვე" მეცნიერებებს ირჩევენ და ძალზე იშვიათად „უძლვნიან თავს" საქართველოს ისტორიას.

მაგრამ ამ რამდენადმე წინააღმდეგობრივსა და ხელოვნურ ხასიათს მაინც გააჩნია თავისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა: იგი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ძველ ჭეშმარიტებას, რომ უნიჭო, უნიათო, უფერული და უხერხემლო ადამიანები ყველგან და ყოველთვის (საკუთარ ოჯახშიაც და სამუშაოზედაც) თავისსავე მსგავს უფერულსა და უსახო არსებებს ზრდიან. ასე დგება იმ გულგრილ ადამიანთა კრებულები, რომელიც აფუტუროვებენ ცხოვრების ნერგს და თავიანთი ინდიფერენტიზმით თუ მიხეთქება-მოხეთქებით სხვებსაც ხელს უშლიან და საქმესაც ართულებენ.

ნაყოფი ხისაგან შორს არ დაეცემაო — ნამის უნიათობა, უენერგიობა და სომნამბულური ხასიათი მოსდგამს მის ვაჟიშვილს ზვიადსაც, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ იგი მშობლებას მითითებებით ხელმძღვანელობს და მამისეული ოჯახის სულისკვეთების გავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი საკუთარ გზას მოსძებნის და საკუთარ მოწოდებას გაჰყვება, ზვიადი სავსებით შეიცვლება, გადასხვაფერდება, სრულყოფილი ადამიანი, საზოგადოების სასარგებლო წევრი გახდება.

ზვიადმა ასპირანტურა დაამთავრა და ასისტენტად მუშაობდა, თან საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა. რომანის პირველ თავში ნაჩვენებია, როგორ „ჩაუგდეს" მას დისერტაცია. სამეცნიერო საბჭოს უარი დიასამიძეთა მახლობლებმა „ჩაგდებად" მონათლეს, თორემ უარყოფითი პასუხი სრულიად სწორი გადაწყვეტილება იყო. დაცვაზე გამოვიდა ერთ-ერთი კოლმეურნეობის აგრონომი და ორიოდე სიტყვით ნათელყო დისერტაციის მთავარ დებულებათა მცდარობა. რომანი სწორედ ამ დრამატული სურათით იწყება: დიასამიძეებთან საზეიმო სუფრაა გაშლილი, ელიან გამარჯვებულ დისერტანტს, მაგრამ მაცნეს გამარჯვების მაგიერ საშინელი შერცხვენის ამბავი მოაქვს.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი აღიძვრის: — მეცნიერებაში პროტექციონიზმის, მამიდაშვილობის, ურთიერთგათრევის მავნე როლი. „ფიზკულტურელი ვიყავი — მორბენალი! ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდოდა შესვლა, მაგრამ ჩემმა ნათლიამ „იწინასწარმეტყველა" — სოფლის მეურნეობის მექანიზაციას დიდი მომავალი აქვსო საქართველოში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამომაყოფინეს თავი. მორბენალობა აქაც დიდად შემეშველა, ღმერთმა დალოცოს ფიზკულტურა".

ავტორი დამამახსოვრებლად გვაჩვენებს ადამიანთა შინაგანი მოწოდების ძალას და მისი უგულვებელყოფით გამოწვეულ ზიანს, რაც ხშირად მართლაც საბედისწერო ხდება ადამიანთათვის. ვინ იცის, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ზვიადისათვის და საზოგადოებისათვისაც, რომ იგი თავიდანვე საყვარელ საქმეს გაჰყოლოდა. მაგრამ „ნათლიებმა" და კეთილისმსურველებმა სძლიეს, სახელოვან მეცნიერად

მისი გამოზრდა მოინდომეს, რითაც დათვური სამსახური გაუწიეს ჭაბუკსაც და იმ დარგსაც, სადაც „თავი ამოაყოფინეს“. სამწუხაროდ პროტექციონიზმის წყალობით ასეთი „თავის ამოყოფინება“ საკმაოდ გავრცელებული სენი გახდა.

მწერალი მოხერხებულად გვიჩვენებს იმ ზიანსაც, რომელიც მეტისმეტი პატივმოყვარეობით აღსავსე ზოგიერთ „გამოჩენილ მეცნიერს“ მოაქვს. სწორედ ასეთია უზომოდ თავდარწმუნებული და გაამაყებული პროფესორი სილოვან რამიშვილი. ავტორი დრამატიზებულად გადმოგვცემს რამიშვილის კამათს ახალგაზრდა მეცნიერებთან — დოქვირსა და ცხადაძესთან და ამ მეტყველ კამათში მოქალაქეობრიობის ორი განსხვავებული არსობა ებრძვის ერთი მეორეს.

საინტერესო და დამაფიქრებელია რუსუდან დიასამიძის სახე. მიუხედავად იმისა, რომ იგიც რამდენადმე სილუეტური მანერითაა დახატული, მკითხველი მაინც კარგად გრძნობს ამ საკმაოდ რთულ ხასიათს, მის მკვეთრად ინდივიდუალიზირებულ შინაგან რაობას.

ინტელექტუალური პროზა, რაზედაც ახლა ასე ხშირად მსჯელობენ, ჩვენშიაც და უცხოეთშიაც, გარდა ფილოსოფიური, კონცეფციური საწყისის ძლიერი შეჭრისა მხატვრულ ნაწარმოებში (და აქედან გამომდინარე შინაარსობრივ-სტილისტური თავისებურებებისა — სუბიექტური მომენტის გაზრდილი როლი, ცხოვრებისეულ ფაქტებთან შედარებით აზრის სიჭარბე, ხასიათების მეტისმეტი ლოგიზირება, თავისებური სტილი და სხვა), იმასაც მოასწავებს, რომ იზრდება ინტერესი ადამიანთა სახე-ხასიათების ფილოსოფიური გააზრებისაკენ. ეს არის სწრაფვა არა მარტო „ინტელექტუალური გოლიათების“ — ნიჭითა და ცოდნით აღსავსე „ზეკაცების“ ხატვისაკენ, არამედ ცდა, რათა ყოველი კატეგორიის ადამიანი (ვინც კი მხატვრული ასახვის ობიექტი ხდება) „შიგნიდან“ იქნას გახსნილი, უპირატესად მისი ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური არსობის ცხადყოფის მიზნით. ალიო ადამია არ ისახავს პირდაპირი სახით ასეთ შემოქმედებით ამოცანას, მაგრამ ხასიათების გააზრებაში მნიშვნელოვნად უახლოვდება ასახვის ამ თავისებურ პრინციპს.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ რუსუდანმა სამხატვრო ტექნიკუმში დაიწყო მასწავლებლობა. ქმარმა მას სახელოსნოც მოუწყო, მაგრამ რუსუდანი იშვიათად ხატავს. მას არც ერთ გამოფენაში არ მიუღია მონაწილეობა. რუსუდანი გრძნობს, რომ მას ჭეშმარიტი ნიჭი აკლია. ასევე ფიქრობს იგი ყველა თავის თანატოლ მხატვრებზეც. რუსუდანმა იცის, რომ ნახულის გადატანა სურათზე, თუნდაც ზუსტი და ტექნიკურად სრულყოფილი, ჯერ კიდევ არ არის ჭეშმარიტი მხატვრობა.

რუსუდანზე დიდ გავლენას მოახდენს თვითნასწავლი მხატვრის ყულევული მებადურის, ვინმე ლანგი ოდიშარიას, ნახატები. ისინი მოაჯადოვებენ მას შთაგონებითაც და იმითაც, რომ „საჩვენებლად“ კი არ არიან შექმნილნი, არამედ რაღაც დაუძლეველი შინაგანი სურვილის მიზეზით. შემოქმედებითი ქმნადობის სწორედ ეს *შინაგანი სურვილი* აკლია რუსუდანს, რომლის „უნიჭობა“ ჯერ კიდევ მეორე კურსზე შეუნიშნავს ფერწერის მასწავლებელს, მაგრამ რუსუდანს ყური არ უთხოვებია მისი რჩევისათვის, პირიქით, შესჯავრებია იგი. ერთი სიტყვით, რუსუდანი გულსაყოლილი ინდივიდუალისტია და საკუთარი ძალების ურწმუნობა, საკუთარი უნიჭობის შიში აწვალებს, ბორკავს. ეს შიში და ეჭვი ხელს აღებინებს მას ნაყოფიერ საქმიანობაზე.

მწერალი საინტერესოდ და საქმის ცოდნით გვესაუბრება სახვით ხელოვნებაზე, კერძოდ ფერწერაზე, შინაგან მხატვრულ მოწოდებასა და ნიჭზე, მის რომანში ბევრია მსჯელობა მწერლობაზე, მეცნიერებაზე, კულტურაზე, მაგრამ არა თვითმიზნური, საჩვენებელი და თავმოსაწონი, არა რომანის მოქმედებას მოწყვეტილი, არამედ მხატვრულსახეთა გამხსნელი, მათ რაობასთან დაკავშირებული. ყოველივე ეს ზრდის რომანის შემეცნებით ელემენტს და უფრო მჭიდროდ აკავშირებს მას თანამედროვე შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემატიკასთან.

დიასამიძეთა ოჯახის სამი წარმომადგენლის მაგალითზე ავტორი ერთ უაღრესად აქტუალურ პრობლემას აღძრავს: ადამიანს ცხოვრებაში მარტო ნიჭიერება როდი ამარჯვებინებს; შესაძლოა არ იყო დიდი ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ სიქმისადმი ერთგულებით, საქმის სიყვარულით, საქმეზე მიტანებით, ხასიათის სიმტკიცით, იმაზე ბევრად მეტი გააკეთო ვიდრე შენზე უფრო ნიჭიერი კაცი გააკეთებს. მარტო ნიჭი საკმარისი არ არის; საჭიროა დიდი მამულიშვილური გრძნობა, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, შინაგანი დისციპლინა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, მომავლისათვის სიკეთის მოტანის სურვილი. სწორედ ეს თვისებები (ხან ზოგიერთი მათგანი, ხანაც მათი უმრავლესობა) აკლიათ ნიკო, ზვიად და რუსუდან დიასამიძეებს.

განსაკუთრებული ნიჭიერებით არც რევაზ ჩაფიჩაძეა დაჯილდოებული. მაგრამ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება და მამულიშვილური გრძნობა დიდ საქმეზე აღძრავს მას და ეს „ჩვეულებრივი ადამიანი“ საქმისადმი სიყვარულის, ძლიერი ნებისყოფის წყალობით, საოცრად დიდსა და რთულ პრობლემას შეეჭიდება. უბრალოდ კი არ „შეეხება“ — საჩვენებელი ინიციატივით, არამედ თანმიმდევრულობისა და უნარიანობის წყალობით გაიმარჯვებს

კიდეც და ქვეყნის სასარგებლო საქმეს გაუძღვება.

ავტორი ვერ აიყოლია აგიტაციურმა ზედაპირულობამ, რომელიც ესოდენ გავრცელდა ჩვენს ლიტერატურაში. ცხოვრების სიღრმისეული ჩვენებით, კონკრეტულ ადამიანთა ბედის დასურათებით, ყოველგვარი ძალდატანებისა და ყალბი პათეტიკის გარეშე ქადაგებს საზოგადოებრივი დაინტერესების, ადამიანთა პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი აქტიურობის მშვენიერებასა და სარგებლიანობას.

იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით, ისევე, როგორც სხვა პერსონაჟთა ბედზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რომანის მთავარ მოქმედ პირად რევაზ ჩაფიჩაძე გვევლინება. ამ ნაწარმოებს „დიდი და პატარა ეკატერინეს“ ნაცვლად თავისუფლად შეიძლებოდა „რევაზ ჩაფიჩაძე“ დარქმეოდა, იმდენად დიდია მისი როლი და მნიშვნელობა რომანში ასახული მოვლენებისათვის.

მიუხედავად ამისა, რევაზ ჩაფიჩაძის ხვედრითი წონა თვით *სიუჟეტურ მოქმედებაში* ასერიგ დიდი არ არის. ეს იმიტომ, რომ მთავარ გმირს ავტორი მეტად თავისებური ხერხით ხატავს: იგი გვაჩვენებს მას არა იმდენად უშუალოდ საქმიანობაში, რამდენადაც (ამასთან უფრო ხშირადაც), სხვა პერსონაჟთა თვალით, სხვათა შეფასებით, სხვა ადამიანთა ცხოვრებისა თუ საქმიანობის დახმარებით. ერთი შეხედვით, ასეთი ხასიათი შეიძლება ოდნავ სქემატურიც გვეჩვენოს, მაგრამ უნდა განვასხვაოთ ამგვარი ხერხით დახატული ხასიათი ჩვეულებრივი მანერით შესრულებული ეპიკური ხასიათებისაგან.

ჩაფიჩაძის სახის შესაქმნელად გამოყენებულ ხერხს *ნიუანსური* შეიძლება ვუწოდოთ, რამდენადაც, ჯერ ერთი: ავტორი რევაზის რაობას როგორღაც „შორიდან“ გვიჩვენებს, თანაც ისეთი დეტალებით ცხადყოფს, რომელიც, თუმცა სხვა მოქმედ პირებთანაა დაკავშირებული (ან მათი მეოხეობით ვლინდება), მაგრამ რევაზის ბუნების ნათელყოფას ემსახურებიან და მეორეც, ავტორი გაბმულად კი არ მოგვითხრობს რევაზის ცხოვრებას, ფეხდაფეხ კი არ მიჰყვება მის ყოველ ნაბიჯს, არამედ დრო და დრო, სხვადასხვა რაკურსით წარმოგვიდგენს და ყოველი ახეთი შეხვედრისას მეტყველი, სურათოვანი დეტალებით გვიხასიათებს.

სულიერი წამახვალებულობისა და შინაგანი ტაქტის წყალობით, მწერალმა შეუცდომლად მონახა არა მარტო მართებული ავტორისეული პოზიცია, არამედ სწორი „დაკვირვების წერტილები“ — თვითეული პერსონაჟის დასანახავად და დასახატავად.

ავტორი რომ ცდუნებას აჰყოლოდა და *მხოლოდ* შრომით პროცესში ეჩვენებინა თავისი გმირი (რაც ესოდენ დამახასიათებელი თანამედროვე პროზისათვის და მისი ერთფეროვნების წყაროდაც კი გვევლინება), შესაძლებელია რომანს თავისი ორიგინალობა დაეკარგა და ქცეულიყო ჩვეულებრივ ამბად ფერმებისა თუ საცხოვრებელი სახლების შენებისა, ბულალტერთა ტუქსვისა, შრომის დისციპლინაზე ზრუნვისა, პარტიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და რაიცენტრიდან გამოგზავნილი კომისიებთან ბრძოლისა.

საბჭოთა მეურნეობის დაარსების ისტორიისა თუ მიმდინარე საქმიანობის ჩვენება დღეისათვის ახალი აღარაა. ასეთი ამოცანის გადაწყვეტისას სიახლე მიიღწევა *მხოლოდ* ამ საქმეში ჩაბმული *ადამიანების ჩვენებით* და ალიო ადამია სწორად მოიქცა, როცა ზედაპირულ მომთხრობელობას გვერდი აუარა და ყურადღება გარეგნული მოვლენებიდან, სიტუაციათა აღწერიდან ადამიანთა *შინაგანობაზე* გადაიტანა. როგორც ვთქვით, იგი ფეხ და ფეხ არ მიჰყვება თავისი გმირის ყოველდღიურ, სრულიად ჩვეულებრივ შრომასაქმიანობას, არამედ დაგვანახა *სწორედ ის*, რაც მას ამოძრავებს და ამოქმედებს.

რევაზი სიტყვაძუნწი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ძლიერი ნებისყოფისა და კეთილშობილური ბუნების ადამიანი იმათ რიცხვს განეკუთვნება, ვინც ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ბევრს აკეთებს. მთელი რომანის მანძილზე რევაზის გაშლილ საუბარს რომელიმე პერსონაჟთან თითქმის ვერ შეხვდები. ნაწარმოებში მისი მოკლე გადალაპარაკებები და ფიქრი ჭარბობს. მწერალი თავის გმირს ამ პერსონაჟისავე სიტყვიერი მასალით კი არ გვიხასიათებს, არამედ სხვებთან დამოკიდებულების ჩვენებით. ამ შემთხვევაშიც, უფრო შტრიხები ჭარბობს, ვიდრე ურთიერთობის გაშლილი დასურათხატება. მაგრამ მიუხედავად პერსონაჟის ასეთი სახით წარმოდგენისა, ამგვარი ხერხით მისი დახატვისა, რევაზის სახეცა და საქმეც კარგად, სრულად აღიქმება.

ამ ძლიერმა, მიზანსწრაფმა ადამიანმა შესძლო მცხოვრებთაგან დაცლილი და სასიკვდილოდ განწირული მთიანი სოფლის აღორძინება, მასში სიცოცხლის ახალ საფუძველზე დამყნობა, მისი ცხოვრების ხალისიანად წარმართვა.

სოფლის გაპარტახება, ადამიანთაგან მისი დაცლა, მოსახლეობის ქალაქად წინდაუხედავი გადასახლება უდიდესი მნიშვნელობის სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული პრობლემაა. მოსახლეობის სოფლიდან მიგრაცია განსაკუთრებით მტკივნეული და საბედისწეროა მცირერიცხოვანი ერებისათვის, რამდენადაც სოფელი ყოველთვის იყო ეროვნულობის უმთავრესი ბურჯი და ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების ჭეშმარიტი ბალავარი.

მთის სოფლებიდან მოსახლეობის წინდაუხედავმა ჩამოსახლებამ, საქართველოს არა ერთი

მთიანი კუთხე დააყენა ძნელი განსაცდელის წინაშე. აყრა-ჩამოსახლებისაგან დაზარალდა არა მარტო მთიანეთი, არამედ მდიდარი პირობების მქონე ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო უბანი ბარშიც. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ მოსახლეობის მიგრაცია, ახალგაზრდობის ლტოლვა სოფლიდან ქალაქისაკენ, ქალაქური ყოფისაკენ, მხოლოდ იქ არ იღებს საზიანო ხასიათსა და საშიშ მაშტაბს, სადაც სოფლის გონიერი თავკაცების წყალობით შექმნილია ცხოვრების ნორმალური პირობები, სადაც კულტურული ვითარება გაქცევისაკენ აღარ უბიძგებს სინათლისა და ცოდნისაკენ მსწრაფ ახალგაზრდობას.

დღეს საქართველოში მრავლადაა სოფელი, სადაც მეურნეობის სწორი ორგანიზაციის წყალობით მაღალია კოლმეურნეთა შემოსავალი, სადაც გლეხობა კეთილმოწყობილ, თანამედროვე პირობების შესაფერის სახლებში ცხოვრობს, სადაც არის კარგი სკოლა, კლუბი, აფთიაქი, კავშირგაბმულობის საშუალებები, კინო, ტელევიზორი, კომუნალური თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სადაც ახალგაზრდობას აქვს საშუალება ნაყოფიერად იშრომოს, ისწავლოს, დაისვენოს და სადაც შრომა ნამდვილად სახალისო, საპატიო, სასარგებლო გამხდარა.

სწორედ ამისათვის იღწვის ძალდაუზოგავად რევაზ ჩაფიჩაძე და მოკლე ხანში დიდ წარმატებებსაც მიაღწევს. იგი არა მარტო ჩამოაყალიბებს საბჭოთა მეურნეობას, არამედ მოახერხებს მისთვის მყარი ეკონომიკური ბაზის შემზადებას, საქმის სწორად წარმართვას, ჯეროვანი ანაზღაურების დაწესებას. მოსახლეობის შრომითი საქმიანობისა და ცხოვრებისათვის ნორმალური, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე პირობების შექმნას, მისი უნარიანი წაბიძგებით სოფლად ფართოდ გაიშლება კულტურული მუშაობაც და ფიზკულტურული მოძრაობაც.

და ერთხანს მიყრუებულ, ხალხისაგან დაცლილ, მხოლოდ მოხუცთა ამარა დარჩენილ სოფელ ხემაღალში კვლავ სიცოცხლე აღმოცენდება, გაქცეული მოსახლეობა ისევ მამა-პაპეულ კერას დაუბრუნდება, უკეთ მოწყობილ სახლებს დაიდგამს, შრომის ფერხულში ჩაებმება, ხალისით, დოვლათით, ადამიანებით აივსება განწირული ხემაღალი. სწორედ ამაზე ოცნებობდა, ამისათვის იბრძოდა რევაზი.

მაგრამ ყოველივე ეს, ერთი ჯადოქრული ხელის გაქნევით როდი მომხდარა — ამ საქმეს დიდძალი ენერგია, ცოდნა, მოთმინება, წადილი და გულის ცეცხლი შეეწირა. ამ საქმემ გარკვეული მსხვერპლიც მოითხოვა. მართალია, მწერალი არ გვიჩვენებს თვით შრომით პროცესს. მაგრამ მკითხველი ცხადად გრძნობს „სოფლის დაბრუნებისათვის“ ჩატარებული ბრძოლის სიმძაფრეს. ავტორი ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის ჩვენებით მიგვანიშნებს იმ დაძაბულობაზე, რომელსაც ისინი განიცდიან დასახული მიზნის მიღწევისას.

ესეც რამდენადმე ახალი კუთხეა მოვლენის მხატვრული ასახვისა: ჩვენ უფრო მიჩვეული ვართ შრომის პროცესების პირდაპირ აღწერას, რაც ხშირად შტამპსა და მოსაწყენ ერთფეროვნებაში გადადის ხოლმე, აქ კი შრომითი პროცესის ნიუანსურმა და „შუალობითმა“ დასურათებამ (ე. ი. ისეთმა, როცა საქმის აღწერასთან ერთად, შრომის სურათის ჩვენებასთან ერთად — და შეიძლება ამაზე უფრო ხშირადაც — ნაჩვენებია ის ფსიქოლოგიური „გამოძახილი“, ის განცდები, ფიქრები, რომელსაც შრომა და საქმე ადამიანში იწვევს) — მაღალი მხატვრული ეფექტი მოგვცა.

მაგრამ რევაზ ჩაფიჩაძეს იაფად როდი დაუჯდა სახალხო საქმის გაძღოლა, ასეთი თავდაუზოგველობით მისთვის ბრძოლა. მან, არსებითად, თავისი ოჯახის კეთილდღეობაც კი შესწირა ამ საქმეს; როცა რევაზი სოფელში გადასახლდა, მის მეუღლეს თავდაპირველად ეგონა, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ როცა თანდათან დარწმუნდა, რომ ქმარს სამუდამოდ აქვს ეს გადაწყვეტილი, მაშინვე გაჩნდა მათ შორის ბზარი, რომელიც ვეღარასოდეს ვერ გამთელდება. რუსუდანი ქალიშვილით, თათიათი, თბილისში დარჩა, ხოლო რევაზი და მისი ვაჟიშვილი, სანდრო, სოფელში დამკვიდრდნენ. მაგრამ საქმე მხოლოდ ამგვარ დაშორიშორებაში როდია; ხდება ხოლმე, რომ სხვადასხვა ადგილას მყოფი ცოლქმარი სულიერ დაშორებას მაინც არა გრძნობენ და კვლავ ერთად რჩებიან. რევაზი და რუსუდანი კი ს უ ლ ი ე რ ა დ ა ც გ ა თ ი შ უ ლ ნ ი აღმოჩნდნენ. მართალია, რომანში არა ჩანს კვლავ შეერთდებიან თუ არა ისინი ოდესმე (ავტორი ამ საკითხს „ღიად ტოვებს“), მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არასოდეს არ მოხდება.

რევაზის მაგალითზე მწერალი თითქოს გვეუბნება, რომ ყოველი დიდი საქმე, უმეტეს წილად, მსხვერპლს მოითხოვს. მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისების დროს არა ხდება ასე. ჩვეულებრივ კი, გარკვეული მსხვერპლი თითქმის გარდაუვალია და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მებრძოლი ყოველი ადამიანი, თუ იგი მართლაც არის ჭეშმარიტი მოქალაქე, მებრძოლი და პატრიოტი — უნდა მზად იყოს ამა თუ იმ მსხვერპლისათვის.

რევაზის მაგალითი კეთილი მაგალითია. იგი, ალბათ, ბევრს ჩააფიქრებს და შეიძლება ზოგიერთს მისდამი მიბაძვის სურვილსაც გაუჩენს. სწორედ ამაშია ამ მხატვრული სახის ქმედითობა, იდეურ-შინაარსობრივი მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ღირებულება.

დიდი კდემამოსილებითა და რაინდული თავდაჭერილობით გამოირჩევა რევაზ ჩაფიჩაძის ალალი გრძნობა ახალგაზრდა მასწავლებ-

ლის ეკასადმი (პატარა ეკატერინე). ავტორი ამ რომანტიკულ სიყვარულს თითქოს რაღაც ჰაეროვანი ბლონდის მიღმა გვიჩვენებს და აქაც ნიუანსურ ხერხს ხმარობს. ამ ურთიერთლტოლვის დახასიათებისას მწერალი უფრო ნახევარტონებს, მინიშნებებს, ნართაულ დეტალებს მიმართავს და წმინდა, ამაღლებული, ბავშვურად უზადო სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს.

ეკას რევაზისადმი სიყვარული იმდენად უხინჯო, შეურყვნელი და სუფთაა, რომ კვირტსაც კი არ იღებს და სამუდამოდ რჩება რომანტიკულ, წმინდა პლატონურ გრძნობად.

ალიო ადამიამ შესძლო უაღრესად პოეტურად, გულისამძვრელად, დიდი პლასტიკურობითა და სინატიფით ეჩვენებინა ორი თანამედროვე ადამიანის ტრფიალი და აღწერა შემთხვევა როცა პასუხისმგებლობის, მორიდების, შინაგანი კეთილსინდისიერებისა და სულიერი უმანკოების წყალობით სიყვარული მსხვერპლად ეწირება უფრო მაღალსა და პრაქტიკულად უფრო საჭირო იდეალებს.

რევაზის მხატვრულ სახესთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ ერთ ფრიად საყურადღებო, თანამედროვე საბჭოთა პროზისათვის მეტად აქტუალურ საკითხს — ნაწარმოებში პარტიული ხელმძღვანელობის ჩვენების საკითხს, პარტიული საწყისის პრობლემას. თავისთავად ცხადია, რომ ვერც ერთი მხატვრული ქმნილება, რომელიც თანამედროვეობის გაშლილ ასახვას ცდილობს და დღევანდელი ცხოვრების რამდენადმე ფართო პანორამის შექმნა აქვს მიზნად დასახული, გვერდს ვერ აუვლის ამ საკვანძო საკითხს, რომლის გადაწყვეტაში თვით ჩვენი შემოქმედებითი მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის ერთი უმთავრესი მოთხოვნა ვლინდება.

არის შემთხვევები, როცა მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედ პირებად გამოყვანილია მრავალი პარტიული მოღვაწე, დაწყებული პარტორგიდან, ან პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნიდან და გათავებული მაღალი ინსტანციის პარტიული ორგანოს წარმომადგენლით. როცა ნაწარმოებში არა ერთი გვერდი ეთმობა პარტიული კრებებისა თუ ბიუროების სხდომების გაშლილ აღწერას, მაგრამ პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიული სული, წარმმართველი პარტიული ძალა მაინც არ იგრძნობა.

ალით ადამიას რომანში ე. წ. ნომენკლატურული მუშაკებიდან, მხოლოდ ორია ნაჩვენები: რაიკომის მდივანი კონსტანტინე კაკუბერი და მეურნეობის დირექტორი რევაზ ჩაფიჩაძე. მაგრამ ეს სრულიად საკმარისი ხდება, რათა აღიქვა პარტიული ხელმძღვანელობა და იგრძნო კომუნისტების წარმართველი როლი, რამდენადაც თვით რევაზიც და მის ირგვლივ მყოფთა უმრავლესობაც პარტიული სულის გამომხატველი არიან, ჭეშმარიტი კომუნისტები არიან. ავტორი, მაგალითად, არ გვეუბნება, პარტიის წევრები არიან თუ არა დიდი ან პატარა ეკატერინე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არც არის მნიშვნელოვანი, და მხოლოდ ბიოგრაფიულ დეტალად აღიქმება, რამდენადაც თავიანთი სულით, საქმით, მისწრაფებებით, ღირსებით და საზოგადოებრივი რაობით ისინი სწორედ ასეთნი არიან. მწერალმა კარგად იცის (და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს), რომ პერსონაჟის პარტიულობა მარტო პარტბილეთით კი არ უნდა დასტურდებოდეს, არამედ მთელი მისი მოქალაქეობრივი რაობითა და საქმიანი თვისებებით.

არ იქნებოდა ცუდი, თუ ავტორი მისთვის დამახასიათებელი ტაქტით, ზომიერებით, რეალისტური თვალთახედვით უფრო ხელხვავიანად და გაშლილად დაგვიხატავდა ადგილობრივ კომუნისტებს. მაგრამ თხრობის ასპექტი, რომანის ჟანრული ფორმა, მისი ლირიკულ-ფსიქოლოგიური ხასიათი არა ხდის ამას ხავალდებულოდ და ის, რაც ამ მხრივ გაკეთებულია, საკმარისად მიგვაჩნია.

პარტიული მუშაკის მხატვრულ სახეზე საუბრისას არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას რომანში გამოყვანილ რაიკომის მდივანზე, კონსტანტინე კაკუბერზე. ეს სახე მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ძუნწადაა დახასიათებული, ფრიად რთული და ბუნებრივად წინააღმდეგობრივია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალიო ადამიას რომანი იწერებოდა სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის უახლოესი წარსულისათვის დამახასიათებელი და აწ თამამად, უშიშრად გამოვლენილი ნაკლოვანებები კიბოს მეტასტაზებივით ედებოდნენ ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს.

ალიო ადამიას რომანის ჯანსაღი კრიტიციზმი სწორედ ამ სავალალო ნეგატური მოვლენების მხილებასა და დაძლევასთანაა დაკავშირებული. მწერალმა დასამახსოვრებლად გვაჩვენა ანგარებიანი კაცუნები — განათლების რაიგანყოფილების გამგე კალისტრატე ტაბატაძე, რესტორანების ტრესტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კუკური აბესალომიჩი, ავტოსარემონტო სახელოსნოს უფროსი ევდოკიმე ტაბატაძე, პურსაცხობის გამგე გრამიტონ ჯინორიძე, თაღლითი მებუფეტე აბელ კიკნაველიძე და ზოგიერთი სხვა.

მავნე ჩვევების მოძალებამ გაუმრუდა ცხოვრება შადიმან შარანგიასაც, ეს გულთბილი და არცთუ უპატიოსნო ადამიანი ერთხანს კინაღამ თავქვეზე დაეშვა და ცხოვრების წუმპეში აღმოჩნდა, მაგრამ მას ეყო ნებისყოფა დროზე დაეღწია თავი მომწამვლელი გარემოსათვის და სოფლის სკოლას შეფარებოდა, სადაც ახალი დავალების მნიშვნელობამ და მოსწავლეთა უბიწოებამ მასზე გამაკეთილშობილებლად იმოქმედა.

კონსტანტინე კაკუბერი პატიოსანი კაცი ჩანს. იგი გამოცდილი ხელმძღვანელია, მაგრამ

ეგოისტურმა საწყისმა მასშიც იჩინა თავი: მან დროულად ვერ გაითვალისწინა სოფელ ხემაღალის ეკონომიკური პერსპექტივები და, ნებსით თუ უნებლიეთ, თავის მშობლიურ სოფელს, ითხვისს, უფრო მეტი ყურადღება მიაქცია, მეურნეობაც სწორედ იქ დააარსა, რითაც სხვა სოფელთა საზიანოდ, მას უკეთესი პირობები შეუქმნა. რევაზ ჩაფიჩიძის სოფელში დაბრუნებისას კაკუბერი იჭვიანად და დადარაჯებული სიფხიზლით შეხვდა. მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდა რევაზის კეთილგანზრახულობაში და რომ რევაზის ჩამოსვლა მის ავტორიტეტსა და კეთილდღეობას ხელს არ შეუშლიდა, მხარში ამოუდგა სიყრმის მეგობრის თამამ გეგმებს.

უფრო მოსალოდნელი იყო, რომ კაკუბერისთანა მდივანს სხვა უფრო ღირსეული კაცი შეცვლიდა, მაგრამ ავტორი თითქოს გვეუბნება, რომ თუ მოღვაწე უნარიანი და ადამიანურად წმინდაა, მას უნდა მისცე დაშვებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საშუალება. ეტყობა კაკუბერი მთლად წყალწაღებული არ არის, და ავტორს იმედი აქვს, რომ იგი შეცვლილი ვითარებისა და გაჯანსაღებული საზოგადოებრივი ატმოსფეროს ზეგავლენით, სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდება. ესეც თანამედროვე სინამდვილის ერთ-ერთი მართალი შტრიხია, რამდენადაც დღევანდელ ხელმძღვანელთა შორისაც მოიპოვებიან ისეთნი, ვინც ადრე თუმცა წაფორხილებულა, შეტორტმანებულა, მაგრამ არ დაცემულა და კაცური სახე არ დაუკარგავს. ასეთებს კი მართლაც სჭირდებათ შველაც და თანაგრძნობაც. რომანის დასასრულს ავტორი რამდენიმე ძუნწი შტრიხით გვიჩვენებს, რომ კაკუბერმა შეიგნო თავისი შეცდომები და მათ გამოსწორებას ცდილობს.

ალიო ადამიას მიერ შექმნილ მხატვრულ ხასიათებს თავისი შეუვალობა გააჩნიათ. ისინი იმდენად მართალი და ცხოვრებისეული არიან, რომ დიდი თავისთავადობა მოსდგამთ და მათი შინაგანი განვითარება ფორმალური ლოგიკის კანონებით კი არ მიემართება, არამედ ცხოვრების კანონებით, რომელიც ხშირად ძალზე განსხვავდება ფორმალური ლოგიკისაგან.

ეს გარემოება რამდენიმე პერსონაჟის ბედზე ცნაურდება: ასე მაგალითად, თავდაპირველად გეგონება, რომ რაიკომის მდივანი უღირსი ადამიანია და მას აუცილებლად შესცვლიან, მით უფრო, რომ თანამედროვე ნაწარმოებებში თანამდებობრივი ცვლილებანი მთელი ცხოვრებისეული სიტუაციის შეცვლის სიმბოლოდ (და ერთგვარ ტრაფარეტადაც) იქცა. მაგრამ ავტორმა ეს ხასიათიც და მისდამი დამოკიდებულებაც სულ სხვაფრივ განავითარა; ერთხანს ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რევაზი რუსუდანს გაშორდებოდა და თავის ბედს ეკას დაუკავშირებდა, მაგრამ არც ეს მოხდა; დასაწყისში იფიქრებდი, თითქოს შადიმან შარანგია საქმოსანი და გაიძვერა კაცი იყო, იგი კი საოცრად კეთილსინდისიერი და სასარგებლო ადამიანი აღმოჩნდა; რომანის პროლოგში ზვიად დიასამიძე განებივრებული და საზოგადოებრივ იდეალებს მოკლებული ახალგაზრდა ჩანდა, იგი კი თურმე საზოგადოებრივ საქმეს მოწყურებული კაცი ყოფილა. მშობლებს მოუნდომებიათ იგი იმ გზაზე შეეყენებინათ, რომელიც ჭაბუკს სრულიადაც არა სურდა. მონახა თუ არა საკუთარი გზა, ზვიადი მაშინვე გამოიცვალა და სასარგებლო პიროვნებად იქცა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მწერალი ამით თითქოს გვეუბნება, რომ ცხოვრებას საკუთარი ლოგიკა გააჩნია და ყოველ ზემოთმოყვანილ შემთხვევაში საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა სრულიად დამაჯერებელი ჩანს.

რომანის ხასიათების თავისთავადობა იმითაც არის გაპირობებული, რომ ავტორი მათ არ ეწევა არც ბედნიერი ფინალისაკენ და არც ჭკუისსასწავლი ტრაგიკული დასასრულისაკენ. ავტორი არ ახვევს საკუთარ ნება-სურვილს თავის გმირებს. რევაზის ურთიერთობა რუსუდანთან, შემდეგ კი ეკასთან, ისევე რთულია, წინააღმდეგობრივი და გამოუცნობი, როგორც თვით ცხოვრება.

ავტორი არა ცდილობს ყოველივე ერთ საერთომნიშვნელზე დაიყვანოს და ყველა მოვლენის გადაწყვეტა იწინასწარმეტყველოს. რევაზისა და ეკას გზების შეყრა იმდენადვე სავარაუდოა, რამდენადაც რევაზისა და რუსუდანის სრული შერიგება. ეს საკითხი კვლავაც გადაუჭრელია და ვერც ჩვენ ვიმარჩიელებთ მის გადაწყვეტას.

მაგრამ სავარაუდებელ შემთხვევათა ასეთი სიმრავლე სრულიადაც არ ნიშნავს დაუმთავრებლობას, რომელიც მწერლის შუაგზაზე შეჩერებას ნიშნავს, და ზოგჯერ ავტორთა დაბნეულობის თუ უმწეობის მაჩვენებელია. აქ სულ სხვაგვარადაა საქმე: ამ შემთხვევაში ისეთი პერსპექტივები გამოჩნდნენ, რომ მათი ამოხსნისათვის საჭიროა დრო. ვინ იცის, ეგება მწერალი ოდესმე კვლავ დაუბრუნდეს თავის გმირებს და შეეცადოს გვიჩვენოს ჯერ კიდევ ბუნდოვანი მათი მომავალი. ასეა თუ ისე, ავტორს მრავალ კითხვაზე აქვს კიდევ პასუხი გასაცემი. და ეს გარემოება რომანის გაგრძელების პერსპექტივასა ქმნის.

ახლა, როცა რომანის პირველ ნაწილს მეორეც მოჰყვა და ნაწარმოები მთლიანობაში გამოიკვეთა, ცხადი გახდა, რომ რევაზის გარდა რომანს მეორე მთავარი გმირიცა ჰყავს, ეს არის პატარა ეკატერინე, რომელსაც ბავშვობის სახელით, ეკათი, იხსენიებენ. მაგრამ პატარა ეკატერინეს სახე უწყვეტადაა დაკავშირებული დედამისის, დიდი ეკატერინეს სახესთან. ისინი თითქოს ურთიერთშემავსებელი არიან და ერთა

იდეის დასხეულებას ემსახურებიან. სწორედ ამ სახეებს მოაქვთ ჩვენამდე ნაწარმოების ძირითადი მორალური და მოქალაქეობრივი პათოსი და როგორც რომანის მეორე ნაწილიდან ცნაურდება, ავტორი არ შემცდარა, როცა ნაწარმოების სათაურად „დიდი და პატარა ეკატერინე“ შეურჩევია.

თუ რევაზ ჩაფიჩაძის სახე დღევანდელი ქართული სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე გვაფიქრებს, თუ მისი საქმიანობა დღევანდელობის პოლიტიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ პრობლემებს უკავშირდება, პატარა და დიდი ეკატერინეს სახეები თანამედროვე საბჭოთა ადამიანის მორალური რაობის საკითხს აღძრავენ და მოქალაქეობრიობის, ზნეობრიობის, ადამიანურობის პრობლემაში გადადიან.

უფროსი ეკატერინე სოფლის მასწავლებელია. მთელი თავისი წმინდა და პატიოსანი ცხოვრება მან მოზარდი თაობის აღზრდას შეალია. ავტორმა მონახა ჩინებული დეტალები ამ სულნათელი და გონებანათელი ადამიანის დასახატად და, მართლაც, ცოცხალივით წარმოგვიდგინა თვალწინ. ოდნავ მკაცრი, მაგრამ უკიდურესად სამართლიანი და კეთილი, გარეგნულად ცოტა გოროზი, მაგრამ უაღრესად კაცთმოყვარე, იგი ყოველმხრივ უმწიკვლო ქალია. პირად ცხოვრებაში მას ბედმა არ გაუღიმა და როგორც ეს ხშირად ემართებათ უშუალო, კეთილშობილური ბუნების ქალებს, ხელთ ჩაუვარდა უხეშ, გაიძვერა, სულმდაბალ მამაკაცს, რომელმაც მრავალი ტკივილი და სატანჯველი მიაყენა და ბოლოს ულმობლად მიატოვა. მაგრამ ეკატერინე არ გაავებულა, არ შესძულებია ყველა და ყველაფერი, როგორც ეს ზოგიერთ ხელმოცარულ ადამიანს სჩვევია. არც ცხოვრებაზე გატეხია გული. მან თავისი ნავთსაყუდელი სკოლაში მოძებნა და ბავშვების სწავლება, მათი ადამიანებად ქცევა, ცხოვრებაში გამოყვანა — თავის სამუდამო საქმედ გაიხადა.

მთელს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ცოტა გვეგულება სოფლის მასწავლებლის ასეთი გზნებითა და შთაგონებით, ასეთი პოეტურობითა და სიმართლით დახატული მხატვრული ხასიათი. მას ღირსეულად უდგას გვერდში ეკატერინეს მასწავლებლისა და ყოფილი დირექტორის ზურაბ ბარბაქაძის სახე. მდიდრულად ინდივიდუალიზებული, იგი იმავე დროს განმაზოგადებელ ძალას შეიცავს და იმგვარი პედაგოგების პორტრეტად წარმოგვიდგება, რომელნიც ადამიანებს მთელი მათი ცხოვრების მანძილზე მეგზურებად და თანამგზავრებად ევლინებიან.

ხშირად მეტად უსასოო და მქენჯნავი სიბერე უდგებათ სკოლასა და ბავშვებზე გადაგებულ ასეთ პედაგოგებს. ზოგჯერ მათ საკუთარი ოჯახის მოწყობისათვისაც კი არა სცალიათ და როცა სიბერე საყვარელ პროფესიაზე ხელს აალებინებს, თავი ცოცხლად დამარხული ჰგონიათ. ასე მოუვიდა ზურაბ ბარბაქაძესაც, მაგრამ მას იმდენი სიკეთე აქვს დათესილი, რომ ყველა იმის მეხსიერებაში, ვინც კი მას იცნობდა, ზურაბის ხსოვნა მარად წარუშლელია. ზურაბის ერთი ერთგული მიმდევართაგანი დიდი ეკატერინეა. ასე ყალიბდება ის მემკვიდრეობითობა კეთილ საქმეში, რომელიც ამოუძირკვავი და თაობიდან თაობაზე გარდამავალი ხდება.

ამგვარი მემკვიდრეობითობის გამაგრძელებლად „პატარა ეკატერინე“ ანუ ეკა გვევლინება. ეკას მშობლები ადრე ბავშვობაშივე დაეხოცა და დეიდამისმა, დიდმა ეკატერინემ, იშვილა. ეკაც ეკატერინეს კვალზე წავიდა და მასწავლებელი გახდა, თანაც იმავე სკოლაში, რომელიც დახურვისაგან ეკატერინემ იხსნა (ეკატერინე მთელი წლის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა დადგენილებას სკოლის დახურვის შესახებ, რათა მოსწავლეები არ დაქსაქსულიყვნენ და თავის ერთადერთ მასწავლებელს, ეკას, ანაზღაურებას საკუთარი პენსიიდან უხდიდა. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ეკატერინემ ეს ნაჩქარევი დადგენილება არ გააუქმებინა).

ავტორმა ამ ორი ქალის დიდად შთამბეჭდავი, ნამდვილი პოეტურობითა და შთაგონებით გამორჩეული სახეები შექმნა. რომანის თხრობაში ცალკე ამბად ჩაწნული, დიდი ეკატერინეს მოთხრობები“ (პირველ წიგნში) და „პატარა ეკატერინეს მოთხრობები“ (მეორე წიგნში) დღიურების სახით წარმოდგენილი და პირველი პირით გამოცემული,—მცირე ფორმის პროზაულ ქმნილებათა მშვენიერი კრებულია, ამბავთა კრიალოსანია, დრამატიზებული, მართალი, ნოველურ ტიპთან დაახლოებული და საოცრად ექსპრესიული.

მემკვიდრეობითობა იმაშიც ვლინდება, რომ ეკას ცხოვრება, თავის ძირითად ხაზებში (განსაკუთრებით სკოლისადმი ერთგულებით), ძალზე ჰგავს ეკატერინეს ცხოვრებას. ისინი ორივე საყვარელი საქმისადმი თავშეწირული ადამიანები არიან. ეკა რომ ეკატერინეს კვალში დგას, იმითაც მჟღავნდება, რომ როგორც ეკატერინემ ეკა იშვილა (ისევე როგორც თავის დროზე მამიდა პელაგიამ თვით ეკატერინე იშვილა), ეკაც აღსაზრდელად უდედმამო ბავშვს აიყვანს და შვილად იგულებს.

არის რაღაც სევდის მომგვრელი ამ საოცრად კეთილ და ღირსეულ, მაგრამ ცხოვრებაში რამდენადმე მოუწყობელ და მიუსაფარ ადამიანთა ბედში; მათი სიცოცხლე მოკლებულია დიდ სიხარულს, ოჯახურ სიტკბოებას, იმ შინაგან კმაყოფილებას, რომელსაც ქალში ქმარშვილი იწვევს. მართალია, არც დიდი და არც პატარა ეკატერინე არა გრძნობს თავს უბედურად, მაგრამ მათი კეთილდღეობა მაინც ცალმხრივია, რამდენადაც წარმატებებს საზოგადოებრივ სარბიელზე არ ამთლიანებს და არ ავსებს პირა-

დულ-ოჯახური ბედნიერება. მიუხედავად ამისა, ეს ორი ქალი, ქართული ხასიათის მადლიანი ბუნებით დაჯილდოებული, ღონივრად და ერთგულად ეწევიან მოქალაქეობრივ ჭაპანს და სწორედ ამაში ხედავენ თავიანთი ბედნიერების საფუძველს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რომანს მარტო სიხარულის გრძნობა როდი ავსებს; მისთვის უცხოა ის ჭარბი ეგზალტაცია, საჩვენებელი მხნეობა, ყალბი ოპტიმიზმი, რომელსაც ასე განუსჯელად „იშველიებს" ზოგიერთი მწერალი. რომანის ავტორმა იცის, რომ სიხარული არ არსებობს სევდის გარეშე, რომ ბედნიერება წარმოუდგენელია ტკივილების გარეშე; მარტო სიხარული რომ ყოფილიყო ამ ქვეყნად, ცხოვრება ისეთსავე ჯოჯოხეთად იქცეოდა, როგორც მხოლოდ მწუხარების პირობებში. სევდაც იმგვარი ადამიანური გრძნობაა, როგორც სიხარული ან აღტაცება. იგი მარტო გასაჭირის დროს როდი ეწვევა ადამიანს, ზოგჯერ თვით უდიდესი ბედნიერების დროსაც კი იცის სტუმრობა. იგი სულიერი სიმწიფის მაჩვენებელია და რა საცოდავად, რა მიამიტად მოჩანან ნაწარმოებები, რომლებშიც გმირები ხბოებივით აკუნტრუშებულან, მხოლოდ მხიარულებას მისცემიან და არ უწყიან რას ნიშნავს ადამიანური ტკივილი, სევდა, მწუხარება.

და რაოდენ მართალია ალიო ადამია, როცა მან ამ უაღრესად ოპტიმისტურ, სიცოცხლის სიყვარულით გამსჭვალულ ნაწარმოებში ასე ხელშესახებად გვაგრძნობინა ადამიანური განცდის მთელი გამა, უკიდურესად მაჟორული ხმებიდან უკიდურესად მინორულ ტონებამდე.

ავტორი არ ასწორხაზოვანებს ადამიანთა განცდებს, არ ერიდება სულიერი კონტრასტების ჩვენებას და სწორედ ამიტომაც შექმნა მან ასეთ ბრწყინვალე ოსტატობით აღბეჭდილი სცენები როგორიცაა, მაგალითად დიდი ეკატერინეს სიკვდილი, ანდა ისეთი ეპიზოდები როგორიც არის ზურაბ ბარბაქაძის სულიერი დაძაბუნება, ალექსანდრე ჩაფიჩაძის მარტოობა, შვილის დაღუპვით გამოწვეული გულასპირის სულიერი წამება და არაერთი სხვა.

ალიო ადამიას რომანში ცხოვრობენ და იღწვიან სულიერად ლამაზი, კეთილშობილური ბუნების ადამიანები. ამ რომანის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე სწორედ ის არის, რომ მასში ხასიათების დიდზე-დიდი უმრავლესობა მკვეთრად დადებითია. ისინი გვხიბლავენ თავიანთი მაღალი ადამიანურ-მორალური თვისებებით, რაც ბოლო წლების ქართულ პროზაში საკმაო იშვიათობად იქცა, რამდენადაც უარყოფითი ხასიათების მხილების ამოცანამ (თავისთავად მეტად საჭირომ და სასარგებლომ), ისე გაიტაცა ჩვენი ბელეტრისტები, რომ ეროვნული ნიშანთვისებებით აღბეჭდილი თანამედროვე ადამიანის დადებითი ტიპი სანთლით საძებარი გაგვიხდა.

როცა რომანში გამოყვანილ და ეროვნული ნიშანთვისებებით შემკულ ხასიათებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელთა შთამბეჭდავი სახეები. ასეთები არიან ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები. ეს ორი მოხუცი ადამიანები თავისი სულიერი სიფაქიზით, შინაგანი ტაქტით, აზრისა და განცდის სიმდიდრით, რომელიც გინდა ნაფიც ინტელიგენტს ამოუდგება გვერდში. ისინი ყველაფერს გრძნობენ, ყველაფერს ხედავენ და თავიანთი კეთილი, რაინდული, გამრჯე ბუნებით ქართველი მშრომელი კაცის საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ.

თუმცა ალექსანდრე ჩაფიჩაძე მძიმედ განიცდის თავის მარტოობას, მაგრამ ამაზე უფრო მეტად მას ქენჯნის მშობლიური სოფლის ხალხისაგან დაცლა, ოდესღაც ჟრიამულიანი სახლების ნასახლარებად ქცევა. მას სიცოცხლე აქვს გამწარებული იმისა გამო, რომ უწინ ხალხმრავალი მისი სოფელი ახლა ნასოფლარს დამსგავსებია. ექვსას მცხოვრებზე მეტი ცხოვრობდა ომამდე ხემაღალში, ახლა კი მხოლოდ ჩვიდმეტი მოსახლე დარჩენილა.

ავტორი გულშიჩამწვდომი დეტალებით, ჩინებული ფსიქოლოგიური მოტივაციით გვიჩვენებს ამ ადამიანის ფიქრსა და განცდას. ალექსანდრე არა მარტო უარს იტყვის შვილთან თბილისში გადასახლებაზე, არამედ ისე გონივრულად და თანამიმდევრულად წარმართავს საქმეს, რომ მოამწიფებს შვილის გადაწყვეტილებას სოფელში გადმოსახლების შესახებ და, როგორც უკვე ვიცით, რევაზი სოფელს დაუბრუნდება. ღრმად, დამაჯერებლად არის ნაჩვენები ალექსანდრეს რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობა შვილთან, რძალთან, შვილიშვილებთან, ყოველივე ეს ზრდის ამ სახის სიღრმისეულობას და ცხოვრებისეულობას.

კიდევ უფრო მკაფიო მხატვრული საღებავებითაა ნაჩვენები უაღრესად ინდივიდუალიზებული სახე გულასპირ ჩაფიჩაფისა. გულასპირიც მძიმედ განიცდის თავისი სოფლის დაკნინებას, გარეგნულად მხიარული და უდარდელი ეს კაცი გულში წარმოუდგენელ ვარამს ატარებს: მისი ერთადერთი შვილი, ალმასხანი, სამამულო ომში გმირულად დაიღუპა და ახლა, გულასპირისა და დარდით გამშრალი მისი ცოლის, კესარიას ოჯახი სრული ამოშრეტისათვისაა განწირული. მაგრამ თავისი სოფლის ბედი საკუთარ ტკივილზე ნაკლებად როდი სტანჯავს მას.

დასამახსოვრებლად არის აღწერილი გულასპირის საუბარი რაიკომის მდივანთან, როცა იგი თამამად უსაყვედურებს მდივანს ხემაღალისადმი უყურადღებობას, მისი ეკონომიური პერსპექტივების დაუნახველობას.

სწორედ აქ მჟღავნდება გულასპირის მოქალაქეობრივი მეობა და შინაგანი რაობა. გულასპირი ერთი იმათგანია, ვინც ერთგულად ამოუდგება გვერდში რევაზ ჩაფიჩაძეს და ახალი მეურნეობის ორგანიზაციაში, სოფლის განახლებაში ეხმარება. ქართველი კაცის ბუნებაში ღრმა წვდენით არის დასურათებული ამ მიმზვიდელი პერსონაჟის პირადულ ადამიანური თვისებებიც. ეს გამრჯე და უზარებელი ჭარმაგი ადამიანი მწერალმა პირდაპირ ცოცხლად დაგვიყენა თვალწინ.

გულასპირის მაგალითზე მშვენივრად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მრავალი სოფელი ზოგიერთი ვაიხელმძღვანელის მიერ არასწორად წარმართულმა საქმემ, რა განსაცდელი არგუნეს ამისთანებმა სოფლის მოსახლეობას; გულასპირი, ისევე როგორც ხემაღალს შერჩენილი რამდენიმე მოსახლე, იძულებულია მახლობელი სოფლის ბაზარში იაროს და სახლში მონაზოგი სურსათი დახლთან ყიდოს, რათა თავი როგორმე გაიტანოს და ოჯახი არჩინოს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მეზობლობას ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდა. კეთილი მეზობელი უხსოვარ დროიდანვე უახლოეს ადამიანად იყო მიჩნეული, რაშიც ქართველი ხალხის საომარი და შფოთიანი ცხოვრების ანარეკლი მოჩანს. „კარგი მეზობლის“ იდეალი ქართველი კაცის წარმოდგენაში პირდაპირ ესთეტიკურ კატეგორიამდე მაღლდება და ეროვნული ყოფის სპეციფიკურ ნიშნად გვევლინება. ალიო ადამიას რომანში ეს თვისება ხალხისა, დიდი უშუალობით არის გადმოცემული. რომანის ზოგიერთი ადგილი, შეიძლება ითქვას, თავისებური ჰიმნია მეზობლობისადმი. რა ღრმა გაგებით, რა მზრუნველობით, როგორი სითბოთი, უშურველობით, გამტანობით გამოირჩევა მეზობლური ურთიერთობა ხემაღალში! და ამ მხრივ, ეს სოფელი განსაკუთრებული კი არ არის, მასში მთელი საქართველოს სიმბოლური სურათი მოჩანს, სადაც კეთილი მეზობელი საფიცარ სახელად გამხდარა.

რომანში ადამიანები ხაზგასმული გულკეთილობით, „გაანგარიშებული სიკეთით“ კი არ უწვდიან ერთმანეთს მორალური თუ მატერიალური დახმარების ხელს, არამედ სრულიად უანგაროდ, უბრალოდ, უზაკვლელად ყოველგვარი საჩვენებელი თავმოწონების გარეშე, და ეს იმიტომ, რომ კეთილგანწყობილებისა და ურთიერთდახმარების გრძნობა თვით მათივე ბუნებაა, მათი სულიერი კანონია, მათი ცხოვრების წესია. ადამიანური კეთილშობილების ჩვენება ალიო ადამიას, როგორც მწერლის, ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა.

მაგრამ „დიდსა და პატარა ეკატერინეში“ ღრმად და ამაღელვებლად ასახულია ერთი ისეთი მოვლენაც, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის მხატვრული ხასიათების ეროვნული სპეციფიკაც, მათი მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი ღირებულებაც და პირადულ-ადამიანური თვისებებიც. ეს არის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეების გახსენება, ომისა, რომელიც არა მარტო უდიდეს განსაცდელად მოევლინა საბჭოთა ხალხს, არამედ უდიდესი სულიერი გამოცდაც იყო.

მწერალი მოკლედ, კონდენსირებულად, მაგრამ მეტყველად და ექსპრესიულად გვიჩვენებს, თუ როგორი შინაგანი ღირსებით, ძალითა და კეთილშობილური თავდადებით დაიჭირა ქართველმა ხალხმა ეს უმაგალითო გამოცდა, უმაგალითო თვით ისეთი მძიმე ბედისა და საომარი ისტორიის მქონე ერისათვის, როგორიც ქართველი ხალხია.

ალიო ადამია მისთვის დამახასიათებელი ხერხით — ცალკეული შტრიხებითა და მეტყველი სურათებით გვიჩვენებს იმ საშინელ დანაკლისს, რომელიც ომმა ქართველ ხალხს მიაყენა, იმ ტკივილებს, რაც მან მის გულში გამოიწვია: ორას სამოცდაორი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე ხემაღლიდან და ჩვიდმეტიღა დაბრუნდა.

„შავი კაბა, შავი წინდა, შავი თავსაბური, — ყვავების გუნდი გეგონებოდათ სატევლაზე მიმავალი ჯინორიძეთა ქალები“. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ზარდამცემ მოთქმას არ შეეძრა ხემაღალი... „მერე ჩვენს უბანსაც მალე ეწვია სიკვდილი. პირველი გულასპირის ჭიშკარი შეიღება შავად... მერე ჭაბუა ჩაფიჩაძის დაღუპვის ამბავი მოვიდა, მერე გერვასი ჩაფიჩაძისა და ჩაფიჩაძეთა უბანიც შავით შეიმოსა“ და „თანდათან გაუკაცურდა ხემაღალის უბნები“...

სამამულო ომი განუკურნებელი იარაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ჩვენმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო — შვიდასი ათასი ქართველი ვაჟკაცი ებრძოდა ფაშიზმს, აქედან ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზე დარჩა.

არანაკლებ სულიერი ტკივილი მოჰყვა დასახიჩრებულ-დახეიბრებული მეომრების სახლში დაბრუნებას. გამრავლდნენ ცალფეხა, ცალხელა, მეკომურები, ლოგინად ჩავარდნენ, დარდს გადაჰყვნენ შვილდაღუპული მშობლები; ავტორმა შემაძრწუნებელი დეტალებით გვაჩვენა მსახვრელი ომის გარდუვალი შედეგები.

ალიო ადამიას რომანის ერთ დიდად საგულისხმო მხარეს წარმოადგენს მასში გამოყენებულ მხატვრულ ხერხთა სიმრავლე და მრავალგვარობა, რაც ავტორის ოსტატობასა და მასალის ორიგინალურად გაშუქების უნარზე მეტყველებს. ხერხთა მრავალფეროვანება მოჩანს მხატვრული ფორმის თითქმის ყველა

კომპონენტში. ავიღოთ, თუნდაც, კომპოზიციის საკითხი. ალიო ადამიას გამოყენებული აქვს კომპოზიციური შენების სხვადასხვა ხერხი; არის შემთხვევა, როცა იგი მიმართავს ე. წ. „ჩარჩოს" ხერხს; ასეთი სტრუქტურული წყობისას, ერთ ამბავში ჩართულია მეორე, ამ უკანასკნელში მესამე (უფრო მომცრო და ლოკალური) და ა. შ. მაგალითად, რომანში როგორც ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი ჩართულია „დიდი ეკატერინეს მოთხრობები" (ეკატერინეს ბიოგრაფია), რომელიც გარკვეული მთლიანობითა და დამოუკიდებლობით ხასიათდება. ამ უკანასკნელში კი პატარა მოთხრობების სახით ჩასმულია რამდენიმე ამბავი: ზურაბ ბარბაქაძისა, პელაგია ხიდაშელისა, მაიასა და ბარძიმისა, ევდოკიმე და კალისტრატე ტაბატაძეებისა და სხვა. თვითეული მათგანი პატარა ნოველას წარმოადგენს. ხანდახან ასეთი „ჩანართი" კიდევ უფრო მეტი თავისთავადობით ხასიათდება და დამოუკიდებელი მოთხრობის ხასიათს იღებს. ასეთია, მაგალითად, როსტომ კიკნაველიძისა და გრეტას ამბავი, დიომიდე არჩვაძის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია" (რომელშიც სატირულ-იუმორისტული ფერებით დახატულია პორტრეტი „კულტურის დამსახურებული მუშაკისა", რაიონული სახალხო თეატრის ხელმძღვანელისა, ესოდენ ტიპიური ჩვენი რაიონების კულტურული ცხოვრებისათვის).

რომანში ვხვდებით ე. წ. „ჯაჭვურ" კომპოზიციასაც, ე. ი. ისეთს, როცა ერთი ამბავი (ეპიზოდი) მეორეს „ეწევა", მეორეს მესამე მოაქვს და ა. შ. ასეთია, მაგალითად, რომანში ჩართული ამბავი დიასამიძეთა ოჯახისა. მას მოჰყვება ამ ოჯახთან დაკავშირებული მეზობლის, შადიმან შარანგიას ამბავი, ამ უკანასკნელს კი კუკური გალაქტიონიჩის ეპიზოდი და ასე შემდეგ.

მრავალფეროვნებას ვხვდებით ამსახველობითი საშუალებების ხმარებაშიც. რომანში გამოყენებულია ხან ეპიკური თხრობის ხერხი, ხანაც დრამატურგიული ნაწარმოებისათვის ნიშნეული ფორმა (ასეთია ნიკოსა და შარანგიას საუბარი), ავტორისეული რემარკების ჩართვით, რაც აცხოველებს მასალის გადმოცემას. ხანდახან ტექსტში მარტო რემარკაა ჩართული. ასეთ შემთხვევაში იგი ფსიქოლოგიური პაუზის როლს თამაშობს და მეტყველად გადმოსცემს პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობას.

არის შემთხვევები, როცა ავტორი სურათის დასახატავად კინემატოგრაფიულ ხერხს ხმარობს: „ჯერ სათვალე მ ო ე ხ ს ნ ა ნიკო დიასამიძის თვალებს, მერე შექალარავებული ულვაში და თავზე შეთხელებული თეთრი თმა გ ა მ ო ე ს ა ხ ა.... ნიკოს მუხლისთავებზე გადაშლილი წიგნი გ ა ჩ ნ დ ა, თვალებზე სათვალეები, თვალის უპეებთან ნაოჭები", და ა. შ.

ხანდახან ავტორი თხრობის ე. წ. „კონსტანტაციურ" ხერხსაც მიმართავს: „სუფრიდან ყველაზე ადრე ლილი დგება და მას მაინც ყოველთვის აგვიანდება სამსახურში". ან ნიკო დიასამიძე თორმეტ საათზე მიდის ისტორიის ინსტიტუტში. მისი პორტფელი ერთობ დიდია, მოზრდილ ჩემოდანს ჰგავს. ნიკოს კაბინეტი მესამე სართულზეა" და სხვა.

რომანში, როგორც ფსიქოლოგიური დახასიათებით მდიდარ ნაწარმოებში, მრავლადაა ჩართული პერსონაჟთა ნაფიქრ-ნააზრევი, განცდები და გრძნობები. ამიტომ ავტორი ხშირად მიმართავს შინაგან მონოლოგს, რომელიც ფრიად ეკონომიურია გმირთა სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად. „ამ დილით ნე, ზვიად დიასამიძე, რიგითი ასპირანტი ვარ, მაგრამ დღეს სამეცნიერო ხარისხს დავიცავ და საღამოთი მეცნიერების კანდიდატი გავხდები". ზოგჯერ შინაგან მონოლოგს ავტორი სიუჟეტურ ხერხად და პერსონაჟთა შესახებ „ინფორმაციის" ეფექტურ წყაროდაც აქცევს, რადგან სხვა ა ღ წ ე რ ი თ ი ხერხით ყოველივე ამას გაცილებით მეტი ადგილი დასჭირდებოდა. ასეთი გზით ავტორი მეტ ლაკონიურობასა და ლაპიდარულობას აღწევს.

ხანდახან მეტად მეტყველადაა გამოცემული „მოქმედება ფიქრში", ე. ი. მასალის იმგვარი გადმოცემა, როცა გმირი მხოლოდ თავის წარმოდგენაში, თავის ფიქრში მოქმედებს და მოძრაობს. ამ გზით მეტად მოხერხებულადაა ხოლმე გადმოცემული გმირის სურვილი (მაგალითად, ახალი წლის ღამეს, სოფელში მარტოდ მყოფი ალექსანდრე ჩაფიჩაძე თავის ფიქრში ახალ წელს მთელ ოჯახთან ერთად ხვდება და თვითეულ ოჯახის წევრს ესაუბრება). ამავე დროს ასეთი ხერხი მეტყველად წარმოგვიდგენს კონტრასტს სინამდვილესა და ოცნებას შორის.

კარგადაა გამოყენებული სიმბოლური მნიშვნელობით დატვირთული ფრაზაც, როცა სიმბოლურობა ნატურალისტურ აღწერილობას ენაცვლება და ორიოდე სიტყვით გვიხასიათებს ამა თუ იმ მოვლენას ან პროცესს: „ვიწრო ბილიკმა ხერგას რესტორანში მიიყვანა აბელ კიკნაველიძე, ბუფეტში ჩააყენა, წინ სახწორი დაუდგა და ხელში ალესილი დანა მისცა". ზოგჯერ ავტორი მოქმედ პირთა „შიგნიდან" გასახსნელად მათი ფიქრის მონაცვლეობასაც მიმართავს და ასე გამოყოფს მას: „კაკუბერის ფიქრი"; „რევაზის ფიქრი"; „გულასპირის ფიქრი." და აქვე გადმოსცემს ამ „ფიქრის" რაობას.

ხანდახან კი ავტორი პირდაპირ ერევა თხრობაში: „ამიტომაც ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი დაწვრილებით მოგვითხრო [illegible]მკით-

ხველს დიომიდე არჩვაძის შემოქმედებაზე“.

რომანში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს წარსულის მოგონებები. მათი დახმარებით ხშირად მთელი რიგი სიუჟეტური რგოლებია გადმოცემული. ასეთია, ვთქვათ, რევაზისა და რუსუდანის სიყვარულის ისტორია, რომლის ცალკეულ მომენტებს ხან ერთი იხსენებს, ხან მეორე; ერთად აღებული ეს ორი ნახევარი კი მოვლენის გამამთლიანებელ სურათს გვაძლევს.

საინტერესოა, რომ რომანის სტილი ერთგვაროვანი არ არის და მასში განსხვავებული ფერები შეინიშნება. მაგრამ ეს არა ქმნის უამურ სიჭრელეს. პირიქით, ავტორის სტილი — ხან მეტად ემოციური და მღელვარე, ხანაც თავდაჭერილი და დინჯი, ზოგჯერ ლირიკულად გულში ჩამწვდომი, ზოგჯერ კი მეტად ობიექტივისტური და დეტალიზებული, ხან უკიდურესად რეალისტური, ხანაც სიმბოლურ-ნართაული — ნაკარნახევია გადმოსაცემი მასალის ხასიათით, ეპიზოდის თუ პერსონაჟის რაობით, მათი თავისებურებებით და მეტად კარგად ესადაგება მხატვრული დასურათხატების სტილურ ამოცანებს.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს რომანის ხალასი პოეტურობა, რომელიც ნაწარმოების მხატვრულობის ერთ ქმედით შემადგენლად გვევლინება. ცალკეული სურათები, პასაჟები, პორტრეტები, პეიზაჟური ჩანახატები, პერსონაჟთა ურთიერთობა, რომანტიკული ინტრიგები, ისეთი პოეტური მადლიანობით გამოირჩევა, იმგვარად არის დანაღმული ლირიკული გრძნობით, რომ რომანის ცალკეულ ადგილებს ლექსალურ ნიმუშთა გამომეტყველებასთან აახლოვებს.

ქებას იმსახურებს ავტორის ლაპიდარული სტილი, გაპირობებული მოკვეთილი, უაღრესად ლაკონური, მაგრამ ამავე დროს შინაარსობრივად და ემოციურად მეტად დატვირთული ფრაზებით. ყოველი ფრაზა სინათლითა და გარკვეულობით გამოირჩევა და თავისი გამართული არქიტექტონიკა მოსდგამს, თავისი მუსიკალობა და ჟღერადობა გააჩნია.

ამნაირადვე, რომანის სტილის ყოველ კომპონენტში ნათლად მოჩანს, რომ იგი პოეტის შექმნილია. ეს მჟღავნდება იმ შინაგან მღელვარებაშიც, რომელიც ყოველ სახესა და სიტუაციაში გამოსჭვივის; რომანში ხელშესახებად იგრძნობა ავტორის პოეტური თრთოლვა, ჩანს, რომ ყოველი სიტყვა განცდილია, რომ ნაწარმოები მხოლოდ ცივი გონებით არ იწერებოდა. რომანის ასეთი ემოციური დანაღმულობა მისი მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-შინაარსობრივი ზემოქმედების ერთი მიზეზთაგანია.

ალიო ადამიას რომანის ენობრივი ქსოვილი მეტად საყურადღებო მასალას იძლევა დაკვირვებისა და მსჯელობისათვის. ჩანს, რომ მწერალი სერიოზულად მუშაობს ნაწარმოების ენაზე. მისი ენა გამართული, ხატოვანი, ძარღვიანი და მდიდარია. ზომიერად (უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში) ნახმარი დიალექტური ფორმები არ არღვევენ ენის უაღრესად ლიტერატურულ ხასიათს, მის დახვეწილობასა და სიწმინდეს.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ და მთლიანად რომანის ენა მაღალ შეფასებას იმსახურებს, მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ორიოდე საჭოჭმანო შემთხვევაზე, რომელიც ნაწარმოების ენის, სტილისა და დეტალების გადმოცემის საკითხებს შეეხება.

მხატვრული დეტალი ყოველთვის უაღრესად ზუსტი და მართალი უნდა იყოს. ოდნავი შეცდომაც კი, დეტალის გააზრებაში დამაჯერებლობას უკარგავს მას. ხოლო არადამაჯერებელი დეტალი, უკვე დეტალი აღარ არის. რომანში ვკითხულობთ: „გაისმა კარზე მომდგარი ვაგონის გამყოლის წვრილი, რკინიგზელისათვის დამახასიათებელი გაბზარული ხმა“. ნეტავი რატომ არის გაბზარული ხმა დამახასიათებელი მაინც და მაინც რკინიგზელთათვის?; ერთი პერსონაჟი ამბობს: „ისტორიაში და მათემატიკაში ჩავიჭერიო“. ერთ გამოცდაზე ორ საგანში ჩაჭრა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ერთხელ ჩაჭრილს, მეორე გამოცდაზე აღარ უშვებენ; ერთი ყმაწვილი კითხვაზე როგორ თევზაობთ (რას იჭერთ), ასე პასუხობს: „მარტო ლიფსიტებს რატომ? ხანდახან წვერასაც“. განა წვერა კი არ შეიძლება ლიფსიტა იყოს? ლიფსიტა წვერაც არის, ლურჯაც და ციმორიც; ავტორი ერთ პლაკატს აღწერს, მასზე დახატულია ნ. გაფრინდაშვილი, რომლის ცხენის ფერხთით „მორიგისად წვანან მოცელილი ინგლისელი ოსტატები“, უნდა იყოს მწკრივად, რადგან მორიგისად რიგ-რიგობით დაწოლას ნიშნავს; ბიჭი საქონელს მიერეკება — „მარაქას სოლომონ ჯინორიძის ბიჭი მიუძღვისო“. მარაქა ადამიანთა კრებულს ნიშნავს (ძველად, უპირატესად, ქალთა დასტას), მაგრამ საქონლის, ნახირის მიმართ ამ სიტყვას არა ხმარობენ.

ძალზე იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც შეხვდები სტილისტურ „ლაფსუსებსაც:“ „უმაძღარი ღორები ყურისწამღებად ჭყივიან“. ღორები კი არა ჭყივიან — ჭყვიტინებენ; „სალაფავი დაუყარესო“, ამბობს ავტორი, სალაფავს კი არ უყრიან — უსხამენ; ასევე გაუმართავია: პრასი ხელში მოილუკმა და პირში ჩაიდო“, „ბურთი აბესალომს პირდაპირ თავში ეთხლიშა“; შეიძლება ვთქვათ — თვალი თვალში გაუყარაო, მაგრამ, „რამიშვილმა ნიკოს გაუყარა თვალი“ — უვარგისია.

ხანდახან ავტორი მეტად ნებისმიერად ხმარობს და ნებისმიერად აწარმოებს სიტყვებს: „ჯოხი მოიხელთა“ (ე. ი. ხელში მოიგდო, მოირგო); ჯოხი „კუთხეში მიაყუჟა და მიაჯანდაბა“; შეიძლება ახლადწარმოებული სიტყვა უფრო სხარტი და ლაკონურიც იყოს, მაგრამ მარტო ეს არა კმარა მისი ხმარებისათვის. ასეთია სიტყვები: დ ა უ ტ ა შ უ ნ ე თ (ტაში დაუკარითო), გზა მ ო ხ რ ე შ ი ლ ი ა (ე. ი. ხრეშდაყრილიაო), ცხენი შ ე ჭ ქ უ ს ლ ა (ქუსლი ჰკრა), ს ა ს ი ს მ ო დ გრილოდა, ს ა ძ ი ლ ე ოთახი და სხვა. არც ისეთი დიალექტური სიტყვების შემოტანა ვარგა, რომელთა დამკვიდრებული ლიტერატურული ფორმა უკვე გაგვაჩნია: „ატამი მ ო ა ბ ი ჭ ა“, „ხბო ო ქ ა რ თ ე შ ი შეაგდო“, „მოფარებული ადგილი დ ა ა მ ა ს მ ა ს ა“.

უნდა ვერიდოთ ბარბარიზმებსაც (მაშინაც კი, როცა ისინი პერსონაჟთა ენობრივი დახასიათების ელემენტად არის გამოყენებული), მაგალითად: „ვეებერთელა ჩ ა ნ ე ბ ი“, „მართლა ეტკინა თუ გ ა ი ფ ო კ უ ზ ნ ი კ ა?“.

მიუხედავად იმისა, რომ ალიო ადამია ამ რომანში პროზაიკოსის თვისობრიობაში წარმოგვიდგა, იგი თავისი ბუნებით მაინც პოეტად რჩება. ზოგიერთი მისი ფრაზაც პოეტური სტრიქონივითაა გამართული, და ასევე ალიქმება. მაგალითად: „ქარაფებზე ჯიხვებს დასდევს, არწივებს ეყივლება“; ავტორის პოეტურობა იგრძნობა იმ სიტყვაწარმოების დროსაც, რომელსაც იგი პოეტური ევფონიის პროზაზე გავრცელების მიზნით მიმართავს ხოლმე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მწერალი დიდ ყურადღებას უთმობს სიტყვების ბგერით მხარეს. მივიწყებულ თუ იშვიათ სიტყვათა შემოტანას (ან ახლის წარმოებას), მას ხშირად უკარნახებს მუსიკალური და წმინდა აკუსტიკური მიზეზები, სიტყვათა ჟღერადობის გაკეთილხმოვანების სურვილი. ასე, მაგალითად, ნაცვლად მეტისმეტად მოკვეთილი და მოუქნელი „მოესურვასი“, ანდა მძიმე და გაჭიანურებული „სურვილი აღეძრა“, „სურვილი გაუჩნდა“-ს ნაცვლად იგი ხმარობს უფრო დარბილებულ და უფრო მუსიკალურ „მოესურვილას“ (ასევე ულიმის — ეღიმილება და ა. შ.). შეიძლება ვიდავოთ ასეთი სიტყვაწარმოების კანონზომიერებაზე, მაგრამ ენობრივ ექსპერიმენტს მწერალს ვერავინ აუკრძალავს. პირიქით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი გზა სტილის ორიგინალურობისაკენ.

მაგრამ სიტყვაწარმოებით მეტისმეტი გატაცებაც ფრიად სახიფათო და საჭოჭმანოა. ავტორი, მაგალითად, ჯიუტად ცდილობს შემოიტანოს ზმნიდან წარმოებული ზოგიერთი უჩვეულო ფორმა: უჩქმიტასავით, ამოიხვნეშასავით, დაიყვირასავით, დაირცხვინასავით, ატირდასავით და სხვა. ისევე როგორც დამკვიდრებულის სახენაცვალი ვარიანტი — შეგრილებული ჩაი, ჭიქების შეჯახუნება და სხვ.

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი საკამათო ტენდენციისა ენის, სტილის, სიუჟეტის, კომპოზიციის თუ სახე-ხასიათების გააზრების საკითხებში (უამისოდ კი ვერც ერთი მხატვრული ნაწარმოები ვერ წარმოიდგინება) — ფორმისა და შინაარსის ყველა კომპონენტში იგრძნობა ნიჭიერი მხატვრის ხელი და მახვილი თვალი, ავტორის შთაგონება და შინაგანი წვა, ჭეშმარიტი შემოქმედებითი უნარი და დასრულებული ოსტატობა.

დღეს, თანამედროვე ქართულ მწერლობაში წამყვანი მნიშვნელობა მოიპოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებამ, ნეგატურ მოვლენათა მხილებამ, უარყოფითთან ბრძოლამ. ყოველივე ეს სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივია, რამდენადაც უახლოესი წარსულის მავნე მემკვიდრეობის აღმოფხვრა სხვაგვარად შეუძლებელია, ხოლო ამ ამოცანის შესრულება ჩვენი ლიტერატურის სისხლხორცეული საქმეა.

მაგრამ უარყოფის მხილება და გაკიცხვა საბჭოთა ლიტერატურის მთავარი შემოქმედებითი ამოცანის მხოლოდ ერთი მხარეა; იგი სრულიადაც არ არის საკმარისი, რათა ჩვენი მწერლობა თავისი მოწონების სიმაღლეზე აღმოჩნდეს. ამოცანის მეორე მხარეს წარმოადგენს ჩვენი გმირული თანამედროვეობის, ნამდვილი საბჭოთა ადამიანების ჩვენება, დადებითი მაგალითის ქადაგება. სწორედ ამ მხრივ არის ალიო ადამიას რომანი განსაკუთრებით საყურადღებო: მწერალმა შთაგონებითა და სიყვარულით გვაჩვენა ჭირში გაუტეხელი, გამრჯე, სათნო და მამაცი ქართველი ადამიანები, მათი კეთილშობილური ბუნება, შორსმჭვრეტელობა, მათი სანაქებო ეროვნული თვისებები, საბჭოური ხასიათი და მაღალი მოქალაქეობრიობა. ამიტომაც მიგვაჩნია „დიდი და პატარა ეკატერინე“ თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზია უცილო და სასიხარულო შენაძენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვლადიმერ მაჭავარიანი*

# „მოხმარებითი საზოგადოების" ჯუნგლებში

კაცობრიობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის, თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაცია ორიოდე ასწლეულს, ახალი სოციალისტური სამყარო მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებისათვის იზეიმებს თავისი არსებობის პირველ საუკუნეს.

ეს ასეა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ტემპები ისე აჩქარდა, რომ რასაც გადასულ საუკუნეებში ასობით წელი სჭირდებოდა, ახლა ათეული წლები, ხანდახან უფრო ნაკლები დრო უნდა.

ლათინური ამერიკის ცნობილმა მოაზროვნემ, მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ ალეხო კარპანტიერმა ამას წინათ აღნიშნა, მწერალ ფონტენელისათვის ერთადერთი კალმის ოსტატისათვის, რომელმაც ასი წელი იცხოვრა (1657-1757 წ. წ.), რომ ეკითხათ თუ რა ცვლილებები მოხდა საუკუნეში, რომელშიც ის ცხოვრობდა, ალბათ პასუხი ასეთი იქნებოდა: ბევრი არაფერიო, ტრანსპორტი ისეთივე იყო, როგორც წინა საუკუნეებში, მედიცინა კვლავ ჰიპოკრატესა და გალენის საშუალებებს ხმარობდა, ცოდნა ქიმიაში თუ ფიზიკაში ერთ დონეზე დარჩაო; მე კი, — წერს ა. კარპანტიერი — სამოცდაათი წლის მანძილზე შევესწარი ისეთ მოვლენებს, რომ ადამიანმა თვითმფრინავით გადალახა ატლანტის ოკეანე, ფეხი დაადგა მთვარის ზედაპირს, ადამიანები ხომალდებით კოსმოსურ სივრცეს ეწვივნენ და იქ დაფრინავენ, სპეციალური ხელსაწყოები მარსისა და იუპიტერისაკენ გავტყორცნეთ, მალე მათ იდუმალებას შევიცნობთ, გაქრა მრავალი ავადმყოფობა, რომელიც ათი ათასობით ადამიანს მუსრს ავლებდა, წარმოდგენები დროსა და სივრცეზე ძირფესვიანად გამოიცვალა, მეცნიერება გიგანტური ნაბიჯით წინ მიიწევს, ის უშუალო მწარმოებლური ძალა გახდა, კიბერნეტიკა, ავტომატიკა, გამოთვლითი მანქანები სასწაულებრივი სიჩქარით აკეთებენ იმას, რასაც ადამიანის ტვინი გაცილებით მეტ ხანს მოანდომებდა, ათეულ წლებში მუსიკამ, მწერლობამ დიდი ევოლუცია განიცადა.

მე აქ არას ვამბობ — განაგრძობს ა. კარპენტიერი — იმ სოციალურ ძვრებზე, რომელნიც ამ საუკუნის ათიოდე წლის მანძილზე მოხდა. სამოცი წლის წინათ ჩვენ დიდი რევოლუციების ეპოქაში შევდგით ფეხი. ცხოვრება გამოიცვალა პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ თვალსაზრისითო.

მართლაც საკვირველ, — მეტად რთულ და თავისებურ საუკუნეში ცხოვრობს ახლა პლანეტის მკვიდრი. ზემოდ თქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ უჩვეულოდ გაიზარდა ინფორმაცია, ახლა ხომ ინფორმაციის ამოფეთქებაზე ლაპარაკობენ; მილიონიანი ტირაჟით გამოდის გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, რადიოზე, ტელევიზიაზე აქ რომ არაფერი ვთქვათ. გახშირდა კონტაქტები ადამიანთა შორის, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი გაწიგნიერდა, რამდენიმე ათწლეული, და უნდა ვიფიქროთ, დედამიწაზე წერა-კითხვის უცოდინარი, ძუძუმწოვარი ბავშვების გარდა, აღარავინ იქნება.

საინტერესო დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა დედამიწაზე. თუ იმ საუკუნის დასასრულს ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა 37-40 წელს არ აღემატებოდა, ახლა ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში, მან 70-72

წელს მიაღწია. ახლა დიდ ოჯახებში ერთ ჭერქვეშ სამი თაობის ადამიანი ცხოვრობს.

ასეთი სრულიად ახალი ვითარების აპრობაცია, მასთან შეგუება ადამიანისათვის ადვილი საქმე არ გამოდგა, მით უმეტეს, რომ მისი ფიზიკური სტრუქტურა, მითიური ადამის შემდეგ, არ შეცვლილა. დიდი ტრანსფორმაცია არ განუცდიათ ჩვენ ვნებებს, გრძნობებს. დღეს დედას ბავშვი ისევე უყვარს, როგორც ისევე მითიურ მარიამს თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, და უნდა ვიფიქროთ, გრძელთმიანი, ულვაშებ-წვერებიანი, ფართო შარვლიანი, იჟვით მოცული ტარიელის შთამომავალი, მეტროს შესასვლელთან, კვლავ ცრემლებს ღვრის, შარვლოსან, ან მინი-კაბაში გამოწყობილ ნესტანზე, რომელიც პაემანზე იგვიანებს.

ასეა თუ ისე, დღევანდელი კაცობრიობა მართლაც რომ სულ ახალ დროებაში ცხოვრობს და მისი არა მარტო ეკონომიური თუ პოლიტიკური, არამედ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა შეცნობა, გაგება, განმარტება, აპრობაცია, ცოტა არ იყოს, ძნელი ხდება.

თუ არ ვცდებით, ჩვენი მხატვრული ლიტერატურა როგორღაც ჩამორჩება ამ ახალი ტენდენციების სრულყოფილად ასახვის საქმეს. მაგრამ ეს სხვათა შორის. მე აქ არაფერს ვამბობ დისსტრესულ ვითარებაზე, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია თანამედროვე, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანისათვის.

მაგრამ კაცობრიობა ერთიანი და განუყოფელი არ არის. არსებობს კარდინალური ხასიათის ზღვარი სოციალური სტრუქტურის სხვადასხვა ორ სამყაროს შორის. იქაური და ჩვენებური ცხოვრება სულ სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული და ამ დებულების დამტკიცება საჭირო არ უნდა იყოს.

ჩვენში ახალა ბევრს წერენ ახალგაზრდობაზე. ეს გასაგებია. ახალგაზრდობა, ერის, ხალხის მომავალია და ვინ არ ფიქრობს თავის მომავალზე?

სხვა და სხვა სოციალურ სტრუქტურებში ახალგაზრდობის პრობლემაც დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისით უნდა ვანვიხილოთ. ახალგაზრდა ყველგან ახალგაზრდაა, ოღონდ ის ექვემდებარება საზოგადოებაში მიმდინარე იმ პროცესებს, სადაც ცხოვრობს და მოქმედებს.

საინტერესოა ის პრობლემები, რომელნიც იქაურ ახალგაზრდობას აწუხებს, ცხოვრებას უმწარებს და მოქმედების მეტად თავისებურ მოდელს უქმნის.

ამ საკითხების განხილვა ალბათ საინტერესო იქნება, თუ ჩვენ მას დავუკავშირებთ ინგლისელ მწერლის პირს პოლ რიდის ახალი რომანის, „პროფესორის ქალიშვილის“ განხილვას. ეს წიგნი 1974 წელს რუსულ ენაზე გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოაქვეყნა. რომანი ინგლისურ ენაზე 1971 წელს გამოსულა, მაშინ როდესაც ეს-ეს იყო დამთავრდა ახალგაზრდობის მანამდე არნახული მასშტაბების გამოსვლები საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ბერლინში, ფედერაციულ გერმანიაში. ამ გამოსვლებს დიდი რეზონანსი ჰქონდათ და სათანადო თეორეტიკოსებიც გამოუჩნდნენ, მაგალითად, რუდოლფ დუჩკე, რომელმაც ე. წ. „მემარცხენეებს“ საბრძოლო ლოზუნგიც შესთავაზა — „პარტიზანული ომი დიდ ქალაქების ჯუნგლებში“, „ვანგრიოთ, აშენებაზე სხვამ იტეხოს თავიო“. დასავლეთ გერმანელები იყვნენ ძმები კონ-ბუნდიტები, კანადაში დასახლებული ჰერბერტ მარკუზე და სხვები.

სამოციანი წლების მიწურულს ახალგაზრდათა, პირველ რიგში სტუდენტობის მოძრაობაზე ცოტა როდი დაიწერა. ამ მოძრაობამ თავისი გამოხატულება მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰპოვა. რუსულ ენაზე ითარგმნა ცნობილი ფრანგი მწერლის რობერ მერლის სქელტანიანი რომანი-ქრონიკა „შუშის მიღმა“. რომელ შუშაზეა აქ ლაპარაკი? იმ სქელ შუშა-ვიტრინებზე, რომელნიც სიმბოლურად ყოფენ უნივერსიტეტის ახალ შენობებს, მათ ფასადებს გარე სამყაროსაგან.

აქ არაფერს ვიტყვით პუბლიცისტური, მეცნიერული, სოციოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის შრომებზე, რომელნიც დასავლეთში, პირველ რიგში სტუდენტ ახალგაზრდობის მოძრაობას მიეძღვნა. საბჭოთა კავშირშიც გამოქვეყნდა რამოდენიმე ავტორის წერილი თუ გამოკვლევა, რომელნიც პრობლემათა ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

დასავლეთის სხვა და სხვა ქვეყანაში ამ მოძრაობამ ერთმანეთისაგან განსხვავებული იერი მიიღო. ერთი რამ კი ჰქონდათ მათ საერთო: უკმაყოფილება იმ ქვეყნებში არსებული არა მარტო სოციალური, საზოგადოებრივი სტრუქტურით, არამედ იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-მორალურ, ზნეობრივ ღირებულებათა სისტემით, რომელიც დამახასიათებელი გახდა გვიანდელ კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ხანისათვის.

რასაკვირველია, ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც აიგივებენ ჩინელი ხუნვეიბინების მოძრაობას, ჰიპების გამოხდომებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ან საფრანგეთის სტუდენტების გამოსვლებთან 1968 წელს.

ხუნვეიბინების თარეში ჩინეთში სახელმწიფოს მმართველი პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით წარმოიშვა და ვითარდებოდა. მაომ გადაწყვიტა ახალგაზრდობის შფოთავი ენერგია, აქტიური პოლიტიკური მოქმედების წყურვილი, თავისი პოლიტიკური

მიზნებისათვის გამოეყენებია. მაომ ხუნვეიბინები ძველ კადრებს დაუპირისპირა.

პოლიტიკურად მოუმწიფებელი, გამოუცდელი ახალგაზრდობის აყოლიება შედარებით იოლი საქმე გამოდგა. როცა მაომ დასახულ მიზანს მიაღწია, იქვე შეწყვიტა ხუნვეიბინთა მოძრაობა. მაომ მათ ერთდროულად ორი საქმე გააკეთებინა — საკუთრივ ჩინეთში თავისი მოწინააღმდეგენი მიფანტ-მოფანტა, და მეორე, ახალგაზრდობას თავისი თავი მათი ზრახვების მოზიარედ, „მემარცხენე“ ბელადად წარმოუდგინა. მაოს ამ დემაგოგიურმა აქციამ, როგორც ცნობილია, ერთგვარი რეზონანსი მოიპოვა. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში, „მემარცხენე“ ახალგაზრდებმა მაოც თავის ბელადად მიიჩნიეს. ორიოდე წელიწადში ეს მირაჟიც გაიფანტა.

საფრანგეთში სხვა ვითარება იყო. იქაური სტუდენტების მოძრაობა სხვა გარემოებებმა და მიზეზებმა წარმოქმნეს, პირველ რიგში, საუნივერსიტეტო სწავლების დახავსებულმა, დრომოჭმულმა მეთოდებმა. იქ ხომ სტუდენტები თავის აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს თვეობით ვერ ხვდებოდნენ. იქაურ სტუდენტობას მიაჩნდა, რომ სწორედ სამოციან წლებში საფრანგეთში ხელჰყვეს დემოკრატიული ინსტიტუტები და იქ დამყარდა ერთპიროვნული მართვის სისტემა; ამ მოძრაობაში აშკარად ისმოდა ალჟირის, ვიეტნამის კოლონიური, უსამართლო ომების ექოც, გამოძახილიც.

ახალგაზრდათა ეს მოძრაობა ზნეობრივ ღირებულებათა კრიზისსაც გამოხატავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ინტელექტუალურმა ახალგაზრდობამ იგრძნო, რომ ირღვეოდა სულიერ ღირებულებათა იერარქია. სულიერი საწყისები უკან იხევდნენ, მატერიალური ინტერესი პირველ რიგში აღმოჩნდა. შეიქმნა „მოხმარებითი საზოგადოება“, რომელმაც თავის მარწუხებში მოაქცია ადამიანის ცხოვრება.

ასეთ პირობებში ახალგაზრდებმა თავის კერპებად გაიხადეს ჩე გევარას ჰეროიკული და, ამავე დროს, ტრაგიკული ფიგურა. ზოგი აიტაცა ტროცკისტულმა დემაგოგიამ, ჰერბერტ მარკუზეს, ჟან-პოლ სარტრის, ნაწილობრივ ფრომის ტოტალური უარყოფის უტოპიურმა და ამდენადვე რეაქციული ხასიათის პოლიტიკურმა მედიტაციებმა.

ახალგაზრდებს სურდათ განთავისუფლებულიყვნენ ბურჟუაზიული სამყაროს ზნეობრივი უღლისაგან, ამის მაგივრად თვით წარმოქმნეს თავის კონტრკულტურის, ტოტალური უარყოფის იდეოლოგია.

ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ სტუდენტობის, ახალგაზრდობის მოძრაობა, რა რიგ რადიკალური და გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო ის, თუ იზოლირებულად მოქმედებს, არ უკავშირდება თანამედროვეობის ჭეშმარიტად ერთადერთ რევოლუციურ ძალას — მუშათა კლასს, სწორ გზას ასცდება, მარცხს განიცდის, ჰქრება.

მსოფლმხედველური ზუსტი კრიტერიუმების გარეშე, მარტოოდენ მორალური აფექტაციით, გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევა გადაუწყვეტელი ამოცანაა. პოლიტიკურ ჰორიზონტზე ახლა აღარ ჩანს ცნობილი მოაზროვნე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე ჟან-პოლ სარტრი, რომლის პროტესტი ამჟამად იმით გამოიხატება, რომ ის პარიზში ჩამოხეულ ტანსაცმლითა და ძველი ფოსტლებით დადის. არავინ იცის სად გაუჩინარდნენ ზემოთ ხსენებული დუჩკეები,, კონ-ბუნდიტები, სულ ახლო წარსულში ესოდენ მოდური ჰერბერტ მარკუზე და ბევრი სხვა, რომლებიც ახალგაზრდებს ნგრევისაკენ მოუწოდებდნენ.

ძლიერი მუშათა მოძრაობა კი კვლავ აქტიურად მოქმედებს და ნათელ მიზნად კვლავ სოციალიზმი რჩება; სხვა გზებსა და ბილიკებს ადამიანები მხოლოდ ავანტიურებისაკენ მიჰყავს.

სწორედ ამ ზოგად მოსაზრებების ასპექტში უნდა განვიხილოთ ზემოთ მოხსენებული პოლ რიდის რომანი „პროფესორის ქალიშვილი“. ვერ ვიტყვით, რომ პირს პოლ რიდი დიდ, ფსიქოლოგიურ ანალიზზე დამყარებულ ნაწარმოებს გვთავაზობს. მისი რომანი უფრო პუბლიცისტური ხასიათისაა. სხვათა შორის, ამ ჟანრის რომანებმა ფართოდ მოიკიდეს ფეხი დასავლეთის პროზაში.

ასეა თუ ისე, სურათი, რომელსაც გვიხატავს ავტორი, მართლაც შემაძრწუნებელია.

რა ხალხი სახლობს რიდის რომანში, ვინ არიან მისი გმირები, როგორი მორალური კრიტერიუმები, ღირებულებანი მეფობენ ამ წრეში, ვინ არის პროფესორი რატლიჯი და რას წარმოადგენენ მისი ქალიშვილები, სტუდენტები, მისი მეუღლე, საერთოდ ამ ოჯახის გარემოცვა?

ერთი შეხედვით, იქ ყველაფერი თავის რიგზე უნდა ყოფილიყო. პროფესორი ჰენრი რატლიჯი ორმოცდახუთი-ორმოცდაათი წლის განთქმული, საერთაშორისო რეპუტაციის მქონე მეცნიერი — პოლიტოლოგია; ის აშშ საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის, ჰარვარდის უნივერსიტეტის მაღალი ინტელექტუალური ელიტას წევრია; მისმა უშუალო წინაპარმა, ერთ-ერთმა რატლიჯმა, თურმე ხელი მოაწერა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ამავე დროს, რატლიჯი მილიონერია, მდიდარი კაცია, საკუთარი სახლი აქვს, ორი ქალიშვილი ჰყავს, რომანის მთავარი გმირი ჯულია და უმცროსი ლაურა. ჯულია სტუ-

დენტია, ლაურა თექვსმეტი წლისაა, მოსწავლეა. რატლიჯის ცოლი ლილიანი, სანდომიანი ქალია, ის არ არის გაუნათლებელი, მხოლოდ მეოჯახე ქალი.

ერთი სიტყვით, ასე მოსჩანს ეს ოჯახი თუ ფოტოსურათს გადავულებთ. ფოტო-სურათზე მართლაც ისევე იქნება, როგორც ჟურნალ „ამერიკის“ ბრჭყვიალა ქაღალდის ფურცლებზეა ასახული იქაური ცხოვრება.

ნამდვილად კი, ამერიკის შეერთებულ შტატების ამ ერთ ოჯახში უბედურება, გახრწნილება, თვალთმაქცობა, სიცრუე გამეფებულა. პ. პ. რიდი წარმოგვიდგენს ამერიკულ ტრაგედიას, რომელიც იქ გათამაშდა ამ საუკუნის სამოციანი წლების დასასრულს და რომელიც ალბათ დღესაც გრძელდება.

რომანი შემაძრწუნებელი ამბით იწყება. სექსს აყოლილი, თუ სქესობრივი ანომალიით დაავადებული ცხრამეტი წლის ჯულია დანებდება სრულიად უცნობ მამაკაცს, რომელსაც ქუჩაში გადაეყრება. ამის შემდეგ ფანჯრიდან ხტება, რათა თავი მოიკლას, ძლივს გადაარჩენენ. ამას გარდა, ჯულია ნარკომანია, მისი დედა — ლილიანი, რატლიჯის უახლოესი მეგობრის სენატორ ბილ ლაფლინის საყვარელია, თვითონ პროფესორი რატლიჯიც დრო და დრო ცოლს ღალატობს. მან იცის, რაც ხდება, ლილიანსა და ლავლინს შორის, მაგრამ თვალებს ხუჭავს. რატლიჯი თითქოს უზნეო ადამიანი არ არის, მაგრამ ერთხელ, აფრიკაში მოგზაურობის დროს საკუთარმა ქალიშვილმა სქესობრივი ჟინი აღუძრა. დიდი ვაივაგლახით დააღწია თავი ასეთ ცდუნებას.

ერთი შეხედვით, პათოლოგიურ, რაღაც დაუჯერებელ სიტუაციებთან გვაქვს საქმე. ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ისე კი პ. პ. რიდი თხრობის ლოგიკით გვარწმუნებს, რომ ეს ფაქტიურად ტიპიური ვითარებაა ბურჟუაზიული ყოფისათვის. ასე რომ არ იყოს, ამ თემაზე ალბათ რომანიც ვერ დაიწერებოდა. „პროფესორის ქალიშვილი“ პოლიციური ქრონიკა კი არა, პოლიტიკური ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებია, რომანია.

საინტერესო მომენტი სწორედ ისაა, რომ რომანის ყველა პერსონაჟს ასეთი უკულმართი ქცევა იქაური ცხოვრების უკულმართობამ, სტილმა უკარნახა. ბიოლოგიურად, ფიზიკურად ისინი ხომ ნორმალური ადამიანები არიან, მაგრამ დაშლილია მათი სოციალური, ფსიქოლოგიური არსება.

რომანის პირველ სტრიქონიდან მის უკანასკნელ აკორდამდე, როდესაც პროფესორ რატლიჯს შემთხვევით მისივე მოწაფე, ღვთისმსახური ჰკლავს და იქვე თავს იკლავს, ჰენრი რატლიჯს და მის ახლობლებს ეზიზღებათ ასეთი ცხოვრება. მათ სინდისი ქეჯნის, მაგრამ ადამიანებს ამ სიბინძურისაგან თავი ვერ დაუღწევიათ, რადგან ისინი გარკვეულ გარემოებათა მსხვერპლი არიან, და უკეთ, მსხვერპლად ეწირებიან კერძო საკუთრების გაღმერთებას, კერპად ქცევის ფილოსოფიურ, ზნეობრივ მრწამსს.

წიგნის წინასიტყვაობაში გ. ანჯაფარიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ რატლიჯს სურს აშშ გარკვეული წრეების ცხოვრების წინააღმდეგობანი დაძლიოს უომიტო რევოლუციის შემწეობით. ეს კი უტოპიური ამოცანაა, რა რიგ კეთილშობილი მიზნებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი ასეთი ზრახვები. იქაური ყოფის დეგრადაციას სოციალური ცხოვრების უკულმართობა იწვევს და არა პირუკუ.

მოარული მსჯელობაა, რომ ამერიკელ ახალგაზრდათა ჯანყი ვიეტნამის ბინძური, კოლონიური ომის შედეგი იყოო. რასაკვირველია, ვიეტნამის ომმა სააშკარაოზე გამოიტანა აშშ არსებული მწვავე წინააღმდეგობანი. ეს უეჭველად ასეა, ოღონდ პ. პ. რიდის თხრობას მივყვებით და ჩავუფიქრდებით, დავინახავთ, რომ რატლიჯების ტრაგედიას სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს და ვიეტნამის ომი ოჯახის ამ დიდი დრამის წარმოქმნის მხოლოდ საბაბი იყო.

რატლიჯი სწავლულია, პოლიტოლოგია, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მსოფლიო რეპუტაციის მქონე ადამიანია; მის მოხსენებებს მსოფლიო კონგრესებზე ყურადღებითა და დიდი ინტერესით ისმენენ, მას ოვაციებს უმართავენ, ის ჰკუას სხვებს ასწავლის, ამასობაში საკუთარი ოჯახი დაეშალა, გაეხრწნა, ორივე ქალიშვილი განწირულია, მისი იდეალები ისტორიის ქარიშხალმა თუ არა, ბურჟუაზიული ყოფის რუტინამ შთანთქა, ჩაყლაპა.

რატლიჯი დაიღუპა, ჯულიას და ლაურას ალბათ სქესის სიშმაგე, ნარკომანია მოუღებს ბოლოს; ცინიკოსი ლილიანი, რომელსაც ქმრის სიმდიდრე რჩება, ალბათ, ახალ საყვარელს იშოვის, ან კვლავ განაგრძობს სენატორ ლაფლინთან ცხოვრებას და ამავე დროს, მის ცოლთან მეგობრობას. მიუხედავად ამისა, ამერიკული ტრაგედია რაღაც ახალი ფორმის კატარსისით, განწმენდით უნდა დამთავრდეს, რადგან პირს პოლ რიდის რომანიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ წესით ცხოვრება, ადრე თუ გვიან, აუტანელი კი არა, საერთოდ შეუძლებელი გახდება.

რატლიჯის მოწაფეებს, სხვათა შორის, ერთი მათგანი დაზვერვის აგენტი გამოდგა, სურდათ ამერიკის წინააღმდეგობანი რაღაც კამერული ხასიათის რევოლუციით, ტერორისტული აქტით გადაეწყვიტათ, მათ ეგონათ რომ ლაფლინის სიკვდილი ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევდა. ჩვენებურ მკითხველს ამაზე ალბათ გაეღიმება. როგორც ცნობილია, რევოლუციები სენატორების მკვლელობით არც იწყება და

არც მთავრდება. რატლიჯების ტრაგედიას იქაური სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს. ეს სტრუქტურა უნდა მოისპოს, რომ არ განმეორდეს ისეთი სიტუაციები, რომელნიც აღწერა პირს პოლ რიდმა.

ამჟერად რიდის პერსონაჟებს ეს ელემენტარული ჭეშმარიტება არ ესმით. რომანის ერთ-ერთი მოქმედი პირი გაკვირვებული შენიშნავს: „არ მესმის რა საჭიროა ძალადობა, რომელსაც ჩე (ჩე გევარა — ვ. მ.) მიმართავდა. განდის რალა ვუყოთ, ინდოეთი ხომ განთავისუფლდა ინგლისელების ბატონობისაგან, ისე რომ იქ არ მიუმართავთ ძალადობისათვის“. გულუბრყვილო ფილოსოფიაა. ინდოეთი იმიტომაც განთავისუფლდა, რომ გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, ინგლისის იმპერიალიზმი დაჩაჩანაკდა, გაკოტრდა, დამარცხდა ფაშიზმი, მსოფლიო რეაქციის დამკვრელი ძალა.

ახალგაზრდა ინტელექტუალური ამერიკა სულიერ წინააღმდეგობათა მარწუხებშია მოქცეული. ხედი, რომანის ერთ-ერთი გმირი ამბობს: „უნდა ვთქვათ უველაფერი, ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულობის გარეშე, ეს საჭიროა, რომ ადამიანს არ ღრღნიდეს ის, რაც მის შიგნით არის“. იგივე ნედი განაგრძობს: „ჩვენ სხვა არაფერი გაგვაჩნია საკუთარი თავის გარდა, ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ გვაქვს“. ეს ასეა, მაგრამ გამოსავალის ძიება აუცილებელია. გამოსავალი თურმე ნარკოტიკებია, და, უკეთეს შემთხვევაში, ვიღაც არამზადა სენატორ ლაფლინის მოკვლა. ეს კი სასოწარკვეთილებაა და სხვა არაფერი.

ეს გზადაბნეული ახალგაზრდები არიან. ხშირად უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ აშშ, საკუთარ სამშობლოს, მაგრამ ემოციური ხასიათის პროტესტების გარდა, ფაქტიურად ვერაფერს აღწევენ. მათ კი არა, ჰენრი რატლიჯის მოხუც მამას ესმოდა, რომ „ჩვენს დროში მარტოოდენ ფული არ კმარაო“. მარტოოდენ ფული ამერიკაში კი არა, სხვაგანაც არ კმარა. საქმეც ისაა, რომ პირს პოლ რიდის პერსონაჟებს ფულის შემცვლელი ღირებულებანი ამჟერად ვერ უპოვიათ. იქაური ცხოვრების ბნელი მხარეების შემჩნევის უნარი გაუჩნდათ, მაგრამ აქტიური, მოფიქრებული, გააზრებული მოქმედებისათვის მზად არ არიან, იდეალი, რწმენა აკლიათ.

რომანში ერთი საინტერესო დეტალიც არის. ჰენრი რატლიჯს ჯულია ჩამოყავს ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში, მერე აფრიკაში მიემგზავრებიან. ამ ორ კონტინენტზეც მათ ვერ იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ. საკითხავია, რას ეძებდნენ რატლიჯები? ამ ძიების ობიექტიც არ არის მინიშნებული. თითქოს სიმშვიდეს, სიწყნარეს, ჰარმონიას. მაგრამ რა გზით, როგორ მოიპოვება ასეთი პასტორალური ხასიათის ცხოვრება, ეს რატლიჯებმა არ იციან, ამიტომ მოექცნენ ისინი ჩიხში.

რომანის ბოლო ფურცლებზე ჰენრი რატლიჯი უარს ამბობს თავის ქონებაზე, მილიონებზე, საკუთარ სახლის გაყიდვის სურვილიც გაუჩნდა, სწორედ ამ მომენტში ის შემთხვევით ხელში შემოაკვდა მისავე მოწაფეს. ლაფლინისათვის განკუთვნილი ტყვია რატლიჯს მოხვდა.

იქნებოდა განა ლაფლინის მოკვლა რევოლუციური აქტი? თვით ამ აქტის მზადება სრული დაბნეულობის, სასოწარკვეთილების მაჩვენებელია. ლაფლინის მოკვლა მორიგი ამერიკული სენსაცია იქნებოდა და მეტი არაფერი. სენსაციას დაივიწყებდნენ, ისე როგორც დაივიწყეს არაკეთილმოსახსენებელი სენატორი მაკარტი და მისი ულტრარეაქციული გამოხდომები. გაივლის წლები და ვის გაახსენდება ჰენრი ჯეკსონი, სენატორი, რომელიც ამ საუკუნის სამოციანი წლების დასასრულს, დღესაც, ფაქტიურად დაძაბულობის, შფოთის მებაირახტრედ გამოდის.

ხაზი უნდა გავუსვათ იქაურ ზნეობის დაცემას. თუმცა რომელ ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჯულიამ არც კი იცის, ვისგან არის ფეხმძიმედ. მისი საყვარელი ადამიანი ჯესონი დაჟინებით მოითხოვს, რომ ჯულიამ ნედთან იცხოვროს. ინტერესს არ არის მოკლებული ჯესონის უცნაური ფილოსოფია. ლუიზა რომ ამცნობს მას, „მე შენს ბავშვს ვატარებ ჩემს საშოშიო,“ გაჯავრებული ჯესონი ისტერიკულად გაჰყვირის: „ჩემი ბავშვი? ის ჩემი რად უნდა იყოს, მე დიდი ხანია დავემშვიდობე ამ კერძომესაკუთრულ სისულელეებსო“ და განაგრძობს: „საზიზღრობაა საკუთრების გრძნობა, რაიმეს დაუფლება. ერთხანს შენ მე მეკუთვნოდი, ახლა წადი ნედთან“. შეძრწუნებული, თავზარდაცემული ჯულია, რომელსაც უყვარს ჯესონი, ემუდარება მას, არ შემიძლია ნედთან წასვლა, შენ მიყვარხარო, ჯესონი შეჰყვირებს: „მომშორდი აქედან, გამეცალე. კერძო საკუთრების გრძნობამ გამოიწვია ინდივიდუმის განადგურება, ვიეტნამის ომიო“. ბოლოს ჯულია მიდის ნედთან და მასთან იწყებს ცხოვრებას.

მკითხველი განცვიფრდება, ეს რა ვულგარიზაციაა, რა უშუალო კავშირი აქვს ყოველივე ამას კერძო საკუთრებასთან, ვიეტნამის ბინძურ ომთან? აი ასეთია ეკონომიურად იმ ძლიერი და მდიდარი ქვეყნის ზოგიერთი მკვიდრის, მართლაც რომ გონების მიღმა მდებარე ეთიკური წარმოდგენები და ფილოსოფია. ასეთი ფილოსოფიის წარმოშობა მეტყველებს იქაურ საზოგადოების განწირულობაზე. განა სიმდიდრემ, განცხრომამ, აღვირახსნილობამ არ დაღუპა თავის დროზე დიდი, ძლიერი მდიდარი, ძველი, ანტიკური ხანის რომი!

დასავლეთის სამყარო რომ მრავალმხრივ აირ-დაირია, ამას პირს პოლ რიდი კი არა, ბევრი სხვა პუბლიცისტი, მწერალიც გრძნობს. ათასიდან ერთ გამონათქვამს მოვიყვანთ. ხომ არ ახლოვდება სამყაროს დასასრული — წერდა ამას წინათ პ. პ. რიდის თანამემამულე, ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი ფრენკ ჯაილსი, და იქვე პასუხობდა: „დაეჭვება შეუძლებელია, დამამტკიცებელი საბუთები აქვეა: ჰიპერინფლაცია, საბირჟო კატასტროფები, ნედლეულის და ენერგიის უკმარისობა, გრანდიოზული გაფიცვები“. აი ის სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური გარემო, სადაც გათამაშდა რატლიჯების ტრაგედია.

თუ რაოდენ დიდი აღრეულობა სუფევს ამერიკელ ინტელექტუალების გარკვეულ წრეებში, ამას პროფესორ რატლიჯის სემინარებიც მოწმობენ. იქ სწავლობენ იესო ქრისტესა და ბაკუნინის მოძღვრებას, ჩე გევარას ბიოგრაფიას და რევოლუციურ მრწამსს, მაოს ფილოსოფიას, იმიტომ კი არა რომ, მაგალითად, კრიტიკულად თუ დადებითად შეაფასონ ეს ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული შეხედულებანი, არამედ თითქოს იმისათვის, რომ შექმნან მოქმედებისათვის საჭირო იდეოლოგიური მოდელი. ეკლექტიზმი, იდეური გულუბრყვილობა, რომელიც ფაქტიურად უიდეობამდე მიდის, პრინციპად უნდა გადააქციონ. ასე გამოდის, უპრინციპობა, უიდეობა, იქაური სულიერი ცხოვრების მოდელად უნდა იქცეს.

ორიოდე სიტყვა ჩე გევარაზე. წარმოშობით იგი არგენტინელი იყო. თავის დროზე ფიდელ კასტროს მიემხრო და მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილ ექსპედიციაში, რომელიც კუბის რევოლუციის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

კუბაში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩე გევარა ერთ ხანს კასტროს მოადგილედ მუშაობდა, მის უპირველეს თანამებრძოლად ითვლებოდა. შემდეგ თავისივე სურვილით რევოლუციური მოღვაწეობისათვის ბოლივიაში გაიხიზნა. ბოლივიაში რევოლუციური სიტუაცია მომწიფებული არ ყოფილა. ჩე გევარა აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ბოლივიის პოლიციის აგენტებმა შეიპყრეს და მხეცურად მოკლეს.

სიკვდილის წინა დღეებში ჩე გევარა ამბობდა: „თუ დავმარცხდით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდა გამარჯვება. ბევრი დამარცხდა ევერესტის დაპყრობის ცდის დროს, ბოლოს ევერესტი დაიპყრეს“.

ასეთი იყო უმწიკვლო რაინდი, რევოლუციონერი, ჩვენი თანამებრძოლი ჩე გევარა, რომელსაც პატივს სცემს მოწინავე რევოლუციური კაცობრიობა.

ჩე გევარას აბსოლუტურად არაფერი აკავშირებს პ. პ. რიდის რომანის ოპოზიციურად განწყობილ პერსონაჟებთან, არც პოლიტიკურად, მით უმეტეს არც ზნეობრივი ქცევით.

მას არასოდეს უქადაგნია ინდივიდუალური ტერორი, ის ანარქისტი კი არა, კომუნისტი იყო.

ისტორიის თხუნელა თავისას აკეთებს. კაცობრიობა ადრე თუ გვიან მიაღწევს იმ წერტილს, როდესაც დიდი სოციალური ძვრები, რევოლუციები გამარჯვებას მოიპოვებენ.

პირს პოლ რიდის რომანი „პროფესორის ქალიშვილი“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ თავისთავად სიმდიდრე, მოხმარების საგანთა სიუხვე, არ წყვეტს და ვერც გადაწყვეტს ადამიანის ურთულეს სულიერ პრობლემებს.

პირველი და უპირველესთაგანი საზრუნავი ადამიანი სულის ძლიერებაა, მისი სულიერება — დიდი იდეალებისადმი რწმენა, ერთგულება და თავდადება უნდა იყოს.

„მოხმარებით საზოგადოების“ მარწუხებში მოქცეული, ჯუნგლებში დაკარგული ადამიანის ბედი ყოველმხრივ ტრაგიკულია. ამას მოგვითხრობს პირს პოლ რიდის რომანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ივანე იმნაიშვილი*

# პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენათაგანია. ინტენსიური შემოქმედებითი დუღილის პროცესში იგი საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობით იხვეწებოდა და მდიდრდებოდა. ქართულ ენაზე შემონახულია მრავალი სხვადასხვა სახის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლი, ორიგინალური თუ ნათარგმნი. ბერძნულიდან და სხვა ენებიდან გადმოღებული ძეგლების ორიგინალები ზოგჯერ დაკარგულია. ამიტომ ერთადერთი შემონახული ქართული თარგმანი ასრულებს ორიგინალის როლს.

უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმანთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. ამათი მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაცია და დამუშავება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანებია. ამ საქმის დაყოვნება და გადადება ყოვლად შეუძლებელია. თავისი სიცოცხლის გრძელ გზაზე ასეთ ძეგლებს უდიდესი ხიფათი სდევდა თან და ბევრი მათგანი სამუდამოდ დაიღუპა. ამ გამოუთქმელად დიდ დანაკლისს ახლა ვეღარაფერი გამოასწორებს; მათი ფასი კი უთქმელი იყო. ამიტომ უფრო საჩქარო და საშურია ამ ტიპის ძველი ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, ამას ახლა განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათი მდიდარი ისტორიის, საერთოდ ძველი ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ძველი აღთქმის წიგნებიდან უძველესი, ოშკური ხელნაწერის (897 წ). მიხედვით დღემდე გამოცემულია მხოლოდ ორი მცირე ნაკვეთი (ა. შანიძე, 1947-1948 წ. წ.), იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით კი — წინასწარმეტყველების წიგნები (რ. ბლეიკი, მ. ბრიერი — პარიზი, 1961 წ.). ამ უკანასკნელი გამოცემის თავისებურება ის არის, რომ მას თან ახლავს ოშკური ხელნაწერის ვარიანტებიც (გამოსულია 1968 წ.), ხოლო თვით ტექსტს ერთვის კარგად შესრულებული ლათინური თარგმანი და ამით ხელმისაწვდომი ხდება ქართული ვერსიის რედაქციული თავისებურებანი საზღვარგარეთელ მეცნიერთა ფართო წრეებისათვის.

1960 წელს მზექალა შანიძემ გამოსცა ძველი აღთქმის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და გავრცელებული წიგნი „ფსალმუნი", რომელიც აქ სამი რედაქციისა და 10 ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი (რედაქტორია ა. შანიძე). მასვე აქვს დამზადებული და მალე იხილავს მზის სინათლეს ამ ძვირფასი წიგნის სიმფონია.

რაც შეეხება ახალი აღთქმის წიგნებს, აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ არა ისეთი, რაც შეჰფერის ამ ძვირფასი ძეგლების ღირსებასა და მნიშვნელობას.

ახალი აღთქმის წიგნებიდან, ბუნებრივია, მთავარი ყურადღება თავიდანვე სახარებას ექცეოდა. ქართული სახარების პირველი მეცნიერული პუბლიკაცია ვლადიმერ ბენეშევიჩს ეკუთვნის. მან 1909 და 1911 წლებში პეტერბურგში გამოსცა ტბეთისა (995 წ.) და ოპიზის (913 წ.) ოთხთავები. აქ ძირითად ტექსტად მიღებულია ტბეთის ხელნაწერი, ვარიანტები ნაჩვენებია ოპიზის ნუსხის მიხედვით. ამ დიდ საქმეში ვლ. ბენეშევიჩს ნ. მარი ეხმარებოდა აქტიურად, მასალებიც მან მიაწოდა (მან ჩამოიტანა ათონის მთიდან ოპიზის ოთხთავის მასალები: ნაწილობრივ — ხელნაწერის ფოტოპირები, ნაწილობრივ — შეჯერებული ვარიანტები, ნაწილობრივ — თვით მის მიერ გადმოწერილი ტექსტი). მაშინ მოხერხდა მხოლოდ მათესა (1909 წ.) და მარკოზის (1911 წ.) თავე-

ზის გამოცემა. ტექსტი დაბეჭდილი იყო ძველი ქართული ანბანით (მრგლოვნით). მალე პირველი მსოფლიო ომი ატყდა და ეს გამოცემაც შეწყდა.

ამასობაში მიკვლეულ იქნა შემდეგ საყოველთაოდ სახელგანთქმული ადიშის ოთხთავი (გადაწერილია 897 წელს) და მისი გამოცემა მიენდო ა. ხახანაშვილს, მაგრამ მას მალე სიკვდილმა უსწრო (1912 წ.) და მისი კეთილი წამოწყება დააგვირგვინა ექვთიმე თაყაიშვილმა 1916 წელს (მოსკოვს). ოღონდ აქ ხელნაწერი გამოცემული იყო ფოტოტიპიურად (200 ტაბ.) და ბევრისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. მაგრამ ისე დიდი იყო ამ წიგნის მრავალმხრივი მნიშვნელობა, რომ მას შემდეგშიაც არ მოჰკლებია მეცნიერთა დიდი ყურადღება. მისი სტამბური პუბლიკაცია იკისრა ამერიკელმა რობერტ ბლეიკმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართული კულტურის დაუღალავმა მკვლევარმა. იგი ტექსტს თავის სამშობლოში ამუშავებდა და ტექნიკური მიზეზების გამო იქ დაბეჭდვას ვერ ახერხებდა, გადმოლახავდა ხოლმე ატლანტის ოკეანეს და პარიზში აქვეყნებდა. ამ გამოცემასაც ახლავს ავტორის მიერ შესრულებული ლათინური თარგმანი, აგრეთვე ტბეთისა და ოპიზის ხელნაწერთა ვარიანტები (ვლ. ბენეშევიჩის გამოცემის მიხედვით — მათესა და მარკოზის თავებისა). ასე დაიბეჭდა პირველად მხედრული ასოებით პარიზში ადიშის სახარების მარკოზის თავი 1928 წ., მათესი — 1933 წ., იოვანესი — 1950 წ., ხოლო ლუკასი — 1955 წ. (რ. ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ) მ. ბრიერის დახმარებით. ასე გახდა საქვეყნოდ ხელმისაწვდომი ჩვენი დიდებული ადიშის სახარება.

მაგრამ ეს მრავალჭირნახული, თავის დროზე უეჭველად კარგი გამოცემა თბილისში ერთ ათეულ სპეციალისტს თუ ჰქონდა მხოლოდ. თანაც იყო გამოცემაში ზოგიერთი ხარვეზი, რომელთაც გამოსწორება სჭირდებოდა. ხოლო ჩვენში ინტენსიურად მზარდი მეცნიერული კვლევა-ძიება და თავისი წარსულის კულტურის შესწავლით მასების დაინტერესება აუცილებელ მოთხოვნილებად აყენებდა, რომ აქ, საქართველოში გამოცემულიყო ჩვენი მაღალი კულტურის მაუწყებელი ძველი ძეგლები, უპირველეს ყოვლისა, ოთხთავის ძველი ხელნაწერები. ეს დიდი საქმე თავს იდვა და ბრწყინვალედაც დააგვირგვინა აკაკი შანიძემ. 1945 წელს მისი ხელმძღვანელობით და ვრცელი გამოკვლევით გამოვიდა „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“. ჩვენი ძველი კულტურის ერთ-ერთ განთქმულ ცენტრში — შატბერდში გადაწერილი ეს სამი ოთხთავია: ადიშისა (897 წ.), ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლისა (973 წ.). ამ გამოცემამ უდიდესი, პირდაპირ დაუფასებელი როლი შეასრულა ქართული ფილოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი განვითარების საქმეში. ამიერიდან ყველა სპეციალისტსა და მრავალ და მრავალ დაინტერესებულ პირს ხელთ ჰქონდა მკაცრი მეცნიერული სიზუსტით სანდოდ დადგენილი დიდი მოცულობის ტექსტი, ჩვენი ძველი მაღალი კულტურის უტყუარი მოწმე და მღაღადებელი. ამასთან, ამ გამოცემაში დადგენილ იქნა ქართული ენისა და ლიტერატურის უძველესი ძეგლების გამოცემის ახალი პრინციპები, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ახალი, ძველი ქართული ენისათვის უფრო შესაფერისი წესები, რამაც შეუდარებლად გააადვილა ძველი ტექსტების შინაარსის აღქმა და ათვისება. ერთი სიტყვით, „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ ეპოქალური მოვლენა იყო. ზემოთ აღნიშნული პრინციპები და წესები შემდეგში საფუძვლად დაედო „ძველი ქართული ენის ძეგლებისა“ და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სერიებს, რომლებიც დღესდღეობით 27 ტომს ითვლის, მათ შორის ბევრია 400-, 500, 600-, 700- და 800-გვერდიანი წიგნი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოცემას უსწრებდა სინური ლექციონარის პუბლიკაცია (1944 წ.). მისი ტექსტი მცირე მოცულობისაა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ხანმეტი ტექსტი, უძველესი სალიტერატურო ქართულის ამსახველი, ერთადერთია, რომელიც ჩვეულებრივი წიგნის სახით (არა პალიმფსესტის სახით) არის მოღწეული. იგი 1883 წელს სინის მთაზე ნახა და აწერა პროფ. ა. ცაგარელმა, მაგრამ მე-19 საუკუნის მიწურულში ვიღაც მხატვარს წამოეღო სინას მთიდან ზოგ სხვა ქართულ ხელნაწერთან ერთად და შეეძლია ვენის სასახლის ბიბლიოთეკისათვის. მაგრამ იქ უხერხულად მიუჩნევიათ ლიტერატურაში ცნობილი ხელნაწერის შეძენა და საბოლოოდ ეს ხელნაწერი ჰ. შუხარტის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა, იმ შუხარტისა, რომელიც ჩინებული მცოდნე იყო ქართული ენისა. ამჟამად ეს ძვირფასი ხელნაწერი გრაცის უნივერსიტეტის კუთვნილებაა, შუხარტის ანდერძის თანახმად.

ძველი ქართული ენის კათედრას ახლა დამზადებული აქვს გამოსაცემად ქართული სახარების ორი ბოლო რედაქცია — ექვთიმესი და გიორგისა. ქართული სახარების ამ რედაქციებს (განსაკუთრებით გიორგი მთაწმიდლისას) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარის დიდ ეპოქაში გიორგისეული სახარების რედაქცია იყო ერთადერთი კანონიკური ტექსტი, რომელიც სახმარებლად იყო მიღებული. ეს წიგნი ეპყრათ ცალ ხელში დავითსა და თამარს, შოთასა და ჩახრუხაძეს, მეორე ხელით ისინი დიდ საქვეყნო საქმეებს განაგებდნენ. ეს თვალი პატიოსანი დიდი გიორგი მთაწმიდლის

მიერ იმდენად კარგად იყო თარგმნილი და ქართული ენის ბუნებრივ თავისებურებებთან შერწყმული და შეხამებული, რომ ჩვენ დრომდეც, თითქმის ათასი წლის შემდეგ, არ დამდგარა მისი განახლებისა თუ ახალი თარგმანის საკითხი. ამ წიგნმა, ვიმეორებთ, უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის (და არა მარტო კულტურის) შემდგომი წინსვლისა და ამაღლების თვალსაზრისით. დიდი გიორგის ეს ნაამაგარი ახლა მზადაა გამოსაცემად და მას მალე მიიღებს მადლიერი ქართველი ხალხი.

სახარების ტექსტს მალე მოჰყვა „საქმე მოციქულთას“ გამოცემა (1950 წ.). იგი შეასრულა ი. აბულაძემ (რედაქტორია ა. შანიძე). გამოცემაში გამოყენებულია საქართველოში არსებული ხელნაწერები. ოთხი რედაქციის ტექსტი ცალკე სვეტებადაა დაბეჭდილი, რომელთაგან ორი ბოლო რედაქცია (გდ)* აქაც, როგორც სარეცენზიო წიგნში, პავლეს ეპისტოლეებში, შესაბამისად გ. მთაწმიდელსა (გ) და ეფრემ მცირეს (დ) ეკუთვნის (ნ. ქვემოთ).

იგივე „საქმე მოციქულთა“ 1955 წელს გამოსცა ქართული კულტურის დაუცხრომელმა მკვლევარმა ბელგიელმა ქართველოლოგმა პროფესორმა ჟერარ გარითმა. ჟ. გარითს ხელთ ჰქონდა სინის მთის ქართული ხელნაწერების ფოტოპირები და ტექსტიც ამის მიხედვით არის გამოცემული. სქოლიოში ნაჩვენებია ვარიანტები. როგორც საერთოდ ჟ. გარითის გამოცემებისათვისაა დამახასიათებელი, აქაც ქართულ ტექსტს ახლავს გარითისებური ერუდიციითა და პუნქტუალობით შესრულებული ლათინური თარგმანი, რაც დიდად ზრდის მის მნიშვნელობას. გამოცემას წინ უძღვის დიდი სიყვარულით დაწერილი შესავალი (1-20 გვ.) და ერთვის ანდერძი, როგორც ძველმა მწერლებმა და გადამწერებმა იცოდნენ. ჩვენ არ შეგვიძლია ეს ანდერძი აქ არ მოვიყვანოთ იმ დიდი სიყვარულის გამო, რომლითაც გამსჭვალულია ჟ. გარითი და მთელი მისი დაუცხრომელი ქართველოლოგიური კვლევა-ძიება:

„დაესრულა წმიდაჲ ესე წიგნი საქმე წმიდათა მოციქულთაჲ დასაბამითგან წელთა ქართულად ქ ფ ნ თ.

ქრისტე, შეიწყალე ავტორი ამის წიგნისაჲ, და მშობელნი მისნი და ცოლი და ასული და ძე მისი, და ყოველნი მოძღუარნი მისნი და უფროჲსად პატიოსანნი მამანი სტანისლაოზ ლიონე და მიქაელ თარხნიშვილი, და ყოველნი ძმანი მისნი ქორციელნი და სულიერნი, და ყოველნი ქრისტეანენი. ამენ“.

წელი არ გავა ისე, რომ მამაცმა მეცნიერმა ერთი ქართული წიგნი, რაიმე ქართული ძეგლი

* ტექნიკური მიზეზების გამო ტექსტში ასომთავრული შეცვლილია მხედრული ანბანით. რედ.

თუ ქართულის შესახებ გამოკვლევა არ გამოაქვეყნოს. ერთ-ერთმა მისმა ასეთმა კაპიტალურმა წიგნმა, მეათე საუკუნის ქართველი მწერლის იოვანე-ზოსიმეს ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი კალენდრის შესახებ („კრებაჲ თთუეთაჲ წელიწადისათაჲ“), რომელიც 1958 წელს დაიბეჭდა, თავისი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — სამეფო პრემია დაიმსახურა. მეფე ბოდუენი თვით ეახლა ლუვენის უნივერსიტეტს, სადაც პროფესორი ჟ. გარითი მუშაობს, და თავისი ხელით გადასცა ეს ჯილდო დიდ მეცნიერს. ყველგან, ყველგან ჩანს მისი დიდი, გულწრფელი სიყვარული ჩვენი, ქართული კულტურის, ქართული საქმისა. ზემოთ აღნიშნული ანდერძიც ასეთი სიყვარულითაა გამთბარი. ბარაქალა ქართული საქმის ამ დიდ მოამაგეს!

ახალი აღთქმის შემდეგი წიგნი — „კათოლიკე ეპისტოლენი“ — გამოვიდა 1956 წელს. იგი გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ (რედ. ა. შანიძე). ტექსტი რვა ხელნაწერის მიხედვითაა დადგენილი. აქაც ისე, როგორც „მოციქულთა საქმის“ გამოცემისას, ხელნაწერები ოთხ რედაქციად არის დაყოფილი, ისინი ერთმანეთს უდგას გვერდიგვერდ.

1961 წელს გამოვიდა „იოვანეს გამოცხადება“ (აპოკალიპსი). იგი გამოსცა ი. იმნაიშვილმა (რედ. ა. შანიძე), დაიბეჭდა ძველი ქართული ენის კათედრის შრომებში“ (ტ. 7, 1961, გვ. 1—206: ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი). ტექსტი სამი ძველი ხელნაწერის მიხედვით არის დადგენილი და გამოცემული, რომელთაგან ყველაზე ძველი ექვთიმე მთაწმიდლის თარგმანია. ესაა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პირველი მნიშვნელოვანი თარგმნითი ნაწარმოები. იგი გადაწერილია 978 წელს.[1] აქ, გარდა „გამოცხადების“ ტექსტისა,

1 ხელნაწერი გადაწერილია საბერძნეთში, ოლიმბოს მთაზე. ეს ის დრო იყო, როცა საბერძნეთის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეებს — ბასილსა და კონსტანტინეს გადაუდგა ცნობილი ბარდა (ვარდა) სკლიაროსი და სახელმწიფო დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამ მოვლენას გამოძახილი უპოვია ჩვენს ქართულ ხელნაწერშიც. გადამწერი ამბობს: „დაიწერა საბერძნეთს, მთასა ოლიმბოს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, ლავრასა შინა, სახელით კრანიას, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოჴრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა უწყალოდ ურთიერთას მახჳლითა, ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა, ამას რაჲ წიგნსა ვწერდი. ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა თჳნიერ ღმრთისა; ყოველნივე ურთიერთას ეკუეთებო-

წარმოდგენილია აგრეთვე მისი თარგმანება (ახსნა-განმარტება), შესრულებული ანდრია კაბადუკიელის მიერ.

ამრიგად, 1945-1961 წლებს შორის მეცნიერულ-კრიტიკულად დამუშავდა და გამოიცა ახალი აღთქმის ყველა ძირითადი წიგნი, გარდა „პავლეს ეპისტოლეებისა". დღემდე ახალი აღთქმის გამოცემის დასრულებას ეს ერთი წიგნიღა აკლდა. და აჰა, დღეს ეს ხარვეზიც ამოვსებულია.

სარეცენზიო წიგნი სწორედ „პავლეს ეპისტოლეებია", რომელიც მოცულობით ახალი აღთქმის წიგნებში, სახარების შემდეგ, ყველაზე დიდია. ეს არის ახალი აღთქმის ერთ-ერთი ძირითადი წიგნი, რომელშიც წარმოდგენილი და დასაბუთებულია ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმები. ამ ეპისტოლეების ავტორი პავლე მოციქული არის სწორედ ქრისტიანობის, როგორც გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის, თეორეტიკოსი, მისი დამასაბუთებელი და დამცველი. ამას იგი აკეთებდა შესაშური ცოდნითა და ხელოვნებით. სწორედ ამის გამო იყო, რომ ძველი ქრისტიანი სწავლულები მას ეკლესიის სალამურს უწოდებდნენ (ნესტო ეკლესიისაოო). ახალი აღთქმის აი ეს მეტად მნიშვნელოვანი წიგნი — „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები" — გამოვიდა გასული წლის ზაფხულში. იგი გამოსაცემად მოამზადეს აწ განსვენებულმა ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით.

„პავლეს ეპისტოლეთა" ეს დიდი ტექსტი გამოცემულია 12 ხელნაწერის მიხედვით, რომლებიც 4 რედაქციად იყოფა. ეს რედაქციებია: A, B, C, D.

A უძველესი რედაქციაა; იგი აქ წარმოდგენილია ორი ხელნაწერით; ესაა ა (S 407) და ლ (S 1398).

B რედაქცია A რედაქციის გადამუშავებულ სახეს წარმოადგენს. აქ გვაქვს 4 ხელნაწერი: ბ (S 1138), გ (ქუთ. № 176), დ (sin. 58/31 ჟ. გარითით, № 16 ე. ცაგარლით) და ე (ათონ. № 42 რ. ბლეიკით, № 11 ა. ცაგარლით).

C რედაქცია უფრო გვიანდელია, იგი გ. მთაწმიდლის მიერ არის ნათარგმნი თუ შეჯერებულ-გადამუშავებული და მის სახელს ატარებს. აქ სამი ხელნაწერი გვაქვს: ვ (A 584), ზ (ათონ. № 78 რ. ბლეიკით, № 12 ა. ცაგარლით), თ (A 34). ეს რედაქცია ყველაზე სრულად და უნაკლულოდაა შემონახული. იგი საფუძვლად იყენებს B რედაქციის დე ხელნაწერებს.

D რედაქცია ეფრემისეულია, იგი ეყრდნობა C (გიორგისეულ) ვერსიას. აქაც სამი ხელნაწერია წარმოდგენილი: ძ (A 137), ი (A 677) და კ (სსრკ აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნ. K 4).

ამ 4 რედაქციიდან მთავარია 2: A და C. B A-ს ეყრდნობა, მისი გადამუშავებული სახეა, ხოლო D C-ს ეფუძნება, მისგან მცირე რამ ასხვავებს.

მძიმეა, მეტისმეტად მძიმეა ერთ წიგნში 12 ხელნაწერის ტექსტი უშეცდომოდ და უნაკლულოდ, სრულად წარმოადგინო, გადმოსცე ისე, რომ არ დაიკარგოს არც ერთის განსხვავებული წაკითხვა, არც ერთი მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ვარიანტი. მაგრამ გამომცემელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში ეს სიძნელე კარგად არის დაძლეული. დაინტერესებულ პირს ამ გამოცემის მიხედვით შეუძლია ზოგადი წარმოდგენა იქონიოს როგორც სხვადასხვა რედაქციის შინაარსსა და თავისებურებაზე, ისე თითოეული ხელნაწერის რაობაზე, მათ დამახასიათებელ ნიშნებზე, მათ ცალკეულ თავისებურებებზე. ამაზე ამომწურავ მასალას იძლევა თვალნათლივ წარმოდგენილი ვარიანტები და ტექსტთან და ხელნაწერებთან დაკავშირებული შენიშვნები, რომლებიც ვარიანტების ქვემოთაა მოყვანილი. ხოლო ასეთი ვარიანტები და შენიშვნები საკმაოდ ბევრია არა მარტო იმიტომ, რომ გამოყენებული ხელნაწერებიც ბევრია, არამედ იმიტომაც, რომ ეს ხელნაწერები სულ სხვადასხვა წარმოშობისაა: ზოგი მათგანი (უმეტესობა) თვით საქართველოშია გადაწერილი და ამჟამადაც აქვე ინახება, ზოგი სინური წარმომავლობისაა და ახლაც იქვეა დაცული, ზოგი კი ათონზეა შემონახული. ამ ორი უკანასკნელი რიგის ხელნაწერთა ტექსტი გამომცემლებს ფოტოპირების მიხედვით აქვთ შესწავლილი და დადგენილი. კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს მძიმე და მეტად შრომატევადი საქმე წიგნის გამომცემლებსა და რედაქტორს მკაცრი მეცნიერული სიზუსტითა და დიდი კეთილსინდისიერებით აქვთ შესრულებული.

თუმცა ხელნაწერების დიდ ნაწილს ესა თუ ის ადგილი (ხან მთელი თავები) აკლია, მაგრამ წინამდებარე წიგნში დადგენილი ტექსტი უნაკლულო და სრულია: საბედნიეროდ, ხელნაწერთა ერთი ჯგუფის ნაკლული ადგილები მათი ტიპის სხვა ნუსხებში უკლებლადაა დაცული და მთლიანი ტექსტის აღდგენა დაუბრკოლებლად ხერხდება. ამრიგად, A და C (მთავარი) რედაქციების ტექსტი აქ სრული და უნაკლოა.

წიგნში თავიდან ბოლომდე თანმიმდევრობითაა გატარებული ის, ცოტა არ იყოს, რთუ-

---

დეს სიტყვით და საქმით, მცირენი და დიდნი, ყოველნი იბრძოდეს" (210 г). არეულობისა და სამოქალაქო ომის სურათს კაცი ორიოდე სიტყვით უკეთესად ვერ დახატავს. ამ დროს ქართველი გადამწერი იჯდა თავის ვიწრო სენაკში და სანთლის მკრთალ შუქზე ამ დიდებულ წიგნს წერდა თავდავიწყებით.

ლი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები, რომლებიც „ძველი ქართული ენის ძეგლებისა“ და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ გამოცემებს უძევს საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე ადგილი სხვადასხვაგვარადაა გაგებული სხვადასხვა (A და C) რედაქციებში. ასეთ შემთხვევაში აქ პუნქტუაცია ისეა გატარებული, როგორც ეს თითოეული მათგანის შინაარსს (ტექსტის აზრის გაგებას) შეეფერება. ამის მაგალითებია 1 კორ. 15,18; 2 კორ. 8,2; 5,14 და სხვა. და ეს არის ერთადერთი სწორი გზა: მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას ორიგინალთან კვლავ შეჯერება და ახალი თარგმანის წარმოდგენა კი არ ევალება, არამედ ძველად უკვე თარგმნილის მართებული ანალიზი და აქედან გამომდინარე დასკვნების გაკეთება. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ასეთ სადავო შემთხვევებში სხვადასხვაგვარ წაკითხვას სათავე ხშირად თვით ბერძნულში მოეპოვება ხოლმე და ამითაა გამართლებული ქართულში ორგვარი (ხან მეტგვარი) ვარიანტის არსებობა.

წიგნში ბევრი ძნელად დასაწერი სიტყვა გონებამახვილურად და მართებული ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთებია, მაგალითად: ნუ უკუუე გრცხუენინ წამებაჲ იგი უფლისა ჩუენისაჲ: 2 ტიმ. 1,8 (და არა: ნუუკუუე); რომლისათჳსცა ესე მევნების: 2 ტიმ. 1,12 (და არა: რომლისათჳსცა-ესე, როგორც კაცი იფიქრებდა ერთი შეხედვით) და სხვა.

გამოცემის მაღალ ღირსებაზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სქოლიოში, ვარიანტებისა და შენიშვნების შემდეგ, ფართოდ არის წარმოდგენილი სათანადო მოწმობანი (დაბად., გამ., ეს., იერ., ფსალ. და სხვანი), რომლებიც სპეციალისტებს დიდად გაუადვილებს საჭირო ადგილების წყაროების მოძებნას და მათთან შედარებას.

გამოცემას დართულ შესავალში ბევრი საინტერესო საკითხია განხილული. აქ მოკლედ და გასაგებად არის აღწერილი და დახასიათებული ყველა 12 ხელნაწერი, მათი ოთხ რედაქციად დაყოფის საფუძველი და ნიშნები, ტექსტის დადგენისას წამოჭრილი საკითხები, საეჭვო და მცდარი წაკითხვები და სხვა. ყოველივე ამას საქმეში დიდად გამოცდილი რედაქტორის მადლიანი ხელი ატყვია.

ამა თუ იმ ხელნაწერის მცდარი წაკითხვების გასწორებისას მოხმობილია სხვა ქართული ხელნაწერების, აგრეთვე ბერძნული ორიგინალის, სომხური და სირიული ვერსიების ჩვენებანი. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

ხელნაწერში იყო:

გევედრები 1 კორ. 7,28 აე
ჰგალობ 1 კორ. 14,17 ა
ვართ 2 კორ. 4,2 აბგდე
სიმრავლისაჲთა ებრ. 11 აე
სიქურივესა 1 ტიმ. 5,18 ა
შეწირულ ფილემ. 1,6 აღ

გამოცემაში გასწორდა:

გერიდები
ჰმადლობ
ვალთ
სიმართლისაჲთა
სიჩქურესა
შეწევნულ

და ბევრი სხვა. აქ მოყვანილ მაგალითებში შეცდომა შესაძლებელია გრაფიკულ ნიადაგზე იყოს წარმომდგარი.

ამას მოსდევს ტექსტის საეჭვო წაკითხვები, რომლებიც გაუსწორებელი დარჩა, რადგან მათ ერთგვარი გამართლება მოეძებნებოდა და ამის გამო უსამართლობა იქნებოდა, რომ ეს გარემოება მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული.

გამოცემაში პავლეს ეპისტოლეთა ტექსტს დამატების სახით ერთვის ე. წ. ევთალეს სტიქომეტრიის ნაწილი: „უწყებანი“ (მხოლოდ CD რედაქციისა) — გვ. 465-478 და „თავნი“ (ოთხივე რედაქციისა) — გვ. 479-522. ეს დამატებანი მეტად საინტერესო მასალებს იძლევა როგორც თავისი შინაარსითა და ენობრივი ფორმების თავისებურებებით, ისე ეპისტოლეთა ტექსტის ძველებური აგებულება-დაყოფითაც. მას საგნის სპეციალისტები მადლიერებით გამოიყენებენ.

მოკლედ რომ მოვჭრათ, პავლეს ეპისტოლეთა ტექსტის ეს მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა და იგი თავის კუთვნილ მაღალ ადგილს დაიჭერს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

გვაქვს შენიშვნებიც.

1. წიგნში წარმოდგენილი ოთხი რედაქცია ნათლად არაა ნაჩვენები. ტექსტი დაბეჭდილია ორ სვეტად, რომელთაც ზემოთ უწერიათ (სათანადოდ): AB და CD, მაგრამ ტექსტი მხოლოდ ორი რედაქციისაა დაბეჭდილი — A-სი და C-სი; დანარჩენი ორი (B და D) რედაქციიდან მოყვანილია მხოლოდ ვარიანტები (ისიც არა ყველა სახისა) და დაბეჭდილია სქოლიოში: B რედაქციისა A რედაქციასთან ერთად, D რედაქციისა C რედაქციასთან ერთად. ამ სახით მკითხველს, თუნდაც სპეციალისტს, ძალიან გაუჭირდება B და D რედაქციებზე სწორი წარმოდგენა შეადგინოს, რომ არა ვთქვათ, შეუძლებელია B და D რედაქციებზე სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ. რა თქმა უნდა, ოთხი რედაქციის ტექსტი ოთხ სვეტად უნდა დაბეჭდილიყო და მაშინ ყველა ადვილად გაიგებოდა, თუ რა სახისაა თითოეუ-

ლი რედაქცია, რა თავისებურებები ახასიათებს მათ და რით ჰგავს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან. ტექსტის მოცულობის გაზრდის შიში სრულიად არ არის სერიოზული საბუთი, რომ 4 რედაქცია ორ სვეტად (არსებითად ორ რედაქციად) დაბეჭდილიყო. ეს მით უფრო, რომ შეიძლებოდა (და საჭირო იყო) ტექსტი უფრო კომპაქტურად დაბეჭდილიყო და არა ისე ხელგაშლილად და უყაირათოდ, როგორც აქაა.

ადგილის ეკონომიას მოგვცემდა:

ა) ვარიანტების შეკუმშულად დალაგება. ამ წიგნში თითო მუხლის ვარიანტებს თითო (ან ორი და სამი...) სტრიქონი ეთმობა. როცა მუხლში მხოლოდ ერთი (ან ორი) სიტყვისაგან შემდგარი ვარიანტია, მას დაკავებული აქვს მთელი სტრიქონი ორივე სვეტის გასწვრივ, ე. ი. ერთ სტრიქონზე (ორივე სვეტის სიგანეზე) მხოლოდ ერთი (ან ორი) სიტყვაა მოთავსებული. დანარჩენი (დიდი) ადგილი კი ფუჭად იკარგება. ამნაირი მოკლე ვარიანტები წიგნში ბევრია. საჭირო კი იყო მუხლები მუხლებს მიჰყოლოდა თვით ერთ სტრიქონზე. შავად აწყობილი ციფრები მუხლების სათვალავად ადვილად დაგვანახვებდა, თუ სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის მუხლი. ჩვენი გამოანგარიშებით, ვარიანტები ასე რომ ყოფილიყო ნაჩვენები, წიგნში დაიზოგებოდა სულ მცირე **60-70** გვერდი.

ბ) სტრიქონებზე შენიშვნების მიყოლებით დალაგება. წიგნში შენიშვნები ზოგან მიყოლებითაა დალაგებული: სტრიქონები შევსებულია: როცა ერთი შენიშვნა თავდება, იქვე, იმავე სტრიქონზე იწყება შემდგომი შენიშვნა. ასეა მოგებული ბევრი ადგილი. მაგრამ ამნაირი შემთხვევა ცოტაა, უმთავრესად წიგნის მეორე ნაწილში (როგორც ჩანს, გვიან დაუნახავთ ამ წესის უპირატესობა). აი გვერდები, სადაც ამ წესით დალაგებული შენიშვნები გვხვდება: **220, 246, 337, 369, 388, 410, 423, 435, 436, 440, 441, 444, 450, 455.**

უფრო ხშირად კი გვერდზე ყოველი ახალი შენიშვნა ახალ ხაზზე იწყება, სულ ერთია, შენიშვნა გრძელია თუ მოკლე. მოკლე შენიშვნების შემთხვევაში ბევრი ადგილი იკარგება. მაგალითად, 342-ე გვერდზე მოთავსებული სამივე შენიშვნა (1 „ამენ" სრულადაა ბ-ში. 2 „ამინ" სრულადაა პზც-ში. 3 ახეა.) ერთ სტრიქონზე დაეტეოდა, ორი სტრიქონის ადგილს მოვიგებდით. აი სათანადო გვერდები, რომლებზეც შენიშვნები ასე უყაირათოდ არის დალაგებული: **6, 7, 13, 33, 112, 121, 145, 157, 196, 242, 259, 274, 287, 289, 335, 342, 371, 389, 418, 426, 429, 456.** ესეც რომ არ იყოს, რა თქმა უნდა, ყველგან ერთი პრინციპის გატარება იყო აუცილებელი. ამნაირი სიჭრელე წიგნში ხშირად გვხვდება.

გარდა ამისა, ადგილი ფუჭად იკარგება იმის გამოც, რომ ტექსტის ყოველი ახალი თავი გვერდზე ძალიან დაბლაა დაწყებული (გვ. 3, 36, **166, 219, 247, 275, 296, 316, 333, 343, 407, 430, 447, 457**). აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ აღნიშნულ თავებში სათაური ყველგან ერთ ადგილას არ იწყება, ზოგან უფრო დაბლაა დაწეული და მეტი ადგილი იკარგება (გვ. 3, **275, 407...**), ზოგან შედარებით მაღლა (გვ. **166, 247, 343...**).

შეიძლებოდა სვეტებს შორის ნაკლები ადგილის დატოვება და ხაზის ჩადება, როგორც „სამი შატბერდული ოთხთავის" გამოცემაშია. ეს დიდ ადგილს მოიგებდა. ასე რომ, იყო საშუალება ოთხი რედაქცია ოთხ სვეტზე მოთავსებულიყო. ადგილის დასაზოგავად საჭირო შემთხვევაში სხვა გზების გამონახვაც შეიძლებოდა (იყო ასეთი გზებიც).

2. უხერხულია, რომ A რედაქციის ლიტერად ბ-სთან ერთად მიჩნეულია Ⴊ ლიტერი S 1398 ხელნაწერისათვის, Ⴊ სულ ბოლო ხელნაწერისათვის (ლენინგრ. K 4) უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო S 1398-ისათვის კი — ბ. მაგრამ როგორც წიგნშია ნათქვამი, Ⴊ ხელნაწერი ბოლოს იქნა მოხმობილი და ა-ს დაუდგა გვერდში, როცა წიგნი თითქმის დამთავრებული იყო. ამან გამოიწვია ლიტერების შეუსაბამოდ დარქმევასთან ერთად ისიც, რომ ა ხელნაწერის ნაკლული ადგილები (ეფეს. 4-6, ფილიპ. 1-2,13) შევსებულია არა იმავე რედაქციის Ⴊ ნუსხის მიხედვით, არამედ სხვა, B რედაქციის ბ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ადრე A რედაქციისად ყოფილა მიჩნეული. ამაზე თვით გამომცემელიც შენიშნავს მოკლედ შესავლის ბოლოს, მაგრამ ეს ახლა საქმეს რალას უშველის.

3. წიგნში არაა დაცული ერთგვარობა, ერთი პრინციპი. ეს ეხება ტექსტს, შენიშვნებს, შემოკლებებს, საერთოდ, წიგნის ენას. ერთი მხრივ, არის: გულის-თქუმაჲ რომ. 7, 7, 8; გულის-თქუმათა რომ. 6,12; ნუ გული-გითქუამნ რომ. 7,7, მაგრამ, მეორე მხრივ: გულის თქუმასა რომ. 1,24; გულის თქუმითა რომ. 1,27; გული უთქუმიდა 1 კორ. 10,6; გული გითქუმიდეს რომ. 13,9.

ერთიერთსა 1 კორ. 11,33, მაგრამ: ერთი-ერთისა ფილიპ. 2,3 AB; შეურაცხ იქმნების ებრ. 7,18 AB, მაგრამ: შეურაცხ-იქმნების გალატ. 6,7; შეურაცხ-იქმნა ებრ. 12,17 (სწორია პირველი, დეფისი არ უნდა); ცრუ მოძღუართა: გვ. 514: თავნი ეპისტოლეთანი, 16 AB, მაგრამ: ცრუ-მოციქულთა: გვ. 469, უწყებანი მოზღვთანი, 28; 32.

უკადნიერესად-რე რომ. 15,15, მაგრამ: უმოსწრაფესრე 2 კორ. 8, 17; უმჯობესადრე 2 კორ. 9,5.

რომ, (=რომაელთა): გვ. 018, 021, 022, 025, 028, 029, მაგრამ: ჰრომ. გვ. 70, 73.

ამ მხრივ მეტისმეტად არეულია დეფისიანი

სიტყვების მართლწერა, როცა გადატანილია დეფისის შემდეგი ნაწილი: გადატანილი ნაწილის წინ (ახალ სტრიქონზე) ხან დაწერილია დეფისი, ხან — არა. აი ორივეს მაგალითები:

ა) რომელი- / -იგი რომ. 2,28; გალატ. 5, 10 (ვერტიკალური ხაზი ერთი სტრიქონის დასასრულს და შემდგომის დასაწყისს უჩვენებს); რომელნი- / -ეგე ეფეს. 2,1; გან-ვინმე / -ლაღნეს 1 კორ. 4,18 AB; ვითარ- / -იგი 2 კორ. 7,15 AB; ვითარცა- / -იგი გალატ. 2,7; ვითარცა- / -ესე 1 თეს. 3,4; შეურაცხ- / -ვჰყოფ გალატ. 2,21; მტერ- / -მე გალატ. 3,21; გან-მე- / -ქარდა გალატ. 5,11 CD; შემო-რაჲ- / -ვალს ებრ. 10,5; მრავალ- / -გზის ებრ. 10,11 AB და სხვა.

ბ) სათნო- / ეყოფვიან რომ. 1,32; სათნო- / ეყოფოდნენ რომ. 15,2; თავს- / დებასა რომ. 2,4; რომელი- / იგი რომ. 5,14; რომელმან- / იგი 1 კორ. 15,28; რომელსაცა- / იგი 2 კორ. 1,5; გულისხმა- / ყონ რომ. 15,21 AB; ჯერ- / უჩნდეს 1 კორ. 7,12; ჯერ- / არს 1 კორ. 8,2; ქელ- / ეწიფების 1 კორ. 12,3; ქელ- / გეწიფების 1 თესალ. 2,6; ნათელს- / იღებენ 1 კორ. 15,29 CD; ნუგეშინის- / მცემს 2 კორ. 1,4; ნუგეშინის- / სცემდით 1 თესალ. 5,11; ვითარცა- / იგი 2 კორ. 8,6 AB. ერთ- / გზის ებრ. 10,11; შეურაცხ- / ყოს ებრ. 10,28 და მრავალი სხვა. ასეთი შემთხვევები წიგნში ასეულია. ეს ყველაზე მოუგვარებელი საკითხია ამ გამოცემაში.

ასეთი არაერთგვაროვნება და [illegible]ერელე სინტაქსურ საკითხებშიც არის:

ა) ბ-ს აკლია „თავების“ ტექსტი: გვ. 492 (შნშ.), მაგრამ: „თავების“ ტექსტი აკლია ბ-ს: გვ. 514.

ბ) Ი-ს აკლია აქედან ვიდრე: გვ. 13 (შნშ).

Ე-ს აქედან აკლია ვიდრე: გვ. 25 (შნშ).

აქედან აკლია Ი-ს, ვიდრე: გვ. 255 (შნშ).

აქედან Ი-ს აკლია გვ. 470 (შნშ).

აკლია ბ-ს აქედან ვიდრე: გვ. 360 (შნშ).

4. ტექსტის დადგენაშიც ბევრია საცილობელი საკითხი და შეცდომაც. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს.

ა) რამეთუ ჰრწმენნეს. სიტყუანი ღმრთისანი: რომ. 3,2 ABCD. ჰრწმენნეს შეუძლებელი ფორმაა ძველი ქართულისათვის, ამიტომ მცდარი წაკითხვა ტექსტში არ უნდა დაეტოვებინათ. სწორია ჰრწმენეს, რომელიც ორ მწკრივში შედის: წყვეტილში (იგინი მას // მათ) და მეორე კავშირებითში (იგი მას // მათ). ჩვენს ტექსტში წყვეტილი იგულისხმება. გამოცემის აპარატის მიხედვით ყველა გამოყენებული ხელნაწერიდან ერთადერთ ბ ნუსხას აქვს სწორი ჰრწმენეს და ისიც სქოლიოშია ჩატანილი, ხოლო მცდარი ჰრწმენნეს ტექსტშია დატოვებული.

ბ) სადა უკუე არს სიქადული იგი? დაყენებულ არს. რომლითა-მე შჯულისა? საქმეთავანმეა?: რომ. 3,27 AB. ნათესაობითი ბრუნვა აქ გაუმართლებელია, მოქმედებითი უნდა იყოს, როგორც უჩვენებს მისი მსაზღვრელი რომლითა-მე: რომელი კანონითა. ეს მოქმედებითია წარმოდგენილი — აგრეთვე CD რედაქციის ყველა (გამოყენებულ) ნუსხაში. ვიტყოდით, კორექტურული შეცდომააო, მაგრამ ამის უფლებას არ გვაძლევს აპარატი, სადაც ნათქვამია, რომ ამ სადავო შჯულისა-ს მაგივრად ბ-ს აქვს შჯულითა-მეა, ხოლო ბე-ს — შჯულითა, ე. ი. სწორი შჯულითა სქოლიოშია ჩატანილი. თუ ეს შჯულითა მცდარ ფორმად მიიჩნიეს, მაშინ რატომ არ გაასწორეს CD რედაქციის ასეთივე შჯულითა? აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს.

გ) ვითარცა-იგი ერთისა მისგან კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჴდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდეს მრავალნი: რომ. 5,19. აქ შემოვიდეს შეუძლებელია, უნდა იყოს შემოვიდენ. წინადადების პირველი ნაწილის წარსულ დროს მეორე ნაწილში მომავალი უპირისპირდება.

მომავალი დროის ფორმებია ბერძნულშიც, სომხურშიც, რუსულშიც, გერმანულშიც და სხვაგანაც. ტექნიკური მიზეზების გამო სათანადო მაგალითები ვერ მოგვყავს აღნიშნული ენებიდან. აქაც შეგვეძლო გვეთქვა, კორექტურული შეცდომააო, მაგრამ ამის საშუალებას სპობს აპარატი, სადაც მითითებულია: შემოვიდეს ფორმის ნაცვლად ბ-ს შემოვიდენ აქვსო. ამნაირად, აქაც, როგორც ზემოთ მოყვანილი შემთხვევისას, სწორი (შემოვიდენ) სქოლიოშია ჩატანილი, ხოლო უმართებულო და მცდარი (შემოვიდეს) ტექსტშია დატოვებული. დავძენთ ბოლოს, რომ CD რედაქციის ყველა ნუსხაში შემოვიდენ იკითხება. ა ხელნაწერს დიდი ნდობა აქვს გამოცხადებული მაშინაც, როცა ის ცოდავს.

დ) უკუეთუ თანა-ნერგ ვიქმნნეთ მსგავსებასა სიკუდილისა მისისასა, ეგრეცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ: რომ. 6,5.

საჭიროა არა ვიქმნნეთ (მეორე კავშირებითი და მომავალი დრო), არამედ ვექმნენით (წყვეტილი და წარსული დრო), როგორც აქვს კიდეც ბბ ნუსხებს (სამ ხელნაწერს — დელ-ს—ეს ადგილი აკლია) ასევე სწორი ვექმნენით არის CD რედაქციაშიც. აქაც წარსული დრო (რომელსაც ჩვენი მაგალითი ეკუთვნის) მომავალს უპირისპირდება, ამიტომ აუცილებლად ვექმნენით უნდა იყოს. წარსული დროა ბერძნულშიც, სომხურშიც, რუსულშიც, გერმანულშიც და სხვაგანაც. თუ ტექსტში ვიქმნნეთ დავტოვეთ, აზრი მახინჯდება. იქ ნათქვამია: თუ ჩვენ მისი სიკვდილის მსგავსებასთან ვიყავით მჭიდროდ დაკავშირებული (მსგავსების თანამონაწილე, თანამკვიდრი, თანამყოფი ვიყავით), ასევე ვიქნებით მისი აღდგომისასაცო. აქ მსჯელობის პირველი ნახევა-

რი წარსულ დროს გულისხმობს, მეორე — მომავალს. A ხელნაწერი აქაც ცდება, BB მართალია (ისევე, როგორც მთელი CD რედაქცია), გამოცემაში კი ისევ და ისევ A-ს მცდარი წაკითხვაა დატოვებული, BB-ს სწორი ფორმა კი სქოლიოშია ჩატანილი.

თუ ტექსტში ვიქმნენით-ს დავტოვებთ (ე. ი. მომავალ დროს დავუშვებთ), კიდევ ერთი დიდი უხერხულობა იჩენს თავს, მაშინ გამოვა: თუ ჩვენ მისი სიკვდილის მსგავსების თანამკვიდრი ვიქნებით (მომავალში)... მაგრამ ეს შეუძლებელია: ქრისტეს სიკვდილი უკვე მომხდარი ფაქტია და მომავალ დროზე ლაპარაკი გამორიცხულია. მაშასადამე, აქ მხოლოდ წარსული დროა საჭირო, ე. ი. ვექმნენით.

უადგილობის გამო ქვემოთ აღარ განვაგრძობთ შენიშვნების დასაბუთებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ უნდა არა: ზურგნი, როგორც გამოცემაშია, არამედ ზურგი (რომ. 11,10), არა: სულელ იქმნენნინ, არამედ: ...იქმენინ (1 კორ. 3,18), არა: ვიქადი, არამედ: ვიქადე (2 კორ. 7,14 AB), არა: აღთქუმათა მათ ღმრთისაჲთა, არამედ: ...ღმრთისაჲთა (გალატ. 3,21), არა: გარდარეულისა მისთჳს მეცნიერებისა ქრისტე იესუჲს უფლისა ჩემისაჲთა, არამედ: ...ჩემისაჲსა (ფილიპ. 3,8 AB), არა: რამეთუ ძჱლა იყო, ისწავა, ვინაჲთგან ივნო, მან მორჩილებით, არამედ: ...ვინაჲთგან ივნო მან ,მორჩილებით (ებრ. 5,8 AB), არა: რამეთუ ძელა იყო, ისწავა, ვინაჲთგან იგი ივნო, მორჩილებით, არამედ: ...ვინაჲთგან—იგი ივნო, მორჩილებით (ებრ. 5,8 CD. ძველ ქართულში არ შეიძლება ითქვას „იგი ივნო“, არამედ მხოლოდ „მან ივნო“), არა: მეცნიერებასა ჭეშმარიტებისა მოსლვაჲ, არამედ: ...ჭეშმარიტებისასა (1 ტიმ. 2,4 AB, თუ აქ კორექტურული შეცდომა არ არის), არა: სარწმუნოებითა ქრისტე იესოჲსთა, არამედ: იესოჲსითა (2 ტიმ. 3,15. მძიმე შეცდომაა. მისი ტექსტში დატოვება არ შეიძლება), არა: დიდებასა, არამედ: დიდებისა (ტიტ. 2,13), არა: განწმიდნეს, არამედ: განმწმიდნეს (ტიტ. 2,14 ABCD). არა ნიშნებითა, არამედ: ნიშებითა (გვ. 473, უწყ. 17) და სხვა.

წიგნში ძალიან ბევრი კორექტურული შეცდომაა, რომლებიც შეცდომების გასწორებაში არაა შეტანილი.

ამ შენიშვნების მიუხედავად, უნდა ვთქვათ, რომ „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიების“ გამოსვლა დიდი მოვლენაა ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებაში, იგი ჩვენი ტექსტოლოგიისათვის უეჭველად დიდი შენაძენია. ჩვენ ამიერიდან ხელთა გვაქვს დიდი მოცულობის მეცნიერულად გამოცემული ტექსტი, რომელიც კარგ სამსახურს გაუწევს ენათმეცნიერებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებსა და ყველას, ვინც ჩვენი წარსულის კულტურითაა დაინტერესებული, ხოლო საგნის სპეციალისტთათვის იგი სამაგიდო წიგნად გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნათელა სადირაშვილი*

# ივანე კერესელიძის ფოლკლორული ჩანაწერები

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს შემოერთების საკითხი. იმ ხანებში ამის თაობაზე აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობდნენ და ქართველ ბეგებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გრიგოლ გურიელი, გიორგი ყაზბეგი, დიმ. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

1869 წელს ქართველი საზოგადოებისა და რუსეთის არმიის სარდლობის დავალებით აჭარაში იმოგზაურა ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორმა ივ. კერესელიძემ. მან გამაჰმადიანებულ ქართველებს უფასოდ გაუგზავნა 400 ცალი „ცისკარი" და მოლაპარაკება გამართა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში აჭარელთა მხარდაჭერის თაობაზე. ივ. კერესელიძის ამ მოგზაურობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე, გადმოგვცემს რა თვით მწერლის ნაამბობს:

„ჩემი წასვლა იქ საშიში იყო, ამიტომ ავიღე რამდენიმე თარი და ჭიანური, და როგორც ამეების დამკვრელი, ისე შევედი აჭარაში. მესტვირულის ოსტატობით მივაღწიე შერიფ-ბეგის სახლს. მისი სახლის წინ რომ მივედი, სხალთას, ეზოში შევედი და თარი დავუკარი. მალე შერიფ-ბეგი გამოვიდა კარში და დამიძახა, დაკვრა გამეჩერებინა და სახლში ამიხმო. მკითხა, შენ ქართველი უნდა იყო, აქ საიდან მოსულხარო? მე ყველაფერი ვუამბე".[1]

აჭარა-მესხეთში ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა „ცისკრის" 1869-70 წლების ნომრებში, სათაურით „სამცხე-საათაბაგო", რომელშიაც გადმოცემულია ამ კუთხის ქართველთა კულტურულ-ეკონომიური დაქვეითებით გამოწვეული გულისტკივილი და დაუფარავი სურვილი ამ ადგილების უკან დაბრუნებისა.

ივ. კერესელიძის ამ წერილებმა მაშინვე მიიპყრო ქართული პრესის ყურადღება. ანჩისხატისუბნელი (პ. უმიკაშვილი) წერდა: „ვიხილე ახალი სტატიები დიდის ტალანტით დაწერილი ჩვენი ივანე ივანეს-ძე კერესელიძისაგან... აი, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ რაც უნდა მოხდეს, ტალანტი მაინც კაცს თავის ხვედრს ალაგს დააყენებს. ვურჩევთ მაისის და ივნისის წიგნები წაიკითხონ ჩვენმა მეგობრებმა, ძალიან დაგვიმადლებენ. ბევრს ცნობებს მესხეთზე შეიტყობთ სამსავე სტატიიდგან, რომელნიც ამ ორ ნომერში არიან დაბეჭდილები".[2]

მწერალი-მოგზაური ხაზს უსვამს, რომ საქართველო მარტო ქართლი, კახეთი და იმერეთი როდია. სამცხე იყო არა მარტო ერთ-ერთი მხარე ძველი იბერიისა, არამედ მისი განათლებისა და კულტურის ცენტრიც — „ჩვენი დედა საქართველო არის მესხეთი, ანუ ძველი საათაბაგო" — წერს იგი.

ივ. კერესელიძე დამაჯერებლად გადმოგვცემს, გამაჰმადიანებულ ქართველებში როგორ ტრიალებდა ეროვნული სული. ისინი ფარულად ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს, წმინდათა წმინდად მიაჩნდათ ქართული ენა. „მამა-პაპის ენა არის, შენი ჭირიმე, და მამა-პაპის ენას რომელი მოსცილდება, — უთქვამს სიამაყით ერთ მესხს, — მარტო ჩვენ კი არა, ჩვენი დედაკაცებიც და ჩვენი ბავშვებიც სულ ქართულსა ვლაპარაკობთ, შენი ჭირიმე".[3]

მოგზაურ-პატრიოტს სურს აჩვენოს, თუ რჯულშეცვლილ ქართველებს როგორ შემოუნა-

ხავთ ქართული სიტყვის ძველებური სიტკბო და მადლი. მას მოაქვს ასეთი დიალოგი:

„— გამარჯობა, მურად!

— ღმერთმა შენი სიცოცხლე ნუ მომიშალოს, ბატონო!

— როგორა ხარ, ჩემო მურად?

— ხელ-კოცნით, ჩემო ხელმწიფევ (ე. ი. ხელ-კოცნას მოგეხსენებო)“.4

ივ. კერესელიძის ზემოხსენებული ნარკვევი ყურადღებას იპყრობს უნიკალური ფოლკლორული ჩანაწერებითაც. მწერალს სიტყვა-სიტყვით ჩაუწერია მესხეთში გაგონილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ეს ლექს-სიმღერები ძვირფასი მასალაა როგორც მთქმელთა ეროვნული სულისკვეთების გასაგებად, ისე იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს არის ქართული ხალხური ლექსების ძველი ვარიანტები, რომელთა პირველ პუბლიკატორად ივ. კერესელიძე უნდა ჩაითვალოს.

შრომის სიმღერებში შემოუნახავთ იქაურ ქართველებს გმირ მეფეთა საამაყო სახელები, დოვლათიანობა, ქართული ადათ-წესები ლხინისა თუ ჭირის დროს. აი, ერთ-ერთი შრომის სიმღერა, რომელსაც ასრულებდა აბდულ-ალიოღლი, რომლის ნამდვილი გვარი სამსონაშვილი ყოფილა:

გალმიდან გამომეძახა,
მე ვარ გოგნაძე ბერიო,
თორმეტ უღელი ხარი მყავს,
ინდუშაა და ჭრელიო,
ორასი თავი ცხვარი მყავს,
სულ მიაქვსთ ტყე და ველიო,
ორმოცი ჭაკი ცხენი მყავს,
სულ ილხში გარეულიო,
მეფე თამარი მესტუმრა,
მჭადით ვარ მასპინძელიო,
წყალში გოდორი ჩამიდგამს,
თევზით ავსებას ელიო,
ამ საქონლის დამკარგავსა,
სიკვდილო, რაღას ელიო.

მეტად ორიგინალური დაბოლოება აქვს მოგზაური-მწერლის მიერ მესხეთში ჩაწერილ ცნობილ ლექსს „ია მთაზედა“ (იგივე „სიძე-სიმამრი“). ამ საფერხულო სიმღერაში სიმამრის მიერ ნადირობისას შემთხვევით მოკლული სიძის დატირება ასეა გადმოცემული:

აქშა ყორანო, შენ ბიჭო, ნუ სჭამ თვალებსა,
ნაცქერი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა.
აქშა ყორანო, შენ ბიჭო, ნუ სჭამ მკლავებსა,
ნახვევნი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა.
აქშა ყორანო, შენ ბიჭო, ნუ სჭამ ტუჩებსა,
ნაკოცნი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა.5

ამ ლექსის ცნობილი თოთხმეტი ვარიანტიდან არცერთს არა აქვს ასეთი ბოლო, გარდა მცხეთაში ჩაწერილი ლექსისა, რომელიც ანალოგიურად მთავრდება:

აქშა ყორანო, შენ გაუხარელო,
                    ნუ გლეჯ თვალებსა,
ერთხელაც არის, ნახედნიმც არის...
აჯდა ყორანი, გლეჯდა მკლავებსა,
აქშა ყორანო, შენ გაუხარელო,
                    ნუ გლეჯ მკლავებსა,
ერთხელაც არის, ნახვევნიმც არის...
აჯდა ყორანი, გლეჯდა მუხლებსა,
აქშა ყორანო, შენ გაუხარელო,
                    ნუ გლეჯ მუხლებსა,
ერთხელაც არის, ნავალნიც არის...

როგორც ვხედავთ, ივ. კერესელიძისეული ვარიანტი უფრო დახვეწილია და გამართული, ვიდრე მეორე.

პროფ. ელ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ „ლექსი „ია მთაზედა“ პირველად დაბეჭდა რაფ. ერისთავმა 1878 წელსო“.6 ივ. კერესელიძემ კი იგი თავის სამოგზაურო ნარკვევში 1870 წელს გამოაქვეყნა, მაშასადამე, დაბეჭდვის პრიორიტეტიც ივ. კერესელიძეს უნდა მივაკუთვნოთ.

ამგვარად, ივ. კერესელიძის წერილები სამცხე-საათაბაგოს შესახებ მნიშვნელოვანია არა მარტო ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე, მდიდარი ფოლკლორული ჩანაწერებითაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1 ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთა საქართველოსი. ბათუმი, 1911 წ., გვ. 229.

2 დროება, 1869, VI, № 25, გვ. 2.

3 „ცისკარი“, 1870 წ., № 4, გვ. 137.

4 იქვე, გვ. 146.

5 „ცისკარი“, 1870 წ., № 5, გვ. 25.

6 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 103.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ჯაველიძე

# სოფელი და ზეშთასოფელი

აღმოსავლეთის უდიდესმა პოეტმა ჯელალ ედ-დინ რუმიმ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური, თუ პოეტური აზროვნების განვითარებაზე. პოეტის მოძღვრებაში გაშუქებულია მრავალი საინტერესო საკითხი, რომლებიც შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ თუ მხატვრული აზროვნების თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესოა. და მათ შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს სოფლისა და ზეშთასოფლის ესთეტიკურ მიმართებას.

ჯელალ ედ-დინ რუმის აზრით, სამყაროს განსხეულებას საფუძვლად უდევს მიზნობრივი მიზანი, რომელიც აპირობებს შემოქმედებით აქტს. მაგრამ, გარდა ამისა, სუფიურ მოძღვრებაში სამყაროს შექმნასა და არსებობას ამართლებს კიდევ რამდენიმე მიზეზი. უპირველეს ყოვლისა, ღმერთი იყო უჩინარი ასპექტი. მას სურდა, თავისი მშვენიერება წარმოეჩინა, ამ მიზნით შექმნა სამყარო სარკედ, სადაც აირეკლა მისი სილამაზის ატრიბუტები, რადგანაც მისი მშვენიერების ხილვა პირდაპირ შეუძლებელია; ვითარცა არ შეიძლება მზის უშუალო ჭვრეტა, ასევე არ შეიძლება ღვთის უშუალო ხილვა. „ის, ვინც უშუალოდ ჭვრეტს მზეს და არა მის ანარეკლს წყალში ან სხვა რამე მსგავსში, თვალებს იფუჭებს“ (პლატონი), „ღვთიური სილამაზე შეიძლება იხილო, მაშინ, როცა ის აირეკლება — წერს ათარი — და ვერ იხილავ, როცა ის თავის თავშია. ამიტომ ღმერთმა ბრძანა სარკის შექმნა, რათა ადამიანებს ეხილათ მისი სილამაზე“. გარდა ამისა, ღვთიური სილამაზე არ შეიძლება გამოჩნდეს საბურველის გარეშე, ის დაწვავს და დაანგრევს ყოველივეს. თუ კი ის შიშვლად, საფარის გარეშე მოვა, შენ აღარ დარჩები ... ამ სამყაროს გამსხივოსნებელი მზე, თუკი ოდნავ მოახლოვდება, ყველაფერი დაიწვება და განადგურდება. მევლანას რწმენით, ეს ქვეყანა და ცხოვრების მთელი რთული სისტემა არის საფარი ჭეშმარიტი ღმერთისა. დიდმა ღმერთმა ეს საფარი შექმნა გარკვეული განზრახვით... „ღმერთის სახე უსაფაროდ, საბურველის გარეშე რომ გამოჩნდეს, ჩვენ მას ვერ გავუძლებთ ... ამ საფარით კი დახმარებას, სარგებლობას ვნახულობთ ... ამ მზეს რომ ეყურებ, მისი ნათებით გზას ვხედავთ, კარგს ავისაგან ვარჩევთ და სწორ გზას ვპოულობთ ... ეს მზე კიდევ უფრო რომ მოგვიახლოვდეს, არავითარ სარგებლობას აღარ მოგვიტანს. პირიქუ, მთელ ქვეყანას, მთელ ხალხს დაწვავს და გაანადგურებს. დიდი ღმერთი, როცა საბურველით ეჩვენება მთას, მთა ხეებით, ვარდებით, სიმწვანით იმოსება და ივსება. მაგრამ როგორც კი უსაფროდ, საბურველის გარეშე გამოჩნდება, მას თავდაყირა აყენებს, ნამცეცებად აქცევს“. გამოდის, რომ მოკვდავი ადამიანი ღმერთის სხივს უშუალოდ ვერ აღიქვამს. მას შვიდასი ფარდა აქვს. მაგრამ ამ საფარს ის გამართლება აქვს, რომ ღმერთის მშვენიერებას აგონებს ადამიანს და მისკენ ეწევა. საერთოდ, მევლანას აზრით, ფორმა გვეხმარება იდეის ჩაწვდომაში, ნაწილი კი მთელის მოაზრებაში. ამიტომ ის ხდება ერთ-ერთი საშუალება საფუძველთან მისვლისა, თუმცაღა ჭეშმარიტი დერვიში ის არის, ვინც უშუალოდ შეძლებს მისი ნათების დანახვას.

როგორც ირკვევა, ხილვად სამყაროს მისტიკურ აზროვნებაში რამდენიმე ფუნქცია აკისრია. უპირველესად, ის გამოდის სარკის როლში, რომელიც ღვთის მშვენიერებას აირეკლავს. მეორეც — იგი გვევლინება საბურველის სიმბოლოდ, რომელიც, ერთი მხრივ, გვიცავს ღვთიური ცეცხლით განადგურებისაგან და, მეორე მხრივ კი, მის უშუალო ხილ-

ვას უშლის ხელს, მაგრამ თუ აღმქმელის მზერა არ იქნება მასზე საბოლოოდ მიჯაჭვული და სამყაროს მოიაზრებს, როგორც ფორმას, რომელიც აზრთან მისასვლელად უნდა დაგვეხმაროს, მაშინ ამ ხელის შემშლელ პირობებსაც აქვს გარკვეული გამართლება: ადამიანმა მომზადების გარკვეული პერიოდი უნდა განვლოს, რათა უშუალოდ აღიქვას ღვთის მშვენიერება: „ყურძენს თუ სურს ღვინოდ დადგომა, ერთხანს ქვევრში უნდა იდუღოს", „ხოლო კეფას, თუ სურს სარკის პირად იქცეს, უნდა შეიჭამოს, გაისრისოს". ამგვარად ეს სამყარო თავისი მრავალფეროვანი მშვენიერებით არის ხიდი, რომელიც გადებულია იმქვეყნიურ მშვენიერებისაკენ მიმავალ გზაზე. იგი შუამავლის როლში გამოდის და მხოლოდ ამ ასპექტით შეიძლება აბსოლუტურ მშვენიერებასთან მიმართებაში მისი არსებობის გამართლება. იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს ხილვადი სამყარო ღმერთთან დამოკიდებულებაში — მისი გამოსხივების არენაა თუ მისი ხილვის მოსამზადებელი ეტაპია, ანდა უპირისპირდება თუ არა მას თავისი მატერიალური ობიექტური რეალურობით, ხდება შემდგომ სოფლის თემის დამუშავება. მთელ ანტიკურ და შუა საუკუნეების აზროვნებაში სოფელი და კოსმოსი დახასიათებულია, ერთი მხრივ, როგორც მშვენიერი, ჰარმონიული და ულამაზესი განსხეულება, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბნელი, ცოდვილი, მუხთალი და ცთუნების მახეებით აღვსილი ადგილი. ეს ორი, ურთიერთ გამომრიცხავი კონცეფცია კოსმოსის შესახებ ძალიან ხშირად ერთადაა მოცემული შუა საუკუნეების მოაზროვნეებთან.

ჯელალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში ეს ორივე შეხედულება ფიგურირებს. მევლანას აზრით, სამყარო შემდგომ არის შექმნილი, მაშასადამე, ის ჟამიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არც მარადიულია, ჟამიერ, დროულ ჩარჩოში მოქცეული ცვალებადისა და წარმავალის იდენტურია. ამ თვალთახედვით სამყარო არის მეორადი მოვლენა, არა სუბსტანციური და მისი ყოფიერება სხვა ესენციით არის განპირობებული. მარადიული და მდგრადი სამყარო ზეშთასოფელია, უხილავი მხარე, სადაც ღვთის მიერ არის შექმნილი ხილვად სამყაროში არსებულ ფორმათა არქეტიპები, იდეები, რომლებიც განუწყვეტელი დინებით მოედინებიან ხილვად სამყაროში და ფორმასა და ყოფიერებას უსადაგებენ ამ უკანასკნელს. ხდება ყოველწამიერი, მუდმივი და მარადი განსხეულება, ხილვად სამყაროში განივთება, შემდეგ კვლავ უკან დაბრუნება. პოეტი ამას ზღვის მიქცევასა და მოქცევას ადარებს. „გასაოცარია! რა უნდა ილონოს მათმა გონებამ ამ უნიშნო ზღვის მიქცევ-მოქცევის წინაშე, — წერს მევლანა, — იმ უდაბნოდან მოდის ეს ნაგებობანი ... სამეფო, ფადიშაჰობა, ვეზირობა... იმ არარსებობის უდაბნოდან ხილვად სამყაროში ძლიერი დინებით, განუწყვეტელ რიგად მოედინება ქარავანი ქარავანზე. დილით თუ საღამოს მოდიან, ჩვენ მოვედითო, რიგი ჩვენიაო, ახლა თქვენ წადითო — ჩვენს ადგილს იჭერენ ... დიდი გზატკეცილია გაყვანილი იქიდან აქეთ და ამ გზატკეცილზე ხან მიედინებიან და ხან მოედინებიან. და ეს მარად ასეა, ერთი მიდის, ხოლო მის ადგილს სხვა იჭერს. ქვეყანა ათას წლობით ასე დგას, როგორც კი მამა მიწაში ჩავა, ვაჟი მამა გახდება ... ასევეა ცხოველებიც და ყოველივე: ღამით ცის თაღიდან მზე გადაიხრება, წავა, მის ადგილს ვარსკვლავები ან მთვარე იჭერს" ... სუფიების აზრით, ქვეყანა და, საერთოდ, ყოფიერება მარად დინამიურ მოძრაობაშია, განუწყვეტლივ ერთი სახეობა ცვლის მეორეს. ჰერაკლიტემ არსებულის უმაღლეს კანონად აღიარა ცვალებადობისა და მოძრაობის პროცესი და მდინარება. ყველა საგანი იცვლება, და ყოველი წამი მგრძნობიარე არსებობისა არის გარდასული ეტაპი.

და როგორც ჟამი მიედინება, ასევე ყველა არსებული დროის სფეროში მოძრაობს. მოძრაობს ცა, ჰაერი, წყალი, ყოველი საგანი... იცვლება ჩვენი აღქმაც, შემეცნებაც, მეტყველებაც ... მიედინება ჩვენი სხეულიც — და მატერია მარად ახლდება, როგორც წყალი მდინარებაში, ისევე, როგორც არ შეიძლება ერთსა და იმავე მდინარებაში ორჯერ შეხვიდე, ასევე არ შეიძლება ერთსა და იმავე სხეულში ორმა სხვადასხვა მომენტმა იარსებოს განსხეულების პროცესი არასოდეს არ წყდება და არ ჩერდება: ყველაფერი არის და არც არის, ყველაფერი მიედინება და არაფერი არ ჰგიებს. ჰერაკლიტეს ეს თვალსაზრისი გავრცელდა ანტიკურ ფილოსოფიაში და შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ფილოსოფიურ-რელიგიურ აზროვნებაშიც გრ. ნოსელი ასე გადმოგვცემს ყოფიერების ამ მარად გამდიდრების პროცესს: „და რამეთუ ვერ დააყნის მდინარე იგი ადგილმან მან ერთმა, არამედ რომელიმე მიდიან და რომელიმე მოდიან. ეგრეთვე არც ცხოვრებაი ესე სიხშოისაი ძვრითა და დინებით და რამეთუ ნივთნი ესე წინაალმდგომნი მარადის იძვრიან და იქცევიან, ხოლო რა ჟამს დასცხრის ძრვაი მათი, დასცხის ცხოვრებაიც იგი".

ჯელალ ედ-დინ რუმიც გადმოგვცემს ყოფიერების მარად მდინარების პროცესს. ყოველივე მარად იცვლება, ერთი სახეობიდან მეორე სახეობაში გარდაიქმნება, მაგრამ რადგანაც ეს გარდაქმნა მდინარესავითაა გაბმული, მისი დინამიკური მოძრაობა ჩვენ სტატიკურად წარმოგვიდგება. მევლანა წერს: „ფორმა

წარმოიქმნება უფორმობისაგან და (კვლავ იქ ბრუნდება). ცნობილია, „ყველა ალაჰს დაუბრუნდებით". მაშასადამე, შენ ყოველ წამს კვდები და მკვდრეთით აღსდგები. მუსტაფამ ბრძანა ქვეყანა ერთი წამია, ჩვენი ფიქრი ისარია ჰაერში გატყორცნილი, როგორ გაჩერდება, ღმერთთან მივა, ყოველ წამს ქვეყანა ახლდება, მაგრამ ჩვენ ამ განახლებას ვერ ვამჩნევთ და მუდმივი გვეჩვენება. ცხოვრება წყალივით ახლად მიედინება, მაგრამ სხეულში მუდმივად მოსჩანს, როგორც ჯოხის ბოლოს აქვს განუწყვეტელი ფორმა, როცა წვერანთებულ ჯოხს ატრიალებ ხელით. თუკი შენ ცეცხლიან ჯოხს ატრიალებ, შენ ხედავს ცეცხლი უწყვეტად ეჩვენება. ყველაფერი მოძრაობს და მიედინება", „მთელი სამყარო გარბის ... მაგრამ სხვადასხვანაირად ... ადამიანის სირბილი სხვაგვარია, მცენარისა კიდევ სხვაგვარი და სხვაა სულის სირბილი"; „ჩვენ ვზივართ, მაგრამ მივდივართ, არც ადგილს ვინაცვლებთ, მაგრამ შენ ვერ ხედავ ამას".

მევლანას მოაზრებით, ეს მარადიული ცვლისა და განვითარების პროცესი დიალექტიკური პრინციპით არის განხორციელებული. არსებობს პირისპირდებული ცნებები, მათი ურთიერთმიმართება, შეჯახება და ბრძოლა, უარყოფის უარყოფა და სწორედ ამ წინააღმდეგობებით დგას ქვეყანა. იქმნება ერთგვარი წონასწორობა და ჰარმონია. ხდება განვითარება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის საფუძველზე. ის წარმოდგენილია, როგორც „წყარო ყოველი მოძრაობისა და სიცოცხლისა" (ჰეგელი): „დედამიწის სიმდაბლეს და ცის სიმაღლეს შეხედე... სამყაროს დროთაცვლასაც ახასიათებს ორი მხარე. მიწას აქვს თავისი დამდაბლება და ამაღლება — წლის ერთ ნახევარში ყამირი ხდება, მეორე ნახევარში ჰყვავის. დროის ამაღლება და დამდაბლებაც სხვანაირია, ოცდაოთხი საათი: ნახევარი ღამეა, ნახევარი დღეა". ერთი სიტყვით, ქვეყნის მთელი ვითარება ასეთია: „უკმარობა (შიმშილი) და კმარობა (სისავსე), ბრძოლა და მშვიდობა... ქვეყანა აი, ამ ორი ფრთით მიფრინავს ჰაერში". განსხეულებას, მარადიულ გარდაქმნას იწვევს ატომთა ქაოტური მოძრაობა, მათი შეჯახება და ბრძოლა. პოეტი გვამცნობს: „ამ ქვეყანას თუ შეხედავ, შეამჩნევ, რომ თავიდან ბოლომდე ბრძოლისაგან შედგება. ატომი ატომს ებრძვის, თითქოს მორწმუნე ურჯულოს... ერთი ატომი მარცხნივ მიფრინავს, მეორე მარჯვნივ საძიებელს ეძებს... ერთი ატომი მაღლა მიფრინავს, მეორე თავდაყირა ვარდება. ისე თითქოს დგანან, მაგრამ მათი ბრძოლა ამ დგომის სამყაროში ნახე... მაგრამ ეს სამყარო ამ ბრძოლით დგას. ელემენტებს შეხედე და გაიგე, ყველაფერი და ყოველივე ურთიერთს ნთქავს, ერთი ფორმის განვითარება სრულდება, იგი ხდება საკვები სხვა ფორმისა და სხვა თვისობრივ სიახლედ გარდაიქმნება". ეს არის დიალექტიკური მოძრაობა, რომელიც დაფუძნებულია დაპირისპირებულ ერთიანობათა კანონზე, და უბრალოდ წრეში ტრიალი კი არ არის, არამედ თვისობრივად ახლის წარმოქმნაა.

პოეტი ამ თვისობრივ დიალექტიკურ გარდაქმნას ასე გადმოგვცემს: „ღმერთის წყალობამ მიწას უწყალობა ხახა, რათა შესვას წყალი და გაიზარდოს ასობით ბალახი. შემდგომ მიწიდან შექმნილებს მიუსადაგა ხახა და ბაგენი, რათა მათ მიწისაგან ამოსული ბალახი ისურვონ, შეჭამონ. როცა ცხოველი ბალახს მოსძოვს და გასუქდება, ადამიანის ლუკმად იქცევა და წავა... მაგრამ მოვა მიწა და შეჭამს ადამიანთა მოდგმას, როცა მას განშორდება სული და ხედვა... ატომები ვნახე ყველა პირდაღებული, მათი საჭმელიც რომ მოგითხროთ, სიტყვა გამიგრძელდება".

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯელალ ედ-დინ რუმი განსხეულების და ყოფიერების განვითარების პროცესს უდავოდ დიალექტიკურად იაზრებს. განვითარებისათვის აუცილებელია პირისპირდებულ მოვლენათა არსებობა. „მზის დაბადების ადგილი კუპრივით შავი ზოდიაქოა". და ამ კონტრასტულ მოვლენათა შორის ნიადაგ სუფევს ბრძოლა. ამავე დროს ხილვადში არსებულ ყოველ საგანს აქვს გარეგანი და შიდა მხარე, ხოლო ამ მხარეთა შორის დაუსრულებელი შერკინებაა. უფრო მეტიც, ფერთა სამყარო, რომელიც უფერობიდან შეიქმნა, თავის პირველ საბადოს ებრძვის. საერთოდ, ამ ქვეყნად გაჩენილი თვისობრივად ახალი ყოფა, ერკინება ყოფიერების იმ საფეხურს, რომელმაც იგი წარმოქმნა. მაგრამ ეს ბრძოლა გარდაუვალი სიბრძნით არის განპირობებული. მევლანა ასე მსჯელობს: „როცა კი უფეროთა სამყარო ფერს დაემორჩილა, ერთი მუსა მეორეს წაეკიდა... გასაოცარია... ეს ფერი თუმც უფერობის სამყაროდან გამოჩნდა, უფერობას როგორ ებრძვის. კარაქის ფუძე წყალია, მისგან იქმნება, მაგრამ ბოლოს მას უპირისპირდება. ვარდი ეკლისაგან იზრდება, ეკალი ვარდისაგან... ასეა, მაგრამ რატომ ებრძვიან ურთიერთს?" — ებადება პოეტს კითხვა და პასუხობს:

ან ეს ბრძოლა არ არის, გარკვეული
სიბრძნის გამოა,
ხარების გამყიდველთა ჩხუბის მსგავსი
ხელოვნებაა.
ანდა არც ის არის და არც ეს...
განცვიფრებაა.
ამ ნგრეულეთში საჭიროა ეძიო
საგანძური.

მევლანას აზრით, განვითარების ეს დიალექტიკური კანონი ისეთი სიბრძნეა რომ ვერ აიხსნება გონებრივი მცდელობით. ის მხოლოდ გან-

ცვიფრებას იწვევს. მაგრამ პოეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეს ბრძოლა, მხოლოდ ფერთა სამყაროსათვის, ხილვადი ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. უფეროთა სამყაროში მარადიული სიმშვიდე სუფევს. იქ მუსა ფარაონს არ ებრძვის. ამ თვალთა ხედვით ხდება სოფლისა და ზეშთასოფლის დაპირისპირება. ერთი წარმოდგენილია ქამიერად და წარმავალად, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ბრძოლა და წინააღმდეგობა, მეორე კი მარადიულად და მშვიდობის საუფლოდ. ჯელალ ედ-დინ რუმი წერს: „ის ქვეყანაა, მხოლოდ მარადიულია და გაშენებული: სხვანაირი არც შეიძლება იყოს, რადგან ის არ შედგება ნაწილთაგან, პირისპირდებული მოვლენებისაგან. ეს ურთიერთგანადგურება პირისპირდებულთა მიმართებით არის გამოწვეული, პირისპირდებულნი რომ არ იყვნენ, მარადისობის გარდა სხვა არაფერი იქნებოდა, იმ უბადლომ სამოთხეს მოუხსნა წინააღმდეგობანი, იქ არც მზე და არც მისი პირისპირდებული ყინვაა. ფერთა სამშობლო — უფერობაა, ბრძოლათა ძირი — სიმშვიდე. ამ დარდით აღსავსე მხარის საფუძველი — ის ქვეყანაა, ყველა განშორების ძირი — შეერთებაა“. ამგვარად, როცა ჯელალ ედ-დინ რუმის დიალექტიკური აზროვნების საკითხს ვეხებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის (დიალექტიკა), ყოფიერებისა და ფორმათა განვითარების თვალთახედვით, უდავოდ პროგრესული მოვლენაა შუა საუკუნეების სინამდვილეში. მაგრამ საბოლოო ჯამში მევლანას დიალექტიკა აპირობებს სამყაროს არამდგრადობასა და მდინარებას, რაც, ერთი მხრივ, მას (სამყაროს) ობიექტურ რეალობას და ცნობიერი აღქმის საფუძველს აცლის, ხოლო, მეორე მხრივ, უკავშირებს წარმავლობისა და ქამიერობის ცნებას, რომელიც მარადისობასთან მიმართებაში ცივილიზებულმა გონებამ უნდა დაგმოს და უკუაგდოს.

მევლანას კოსმოლოგიაში ურთიერთის გვერდით ვხვდებით ნეოპლატონურ და კრეაციონისტულ თვალსაზრისს, მაგრამ ორივე შემთხვევაში სამყაროს განსხეულების აქტი ნებელობითია და ტელეოლოგიური ხასიათისაა. პირველი თვალსაზრისით ღმერთმა განასხეულა სამყარო, რათა შეექმნა სარკე, რომელიც მის მშვენიერებას აირეკლავდა და იქნებოდა მისი სახილველი საშუალება. ხოლო მეორე თვალსაზრისით ღმერთი არის მხატვარი, რომელიც იაზრებს იდეალურ მოდელს, ქმნის იდეალურ სფეროში ნამდვილ რეალურ ცნებებს, მშვენიერ ფორმათა იდეებს, არქეტიპებს და ანივთებს მატერიალურ სამყაროს. ამჯერად ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ ორივე შემთხვევაში მისტიკოსების და, კერძოდ, ჯელალ ედ-დინ რუმის გაგებით — ეს ხილვადი ქვეყანა მშვენიერია, ის არის ესთეტიკური ჭვრეტის და განცხრომის ობიექტი, და არა ბნელი და მახინჯი რეალობა, როგორც ეს გნოსტიკოსებს მიაჩნდათ. უფრო მეტიც. ქვეყანა არის აბსოლუტური მშვენიერების მომცველი და ამსახველი. იბნ-ულ-არაბი წერდა: „იცოდე, ღვთიური სილამაზე არის ყველა საგანში და არსებობს მხოლოდ და მხოლოდ სილამაზე, რადგანაც ღმერთმა შექმნა სამყარო თავისი სახის მიხედვით და მიმსგავსებით. სწორედ ამიტომ არის მთელი ქვეყანა მშვენიერი. მას (ღმერთს) უყვარს სილამაზე, ვისაც უყვარს სილამაზე — უყვარს რაც მშვენიერია“. მევლანასთვის სამყარო ღვთის სილამაზის მანიფესტაციაა. „ეი, ვაჟო, მთელი ქვეყანა მეცნიერებით და სილამაზით პირთამდე აღვსილი ხელადაა“. განივთებულ სამყაროში არსებული ყველა საგანი, ყოველი ორგანული თუ არაორგანული ყოფიერების საფეხური ასახავს ღმერთის სილამაზეს და მის მშვენიერებასთან არის წილნაყარი. „ყველა ნაწილაკი არის მიკროკოსმოსი და ნათლად ასახავს მთელი სამყაროს მსგავსებას“ (ემერსონი). ამიტომ, რუმის აზრით, საითაც არ უნდა გაიხედო — ყველგან ციალებს ღმერთის სილამაზე. ის არის განფენილი და მით არის განსხივოსნებული სულიერი არსებანი თუ უსულო საგნები. ღმერთმა ექვსივე მხარე ალაგსო მშვენიერებით და მისი აღქმის არგუმენტად აქცია. ყოველი ცხოველი, ყოველი მცენარე მის მშვენიერებას არის ზიარებული და მისი მშვენიერების ყვავილნარიდან იკვებება. ამიტომაც ბრძანა მან — „საითაც არ უნდა მიბრუნდეთ, ღმერთის სახე არისო“. თუმცა ამის აღქმა შეუძლია მხოლოდ ღვთიურ მშვენიერებას დაწაფებულ ადამიანს, რომელიც, როცა ჭიქით წყალს სვამს, წყალში ღმერთს ხედავს და არა თავის თავს“.

მევლანა ხშირად იმეორებს იმ ფაქტს, რომ ხილვად სამყაროში ღვთიური მშვენიერების ატრიბუტებია არეკლილი:

იცოდე, ქმნილებანი გამჭვირვალე წმინდა
წყალია,
მათში არეკლილია უმაღლესი უფლის
ატრიბუტები.

ადამიანმა უნდა აღიქვას და შეიმეცნოს ქვეყნის მშვენიერება. უნდა დატკბეს მისი სილამაზით, ვინც ამას ვერ ახერხებს, თავადაა უმეცარი. „ეს ქვეყანა მზისა და მთვარის სხივებით სავსეა, მას კი თავი ჭაში ჩაუყვია. ამბობენ, სინათლე არისო, თუ ასეა მართლაც, სად არის? — კითხულობს. ეი, მდაბალო, თავი ჭიდან ამოყავი და შეხედე, მთელი ქვეყანა: აღმოსავლეთი, დასავლეთი ამ სხივით არის გასხივოსნებული. მაგრამ, როცა შენ ჭაში ხარ, ის სხივი შენამდე ვერ მოაღწევს“. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისტიკოსისათვის სამყარო თავის ყოფიერების ყველა საფეხურით ღმერთის დიდებას ლაღადებს, ყველა უსულო და სულიერი თავის

საკუთარ ენაზე უგალობს ჰიმნს უფალს. ამგვარად, ყველა ხმა ქმნის სამყაროში ერთ ვრცელ ძირითად ჰიმნს, უფლისადმი აღვლენილს (ნიკოლსონი). სამყაროს განხეულების ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის: „შენ ყოველივე ისე შექმენი, რომ შენ გადიდებს ყველა, გონიერი თუ უგონო. ყველას თავისებური მოგონება აქვს (უფლისა). ამისა იმას არ გაეგება“. მევლანას აზრით, ღვთიური ატრიბუტი არეკლილია მცენარეებშიც და კრისტალშიაც. ბუნება გაქვავებულია, გაყინულია, მაგრამ განკითხვის დღეს ნახე მისი მოძრაობა. პოეტი არაერთგზის აღნიშნავს, რომ „ყველა ნაყოფი, ყველა ფოთოლი კვირტის ენით მადლობას წირავს ღმერთს“. მისტიკოსების აზრით, მთელი არაორგანული თუ ორგანული ბუნება მეტყველებს, მაგრამ ამის მოსასმენად და გასაგებად საჭიროა სულიერი ყური და არა ფიზიკური. ჩვეულებრივ მოკვდავთ არ შესწევთ უნარი გაიგონ ბუნების საიდუმლო ენა, ისინი უარყოფენ უსულო საგნებს თესბიჰს, მეტყველებს ურთიერთისა არა გაეგებათ და უტყვ ბუნებას როგორ გაუგებენ, 72 მილეთი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და ურთიერთის არ ესმით. ამ საიდუმლოებას გონებრივი მსჯელობით ვერ ჩაწვდები. ფილოსოფოსი ამას უარყოფს, ამის სარწმუნოდ მას არა აქვს არავითარი არგუმენტი. მხოლოდ „გულის ხალხს (მისტიკოსებს) ესმით წყლის, მიწის, ტალახის ენა, ფილოსოფოსი „ჰანნანეს ბოძის“ კვნესას უარყოფს, რადგან წმინდანების გრძნობების არა გაეგება რა“. ამგვარად, მისტიკოსების მოაზრებით, მთელი სამყარო ეს არის ღვთიური ტაძარი — აღვსილი საგალობლითა და ლოცვის მეტყველებით. მაგრამ ეს რომ აღიქვა, ინციაციის ინსტიტუტი უნდა გაიარო და სულიერად უნდა დაიხვეწო. ცხადია, ასეთი გააზრება ესთეტიკურ სიბრტყელეზე წარმოადგენს ხილვად ქვეყანას.

ეჭვსგარეშეა, რომ ჯელალ ედ-დინ რუმის აზრით ხილვადი სამყარო და მთელი კოსმიური სისტემა წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური შემეცნების ობიექტს. აქ ნათლად იკვეთება მისი ესთეტიკური მრწამსი, რომელიც არ არის გამოყოფილი მისტიკური ნააზრევიდან. საერთოდ, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ესთეტიკა არ არსებობდა ცალკე, დამოუკიდებელ დარგად. და მისი ობიექტიც არ იყო წმინდა ესთეტიკურ სიბრტყეზე გამოკვეთილი. მშვენიერების ცნების ექვივალენტური ღირებულება რეალურისა და ირეალურის მიმართებათა გათვალისწინებით დგინდებოდა. ირეალური მშვენიერება ითვლებოდა განზოგადებულ და ჭეშმარიტად ფასეულ ცნებად, მაშინ, როცა გრძნობადი კონკრეტულის სილამაზე მისი (ირეალურის) ანარეკლი იყო და მოაზრებული იყო. როგორც საშუალება პირველთან მისასვლელად. ამდენად, კოსმოსი და ხილვადი ქვეყანა, მთელი თავისი რთული საზოგადოებრივი ცხოვრებითა და მორალურ-ესთეტიკური კანონებით, მხოლოდ აბსოლუტური მშვენიერების ცნების პრიზმის გათვალისწინებით იძენდა ესთეტიკურ ღირებულებას. ამ თვალთახედვით მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ის მოაზრებული იყო, როგორც ნაწილი მთელთან მიმართებაში, როცა ცალკეულ ნაწილს, რაგინდ მშვენიერი არ უნდა იყოს ის თავისთავად, საერთო იდეური ჩანაფიქრისა და გეგმაზომილისათვის მთელთან დამოკიდებულებაში აქვს გამართლება. ჯელალ ედ-დინ რუმის ესთეტიკური პრინციპი ტელეოლოგიური ხასიათისაა. ამდენად მის ნააზრევში სამყარო რელატიურად არის მშვენიერი და იმდენად ლამაზი და სრულყოფილი, რამდენადაც აბსოლუტური მშვენიერების იდეალურ სრულყოფილებას და არსს მიესადაგება. ამავე დროს, ხილვადი ქვეყნის მშვენიერებას მაშინ ექნება ეთიკურ-ზნეობრივი კათარზისის ძალა, როცა იგი შემმეცნებულ სუბიექტს მოაგონებს აბსოლუტურ მშვენიერებას და მის აღსაქმელად წარმართავს აღმქმელის მზერას.

საერთოდ, მშვენიერების ცნების გააზრება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა იმის მტკიცებას, თუ რა იყო მშვენიერი თავისთავად? ასე დასვა საკითხი თავის დროზე პლატონმა ანატრეპტიკული ხასიათის დიალოგში „დიდი ჰიპია“, სადაც უარყოფის მეთოდით შეეცადა დაემტკიცებინა, თუ რა იყო მშვენიერების იდეა. ამ ეტაპზე მან საერთოდ გამორიცხა გრძნობად-კონკრეტული და რეალურად არსებული სინამდვილიდან მშვენიერების იდეა, რადგან, მისი აზრით, გრძნობად-კონკრეტული მშვენიერება მხოლოდ რელატიური ხასიათისაა და თავისთავად გულისხმობს იმ იდეას, რომელიც მას ანიჭებს სილამაზეს. ხოლო მშვენიერება თავისთავად არის ის იდეა, „რომელიც ამკობს და მშვენიერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს“. პლატონი არა ერთხელ შეეხო ამ საკითხს (ფედონი, ფედრა, ნადიმი, იონი და სხვა) და გამოამზეურა მშვენიერების იდეა, რომელსაც უწოდა „მარადიული, ხელთუქმნელი და წარუდინებელი, თავისუფალი ავსებისა და გალევისაგან, მშვენიერება სახიერი, თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველ ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის“.

ასეთი იყო პლატონის ტრანსცენდენტური, მარადიული იდეა, რომელიც განსაზღვრავდა შემდგომ გრძნობად კონკრეტულ ფორმას და მის მშვენიერებას. როგორც ცნობილია, არისტოტელემ „გაამიწიერა“ და უგულებელყო პლატონის იდეათა სისტემის ტრანსცენდენტურობა. მართალია, მასთან პლატონის „იდეის“ ცნება შენარჩუნებულია მარადიული „ფორმის“ სახით, მაგრამ, არისტოტელეს აზრით, ცალკეული საგანი არის „ფორმისა“ და „მატერიის“ ერთობა. „ფორმა“ იმქვეყნიური მიზეზი და „ხატი“ კა

არ არის, არამედ თვით საგნისთვისაა დამახასიათებელი, თავად მატერიაში მოცემული და მისგანაა მიღებული. ის არის შინაგანი პრინციპი საგნის მოაზრებისა და გაფორმებისა.

ნეოპლატონიზმის მამამთავარმა პლოტინმა მშვენიერების იდეა კვლავ ირეალურ სფეროში გადასტყორცნა და იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებას მიუსადაგა. პლოტინის აზრით, ყოველგვარი გრძნობად-კონკრეტული სილამაზის წყარო და საფუძველი არის ნომინალური სილამაზე, როგორც პირველი სახე და აბსოლუტური ერთიანობა. ხილულ სამყაროში სილამაზის წყაროდ შეიძლება მოვიაზროთ მხოლოდ ფორმა, რომელსაც აქვს თავისი საწყისი. შემდგომ კი ის გადადის ქმნილებაში, როგორც ხელოვნებაში მხატვრის სილამაზე გადადის მის ძეგლში. „ყოველგვარ ფორმათა საწყისი არის ზეგრძნობადი, ღვთიური სამყარო, სადაც ყოველივე და ყველაფერი გამჭვირვალეა და არ არის არც ჩრდილი და არც სხვა რამ, ხილვას რომ ხელი შეუშალოს... აქ ყველა მზეა, რადგანაც ყველა სინათლე საკუთარი სინათლით აისახება... მშვენიერი აქ ჭეშმარიტი მშვენიერია, რადგანაც ის არ ეფუძნება რაიმე სხვა მშვენიერს, არამედ თავის თავს“. თავისთავად მშვენიერს კი პლოტინი უწოდებს „წმიდას, მარტივს, ნათელს, მართალს, ყოვლის დასაბამს, რომლისთვისაც არსებობს, რომლითაც ცოცხლობს და აზროვნებს ყოველი არსი, რადგან იგი ჭეშმარიტი მიზეზია გონებისა და ყოფიერებისა“. ქრისტიანული მსოფლმხედველობა ამ საკითხის გაანალიზებისას მჭიდრო კავშირს ამყარებს პლატონისა და პლოტინის ფილოსოფიურ სისტემებთან და სწორედ მათზე დაყრდნობით გამოკვეთა თავისი ესთეტიკური იდეალი, რომელიც მთლიანად აბსოლუტური მშვენიერების, ღმერთის ცნების იდენტურია. მხოლოდ ის იყო მშვენიერი და სახიერი, დანარჩენი ყოველივე უსახო და მოჩვენებითი: „ღმერთო, მოაბრუნე, გვიჩვენე სახე შენი — მიმართავს ავგუსტინი უფალს — და ჩვენ გადავრჩებით. საითაც არ უნდა მიიმართოს ადამიანის სული, ის განწირულია ტანჯვისათვის. რამეთუ არ არსებობს სილამაზე თუ შენში არ არის და შენგან არ მოდის“. საერთოდ, ქრისტიანული ხილვებისა და ესთეტიკის არსი, როგორც მართებულად აღნიშნა ჰეგელმა, „კონცენტრირდება სულის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობასა და წარმოდგენაზე, — სულზე, რომელიც ცდილობს, შეერწყას ჭეშმარიტებას, ეძიებს და ჰპოვებს დაბადებას და ღვთიურობის შენარჩუნებას სუბიექტში. და მას (სულს) ამა სოფელში ამა სოფლისვე გამო კი არ სურს მიზანს ეწიოს და განასხეულოს, არამედ ცდილობს არსებითად აქციოს შინაგანი ბრძოლა და მისი შერიგება ღმერთთან“.

შუა საუკუნეების ესთეტიკურ აზროვნებაში ბატონობდა შეხედულება, რომ ამქვეყნიური სილამაზე იყო ხატი და აჩრდილი იმქვეყნიური სილამაზისა. ზეშთა საუფლოში მოცემული იყო მზის იდეა, ანუ ჭეშმარიტი არსებობა, აქ კი ციალებდა მისი ანარეკლი. ამიტომ ხილვადი მშვენიერება მთლიანად იყო განპირობებული უხილველი, მაგრამ ჭეშმარიტი თავისთავადი მშვენიერებით. დანტეს აზრით, რაც კი მშვენიერია მიწიერ საგნებში, რამდენადაც ის არ შეიძლება წარმოიქმნეს მატერიისაგან, მომდინარეობს პირველად დედა-ღმერთისაგან და შემდგომ ცისა, რომელიც არის იარაღი ღვთიური ხელოვნებისა, რამეთუ ღვთიური სხივი თუ ღვთიური სიტყვა ყველაფერს მოიცავს და ყველგან აისახება.

ჯელალ ედ- დინ რუმის ესთეტიკური შეხედულებანი მთლიანად ემთხვევა პლატონურ და ნეოპლატონურ თვალსაზრისს და მის შუა საუკუნეების რელიგიურ ინტერპრეტაციას. პოეტის აზრით, ყოველი მშვენიერი და ნატიფი ფორმა ღმერთის სადგომია, და არ შეიძლება, რომ მას არ მოიცავდეს. ფორმას უცილობლად უნდა ჰყავდეს მხატვარი, ხოლო შემოქმედი გულისხმობს ხელოვნების ნიმუშის არსებობას. ამგვარად, ნახატი არ არსებობს მხატვრის გარეშე და არც მხატვარი შეიძლება ნახატის გარეშე, მაგრამ ნახატი მეორადია, ნაწილია, მეორეხარისხოვანია, მხატვარი კი საფუძველია. ფორმათა საფუძველი ღვთიური ზეშთასოფელია, ის არის ჭეშმარიტი ყოფიერება, მაგრამ, რადგანაც მას ვერ ვხედავთ და მხოლოდ განივთებულ სამყაროს აღვიქვამთ, გვგონია, რომ იგი წარმოდგენა და ილუზიაა, მაშინ, როცა სინამდვილეში ეს ქვეყანაა ილუზია, ის კი ჭეშმარიტებაა. ეს ქვეყანა მისი ნაწილია... იმ იდეამ ამ ქვეყნის მსგავსი ასობით შექმნა, ყველა მოძველდა, დაინგრა. მან კვლავ ახალი სამყარო შექმნა, თავად კი არ ძველდება, თავისუფალია განახლებისგანაც და დაძველებისაგანაც, მისი ნაწილი ძველდება და ახლდება. მათი შემოქმედი კი დაცლილია ორივესაგან. მევლანას აზრით, იდეა არის ჭეშმარიტი არსებობა, რადგანაც მით არის განსხეულებული შემდგომ რაიმე ფორმა, ჰგიებს და მყარობს. ვთქვათ, არქიტექტორმა სახლის აგება გადაწყვიტა, დეტალურად მოიფიქრა მისი განლაგება. მაგრამ არქიტექტორის ამ იდეურ ჩანაფიქრს, ამ ოცნებას — ოცნება არ ეთქმის, რადგან განსხეულებული „სინამდვილე“ ამ ოცნებისაგან იბადება და ამ ოცნების ნაწილს (მეორეულს) წარმოადგენს. ჯელალ ედ-დინ რუმის მოაზრებით, ქვეყნად არსებობს სამართლიანობა, მოწყალება, მშვენიერება, მეცნიერება და სხვ. მაგრამ მათი ფუძე იდეა ღვთიურ სამყაროში ჰგიებს. ამიტომ ცხოვრება და ქვეყანა ყოველ წამს იცვლება, მიედინება, მაგრამ მარად არსებობს მთვარეთა და ვარსკვლავთა ფორმები, ესა თუ ის ცნებები, გვარები, რადგან მათი იდეები მარადიულად და უცვლელად არსებობენ ზეშთა სოფელში. „დრო მიდის, და ეს ეპოქა ახალია,

— წერს მევლანა,—მთვარე ის მთვარეა, მაგრამ წყალი ის წყალი არ არის. სამართლიანობა ის სამართლიანობაა და სიბრძნე კვლავ ის სიბრძნეა, მაგრამ იცვლება დროება, იცვლება ხალხიც. ეპოქა ეპოქას მისდევს, ეი, დიდსულოვანო! მაგრამ ეს იდეები მარადიული და უცვლელნი არიან. ამ ღელეში რამდენჯერ შეიცვალა და წარედინა წყალი, მაგრამ მთვარის ანარეკლი და ვარსკვლავის ანარეკლი მუდამაა. რადგან მათი საფუძველი და სადგომი, არა გამდინარე წყალზეა, არამედ ცის არენაზეა. ეს თვისებები მსგავსად იდეის ვარსკვლავებისა იცოდე, არის იდეათა ცაზე. ლამაზთა სიმშვენიერე მათი სილამაზის სარკეა, მათი სიყვარული — მისი სურვილის ანარეკლი“. როცა მევლანას ასეთ მსჯელობას ეცნობით არ შეიძლება არ გაგახსენდეთ პლატონის თეორია საგანთა ორ გვარზე — ხალულსა და უხილავზე. და საერთოდ მისი იდეათა სისტემა, რომელთანაც უდავოდ მჭიდრო კავშირს ამყარებს ჯელალ ედ-დინ რუმი ამ საკითხის ინტერპრეტაციისას.

თუ იმ თვალთახედვით გავიაზრებთ ხილვად ქვეყანას, რომ იგი არის ღვთიურობის ხატი, თქმა არ უნდა, ის მშვენიერია და ამდენად არ არის დასაგმობი. მართალია, ხილვად სამყაროში ჩენილი საგნები იმდენად არიან ლამაზნი, რამდენადაც მათში მონაწილეობას იღებს ჭეშმარიტი სილამაზე, ხოლო მთლიანად სოფელი გააზრებულია, როგორც ზეშთასოფლის ხატი, ასლი და ამდენად სილამაზით უფრო ნაკლებია, ვიდრე დედანი. მაგრამ მაინც არ არიან მართალი ისინი, „ვინც ზედმეტად კიცხავს და ლანძღავს ამ სოფელს. ჭეშმარიტებაა მხოლოდ ის, რომ იგი იმდენად არის არასრულყოფილი, რამდენადაც არ არის პირველი სახე, რომლის მიხედვითაც შეიქმნა“. ამდენად, სამყარო, როგორც „ღვთის სახე, ხილვადი ღმერთი ანუ ხილვადი ლოგოსი“, უნდა იქცეს ადამიანის შემეცნების ობიექტად. ალბერტ დიდის სიტყვები რომ გავიმეოროთ „ხილვადი ქვეყანა შექმნილია ადამიანისათვის, რათა მისი შესწავლის გზით, მან (ადამიანმა) მიაღწიოს ღვთის შემეცნებას“. აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომისა და ხილვის გზა სამყაროზე გადის. რეალური მშვენიერების ხილვით, თანდათანობითი ამაღლებით და განზოგადებით უნდა ეზიარო უმაღლეს მშვენიერებას. „ეს გზაა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლის და თითქოს საფეხურებს მიჰყვებაო კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს კაცი, მშვენიერ სხეულთაგან მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებაზე, რათა ამრიგად ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ. და ბოლოს და ბოლოს შეიცნოს თვით მშვენიერებაც“. მშვენიერების ხილვის ასეთ გზას გვთავაზობს პლოტინიც. ამგვარად ესთეტიკის სფეროში სამყარო გამოდის, „დამხმარე საშუალებად“ ღვთიური სილამაზის აღსაქმელად. როცა სული უყურებს ამქვეყნიურ სილამაზეს, იგონებს ამავე დროს ჭეშმარიტ სილამაზეს. „ის ისხამს ფრთებს და ფრთებგამოსხმული ცდილობს აფრინდეს. მაგრამ ჯერ ძალღონემოუკრეფელი ბარტყის მსგავსად ზემოთ იყურება და გაურბის იმას, რაც დაბლაა“ (პლატონი). მევლანას შეხედულებით, ეს ქვეყანა ღმერთის დამტკიცების მეჯლისია, ზოგი უარყოფს უფალს, ზოგიც პირიქით ამტკიცებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ღმერთის ცნებას ასაბუთებენ.

ჯელალ ედ-დინ რუმი ამ ხილვად სამყაროს მშვენიერებას მიზნობრივად წარმოგვიდგენს, და პლატონის მსგავსად მის მშვენიერებებს საფეხურებად იყენებს, რათა ეზიაროს უმაღლეს მშვენიერებას. ის ასე მსჯელობს: „არცერთი მხატვარი არ არის, რომ ნახატი მხოლოდ ნახატისათვის შექმნას და რაიმე სარგებლობის იმედი და მიზანი არ ჰქონდეს ... არცერთი მეჭურჭლე არ არის, რომ ხელადა შექმნას მხოლოდ ხელადად და მიზნად არ ჰქონდეს მასში წყლის ჩასხმა. არცერთი მწერალი არ არის, რომ ნაწერი მხოლოდ ნაწერად წარმოაჩინოს და მიზნად არ ჰქონდეს კითხვა ... ჩენილი სურათი, მალულ სამყაროში არსებულ სურათზე მიგვანიშნებს, ისიც სხვა მალული სურათიდან შეიქმნა. და ასე მესამე, მეოთხე ... მეათემდე თვალე და ნახე ეს სურათები. ისინი გვაგონებენ ჭადრაკის თამაშს ... ყველა სვლის სარგებლობა, შემდგომ სვლაში უნდა ნახო... ეს სვლა მეორე მალული სვლისათვის არის, ესეც სხვა სვლისათვის ... და ბოლოს ამ თამაშს სხვა თამაშისათვის თამაშობენ ... კიბეზე ასასვლელად ჯერ პირველ საფეხურს უნდა დაადგა ფეხი, მერე მეორეს ... მეორე საფეხური არის მესამეზე ასასვლელად და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ახვალ სახურავამდე“. მევლანას რწმენით, ყველა ნახატი გვაგონებს ნამდვილ სამყაროს. „საერთოდ, ციხის კედლებზე მყოფი ნახატები — უნდა იცოდეთ, რომ ციხის გარეთ მყოფი ფორმების ამსახველია“. ამდენად ხილვად სამყაროში არსებული მშვენიერებას მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება, როცა ის თავის იდეას გვაგონებს. სურათს თუ აზრი არა აქვს, მაშინ არც ლაზათი აქვს, ხოლო სოფლის სურათები თუ მხოლოდ სურათებისათვის არიან შექმნილი, მაშინ მათ არავითარი სიბრძნე არ გააჩნიათ. ამდენად, გარდამავალი სოფელი არის მხოლოდ საფუძველთან მისვლის საშუალება, რომლისგანაც უნდა გათავისუფლდე, თუ კი შეძლებ ხილვადი სამყაროს

მშვენიერებას გავიხდით განცხრომის ობიექტად, ჩვენი მზერა მხოლოდ მას მიეჯაჭვება და მოვიაზრებთ, როგორც დამოუკიდებელ ობიექტურად არსებულ მშვენიერებას, ასეთ ვითარებაში ის იქცევა ჭეშმარიტების აღქმის საფარად და წარმოდგება უკვე ზეშთასოფლის რადიკალურად საპირისპირო ცნებად. სოფელსა და ზეშთა სოფელს შორის ამოუვსები ნაპრალი ჩნდება. „ეს ორი ქვეყანა მაშრიყის და მაღრიბის (აღმოსავლეთის და დასავლეთის) მსგავსია. ამას თუ მიუახლოვდი, იმას შორდები" — გვაუწყებს პოეტი.

იმის საშიშროება კი არსებობს, რომ ადამიანი მთლიანად ჩაიძიროს ამ ქვეყნიური სილამაზის ილუზიაში და მიეცეს განცხრომას. მევლანა გვაცნობს, რომ ადამიანი ჩვილობისავე პატიმრობაში მოხვდა, დედისგან მონად დაბადებული კაცის სულს თავისუფლება არ უნახავს. მისი არენაა სურათების ზანდუკი მისი ბუნება სურათებით არის შეპყრობილი, გალიიდან გალიაში გადადის. გალიას ნახვრეტი არა აქვს, რომ გაფრინდეს. ამიტომ მიწაზე მუდამ გალიაშია. ამდენად „ეჭვითა და სიხარბით აღვსილი ქვეყანა მგზავრისათვის დიდი წინააღმდეგობაა. ამ ნახატებმა, ამ წარმოდგენის სურათებმა მთასავით ვეება ჰალილიც კი დაზარალა ... იბრაჰიმმიც კი, როცა იქვის სამყაროს მოხვდა, თქვა — „ეს არისო ჩემი უფალი". აი, ეს გარემოებაა მხედველობაში მისაღები. ადამიანს ჰგონია, რომ ხილვადი ქვეყანა არის მშვენიერი თავისთავად და მის მიღმურ მშვენიერებას აღარ დაეძებს. როგორც ბავშვს, რომელიც დედის მუცელშია და სისხლით იკვებება, თუ ეტყვი, რომ გარეთ გამართული და მშვენიერი სამყაროა, ფართო დედამიწა წყალობითა და საკვებით აღსავსე... აზიდული მთებით, ზღვებით, ველებით, მდელოებით, ბაღებითა და ბაღჩებით გაშენებული ...მაღალი ცაა, მზისა და მთვარის სხივით განათებული და ასობით ვარსკვლავით გაციალებული, ყოველივეს თუ აუხსნი და ჰკითხავ — შენ ამ ბნელეთში და უბედურებაში რატომ ცხოვრობ? ბავშვი თავის მდგომარეობას შეხედავს და იმას უარყოფს, ზურგს შეგაქცევს ... ასევეა ამ ქვეყნის ხალხიც, როცა ეტყვი, ეს ქვეყანა ბნელი, ვიწრო ჭაა — ამ ჭის მიღმა კი უფერო და ყნოსვით აღუქმელი სამყარო არისო, არავინ შეიგონებს ამ სიტყვას, რადგან სიხარბის ქვეყანა დიდი და ძლიერია. ამიტომ მეტრის უპირველესი მოვალეობაა, დაუმტკიცოს ხალხს ზეშთასოფლის უპირატესობა სოფელთან შედარებით, აუხსნას მათ, რომ სოფელი მხოლოდ ილუზია, მოჩვენება და ხატია ჭეშმარიტად არსებული, მაგრამ ჩვენთვის უხილავი, ზეშთასოფლისა.

მევლანაც არაერთგზის გვარწმუნებს, რომ ეს ხილული ბაღი წყალში არეკლილი ილუზიაა, წყლის სიმშვენიერით მშვენიერობს ... ის რომ ანარეკლი არ იყოს, ღმერთი ცთუნების და სიამაყის ადგილს არ უწოდებდა. საყოველთაოდ ცნობილია პლატონის გამოქვაბულის მაგალითი, რომლითაც ფილოსოფოსი გადმოგვცემს ხილვად სამყაროში არსებულ საგანთა ილუზიას, მათ არა ჭეშმარიტ ყოფას და არა რეალურ სინამდვილეს. პლატონი გვიხატავს, რომ ადამიანები მიწისქვეშა გამოქვაბულში ცხოვრობენ — ისინი ბორკილდადებულნი არიან და არ შესწევთ უნარი მოძრაობისა, სხედან ზურგით სინათლისაკენ, რომელიც შორს, სიმაღლეზე ანთია, ხოლო სინათლესა და ტყვეთა შორის გადის ზემო გზა — კედელი, მსგავსად იმ თეჯირისა, რომლის მიღმაც თოჯინების ამთამაშებელი შეგირდები იმალებიან ... ასევე, ამ კედლის მიღმა, სხვა ხალხი დადის და დააქვს სხვადასხვა საგნები ... და ამქვეყნიური ხალხი მხოლოდ იმ აჩრდილებს ხედავს, სინათლით კედელზე რომ აირეკლება. მხოლოდ მას შემდეგ, როცა პატიმარს ბორკილს აყრიან და მას მიაბრუნებენ სინათლისაკენ, იგი იხილავს ჭეშმარიტებას, მაგრამ ის ვერ შესძლებს პირდაპირ იხილოს მზის სხივოსნება და მხოლოდ მას შემდეგ მოახერხებს, როცა ნელ-ნელა შეეჩვევა მას. ჯერ უნდა უყუროს ჩრდილს, მერე — ანარეკლს წყალში და ამის შემდგომ აღიქვას თვით საგნები. მევლანა იცნობს პლატონის გამოქვაბულის სიმბოლოს და თავის პოეზიაში არა ერთხელ გადმოგვცემს თავისებური მხატვრული ინტერპრეტაციით: ეს თაობები, დრო და დრო რომ იცვლებიან, ქვეყნის ჭაში ჩაცვენილან, ჭის ფსკერზე ყველა თავის ანარეკლს ხედავს. რასაც შენ ჭაში ხედავ, იცოდე, რომ გარეთ არის... ეს ჩენილი რამ კი წყლის ანარეკლია, ყალბი ფულის გამკეთებლის იმიტაციაა — სხვა არაფერი. მაგალითად, მაღალი ვარსკვლავი აირეკლა წყალში, შენც ვარსკვლავის ანარეკლს მიწას ესვრი ... ვარსკვლავი გაუჩინარდა, უხილავ სამყაროში წავიდა. შენ კი ფიქრობ, თითქოს ვარსკვლავი ჩაქრა ... ის ვარსკვლავი ცაზეა, თავი იმ მხარეს უნდა ასწიო. საჭიროა, რომ გული უმხარეო მხარეს დაუკავშირო. აქ გამოჩენილი უბედურება, იმ უმხარეო სამყაროს აჩრდილია. სხვაგან კიდევ ამბობს: „თვალთ სურმა წაისვი და ნახე, რომ ქვეყანა ვიწრო ჭაა. იუსუფივით თოკს ხელი წაავლე. ჭაში მზერა ანარეკლებს (ილუზიებს) ხედავს, სულ ცოტა, ქვას ოქროდ აღიქვამს".

მევლანას აზრით, მთელი ხილვადი ქვეყანა ჩრდილებისა და ანარეკლებისაგან შედგება. სამყაროში არსებული საგნები ფორმებია, მათი განმაპირობებელი იდეები ზეშთასოფელშია. პოეტი ფიქრობს, რომ წარმოსახვისა და აზრობრივი სამყარო გაცილებით დიდია და სამანდაუდებელი, ვიდრე რეალური, ობიექტური

სინამდვილე, რადგან იდეა განაპირობებს ყოველივეს არსებობას. საერთოდ კი მევლენა სამყაროთა ასეთ იერარქიას გვაძლევს: არარსებობის ქვეყანა ძალზე ფართო და უსაზღვროა. ეს წარმოსახვა და არსებობა იმ სამყაროდან იქვებება. წარმოსახვის სამყარო არარსებობის სამყაროსთან შედარებით ვიწროა. ამიტომაა ოცნება სივიწროვისა და მწუხარების მიზეზი ხდება ხოლმე. არსებობა კი წარმოსახვაზე და ოცნებაზე ვიწროა. ხოლო გრძნობის და ფერის სამყარო, ანუ ამ ქვეყნის არსებობა, არარსებობის, ოცნებისა და არსებობის სამყაროსთან შედარებით სავსებით ვიწროა, თითქოს საპყრობილეა. სამწუხაროდ, უმეცარ ხალხს ეს არ ესმის, მიჯაჭვული ველარ აღიქვამს მარადიულ იდეათა სამყაროს. ჯელალ ედ-დინ რუმი ამის შესახებ ხშირად მსჯელობს: „იცოდე, რომ გარეგნული ფორმა განადგურდება, მაგრამ იდეათა სამყარო მარადიულია. როდემდე უნდა ითამაშო. ქურჭელში (არაყლილი) სურათით, ამ სურათს შეეშვი და მდინარისაკენ წადი. ფორმა იხილე, მაგრამ აზრის არა გესმის რა, თუ კი გონიერი ხარ — სადაფიდან მარგალიტი ამოიღე“... მართალია, სურათი, ფორმა ხედვას დიდად წარმოუდგება, მაგრამ რა, განა მთა ლალის ქვაზე დიდი არ არის? ... ხალხი ფიქრს უმნიშვნელო რამედ მიიჩნევს, მაგრამ ის ნიაღვარივით ქვეყანას ნთქავს და ლეკავს, რადგან ფიქრით არის ყოველი ხელოვნება ქვეყნად. სახლები, კოშკები, ქალაქები, მთები, ველები, მდინარეები, მიწაც, ზღვაც, მზეც, ცაც — ფიქრით არის არსებული ისე, როგორც თევზი ზღვით. მაგრამ ხალხი სხეულს სულეიმანად მიიჩნევს, ფიქრს ჭიანჭველად. მთას დიდად აღიქვამს, ფიქრს თაგვად... თვალს სამყარო ძალიან საშიშ და დიდ რამედ ეჩვენება, ღრუბელი, ცა, ელვის გრუხუნი აცახცახებს, მაშინ, როცა წარმოსახვის სამყაროზე წარმოდგენა არა აქვს ვითარცა ქვას. ასეთი კაცი მთლიანად ფორმისაგან შედგება, ჰკუის ნატამალი არ გააჩნია-ვირის ჩოჩორია. თავისი უცოდინარობით ჩრდილს ადამიანად მიიჩნევს; ამის გამო პიროვნება სათამაშოდ, უმნიშვნელოდ, ულირსად წარმოგვიდგება.

პოეტი სხვა ადგილს გვაუწყებს, რომ მთელი ეს ყოფიერება და საზოგადოებრივი ცხოვრება სურათებისაგან შედგება. ამ სურათების რიცხვი უამრავია, არ დაითვლება
ურიცხვი რწმენა და ხელობანი ფიქრის
მის აჩრდილებია. გარკვეული ხალხი
ვის ნაპირზე კარგად დამდგარა და მათ
ლი სცემს მიწას. ფიქრის ფორმაა სახურავის თავზე და რასაც ის გააკეთებს, ჩრდილიც იმას აკეთებს. ჯელალ ედ-დინ რუმი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ეს სოფელი და ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ სურათია, რომელიც პოეტს ხან აბანოს მინებზე დახატულ უსულო გრაფიკას აგონებს, ხანაც ციხის კედლების მოხატულობას. მისტიკოსების აზრით, ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს ილუზიას. ის არის ილუზიის ილუზიის ილუზია. სიზმარი არის სიმბოლო ამ ქვეყნისა და სიფხიზლის დროს აღქმული ყველა საგანი არის მატერიალიზირებული ყოფა სიზმარეული სამყაროსი.

მევლანას აზრითაც ეს სოფელი და მისი ყოფიერება ხატის ხატია, ანუ აჩრდილის აჩრდილია, ის არის იდეის (აზრის) ფორმის აჩრდილის თამაში. ღმერთი ათამაშებს იდეას, რომლის ფორმის ანარეკლს წარმოადგენს ჩვენს მიერ აღქმული მატერიალური სამყარო. ამდენად მთელი სამყარო, თავის ეთიკურზნეობრივი კანონებით გამდინარე ილუზიაა, ის არის ანარეკლი იმ მთვარის სახეთა, რომლებიც ღვთის ბაღში სეირნობენ. უფრო სწორად, მთელი ეს სამყარო სიზმარია. „ადამიანებს დღისითაც სძინავთ. ყოველივე ჩრდილისაგან შედგება, საფუძველი კი მთვარის სხივია. ამ ქვეყნად ძილიც და სიფხიზლეც მძინარე ადამიანის სიზმარში ნანახ სიზმარსა ჰგავს. ადამიანს ჰგონია სძინავს, მაგრამ არ იცის, რომ ძილის ძილშია, მეორე ძილშია. უფრო მეტიც, ამ ქვეყნად ვინც ფხიზლობს, მას უფრო ღრმად სძინავს. თუ ჩვენი სული ღმერთის მიერ ამ ძილისგან გამოფხიზლებული არ არის, ღვიძლი ჩვენთვის ნაბრალია. სული ყოველ დღე ილუზიისაგან პანღურს იღებს, მოგებითა და წაგებით დალუპვის შიშს შეუპყრია. არც სიწმინდე შერჩა, არც სანიტიფე, არც ძალა, არც ცაზე ასასვლელი გზა. მძინარეს მას ეტყვიან, ვინც ილუზიებს მიცემული იმედოვნებს. საერთოდ ძილში ეშმაკი ჰურიად მეჩვენება... ძილში, რასაც ხელთ იგდებ, ეს თავის ტკივილია და სხეულის სიმყრალე“... „ყოველივე ეს ჩენილი ნახატი უჩინარს ეკუთვნის. ჩიტი ცაზე დაფრინავს და მისი ჩრდილი დაფრინავს ჩიტივით მიწაზე... უვიცი კი იმ ჩრდილის დაჭერას ლამობს. ქანცის გაწყვეტამდე მისდევს და არ იცის, რომ ის ჩრდილია ცაში მყოფი ჩიტის“. ამგვარად, მევლანას აზრით, ამქვეყნიური ცხოვრება დავიწყების ძილია, რომელიც ჭეშმარიტ სინამდვილეს აშორებს ადამიანს, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელმაც ძილში წამიერი სიზმარი ნახა და დაივიწყა თავისი მშობლიური ქალაქი, სადაც წლობით ცოცხლობდა, სულიც ამ ქვეყნიურ ილუზიას და ძილს მიეცა და თავისი ნამდვილი სამშობლო დაივიწყა. ვერ ხვდება, რომ დანგრეული ქვეყანა ვითარცა ღრუბელი ვარსკვლავს, თვალთ ეფარება. ცხადია, ასეთი ძილი ძალზე ცუდი სიკვდილია.

პოეტი ცდილობს ხალხი გამოაფხიზლოს ამ წარმავლობის ძილიდან, სულები აღაგზნოს

ჭეშმარიტი სიყვარულის ძალით და შეაგნებინოს ადამიანებს, რომ ჩვენი ცხოვრება, მთელი ამ სოფლის ყოფა ნასესხებია და წამიერია. როგორც რკინის სიწითლე ცეცხლისაგანაა, როგორც სარკმლის ციალი, კარისა და კედლის ნათება მზის სხივისაგანაა, ასევეა ჩვენი ცხოვრებაც, სხეულის სილამაზეც მთლიანად ამ ქვეყნის მორთულობა და მშვენიერებაც დროებითია და ნასესხებია; სილამაზის მზის სხივი დაღვრილია ამ მხარეს, მაგრამ, როცა მზის სხივი გაქრება და წავა, ყველა კედელი გაშავდება, ბნელეთში ჩაინთქმება. ხილვადი ქვეყნის ეს ფერადოვნება, ფერთა სიმრავლე მოჩვენებითი ხასიათისაა. სილამაზის წყარო ერთი სხივია, მაგრამ ის ფერადფერად შუშებშია გარდატეხილი და როგორც კი ეს ფერადფერადი შუშები დაიმსხვრევა, უფერო სხივი შენ განგაცვიფრებს. ეს ნასესხები სილამაზე კი თავის საბადოს დაუბრუნდება.

ამ შავი მიწის პირზე ესოდენ სილამაზე
და მშვენიერება
მალული სამყაროს მთვარის სრულყოფილი
სხივის ნათებაა,
ერთი-ორი დღეც მოითმინონ მთელი
ეს ბრწყინვალება და ნათება
წავა, თავის საბადოს (ძირს) შეუერთდება.

აი, ამ ხედვით უპირისპირდება ესთეტიკურ სფეროში სოფელი ზეშთასოფელს და მათ შორის რჩება ამოუვსები ნაპრალი, რაც უცილობლად საზიანო იყო კაცობრიობის პროგრესული აზროვნებისათვის. შემდგომ ეს დაპირისპირება სხვადასხვა სიბრტყეზეა მოაზრებული. ზეშთასოფელი: ჭეშმარიტად არსებული და უხილავი ესენცია, ზღვა, მარადიული, სიფხიზლე, უფერობა, სამანდაუდებელი, გონით მოუაზრებელი, საფუძველი ყოველივესი, მარტივი, დაცლილი ყოველგვარი ორობისაგან, სადაც არც მეგობრობაა, არც მტრობა, მარად სამყოფი, მისასვლელი ადგილი, ყოველგვარ ხელოვნებათა საფუძველი, იდეათა სამყარო, თავისთავადი მშვენიერება; სოფელი: ჩენილი, მაგრამ ჭეშმარიტად არარსებული, მეორადი, ქაფი, წარმავალი, სიზმარი, ფერადოვანი, ვიწრო საპატიმრო, გრძნობით აღსაქმელი, ნასესხები ყოფა, შედგენილი, მუდამ ბრძოლებითა და მტრობით აღსავსე, სიმრავლე, აჩრდილების და ფორმათ სამყოფი, თავისთავად არ არსებული, მოჩვენებითი მშვენიერება და სხვა. ამ დაპირისპირების შედეგად ხდება სოფლის კიცხვა და გმობა, რაც იყო გავრცელებული, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ლიტერატურაში. მან კანონიკური ფორმა მიიღო და ლიტერატურულ კონვენციად იქცა.

*დალი ინწკირველი*

# პოეტი-ქალის გზა

გამოჩენილი ამერიკელი პოეტი-ქალის ემილი დიკინსონის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რაც დრო გადის, მით უფრო ინტერესს იწვევს როგორც თვით ამერიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენში, საბჭოთა კავშირში მისი მემკვიდრეობის შესწავლა დაიწყო ივ. კაშკინმა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა ამ მიზნის განხორციელება. კაშკინი აღნიშნავდა, რომ თუ უიტმენი ამერიკის პოეზიის სულია, ემილი დიკინსონი მეორე სულია ამ პოეზიისა.

ემილი დიკინსონის პირადი ცხოვრება ფრიად ორიგინალური და უჩვეულო იყო. იგი სახლიდან არ გამოდიოდა, სიკვდილამდე მხოლოდ თეთრ სამოსელს ატარებდა, მისივე სიტყვით, „თეთრ ბედისწერას“ ემორჩილებოდა და საკუთარ თავს „გოლგოთის დედოფალს“ უწოდებდა. საერთოდ, თანამედროვეთა გადმოცემით, ემილი დიკინსონის არსებაში იყო რაღაც რომანტიკული. როდესაც პოეტის თანამედროვე მწერალი და საზოგადო მოღვაწე ტომას ჰიგინსონი ამჰერსტს გაემგზავრა თავისი კორესპონდენტი ქალის გასაცნობად, ემილი დიკინსონმა მას გოეთესა და შილერის გმირი ქალები მოაგონა.

მაგრამ ვერც ჰიგინსონმა და ვერც იმ ეპოქის სხვა რომელიმე მწერალმა პოეტი-ქალის სიცოცხლეში ჯეროვნად ვერ შეაფასეს მისი ლექსები. აღიარების შემდეგაც, მრავალი კრიტიკოსი განიხილავდა ემილი დიკინსონის შემოქმედებას, როგორც რაღაც სტიქიურ მოვლენას. უფრო მოგვიანებით კი მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ისტორიულ-ლიტერატურულ გარემოზე, რომელშიც ის აღიზარდა.

ემილი დიკინსონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პერიოდი (იგი დაიბადა 1830 წელს) ემთხვევა ამერიკის ლიტერატურის აყვავების ხანას. ამ პერიოდში ერთმანეთს მოსდევს ლიტერატურული მოვლენები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამერიკისათვის: 1847 წელს ემერსონმა დაბეჭდა თავისი ლექსები; ორი თუ სამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ჰოთორნის პირველი რომანები, 1851 წელს კი — მელვილის „მობი დიკი“; 1849 წელს გარდაიცვალა ედგარ პო, ხოლო 1850 წელს გამოსცეს მისი ლექსების პირველი სრული კრებული; 1854 წელს გამოქვეყნდა თოროს „უოლდენი“, ხოლო 1855 წელს — უიტმენის „ბალახის ფოთლები“.

ემილი დიკინსონის პირადი წერილები, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვობის წლებით არის დათარიღებული, სავსეა დაუშრეტელი პოეტური ფანტაზიით. ეს წერილები გამსჭვალულია ჭეშმარიტების წვდომისა და თავისუფლების წყურვილით. ნახევრად სერიოზულ, ნახევრად ირონიულ წერილში, ემილი დიკინსონი თავისი ბავშვობის მეგობარს — აბია რუტს ასე მიმართავს: „ახლა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უნდა გითხრა, რომ ეს უკანასკნელი ამბები სულ ტყუილია — ფუჭი ფანტაზიაა, ახალგაზრდა ქალების გასასულელებლად მოგონილი. ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, საგანგებოდ შეთხზული სიყალბე, რომელსაც თვითონ იგონებენ და თვითონვე ჰყვებიან. იცოდე, ამისთანებს მოერიდე, როგორც გველს... ისე, მართალი გითხრა, თუმცა გველის კბენა სახუმარო საქმე არ არის და პატარა ამბავი არ გეგონოს... მე მაინც მიყვარს ეს პაწია მწვანე არსებები, შენს ფეხთან რომ გასრიალდებიან და ბალახს აშრიალებენ — მიყვარს, ყველაფრის მიუხედავად, თუმცა შენ ამას არ გირჩევ, არაფრის გულისათვის!“

იმდენად დიდია ემილი დიკინსონის ბუნე-

ბაში თეოლოგიური დოგმების უგულებელყოფის და სამყაროს დამოუკიდებლად შეცნობის, მასთან საკუთარი ურთიერთობის დამყარების სურვილი, რომ იგი მზად არის ბალახის უვნებელ მცურავად წარმოიდგინოს თვით შხამიანი გველიც კი, რომელიც მისთვის ქცეულა სიბრძნის, ძლიერი წარმოსახვის, ერთი სიტყვით, ყველა იმ თვისებათა სიმბოლოდ, რასაც თეოლოგია ადამიანს შეცოდებად უთვლის.

ემილი დიკინსონის ნაცნობ-მეგობართა წრე ძალზე მცირერიცხოვანი იყო და თუმცა მასში ლიტერატურული სამყაროს რამოდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელიც შედიოდა, მაინც, თავისი კარჩაკეტილობის გამო, პოეტი-ქალი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და ბევრი ლიტერატურული სიახლე ვერ აღწევდა მის ყურამდე. კონრად ეიკენი, ამერიკელი პოეტი, მწერალი და კრიტიკოსი წერს მასზე: „ახლა აშკარაა ჩვენთვის, რომ იგი მწვავე ინტელექტუალურ შიმშილს განიცდიდა. ის ცოცხლად გვიდგას თვალწინ და მაინც მუდამ ხელიდან გვისხლტება; მისთვის ყოველთვის მოულოდნელი და სამწუხარო აღმოჩენაა შეზღუდულობა იმ ადამიანებისა, ვისთანაც მას მიწერ-მოწერა აქვს. იგი ხან ფრთხილია, ხან პათეტიკურად გულისამაჩუყებელი, ხან დაბნეული, ხან კი თითქმის მორჩილი, თვინიერი; ის ხან სეტყვასავით აფრქვევს ოსტატურ ქარაგმებსა და მოულოდნელ სენტენციებს, რადგან მშვენივრად იცის, რომ ამით კაცს სულის სიღრმემდე შეძრწუნებს; შემდეგ კი კვლავ უკან იხევს, რაღაც მშვიდობიანი საყრდენისაკენ იჩქარის“.

ყოველ შემთხვევაში, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო ემილი დიკინსონი დაშორებული ლიტერატურულ საზოგადოებას, ყველა მისი ბიოგრაფის და მკვლევარის გადმოცემით, პოეტი-ქალის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უშუალო და ძლიერი გავლენა ჰქონდა რალფ უოლდო ემერსონს, როგორც პიროვნებას, პოეტს და მოაზროვნეს. შესაძლოა რამდენადმე ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ემერსონი ხშირად ჩამოდიოდა ამჰერსტში ლექციების წასაკითხად და მეგობრულ ურთიერთობაში იყო დიკინსონების ოჯახთან. მკვლევართა აზრით, მისტიკური ინდივიდუალიზმის ემერსონისეულმა დოქტრინამ დიდად განაპირობა ემილი დიკინსონის განდეგილობა, სწორედ მან გააღვიძა ემილის სულში ინტროსპექციის წყურვილი და ინტერესი საკუთარი „მესადმი“. ერთ-ერთ პირად წერილში ემილი დიკინსონი ასე იხსენიებს ემერსონის წიგნს „კაცობრიობის წარმომადგენელნი*: „ეს პაწია წიგნი მტკიცე და საიმედო საყრდენია ცხოვრებაში“. სხვა წერილში, რომელსაც ემილი დიკინსონი თავის მეგობარ ქალს — ჯეინ ჰამფრის უგზავნის, აღწერილია უცნაური და ამაღლებული განწყობილება, რომლის მიზეზი გამხდარა ემერსონის პოეზიასთან გაცნობა, მისი ლექსებით მიღებული პირველი შთაბეჭდილებები; ემილი წერს:

„ნეტა შემეძლოს გიამბო ყველაფერი... ეს განცდა მწვავეც არის და ტკბილიც, მაგრამ ისე წარმტაცია, რომ ყველაფერს მავიწყებს — ახლა ჩემი სიცოცხლის მიზანს მივაკვლიე და მთელი ქვეყანა ძვირფასი გახდა შენი საბრალო, მშფოთვარე დისათვის... არასოდეს გავაღვიძებ და სულ ვიოცნებებ, დაე, დილა ნუღარ გათენდება ჩემთვის და ეს ნეტარი ღამე დაუსრულებლად გაგრძელდეს... ხალხს წარმოდგენაც კი არა აქვს ასეთ სიამოვნებაზე, ძველ ამბებს ჩხრეკენ და ახალს ვერაფერს ამჩნევენ, მაგრამ ამიერიდან ჩემთვის აღარაფერია ძველი... ყველაფერი ჩქეფს, ღვივის და მღერის. თითქოს ამწვანებულ ჭალაში ვარ და რტოები წინ და უკან ირწევიან“.

ეს ეჭვებით და იმედით შეპყრობილი პოეტის აღსარებაა, რომელიც გულის სიღრმეში შიშობს — მოჩვენებითი ხომ არ არის ეს ახალი სიცოცხლე, იქნებ სულ ფუჭია ეს მტკივნეული გარდაქმნა და სიზმარივით მალე გაქრებაო. ის ცდილობს გაექცეს ამერიკის უნუგეშო სინამდვილეს, ამ რეალობას იგი მაინც ოცნებას. მშვენიერი ხილვებით ტკბობას ამჯობინებს.

ემილი დიკინსონი ემერსონის ტრადიციას მისდევს. რას გულისხმობდა ემერსონის მოძღვრება? ის წინ აღუდგა დრომოჭმულ თეოლოგიურ დოგმებს, ვეღარ აიტანა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა უღელი. ემერსონმა აღიარა, რომ ადამიანი მარტოდმარტო უპირისპირდება კოსმოსს და ვერავითარი ბიბლიის ავტორიტეტი ვერ დაიფარავს მას. ემერსონის აზრით, ადამიანი არც უმწეოა და არც უღირსი; პირიქით, იგი ღვთაებრიობის ჭურჭელია და მასში დაფარული ენერგია გათავისუფლებას მოითხოვს. მაგრამ პიროვნებასა და ეკლესიას შორის წონასწორობის დარღვევის პირველ მიზეზად ამერიკაში მაინც — მე-18 საუკუნის ცნობილი მოაზროვნის — ჯონათან ედვარდზის ფილოსოფიური ნაშრომები იქცა; უკვე აღარავის შეეძლო ამ უფსკრულის გამთელება. როგორც ედვარდზი, ისე ემერსონიც აღიარებდნენ, რომ ადამიანს ზოგჯერ ეცხადება ზებუნებრივი ძალა და ასეთ წუთებში ის უზენაესს შეიცნობს, მაგრამ ედვარდზისა და ემერსონის შეხედულებები ადამიანის მდგომარეობაზე კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ემერსონის აზრით, ადამიანს „ღვთის წყალობა“ კი არ აღავსებს მადლით, როგორც ედვარდზი ფიქრობს, არამედ საკუთარი გონიერება. ემერსონი ამტკიცებს, რომ ადამიანი თვით არის საკუთარი თავის მხსნელი; ედვარდზისათვის ზეცა — მიწის მიღმაა,

ემერსონისათვის კი ზეცა — იგივე სრულქმნილი მიწაა. რელიგიის ამგვარი ემერსონისეული გარდაქმნის ბოლო საფეხური ის არის, რომ პოეტი აღიარებულია მოძღვრად, წმინდანად.

ემერსონის ლიტერატურულ - ფილოსოფიური მოძღვრება ცნობილია „ტრანსცენტდენტალიზმის“ სახელწოდებით. ეს ტერმინი კანტს ეკუთვნის. „ტრენსენდენსი“ ნიშნავს ამაღლებას, პიროვნების შემეცნებითი უნარის სრულყოფას, და ამ გზით ზებუნებრივის წვდომას. ტრანსცენდენტალისტები (ემერსონი, თორო, პარკერი, რიპლი, ოლქოტი, და სხვ.) გულისხმობდნენ, რომ „ტრენსენდენსი“ მხოლოდ გარკვეულ პიროვნებებს ეწვევა; ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ პიროვნულ წუთიერ აღმოჩენათა მეშვეობით შესძლებდნენ განეხორციელებინათ ყოფის საერთო მნიშვნელობის დადგენა. სამყაროს შემეცნების პროცესში ემერსონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებრივ ინსტინქტს, გულწრფელობას, უშუალობას, ინდივიდუალობას. მისი აზრით, ბევრი რამ არის დამოკიდებული ინტუიციაზე, აზრის თვითნებურ მდინარებაზე. ემერსონი ამბობს, რომ არც ინდივიდი და არც საზოგადოება არ უნდა გადაელობოს წინ ცდას, ორიგინალობას, დაუსრულებელ მრავალფეროვნებას (ეს მრავალფეროვნება არც წინააღმდეგობებს გამორიცხავს, რადგან ემერსონის გაგებით „ჭეშმარიტება მრავალწახნაგოვანია“). ემერსონი ინსტინქტს უპირატესობას აძლევს ლოგიკურ თანმიმდევრობასა და მეცნიერულ კრიტიკასთან შედარებით, ეთიკურ ელემენტს კი ფსიქოლოგიურზე მაღლა აყენებს. იგი აღიარებს მხოლოდ იმ აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას შეესაბამება. „ზეციური საიდუმლო, — აცხადებს ემერსონი, — უნდა ემთხვეოდეს ყველაფერს, რაც კი საუკეთესოა ბუნებაში“.

ემერსონი ურიგდებოდა ამერიკის სოციალურ და ეკონომიურ წყობას. მისი მიზანი სულაც არ იყო კაპიტალიზმის საზოგადოებრივი სისტემის ნგრევა. თავისი ახალი იდეალების დანერგვით მას სურდა მხოლოდ საზოგადოების ზნეობრივი გარდაქმნა, მისი სულიერი ევოლუციის დაჩქარება.

ამერიკელი კრიტიკოსის ჯონ მორლეის აზრით, „ემერსონმა თავი ვერ დააღწია შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებულია სპირიტუალიზმის სხვადასხვა ფორმებთან“. ემერსონს და ემილი დიკინსონს დიდი საფუძველი ჰქონდათ სულიერი სიახლოვისათვის. ემერსონს სამყარო „ღვთიური ქსელის“ სახით წარმოუდგენია, დიკინსონისთვის კი საგნები — „მთრთოლვარე ემბლემებია“. დიკინსონის მსგავსად, ემერსონი გრძნობს უხილავი მქსოველის არსებობას; ღვთაებრივის შეგრძნება, მისი აზრით, ხორციელდება ინტუიციის საშუალებით, დიკინსონისთვის კი ინტუიცია „ღვთაებრივი ჯილდოა“. ორივე ამ პოეტის შემოქმედებაში ასახულია იმ ადამიანის სულიერი მღელვარება, რომელიც ერთსა და იმავე დროს, პურიტანიც არის, თავისუფალი მოაზროვნეც, და დაუსრულებლად აწყდება აქეთ-იქით.

ემილი დიკინსონს ემერსონის მოძღვრებაში იზიდავდა თეოლოგიური დოგმატიზმის უარყოფა, ოპტიმიზმი, ორიგინალობა, სოციალური მიზნები, მეტაფიზიკური და მისტიკური მსჯელობა, წარმოსახვის სიძლიერე. ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსი ემილი დიკინსონს ტრანსცენდენტალისტებთან აიგივებს, კერძოდ, კონრად ეიკენი მას „ამერიკული ტრანსცენდენტალიზმის უმშვენიერეს ყვავილს“ უწოდებს.

ემერსონის თვალსაზრისით, სამყარო შედგება ბუნებისა და სულისაგან. უფრო ზუსტად, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერს, რაც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს და რასაც ფილოსოფია განასხვავებს როგორც „არა მე“-ს აერთიანებს ერთი სახელი „ბუნება“. მთლიანობა და ცვალებადობა თვითეული ჩვენთაგანისათვის იგივეა, რაც „მე“ და „არა მე“. ემერსონის აზრით, მხოლოდ პოეტს, გენიოსს შეუძლია მოახდინოს „მე“-ს და „არა მე“-ს სინთეზი, და ისიც მაშინ, როდესაც არსებობს ჰარმონიული შესატყვისობა „მის შინაგან და გარეგან გრძნობებს შორის“.

მაგრამ ეს პროცესი არც პოეტისათვისაა ადვილი. ემერსონს ზოგჯერ ეჩვენება, რომ ადამიანი „კეთილშობილი ენდოგენური მცენარეა და პალმის მსგავსად ამოიზრდება“. მაგრამ ზოგჯერ ის სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს: „ურთიერთობის საზღვრები უხილავია, მაგრამ ისინი არასდროს კვეთენ ერთმანეთს... ინდივიდუალობის კანონი იდუმალ ძალებს იკრებს: შენ ხარ — შენ და მე ვარ — მე.ასეც დავრჩებით“. როგორც არ უნდა გადაუშალოს ადამიანმა გული სამყაროს, ბოლოს იგი ისევ საკუთარ „მე-“ს უბრუნდება. „კაცობრიობის წარმომადგენლებში“ ის ლაპარაკობს დიდ პიროვნებათა ისტორიულ მნიშვნელობაზე, მაგრამ, ამავე დროს, შემოქმედებითი და ამთვისებლური ძალების ჰარმონიული შერწყმისაკენ მოუწოდებს მკითხველს. ემერსონი როდი უგულებელყოფს წლების მანძილზე დაგროვილ სიბრძნეს. „ცდებში“ მას უხვად მოჰყავს ციტატები მონტესკიეს, შილერის, მილტონის, ჰეროდოტეს, შელის, პლუტარქეს, ფრანკლინის და ბეკონის ნაწარმოებებიდან, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გადაჭარბებულ გავლენას მოსდევს ინტელექტუალური თვითმკვლელობა. ემერსონს ეკუთ-

ვნის პარადოქსი: „მარტოობა განუხორციელებელია, საზოგადოება კი დამღუპველი“.

ჰენრი თორო ადამიანის დაბადებას განიხილავს, როგორც საგანთა გამთიშველ მოვლენას — „თითქოს თვითნებურად შევიჭერით ბუნებაში და იქ სოლივით გავიჭედეთ“ — ამბობს ის. სიცოცხლის პროცესი კი, მისი აზრით, იარების მოშუშებაა, პიროვნების შეგუება უცხო გარემოსთან.

უიტმენსაც სწორედ ეს გათიშვა აშფოთებს „ბალახის ფოთლებში“, რომელიც ასეთი სტრიქონებით იწყება:

ერთ კაცს ვუმღერი, თითო უბრალო
ადამიანს
და მაინც დემოკრატიულ სიტყვას ვამბობ,
სიტყვას **En-Masse**

ლექსი „უოლტ უიტმენი, კოსმოსი“ ასახავს მწვავე შეჯახებას სამყაროსთან. „მე ვარ ალყაში მოხვედრილი და გარიყული“, „მუდამ ერთ-ერთი მრავალთაგანი, და მაინც მუდამ განსხვავებული“, — ამბობს იგი. ლექსში „სიმღერა ჩემს შესახებ“ პოეტი, ერთსა და იმავე დროს, განიცდის გრძნობათა მოზღვავებასაც და ამ გრძნობათაგან დაცლასაც.

ჩემს თავს ვადიდებ და ვუგალობ,
და რასაც ახლა ვაღიარებ — შენც
აღიარებ,
რადგან ატომი თვითეული ჩემი სხეულის,
შენაც გეკუთვნის.
ისინი ჩემსკენ მოილტვიან და მიზიდავენ,
ყველა მათგანში თითქოს მე ვიყო,
ყველასაგან და თვითეულისგან
ვქსოვ ამ სიმღერას ჩემს შესახებ.

ემილი დიკინსონის პოეზიაშიც ასეთსავე შინაგან გაორებას ვხედავთ: ერთი მხრივ პოეტის მძაფრი სურვილია — შეუერთდეს რაღაც სხვას, რაც უკვე მისი „მე“ აღარ არის, და ამ გზით შთაინთქას ჰარმონიულ მთლიანობაში, ხოლო მეორე მხრივ თავს იჩენს დამოუკიდებლობის დაკარგვის, მონობის შიში, სწრაფვა ინდივიდუალობის შენარჩუნებისაკენ.

1852 წლის ივნისში ემილი დიკინსონი სწერდა სიუზენ გილბერტს, უახლოეს მეგობარს და თავისი ძმის ოსტინის მომავალ მეუღლეს: „უცნაურია, მაგრამ მე და შენ მუდამ გავურბოდით ამ საგანზე მსჯელობას, სიუზი. ადრეც შევხებივართ ამ საგანს და მყისვე უკუგვიგდია, სწორედ ისე, ბავშვი რომ თვალს დახუჭავს, როცა კაშკაშა მზე თვალს მოსჭრის. ყოველთვის მინდოდა მცოდნოდა — გაგაჩნია თუ არა ისეთი სანუკვარი ხატი, მთელ შენს ცხოვრებას რომ აცისკროვნებს, ვისზე ეჩურჩულები ღამეს — ჩვენს ერთგულ მესაიდუმლეს? ან ოცნებაში ვინ აირჩიე წუთისოფლის თანამგზავრად? ამაზე მინდა გელაპარაკო, როცა შინ დავბრუნდები. ალბათ რა მოსაწყენად ჩათვლიდა ჩვენს ცხოვრებას რომელიმე ახალი პატარძალი, ან დანიშნული ქალწული, ვისი დღეებიც ოქროთია ნაფერი და ვინც ყოველ საღამოს მარგალიტს მოიმკის; მაგრამ მეუღლე, სიუზი, ზოგიერთი მიტოვებული ცოლი შეიძლება კიდევაც შემოგვენატროდეს. ხომ გინახავს დილის ყვავილები, ნამით გაცოცხლებულნი, და იგივე მშვენიერი ყვავილები შუადღისას, ტკივილით რომ დაუხრიათ თავები ძლევამოსილი მზის წინაშე? როგორ ფიქრობ, განა მწყურვალე, გაშლილი კოკრები ნამს დასჯერდებიან? არა, ისინი მზის შუქს მისტირიან, თაკარა შუადღისთვის დნებიან, თუმცა ეს შუადღე დააჭკნობს მათ და ბოლოს მოუღებს. მაგრამ სულის სიმშვიდე დაუკარგავთ, რაკი იციან, რომ შუადღის სუნთქვა დილისაზე უფრო მძლავრია და ამიტომაც მისთვის უჩუქებიათ თავიანთი სიცოცხლე. ო, სიუზი, რა სახიფათოა და თან რა ძვირფასია ეს ყოველივე — არიან უბრალო, მიამიტი სულები და არიან ძალოვანნი, ვის წინაშეც ჩვენ უძლურნი ვართ“.

რასაც არ უნდა განიცდიდეს ადამიანი — გრძნობათა მოზღვავებას თუ შინაგან სიცარიელეს, როგორიც არ უნდა იყოს მისი ცხოვრება, იგი ყოველდღე უახლოვდება ყველაფრის დასასრულს — სიკვდილს. როცა ადამიანის სულს ეს გრძნობა დაეუფლება, ის გაემიჯნება გარე სამყაროს, მაშინვე შეიცნობს, რომ მისი ჟამი მიიწურა და მიხვდება, რომ მთელი მისი არსებობა, რომელიც აქამდე ანგარიშმიუცემლად მიედინებოდა, კვდომის პროცესია. მაშ როგორღა შეუძლია ადამიანს იცხოვროს იმ შეგნებით, რომ სიკვდილის აჩრდილი ჯიუტად ადგას მას თავზე? ემერსონი მოერიდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას; თავის საჯარო გამოსვლებში, ესეებში და ლექსებში ის იშვიათად ეხებოდა სიკვდილის პრობლემას, მაგრამ ასევე არ ითქმის თოროს, უიტმენისა და დიკინსონის შესახებ. თითქმის ყველაფრის მიღმა, რასაც ისინი წერდნენ, სიკვდილის ლანდი მოჩანდა და მბრძანებლურად ითხოვდა ყურადღებას. „აღარ ძალმიძს სიკვდილის სამყაროში დარჩენა“, წერდა ემილი დიკინსონი; ეს მისთვის აკვიატებული თემა იყო. თოროს „უოლდენი“ თავიდან ბოლომდე არის ბრძოლა, მიმართული ზამთრით გამოწვეული ქკნობის, ყინულეთში სიცოცხლის მოშთობის წინაამდეგ. სიკვდილის ზარი გამუდმებით რეკს თვით უიტმენის „ბალახის ფოთლების“ სიცოცხლის სიყვარულით გამთბარ სტრიქონებშიც კი, მაგრამ ეს პოეტები იმასაც გრძნობენ, რომ სიკვდილი ბუნების ორგანული თვისებაა, ბუნების მარადიული ციკლის ერთ-ერთი

საფეხურია. ამ პოეტებს ადამიანის ცხოვრება შემდეგნაირად აქვთ წარმოდგენილი: დაბადებით თითქოს ადამიანი ერთგვარად გამოეთიშება ბუნებას და შეგნების პირველ საფეხურზე საკუთარ თავს შეიცნობს, როგორც იზოლირებულ არსებას. სიცოცხლის პირობას წინდახედული, შორსმჭვრეტელი ადამიანისათვის შეადგენს ბუნებასთან შეგუება, სწრაფვა ჰარმონიული მთლიანობისაკენ. სრული ჰარმონია კი — კვლავ ბუნებასთან შერწყმაა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც აღელვებს ემილი დიკინსონს, სამყაროსთან ურთიერთობის საკითხია. მისთვის სამყარო ამოუხსნელი საიდუმლოა, სიცოცხლე ისეთივე იდუმალებაა, როგორც სიკვდილი. ბუნება გულგრილი და სასტიკია; დიკინსონისათვის, ისევე როგორც მელვილისათვის, ბუნება არის „უცხო", „გამოუცნობი საიდუმლო", „ქაოსური უფსკრული", „უძირო ზღვა". ბუნება უფლის ნებართვით ანხორციელებს თავის ულმობელ ციკლს, რომელშიც ყოველი „უზრუნველი ყვავილი" განწირულია ქკრობისათვის. პურიტანული თეოლოგია ცდილობდა ბუნება — ეს გულგრილი და სასტიკი მოწინააღმდეგე, დაემარცხებინა „სულის ცხონებით", ე. ი. მიეღწია უკვდავების ილუზიისათვის.

ემილი დიკინსონმა, თუმცა ის მეტად რელიგიურ ოჯახში იზრდებოდა, მაინც სცადა ბავშვობიდანვე დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საკუთარი რწმენის საკითხი. მან კარგად იცოდა, რომ თუ უყოყმანოდ მიიღებდა „მამების რწმენას" და ეკლესიას მიეკედლებოდა, ამით მიაღწევდა სულის სიმშვიდისა და უშფოთველი არსებობის ილუზიას. მაგრამ მას ჭეშმარიტების შეცნობა სწადდა და ხიფათით აღსავსე, მღელვარე ცხოვრება იზიდავდა. ზოგჯერ ის ტრაგიკულადაც განიცდის რწმენის უქონლობას და მძაფრი სულიერი კრიზისი ათქმევინებს: „რწმენის დაკარგვას — ჯობია დაკარგო მთელი ქონება".

პოეტი ხშირად ისევე ეულად გრძნობს თავს, როგორც ჰოთორნის გუდმენ ბრაუნი, საკუთარი სულის ულრან ტყეში დაკარგული და გზააბნეული; ზოგჯერ ის თომას ჰარდის პერსონაჟებივით ასკვნის, რომ უკეთესი იქნებოდა, სულ არ გაჩენილიყო ამ ქვეყნად. ასეთ წუთებში სიკვდილის საზარელი აჩრდილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანში თავზარდამცემ შიშს იწვევს, მას მხსნელადაც ევლინება:

სულ ამაოა ჩვენი ყოფა,
ლოცვა-ვედრება —
ალსასრულის მადლს
არაფერი არ შეედრება.

პოეტი სულ უფრო ხშირად და ხშირად მიმართავს ღვთაებას, თვითდაჯერებული ბავშვის ნიღაბს ეფარება, რათა საკუთარი შეშფოთება დამალოს:

უფალო!
შეხე ქვევით წრუწუნა
კატის კლანჭებში ვით გათანგულა!
ვრცელ სამეფოში პაწია ბუნაგს
ნუ დაამადლი საწყალ თაგუნას!

ზოგჯერ ის ფამილარულად მიმართავს ღმერთს, როგორც „ძველ მეზობელს", მაგრამ ეს მეზობელი უმეტეს წილად შინ არ უხვდება. პოეტის სასოწარკვეთილება უფრო იზრდება, როცა ის რწმუნდება, რომ ღმერთი უფრო შორს არის მისგან, „ვიდრე ცის თაღი", უფრო შორს, ვიდრე მთვარე და ვარსკვლავები. ზოგჯერ მას ეჩვენება, რომ ღმერთი ისევე ობოლია ცაში, როგორც თვით პოეტია მიწაზე. მაგრამ უმეტეს წილად ეს მრისხანე ღმერთია, „იეჰოვა", როგორც მას იხსენებს პოეტი.

ემერსონმა და თორომ შესძლეს ხელას ერთი დაკვრით დაემხოთ ძველი აღთქმისა და კალვინისტური ქრისტიანობის ღმერთი — ძველი რწმენის უმთავრესი ბურჯი, და მის სანაცვლოდ აღიარეს პანი, მიწიერი ღვთაება. ემილი დიკინსონმა ეს ვერ შესძლო, რადგან მეტისმეტად ცხოვლად გრძნობდა იეჰოვას ძალას, მის უზენაესობას. მისთვის იეჰოვა „მამაც" არის, „ბანკირიც" და „მძარცველიც".

ალბერტ ჯელპი, ავტორი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საფუძვლიანი გამოკვლევისა ემილი დიკინსონის შესახებ, მის პოეზიაში ხედავს თავისებურად განსხვავებულ ბაირონიზმს. „როგორც ბაირონის, ისე დიკინსონის პოეზიაშიც ჩანს კალვინისტური გონების აჯანყება საკუთარი თავის წინააღმდეგ... ასეთი ბრძოლა იშვიათად მთავრდება გამარჯვებით". იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ემილი დიკინსონი, ბაირონის მსგავსად, ძალიან ახალგაზრდა აჯანყდა; ამ ამბოხის შედეგად ის ხშირად სატანური სახით გვევლინება, რაც ასე დამახასიათებელი იყო ბაირონისათვის: „ბაირონის მსგავსად, ემილი დიკინსონსაც სდევნიდა იმის შეგრძნება, რომ საკუთარი ნების გამოვლენა, თუმცა დიდებული რამ არის, მაგრამ ეს მარტო განუსჯელი სიმამაცე როდია. ეს დემონური საქციელია და ჯოჯოხეთიდან იღებს სათავეს". ეს ლტოლვა დემონურისა და ეშმაკისეულისაკენ აშკარად იგრძნობა დიკინსონის ლექსებსა და წერილებში. 1854 წელს ის წერს თავის მეგობარს სიუზენ გილბერტს: ქრისტე თუ არ მიმიღებს თავის წიაღში, „ბნელი სულიც არსებობს და ის ხელს არ ჰკრავს თავის პირმშოსო". ემერსონიც ხომ იგივეს

ამბობდა: თუ ეშმაკის შვილი ვარ, ისევ ეშმაკის გზას გავყვებით.

კარჩაკეტილი და განმარტოებული დიკინსონი იმავე მოუსვენრობით არის გამსჭვალული, რომელიც აიძულებდა ბაირონს უცხო ქვეყნებში ეხეტიალა. ამ სულიერი შფოთვის მთავარი მიზეზი იმის შეგრძნება იყო, რომ ადამიანის მისწრაფებები არ შეესაბამებიან მის შესაძლებლობებს და ცხოვრება აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით. ადამიანი მიისწრაფის, რომ ყველაფერს ჩასწვდეს, ყველაფერი გაიგოს, მაგრამ პრომეთესა და ფაუსტის მსგავსად, ბაირონის მანფრედიც ტრაგიკულად განიცდის, რომ ადამიანის შესაძლებლობანი შეზღუდულია, რომ ადამიანი არის „ნახევრად ღვთაება და ნახევრად მტვერი მიწისა".

ემილი დიკინსონის ფიქრიც ამ ტრაგიკულ გაორებას დასტრიალებს. კაცთა მოდგმიდან ყველაზე უფრო ამაყნი არ ემორჩილებიან სინამდვილეს და მიუღწევლის აღსრულებას ლამობენ. ასეთ ადამიანს გმირული მამაცობა და ტიტანური სიდიადე განასხვავებს სხვა მოკვდავთაგან. ის კეთილშობილი და ტრაგიკული არსებაა, თავისივე სურვილით განმარტოებული, მოკვეთილი და განდევნილი. ადამიანები მისთვის უცხონი არიან. ემილი დიკინსონის ფრაზა: „ეს ქვეყანა უცხოა ჩვენთვის, რადგან ჩვენ თვითონა ვართ მისთვის უცხონი", მოგვაგონებს ჩაილდ ჰაროლდის სიტყვებს: „არასდროს მიყვარდა ეს ქვეყანა, არც მას ვუყვარდი".

ბაირონი და დიკინსონი სამყაროს ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ წერის მანერის მიხედვით მათ არაფერი აქვთ საერთო. დიკინსონის სისადავე და უბრალოება სავსებით ეწინააღმდეგება ბაირონის ექსპანსიურ მჭერმეტყველებას; ზემოთაღნიშნული მსგავსებანი მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ დიკინსონის აზროვნება, გარკვეულ ასპექტში, დაკავშირებული იყო რომანტიკული მოძრაობის განსაზღვრულ ფაზასთან, რომელსაც ასე დრამატულად განასახიერებდნენ ბაირონი და მელვილი.

ალბერტ ჯელპი თავის გამოკვლევაში ერიდება მკაფიო ზღვარის გავლებას „ნათელ" და „ბნელ" რომანტიზმს შორის. იგი წერს: „ისეთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მწერლებს, როგორიც არიან უორდზვორთი, სკოტი, ბრაიენტი და ტრანსცენდენტალისტები, ერთმანეთთან აკავშირებს ოპტიმისტური რწმენა იმ ფაქტისა, რომ ადამიანს შეუძლია შეიცნოს საკუთარი თავი და კოსმოსიც, შეიცნოს იმ შესატყვისობის შემწეობით, რომელიც არსებობს მის სულს, ზებუნებრივი მოვლენების ინსტინქტურად აღქმის უნარსა და ბუნებას შორის... მაგრამ როდესაც ისეთი მწერლები, როგორიც არიან ბაირონი, გოეთე, რიხტერი, მელვილი და პო ვერ პოულობდნენ ასეთ შესატყვისობას ბუნებასთან, ისინი საკუთარ შინაგან სამყაროში განაგრძობდნენ ძიებას — მხოლოდ საკუთარი ძალების იმედილა ჰქონდათ, თუმცა არ იცოდნენ, რით დასრულდებოდა ეს ყველაფერი". ამ მწერლებს ხშირად საგონებელში აგდებდა ადამიანის უძლურება, მაგრამ ისინი მაინც არ თმობდნენ თავიანთ მიზნებს, აფართოებდნენ კაცობრიობის გონებრივ ჰორიზონტს, იკვლევდნენ შემეცნების რთულ ხვეულებს და პიროვნებისაგან მოითხოვდნენ ადამიანის, ბუნებისა თუ ღვთაების მკაცრ შეფასებას. დიკინსონის ამოცანაც ეს იყო.

ხშირად ემილი დიკინსონი უფრო ჯანსაღი რომანტიკული ძალების მოზღვავებასაც განიცდიდა. ერთ ლექსში, რომელიც მისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნება, მოთხრობილია იგავი პოლარულ ყვავილზე, რომელიც ყინულეთში ჰქნება და მოულოდნელად აღმოაჩენს მზით გაბრწყინებულ ედემს:

თურმე ერთი პოლარული ყვავილი  
ჩრდილოეთის პაწაწინა ასული —  
წამოვიდა, დაჰყვა მერიდიანებს  
და მიადგა ბოლოს გაოცებული  
ლამაზ წალკოტს, სად ზაფხული ჰყვაოდა,  
მზით ელავდა ზეცის ლურჯი თაღი —  
უცხო ხმაზე ჭიკჭიკებდნენ ჩიტები —  
ჭრელ ყვავილებს მოექარგათ ბაღი!  
როგორ ფიქრობ, ის პატარა ყვავილი  
სამოთხეში ხომ არ მოხვდა, ვითომ?  
რათ? მერე? არაფერი, ისე ვთქვი...  
რაც გნებავს, ის იფიქრე თვითონ!

მიწა იგივე ედემია ევას შეცოდებამდე. ეს არის ნათელი რომანტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული სამყარო, რომლის წარმომადგენლებიც ინგლისში იყვნენ უორდზვორთი და სკოტი, ხოლო ამერიკაში — ბრაიენტი, ემერსონი და უიტმენი. აქ გარდასახვის ის მომენტია აღწერილი, როდესაც დიკინსონი უარს აცხადებს პურიტანიზმის ცივ, ბნელ სამყაროზე და ამ თვალსიმომჭრელი სამყაროსაკენ ისწრაფვის.

მაგრამ ამ ნათელმა რომანტიზმმა საბოლოოდ ვერ განკურნა ის. ემერსონი და თორო ტრაგიკულ შეგრძნებამდე არ მიჰყავდა უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს. თორო კითხულობს: „განა შეგიძლიათ სიტყვიერად გამოხატოთ იდუმალი? განა შეგწევთ გამოუთქმელის გადმოცემის უნარი?" შეკითხვის ტონი ისეთია, რომ უარყოფითი პასუხი თავისთავად იგულისხმება. ემერსონი ამბობს: „ცოდნა იმის გაგებაა, რომ არ ძალგვიძს ვიცოდეთ". ან კიდევ: „რა საჭიროა თავის მოჩვენება, თითქოს დარ-

წმუნებული ვიყოთ რომ არსებობს საიქიო ცხოვრება?.. თუ ეჭვის საბაბი გვაქვს, ეს რად უნდა დავმალოთ?“ ჰენრი თოროს იმ ფოთლებმა ასწავლეს სიკვდილი, რომლებიც „მშვიდად ლპებიან ხის ძირში და მომავალ თაობებს საზრდოთი უზრუნველყოფენ“. დიკინსონს არ შეუძლია ასე მშვიდად იმსჯელოს ამგვარ თემებზე. ქვეყნად მართლაც იმდენი უბედურება ტრიალებს, რომ შეუძლებელია თვალის დახუჭვა, რეალობის უგულებელყოფა; ცხოვრებაში დანაკარგს დანაკარგი მოსდევს. ემილი ჯერ საკუთარ ბავშვობას კარგავს, შემდეგ მეგობრებს, სატრფოს. ყველაფერი ეს მისი სულის ნაწილებია, და არარასოდეს დაუბრუნდება უკან. თუმცა ეს დანაკარგი გულწრფელ სინანულს და ტკივილებს იწვევს, მისთვის სიმარტოვე, უკმარობა საერთოდ ადამიანის გონების უპირველესი განცდაა. იმ დროის მკვლევარებს, იმის ნაცვლად, რომ ამ დიდი სულიერი კრიზისის მიზეზები თვით ამერიკის სოციალურ სინამდვილეში ეძებნათ, მათ საზოგადოებრივ წყლულებს დაჰკვირვებოდნენ, საკითხი სულ სხვა სფეროში გადაჰქონდათ. ედვარდზის ახსნით, ამის მიზეზი იყო „პირველცოდვა“, ემერსონის ახსნით კი — პიროვნების გათიშვა ზებუნებრივ სულთან. ემილი დიკინსონისათვის არც ერთი ახსნა არ არის დამაკმაყოფილებელი. მან მხოლოდ ის იცის, რომ ყოველდღიურად მოქმედებს, აზროვნებს, იკვებება, იძინებს და იღვიძებს სიცარიელეში, რადგან „ყველაფრისაგან გაძარცულია“. მის ლექსებში კონკრეტულად არ არის დასახელებული, თუ რა დაკარგა მან; პოეტმა იცის მხოლოდ, რომ დაკარგული რამ პირადად მას ეკუთვნოდა, მისი პიროვნების ნაწილი იყო. ამის შედეგად მან დაკარგა სულის სიმშვიდე. ამ დანაკარგის კვლავ შეძენა შეუძლებელია, მთელ ქვეყანაზე არ არსებობს მისი ბადალი, „ჩემი იყო ერთადერთი, განუმეორებელით“, ამბობს პოეტი. თან უმატებს: სადმე რომ შეიძლებოდეს მისი პოვნა, საძებრად წავიდოდი და მთელ ჩემ ქონებას ვანაცვალებდიო.

ამ დანაკარგის ძიებაში მისი გონება უგზოუკვლოდ დაძრწის უდაბურ ბილიკებზე, აქეთიქით აწყდება და არც კი იცის ამ დაკარგული განძის სახელი. (ხან მეგობარი იგულისხმება ამ დანაკარგის სახით, ხან მიჯნური, ხან მშობლები, ხან „ოქროს საწმისი“, ხან ღმერთი).

რაც უფრო მეტი დრო გადის, სინანული ამ დანაკარგის გამო სულ უფრო და უფრო იზრდება და, ბოლოს ის სრულიად გაძარცული რჩება. რა ახალ აღმოჩენამდეც არ უნდა მისულიყო ემილი დიკინსონი აზროვნების პროცესში, ეს სიცარიელე, ეს უკმარისობის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა მას. იგი ეძებდა სასწაულებს და ვერ მიაგნო, ვერ იპოვა „ოქროს საწმისი“, რომელიც ყველა პრობლემას გადაჭრიდა, ბოლოს მოუღებდა ამ მტანჯველ კითხვებს. ედგარ პოს მსგავსად, მას ხშირად ეუფლება სასოწარკვეთილება მარცხის გამო, იმის შეგრძნება, რომ ყოველგვარი წამოწყება კატასტროფით უნდა დამთავრდეს:

ალმოჩენაა პირველი,
მეორე — განძის გაქრობა,
მესამე — ძებნა საწმისის
და იაზონის ლაშქრობა...

ყველაფერი ბოლოს მარცხით მთავრდება: ეკიპაჟი იღუპება, ვერც „ოქროს საწმისს“ პოულობს პოეტი და რწმუნდება, რომ იაზონის ლეგენდაც „სიყალბეა“.

დიკინსონი ნუგეშს ისევ თავისი მწუხარების საგანში ეძებს. „იმედის გაცრუების ჟამს მინდა დავიჯერო, რომ ამ იმედის აღსრულება უარეს ნაღველს მომგვრიდა. ეს ვარაუდი, ზოგჯერ ნუგეშის მომცემია; ამას უკუღმართ ნუგეშს ვეძახი“. ემილი დიკინსონისათვის ეს არ არის მხოლოდ პარადოქსი. ეს შიშველი ფაქტის აღიარებაა, რადგან მას ეჯავრება ილუზია, ყალბი იმედები.

დიკინსონი მაინც რაღაც გამოსავალს ეძებს. მისი აზრით, დანაკარგი სურვილს გვიღვიძებს და სასურველი საგანი უფრო მკვეთრად აისახება ჩვენს წარმოდგენაში, ეს აძლიერებს მიზანსწრაფვას. რაც გვაკლია, ის გვსურს, და თუ ყველაფერი გვაკლია ყველაფერი გვსურს. მარადიულობის მსგავსად, სურვილის აღსრულებაც სტატიკურია. სურვილი კი მოქმედებაა და ამდენად ადამიანური ცხოვრების პირობა და საწინდარია. ზოგჯერ სურვილი კარგ გამოძახილს ჰპოვებს: წამიერად ხელთ ვიგდებთ სასურველ საგანს, თვალს შევავლებთ იმას, რისი დანახვაც გვსურდა. აღსრულების ეს წარმავალი წუთები მოქმედების განგრძობის სტიმულს იძლევიან. სიცოცხლის წყურვილს აღვიძებს სამი რამ· წარსულის მოგონება, რომელიც ჩვენში სურვილს ბადებს, ექსტაზი, რომელიც აწმყოში გვეუფლება, და მომავლის მოლოდინი. ემილი დიკინსონი ამას გულისხმობს, როდესაც წერს:

კმაყოფილებას მოსდევს ნატვრის
გადავიწყება,
უსაზღვროება სურვილით და ნატვრით
იწყება.

ემილი დიკინსონისათვის ტრაგიკულის შეგრძნება იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ სიცოცხლე სასურველია, სიკვდილის არსებობის ფაქტის მიუხედავად. პოეტი ამას „თვითდაჯერებულ სასოწარკვეთილებას“ უწოდებს. სიცოცხლე ძვირფასი ხდება, როდესაც შევიცნობთ

ხორციელი ცხოვრების წუთიერ ტრაგედიას. ტკივილი, მოძრაობა, მოულოდნელობა აწრთობს ძლიერი ადამიანის სულს, ვისაც არაფერი დაუკარგავს, ის ვერც სამეფო გვირგვინს იპოვისო, ამბობს ერთ ლექსში დიკინსონი. სიცოცხლე არამც თუ ასატანი, მშვენიერიც კია, როდესაც ირგვლივ გამეფებული სიცარიელე იწვევს ემოციების მოჭარბებას, ძლიერ სურვილებს.

რომანტიკოსმა წინამორბედებმა დიკინსონს განუმტკიცეს ადამიანის სულიერი ძალების რწმენა. ემერსონისათვის ღვთაებრიობა — ადამიანის გონიერების უბრწყინვალესი გაელვება, უზენაესი შთაგონებაა, დიკინსონისათვის ღვთაებრიობის გამჟღავნება არის „განაყოფიერებული სული“, „გონების გაფურჩქვნა“. ემერსონის, თოროს და დიკინსონის შეხედულებით, განგება ზოგჯერ აჯილდოებს ადამიანს იდუმალის წამიერად ხილვის უნარით, ზეციურ განცდებს ანიჭებს მას. როგორც თორო ამბობს, ასეთ წუთებში „საწუთროს მძიმე ბრუნვაში შემოიჭრება ლაჟვარდი ფერი“.

ერთ-ერთ პირად წერილში დიკინსონი ლაპარაკობს „წარმავალ საგნებზე“ და იმაზე, „რაც მარად უჭკნობია“. მას სურს წარმავალ საგნებს უჭკნობი მარადიულობა მიანიჭოს. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა, იგი მიწაზე ხედავს მარადისობას — მას ბუნება ზეცად ევლინება და ზეცა ბუნებად.

ემერსონიც და თოროც აცხადებენ, რომ დედამიწა იგივე ზეცაა, „ზებუნებრივი“ იგივე ბუნებრივია, რომელიც ადამიანს ჯერ არ შეუცვნია.

ემილ დიკინსონი უმღერის ზრდის იდუმალ, ცხოველ პროცესს, იმის შეცნობას, რომ ყველა და ყველაფერი უზარმაზარი კოსმოსური მთლიანობის ნაწილს შეადგენს. დროს იგი უპირატესობას ანიჭებს მარადისობასთან შედარებით, რადგან „მარადისობა უძრავია, დრო — მოძრავი“. უკვდავება აგვაშორებდა სიკვდილის საშიშროებას, მაგრამ მოკვდავობის მიზეზით სიცოცხლე უფრო სისხლჭარბია და ძვირად ფასობს; ამიტომ დიკინსონის, უორდზვორთის, შელის, ემერსონისა და თოროსთვის სამყარო „კიდევ უფრო მშვენიერია, რადგან მას ჭკნობა ემუქრება“. თორო ამბობს: „წელიწადის დროთა ბრუნვა ერთი დიდი მდინარებაა“. დიკინსონი უმატებს: „მხოლოდ ბუნების ცვალებადობაა უცვლელი“. ამგვარად, ეს პოეტები ღებულობენ ცვლილებას, სიკვდილს, წელიწადის დროთა მონაცვლეობას, რადგან ამ მოვლენების მიღმა ხედავენ სამყაროს მთლიანობას, მატერიისა და სულის ერთიანობას, კონკრეტულისა და უნივერსალურის ნათესაობას.

სიცოცხლის მომნიჭებელ ზებუნებრივ ძალას ემილი დიკინსონის პოეზიაში ხშირად განასახიერებს ნიავის სუნთქვა, ან ფრინველის გალობა. „როცა ენთუზიაზმი გვიპყრობს, ღვთაებრივისაკენ ავზვირთდებით ხოლმე, ისევე როგორც ტალღა მიილტვის ნიავისაკენო“, ამბობს თორო. ემილი დიკინსონისათვის ქარი ღვთაებრივი წმინდა სულია; ის უხილავია, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა მისი ზემოქმედება. ქარს შეუძლია ხეებს სუნთქვაც კი მოსტაცოს: „ქარმა ხეები ჩაბღუჯა — სამყარომ სული განაბა“. ასეთ წუთებში პოეტის თვალი და გული მეტყველებს — ის ყველაფერს ხვდება, ყველაფერი იცის.

ემერსონი თავის ნაწერებში იშვიათად ახსენებს ქრისტიანულ „ზეციურ სამფლობელოს“. უფრო ხშირად ეს არის პანის სამფლობელო („მარადიული პანი“, ან „მოთმინებით აღჭურვილი პანი“). ემერსონისა და თოროსაგან განსხვავებით, დიკინსონისათვის პანთეიზმი მიუღებელია. მართალია, მან უარყო კალვინისტური ღმერთი და ეძებდა სხვა, უფრო „ლმობიერ“ ღვთაებას, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა იგი და ბოლომდე დარჩა უხილავი იეჰოვას ტყვეობაში. სამაგიეროდ, ემერსონის მსგავსად, ემილი დიკინსონმაც აღიარა, რომ ხელოვნება არის შუამავალი დროსა და მარადიულობას შორის.

ემილი დიკინსონმა რელიგიაში ნუგეში ვერ ჰპოვა, მისი დროის სხვა პოეტების მსგავსად, ხელოვნების საიდუმლოებებს ეზიარა და ხელოვნება აქცია თავის რელიგიად.

ჯელპი ამბობს, რომ ემილი დიკინსონის ცხოვრება და შემოქმედება ემთხვევა გარდატეხის მომენტს ამერიკული აზროვნების ისტორიაში. ედვარდზის შემდეგ დაირღვა პურიტანული რელიგიურ-სოციალური წყობა, რომელსაც საბოლოოდ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ემერსონმა. ამასთან დაკავშირებით ალენ ტეიტი შენიშნავს, რომ საუკეთესო ლექსები მაშინ იწერება, როდესაც სუსტდება რელიგიის კონტროლი პიროვნების მიმართ. დახავსებული ტრადიციის რღვევა ათავისუფლებს ფანტაზიას და წარმოსახვის უნარს. მაგრამ ემერსონმა უარყო მხოლოდ პურიტანიზმის ზოგიერთი დრომოჭმული დებულება და ერთგვარი სიახლე შეიტანა ამერიკის ლიტერატურულ აზროვნებაში. სწორედ ეს ვითარება — პურიტანული რელიგიის მტკივნეული რღვევა და ახლის ძიება აისახა ემილი დიკინსონის პოეზიაში. ემერსონმა უყოყმანოდ უკუაგდო დოგმატი „შეცოდებაზე“, ეშმაკზე და სხვა დოგმები. ემილი დიკინსონისათვის კი ეს იყო მეტისმეტად მტკივნეული პროცესი. ემერსონს იგი ეხმაურება მხოლოდ როგორც პოეტი და არა როგორც ქრისტიანი. ემილ დიკინსონის პოეზიისათვის დამახასიათებელია ცხოვრების უაღრესად უშუალო აღქმა, შეგრძნებათა გასაოცარი სირთულე და ამის გამო ეს პოეზია აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით.

იმის გამო, რომ ემილი დიკინსონმა საბოლოოდ ვერც ემერსონის მიწიერი სამოთხე იწამა და ვერც ედვარზისეული ილუზია ზეციური

უკვდავებისა, მის აზროვნებას, ჯელპის თანახმად, „ჰარმონიულობა კი არ დაედო საფუძვლად, არამედ დისონანსი. ემილი დიკინსონი რომანტიკოსი პოეტია, რომელიც მოვლენებს პურიტანული თვალსაზრისით აღიქვამს“. ჯელპი აღიარებს, რომ ემოციური გამომსახველობით, ექსპრესიით დიკინსონის შემოქმედება აღემატება ედვარდზის, ემერსონის, თოროსა და უიტმენის ნაწერებს, მაგრამ „ყველა ამ მწერლის შემოქმედება ხასიათდება მთლიანობით, სიმკვრივით და სიმშვიდით, რაც აკლია დიკინსონის პოეზიას. ფილოსოფიური განზოგადების ცდა ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი არ არის; მას უშუალოდ ეუფლება წუთიერი განცდა, რის გამოც ამ პოეტის ხელოვნება გამოვლინდა მცირე ზომის ლირიკულ ლექსებში, რომელთაგანაც თვითოეული ასახავს წუთიერ შთაბეჭდილებას“. დიკინსონის პოეზია ყოვლისმომცველი ჩანაფიქრის თანმიმდევრულ განხორციელებას კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის მეტად ინდივიდუალური, ხშირად კონტრასტული ფრაგმენტების ნიმუშები.

დიკინსონის შემოქმედებაში ერთმანეთს ჰკვეთს ამერიკული აზროვნების ორი საპირისპირო ტენდენცია; განვითარების ერთ ხაზს იმ სახის პოეზიასთან მივყავართ, რომლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ტომას სტერნზ ელიოტი — მეოცე საუკუნეში ის კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას; სხვა მიმართულებით დიკინსონისეული ტრადიციის გამგრძელებლად ჩაითვლება რობერტ ფროსტი. ფროსტის შეხედულებით, ადამიანი მარტოა გულგრილ სამყაროში; მას ნუგეშს ვერ მისცემს ვერც ედვარდზისეულ უფლის წყალობა, ვერც ემერსონის მიერ ხოტბაშესხმული „ადამიანების გონიერება“, ვერც რობინსონ ჯეფერსისეული პანთეიზმი. ფროსტის გმირი გარშემორტყმულია ქაოსით და არ გააჩნია რაიმე ძალა ამ ქაოსთან საბრძოლველად.

ალენ ტეიტმა ერთმა პირველთაგანმა გამოთქვა აზრი, რომ ემილი დიკინსონი აკავშირებს ორ ლიტერატურულ ეპოქას და იგი კანონზომიერი მოვლენაა ამერიკის ლიტერატურის ისტორიაში. ტეიტი პათეტიკურად აცხადებს: „როდესაც ემილი დიკინსონი თავის ოთახში ჩაიკეტა და უარყო ცხოვრება, სინამდვილეში ამ გზით ცხოვრებას დაეუფლა... სიყვარულით გატაცება მხოლოდ საბაბი იყო; ეს რომ არა, იგი სხვა საბაბს გამოძებნიდა“.

ჯერ კიდევ ჯონათან ედვარდზი და კოტონ მაზერი ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ სიცოცხლის საიდუმლოებას. ჰოთორნისათვის ყველაფერი ბედისწერით იყო განპირობებული. ამიტომაც მისი გმირების ხვედრი ხდება ცხოვრებიდან განდგომა და დაღუპვა. ჯეიმზის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაც ეს არის. იგი ემერსონის შემდეგ მოევლინა ამერიკის ლიტერატურას და, ხელოვანისათვის ჩვეული ინტუიციით, იკისრა თავისი ისტორიული როლი — უარმყოფელის მისია. ჯეიმზის ამერიკელები, ამბობს ტეიტი, ევროპაში ამაოდ ეძებენ იმას, რაც შინ დაკარგეს, „მისი გმირები პურიტანული კულტურის ნანგრევებს გაექცნენ და მხოლოდ საკუთარი ღირსების შენარჩუნებაზედა ზრუნავენ“. „ღირსება“ ერთადერთი იარაღია, რითაც ჯეიმზის გმირები უნდა შეებრძოლონ ბუნებას, მთელ სამყაროს. მაგრამ ალენ ტეიტი ირონიულად შენიშნავს, ჯეიმზმა თვალი დახუჭა მოწინააღმდეგის — ბუნებისა და სამყაროს ძლიერებაზე და ამ გზით ყალბი გამარჯვება მოიპოვა.

ემილი დიკინსონისთვისაც მოწინააღმდეგე ბუნებაა, რამდენადაც მას ყოველი ცოცხალი არსებისათვის გარდაუვალი სიკვდილი მოაქვს. ჰენრი ჯეიმზი და ემილი დიკინსონი საერთო პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ დიკინსონი იშველიებს და ეყრდნობა პურიტანულ იდეებს, რომლებიც მას თითქოს ერთგვარ იმედს აძლევენ, თუმცა ეს იდეებიც უძლურნი არიან ანუგეშონ ადამიანი ბუნების გამანადგურებელი ძალის — სიკვდილის წინაშე. ალენ ტეიტის აზრით, ეს ძალა გამუდმებით ანგრევს ადამიანთა ილუზიებს, მაგრამ ამ ბრძოლასა და მძაფრ შეჯახებაში ხდება სულიერ ფასეულობათა დახვეწა, იწყება ჰეროიკული უარყოფა სიკვდილისა, მოშუშება ბუნებისაგან მიყენებული ტკივილებისა. პოეტი, უკიდურესად დაძაბულ განცდებთან შერკინების შედეგად, იმარჯვებს სიკვდილის შიშზე. ამრიგად, ეს გამარჯვება აბსტრაქტულ-სულიერია და არა რეალური; რაც უფრო მჟღავნდება სხვაობა ჩვენსა და ბუნებას შორის, მით უფრო ვრწმუნდებით, თუ რა ღრმად გვაქვს გადგმული ფესვები ბუნებაში; ბუნების მიერ განახლებულნი, მასვე უკან აღარ ვუბრუნდებით — შემოქმედი ადამიანი ემიჯნება სამყაროს და რჩება უკვდავი თავის მიერვე შექმნილ სამყაროში, ხელოვნებაში.

ემილი დიკინსონმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მსოფლიო პოეზიის საგანძურში. იგი ყველა ეპოქაში აღელვებს ადამიანებს, რადგან ჭეშმარიტი პოეზიის ძალას მხოლოდ საგანი კი არ განაპირობებს, არამედ სიწრფელე, შეუზღუდავი ინტელექტი, გმირული სული და თამამი წარმოსახვის უნარი. ემილი დიკინსონმა განიცადა სიცოცხლის უსაზღვრო ტრფიალი, უარი თქვა მისტიციზმით თვითდამშვიდებაზე და ამ უარყოფით გამოწვეულ ადამიანურ სევდას, ადამიანური არსებობის ლამაზ ჰეროიკას ძეგლი აუგო თვითმყოფადსა და ამაღლებულ ლირიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲫᲛᲣᲠᲘ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

თანამედროვე სომხური პოეზია უხვ ეროვნულ ტრადიციებს ეყრდნობა: გოღთან-აშუღების სიმღერები თუ შუა საუკუნეების ხალხური შემოქმედება, სახელოვანი „დავით სასუნცი" და დავთაკ ქერთოღლის (VII ს.), გრიგოლ ნარეკაცის (X ს.), ნერსეს შნორალის (XII ს.), საიათნოვასა და სხვათა პოეტური მემკვიდრეობა მსუყე ნიადაგად იქცა მეოცე საუკუნის სომეხი პოეტებისათვის, რომლებიც მოწიწებით და განსაკუთრებული სიამაყით ეკიდებიან თავისი ხალხის წარსულს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემულ (1974 წ.) „სომეხი საბჭოთა პოეტების" წინასიტყვაობის ავტორი, ვაჰაგნ კარენცი იხსენებს სომხური კულტურის დიდი მოამაგის, რუსი პოეტის, ვალერი ბრიუსოვის სიტყვებს „სომხური პოეზიის ანთოლოგიიდან": „შუა საუკუნეების სომხური ლირიკა ადამიანის დაუდეგარი სულის გამარჯვების ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია, როგორსაც კი ჟამთააღმწერლობა იცნობს. იგი თავისებური პოეზიაა ჯერ ჩვენთვის სრულიად უცნობი ფორმებით, ღრმა შინაარსით, ოსტატობის ბრწყინვალე ტექნიკით... სომხური პოეზია ყველა განათლებულმა ადამიანმა უნდა გაიცნოს, ისევე, როგორც იგი მოვალეა იცნობდეს ელინელ ტრაგიკოსებს, დანტეს „კომედიას". შექსპირის დრამებს, ვიქტორ ჰიუგოს პოემებს". (იხ. „სომეხი საბჭოთა პოეტები", გვ. 6) იმ დროს (1916 წ.), როცა ვ. ბრიუსოვი ამ სიტყვებს წერდა, სომეხი ხალხის თავს საშინელი ტრაგედია დატრიალდა, ამიტომ გასაგებია პოეტის განსაკუთრებით პათეტიკური და თანაგრძნობით გამსჭვალული ეს სიტყვები.

XIX საუკუნის ბოლო და XX ს. დასაწყისი სომხური პოეზიის ისტორიაში გარდატეხებისა და ახალი დემოკრატიული ტრადიციების დამკვიდრების ხანაა. რად ღირს ოვანეს თუმანიანის გახსენება, სომეხი ხალხის ამ ერთი საუკეთესო შვილისა, რომელმაც დიდ ლიტერატურულ ღვაწლთან ერთად, დაუვიწყარი ამაგი დასდო ორი მოძმე ხალხის — სომეხი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. რად ღირს ავეტიკ ისააკიანის გახსენება, XX საუკუნის სომხური პოეზიის ამ გიგანტისა, რომლის დაბადების 100 წლისთავს სულ მალე იზეიმებს ჩვენი ხალხი.

სომხური საბჭოთა პოეზიის გზა ტიპიურიცაა და თავისებურიც. ეს გზა, მჭიდროდაა დაკავშირებული საერთოდ სომხური ეროვნული კულტურის ტრადიციებთან, მაგრამ იგი წარმოუდგენელი იქნებოდა მრავალენოვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, იმ იდეურ-ესთეტიკური მთლიანობის, ინტერნაციონალური პათოსის გარეშე, რასაც ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ამკვიდრებს.

„სომეხი საბჭოთა პოეტები" ეღიშე ჩარენცის ლექსებით იხსნება. ამ პოეტის წარდგინება თითქოს არც ჭირდება ქართველ მკითხველს. ეღიშე ჩარენცი ლეგენდებითაა შემოსილი თავის სამშობლოში, მის ლექსებს მღერიან და უბით ატარებენ. ეღიშე ჩარენცი სათავეში ჩაუდგა დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეებით ფრთაშესხმულ სომეხ პოეტთა მთელ პლეადას. ჩარენცმა იცოდა, რომ მრავალტანჯულ სომეხ ხალხს ხსნას მხოლოდ ახალი სოციალისტური ცხოვრება მოუტანდა, ამიტომ პოეტის ყოველი სიტყვა ამ ახალი იდეების გამოძახილია.

ეღიშე ჩარენცი ჭეშმარიტი ლირიკოსია. იგი ჩვენს დროს ამ საუკუნის გარიჟრაჟიდან მოჰყვა და თან ლეგენდად ქცეული წარსულის სურნელიც მოიყოლა. დავუგდოთ ყური, როგორ სითუთად და ამავე დროს როგორი სიამაყით ლაპარაკობს იგი თავის სამშობლოზე:

სასომხეთის მზის სხივივით
სიტყვამყარი ჰწკარი მიყვარს,
ძველთაძველი ჩვენი ქნარის
გლოვა-ზარის ლარი მიყვარს,
ჩვენი ცხელი სისხლის დარი
ყვავილების სურნელი და
ნაირელი ფერიების როკვა
რამ შუშპარი მიყვარს.

ამ ლექსის თარგმანი ეკუთვნის მორის ფოცხიშვილს. ლექსი საიათნოვასეული ტექნიკითაა აღლერებული და ამიტომ განსაკუთრებით კოლორიტული და დამაჯერებელია. ერთი მცირე შენიშვნა მთარგმნელის მისამართით: სასომხეთი უკანონო ფორმაა, უნდა იყოს — სომხეთი.

აზატ ვაშტუნის სახელი სომხური საბჭოთა პოეზიის ავანგარდში იხსენიება. იგი ნაირი ზარიანთან, გეღამ სარიანთან, გურგენ მაარისთან და სხვებთან ერთად განახლებული, ფენიქსისებრ ფერფლიდან აღმდგარი ახალი სომხეთის მომღერალია.

ხარ უკვდავების სიმღერა,
ისტორია ხარ ხალხების,
მომავლისკენ რომ მიღელავს,
როგორც მდინარის ტალღები.
და სანამ არ შეჩერდება
ცხოვრების დიდი მდინარე,
ჩემი მზე მუდამ ენთება,
შენი გზის შუქმომფინარე.

ასე მიმართავს ნაირი ზარიანი ვლადიმერ ლენინს. ამ პლეადის (აზატ ვშტუნი, ჰრიფსიმე პოღოსიანი, ნაირი ზარიანი, სარმენი, გეღამ სარიანი, გურგენ მაარი, ვაღარშაკ ნორენცი, სოღომან ტარონცი) პოეტებისათვის დამახასიათებელია ერთნაირი ერთგულება როგორც მოქალაქეობრიობით, საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული და რეალისტურობით აღბეჭდილი ნაწარმოებებისადმი, ისევე ლირიკული, ნაზი, ხანდახან სევდით განმსჭვალული პოეზიისადმი, რომელსაც თავისი ფესვები შორეულ წარსულში, ხალხური პოეზიის შრეებში აქვს გადგმული. ამ პოეტებთან შეხვდებით როგორც მძაფრ, პუბლიცისტურ ლექსებს, ასევე ძველ პოეტურ ფორმებს, ხალხურ და ზოგადაღმოსავლურ მოტივებს.

მოდით ვადიდოთ, ძმაო, უტკბილესი
და ბრძნული სომხური ენა,
ჩვენი ფარი და გული, სიმები
ჩვენი სულის, სომხური ენა
უძველეს ხნიდან მოსჩქეფს
მშობელ მთებით და ბარით,
მარადიული, როგორც არაქსი
მომჩქეფარი, — სომხური ენა.

წერს იგივე ნაირი ზარიანი.

შესანიშნავი ლექსია სარმენეს „იყო სამი ამხანაგი“. ამ ლექსში მეტად ეფექტურად და მოხდენილად არის დახატული სამი მეზობელი ერის — სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს განუყრელი ძმობა ჭირში თუ ლხინში.

იყო სამი ამხანაგი,
სამი ძმა და მეგობარი,
მსახურობდნენ წითელ ჯარში
სამი ფიცხი მეომარი.
ერთი იყო არარატის
მზიურ ველთა ბინადარი,
შუბლგახსნილი იყო მარად,
ღია ჰქონდა გულის კარი;
მეორე კი თეთრ ყაზბეგის
მთიდან იყო მოფრენილი,
მის თვალსა და სახეს ცეცხლის
ალი ჰქონდა მოფენილი.
ერთი კიდევ კასპიის ზღვის
ლურჯ ტალღებზე გაზანგული,
ბიჭი იყო მიამიტი.
მაგრამ ვეფხის ჰქონდა გული.
იყო სამი ამხანაგი —
არა, შოთა და აბდულა
ძმობის სანთელს ზე მართავდნენ,
ბნელ ღამეში სანათურად;
სიყვარული ჰქონდათ დიდი
ერთურთის და მშობელ მიწის
და დაეცნენ მამულისთვის
ერთად სამი ძმადნაფიცი.

ისევე, როგორც თავის დროზე ეღიშე ჩარენცის გარშემო იყო დარაზმული მთელი თაობა სომეხი პოეტებისა, ომის დამთავრების შემდეგ ასეთ ლიდერად ოვანეს შირაზი გვევლინება. აშოტ გრაში, სურენ ვაჰუნი, არშავირ დარბნი, მარო მარქარიანი, არშალუის მარგარიანი, ჰენრიკ თუმანიანი, ოვანეს შირაზი, ამო საჰიანი — ეს ის პოეტებია, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ომისშემდგომი სომხური პოეზიის განვითარებაში. ამ პოეტების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტური რეალიზმის ტრადიციებმა და მეთოდმა და ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ერების ლიტერატურა არ ვითარდება იზოლირებულად და განცალკევებით, ამ პერიოდის სომხური პოეზიაც მდიდრდებოდა ერთიანი საბჭოური პოეზიის მიღწევებით, — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის მიღწევებით.

რომ არ გადაგფარვოდა
მაგ თვალებზე შავეთი,
ცეცხლოვანი თვალებით
საბრძოლველად წავედი.
რომ არ გადაემტვრიათ
ეგ მკლავები წამებით,
მე მაგ მკლავებისათვის
ამ მკლავებით — ავდექ და
საბრძოლველად წავედი.
აღარა მაქვს თვალები,
არ მივარგა მკლავები,
მაგრამ თავს რომ მევლები
ასე გულმოწყალებით,
ვამბობ, ღირდა უთუოდ,

რომ მაგ თვალებისათვის,
რომ მაგ მკლავებისათვის
გამეწირა ყოველი —
თუნდაც სული ცხოველი.

ასეთი მშვენიერი და ყოველგვარ ხელოვნურობას და ყალბ პათოსს მოკლებული ლექსით ეხმიანება ოვანეს შირაზი ჯარისკაცის, სამშობლოს დამცველის უჭკნობ გმირობას და თავდადებას. შირაზისათვის ერთნაირად ბუნებრივი და ახლობელია სიყვარული როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნისადმი, ისევე თავისი მამულის, თავისი კერის, თავისი სომხეთისადმი.

ბოლოსდაბოლოს, სასომხეთის
ზამთარმაც ჩაიარა,
როგორც მრავალმა სევდიანმა
საუკუნემ, ისე ჩაიარა;
თოვლი კი მხოლოდ მე და არარატს
შემოგვრჩა,
თუმცა ზამთარმა კარგა ხანია,
რაც ჩაიარა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც სხვა საბჭოთა ერები, სომხეთიც მშვიდობიან აღმშენებლობით შრომას შეუდგა. განახლება დაეტყო ცხოვრების ყველა სფეროს, ახალი თაობებით შეივსო სომხური პოეზიაც. სილვა კაპუტიკიანი, გევორქ ემინი, ამო საჰიანი, ვაჰაგნ დავითიანი, ჰრაჩია ოვანესიანი, პარუირ სევაკი და სხვები, გვერდში ამოუდგნენ უფროსი თაობის მწერლებს და თავიანთი შემოქმედებით ახალ საფეხურზე აიყვანეს სომხური ლექსი. ამ პოეტების შემოქმედება გამოირჩევა მრავალფეროვანებით — როგორც ჟანრობრივად, ასევე შინაარსით. ზემოთ ჩამოთვლილი პოეტები კარგადაა ცნობილი ყველა პოეზიის მოყვარულისათვის, როგორც სომხეთში, ასევე მთელს ჩვენს ქვეყანაში.

მშვენიერი პოეტია ამო საჰიანი, რომლის პოემა „სეზამ, გაიღე!“ სულ ახლახან გამოქვეყნდა რუსულ პრესაში. ამო საჰიანი ფიქრიანი ლირიკოსია, მისი ლექსები გამოირჩევა მსუბუქი ხატოვნებით და გამჭვირვალე ფერებით.

გევორქ ემინი ენერგიული ხმის და მახვილი თვალის პოეტია. მას ყოველთვის ყოფნის უნარი, რომ ესა თუ ის მხატვრული სიტუაცია მკითხველს ზუსტი და გამოკვეთილი სახით მიაწოდოს.

მე ვარ სომეხი, უძველესი არარატივით,
დანისტილია წარღვნებისაგან ლანჩები ჩემი.

სილვა კაპუტიკიანი ჭეშმარიტი პოეტია თავის ქალურობაში და ჭეშმარიტი ქალი თავის პოეზიაში. მისი ხმა აფხიზლებს და ამართლებს სომხურ პოეზიას და გამუდმებით ეძახის ხალხის სამსახურისაკენ. აქ მოვიყვანთ პოეტი ქალის ერთ შესანიშნავ ლექსს („როცა ფრონტზე გაგაცილე“), რომელიც ბრწყინვალედ უთარგმნია იოსებ ნონეშვილს.

ფანჯარაში ვიცან შენი ღიმება,
განშორების ნაზი სევდით ნაფერი,
და თვალები გავაყოლე დაღონებით
მატარებელს სიზმარივით გაფრენილს.

ვიდექ ასე და ჰფარავდა ჩემს შეძახილს
ორთქლმავალი, სრბოლვით
განახლებული,
წახვედი და დარჩა მხოლოდ ლიანდაგი,
როგორც შენსკენ გამოწვდილი ხელები.

სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს სომხურ პოეზიაში პარუირ სევაკს. ქართველი მკითხველი რამდენჯერმე შეხვდა მას ქართულ ლიტერატურულ პრესაში გივი შაჰნაზარის თარგმანებით. ამ თარგმანებისა და აგრეთვე რუსულად გამოცემული ნაწარმოებების („დადუმებული სამრეკლო“) მიხედვით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სევაკი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში ერთი თავისებური და საინტერესო პოეტია. სევაკი ადვილად არ აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ მის აზრიან ლექსებს თან ყოველთვის ემოციურობა ახლავს. სევაკი წლების მანძილზე ჯიუტად ამკვიდრებდა თავის საკუთარ პოეტურ სტილს და დღეს ამ ჯიუტობისათვის მთელი სომეხი ხალხი მას მადლობას უხდის (სევაკი ტრაგიკულად დაიღუპა 1971 წელს).

ვისაც სურს რაღაც იპოვოს ქვეყნად,
ეძებს... არ იცის რა არის დაღლა.
მე კი, ო, მე კი არას დავეძებ,
ოღონდ ვიპოვო, ის რაც ჩემშია,
ის, რაც გულში მაქვს ახლა!

წერს პარუირ სევაკი.

ვაჰაგნ კარენცი ტრადიციული ხმის პოეტია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ იგი გატკეპნილ გზას მიჰყვება. „ტრადიცია“ არც მხოლოდ წარსულ პოეტურ კულტურას გულისხმობს ვიწრო გაგებით. ვაჰაგნ კარენცი შემოქმედებითად ეკიდება ეროვნულ საწყისებს და ახალი შინაარსით ავსებს მას. ტრადიციულ სომხურ პოეზიას ძლიერი ზემოქმედებითი ძალა გააჩნია და ხშირად ალბათ „აცდუნებს“ კიდეც თანამედროვე პოეტს, მაგრამ სარეცენზიო კრებულში შესულ ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც „დამოუკიდებლობის“ და „საკუთარი ხმის“ ერთგულნი რჩებიან. ისინი სწავლობენ ტრადიციულ გამომსახველობით ხერხებს, მაგრამ არ რჩებიან მის ტყვეობაში.

კრებულში ვხვდებით ახალი თაობის პოეტებსაც — ლეონ მირაჯიანს, ლუდვიგ დურიანს, რაზმიკ დავოიანს, ნანსენ მიქაელიანს; ისინი, როგორც წიგნის შემდგენელი წერს, „ფხას უსინჯავენ თავის კალამს, ზოგი მათგანი სომხური პოეზიის მისადგომებთან დგანან, ავლენ თუ არა მაღლა, ამას დრო გვიჩვენებს".

კრებულს ამთავრებენ თბილისში მოღვაწე სომეხი პოეტები — ოვანეს კარაიანი და მარტინ ქარამიანი. ამ პოეტების შემოქმედებას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით.

„სომეხი საბჭოთა პოეტები" და „აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტები" ერთდროულად გამოსცა „საბჭოთა საქართველომ". ეს მეტად დროული და მისასალმებელი ნაბიჯი იყო და კარგი იქნებოდა თუ ტრადიციადაც იქცევა და საფუძველს ჩაუყრის ამ ორი მოძმე ერის პოეზიის ფუნდამენტური ანთოლოგიების გამოცემას. „სომეხი საბჭოთა პოეტების" მთარგმნელებად გამომცემლობას მოუწვევია ცნობილი პოეტები — იოსებ ნონეშვილი, ლადო სულაბერიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, ბესიკ ხარანაული, გივი შაჰნაზარი. წიგნის რედაქტორია რევაზ მარგიანი.

ვუსურვოთ ამ ერთობლივ ნაშრომს ბედნიერი მოგზაურობა ქართველ მკითხველთა გულებში.

ან. ჯაფარიძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

114
1975/3

# მნათობი

114/3

99

3

1975